

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი

თამთა მამაიაშვილი

მორიბეზა,  
როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების  
დამთავრების საფუძველი

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი,  
პროფესორი: ზურაბ ძლიერიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი  
სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2017

## აბრევიატურები

### ქართულ ენაზე:

და ა.შ და ასე შემდეგ

ე.წ. ეგრედწოდებული

თბ., თბილისი

თსუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინგ. ინგლისურად

იხ. იხილეთ

იგ. იგულისხმება

მაგ. მაგალითად

ნაწ. ნაწილი

რედ. რედაქტორ(ებ)ი

სსსკ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

სსკ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სუს საქართველოს უზენაესი სასამართლო

შეად. შეადარეთ

შემდ. შემდგომში

### უცხოურ ენებზე:

М. Москва

С. Страница

Ред. Редактор

ADR Alternative Dispute Resolution

BGB Buergerliches Gesetzbuch

CAM Court Annexed Mediation

PDR Primary Dispute Resolution

PMP Private Mediator Procedure

USA United States of America

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი.....	9
კვლევის აქტუალურობა.....	9
კვლევის მიზანი.....	10
კვლევის მეთოდი.....	11
კვლევის სტრუქტურა.....	12
კვლევის შედეგები.....	14

### ნ ა წ ი ლ ი I

მორიგების სამართლებრივი ასპექტები.....	18
შესავალი.....	18

### თავი I. მორიგების ცნება.....

1. რა არის მორიგება.....	23
2. მორიგების ცნების ლექსიკური მნიშვნელობა.....	25
2.1. მორიგების ცნების ენობრივი გამოხატულება.....	25
2.2. მორიგების ცნების თანმდევ ცნებები.....	26
3. მორიგების ცნების მატერიალური მნიშვნელობა.....	30
3.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი.....	30
3.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 360-ე მუხლი.....	31
3.3. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §779.....	34
4. მორიგების ცნების პროცესუალური მნიშვნელობა.....	36
4.1. მორიგების ცნება დისპოზიციურობის პრინციპში.....	36
4.2. მორიგების ცნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.....	37

### თავი II. მორიგების ადგილი.....

1. საპროცესო ნორმათა პირველი კატეგორია.....	39
2. საპროცესო ნორმათა მეორე კატეგორია.....	40
3. საპროცესო ნორმათა მესამე კატეგორია.....	42

### თავი III. მორიგება, როგორც გარიგება.....

1. გარიგების სამართლებრივი მნიშვნელობა.....	44
1.1. გარიგება.....	44
1.2. ხელშეკრულება.....	46
1.3. გარიგების ბათილობა.....	47
2. მორიგების, როგორც გარიგების სამართლებრივი მნიშვნელობა.....	49
2.1. მორიგების გარიგებითი მნიშვნელობა.....	49
2.2. პარალელი თეორიებთან საარბიტრაჟო შეთანხმების (არბიტრაჟის) შესახებ.....	51
2.3. ცალმხრივი ნების გამოვლენის სამართლებრივი შედეგები.....	53
2.4. ორმხრივი ნების გამოვლენის სამართლებრივი შედეგები.....	54
2.5. მორიგების, როგორც გარიგების ბათილობა.....	56

<b>თავი IV. მორიგება, როგორც პროცესი</b> .....	59
<b>I. მორიგება, როგორც საპროცესო მოქმედება</b> .....	59
<b>II. მორიგება, როგორც დამოუკიდებელი პროცესი</b> .....	62
1. კონფლიქტი.....	62
1.1. კონფლიქტის არსი.....	62
1.2. კონფლიქტის მართვა.....	64
2. კომუნიკაცია .....	66
2.1. კომუნიკაციის არსი.....	66
2.2. კომუნიკაციის საფუძვლები .....	67
2.3. კომუნიკაციის სახეები .....	69
2.3.1. ანალიტიკური მოსმენა.....	69
2.3.2. ვერბალური კომუნიკაცია.....	70
2.3.3. არავერბალური კომუნიკაცია .....	71
2.3.4. სოციალური აღქმა.....	73
2.3.5. ემოციების მართვა .....	74
3. სამომრიგებლო მცდელობები.....	75
3.1. მორიგების გონივრული შეთავაზება .....	76
3.2. მორიგების ეფექტური შეთავაზება.....	77
3.2.1. დავის გადაწყვეტის მიზნით .....	77
3.2.2. მოლაპარაკების გაუმჯობესების მიზნით .....	78
4. სამომრიგებლო მოლაპარაკებები.....	79
4.1. ძირითადი ასპექტები.....	79
4.1.1. სამომრიგებლო მოლაპარაკებების არსი .....	79
4.1.2. განსხვავება საქმის წარმოების პროცესისგან.....	80
4.1.3. ორიენტაცია შედეგზე.....	81
4.2. დამატებითი ასპექტები.....	83
4.2.1. პირთა სიმრავლე.....	83
4.2.2. დროის ფაქტორი.....	83
4.2.3. მოლაპარაკების ფარგლები .....	84
4.2.4. მოსამართლის ჩართულობა.....	85
4.3. ადამიანური ასპექტი .....	87
4.3.1. მეორე მხარის პოზიციის გათვალისწინება .....	87
4.3.2. მეორე მხარეზე ზეგავლენა .....	88
4.4. მოლაპარაკების სახეები.....	89
4.4.1. მსუბუქი მოლაპარაკება .....	89
4.4.2. მძიმე მოლაპარაკება .....	90
4.4.3. შუალედური მოლაპარაკება.....	90
5. სამომრიგებლო წინადადებები .....	91
5.1. სამომრიგებლო წინადადებების ჩამოყალიბება .....	91
5.2. პირობითი სამომრიგებლო წინადადებები .....	93
5.3. სამომრიგებლო წინადადებების უზრუნველყოფა.....	95
6. კომპრომისის მიღწევა.....	97
<b>III. მორიგების პროცესის მახასიათებელი პრინციპები</b> .....	99
1. ადამიანებისა და პრობლემების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.....	99
2. კონცენტრაცია ინტერესებზე და არა მოსაზრებებსა და პოზიციებზე.....	101
3. ორივე მხარისათვის სასარგებლო და მისაღები გადაწყვეტილების აღტერნატივების შემუშავება.....	102
4. ობიექტური კრიტერიუმების გამოყენება.....	103

**IV. მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილი**..... 104

1. მორიგების აქცესორული ბუნება ..... 104

2. სასამართლოსმიერი მორიგება ..... 107

**თავი V. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცალკეული ფორმების ურთიერთშედარებითი მიმოხილვა მორიგებასთან მიმართებაში**..... 109

1. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა ..... 109

2. მოლაპარაკება ..... 111

    2.1. მოლაპარაკება მხარეთა მიერ..... 111

    2.2. მოლაპარაკება შუამავლობით..... 114

3. მოდერაცია ..... 115

4. მედიაცია..... 116

    4.1. მედიაციის დახასიათება ..... 116

    4.2. სასამართლო მედიაცია..... 118

    4.3. არასასამართლო (კერძო) მედიაცია..... 121

5. მედ-არბი..... 124

6. არბიტრაჟი..... 125

    6.1. არბიტრაჟის დახასიათება ..... 125

    6.2. სავალდებულო არბიტრაჟი..... 126

    6.3. განსხვავება არასავალდებულო არბიტრაჟისგან ..... 127

    6.4. განსხვავება სასამართლო პროცესისგან..... 128

    6.5. განსხვავება მედიაციისგან ..... 129

7. საუკეთესო პროცესის არჩევა..... 129

    7.1. გავრცელებული კრიტერიუმები ..... 130

    7.2. შედეგის მოქნილობა ..... 130

    7.3. მხარეთა შორის ურთიერთობების შენარჩუნება ..... 130

    7.4. პრინციპთან დაკავშირებით..... 131

    7.5. ძალთა არათანაბარი გადანაწილება ..... 131

**ნ ა წ ი ლ ი II**

**მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტა**..... 134

**თავი I. სამოქალაქო საქმის წარმოების არსი და დასრულების კლასიფიკაცია**..... 134

1. სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობები ..... 134

2. სამოქალაქო სამართალწარმოება ..... 137

3. სასარჩელო წარმოება ..... 139

    3.1. სასარჩელო წარმოებს არსი ..... 139

    3.2. სარჩელი და მისი საპროცესო სამართლებრივი შედეგი..... 141

    3.3. საქმის არსებითი განხილვა..... 143

    3.4. სამოქალაქო საქმის წარმოების დასრულების კლასიფიკაცია..... 146

**თავი II. მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობები**..... 150

1. წინაპირობების არსი ..... 150

2. სამოქალაქო საქმის წარმოების მორიგებითი ღირებულება..... 150

3. სამოქალაქო საქმის წარმოების განხილვის გამჭვირვალედ წარმართვის ინტერესი .....	151
4. შესვენების გამოცხადება .....	152
5. შესაძლო შედეგებზე მითითება .....	153
6. მორიგების წინადადება .....	153
7. მორიგების უპირატესობაში დარწმუნება .....	154

**თავი III. მორიგების აქტი, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობა..... 156**

1. მორიგების აქტის სამართლებრივი არსი .....	156
2. მორიგების აქტის ფორმა .....	157
3. მორიგების აქტის შინაარსი .....	159
3.1. მიმართული დავის გადაწყვეტისკენ .....	159
3.2. მიმართული ხარჯების რეგულირებისკენ .....	160
3.3. მიმართული კონფიდენციალურობის დაცვისკენ .....	161
4. მორიგების აქტის კანონიერების კონტროლი .....	161
4.1. კანონით დადგენილი წესი და აკრძალვები .....	162
4.2. საჯარო წესრიგი და ზნეობა .....	164
4.3. სხვა საფუძვლები .....	165
5. მორიგების აქტის დამტკიცება .....	166
6. მორიგების აქტის გასაჩივრება .....	167
7. მორიგების პროცესის კანონიერება .....	169

**თავი IV. მოსამართლის სტატუსი და ფუნქციები მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტისას..... 172**

1. მოსამართლის სტატუსი მორიგების პროცესში .....	172
1.1. მოსამართლე, როგორც მომრიგებელი .....	172
1.2. მოსამართლე, როგორც მედიატორი .....	175
2. მოსამართლის კვალიფიკაცია მორიგების პროცესში .....	177
2.1. მოსამართლის კვალიფიკაციის საფუძვლები .....	177
2.2. მოსამართლის პროფესიონალიზმი .....	180
3. მოსამართლის კომპეტენცია მორიგების პროცესში .....	181
3.1. პროფესიული კომპეტენცია .....	182
3.2. სოციალური კომპეტენცია .....	182
3.3. პერსონალური კომპეტენცია .....	183
3.4. „ემოციური ინტელექტი“ .....	183
4. მოსამართლის ფუნქციები მორიგების პროცესში .....	184
4.1. მართლმსაჯულების განხორციელება .....	184
4.2. საქმის შესწავლა .....	186
4.3. დავის სწორი გადაწყვეტა .....	187
4.4. მორიგების შეთავაზება .....	189
4.4.1. მორიგების შეთავაზების ფორმა .....	189
4.4.2. მორიგების შეთავაზების საფუძვლები .....	191

**თავი V. საქმის წარმოების მხარეების სტატუსი და ფუნქციები მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტისას..... 193**

1. საქმის წარმოების მხარეების სტატუსი მორიგების პროცესში .....	193
1.1. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები .....	193
1.2. მხარეები სამოქალაქო პროცესში .....	194

1.3. მხარეების თანასწორობა და ინტერესები .....	195
2. საქმის წარმოების მხარეების ფუნქციები მორიგების პროცესში .....	196
2.1. თვითდახმარება .....	196
2.2. მხარის ინიციატივა მორიგებაზე .....	197
2.3. მორიგებით (საქმის შედეგით) მხარის მატერიალური და საპროცესო დაინტერესება .....	200

<b>თავი VI. მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტა სხვადასხვა ეტაპზე .....</b>	<b>202</b>
1. შესავალი .....	202
2. მორიგების დამტკიცება მოსამზადებელი სხდომის ეტაპზე .....	203
3. მორიგების დამტკიცება საჩივრისა და კერძო საჩივრის განხილვის ეტაპზე .....	204
4. მორიგების დამტკიცება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების ეტაპზე .....	205
5. მორიგების დამტკიცება ეტაპზე, მიქცეულია თუ არა აღსასრულებლად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება .....	206
6. მორიგების დამტკიცება უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვის ეტაპზე .....	207
7. მორიგების დამტკიცება საარბიტრაჟო სასამართლოთა გადაწყვეტილებების არსებობის შემთხვევაში .....	209

<b>თავი VII. მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება .....</b>	<b>210</b>
1. სასამართლო გადაწყვეტილება .....	210
2. სასამართლო განჩინება .....	212
3. მორიგების განჩინება .....	214
4. მორიგების განჩინების აღსრულება .....	217

<b>თავი VIII. მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები .....</b>	<b>221</b>
1. საქმის წარმოების მხარეების მორიგებითი შედეგი .....	221
1.1. დავის გადაწყვეტა მხარეთა ნებით და სასურველი შედეგით .....	221
1.1.1. მორიგების ნებაყოფლობითი ხასიათი .....	221
1.1.2. მხარეთა სასურველი შედეგი .....	223
1.2. საპროცესო ხარჯების დაზოგვა .....	224
1.2.1. საპროცესო ხარჯები .....	224
1.2.2. მორიგების ეკონომიურობა .....	225
1.3. კონფლიქტის მოგვარება და სამართლიანობის აღდგენა .....	226
1.3.1. კონფლიქტის მოგვარება .....	226
1.3.2. სამართლიანობის აღდგენა .....	227
2. სასამართლოს მორიგებითი შედეგი .....	228
2.1. ხანგრძლივი სასამართლო პროცესის თავიდან არიდება .....	228
2.1.1. საქმეთა სიმრავლე .....	228
2.1.2. დროის ფაქტორი .....	231
2.1.2.1. საქმის წარმოების დრო .....	231
2.1.2.2. მორიგების დრო .....	232
2.2. სასამართლო ნდობის ამაღლება .....	233
2.2.1. მორიგებით დასრულებული საქმეები .....	233

2.2.2 სასამართლო პრაქტიკა.....	234
2.2.3. მოსამართლეთა დამოკიდებულება მორიგებისადმი .....	235
3. ორმხრივი შედეგი – სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვის აკრძალვა.....	237
დასკვნა .....	241
ბიბლიოგრაფია .....	249



## შესავალი

### კვლევის აქტუალურობა

სადისერტაციო თემის აქტუალური ხასიათი არა მხოლოდ მორიგების სამართლებრივ შინაარსში, არამედ მის პრაქტიკულ მნიშვნელობაშიც მდგომარეობს. მორიგების სამართლებრივი არსის სწორად დადგენისთვის მიზანშეწონილია იგი ორ სამართლებრივ ჭრილში განვიხილოთ. კერძოდ, პირველი – რა არის მორიგება, როგორც მატერიალური მოვლენა, ანუ მორიგების სამართლებრივი ასპექტები და, მეორე – რას წარმოადგენს მორიგება, როგორც პროცესუალური მოვლენა, ანუ მორიგებით საქმის წარმოების პროცესის დასრულება.

აქტუალურია მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით მორიგების შინაარსი გარიგების სამართლებრივ ბუნებას უკავშირდება და ხასიათდება გარიგების სამართლებრივი ნიშნებით. ფართო გაგებით კი, მორიგება პროცესია და, ამდენად, აუცილებელია მისი, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების შემადგენელი ნაწილის სახით განვიხილოთ. აქვე აღსანიშნავია, რომ მორიგების ვიწრო და ფართო მნიშვნელობები განუყოფელია და მხოლოდ ერთდროულად და ერთობლივად განიხილება. აღნიშნულს განაპირობებს მორიგების აქცესორული ხასიათი.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს მორიგება, როგორც „დამოუკიდებელი პროცესი“ (როგორც თავისთავადი მოვლენა), და მორიგება, როგორც „პროცესის პროცესი“ (როგორც საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილი). ასეთი სახით მორიგებაზე მსჯელობა საშუალებას იძლევა, გაანალიზდეს მისი, როგორც ხელშეკრულების არსი და, გამოიკვეთოს მისი, როგორც პროცესის, სხვაობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (შემდ. სსსკ) დადგენილი სამოქალაქო საქმის წარმოების დამამთავრებელი სხვა სამართლებრივი სტადიებისაგან. შედეგად კი, შესაძლებელი გახდება, ჩამოყალიბდეს და განისაზღვროს მორიგების სამართლებრივი არსი, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დამამთავრების საფუძველი.

მორიგებაზე, როგორც პროცესზე, მსჯელობის აქტუალურობას ის გარემოება განაპირობებს, რომ მორიგება დავის გადაწყვეტის (უფრო ზუსტად, სამოქალაქო საქმის წარმოების დასრულების) ალტერნატიული საშუალებაა, ვიდრე ეს საქმის წარმოების პროცესია. მისი მეშვეობით დავა წყდება კონკრეტული სამართლებრივი შედეგით – ის ერთხელ და საბოლოოდ, ფაქტობრივად ანუ შედეგობრივად მთავრდება. მაშინ, როცა საქმის წარმოების დასრულება საქმის არსებითი განხილვის შედეგად, ხშირ შემთხვევაში, იძლევა „გადაუწყვეტელი გადაწყვეტილების სახით“ მიღებულ შედეგს.

მორიგების გზით დასრულებულ სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით ქართული სასამართლო პრაქტიკა მწირი არ არის. სასამართლო პრაქტიკაში არაერთი გადაწყვეტილება მოიპოვება მორიგების სამართლებრივი ბუნების განმარტებასთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვან გაველენას ახდენს მისი სამართლებრივი რაობის გასაზღვრაზე და პრაქტიკაში მისი გამოყენების სწორი მნიშვნელობის დადგენის პროცესზე. შესაბამისად, ტენდენციაც – პრეცედენტული ხასიათი მიიღოს მორიგების

გზით მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი ბუნების განმარტებებმა – აქტუალურ ხასიათს ატარებს.

სადისერტაციო ნაშრომს აქტუალურობას ის ფაქტიც სძენს, რომ ქართულ სამართალში მორიგებაზე, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დასრულების საფუძველზე, ზემოხსენებული კომპლექსური (მატერიალური და პროცესუალური) სახით ჯერ მსჯელობა არ ყოფილა. მორიგება აქტუალურია, ერთი მხრივ, სამართლებრივი სივრცისთვის (სასამართლოსთვის), ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი სივრცისთვის (მოდავე მხარეებისთვის). თუმცა, ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში, სამეცნიერო მსჯელობის კუთხით, იგი ნაკლებად წარმოადგენს კვლევის საგანს. შესაბამისად, აქტუალური და საინტერესოა ამ საკითხის მეცნიერული გაშუქება.

ნაშრომი საპროცესო სამართლისთვის მნიშვნელოვან საკითხებს ახალიზებს, რაც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ის სათანადო წვლილს შეიტანს ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის – მორიგების – სათანადო მიმოხილვასა და სრულყოფაში. ასევე, სამართლებრივ სივრცეში მისი აქტიურად განხილვისა და გამოყენების საკითხში.

### კვლევის მიზანი

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანი და ამოცანაა მორიგების, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრების საფუძველის ანალიზი, რაც, ერთი მხრივ, მორიგების სამართლებრივი ბუნების დადგენით, ხოლო, მეორე მხრივ, მორიგების პროცესის, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველის, ანალიზით ხორციელდება.

ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი მორიგების სამართლებრივი ასპექტების ანალიზია, რომლის დროსაც განისაზღვრება მორიგების ცნება, ადგილი და მიზნები სამოქალაქო საქმის წარმოებისთვის.

მორიგების სამართლებრივი ბუნება და დანიშნულება მხოლოდ ერთი მიზნით არ შემოიფარგლება. მორიგებას აქვს რამდენიმე, კომპლექსური სახის სამართლებრივი მიზანი.

რა თქმა უნდა, მორიგების უმთავრესი, საკანონმდებლო მიზანი სამოქალაქო საქმის წარმოების მორიგებით დასრულებაა. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ მორიგების მიზანს, ასევე, წარმოადგენს სასამართლოს საქმეთა გადატვირთული გრაფიკისაგან განტვირთვა, ხანგრძლივი სასამართლო პროცესების თავიდან არიდება, სასამართლოს როლის ამაღლება, საპროცესო ხარჯების შემცირება, კონფლიქტის მოგვარება და სამართლიანობის აღდგენა.

კვლევის ერთ-ერთი მიზანია მორიგების ცნების და მორიგების ადგილის განსაზღვრა სსსკ-ში. კერძოდ, იმის დადგენა, მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა, მორიგებასთან დაკავშირებული ნორმები მოქცეულიყო კოდექსის ცალკე თავში, მისთვის დამოუკიდებელი სამართლებრივი მნიშვნელობის მინიჭების, მეტი სისტემურობისა და პრაქტიკული გამოყენების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მორიგება, თავისთავადი, დამოუკიდებელი პროცესია. ის რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. ესენია: სამომრიგებლო მცდელობები, სამომრიგებლო მოლაპარაკებები, სამომრიგებლო წინადადებები, მორიგების დადება და მისი სამართლებრივი შედეგების დამტკიცება, მორიგების აქტი და

მორიგების შედეგები, ასევე, მორიგებით დამტკიცებული პირობების აღსრულების უზრუნველყოფა.

კვლევის მიზანი აღნიშნული ეტაპების როგორც ცალკეული, ისე კომპლექსური სამართლებრივი ანალიზია, რაც, საბოლოო ჯამში, მორიგების დამოუკიდებელ პროცესს ქმნის. აღნიშნულის პარალელურად, კვლევის მიზანია განისაზღვროს, თუ რა შინაარსის მატარებელია ზემოხსენებული ცალკეული ელემენტი და, რამდენად ამუღანებს ურთიერთდამოკიდებულ ხასიათს ერთმანეთთან მიმართ. ასევე, რამდენადაა დამოკიდებული თითოეული სამართლებრივი კომპონენტი საერთო მიზანზე – ხელი შეუწყოს მორიგებით საქმის წარმოების დასრულებას.

მორიგება, როგორც დამოუკიდებელი პროცესი, მატერიალური სამართლებრივი მნიშვნელობისაა, ხოლო როგორც პროცესუალური მოვლენა, ანუ საქმის წარმოების პროცესის დამთავრების საფუძველი, აქცესორული სამართლებრივი ბუნების მატარებელია. იგი არ არსებობს ძირითადი დავის ანუ სამოქალაქო საქმის წარმოების გარეშე.

სადისერტაციო კვლევის არსებითი მიზანი სწორედ იმ ურთიერთკავშირის დადგენაა, რომელიც მორიგებასა და საქმის წარმოების პროცესს შორის არსებობს და, რომელიც საქმის წარმოების დასრულების საფუძველი ხდება. ამ მიზნიდან გამომდინარე, მსჯელობის გარკვეული ნაწილი ეთმობა სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესის ანალიზსა და მიმოხილვას.

ყოველივე ზემოხსენებულის შესაბამისად, ნაშრომში სამართლებრივად გაანალიზებული და მიმოხილულია მორიგება, როგორც საქმის წარმოების დამთავრების დამოუკიდებელი საფუძველი, რის შედეგადაც შესაძლებელია სამართლებრივი დებულებებისა და წინადადებების შემუშავება მისი სამართლებრივი და პრაქტიკული სრულყოფის მიზნით.

## კვლევის მეთოდი

სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველად გამოყენებულია ზოგადსამეცნიერო კვლევის მეთოდები, როგორებიცაა: დოგმატური, ნორმატიული, ისტორიული და შედარებითსამართლებრივი; გამოყენებულია, ასევე, ლოგიკური ანალიზი, რაც ხელს უწყობს მორიგებასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი კვლევის სრულყოფილად და ყოვლისმომცველად წარმოჩენას.

ნაშრომში მსჯელობა მიმდინარეობს როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი სამართლებრივი ლიტერატურის საფუძველზე.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ერთ-ერთ თვალსაჩინო საშუალებად გამოყენებულია სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

როგორც აღინიშნა, მორიგების საკითხებთან დაკავშირებით ქართული იურიდიული ლიტერატურა მწირია, სამაგიეროდ, მდიდარია სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს შესასწავლი საკითხის სხვადასხვა ასპექტის ურთიერთშეჯერებას და მათი სამართლებრივი ბუნების სათანადო გაგებას.

სადისერტაციო ნაშრომს საფუძველად უდევს ქართველ და უცხოელ მეცნიერ-იურისტთა კვლევების სამართლებრივი შედეგები.

საკითხის სამართლებრივად შესწავლის სრულყოფის მიზნით, სადისერტაციო ნაშრომში პარარელურად გამოყენებულია კონკრეტული დას-

კენები სოციოლოგიიდან, ფსიქოლოგიიდან და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებიდან.

### კვლევის სტრუქტურა

სტრუქტურულად ნაშრომი შედგება აბრევიატურის ნუსხის, შესავლის, ორი ძირითადი ნაწილის, ცამეტი თავის, 69 ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

ნაშორი დაყოფილია ორ ძირითად ნაწილად. პირველი ნაწილი – მორიგების სამართლებრივი ასპექტები, მეორე ნაწილი – მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების დასრულება.

ნაშრომის პირველი ნაწილი მოცულობითი ხასიათისაა და აერთიანებს ყველა იმ საკითხს, რომლებიც მორიგების სამართლებრივ არსს და მისი შინაარსის დადგენას უკავშირდება. პირველ ნაწილში განხილული საკითხების ანალიზი და მოცემულობა ნაშრომის მეორე ნაწილის ერთგვარი წინაპირობაა. მეორე ნაწილი მთლიანად განიხილავს მორიგებით საქმის წარმოების დასრულების საფუძვლებს, წინაპირობებს, პროცესს და ეფუძნება ნაშრომის პირველ ნაწილში განხილული მორიგების სამართლებრივ ასპექტებს.

პირველი ნაწილის პირველი თავი ეთმობა მორიგების ცნების დადგენა-განსაზღვრას. მორიგების ცნება განიმარტება მისი ლექსიკური, მატერიალური და პროცესუალური მნიშვნელობით. აქვე მოცემულია შედარებითი ანალიზი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან.

მეორე თავი ეთმობა მორიგების მარეგულირებელი ნორმების ანალიზს და მათი ადგილის განსაზღვრას სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთიან სისტემაში. საკითხის სრულყოფილად რეგულირების თვალსაზრისით, აქვეა გაანალიზებული, თუ რამდენად ყოვლისმომცველია არსებული ნორმების ერთობლიობა და რამდენადაა მიზანშეწონილი, დამოუკიდებელი თავი დაეთმოს სასამართლოსმიერი მორიგების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს.

მესამე თავში მსჯელობა მიმდინარებს მორიგების, როგორც გარიგების, მნიშვნელობაზე. უპირველეს ყოვლისა, მსჯელობის საგანია გარიგების სამართლებრივი ბუნება, ხოლო შემდგომ – მორიგების როგორც გარიგების, სამართლებრივი მნიშვნელობა.

მეოთხე თავი მორიგების საპროცესო ბუნების დადგენას უკავშირდება. აღნიშნული თავი მოცულობითი ხასიათისაა. თავის მხრივ, ის შედგება ხუთი ქვეთავისგან, რომლებიც ლოგიკური და შინაარსობრივი თანმიმდევრობით წარმოაჩენს მორიგების პროცესს.

პირველი ქვეთავი მორიგების, როგორც საპროცესო მოქმედების განხილვას ეთმობა, ხოლო მეორე ქვეთავი მორიგების დამოუკიდებელი პროცესის თაობაზე მიმდინარე მსჯელობაა. მორიგება, როგორც დამოუკიდებელი პროცესი, მოიცავს კონფლიქტს, კომუნიკაციას, სამომრიგებლო მცდელობებსა და მოლაპარაკებებს, სამომრიგებლო წინადადებების ანუ პირობების ჩამოყალიბებას, რომელთა საბოლოო მიზანი მხარეთა შორის კომპრომისის მიღწევაა.

მესამე ქვეთავი განიხილავს მორიგების დამოუკიდებელი პროცესის მახასიათებელ პრინციპებს, რომლებიც ცნობილია ჰარვარდის კონცეფციის სახელით.



მეოთხე ქვეთავში განხილულია მორიგება, როგორც საქმის წარმოების შემადგენელი ნაწილი. განსხვავებით მორიგების დამოუკიდებელი პროცესისგან, აქ აქცენტი კეთდება მის აქცესორულ ბუნებასა და, შესაბამისად, სასამართლოსმიერი მორიგების თაობაზე.

მესუთე თავი ეთმობა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცალკეულ ფორმებზე მსჯელობას და ურთიერთშედარებით ანალიზს. მსჯელობის საფუძველი მორიგების სამართლებრივ ასპექტებთან პარალელია.

ნაშრომის მეორე ნაწილის პირველი თავი მიმოიხილავს სამოქალაქო საქმის წარმოების არსს და მის იურიდიულ ბუნებას, როგორც სასამართლოსმიერი მორიგების საფუძველს. აღნიშნულ თავში, უპირველეს ყოვლისა, განხილულია სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების მნიშვნელობა, სამოქალაქო სამართალწარმოება, უშუალოდ საქმის წარმოების სასარჩელო ბუნება, რომელიც მორიგების ობიექტი და წინაპირობაა. აღნიშნული თავი ასევე ეთმობა საქმის არსებითად განხილვის თავისებურებებს და სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესის დასრულების კლასიფიკაციას სამართლებრივი საფუძველით.

მეორე თავში მოცემულია საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობები. აქცენტი კეთდება იმ ფაქტორებზე თუ სამართლებრივ გარემოებებზე, რომლებიც ხელს უწყობს მორიგებას.

მესამე თავი ეთმობა მორიგების აქტის შემუშავების პროცესში არსებულ და განსახილველ საკითხებს. აღნიშნულ ქვეთავში განხილულია მორიგების აქტის სამართლებრივი ბუნება და მისი აქცესორული ხასიათი, ფორმა და შინაარსი. აღნიშნულ ქვეთავში მოცემულია, ასევე, მსჯელობა მორიგების აქტის კანონიერების, მისი დამტკიცებისა და უშუალოდ მორიგების პროცესის კანონიერების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

მეოთხე თავი ეთმობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, კერძოდ, მოსამართლის სტატუსსა და ფუნქციებს მორიგების პროცესში. უპირველეს ყოვლისა, მოცემულია მოსამართლის ზოგადი დახასიათება, წარმოჩენილია მისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია მორიგების პროცესის სათანადოდ წარმართვის აუცილებლობიდან გამომდინარე. ხოლო შემდგომ, განხილულია კომპლექსური სახის ფუნქციების ერთობლიობა, რომელიც აქვს დაკისრებული მოსამართლეს საქმის წარმოების მორიგებით დასრულების პროცესში.

მესუთე თავში მიმდინარეობს მსჯელობა საქმის წარმოებისა და, შესაბამისად, მორიგების პროცესის მხარეების სტატუსზე, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებზე, მათ თანასწორობასა და საერთო ინტერესებზე. მხარეთა ფუნქციები, მორიგების პროცესში, განისაზღვრება როგორც მორიგების მხარის თვითდახმარება – მხარე, როგორც მორიგების ინიციატორი და, მხარე, როგორც საქმის დასრულების მატერიალური და პროცესუალური შედეგით დაინტერესებული პირი.

მეექვსე თავი ეთმობა უშუალოდ მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივ დახასიათებას. სამოქალაქო საქმის შეწყვეტის შესაძლებლობები განხილულია საქმის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე, მათი თავისებურებებისა და მახასიათებლების ანალიზით.

მეშვიდე თავში გაანალიზებულია საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივ ბუნებასთან პარალელების გავლებით, უშუალოდ მორიგების თაობაზე სასამართლო განჩინების ანალიზითა და მისი აღსრულების თავისებურებებზე მსჯელობით.

მერვე თავი ასრულებს მსჯელობას მორიგებით საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებზე. შედეგების კლასიფიკაცია მოცემულია, ერთი მხრივ, შედეგით, რომელიც ერთმნიშვნელოვანია მორიგების მხარეებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ – სასამართლოსთვის; აქვე მოცემულია ორმხრივი შედეგის ანალიზიც.

ნაშრომის სტრუქტურა სრულდება დასკვნით და ნაშრომში გამოყენებული ბიბლიოგრაფიის ჩამონათვალით.

## კვლევის შედეგები

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგი, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კომპლექსურ ხასიათს ატარებს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მორიგების განსაზღვრება საკანონმდებლო დონეზე მოცემული არ არის. შესაბამისად, აუცილებელია მისი კომპლექსური სახით შესწავლა. ამისთვის მიზანშეწონილია მორიგების ცნების შესწავლა ლექსიკური (გრამატიკული) მნიშვნელობით, ხოლო შემდგომ – მორიგების ცნების ყველა იმ ტერმინოლოგიის შინაარსობრივი ანალიზი, რომლებიც თავმოყრილია სამართლებრივ სივრცეში. შედეგად კი ჩამოყალიბდება და განისაზღვრება მორიგების ცნება.

მორიგების ცნების განსაზღვრება ცხადყოფს, რომ ის სისტემური ხასიათისაა, რადგან აერთიანებს მორიგების მნიშვნელობის გამომხატველ რამდენიმე სამართლებრივ ტერმინსა თუ მდგომარეობას. ამ გარემოებას ისიც ამყარებს, რომ მორიგების შინაარსის განსაზღვრებები, პროცესუალური სამართლის მსგავსად, მატერიალურ სამართალშიც ფუნქციონირებულადაა მოცემული. მართალია, არცერთი არ იძლევა მორიგების ცნების პირდაპირ განსაზღვრებას, მაგრამ ორივე სფეროში მორიგების ცნების სამართლებრივი მნიშვნელობა ცალსახად დადგენილია.

მორიგების ცნების ირგვლივ მსჯელობის შედეგად, გამომდინარე იქედან, რომ მას დამოუკიდებელი სამართლებრივი განსაზღვრებები აქვს ლექსიკური, მატერიალური და პროცესუალური თვალსაზრისით, დგინდება მორიგების ცნების კომპლექსური ხასიათი; ასევე, ისიც, რომ მორიგება გულისხმობს არა მხოლოდ ერთ სამართლებრივ ფაქტორს – მატერიალური თვალსაზრისით არსებულ მორიგებას, არამედ, ის ერთგვარი პროცესია ლოგიკური დასაწყისით, ეტაპებითა და დასასრულით.

კვლევის შედეგად განისაზღვრება მორიგების ადგილი სამოქალაქო სამართლის სისტემაში. დგინდება, რომ მორიგება სამართლებრივად არ რეგულირდება პირდაპირი ნორმებით, არამედ ამისთვის გამოიყენება სხვა საკითხებთან დაკავშირებული სსსკ-ში არსებული მუხლები. მორიგების მნიშვნელობა და ფუნქცია სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესში, როგორც საქმის წარმოების დასრულების საფუძველი, ერთმნიშვნელოვნად ითხოვს მორიგების მარეგულირებელი ნორმების სისტემურობას. ეს ფაქტობრივი მდგომარეობა განმსაზღვრელია იმისა, თუ რამდენად სწორად აქვს ადგილი დათმობილი მორიგებას სამოქალაქო საპროცესო სამართლის სისტემაში; რამდენადაა საკმარისი მისი სამართლებრივი მნიშვნელობის წარმოჩინებისათვის ნორმათა ის ერთობლიობა, რომელიც დღეს გვაქვს და რამდენად უზურნველყოფს ნორმათა არსებული ერთობლიობა მორიგების სისტემურ ფუნქციონირებას საქმის წარმოების დასრულებისას.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა არსებობისა და მსჯელობის შედეგად მიზანშეწონილი ხდება, ცალკე თავი დაეთმოს მორიგებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. კერძოდ, მოხდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სისტემატიზაცია დამოუკიდებელი თავის – სასამართლოსმიერი მორიგების – სახით. აღნიშნული ორგანიზებულ ხასიათს მისცემს საქმის წარმოების მორიგებით დამთავრების პროცესს. ამასთან, სისტემატიზაციის შედეგად, შესაძლებელი იქნება ნორმათა ერთობლიობამ პასუხი გასცეს თეორიასა თუ პრაქტიკაში არსებულ მორიგების მარეგულირებელ სამართლებრივ საკითხებს.

მორიგების სამართლებრივი ასპექტების კვლევის შედეგად გამოიკვეთება მორიგების მატერიალური და პროცესუალური მნიშვნელობა; დგინდება, რომ მატერიალური ნიშნით მორიგება ორმხრივი ნების გამოვლენა ანუ ხელშეკრულებაა. ამ მოსაზრებას მოწინააღმდეგეები არ ჰყავს, თუმცა მორიგების, როგორც ხელშეკრულების, სამართლებრივი შედეგების ანალიზისას აზრთა სხვადასხვაობაა. კერძოდ, მორიგება, როგორც გარიგება, წარმოშობს, წყვეტს თუ ცვლის არსებულ სამართალურთიერთობას.

მორიგებამ ამ შემთხვევაშიც კოპლექსური სამართლებრივი მნიშვნელობა იტვირთა. კერძოდ, მორიგება, როგორც მხარეთა ნება, მიმართულია არსებული, სადავო სამართალურთიერთობის რეგულირებისაკენ, რაც ფუძემდებლურად ინარჩუნებს არსებულ დავას, როგორც მორიგების ობიექტს. ამასთან, მორიგებამ არსებული დავა ახლებურად უნდა დაარეგულიროს, რაც იწყვეტს არსებული დავის სრულად შეწყვეტას და ახალი გარიგების წარმოშობას.

ამდენად, გამომდინარე იქიდან, რომ მორიგება მხარეთა ნებაყოფლობითობისა და კომპრომისის საფუძველზე მათ შორის არსებული დავის თაობაზე მხარეთა შეთანხმების ახალი პირობების ერთობლიობაა, შესაბამისად, მორიგება ახალ გარიგებად გვევლინება.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ მორიგება, თავისთავადი სამართლებრივი მოვლენა ანუ პროცესია. აღნიშნულ პროცესს სისტემური ხასიათი აქვს: დასაწყისი, ე.წ. შუა ნაწილი და დასასრული.

მორიგების არაფორმალური საწყისი კონფლიქტის სახით ვლინდება. კონფლიქტი ისეთი საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც მოდავე მხარეთა ნების მანევრირების შედეგად ცვალებადია. კონფლიქტის ასეთი თვისება შესაძლებელს ხდის ის მოდავე მხარეებისთვის სასარგებლოდაც იქნეს გამოყენებული. სარგებლობის არსი კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარია. მათი ძირითადი, საერთო შტრიხი ისაა, რომ კონფლიქტი ერთგვარი ბიძგია, მიზეზია დავის მორიგებით დასრულებისთვის.

კონფლიქტის რეგულირების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია კომუნიკაცია. კვლევის შედეგად დგინდება, რომ კომუნიკაციის არაერთი სახე არსებობს და თითოეული მათგანი, როგორც დამოუკიდებლად ასევე ერთობლივად, არსებით გავლენას ახდენს მორიგების პროცესზე. კომუნიკაციის ზოგადი სახეების გარდა, აღსანიშნავია, კომუნიკაციის ის კონკრეტული ფორმები, რომლებიც ხელს უწყობს მოდავე მხარეების, მხარეებისა და მოსამართლის, მოსამართლისა და მთლიანად საქმის წარმოების მონაწილე პირების ეფექტურ ურთიერთობას.

მორიგების ფორმალური საწყისი სამომრიგებლო მცდელობებია, რომლებიც სამომრიგებლო მოლაპარაკების წარმოების ფაზაში ეტაპობრივად ინაცვლებს და ლოგიკურად უახლოვდება სამომრიგებლო წინადადებების ანუ მორიგების პირობების შემუშავების ეტაპს, რაც საბოლოოდ

მიმართულია კომპრომისის მიღწევისაკენ. კომპრომისის მიღწევა კონფლიქტის რეგულირების დასასრული ეტაპია.

მორიგების დამოუკიდებელი პროცესის დასასრულად მოდავე მხარეების მიერ მორიგების აქტის შემუშავების ეტაპი უნდა იქნეს მიჩნეული. მხარეთა ნება – ახლებურად დაარეგულირონ სადავო ურთიერთობა მორიგების შეთანხმებული პირობების სახით – სწორედ მორიგების აქტით ფორმდება. თავის მხრივ, მორიგების აქტი საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებაში აისახება, რაც მის განჩინებაზე დამოკიდებულ სამართლებრივ ხასიათზე მიუთითებს. თუ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი, არ იქნება დამტკიცებული განჩინებით, მას სამართლებრივი ძალა ვერ მიენიჭება და, რაც მთავარია, ვერ გახდება სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

მორიგება აქცესორული ბუნების მატარებელი სამართლებრივი მოვლენაა, რომელიც ძირითადი უფლების – სამოქალაქო საქმის წარმოების – გარეშე არ არსებობს.

ერთი მხრივ, მორიგება თავისთავადი დამოუკიდებელი პროცესია, ხოლო მეორე მხრივ, საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილია. მორიგება თავისთავად ფუნქციადაკარგული სამართლებრივი მოვლენა იქნება, თუ იგი სამოქალაქო საქმის წარმოების ჭრილში არ იქნება განხილული. ამდენად, მორიგება ერთდროულად გვევლინება როგორც დამოუკიდებელ პროცესად, ასევე სამოქალაქო საქმის წარმოების შემადგენელ პროცესად, რომელიც სამართლებრივი ტერმინოლოგიით უნდა აღინიშნოს – მორიგება, როგორც „დამოუკიდებელი პროცესი“ და მორიგება, როგორც „პროცესის პროცესი“.

მორიგებაზე დამოუკიდებელი ხასიათის მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით. პროცესუალურად კი სწორედ ასეთი სამართლებრივი თვისებიდან გამომდინარე, მორიგება სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესის შემადგენელ ნაწილად გვევლინება და იგი თავის სამართლებრივ დატვირთვას სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესში, უფრო ზუსტად კი პროცესის დამთავრებისას იძენს. „თუ არ არსებობს დავა, მოსარიგებელიც არაფერია“. აღნიშნული მარტივად ხსნის მორიგების აქცესორულ ხასიათს და მის დამოკიდებულებას საქმის წარმოებაზე.

კვლევის შედეგები ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ ერთმნიშვნელოვნად არსებითია მოსამართლის როლი და ფუნქცია მორიგების პროცესში. შესაძლებელია ითქვას, რომ მოსამართლის უნარსა და კომპეტენციაზე დიდწილად არის დამოკიდებული ის, დასრულდება თუ არა საქმის წარმოება მორიგებით.

სასამართლოსა და მოსამართლის როლი უნდა გამყარდეს და ამაღლდეს მორიგებით საქმის წარმოების დასრულების პროცესში. აუცილებელია მორიგების შეთავაზება საკანონმდებლო წესით საქმის წარმოების ყველა ეტაპზე განხორციელდეს საამისოდ დადგენილი მიღწევადი ფორმებითა და საშუალებებით.

საქმის წარმოებაში მიღების ეტაპზევე სრულად და ყოვლისმომცველად უნდა იქნეს შესწავლილი არა მარტო შესაძლებლობა საქმის წარმოების მორიგებით დამთავრებისათვის, არამედ ერთმნიშვნელოვნად უნდა დაკონკრეტდეს მხარეებისათვის შესათავაზებელი სამომრიგებლო წინადადების ფარგლები; მეტი გონივრული დრო, შესაძლებლობა და რე-



სურსი უნდა მიეცეს სასამართლოს, ყველა ღონეს მიმართოს მორიგების მისაღწევად.

მოსამართლე არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ წინადადების შეთავაზებით, არამედ მისი უნარ-ჩვევები და კომპეტენცია მაქსიმალურად უნდა იყოს მიმართული საქმის წარმოების მორიგებით დასრულებისკენ, დიდწილად იმავე ფორმით, რა ფორმითაც მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს საქმის არსებითად განხილვის შემდგომ.

აღნიშნულის მიზნით უნდა ამაღლდეს მოსამართლეთა თვითშეგნება, რომ სასამართლოს უმთავრესი მოვალეობაა არა საქმის განხილვა, არამედ დავის შედეგიანი გადაწყვეტა. სასამართლო ისევე უნდა ეცადოს მორიგებას, როგორც საქმის განხილვით გადაწყვეტილების მიღებას, რადგან ორივე შემთხვევაში (და მორიგებისას უფრო მეტად) მიიღწევა „შედეგობრივი შედეგი“. სასამართლო უნდა იყოს მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის და ამ ნების ფორმირების ხელშემწყობი საშუალება.

კვლევს შედეგად დგინდება მორიგებით საქმის წარმოების დამთავრების სამართლებრივი შედეგები. უპირველეს ყოვლისა, მათი კლასიფიკაცია იმის მიხედვით ყალიბდება, თუ რომელი მხარე იღებს სასურველ შედეგს.

საქმის წარმოების მორიგებით დასრულებისას მხარეთათვის დავა წყდება მხარეთა ნებით და სასურველი შედეგით, რაც, უპირველეს ყოვლისა, მორიგების ნებაყოფლობითი ხასიათიდან გამომდინარეობს; ნებაყოფლობითობა კი სასურველი შედეგის წინაპირობაა. მორიგების შედეგად შესაძლებელია დავის ეკონომიურ პირობებსა და მოკლე ვადებში გადაწყვეტა, რაც, ასევე, კონფლიქტის მოგვარებისა და მოდავე მხარეთა შორის სამართლიანობის აღდგენის პირობაა.

მორიგებით საქმის წარმოების დასრულება არანაკლებ შედეგობრივია სასამართლო სისტემისთვის, რადგან ის არეგულირებს გადატვირთული საქმის წარმოების პროცესს. მორიგება ხანგრძლივი სასამართლო პროცესების თავიდან არიდების, დროის რეგულირების და სასამართლო ნდობის ამაღლების საფუძველი ხდება. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ამაღლებს საზოგადოების, სასამართლოს და, უშუალოდ, მოსამართლეების განწყობას მორიგების, როგორც ნებაყოფლობითი სამართლებრივი შედეგის მქონე მოვლენის მიმართ.

## ნ ა წ ი ლ ი I

### მორიგების სამართლებრივი ასპექტები

#### შესავალი

„სამართალი არ არის თვითმიზანი, არამედ განსაზღვრული მიზნის მიღწევის საშუალება. სამართალი არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მხოლოდ საზოგადოებაში მოქმედებს“.<sup>1</sup>

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სამოქალაქო საქმის წარმოების მორიგებით დამთავრებაა. მორიგება, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებული სირთულეების დაძლევისა და მხარეთა შორის არსებული კონფლიქტების მოგვარების ეფექტური საშუალებაა, ხოლო, მეორე მხრივ, მორიგება სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი და სასამართლო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი მოვლენაა.

სამართლებრივი ურთიერთობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია.

მხარეთა ნება მუდმივად ახალი, მათთვის სასურველი შედეგის მომტანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისაკენაა მიმართული. ისინი აწარმოებენ მოლაპარაკებებს, დებენ გარიგებებს, აწყობენ საქმიან შეხვედრებს, რა დროსაც არსებობს არა „წმინდა“ სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ „საზოგადოებრივი ურთიერთობის მხოლოდ სამართლებრივი რეგულირება“.<sup>2</sup>

აღნიშნულ პროცესში მხარეთა ნება ცვალებადია. მათ ხშირად უჭირთ, წინასწარ განსაზღვრონ ურთიერთობის და ქცევის მასშტაბები, რაც არასასურველ შედეგებთანაა დაკავშირებული. ცვლილებებს, ზოგ შემთხვევაში, სუბიექტური, ხოლო, ზოგ შემთხვევაში, ობიექტური ფაქტორები განაპირობებს.

თავის მხრივ, ობიექტური ფაქტორის არსებობა, გარკვეულ შემთხვევებში, აიძულებს მხარეს, შეცვალოს საკუთარი პოზიცია. აღნიშნულს ორივე მხარისათვის სასრგებლო, თავდაპირველი და მიზანმიმართული შედეგი არ მოაქვს და არსებულ ურთიერთობებში თავს იჩენს კონფლიქტის<sup>3</sup> ნიშნები. ამ მოვლენათა ერთობლიობა მხარეთა შორის არსებულ დავად<sup>4</sup> ყალიბდება.<sup>5</sup>

<sup>1</sup>ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2015, 57.

<sup>2</sup>იხ. ბიჭია მ., სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მეთოდოლოგიური საფუძვლები, „სამართლის ჟურნალი“, №1-2, თბ., 2010, 84.

<sup>3</sup>იხ. ცვეტკოვ ვ. ლ., კონფლიქტის ფსიქოლოგია, თბ., 2015, 210.

<sup>4</sup>1924 წელს, საერთაშორისო სამართლის მუდმივმოქმედი სასამართლოს მიერ „დავა“ განიმარტა როგორც უთანხმოება სამართლის ან ფაქტის ირგვლივ, კონფლიქტი ორი პიროვნების სამართლებრივ შეხედულებებსა და ინტერესებს შორის. *Peters A., International Dispute Settlement: A Network of Cooperational Disputes*, Vol. 14, No.1, 1-34, © Ejil 2003, 3. შემდგომი მითითებით: *Mavrommatis Palestine Concessions Case (1924)*, PCIJ, Ser. A, 2. at 11. See on the existence of a dispute with reference to the Mavrommatis definition, ICJ, *Case Concerning Questions of Interpretation and Application of the 1971 Montreal Convention Arising from the Aerial Incident at Lockerbie, Preliminary Objections (Libyan Arab Jamahiriya v. USA)*, Judgment of 27 February 1998, 37 ILM (1998) 587, at 598, paras 21-38.

<sup>5</sup>იხ. და შეად. ჩაღაძე გ., მედიაცია და კონფლიქტის ფსიქოლოგია. მედიაცია – კონფლიქტის მოგვარება მოლაპარაკების გზით, თბ., 2014, 20-21.

ადამიანთა საზოგადოებას არ შეუძლია წინსვლა და განვითარება ქცევის გარკვეული წესების არსებობისა და მათი დაცვის გარეშე. ადამიანთა ქცევის მოწესრიგების და შედეგების შეუთანხმებლობის გარეშე იქმნება კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც, როგორც წესი, წყდება ძლიერის სასარგებლოდ. კონფლიქტი ქმნის უფლების დროებით განუსაზღვრელობას. ამგვარ ვითარებაში კი მოვალეობა არ სრულდება და უფლება ვერ ხორციელდება.<sup>6</sup> წარმოიშობა ადამიანთა ქცევის რეგულირების აუცილებლობა. ნორმები, რომლებიც არეგულირებს ადამიანთა ქცევას, ადამიანებს შორის ურთიერთობებს, სოციალური ნორმებია. მის ერთ-ერთ სახეს კი სამართლებრივი ნორმები წარმოადგენს.<sup>7</sup>

თუ მხარეები ვერ პოულობენ გამოსავალს, როგორც წესი, დავა სასამართლო წესით განხილვის საგანი ხდება და საქმის წარმოებად ყალიბდება. „უფლების დასაცავად პირის სასამართლოსათვის მიმართვა ანუ დროისა და ფინანსური რესურსების თვალსაზრისით ამ ძვირადღირებული პროცედურისათვის მიმართვა, უკვე თავისთავად გულისხმობს იმას, რომ თვითონ მხარეებმა ვერ შეძლეს მშვიდობიანად მოეგვარებინათ ერთმანეთს შორის წამოჭრილი დავა“.<sup>8</sup> თუმცა, ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარების<sup>9</sup> შესაძლებლობები ჯერ კიდევ არსებობს, რაც დღის წესრიგში აყენებს მორიგების საკითხს.

ადამიანი, თავისი ბუნებით, ნაწილობრივ, მომრიგებელია. საზოგადოების წევრები, გაუცნობიერებლად,<sup>10</sup> მაგრამ გამუდმებით მორიგების პროცესში არიან. შესაძლოა, არც კი იცოდეს პიროვნებამ, რომ, პირველ რიგში, თავის თავთან აწარმოებს მოლაპარაკებებს, ვინიდან წინააღმდეგობრივი მოტივაციები აღაშფოთებს მას და მუდმივად მოლაპარაკების პროცესშია მათ მოსაგვარებლად.<sup>11</sup> ზოგჯერ ეს პროცესი გააზრებული და მიზანმიმართულია, რადგან ამ დროს გაცნობიერებულია, რომ მოლაპარაკება საკუთარი სურვილების განხორციელებისა და სასურველი შედეგით

<sup>6</sup> კონფლიქტი შესაძლოა იყოს დესტრუქციული და კონსტრუქციული. *Menkel-Meadow C., From Legal Dispute to Conflict Resolution and Human Problem Solving: Legal Dispute Resolution in a Multidisciplinary Context*, Georgetown University Law Center, Scholarship@Georgetown law, © 2004 Association of American Law School, 54 J. Legal Educ. 7-29 (2004), 2004, 13. შემდგომი მითითებით: Morton Deutsch, *The Resolution of Conflict: Constructive and Destructive Processes* (New Haven, 1973); Kurt Lewin, *Resolving Social Conflicts* (New York, 1948).

<sup>7</sup> იხ. *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი ვ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 54.

<sup>8</sup> *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 261.

<sup>9</sup> საერთაშორისო ურთიერთობებში, არსებული დავების მორიგებით გადაწყვეტის მიზნით, ყოველთვის მიმართავენ ტერმინს “მშვიდობიანი მორიგება”. *Handbook on the Peaceful Settlement of Disputes between States*, Office of Legal Affairs Codification Division, United Nations, New York, 1992, 9. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მორიგების მიმართ იყენებს ტერმინს „მშვიდობიანი მორიგება“. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი, სუს, თბ., 2013, 121. ასევე გამოიყენება ტერმინი „მეგობრული მორიგება“. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის შერჩეულ განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული, სუს, თბ., 2003, შესავალი.

<sup>10</sup> *Hames D. S., Negotiation, Clothing Disputes, and Making Team Decisions*, University of Nevada, las Vegas, Los Angeles/London/New Delhi/Singapore/Washington DC/, 4. *Peters A., International Dispute Settlement: A Network of Cooperational Disputes*, Vol. 14, No.1, 1-34, ©Ejil 2003, 3.

<sup>11</sup> იხ. *ლემპერერი ა. პ., კოლსონი ო.*, მოლაპარაკების მეთოდები, თბ., 2009, 12.

მიზნის მიღწევის ერთადერთი მართებული გზაა. მოლაპარაკება ადამიანებს შორის განსხვავების დაძლევის ძირითადი საშუალებაა.<sup>12</sup>

მორიგების მოტივაცია<sup>13</sup> არის ადამიანების სურვილი, იცხოვრონ საკუთარი გადაწყვეტილებებით და მიაღწიონ სასურველ მიზნებს. სურვილის მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს მოვლენებისადმი ადამიანთა დამოკიდებულების რადიკალური სხვაობა, მოლაპარაკება კი ამ განსხვავების დაძლევის საშუალებაა.

დავა, როგორც წესი, ხანგრძლივ და სამართლებრივად რთულ პროცესს უკავშირდება,<sup>14</sup> მორიგება კი ის სამართლებრივი მოვლენაა, რომელიც მარტივად და, მხარეთა ნების მაქსიმალური გათვალისწინებით, კანონიერი გზით წყვეტს არსებულ უთანხმოებას. სასამართლოში დავის განხილვა პროცესია, რომელსაც კონკრეტულ სამართლებრივ მოვლენებზე დაფუძნებული დასაწყისი და დასასრული აქვს. კერძოდ, ასეთი პროცესის დასაწყისი სასარჩელო განცხადებაა, ხოლო დასრულების ერთ-ერთი საშუალება<sup>15</sup> – მორიგება.

საქმის მორიგებით დასრულება არანაკლებ მნიშვნელოვანი ფორმაა, ვიდრე საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა. ზოგჯერ კი მორიგება უკეთესი ალტერნატივაა.<sup>16</sup>

„მხარეთა შორის წამოჭრილი დავის მორიგებით დამთავრება ყოველთვის ითვლებოდა, და დღესაც ითვლება, ამ დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად. სწორედ ამიტომ ევალება სასამართლოს მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა მხარეთა მორიგებისათვის, საქმის მშვიდობიანად დამთავრებისათვის“.<sup>17</sup>

დავის მოგვარების ალტერნატიული სისტემები საქართველოში ძველი დროიდანვე არსებობდა<sup>18</sup> და, მათ შორის, მორიგებაც<sup>19</sup> დავის გადაწყვეტის ერთ-ერთ ალტერნატიულ საშუალებად მიიჩნეოდა.<sup>20</sup> თუმცა, არა როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი. ის ხშირად უპირისპირდებოდა ჩვეულებით სამართალს,<sup>21</sup> ვინაიდან შერიგება უმთავრეს ფაქტორს წარ-

<sup>12</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 51.

<sup>13</sup> იხ. იქვე, 8.

<sup>14</sup> მაგ. მოსამართლე სწორი გადაწყვეტილების გამოტანის უზრუნველსაყოფად მინიმუმ ორ სამართლებრივ დასკვნას ამზადებს. იხ. ჭანტურია ლ., ბოელინგი პ., სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 46.

<sup>15</sup> სასამართლო გადაწყვეტილებით და სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. იხ. სსსკ-ის თავი XXIX და თავი XXVII.

<sup>16</sup> იხ. ლიუტრინგჰაუსი პ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007, 133.

<sup>17</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 261. იხ. სსსკ-ის მუხლი 218-ე, ნაწილი 1-ლი, წინადადება 1-ლი.

<sup>18</sup> იხ. დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბ., 2002, 3. იხ. დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2004, 36. იხ. დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ძველ ქართულ სამართალში, თბ., 2002, 4.

<sup>19</sup> სვანეთში, მეფის დროს, სასამართლო მოხელე წელიწადში მხოლოდ ორი თვით მოდიოდა და ცდილობდა მკვლევლობის საქმეთა გამოძიებას, მაგრამ სვანები მანამდე ან სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით რიგდებოდნენ ან საპასუხო მკვლევლობას ჩადიოდნენ. იხ. დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბ., 2002, 3.

<sup>20</sup> იხ. იქვე.

<sup>21</sup> იხ. იქვე.



მოადგენდა.<sup>22</sup> ამ ფუნქციის შესრულება სამედიატორო სასამართლოს<sup>23</sup> დანიშნულება იყო, რათა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავიდან აეცილებინათ შურისძიება და მხარეები მორიგებულიყვნენ.<sup>24</sup>

კერძოდ, „კაცობრიობისთვის ცნობილი სასამართლოების უძველესი ფორმები საქართველოშიც დასტურდება. უპირველეს ყოვლისა ესაა სამედიატორო სასამართლო, რომლებიც ჯერ კიდევ წინასახელმწიფოებრივ სტადიაზე წარმოიშვა. მოდავენი დაუსრულებელ შურისძიებას ამჯობინებდნენ, რომ საქმე მშვიდობიანად მოგვარებულიყო. მედიატორთა მთავარ მიზანს, სწორედ მხარეთა მორიგება წარმოადგენდა. ამიტომ ისინი ცდილობენ ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების მიღებას“.<sup>25</sup> მათ შორის, „სვანური სამედიატორო სასამართლო ქართული სამართლებრივი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. ქართულმა სამართლებრივმა აზროვნებამ შურისძიებას, სისხლის აღების ადათს, დაუპირისპირა მხარეთა მორიგების, ურთიერთმტრობის შეწყვეტის მეტად ქმედითი საშუალება სამედიატორო სასამართლოს სახით“.<sup>26</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სამედიატორო სასამართლო განიხილავდა მხოლოდ სამოქალაქო დავებს (გარდა იშვიათი გამონაკლისისა) და მისი მთავარი ფუნქცია მხარეთა მორიგება იყო. ყურადღებას იქცევს ის მოვლენა, რომ ძირითადად, მედიატორების დანიშვნა ხდებოდა მხარეთა მიერ. საქართველოს მთიან რეგიონებში არსებობდა ასევე არბიტრაჟისა და მედიაციის მსგავსი სხვა ინსტიტუტები, როგორცაა უხუცესთა საბჭოები, ხევისბერები, მახვშები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ სახელმწიფო ხელისუფლებას და სწორედ არბიტრაცია-მედიაციის მეთოდებით აგვარებდნენ დავებს.<sup>27</sup>

მორიგების და მომრიგებლის როლი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა „მსაჯულს“ ეკისრებოდა. იცვლებოდა დავის განმხილველი ორგანოების სახელწოდებები, სტატუსი, ფუნქციები, თუმცა სამართალი ინარჩუნებდა მიზანს - დავა მორიგებით დასრულებულიყო. საინტერესოა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ მოთემე უნდა

<sup>22</sup> იხ. *დავითაშვილი გ.*, სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბ., 2002, 3.

<sup>23</sup> ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ ტერმინი „მედიატორი“ პირველად მხოლოდ 1802 წლის დოკუმენტებში ჩანს. სასამართლო სისტემის გვერდით ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ბჭე-მედიატორთა (შუაკაცთა) სასამართლოს. ბჭეების ძირითადი ფუნქცია მხარეთა მორიგება იყო. იგი იყო ქმედითი ორგანო, რომელიც ზოგჯერ ისეთ დავებს წყვეტდა, რომელსაც სახელმწიფო ვერ აგვარებდა. აღმოსავალეთ საქართველოში, რუსეთთან შეერთების წინ, გამოიყენებოდა ბჭე ანუ მედიატორთა სასამართლო. ბჭეები მხარეების მიერ არჩეული მოსამართლეები იყვნენ, რომლებიც მხოლოდ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით განიხილავდნენ დავებს, მხარეებს შეეძლოთ აერჩიათ ორ-ორი, სამ-სამი ან მეტი ბჭე. ბჭე მედიატორთა სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, თუმცა ეს არ გამორიცხავდა საქმის ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობას. იხ. *დავითაშვილი გ.*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2004, 31-36.

<sup>24</sup> იხ. *დავითაშვილი გ.*, სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბ., 2000, 5.

<sup>25</sup> *დავითაშვილი გ.*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2004, 4.

<sup>26</sup> *დავითაშვილი გ.*, სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბ., 2002, 3.

<sup>27</sup> ეგ. აბლიანი აღნიშნავს, რომ სვანეთში მეფის დროს სასამართლო მოხელე წელიწადში მხოლოდ ორი თვით მოდიოდა და ცდილობდა მკვლელობის საქმეთა გამოძიებას, მაგრამ სვანები მანამდე ან სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით რიგდებოდნენ ან საპასუხო მკვლელობას სჩადიოდნენ. *დავითაშვილი გ.*, სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბ., 2002, 3.

იყოს თემიდან, საზოგადოებიდან არჩეული მოსამართლე, ე.ი. იგი ადგილობრივი, სოფლის მოსამართლეა და სავარაუდოდ – მომრიგებელი.<sup>28</sup>

მორიგების გავლენა სამოქალაქო საქმის წარმოებაზე ერთმნიშვნელოვნად დადებითია როგორც მოდავე მხარეთათვის, აგრეთვე სასამართლოსთვის, რადგან სწორედ სასამართლოსთვისაა ყველაზე უკეთ ცნობილი საქმის წარმოების ის სირთულეები, რომელთა წინაშეც დავის გახილვისას დგას მხარეებიც და სასამართლოც. სწორედ სასამართლოსთვისაა ცნობილი, რამდენად ხანგრძლივი გზა უნდა განვლოს თითოეულმა მხარემ სასურველი გამარჯვების მისაღწევად.

---

<sup>28</sup>იხ. *დავითაშვილი გ.*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2004, 32.

## თავი I. მორიგების ცნება

### 1. რა არის მორიგება

სამართლებრივ ურთიერთობაში გამოიყოფა მატერიალური და იურიდიული შინაარსი. პირველი ფაქტობრივი ურთიერთობაა და წარმოდგენილია წმინდა ფაქტების სახით, მეორე კი სამართლებრივი ურთიერთობის ფორმალური ელემენტია, რომლის საშუალებითაც ფორმალური ურთიერთობა იქნეს სამართლებრივ ფორმას.<sup>29</sup>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი განმარტავს, რომ „პროცესუალურ მორიგებას<sup>30</sup> ორმაგი სამართლებრივი ბუნება აქვს (გაბატონებული შეხედულებით), ვინაიდან იგი ერთდროულად მოიცავს მატერიალურ ხელშეკრულებას (§779-ის გაგებით) და მხარეთა საპროცესო მოქმედებას, რომლითაც ეს უკანასკნელები ასრულებენ დავას, ვინაიდან მორიგება მოიცავს დავის საგანს“.<sup>31</sup>

„სასამართლოში საქმის წარმოებისას დადებული მორიგება არის როგორც ვალდებულებითსამართლებრივი გარიგება,<sup>32</sup> ისე საპროცესო მოქმედება. ვალდებულებითსამართლებრივი თვალსაზრისით მორიგება, როგორც წესი, გამოიწვევს მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ახლებურად ჩამოყალიბებას, ხოლო ის, როგორც საპროცესო მოქმედება – დავის საგანზე საქმის წარმოების შეწყვეტას და უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმებას“.<sup>33</sup>

მორიგების ორმაგი სამართლებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა უკავშირდება საკითხს, რა არის მორიგება, უფლება (მატერიალური) თუ უფლების განხორციელება (პროცესუალური).

იურიდიულ ლიტერატურაში მორიგებასთან დაკავშირებული განმარტებები სხვადასხვაგვარია. ერთი განმარტების მიხედვით, „მორიგება არის სამოქალაქო პროცესში მხარეთა უფლება მორიგებით დაამთავრონ საქმე“.<sup>34</sup> მეორე განმარტებით, „მორიგება სამოქალაქო საქმეთა პროცესში – მხარეთა მიერ სასამართლოსთვის დასამტკიცებლად წარდგენილი ხელშეკრულებაა მათ შორის არსებული სამართლებრივი დავის ლიკვიდაციის

<sup>29</sup> იხ. *ბიკია მ.*, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მეთოდოლოგიური საფუძვლები, „სამართლის ჟურნალი“, №1-2, თბ., 2010, 98. შემდგომი მითითებით: *Savigni F.C.v.SystemdesheutigenRömischenRechts*, I., 1840, 333, <http://ia301539.us.archive.org/2/items/systemdesheutige01saviuoft/systemdesheutige01saviuoft.pdf>, [13.09.2009].

<sup>30</sup> მიზანშეწონილია ვიგულისხმეთ „მორიგებას“ და არა „პროცესუალურ მორიგებას“, ვინაიდან შემდგომ განმარტებულია მისი ორმაგი ბუნება – მატერიალური და პროცესუალური.

<sup>31</sup> *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 577.

<sup>32</sup> სადავო სამართლებრივი ურთიერთობა შესაძლოა იყოს სხვაგვარი სამართლებრივი ურთიერთობაც (მაგ. სანივთო სამართლებრივი). იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 95-96. „ლარენცისეული დეფინიცია“. იხ. *ჭანტურია ლ.*, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 321-322. იხ. *ნაჭყებია ა.*, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014, 112. იხ. საქმე №ას-221-213-2012, 24.07.2012.

<sup>33</sup> *თოთლაძე ლ., გაბრიხიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩანანიძე ე.*, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012, 296.

<sup>34</sup> *შუშანაშვილი ალ.*, იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2000, 178.

შესახებ“.<sup>35</sup> მესამე განმარტებით – სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მორიგება შეთანხმებაა, რომელიც ეფუძნება მხარეთა კომპრომისს, გარკვეულ დათმობას, იმ მიზნით, რომ მეორე მხარემ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება შეძლოს.<sup>36</sup> მეოთხე მიდგომით – მორიგება მხარეთათვის კანონით მინიჭებული უფლებაა თავად გადაწყვიტონ დავის სამართლებრივი ბედი.<sup>37</sup>

არსებობს უფლების ცნების შინაარსის სხვადასხვაგვარი განმარტება, მაგრამ ერთ-ერთი ფართოდ აღიარებული განმარტება ასეთია: „უფლება – ესაა კანონით გათვალისწინებული შესაძლებელი (დასაშვები) ქცევის ზომა. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს, რომელსაც აქვს ესა თუ ის უფლება შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება, შეუძლია ისარგებლოს ამ უფლებით, მაგრამ შეუძლია არ გამოიყენოს იგი. ამრიგად, სამოქალაქო უფლების არსი მდგომარეობს, იმაში რომ ეს უფლება მისი მფლობელის სრულ განკარგულებაშია“.<sup>38</sup> ანუ უფლების განსაზღვრებაში მთავარია მისი გამოყენების, მისით სარგებლობის ფაქტი.

უფლება შეიძლება იყოს ობიექტური და სუბიექტური. ობიექტური უფლება კანონით აღიარებული უფლებაა. სუბიექტურ უფლებას მოიპოვებს კონკრეტული ინდივიდი, ნების გამოვლენის ანდა კანონით განსაზღვრული სხვა გარემოების დადგომის საფუძველზე.<sup>39</sup>

უფლების ცნებას უკავშირდება დისპოზიციურობის პრინციპი.<sup>40</sup> სამოქალაქო სამართალწარმოებაში ესაა „სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და გარანტირებული მხარეთა შესაძლებლობა, თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები“.<sup>41</sup>

უზენაესი სასამართლოს განჩინებაში (შემდ. სუს) მორიგებით საქმის წარმოების დამთავრების შესახებ აღნიშნულია, რომ „საქმის წარმოების მორიგებით დამთავრება მხარეთა უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველია“.<sup>42</sup> ამდენად, სუს-ის განმარტებით, მორიგებით საქმის წარმოების დამთავრება უფლებამოსილებას წარმოადგენს, რომლითაც მხარეები განკარგავენ თავიანთ კანონით მინიჭებულ უფლებას – დაასრულონ საქმე მორიგებით.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში განიმარტება მორიგების, როგორც ცნების სამართლებრივი მნიშვნელობა, შესაძლებელია ითქვას, რომ მორიგება უფლება არ არის. მორიგება სამართლებრივი შესაძლებლობაა, ფაქტია, სამართლებრივი

<sup>35</sup> დანელია ლ., *მესხიშვილი მ.*, იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2006, 150.

<sup>36</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №2ბ/1084-13.

<sup>37</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №ას-531-764-08.

<sup>38</sup> *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 54-55.

<sup>39</sup> იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 76.

<sup>40</sup> იხ. *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი გ., ძლიერიშვილი ზ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 80.

<sup>41</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 16 იანვრის განჩინება საქმეზე: №ას-931-1237-07.

<sup>42</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინება საქმეზე: №ას-778-993-08.



პროცესია, უფრო ზუსტად კი – საპროცესო სამართლებრივი უფლების (მხარის უფლება საქმე მორიგებით დაასრულოს) განკარგვის აქტია საპროცესო სამართლებრივი შედეგით (საქმის წარმოების შეწყვეტა).<sup>43</sup>

ამდენად, არა მორიგება, არამედ მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრება წარმოადგენს მხარეთა უფლებას და, შესაბამისად, დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლენას. მორიგებაზე თანხმობით მხარეები განკარგავენ კანონით მინიჭებულ უფლებას – დაასრულონ საქმე მორიგებით,<sup>44</sup> თავადვე მიიღონ გადაწყვეტილება საქმის მორიგებით დამთავრებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.<sup>45</sup>

## 2. მორიგების ცნების ლექსიკური მნიშვნელობა

### 2.1. მორიგების ცნების ენობრივი გამოხატულება

„სამართალი ცხოვრობს სიტყვაში და სიტყვის მეშვეობით. სამართალი ყალიბდება ენის მეშვეობით. ის რაც არ შეიძლება გამოითქვას, ვერ მოწესრიგდება. სამართლებრივი მოთხოვნა მოცემულია ენობრივი ფორმით და ყველა სადავო სიტუაციაც, ასევე წყდება ენობრივი ფორმით. სამართალი მოცემულია ტექსტის სახით. წერილობითი ფორმა უზრუნველყოფს სამართლის ობიექტივიზაციას, სამართლის თვალსაჩინოებას, სამართლის ნორმების ხელმისაწვდომობას და, საბოლოო ჯამში, მათ თავისუფალ გამოყენებას“.<sup>46</sup>

აუცილებელია მორიგების ცნების მნიშვნელობის დადგენა მისი ლექსიკური განსაზღვრებით დაიწყო. კერძოდ, დადგინდეს მორიგების ცნების ზოგადი და კონკრეტული მნიშვნელობები, მისი ფორმალური და სტრუქტურული ელემენტები სიტყვასიტყვითი შინაარსიდან გამომდინარე, ვინაიდან, საქმის წარმოების პროცესში, მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობის სწორად განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მორიგების ცნება ყოველისმომცველადაა განსაზღვრული.

ნებისმიერი სამართლის ნორმა ენობრივი ფორმით, სიტყვის სახითაა მოცემული.<sup>47</sup> თუ სამართლის ერთიან სისტემაში მოქმედი თითოეული ნორმა არ იქნება ჩამოყალიბებული სწორი, გრამატიკული და შინაარსობრივი ტექსტობრივი ფორმით და, ამასთან, ზუსტად არ იქნება განსაზღვრული მისი ადგილი სამართლის ერთიან სისტემაში, მისი ფუნქციის განხორციელება სამართალშეფარდების პროცესში შეუძლებელი იქნება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ „ნორმის ანალიზი და შეფარდება შეუძლებელია მისი სტრუქტურის ცოდნის გარეშე. ნორმის სტრუქტურის არცოდნა, საბოლოო ჯამში, განაპირობებს შეცდომას ნორმის შეფარდების პროცესში“.<sup>48</sup>

<sup>43</sup> იხ. და შეად. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 85.

<sup>44</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინება საქმეზე: №ას-778-993-08.

<sup>45</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-621-846-08.

<sup>46</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2015, 147.

<sup>47</sup> იხ. იქვე, 65.

<sup>48</sup> იქვე, 66.

ზემოხსენებული მიზნის სრულყოფილად განხორციელებისათვის აუცილებელია მორიგების ცნების ლექსიკური განმარტება, რათა დადგინდეს მისი ენობრივი გამოხატულება<sup>49</sup> და შინაარსი, როგორც დამოუკიდებელი ტექსტის სახით, ისე ნორმაში მოცემულ სხვა ტექსტობრივ გამოხატულებებთან კონტექსტში. კერძოდ, მორიგების შინაარსი უნდა აიხსნას მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით. ამასთან, განხორციელდეს იმ ტერმინების კვლევა, რომლებიც ყველაზე მეტად გამოხატავს მორიგების სამართლებრივ შინაარსს.

სამართლის გამოყენება გულისხმობს ცხოვრებისეული ურთიერთობების სამართლებრივ შეფასებას. ეს კი მიიღწევა სამართლის აბსტრაქტულ ნორმასა და კონკრეტულ ცხოვრებისეულ ფაქტს შორის გასაგები კავშირის დამყარებით.<sup>50</sup> ამ კავშირის უზრუნველყოფა მოითხოვს სამართლის ნორმის სათანადო განმარტებას. „სამართლის ნორმის განმარტება (ინტერპრეტაცია) გულისხმობს მისი შინაარსის გარკვევას ე.ი. იმის დადგენას, თუ რა აზრი ჩააქსოვა მასში კანონმდებელმა“.<sup>51</sup>

## 2.2. მორიგების ცნების თანმდევი ცნებები

მორიგების ცნების ლექსიკური განმარტებისათვის აუცილებელია იმ ტერმინების მნიშვნელობების განსაზღვრა, რომლებიც თავიანთი შინაარსით ყველაზე ახლოს დგას მორიგების ცნებასთან.

მორიგების შინაარსობრივი მნიშვნელობის გამომხატველი არაერთი ცნება მოიპოვება: გარიგება, შეთანხმება<sup>52</sup>, შერიგება, საკითხის გადაჭრა, მოგვარება, დაზავება, თანხმობა, კავშირი, დათმობა. აღნიშნული ტერმინების ერთობლიობა მორიგების ცნების შინაარსობრივი მნიშვნელობის განმსაზღვრელია და ერთი მედლის სხვადასხვა მხარეს წარმოადგენს.

საყურადღებოა მორიგების, როგორც შერიგების მნიშვნელობა. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი პოზიციის თანახმად, მორიგება შერიგება არ არის.<sup>53</sup> ეს არის მხარეთა ქონებრივ ან სხვა უფლე-

<sup>49</sup> იხ. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2015, 13.

<sup>50</sup> იხ. კილურაძე ქ., (რედ.), სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, თბ., 2009, 39.

<sup>51</sup> იხ. ინიკიძე ვ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1998, 171.

<sup>52</sup> შეთანხმება – პროგრესი წინა სიტუაციასთან შედარებით. ვრცლად იხ. ლემპერერი ა. პ., კოლსონი ო., მოლაპარაკების მეთოდები, თბ., 2009, 303. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №28/1084-13.

<sup>53</sup> უძველესი დროიდან, დავის განხილვისას შერიგების ფაქტორი უმთავრესი იყო. „სანამ მედიატორებს ირჩევდნენ და სამედიატორო სასამართლო საქმის განხილვას დაიწყებდა, აუცილებელი იყო მხარეები დათანხმებულიყვნენ სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით შერიგებას. თუ რომელიმე მხარე წინააღმდეგი იქნებოდა, სამედიატორო სასამართლო არც შედგებოდა. სამედიატორო სასამართლოს ძირითადი დანიშნულება სწორედ მხარეთა შერიგებაა, ხოლო მის მიერ განაჩენის გამოტანა და დამნაშავე მხარისათვის კომპრომისის დაკისრება დაპირისპირებული მხარეების მორიგების საწინდარია, რამაც უნდა დააკმაყოფილოს დაზარალებული მხარე და უარი ათქმევინოს მტრობაზე, შურისძიებაზე, ამასთან, დამნაშავე მხარეს თავიდან ააცილოს დაზარალებული მხარის საპასუხო მოქმედება.“ დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბ., 2002, 3. სამედიატორო სასამართლოს დანიშნულება სწორედ ის იყო, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავიდან ყოფილიყო აცილებული შურისძიება და მხარეები მორიგებულიყვნენ ჩვეულებითი სამართლით დადგენილი ქონებრივი საზღაურის დაკისრების საფუძველზე, ე.ი. სამედიატორო სასამართლოს მთავარი ფუნქცია მხარეთა შერიგება იყო. დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბ., 2000, 5.

ბების განხორციელებაზე შეთანხმება, რომლის შესრულება ისევე სავალდებულოა, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებისა.<sup>54</sup> ხოლო, გერმანია და დასავლეთ ქვეყნების კანონმდებლობაში, მედიაციის მკვლევრები აღნიშნავენ, რომ, მედიაცია შერიგებაა.<sup>55</sup> მორიგების შერიგებითი მნიშვნელობა წმინდა სამართლებრივი მოცემულობა არაა. მართალია, მხარეთა ნება ფორმულირდება როგორც სამართლებრივი გარიგება, რომელიც ორმხრივი დათმობის საფუძველზე ურთიერთმავალდებულებულ პირობებს ითვალისწინებს, მაგრამ მორიგების მიზანი არსებითია – სწორედ მხარეთა ორმხრივი და ნებაყოფლობითი შეთანხმება, დავის მოწესრიგებასა და სამომავლო ურთიერთობის რეგულირებაზე, გამოხატავს შერიგებას.

მორიგების შინაარსობრივ მნიშვნელობას გამოხატავს ყველაზე მეტად გავრცელებული ტერმინი „შეთანხმება“,<sup>56</sup> რომელიც გარიგების ანალოგიური მნიშვნელობისაა და, რომელიც თვის თავში გულისხმობს, ასევე, ტერმინს „დარეგულირება“ (ინგ. *settlement*).<sup>57</sup> აღნიშნული ტერმინი მატერიალური და პროცესუალური მნიშვნელობისაა და გულისხმობს საკითხის მოწესრიგებას, მოგვარებას, მოწყობას,<sup>58</sup> შეთანხმებას, რომელიც ასრულებს დავას ან საქმის წარმოებას.<sup>59</sup> ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობით,<sup>60</sup> ეს არის პროცესი, როცა მოდავე მხარეები (როგორც სასამართლო წესით საქმის განხილვისას, ასევე მის გარეშე) აღწევენ შეთანხმებას,<sup>61</sup> ხოლო სხვა მნიშვნელობით აღნიშნული ტერმინი გულისხმობს მოდავე მხარეებს შორის არსებულ კონტრაქტს მორიგებაზე.<sup>62</sup>

მორიგების ცნების განსაზღვრებას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ მორიგება დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმაა<sup>63</sup> და ის ახლოს დგას ამ ფორმაში თავმოყრილი სხვა ფორმების (როგორცაა: მედიაცია, არბიტრაჟი, მოლაპარაკებების წარმოება) გამომხატველ სხვა ტერმინებთან.

<sup>54</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 36.

<sup>55</sup> ვრცლად იხ. *პელმუტ კ., კულმანი ა.*, მედიაცია გერმანიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში, „აკადემიური მაცნე“, „სამართალი“, №3, თბ., 2014, 99. იხ. *ლიუტრინგჰაუსი პ.*, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდის კომპარატიული ანალიზი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007, 133.

<sup>56</sup> ყოფით პირობებში მხარეთა შეთანხმება სწორედ ასე გამოიხატება: შეთანხმდა ანუ მოურიგდა ანუ გაურიგდა. < <http://ena.ge/explanatory-online> >, [19.05.2016].

<sup>57</sup> იხ. *ქოლინი პ.*, ინგლისურ-ქართული იურიდიული განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2004, 529.

<sup>58</sup> <[http://en.wikipedia.org/wiki/Settlement\\_\(litigation\)](http://en.wikipedia.org/wiki/Settlement_(litigation))>, [19.05.2016]. *Garner B. A.*, Black’s Law Dictionary, USA, 2009, 1496.

<sup>59</sup> *Garner B. A.*, Black’s Law Dictionary, USA, 2009, 1496. ამასთან, *Judicial Settlement* სამოქალაქო დავის მორიგებით გადაწყვეტაა იმ მოსამართლის დახმარებით, რომელიც არ არის უფლებამოსილი უარი თქვას დავის საერთო წესით განხილვა-გადაწყვეტაზე. იქვე, 1497.

<sup>60</sup> სხვა განმარტებები იხ. *A Glossary of Terms Used in Payments and Settlement Systems*, Committee on Payment and Settlement Systems, Bank for International Settlements, March 2003, First Edition published January 2001, Devised Edition published July 2001 and March 2003, 45-55.

<sup>61</sup> <<http://dictionary.law.com/Default.aspx?selected=1938>>, [19.05.2016].

<sup>62</sup> <<http://dictionary.law.com/Default.aspx?selected=750>>, [19.05.2016].

<sup>63</sup> ADR, *Ian Ayres., Speidel R. E.*, Studies in Contract Law, USA, 2008, 1097. ვრცლად იხ. და შეად. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 38-39.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული წესი ფართო შინაარსისაა. თუმცა, არსებითი ისაა, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის (ADR)<sup>64</sup> პროცესში პროფესიონალი მესამე პირის მონაწილეობა კონსტიტუციური ნიშნის გამოვლენაა, რაც ADR-ს განასხვავებს ჩვეულებრივი მოლაპარაკებებისგან.<sup>65</sup>

„ზოგიერთი ავტორი ADR უფრო ფართო შინაარსს ანიჭებს და მიიხსენებს, რომ ის მოიცავს მოლაპარაკებების წარმოებას (*Negotiate*), მედიაციას (*Mediation*) და არბიტრაჟს (*Arbitration*). ასევე, ხშირად საუბრობენ ჩამოთვლილი ფორმების სინთეზის საფუძველზე ჩამოყალიბებულ მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე“.<sup>66</sup> ასევე, მასში მოიაზრება *conciliation*,<sup>67</sup> *facilitation*, *fact-finding*, *mini-trials*, *mini-trials*, *the use of ombudsmen* და ნებისმიერი აღნიშნულის კომბინაცია.<sup>68</sup> თითოეულ აღნიშნულ ტერმინს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ:

ტერმინი *Negotiate* – მოლაპარაკების წარმოება, პირობების განხილვა, გარჩევა, მორიგება, შეთანხმება, გარიგება.<sup>69</sup> მარტივი განმარტებით, აღნიშნული ტერმინი გულისხმობს ორ ან მეტ მოდავე პირს შორის დავის მოგვარებას სასამართლო საქმის წარმოების გარეშე.<sup>70</sup> ასევე, მეორე მხარესთან კომუნიკაციას შეთანხმების მიღწევის მიზნით.<sup>71</sup>

ტერმინი *Arbitration* – სამედიატორო სასამართლო, არბიტრაჟი დავის გადაჭრა გარეშე პირის ან პირთა მიერ, რომლებიც არჩეული არიან ორივე მხარის მიერ.<sup>72</sup>

<sup>64</sup>ზოგჯერ ის განიმარტება, როგორც “*Appropriate Dispute Resolution*”. *Shamir Y.*, *Alternative Dispute Resolution Approaches and Their Application*, PCCP Publications, Unesco, 2001-2003, 2.

<sup>65</sup>იხ. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 39.

<sup>66</sup>იქვე, 35. შემდგომი მითითებით: *Friedrich, Fabian, M.*, *Das UNCITRAL – Medollgesetz über die internationale Gandelsschlichtund, Ein Kommentar*, „Shaker“, *Aachen*, 2006, 8. არსებობს ასევე სასამართლოს გარეშე დავის მოგვარების პროცესი ცნობილი როგორც *PDR (Primary Dispute Resolution)*, რომელიც მოიცავს *counselling*, *mediation*, *arbitration*. *Altobelli T.*, *Reflections on Primary Dispute Resoluion*, *Bond Law Review*, 2001, 2.

<sup>67</sup>Making More of Alternative Dispute Resolution, Summary, *Acas Policy Discussion Papers*, No 1, January, 2005. <strategy@acas.org.uk>, 4. *Byrne R.*, *BCL, LLM (NUI), Barrister-at-Law (Director of Research)*, *Hanna D.*, *BCL (NUI), LLM (Cantab)*, *Kehoe H.*, *BCL (Law with French Law) (NUI), LLM (Dub)*, *Solicitor Lyons D.*, *LLB (Dub)*, *LLM (NYU)*, *Murphy T.*, *BCL (Law with French Law) (NUI), LLM (Essex)*, *Barrister-at-Law, O’Grady J.*, *BCL, LLB (NUI), LPC (College of Law)*, *O’Keeffe D.*, *LLB (UL)*, *H Dip Soc Pol (NUI)*, *EMA (EIUC)*, *Whately H.*, *LLB, LLM (Dub) (Legal Researchers)*, *Alternative Dispute Resolution: Mediation and Conciliation*, Law Reform, Report (LRC 09-2010). © COPYRIGHT , Law Reform Commission, FIRST PUBLISHED November 2010, ISSN 1393-3132, 23. იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავება “*conciliation*” და “*mediation*” შორის არ არის იმთავითვე აშკარა. განსხვავება ტერმინების განსხვავებული იურისდიქციის ფარგლებში გამოყენებას უკავშირდება. *Ficks E.*, *Models of General Court-Connected Conciliation and Mediation for Commercial Disputes in Sweden, Australia and Japan*, *ZJAPANR / J.JAPAN.L*, Nr. / No. 25 (2008), 132.

<sup>68</sup>*Miller J. R.*, *Alternative Dispute Resolution (ADR): A Public Procurement Best Practice That has Global Application*, 21-23 September, 2006, 654. *Brownlie I.*, *The Peaceful Settlement of International Disputes in Practice*, *Pace International Law Review*, Volume 7, Issue 2 *Spring 1995* Article 1, April 1995, *Pace University School of Law International Law Review*, Volume 7, 1995, 6.

<sup>69</sup><<http://en.wikipedia.org/wiki/Negotiate>>, [19.05.2016].

<sup>70</sup><<http://www.beyondintractability.org/essay/negotiation/>>, [19.05.2016].

<sup>71</sup>*Garner B. A.*, *Black’s Law Dictionary*, USA, 2009, 1136.

<sup>72</sup>იხ. *ჭიჭინაძე პ.*, ინგლისურ-ქართული იურიდიული განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2004, 41. <<http://www.lingvo-online.ru/en/Translate/en-ru/arbitration>>, [19.05.2016].



ტერმინი *Conciliation* – მოკამათე მხარეების ერთად თავმოყრა მათი მორიგების მიზნით,<sup>73</sup> შემთანხმებელი პროცედურა.<sup>74</sup>

ტერმინი *Transaction* – ორი ან მეტი პირის შეთანხმება (კონსესუსი),<sup>75</sup> რათა თავიდან იქნეს არიდებული ან დასრულებული საქმის წარმოება მათ შორის არსებული ინტერესთა სხვაობის შეთანხმების მიზნით.<sup>76</sup>

ცალკე მსჯელობის საგანია მედიაციისა და მორიგების ტერმინების ურთიერთკავშირი. ტერმინი *Mediation* – მედიაცია<sup>77</sup> გულისხმობს დავის გადაწყვეტას არასამართლებრივი წესით, სადაც მესამე ნეიტრალური პირი ცდილობს მხარეების დახმარებას ორმხრივი და სასურველი გადაწყვეტილების მიღებაში.<sup>78</sup> ტერმინი „მედიაცია“ გულისხმობს მოლაპარაკებების ტექნიკას.<sup>79</sup> გერმანულ ენაში ის ითარგმნება როგორც „მორიგება/შეთანხმება“.<sup>80</sup>

მორიგებისა და შეთანხმების მნიშვნელობას მედიაცია სამართლებრივ განმარტებაში ასახავს. კერძოდ, „მედიაცია არის მხარეთა თავისუფალ ნებაზე დამყარებული პროცედურა, რომლის დროსაც დავის საბოლოო გადაწყვეტის უფლების მქონე მედიატორი სისტემურად უწყობს ხელს მხარეთა შორის კომუნიკაციას, რათა შესაძლებელი გახადოს მოდავეთა პასუხისმგებლობაზე დამყარებული შეთანხმების მიღწევა“.<sup>81</sup>

სამართლის მეკლავრებს და ექსპერტებს წლების განმავლობაში ტერმინები მედიაცია და მორიგება ერთმანეთში ერეოდათ. დღეს მედიაცია და მორიგება ხშირად გამოიყენება ერთმანეთის სანაცვლოდ ერთსა და იმავე პროცესზე საუბრისას. მიუხედავად მცდელობისა, დღეს საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპი ამ ტერმინებს შორის ზღვარის დასადგენად არ არსებობს.<sup>82</sup>

„მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „მედიაცია“ აღიარებულია საერთაშორისო მასშტაბით, ტერმინი „მორიგება“ ყველაზე გავრცელებულია საერთაშორისო დოკუმენტებში. კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანი-

<sup>73</sup> იხ. *ქოლინი პ.*, ინგლისურ-ქართული იურიდიული განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2004, 130. <<http://www.lingvo-online.ru/en/Translate/en-ru/Conciliation>>, [19.05.2016].

<sup>74</sup> <<http://www.lingvo-online.ru/en/Translate/en-ru/Conciliation>>, [19.05.2016].

<sup>75</sup> <<http://thelawdictionary.org/transaction/>>, [19.05.2016].

<sup>76</sup> <<http://legal-dictionary.thefreedictionary.com/Transaction>>, [19.05.2016].

<sup>77</sup> მედიაცია, კონფლიქტების ნებისმიერი სახეობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება (გერმანია). იხ. *ჰელმუტ კ., კულმანი ა.*, მედიაცია გერმანიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში, „აკადემიური მაცნე“, „სამართალი“, №3, თბ., 2014, 100.

<sup>78</sup> *Garner B. A.*, Black’s Law Dictionary, USA, 2009, 1070.

<sup>79</sup> იხ. *ცერცვაძე ვ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 28.

<sup>80</sup> იხ. იქვე, 41-43.

<sup>81</sup> იქვე, 37. შემდგომი მითითებით: *Hopt, Klaus, J./Steffek, Felix*, Mediation: Rechtsvergleich, Regelungsmodelle, Grundsatzprobleme, in: *Hopt, Klaus, J./Steffek, Felix*, Mediation, Rechtsvergleich, Regelungen, „Mohr Siebeck“, Tübingen, 2008, s. 12.

<sup>82</sup> იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 122. შემდგომი მითითებით: ავსტრალიის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული საკონსულტაციო საბჭოს თანახმად (NADRAC) არსებობს მნიშვნელოვანი დაბნეულობა როგორც ავსტრალიაში, ისე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში აღნიშნული ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებით. იხ. NADRAC-ის ძირითადი ტერმინოლოგიის განმარტებითი დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.nadrac.gov.au/agd/www/disputeresolutionhome.nsf/Page/RWP7E251CA256BD100135550?OpenDocument> (უკანასკნელი გამოცემის თარიღი: 19 ოქტომბერი, 2008).

ზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL)<sup>83</sup> მოდელური კანონმდებლობა საერთაშორისო სავაჭრო მორიგების შესახებ (UNCITRAL-ის კანონი მორიგების შესახებ<sup>84</sup>), იყენებს ტერმინს „მორიგება“ ყველა საქმის წარმოების მიმართ, სადაც ნეიტრალური პირი ესმარება მხარებს შეთანხმების მიღწევაში, მათ შორის, მედიაციის პროცესის მიმართ“.<sup>85</sup> „საპირისპიროდ, ტერმინი „მედიაცია“ ყველაზე ხშირად გამოიყენება ამერიკის სამართლებრივ სისტემაში, სადაც ტერმინი „მორიგება“ თითქმის ამოღებულია სარგებლობიდან. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ამერიკის მოდელური აქტი მედიაციის შესახებ“.<sup>86</sup>

ქართულ ენაში არსებული ტერმინი „მორიგება“ ყველაზე ზუსტად გამოხატავს იმ სამართლებრივ მნიშვნელობას და პროცესს, რომელიც ერთობლიობაში ზემოთ დასახელებული ტერმინებით აღინიშნება. კერძოდ, მორიგება მხარეთა შეთანხმებაა სადავო საკითხის გადაჭრის, მოგვარების, მისი მოწესრიგების მიზნით. მას ძალუძს მოიცვას ყველა ზემოხსენებული ტერმინი ისე, რომ თითოეულს საკუთარი შინაარსობრივი დატვირთვა შეუნარჩუნოს. ტერმინი „მორიგება“ უნივერსალური ცნებაა მისი რეალური შინაარსობრივი მნიშვნელობის გამოსახატავად და, ამდენად, იგი ყოველთვის ფართო გაგებით უნდა იქნეს გამოყენებული.

### 3. მორიგების ცნების მატერიალური მნიშვნელობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდ. სსკ) სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით მორიგების ცნებას ორჯერ მიმართავს: პირველი დაკავშირებულია „ვალის არსებობის აღიარებასთან“<sup>87</sup> ხოლო მეორე – „შეცდომა მორიგების საფუძველებში“ მუხლთან.<sup>88</sup>

#### 3.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი

სსკ-ის 341-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „იმ ხელშეკრულების ნამდვილობისთვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმით გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი“.

<sup>83</sup> <<http://www.uncitral.org/uncitral/en/index.html>>, [19.05.2016].

<sup>84</sup> იხ. და შეად. <<http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/conc-rules/conc-rules-e.pdf>>, [19.05.2016].

<sup>85</sup> *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 122. შემდგომი მითითებით: UNCITRAL Conciliation Guide, იხ. ზევით 81, at 7. Diaz & Oretskin, იხ. ზევით 81, at 797.

<sup>86</sup> იქვე, 123. შემდგომი მითითებით: UNIFORM MEDIATION ACT (შეიცვალა 2003 წელს), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.law.upenn.edu/bll/ulc/mediat/2003finaldraft.pdf> (შემდეგში UMA).

<sup>87</sup> სსკ-ის მუხლი 341-ე, ნაწილი მე-2.

<sup>88</sup> სსკ-ის მუხლი 360-ე, ნაწილი 1-ლი. სსკ-ში მორიგების ცნების ადგილთან დაკავშირებით ვრცლად იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 96.

მოცემულ მუხლში, მორიგების ცნება და მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობა არ განიმარტება. ეს არ არის უშუალოდ მორიგებისთვის განკუთვნილი მარეგულირებელი ნორმა. ამ მუხლში მორიგება მხოლოდ ვალის არსებობის აღიარების საშუალებაა ანგარიშსწორების (გადახდის) მსგავსად. ორივე საფუძველი, ანგარიშსწორებაც და მორიგებაც, გამოიყენება ვალის არსებობის აღიარების ფორმის განსასაზღვრად, და არა მორიგების ან თუნდაც ანგარიშსწორების ცნებების განსამარტად.

ამდენად, მორიგების ცნების მნიშვნელობა აღნიშნული მუხლიდან პირდაპირ ვერ განიმარტება. თუმცა, უშუალოდ, იურიდიულ ლიტერატურაში მოცემული აღწერილობის თანახმად, სსკ-ის 341-ე მუხლით განსაზღვრულ სამართალურთიერთობასთან მიმართებით, მორიგების ცნება შემდეგნაირადაა განმარტებულია, რომ „მორიგება, როგორც ცნება, ყოველთვის გულისხმობს იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის არსებობდა გარკვეული უთანხმოება ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე და მხარეებმა ერთმანეთის მიმართ თანხვედრი ნების გამოვლენის<sup>89</sup> საფუძველზე ახალი შეთანხმებით გადაწყვიტეს ის პრობლემა, რომელიც არსებობდა მათ შორის მორიგებამდე და, რაც გახდა კიდევაც მათ შორის მორიგების მიღწევის აუცილებელი წინაპირობა“.<sup>90</sup>

მოცემული მუხლის კონტექსტში მორიგების მნიშვნელობის განმარტება ირიბად, შეიძლება ითქვას, შემოვლითი გზით სხვაგვარადაც შესაძლებელია. ამის შესაძლებლობას ის სამართლებრივი გარემოება იძლევა, რომლის თანახმად, ვალის არსებობის აღიარებას<sup>91</sup> უტოლდება ვალის პატიება,<sup>92</sup> და რომელიც, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპის მიხედვით, გაიგივებულია მორიგებასთან,<sup>93</sup> უფრო ზუსტად კი, მორიგებასთან სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში, რადგან „ვალის პატიების ან მორიგების გზით სოლიდარული მოვალეები სრულად თავისუფლდებიან ვალდებულებებისაგან, თუ ვალის პატიების ან მორიგების შესახებ შეთანხმება ამას ითვალისწინებს“.<sup>94</sup>

### 3.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 360-ე მუხლი

მორიგების ცნებას, მეორედ, სსკ-ი 360-ე მუხლში მოიხსენიებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის დავა ან დაურწმუნებლობა აღმო-

<sup>89</sup> „პირის სურვილს, დადოს გარიგება იურისპრუდენციაში ნების გამოხატვა, ანუ გამოვლენა ეწოდება“. *ჯორბენაძე ს.*, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2011, 191. შემდგომი მითითებით: იხ. Kropholler V. J., BGB, Studienkommentar, 8. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2005, 39.

<sup>90</sup> *ცერცვაძე ლ., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 200.

<sup>91</sup> *თოთლაძე ლ., ვაბრიხიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩხანბიძე ე.*, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012, 197-198.

<sup>92</sup> სსკ-ის მუხლი 448-ე და 449-ე. იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 91-94.

<sup>93</sup> „მორიგებით დასტურდება, რომ ვალის პატიებაზე შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია, არამედ კრედიტორი დაეთანხმა ნაწილობრივ შესრულებას, რის შედეგადაც სხვა მოვალეთა ვალდებულება ძალაში რჩება“. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-1087-1018-2012.

<sup>94</sup> *ბუეკალავა ე., ჭაღიძე თ., ცერცვაძე ა., გვეგენავა დ.*, (რედ.), ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, მუხლი 10:108, თბ., 2014, 67.

იფხვრება ურთიერთდათმობის (მორიგების) გზით, თუ, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ეს მორიგება ემყარება სინამდვილის შეუსაბამო გარემოებებს, და დავა ან დაურწმუნებლობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს, რომ ნამდვილი გარემოებები სცოდნოდათ“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი აზუსტებს, რომ დაურწმუნებლობას უთანაბრდება რაიმე მოთხოვნის განხორციელების საეჭვოობა.

მორიგების ცნების განსაზღვრას არც სსკ-ის 360-ე მუხლი ისახავს მიზნად. თუმცა, ირიბად უფრო ინფორმაციული ხასიათისაა ამ თვალსაზრისით, ვიდრე ზემოთხსენებული სსკ-ის 341-ე მუხლი.

უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 360-ე მუხლი დასათაურებულია, როგორც „შეცდომა მორიგების საფუძვლებში“, რეალურად იგი განსაზღვრავს მორიგების ხელშეკრულების ბათილობის საფუძველს და ის განთავსებულია სახელშეკრულებო სამართლის მეხუთე თავში – „ხელშეკრულებიდან გასვლა“.

ხელშეკრულებიდან გასვლა განიმარტება, როგორც მხარის უფლება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.<sup>95</sup> სსკ-ის 360-ე მუხლის მიზანს კი წარმოადგენს მორიგებითი შეთანხმების ბათილობის განსაზღვრა მორიგების საფუძვლებში შეცდომის არსებობის გამო.<sup>96</sup> მორიგება სამართლებრივი ძალის არმქონეა მხოლოდ მაშინ, როცა საქმის ნამდვილი ვითარების ცოდნის შემთხვევაში თავიდან იქნებოდა აცილებული ისეთი დავა ან გაურკვევლობა, რომელიც უნდა მოგვარდეს მორიგებით.<sup>97</sup>

ამდენად, გაურკვეველია, რა მიზანს ემსახურება მორიგების საფუძვლებში შეცდომის გამო მორიგების ხელშეკრულების ბათილობის განმარტების მოქცევა ხელშეკრულებიდან გასვლის თავში.<sup>98</sup> თუმცა, აღნიშნული სხვა მიზნის რეგულირების საგანია და მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ რიტორიკული კითხვით უნდა შემოიფარგლოს.

რაც შეეხება უშუალოდ აღნიშნულ მუხლში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობას და მიზანს, აღნიშნული მუხლი მოიცავს რამდენიმე ინფორმაციულ ტერმინს, რომლებიც მორიგების ცნების და მნიშვნელობის დადგენას უწყობს ხელს. კერძოდ, „დავა“, „დაურწმუნებლობა“, „აღმოფხვრა“, „ურთიერთდათმობა“, და თავად „მორიგება“.

ტერმინები „დავა“ და „დაურწმუნებლობა“ მხარეთა შორის არსებული კონფლიქტის გამომხატველი ცნებებია, „აღმოფხვრა“<sup>99</sup> და „ურთიერთდათმობა“ კი ამ კონფლიქტის გადაჭრის გზები და საშუალებებია. ამდენად, თუ არსებული ტერმინები სწორი გრამატიკული თანმიმდევრობით დალაგდება, მივიღებთ მორიგების ცნებას, რომ მორიგება არის, მხარეთა ურთიერთდათმობის გზით, დავის ან დაურწმუნებლობის აღმოფხვრა.

<sup>95</sup> იხ. ჭანტურია ლ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, თბ., 2001, 230.

<sup>96</sup> იხ. ჭანტურია ლ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, თბ., 2001, 263-265.

<sup>97</sup> იხ. კროპილერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 577.

<sup>98</sup> ვრცლად იხ. ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 97.

<sup>99</sup> „მორიგება, პირველ რიგში, უთანხმოების, გაუგებრობის აღმოფხვრას, სასამართლო წესით დავის თავიდან აცილებას ემსახურება“. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №23/1084-13.



სსკ-ის 360-ე მუხლი მორიგებასთან ერთად, იმავე სამართლებრივი მნიშვნელობის გამოსახატავად „ურთიერთდათმობის“<sup>100</sup> ტერმინს იყენებს. კერძოდ, „ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის დავა ან დაურწმუნებლობა<sup>101</sup> აღმოიფხვრება ურთიერთდათმობის (მორიგების) გზით“.<sup>102</sup>

საზგადასმელია, რომ ნორმა „ურთიერთდათმობის“ ცნებას საკანონმდებლო უპირატესობას ანიჭებს და ტერმინს „მორიგება“ ფრჩხილებით გამოყოფს. თუმცა, მხოლოდ ამ კონკრეტულ კონტექსტში. სხვა შემთხვევებში (მათ შორის, ამავე მუხლის შემდგომ ტექსტში) კვლავ მორიგების ტერმინს მიმართავს.

სამართლებრივი არსი „მორიგებისა“ და „ურთიერთდათმობის“ ტერმინებს შორის იგივეობრივია. უფრო მეტიც, „ურთიერთდათმობა“ სხვა სამართლებრივ კომპონენტებთან ერთად მორიგების მიღწევის აუცილებელ და უპირობო საშუალებას წარმოადგენს. ამდენად, სსკ-ის მიერ აღიარებული ტერმინი „ურთიერთდათმობა“, თავად მორიგების ცნების შემადგენელი ნაწილია.

ის ფაქტი, რომ სსკ, კონკრეტულ კონტექსტში, უპირატესობას ტერმინს „ურთიერთდათმობას“ ანიჭებს, სამოქალაქო სამართლის მატერიალური ხასიათიდან გამომდინარეობს.

მორიგების ცნების მატერიალური მნიშვნელობა ისაა, რომ სსკ განსაზღვრავს საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის წესს იმ ეტაპზე, როცა ურთიერთობა ჯერ კიდევ არაა სასამართლო განხილვის საგნად ქცეული. ტერმინი „ურთიერთდათმობა“ მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობის შედარებით „მსუბუქი“ გამოხატულებაა. „ურთიერთდათმობა“ შესაძლებელია დავის საწყის ეტაპზე. ამაზე მიუთითებს, ასევე, დავის გადაჭრის მეთოდად გამოყენებული ტერმინი „აღმოფხვრა“.<sup>103</sup> ხოლო ტერმინის „მორიგება“ გამოყენება, რომელსაც სსსკ მუდმივ რეჟიმში მიმართავს, სწორედ მხოლოდ დავის სასამართლო წესით გადაწყვეტისას არის მიზანშეწონილი.<sup>104</sup>

<sup>100</sup> *Mutual Concession*. შემდგომი მითითებით ტერმინებზე: *Conciliation, Compromise*, <<http://legal-dictionary.thefreedictionary.com/mutual+concession>>, [19.05.2016].

<sup>101</sup> ასევე გამოიყენება ტერმინი „ბუნდოვანება“. იხ. *ჭანტურია ლ., ჭანტურია ლ., ზოდუ ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, თბ., 2001, 263.

<sup>102</sup> სსკ-ი არ განმარტავს ტერმინს „მორიგების გზა“, თუმცა, მოცემულ ტერმინში უნდა იგულისხმებოდეს ყველა ის სამართლებრივი და არასამართლებრივი, სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორები, რომელიც მორიგების ხელშეწყობი გარემოებებია.

<sup>103</sup> ტერმინი „აღმოფხვრა“ დავის შედარებით მსუბუქ, არასასამართლო წესით გადაწყვეტის მეთოდზე მიუთითებს.

<sup>104</sup> აზრთა დიდი სხვადასხვაობა ასევე ტერმინებს შორის – „კონფლიქტი“ და „დავა“. აღნიშნული ტერმინების მნიშვნელობა მრავალფეროვანია. მას, ზოგიერთი ავტორი, სინონიმებადაც კი მიიჩნევს და პარალელს ავლებს სამართლებრივი დავისა და კონფლიქტის მნიშვნელობებს შორის. სასამართლო არ განასხვავებს ამ ტერმინებს. კონფლიქტოლოგები კი ხშირად ხედავენ ამ ორ ტერმინს შორის სხვაობას. ტერმინი „კონფლიქტი“ გამოიყენება ორ ან მეტ პირს შორის არსებული დავის განმარტებისთვის, მაშინ, როცა ტერმინი „დავა“ მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს „სამართლებრივი კონფლიქტის“ აღსანიშნავად. ამ მიდგომით სასამართლო წყვეტს დავას და არა კონფლიქტს, რომელიც საფუძვლად უდევს ამ დავას. შეად. *Ervasti K., Conflicts Before the Courts and Court-annexed Mediation in Finland, Scandinavian Studies In Law*, © 1999-2012, 191. *See. e.g. Abel, Richard L., A Comparative Theory of Dispute Institutions in Society, Law & Society Review* 1974, p. 227, Aubert, Wilhelm, *Retten sociale funksjon*, Oslo 1976, p. 172, Sandole, Dennis J. D., *Paradigms, Theories, and Metaphors in Conflict and Conflict Resolution: Coherence or Confusion?* in *Conflict Resolution Theory and Practice. Integration and Application*. (eds. D.J.D. Sandole and Hugo van der Merwe). Manchester

სსკ-ის 360-ე მუხლზე მსჯელობისას აღსანიშნავია, რომ „მართალია, აღნიშნული მუხლი ვალდებულებითი სამართლის თავშია მოცემული, თუმცა, იგი გამოიყენება მიუხედავად მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებისა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შორის საოჯახო,<sup>105</sup> მემკვიდრეობითი, თუ სხვა სამართალურთიერთობის ფარგლებში<sup>106</sup> წარმოშობილი დავა ან დაურწმუნებლობა შეიძლება აღმოიფხვრას ურთიერთდათმობის გზით. მითითებული ურთიერთდათმობა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს კონსტიტუციური ან დეკლარირებული ხასიათის“.<sup>107</sup>

### 3.3. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §779

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი დამოუკიდებელ, 21-ე, კარს უთმობს მორიგებას<sup>108</sup> და მიზნად ისახავს მორიგების ცნების და მორიგების საფუძვლებში შეცდომის განმარტებას. კერძოდ, „ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა ან გაურკვეველობა აღმოიფხვრება ურთიერთდათმობის გზით (მორიგება), სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე საფუძვლად გამოყენებული ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება სინამდვილეს და დავა ან გაურკვეველობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს, რომ საქმის ნამდვილი გარემოებები სცოდნოდათ (§779 (1))“.<sup>109</sup>

გერმანული და ქართული განმარტებები, თითქმის იდენტურია. განსხვავება მხოლოდ ერთია. გერმანული ნორმის განმარტებაში ნახსენებია „...სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა...“ ანუ მორიგება დაკავშირებულია კონკრეტული სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომლის მორიგებით დასრულებაც წარმოადგენს მხარეთა მიზანს.

ამდენად, სსკ-ის 360-ე მუხლისა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 21-ე კარის განმარტებები, მორიგების ცნებას განმარტავს, თუმცა, ირიბად და არა დამოუკიდებელი ცნების სახით. კერძოდ, გერმანიის სა-

1993, p. 7, Burgess, Heidi & Burgess, Guy M.: *Encyclopedia of Conflict Resolution*, Santa Barbara, California 1997, p. 74-75. იურიდიულ ლიტერატურაში „დავა“ ასევე განიმარტება, როგორც გადაუჭრელი კონფლიქტი. *Byrne R., BCL, LLM (NUI) (Director of Research), Clancy Á., BCL, LLM (NUI), Flaherty P., BCL, LLM (NUI), Diop sa GH (NUI), Leane E., LLB, LLM (NUI), Ni Chaoimh G., BCL, LLM (NUI), Ni Dhrisceoil V., BCL (Dlí agus Gaeilge), LLM (NUI), O'Grady J., BCL, LLB (NUI), LPC (College of Law), O'Mahony C., BA, LLB (NUI), LLM (Lond), LLM (NUI), Staunton C., BCL, LLM (NUI), Diop sa GH (NUI) (Legal Researchers), Barrister-at-Law, Alternative Dispute Resolution, Consultation Paper, Law Reform, (LRC CP 50-2008) ©Copyright Law Reform Commission, First Published July 2008, ISSM 1393-3140, 9.*

<sup>105</sup> *Starnes H. E., Finman S. E., The Court's Role in Settlement Negotiations, Published in Family Advocate, Vol. 37, No. 3, (Winter 2015) p. 30-35. © 2015 by the American Bar Association.*

<sup>106</sup> *Metzloff T. B., Alternative Dispute Resolution Strategies in Medical Malpractice, Comment, Aliaska Law Review, 1992. Priscoll J.D., Overview of Alternative Dispute Resolution (ADR), A Handbook for Corps Managers, Us Army Corps of Engineers® Pamphlet #5 Alternative Dispute Resolution Series, July 1996.*

<sup>107</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №2ბ/1084-13.

<sup>108</sup> სხვა მუხლები, რომელიც მორიგებას ირიბად უკავშირდება, მოცემულია სხვადასხვა თავებში.

<sup>109</sup> *კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 576.*

მოქალაქო კოდექსის 779-ე პარაგრაფში საუბარია იმაზე, თუ რა ფაქტორივი მდგომარეობის საფუძვლად არსებობისას ჩაითვლება ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის არმქონედ; და მხოლოდ ჩართული წინადადების სახით არის მოცემული ასეთი სამართლებრივი ძალის არმქონე ხელშეკრულების ანუ მორიგების განმარტება – „ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა ან გაურკვეველობა აღმოიფხვრება ურთიერთდათმობის გზით (მორიგება)“.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსით მოცემული განმარტების თანახმად, მორიგება ურთიერთდათმობაა, ხოლო მორიგების ობიექტი დავა ან გაურკვეველობა. ამის შემდგომ, ამავე პარაგრაფის მეორე პუნქტი, ადგენს მორიგების ობიექტს – ესაა უფლების განხორციელების საეჭვოობა. კერძოდ, სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით გაურკვეველობას უთანაბრდება ისეთი შემთხვევა, როდესაც მოთხოვნის უფლების განხორციელება საეჭვოა (§779 (2)).<sup>110</sup>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსით, მორიგების ცნებას სახელშეკრულებო განმარტებაც აქვს, რომლის თანახმად, „მორიგება არის საკონსტატაციო ხელშეკრულება,<sup>111</sup> რომლითაც მხარეები აღწევენ სამართლებრივ მშვიდობასა<sup>112</sup> და უსაფრთხოებას და, რომელშიც ისინი ადგენენ თავიანთ ორმხრივ უფლებებსა და ვალდებულებებს არსებული ან არარსებულად მიჩნეული სამართლებრივი ურთიერთობიდან. არსებობს თუ არა მათ შორის დავა ან გაურკვეველობა, უნდა გადაწყდეს მხარეთა სუბიექტური შეხედულებიდან გამომდინარე“ (კარი 21-ე §779 კომენტარი, მიზანი და წინაპირობა).<sup>113</sup>

აღნიშნული მუხლი არსებითად ინფორმაციული ხასიათისაა და ადგენს, რომ მორიგება ხელშეკრულებაა. მხარეები ადგენენ თავიანთ ორმხრივ უფლებებსა და ვალდებულებებს. აღნიშნული უფლება-მოვალეობები არსებულად ან არარსებულად მიჩნეული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს, მორიგების მიზანი კი სამართლებრივი მშვიდობის და უსაფრთხოების მიღწევაა.

სამართლებრივი მშვიდობის აღდგენის გარდა, მორიგების მიზანია დაეხმაროს მოდავე მხარეებს „საერთო ენის“ პოვნასა და ელემენტარულ ურთიერთგაგებაში.<sup>114</sup> ურთიერთგაგება აუცილებელი კომპონენტია მოლაპარაკებების წარმოებისას, ვინაიდან ის უზრუნველყოფს ორმხრივი შეთანხმების მიღწევას.<sup>115</sup> მოლაპარაკების მხარეებს შორის ურთიერთგაგების ფაქტორი მიუთითებს მათ მზაობაზე, ითანამშრომლონ, გაცვალონ

<sup>110</sup> იხ. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 576.

<sup>111</sup> <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=20483>>, [19.05.2016].

<sup>112</sup> *Issacharoff S., Klonoff R. H.*, Public Value of Settlement, *Fordham Law Review*, 2009-2010, 1190.

<sup>113</sup> იხ. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 76.

<sup>114</sup> იხ. *ჩახანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ.*, კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013, 8.

<sup>115</sup> შეთანხმების მიღწევა ასევე გულისხმობს გარკვეული გარემოებების თავიდან აცილებასაც. *Berghoff E. A., Fieweger M. J., Linguanti T. V. M., Morkin M. L., Vigil A. C., (Editorial Board), Williams P., (Executive Director, PILPG) Stewart M., (Senior Peace Fellow, PILPG)*, *The International Negotiations Handbook, Success through Preparation, Strategy, and Planning*, A Joint Project from Baker & McKenzie and The Public International Law & Policy Group, 2007, 6.

აუცილებელი ინფორმაცია,<sup>116</sup> წამოაყენონ ნაკლები პრეტენზიები და შექარა და, ამასთანავე, შეამცირონ გამოუვალი მდგომარეობის არსებობის რისკები.<sup>117</sup>

#### 4. მორიგების ცნების პროცესუალური მნიშვნელობა

##### 4.1. მორიგების ცნება დისპოზიციურობის პრინციპში

სსკ-ისგან განსხვავებით, სსსკ მორიგების აღსანიშნავად მხოლოდ ერთ ტერმინს, თავად „მორიგებას“ იყენებს. ამის შემდგომ, საპროცესო კანონმდებლობა მორიგებასთან შინაარსობრივად დაკავშირებულ სხვა კომპლექსურ ტერმინებსაც მიმართავს კონკრეტული სამართლებრივი მდგომარეობების აღსანიშნავად, კერძოდ: მორიგების აქტი,<sup>118</sup> მორიგების დამტკიცება,<sup>119</sup> მორიგების პირობების დამტკიცება,<sup>120</sup> მორიგების პირობები<sup>121</sup> და ა.შ.<sup>122</sup> აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 83-ე მუხლი მორიგების ანალოგიური მნიშვნელობით ტერმინს – „წარადგინონ მორიგების აქტი“ – იყენებს, ანუ ასეთი ფორმით გამოხატავს ტერმინს „მორიგდნენ“.

პირველად, ტერმინი „მორიგება“ დისპოზიციურობის პრინციპს უკავშირდება. „მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ“.<sup>123</sup> „მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი“.<sup>124</sup>

„დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში, რომელიც სამოქალაქო მატერიალური სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის – ნების ავტონომიის სრული ანარეკლია, ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, განკარგონ თავიანთი არამართო მატერიალური, არამედ საპროცესო უფლებები. დისპოზიციურობის პრინციპზეა აგებული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, ამ პრინციპითაა განმსჭვალული მისი ყოველი ნორმა“.<sup>125</sup>

ამდენად, კანონმდებელი პირველივე მცდელობას, მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობა წარმოაჩინოს, სწორედ დისპოზიციურობის პრინციპის საშუალებით ახორციელებს. თუმცა, სსსკ მორიგების ცნების დამოუკიდებელ განმარტებას შემდგომშიც არ იძლევა.

<sup>116</sup>Yong K. S., Travis H. P., Oral Communication, Skills, Choices, and Consequences, Long Grove, Illion, 2012, 88.

<sup>117</sup>Nadler J., Rapport in Negotiation and Conflict Resolution, Marquette law Review, 2003-2004, 875 .

<sup>118</sup>სსსკ-ის მუხლი 83-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>119</sup>სსსკ-ის მუხლი 186-ე, ნაწილი „ბ“.

<sup>120</sup>სსსკ-ის მუხლი 186-ე, ნაწილი „ბ<sup>2</sup>“.

<sup>121</sup>სსსკ-ის მუხლი 208-ე.

<sup>122</sup>სსსკ-ის მუხლები: 186-ე, 208-ე 217-ე, 218-ე, 83-ე.

<sup>123</sup>სსსკ-ის მუხლი მე-3, ნაწილი 1-ლი.

<sup>124</sup>სსსკ-ის მუხლი მე-3, ნაწილი მე-2.

<sup>125</sup>ლილეა შვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 54.



## 4.2. მორიგების ცნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში

დისპოზიციურობის პრინციპის შემდგომ მორიგების ცნებას საპროცესო კოდექსი არაერთ ნორმაში მოიხსენიებს. თუმცა, მათგან მხოლოდ ერთი, სსსკ-ის 218-ე მუხლი, გამოხატავს უშუალოდ მორიგების მიზანს და, შესაბამისად, აღნიშნული მუხლი წარმოადგენს ამ მიზნით შექმნილ ნორმას. ყველა სხვა შემთხვევა კი სსსკ არაპირდაპირ და ირიბად არეგულირებს მორიგებასთან დაკავშირებულ საკითხებს სხვა ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების განმარტებით.

სსსკ-ში „მორიგების“ ტერმინით სარგებლობის მიზანშეწონილობას მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობა განსაზღვრავს. მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობის არსი ისაა, რომ სამოქალაქო საქმის წარმოების დროს მხარეთა შორის არსებული დავა სასამართლო მსჯელობისა და განხილვის საგანია. შესაბამისად, მორიგება ხორციელდება სასამართლო დავის საგანზე.

სსსკ-ში არსებული ტერმინი „მორიგება“ უფრო ზუსტად თავის დანიშნულებას ტერმინით „სასამართლოსმიერი მორიგება“ გამოხატავს. მართალია, ამ ტერმინს სსსკ არ მიმართავს, მაგრამ მოიაზრებს, მორიგების მნიშვნელობიდან გამომდინარე. სასამართლოსმიერი მორიგების ცნება გულისხმობს მოდავე მხარეების მიერ, მათი თავისუფალი ნების უპირატესი გათვალისწინებით, ურთიერთდათმობისა და მოლაპარაკების გზით, სასამართლო წესით არსებული დავის მოგვარებას, რომელიც სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესის შეწყვეტით გამოხატება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ნორმების 62-ე ნორმა ადგენს, რომ „განცხადების მიღებულად გამოცხადების შემდეგ, პალატის ან მისი თავმჯდომარის ინსტრუქციების შესაბამისად მოქმედი რეგისტრატორი უკავშირდება მხარეებს კონვენციის 38-ე მუხლის პირველი (b) პარაგრაფით გათვალისწინებული პროცედურით საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით“ (ნორმა 62. ნაწილი 1). აქვე ხაზგასმით აღნიშნულია, რომ პალატამ უნდა მიიღოს ასეთი მორიგების ხელშეწყობისათვის აუცილებელი ყველა შესაფერისი ზომა.

საინტერესო და საგულისხმოა, რომ, სსსკ-ისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ნორმები მორიგების აღსანიშნავად იყენებს ტერმინს „მეგობრული მოგვარება“. აქვე აღსანიშნავია, რომ ნორმები ითვალისწინებს ტერმინს „დათმობა“ და, ასევე, მასთან ათანაბრებს ტერმინს – „შეთავაზება“, როგორც პირობითად კეთილი ნების გამოხატულება (ნორმა 62. ნაწილი 2),<sup>126</sup> რასაც ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი სივრცე არ იცნობს და მორიგების აღსანიშნავად მხოლოდ ერთ ტერმინს – „მორიგებას“ მიმართავს.

პროცესუალური თვალსაზრისით, ერთ-ერთი განმარტების მიხედვით, მორიგება არის მხარეთა შეთანხმება. „მხარეთა მორიგება არის სასამართლოში საქმის წარმოების დროს მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელე და მოპასუხე ურთიერთდათმობის გზით ახლებურად განსაზღვრავენ თავიანთ სამოქალაქო უფლებებსა და მოვა-

<sup>126</sup> იხ. სესიაშვილი ი., მენაღარიშვილი მ., (რედ.), სამართლიანი სასამართლოს უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს ნორმები, თბ., 2011, 85.

ლებებს, რომელთა საფუძველზეც წყვეტენ თავიანთ დავას სასამართლოში“.<sup>127</sup>

აღნიშნული განმარტება საგულისხმოა იმ მხრივ, რომ ის აქცენტს აკეთებს ორ ძირითად გარემოებაზე: პირველი, რომ მორიგება ხელშეკრულებაა და, მეორე, რომ მის საფუძველზე მხარეები წყვეტენ დავას სასამართლოში. ამ განმარტებით, ხელშეკრულება საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია. ამდენად, სსსკ-ში გამოყენებული ტერმინი „მორიგება“ აღნიშნავს ხელშეკრულება არის თუ არა მორიგება და, საბოლოოდ, სწორედ ეს ხელშეკრულება ხდება თუ არა საქმის წარმოების მორიგებით დასრულების საფუძველი.

გამომდინარე იქიდან, რომ მორიგება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმებაა, ის გარიგება ანუ ხელშეკრულებაა. მორიგებაში ასახული მხარეთა ნება იგივე გარიგებაა.<sup>128</sup> მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, მორიგების ცნება რა კონტექსტშია გამოიყენებული სსსკ-ის თითოეულ ნორმაში, თვალსაჩინო გახდება, რომ მორიგება მოქმედებების ერთობლიობაა, ერთგვარი პროცესია, რომელიც, რა თქმა უნდა, ხელშეკრულებასაც მოიაზრებს (რომელიც, მხარეთა ნების შეთანხმების საფუძველზე, უშუალოდ ფორმდება მორიგების აქტის, როგორც გარიგების სახით).

ამდენად, სსსკ-ში გამოყენებული ტერმინი „მორიგება“ მხოლოდ ხელშეკრულების მნიშვნელობით არ გამოიყენება, ის სამართლებრივი პროცესია, რომელიც მხარეთა მიერ შემუშავებული მორიგების აქტის (ხელშეკრულების) საფუძველზე წყვეტს სამოქალაქო საქმის წარმოებას.

<sup>127</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 112.

<sup>128</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №23/2436-09.

## თავი II. მორიგების ადგილი

საზოგადოებრივი ურთიერთობები სოციალური ნორმებით რეგულირდება. „სოციალური ნორმა აწესრიგებს ურთიერთობას ინდივიდებს, ასევე ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის. სოციალური ნორმა შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესია, რომლის დაცვაც უზრუნველყოფილია სათანადო სანქციით“.<sup>129</sup>

სამოქალაქო საქმის წარმოების მორიგებით დასრულების მარეგულირებელი ნორმები სამართლის ნორმებია და ისინიც (სხვათა მსგავსად) სოციალური ნორმების ერთ-ერთი კატეგორიაა.

თითოეულ ნორმას მისთვის განსაზღვრული ადგილი უჭირავს სამართლის ერთიან სისტემაში.<sup>130</sup> სამოქალაქო საპროცესო სამართლის სისტემა ერთმანეთთან თანმიმდევრულად დაკავშირებული ნორმების ერთობლიობაა, რომელიც განპირობებულია იმ ურთიერთობათა თავისებურებებითა და ხასიათით, რომლებსაც ეს ნორმები არეგულირებს.<sup>131</sup>

სსსკ-ის ნორმები იყოფა სამ კატეგორიად (ჯგუფად): ნორმები, რომლებსაც პროცესის ყველა სტადიისთვის აქვს მნიშვნელობა, ანუ ზოგადი დებულებები; ნორმები, რომლებიც აწესრიგებს საქმის წარმოებას პირველი ინსტანციის სასამართლოში; ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესს.<sup>132</sup> შესაბამისად, აღნიშნულ კატეგორიებშია თავმოყრილი მორიგების მარეგულირებელი ნორმებიც.

### 1. საპროცესო ნორმათა პირველი კატეგორია

სსსკ-ის ერთიან სისტემაში, მორიგებასთან დაკავშირებული ნორმები, სისტემურად არ არის განსაზღვრული. ისინი განზოგადებულადაა წარმოდგენილი სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესთან დაკავშირებულ სახვადასხვა ძირითად ნორმებთან (საკითხებთან) მიმართებით.

თავად მორიგებით საქმის წარმოების პროცესის მარეგულირებელი უშუალო ნორმა სსსკ-ის 218-ე მუხლია, რომელიც განსაზღვრავს მოქმედებებს, რომელსაც მოსამართლე ასრულებს მორიგების მიზნით.

მორიგების პროცესის მარეგულირებელი ყველა სხვა ნორმა ძირითადი მნიშვნელობის არაა, არამედ ისინი დადგენილია სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის მარეგულირებელი სხვა ნორმების პარალელურად.

კერძოდ, მორიგების მარეგულირებელი ნორმები გვხვდება სსსკ-ის შემდეგ მუხლებში: სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯების განაწილების წესში,<sup>133</sup> მხარეთა საპროცესო უფლებების განმსაზღვრელ მუხლში, რომელიც ადგენს, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით და, ვრცელ ჩამონათვალს შორის, ასევე მოხსენიებულია, მხარეების უფლება – წარადგინონ

<sup>129</sup> ნუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2015, 65.

<sup>130</sup> იხ. იქვე, 258.

<sup>131</sup> იხ. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 40.

<sup>132</sup> იხ. იქვე.

<sup>133</sup> სსსკ-ის მუხლი 54-ე, ნაწილი მე-2.

მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე,<sup>134</sup> წარმომდგენლობით უფლებამოსილების ნაწილში, სადაც გამონაკლისს შორის არის მორიგების უფლების გამოყენება, რაზეც წარმომადგენლის უფლებამოსილება მითითებული გამონაკლისისთვის საჭიროებს მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურ აღნიშვნას.<sup>135</sup>

სამართლის ნორმათა ზემოთ ხსენებული სამი კატეგორიიდან მხოლოდ ამით შემოიფარგლება საპროცესო ნორმების პირველ კატეგორიაში – ზოგად დებულებებში – მორიგების მარეგულირებელი ნორმების ადგილი.

## 2. საპროცესო ნორმათა მეორე კატეგორია

საპროცესო ნორმათა მეორე კატეგორიის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს საქმის წარმოებას პირველი ინსტანციის სასამართლოში, მორიგების მარეგულირებელ ნორმებს ადგილი განუსაზღვრა სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს შორის.

კერძოდ, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ არსებობს სასამართლოს განჩინება მხარეთა მორიგების დამტკიცების თაობაზე.<sup>136</sup>

სსსკ-ის 199<sup>1</sup>-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლო გადაწყვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების წესს და ადგენს, რომ, მხარეთა მორიგების შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

მორიგებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი მუხლები ასახულია სსსკ-ის 205-ე, 208-ე, 217-ე და 218-ე მუხლებში. აღნიშნული მუხლები ითვალისწინებს საქმის მომზადებას სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად<sup>137</sup> და სასამართლოს მთავარ სხდომას.<sup>138</sup> აღნიშნული მუხლები შინაარსობრივად თანმიმდევრული და ლოგიკურად დაკავშირებული მუხლებია. მათი რეგულირების სფერო და მიზანი სსსკ-ში მათთვის მიკუთვნებულ ადგილს ემთხვევა.

კერძოდ, „თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალა მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოსამართლე უფლებამოსილია, მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის ვადაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა ან მხარეთა სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია,<sup>139</sup> რის

<sup>134</sup>სსსკ-ის მუხლი 83-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>135</sup>სსსკ-ის მუხლი 98-ე, ნაწილი 1-ლი. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: №ას-186-175-2014.

<sup>136</sup>სსსკ-ის მუხლი 186-ე, ნაწილი 1-ლი, ქვეპუნქტი „ბ“.

<sup>137</sup>სსსკ-ის თავი XXIV.

<sup>138</sup>სსსკ-ის თავი XXV.

<sup>139</sup>„თათბირი მორიგებასთან დაკავშირებით – ეს მეთოდი თავდაპირველად გამოყენებული იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში და მოგვიანებით ფართო აღიარება ჰპოვა სხვა ქვეყნებშიც. მორიგებასთან დაკავშირებული თათბირის დროს მოსამართლე ან სასამართლოს სისტემასთან დაკავშირებული მაგისტრანტი ახორციელებს არაოფიციალურ, დამხმარე სახის მედიაციას, სადაც ის ცდილობს განსაზღვროს შესაძლებელია თუ არა მორიგება. ეს ყოველთვის სასამართლოსთან დაკავშირებული პროცედურაა და, ჩვეულებრივ, პროცესამდე ხანმოკლე პერიოდით ადრე ტარდება“. *ვიცხელაური ნ.*, ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი),



შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს“.<sup>140</sup> „თუ მოსამზადებელ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მორიგებისას ამავე განჩინებით სასამართლო დაამტკიცებს მორიგების პირობებს. იგივე წესი ვრცელდება სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე“.<sup>141</sup>

ასევე, საქმის არსებითი განხილვის დაწყების წესი განსაზღვრავს, რომ „საქმის არსებითი განხილვის დაწყებისას პირველად სასამართლო ეკითხება მხარეებს ხომ არ სურთ საქმის მორიგებით დამთავრება“.<sup>142</sup> „სასამართლომ ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა,<sup>143</sup> რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ“. „საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება<sup>144</sup> სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხო-

---

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბ., 22 ივნისი, 2015, 11. თათბირი მორიგებასთან დაკავშირებით, გულისხმობს სასამართლო პროცედურას, რომელსაც მოსამართლე ახორციელებს საქმის წარმოების პროცესამდე ხანმოკლე პერიოდით ადრე. ეს არის პროცესი, სადაც მოსამართლე ცდილობს განსაზღვროს შესაძლებელია თუ არა მორიგება. იხ. *ოსტერმაილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 294. აშშ-ში ფედერალური სამოქალაქო საპროცესო წესები, ბევრ შემთხვევაში, მოითხოვს სასამართლო პროცესამდე შეხვედრის გამართვას მორიგების მიზნით. იხ. იქვე, 15, მე-3 სქოლიო. შეად. *Judicial Settlement Conferences, Denlow M., Sack J. E.*, Judicial Settlement Databases: Development and Uses, *Judges' Journal*, 2004, 19. <<http://www.courts.state.va.us/courtadmin/aoc/djs/programs/jsc/home.html>>, [19.05.2016]. „დღესდღეისობით სასამართლომდე კონფერენციების გამოყენებამ და დავის გადაწყვეტის ალტერნატიულმა ფორმებმა საწყისი მისცა მორიგების ადრეულ ეტაპზე მიმართვას“. *Baar C.*, The Myth of Settlement, Paper Prepared for Delivery at the Annual Meeting of the Law and Society Association, Department of Politics, Brock University, St. Catharines, Ontario Canada, Papered for Delivery at the Annual meeting of the Law and Society Association, Chicago, Illinois, may 28, 1999, 2. Judicial Settlement Conferences, The High Court Guidelines, (A document to assist those participating in a judicial settlement conference), Issued April 2012, Rule 7.79 (1).

<sup>140</sup>სსსკ-ის მუხლი 205-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>141</sup>სსსკ-ის მუხლი 208-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>142</sup>სსსკ-ის მუხლი 217-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>143</sup>„ყველა ზომაში“ რა იგულისხმება კანონით განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, უნდა ვიგულისხმოთ მოსამართლისთვის კანონით მინიჭებული ყველა საპროცესო უფლების/მოქმედების, ასევე პირადი უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის გამოყენების შესაძლებლობა. იხ. *ვოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ს., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 42.

<sup>144</sup>კასატორებმა განმარტეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მორიგების რეალური შესაძლებლობა, სასამართლომ არ მიიღო ამისათვის საჭირო ზომები. კერძოდ, საქმის მორიგების დამთავრების მიზნით არ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით, შესვენების გამოცხადების შესაძლებლობა, რათა სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოესმინა მხოლოდ მხარეებისათვის. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, სააპელაციო მოსამართლე იღებს ზომებს საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-513-482-10.

ლოდ მათ წარმომადგენლებს“.<sup>145</sup> „მოსამართლეს შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები“.<sup>146</sup>

### 3. საპროცესო ნორმათა მესამე კატეგორია

სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრება<sup>147</sup> (საპროცესო ნორმათა მესამე კატეგორია) მორიგებასთან დაკავშირებულ მხოლოდ ერთ მუხლში – საქმის მომზადება სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად – ადგენს, რომ „სააპელაციო მოსამართლე იღებს ზომებს საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით“.<sup>148</sup> მორიგებით საქმის დამთავრების მიზნით მისაღები ზომების განსაზღვრება კი მოცემულია 218-ე მუხლში.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებს შორის მორიგებასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ სსსკ-ის შემუშავების ეტაპზე კანონმდებელს არსებითი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია მორიგების, როგორც საქმის წარმოების პროცესის დასრულების დამოუკიდებელი საფუძველისთვის. ამ გარემოების უტყუარ არგუმენტად ის უნდა იქნეს მიჩნეული, რომ მორიგება განსაკუთრებით აქტუალური 2007 წლის შემდეგ გახდა, როდესაც სსსკ-ში შევიდა ცვლილებები აღნიშნული ინსტიტუტის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების მიზნით.<sup>149</sup>

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება დღითიდღე ფართოვდება და მოიცავს ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს. სამართლის მეშვეობით რეგულირდება ისეთი სფეროები, რომლებიც წინათ სხვა სოციალური ნორმებით წესრიგდებოდა.<sup>150</sup>

2007 წლიდან დღემდე თითქმის ათეული წელი გავიდა და საზოგადოებრივმა თუ სამართლებრივმა ურთიერთობებმა რეგულაციის ახალი სახეები დააყენა დღის წესრიგში.<sup>151</sup>

იმისთვის, რომ მორიგების სამართლებრივი არსის სწორად განსაზღვრა, გაგება და გამოყენება იყოს შესაძლებელი სამოქალაქო სამართლის ერთიან სისტემაში და, მან სწორი სამართლებრივი მნიშვნელობით იტვირთოს მასზე დაკისრებული ფუნქციები, ასევე, იმისათვის, რომ მორიგების მარეგულირებელმა სამართლის ნორმებმა სათანადო კონკურენცია გაუწიოს დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ მეთოდებს, აუცილებელია მორიგების გზით საქმის წარმოების დასრულების პროცესი დამოუკიდებელად აისახოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში.

<sup>145</sup>სსსკ-ის მუხლი 218-ე, ნაწილი 1-ლი. შეად. *Niemic R. J.*, *Mediation & Conference Programs in the Federal Courts of Appeals, a sourcebook for judges and lawyers second edition*, Federal Judicial Center, 2006.

<sup>146</sup>სსსკ-ის მუხლი 218-ე, ნაწილი მე-2.

<sup>147</sup>სსსკ-ის კარი VIII, თავი XLVI.

<sup>148</sup>სსსკ-ის მუხლი 373-ე, ნაწილი მე-2.

<sup>149</sup>საქართველოს კანონი „საქართველოს საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, მიღებული 2007 წლის 28 დეკემბერს №5669-რს.

<sup>150</sup>იხ. *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 17.

<sup>151</sup>დღის წესრიგში უფრო ინტენსიურად დგება საკითხი დავის ალტერნატიული წესით გადაწყვეტის თაობაზე.

დღევანდელი მდგომარეობით დგინდება, რომ მორიგება სამართლებრივად არ რეგულირდება უშუალოდ მორიგების პროცესის მარეგულირებელი პირდაპირი ნორმებით. მორიგების საკითხები დარეგულირებულია საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ მუხლებით, რომლებიც სხვა სასაპროცესო-სამართლებრივ კითხვებთან მიმართებაში არსებობს.

მორიგების მნიშვნელობა და ფუნქცია სამოქალაქო საქმის წარმოების დასრულების პროცესში, როგორც საქმის წარმოების დასრულების საფუძველი, საჭიროებს მორიგების მარეგულირებელი ნორმების სისტემურობას.

მიზანშეწონილია მორიგებასთან დაკავშირებული, არსებული, ნორმების სრულყოფა და დამატებით ნორმებთან მათი სისტემური გაერთიანება მორიგების საერთო ნორმების სახით, რაც სსსკ-ის დამოუკიდებელ თავში – „სასამართლოსმიერი მორიგება“ უნდა აისახოს მორიგების ზოგადი დებულებების, სამომრიგებლო სხდომების და სამომრიგებლო შეთანხმების, მორიგების აქტის, მისი დამტკიცების და გასაჩივრების მარეგულირებელი ნორმების სახით.

ზოგადი დებულებებით უნდა განიმარტოს მხარეთა უფლება საქმის წარმოების მორიგებით დასრულების თაობაზე; სასამართლოს ვალდებულება ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მხარეებს და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა საქმის წარმოების მორიგებით დასრულებისთვის; მოსამართლის უფლებამოსილება, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება და საჭიროებისას სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს.

სამომრიგებლო სხდომების და სამომრიგებლო შეთანხმების ნაწილში მიზანშეწონილია ხაზგასმით აღინიშნოს მხარის უფლება საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მორიგების აქტის წარდგენის შესაძლებლობაზე. მორიგების აქტის დეტალური განხილვისა და მორიგების მიზნით სხვა სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელებისთვის უნდა დადგინდეს ერთი მხრივ, სამომრიგებლო სხდომის ჩატარების წესი და პირობები. ხოლო მეორე მხრივ – სამომრიგებლო შეთანხმების სახეები, შეთანხმების მიღწევისა და მისი ჯეროვნად შესრულების პირობები.

დამოუკიდებელი ნორმებით უნდა დარეგულირდეს მორიგების აქტის ფორმა და შინაარსი, მორიგების პირობების კანონიერება, მისი სასამართლოს განხილვაში ასახვის მნიშვნელობა და სხვა სამართლებრივი დეტალები, როგორცაა ხარჯების გადანაწილების წესი, მხარის გაფრთხილება იმავე დავის საგანზე ხელმეორედ მიმართვის აკრძალვის თაობაზე, გასაჩივრების პროცედურული დეტალები.

აღნიშნული ხელს შეუწყობს მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობის განმსაზღვრელი ფაქტორების სისტემატიზაციას და მორიგების მარეგულირებელ ნორმათა პრაქტიკულ გამოყენებას.

### თავი III. მორიგება, როგორც გარიგება

#### 1. გარიგების სამართლებრივი მნიშვნელობა

##### 1.1. გარიგება

„გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი, და მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ“.<sup>152</sup>

პირის მიერ გამოხატული ნება უმთავრესი საფუძველია გარიგების დასადავად. ნება, პიროვნული თავისუფლებისა და პირადი გადაწყვეტილების ერთგვარი გარეგნული გამოხატულებაა. მიზანშეწონილია, ყურადღება გამახვილდეს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, რომლებიც ნების გამოვლენას და, აქედან გამომდინარე, გარიგების დადების საფუძველს უკავშირდება.

ცნებები „გარიგება“ და „ნების გამოვლენა“ პირველად XVIII საუკუნეში გაჩნდა. გარიგების განსაზღვრისას ნების მნიშვნელობაზე ყურადღება საეინმა გაამახვილა და მან პირველად განიხილა ცნებები სინონიმებად.<sup>153</sup>

„გარიგების დახასიათებისას ნების გამოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თითქმის საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში გარიგება და ნების გამოვლენა სინონიმებად ითვლებოდა. მართალია, იგივეობის ეს თეორია დღეს უარყოფილია, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ ნების გამოვლენა გარიგების ყველაზე მნიშვნელოვანი და უმთავრესი ელემენტია“.<sup>154</sup> ნებისმიერი ნება მიმართულია იქით, რომ პირმა შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, რომლებიც, ძირითადად, გარიგების დადებით გამოიხატება.

„სამოქალაქო სამართალში ნების გამოვლენა სამართლებრივი ცნებაა, სამართლებრივი საშუალებაა იმ ქმედების გამოსახატავად, რომლის მიზანია განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა“.<sup>155</sup> ნების გამოვლენა სამართლებრივი ხასიათის უნდა იყოს, ანუ ნების გამოვლენა უნდა ემსახურებოდეს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას.<sup>156</sup>

მართალია, გარიგების ძირითადი ბირთვი ნების გამოვლენაა, მაგრამ, თავისთავად, მხოლოდ ნების გამოვლენა არ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობებს. ნების გამოვლენის ნამდვილობა მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული, რომლებიც ნების ძირითად გამოვლინებას ახლავს თან.

<sup>152</sup>სსკ-ის მუხლი 50-ე. იხ. და შეად. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 256.

<sup>153</sup>იხ. *ჰანტურია ლ.*, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 307-308.

<sup>154</sup>*ჰანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 316. შემდგომი მითითებით: მაგალითად გერმანულ სამართალში: *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, 16 I, Rn. 1 ff.; *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil, § 22 II 1, Rn. 3 ff.; *Staudinger/Dilcher*, Vorbem zu §§ 116-144, Rn 1.

<sup>155</sup>იქვე, 317. „იურიდიული ფაქტი, რომელიც წარმოშობს, ცვლის ან წვევს სამართლებრივ ურთიერთობას, არ უნდა იყოს სწორი, რამდენადაც ამ შემთხვევაში, მთლიანად გაწყვეტილია კავშირი არსსა და ჯერარსს შორის“. ვრცლად იხ. და შეად. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 256.

<sup>156</sup>იხ. *ჰანტურია ლ.*, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 312.



ამგვარ გამოვლინებად კი მიიხსნება ისეთი ნება, რომელიც განსაზღვრავს გარიგების მიზანს, ე.ი. იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც სურს ნების გამოვლენს.<sup>157</sup>

კანონი აწესრიგებს ნების გამოვლენის სამართლებრივი ვარგისიანობის საკითხს. იმისთვის, რომ ნების გამოვლენამ დასახულ სამართლებრივ შედეგს მიაღწიოს, იგი უნდა გამოიხატოს გარკვევით, არაორაზროვნად. თუმცა, ხდება ხოლმე, რომ გარეგნულ გამოხატვებში ადამიანები სხვადასხვა შინაარსს აქსოვენ, ამიტომ აუცილებელი ხდება ნების გამოვლენის სწორი აზრის დადგენა. ამ მიზნით, კანონი ადგენს ნების გამოვლენის ანუ გარიგების განმარტების ინსტიტუტს.<sup>158</sup>

ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არამარტოდენ სიტყვასიტყვითი აზრიდან.<sup>159</sup> ნების განმარტება მიზნად ისახავს ბუნდოვანი და საეჭვო აზრის დაზუსტებას. მაგრამ არა ყოველგვარი აზრის, არამედ იმ აზრისა, რომელიც გარიგების მონაწილე მხარეებს შორისაა და მათი ურთიერთობის გარკვევას ისახავს მიზნად.

ნება, რომელიც სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად, შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოიხატოს. „ნების გამოვლენა, როგორც „ქმედება“ ან ნებელობითი აქტი, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს ნებით განსაზღვრულ მოქმედებას ან უმოქმედობას“.<sup>160</sup>

ქმედება უნდა იყოს ნებელობითი აქტი. ის უნდა გამომდინარეობდეს ადამიანის ცნობიერებიდან და არ უნდა წარმოადგენდეს მექანიკურ, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ აქტს.<sup>161</sup> ნებისმიერი ნების გამოვლენის უკან დგანს თავად პირის შინაგანი ნება. შესაბამისად, ნების გამოვლენა ყოველთვის უნდა გამომდინარეობდეს პირის შინაგანი ცნობიერებიდან, იგი არ შეიძლება იყოს გაუცნობიერებელი მოქმედება.<sup>162</sup>

პირის მიერ ნების გამოვლენა უშუალოდაა დაკავშირებული ქმედუნარიანობასთან. ქმედუნარიანობა ანუ ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.<sup>163</sup>

ქმედუნარიანობა არის ადამიანის უნარი, შესაძლებლობა, რომელიც დაფუძნებულია მის ნებაზე, ანუ სურვილზე, უფრო ფართო გაგებით კი, მიზანზე – შეიძინოს და განახორციელოს უფლება-მოვალეობები. „კონკრეტული ქვეყნის სამართალი აღჭურავს ამ უნარით იმ პირებს, რომლებმაც განსაზღვრულ ასაკს მიაღწიეს ან აქვთ ნორმალური განსჯის უნარი და შეუძლიათ ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებებს“.<sup>164</sup> ამ განმარტების თანახმად, ორი უმნიშვნელოვანესი გარემოება უნდა არსებობდეს: ასაკი, განსჯისა და მოქმედებებისთვის ანგარიშის გაწევის უნარი, ანუ ჯანმრთელობა.

<sup>157</sup> იხ. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 293.

<sup>158</sup> იხ. იქვე, 319-320.

<sup>159</sup> სსკ-ის მუხლი 52-ე.

<sup>160</sup> *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 317. შემდგომი მითითებით: Knieper/Chanturia/Schramm, Das Privatrecht im kaukasus und in Zentralasien, S. 433 ff.

<sup>161</sup> იხ. იქვე, 317-318.

<sup>162</sup> იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელმეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 35.

<sup>163</sup> სსკ-ის მუხლი მე-12, ნაწილი 1-ლი.

<sup>164</sup> *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 179.



ნების გამოვლენის შესაძლებლობა პირს ყველა ასაკში აქვს, მაგრამ ნებისთვის სამართლებრივი დატვირთვის მინიჭება მის სრულწლოვანებას უკავშირდება. სამოქალაქო კოდექსი ასაკის კლასიფიკაციას უკავშირებს ნების გამოხატვით მიღებულ სამართლებრივ შედეგებს და პირის ქმედუნარიანობას ყოფს ასაკობრივ საფეხურებად.

ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიის მიერ გამოხატული ნება და მოქმედება ნამდვილია მისი სურვილიდან, მიზნიდან და უნარიდან გამომდინარე, ხოლო სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ის კანონის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ნების სამართლებრივად სრულყოფის მიზნით.

## 12. ხელშეკრულება

„გარიგება არსებითად კერძოსამართლებრივი ურთიერთობების საფუძველია. ამიტომ აუცილებელია მისი ნამდვილობის, წარმოშობისა და შეცვლის პირობების უფრო კონკრეტული დახასიათება. ამ მიზანს ემსახურება გარიგებათა დაყოფა სახეებად. ამ დაყოფას სხვადასხვა კრიტერიუმში უღვეს საფუძვლად. ერთ შემთხვევაში კლასიფიკაციისათვის გადაწყვეტია გარიგებაში მონაწილეთა რაოდენობა, მეორე შემთხვევაში – გარიგების საგანი, ე.ი. ის ურთიერთობა, რომელიც ნების გამოვლენის შედეგად წარმოიშობა და ა.შ.“<sup>165</sup>

ყოველი ნების გამოვლენის უკან კონკრეტული პირი დგას. სამართალი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა უკვე იწვევს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.<sup>166</sup>

ხელშეკრულება გარიგების ერთ-ერთი მეტად გავრცელებული სახეა. ხელშეკრულების დადება იწვევს კონკრეტული ურთიერთობის წარმოშობას ორ ან მეტ სუბიექტს შორის. ხელშეკრულების მონაწილეთა ურთიერთობა თანასწორუფლებიანობაზეა დაფუძნებული და ისინი ერთმანეთს არ ექვემდებარებიან, მიუხედავად იმისა, ფიზიკური პირები არიან, იურიდიული პირები, სახელმწიფო თუ სხვა.<sup>167</sup>

ხელშეკრულება ორმხრივი (მრავალმხრივი) გარიგებაა. ამიტომ ყველა ხელშეკრულება გარიგებაა, მაგრამ ყველა გარიგება ხელშეკრულება არაა.<sup>168</sup> ხელშეკრულების დასადებად ორი პირის ნების შეთანხმებაა საჭირო, ისეთი შეთანხმება, რომელიც მისი მონაწილეებისათვის იწვევს განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ კერძო სამართლის სუბიექტებს, კანონის ფარგლებში, შეუძლიათ თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ მათი შინაარსი.<sup>169</sup> „ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმით“.<sup>170</sup>

<sup>165</sup> კანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 295.

<sup>166</sup> იხ. იქვე, 294.

<sup>167</sup> იხ. ახელედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999, 10.

<sup>168</sup> გრცლად იხ. თბილისის სააკადემიო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 04 მარტის განჩინება საქმეზე: №2ბ/5911-13.

<sup>169</sup> იხ. ახელედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999, 10-11.

<sup>170</sup> სსკ-ის მუხლი 327-ე, ნაწილი 1-ლი.

„გარიგების ნამდვილობისთვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დადგენილი, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ იგი“.<sup>171</sup> „გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით“.<sup>172</sup>

### 13. გარიგების ბათილობა

გარიგება ყოველთვის კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომას ისახავს მიზნად. თუმცა, ზოგი ნების გამოვლენა იწვევს დასახული მიზნის მიღწევას და სამართლებრივი შედეგის დადგომას, ზოგი კი – არა. ამ განსხვავების აღსანიშნავად სამოქალაქო სამართალი განამტკიცებს ნამდვილი გარიგებებისა და ბათილი გარიგებების ცნებებს. გარიგება, რომელსაც შედეგად არ მოჰყვება დასახული მიზანი, ბათილად მიიჩნევა, იმის გამო, რომ მოქმედი სამართალი განხორციელებულ ქმედებას სამართლებრივად უვარგისად მიიჩნევს.<sup>173</sup>

სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს“. გარიგების ბათილობა გულისხმობს, რომ იგი, სამართლებრივი თვალსაზრისით, საერთოდ არ ითვლება შემდგარად ე.ი. სამართლისათვის არ არსებობს. არაა აუცილებელი გარიგების ბათილობა დამტკიცდეს რომელიმე სახელმწიფო ან სასამართლო ორგანოს მიერ, თუმცა ამ უკანასკნელის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არის სწორედ ის ლეგიტიმური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება კონკრეტული გარიგების კანონსაწინააღმდეგობა და შესაბამისად, ბათილობა.<sup>174</sup>

ნორმა არ აზუსტებს, თუ რომელ კანონზეა საუბარი და რა ფორმის დარღვევაზე, თუმცა სავარაუდოა, რომ მასში იგულისხმება ნებისმიერი კანონი, რომელიც უკავშირდება გარიგების შინაარსს და, შესაძლოა, გამოიწვიოს მისი ბათილობა.<sup>175</sup>

კონკრეტული გარიგების კანონსაწინააღმდეგობაზე მსჯელობისას, კანონი უნდა აღიქმებოდეს ფართო გაგებით. გარიგების ბათილობას იწვევს მხოლოდ ნორმატიულ აქტში მოცემული იმპერატიული ნორმების წინააღმდეგობა, ანუ იმგვარი ნორმებისა, რომლებიც ადგენს კერძო სამართლის სუბიექტების ქცევის წესს.<sup>176</sup>

შედარებით რთულია დადგინდეს, ეწინააღმდეგება თუ არა გარიგება ზნეობასა და საჯარო წესრიგს.

ზნეობა მორალთაა. „მორალი არის ადამიანთა ქცევის წესების სისტემა, რომელიც ეფუძნება კულტურას, რელიგიას ან ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას. მორალს ხშირად განმარტავენ როგორც „შინაგან ვალდებულებას“, რომელსაც სინდისი განსაზღვრავს.“<sup>177</sup>

ადამიანის ქცევა შესაძლოა იყოს ამორალური, უზნეო, უსამართლო ქცევისაკენ მიმართული. სამართალიც და მორალიც საზოგადოებრივი

<sup>171</sup>სსკ-ის მუხლი 68-ე.

<sup>172</sup>სსკ-ის მუხლი 69-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>173</sup>იხ. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 385.

<sup>174</sup>იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელმეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 43.

<sup>175</sup>იხ. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 351-352.

<sup>176</sup>იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელმეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 43.

<sup>177</sup>*ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 76.

ურთიერთობების მონაწილეთა ქცევას არეგულირებს.<sup>178</sup> ადამიანთა ყოველი საზოგადოება ზნეობის განსაზღვრულ, მისთვის შინაგან და დამახასიათებელ ნორმებს ემყარება.<sup>179</sup> იმის გამო, რომ მორალის (ზნეობის) ნორმები კოდიფიცირებული არაა, ხშირად რთულია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელ ზნეობის ნორმებს ეწინააღმდეგება გარიგება.

აღნიშნული სირთულეებს ქმნის სასამართლოში საქმის წარმოებისას. სირთულე ისაა, რომ მოსამართლემ, თავად უნდა განსაზღვროს საზოგადოების მორალური ფასეულობები, სახალხო მორალის ნორმები, საოციალური წრისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ზნეობრივი წესები. ამასთან, მოსამართლემ უნდა შეაფასოს არა პირადად ან გარიგების ერთ-ერთი მხარის პოზიციით, არამედ, იმის მიხედვით, თუ როგორ შეაფასებდა ხალხი ან კონკრეტული საოციალური ჯგუფი ამგვარ გარიგებას.<sup>180</sup>

რაც შეეხება საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებებს, ეს ნორმა საქართველოს კანონმდებლობაში ფრანგული კანონის გავლენით შემოვიდა და გერმანიის კანონმდებლობა მას ანტიზნეობრივი გარიგებების კატეგორიას მიაკუთვნებს.<sup>181</sup> საჯარო წესრიგი გულისხმობს სახელმწიფოს, ოჯახისა და ინდივიდის, ასევე ეკონომიკის ძირეულ ინტერესებს.<sup>182</sup>

გარიგების ბათილობის მიზეზები, მოსალოდნელი შედეგები ან გამოსწორების შესაძლებლობები მრავალფეროვანია. შესაბამისად, კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს ბათილობის სხვადასხვა ფორმებს. გარიგებები, რომლებიც დადებისთანავე ბათილია და მონაწილეთა მიერ დასახულ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს, კანონი უცილოდ ბათილ (არარა) გარიგებას უწოდებს.<sup>183</sup> არარა გარიგებები ბათილი გარიგების ყველაზე მკაცრი და კატეგორიული ფორმაა. ამ გარიგებით გათვალისწინებული შედეგი არ დგება არც მხარეების მიმართ და არც მესამე პირებისათვის. ასეთი გარიგებები დადებისთანავე ბათილია და მას ნამდვილად ვერ აქცევს ვერც გარიგების მონაწილეთა შემდგომი მოქმედება, ვერც სასამართლოს გადაწყვეტილება.<sup>184</sup> თუმცა, ის არ უნდა ჩაითვალოს ე.წ. „ნულად“, განუხორციელებელ მოქმედებად,<sup>185</sup> რადგან ის განხორციელებული აქტია და როგორც ქმედება, სამართლებრივ შედეგს იძენს. მართალია ეს არ არის მხარეთა მიერ ჩაფიქრებული შედეგი და დასახული მიზანი, მაგრამ ეს შეიძლება იყოს ზიანის ანაზღაურება ან გარიგებით მიღებულის უკან დაბრუნება.<sup>186</sup>

<sup>178</sup> იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 77. ვრცლად იხ. იქვე, თავი VI, 74-82.

<sup>179</sup> *Post R.*, Law and Cultural Conflicts, Chicago-Kent Law Review, 2003, 485.

<sup>180</sup> იხ. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 354-355.

<sup>181</sup> იხ. იქვე, 357. შემდგომი მითითებით: *Staudinger/Dilcher*, §. 138, Rn 9; *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil, § 41 II 3 RN. 9 ff.

<sup>182</sup> ვრცლად იხ. იქვე, 357-359.

<sup>183</sup> სსკ-ის მუხლი 61-ე, ნაწილი 1-ლი. ვრცლად იხ. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 385.

<sup>184</sup> ვრცლად იხ. *ჭანტურია ლ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 383.

<sup>185</sup> იხ. იქვე. შემდგომი მითითებით: *Flume*, Rechtsgeschäft, S.547-548; *Larenz*, AT.S.455.

<sup>186</sup> იხ. იქვე.

## 2. მორიგების, როგორც გარიგების სამართლებრივი მნიშვნელობა

### 2.1. მორიგების გარიგებითი მნიშვნელობა

მორიგების საკითხი დღის წესრიგში დგება მაშინ, როცა მხარეებს შორის არსებობს ბუნდოვანება (დაურწმუნებლობა) უფლებრივ საკითხებზე. მხარეები ვალდებულნი არიან, ყველაფერი იღონონ ვალდებულებითი ურთიერთობის კეთილსინდისიერად მოგვარებისათვის, ვინაიდან, როგორც წესი, „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.“<sup>187</sup> „მორიგება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, თუკი ამ ურთიერთობიდან დავა ან დაურწმუნებლობა წარმოიშობა.“<sup>188</sup>

გარიგების ყველაზე გავრცელებული სახე ხელშეკრულებაა, რომელიც ორ ან მეტ სუბიექტს შორის სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს.<sup>189</sup> ხელშეკრულების დადებისთვის აუცილებელია ორი ან მეტი პირის შეთანხმება, რომელიც მიიღწევა ოფერტისა და აქცეპტის თანხვედრით.<sup>190</sup> სახელშეკრულებო სამართალში დადგენილი პირობაა, რომ „ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით“.<sup>191</sup>

ვინაიდან ყველა შეთანხმება მხარეთა ნების შეთანხმებას გულისხმობს, ამდენად, მორიგება ორმხრივი ნების შეთანხმება, ანუ ხელშეკრულებაა. მორიგების სახელშეკრულებო მნიშვნელობის აღსანიშნავად არაერთი ზოგადი თუ ზუსტი განმარტება მოიპოვება იურიდიულ ლიტერატურაში.

მატერიალური სამართლის თვალსაზრისით, „მორიგება არის ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის დავა ან დაურწმუნებლობა ორმხრივი დათმობების გზით გვარდება“.<sup>192</sup> უფრო ზუსტი განმარტებით „სამოქალაქო სამართალში მორიგება არის ორმხრივი (ნაცვალებითი) ხელშეკრულება, რომლის დროსაც მხარეებს შორის არსებული დავა ურთიერთდათმობის გზით შეწყდება“.<sup>193</sup>

მორიგება ერთგვარი კონსესუალური ხელშეკრულებაა, ორი მხარის ნებათა თანხვედრის ლოგიკური შედეგია.<sup>194</sup> სახელშეკრულებო კონსესუ-

<sup>187</sup>სსკ-ის მუხლი 361-ე, ნაწილი მე-2.

<sup>188</sup>ჭანტურია ლ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, თბ., 2001, 263-264.

<sup>189</sup>სსკ-ის წიგნი მე-3, კარი 1-ლი.

<sup>190</sup>იხ. ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 29.

<sup>191</sup>სსკ-ის მუხლი 327-ე, ნაწილი 1-ლი. იხ. ახელედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999, 15.

<sup>192</sup>ჭანტურია ლ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, წიგნი მე-3, თბ., 2001, 263.

<sup>193</sup>თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩანანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012, 295.

<sup>194</sup>იხ. სვანაძე გ., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 107. შემდგომი მითითებით: Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 35, Auflage, 2011, 81.



სი მიიღწევა ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ხელშეკრულების დადების შეთავაზებით და შეთავაზებაზე თანხმობის მიღებით.<sup>195</sup>

ჯერ კიდევ, რომის სამოქალაქო სამართალში ვხვდებით კონსესუსის მიღწევის პრინციპს. კერძოდ, „სამოქალაქო ბრუნვის ინტერესები, ეკონომიკის და კულტურის განვითარება მოითხოვდა ტრადიციისა და ფორმალიზმის დაძლევას, მის გამარტივებას. შესაბამისად, თანდათან, ფორმალიზმმა გზა დაუთმო თანხმობას, კონსესუსს. იურისტებმა შეიმუშავეს კონსესუალური ხელშეკრულების ძირითადი ნიშნები“.<sup>196</sup>

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მორიგება განიმარტება, როგორც: „საქართველოს სამოქალაქო პროცესში მხარეთა მიერ სასამართლოსთვის დასამტკიცებლად წარდგენილი ხელშეკრულება მათ შორის არსებული სამართლებრივი დავის ლიკვიდაციის შეასახებ. სასამართლო ამოწმებს მორიგების პირობებს და თუ ეს პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ არღვევს ვისიმე უფლებებს ან კანონით დაცულ ინტერესებს, ამტკიცებს მხარეთა შეთანხმებას და წყვეტს საქმის წარმოებას. მორიგების დამტკიცების სამართლებრივი შედეგია ის, რომ მხარეებს შორის, იმავე საგანზე ან იმავე საფუძვლით დავის ხელმეორედ განხილვა გამორიცხებულია. თუ ერთ-ერთი მხარე თავს არიდებს მორიგებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, დასაშვებია იძულებითი შესრულება.“<sup>197</sup>

პროცესუალური სამართლის თვალსაზრისი, მცირედ, განსხვავებულ კონტექსტში გადმოგვცემს მორიგების, როგორც ხელშეკრულების მნიშვნელობას და მეტ აქცენტს მის საპროცესო მნიშვნელობაზე აკეთებს. თუმცა, ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ მორიგება ეს ხელშეკრულებაა. კერძოდ, „მხარეთა შეთანხმება ანუ მხარეთა მორიგება არის სასამართლოში საქმის წარმოების დროს მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელე და მოპასუხე ურთიერთდათმობის გზით ახლებურად განსაზღვრავენ თავიანთ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს, რის საფუძველზეც წყვეტენ თავიანთ დავას სასამართლოში“.<sup>198</sup> მოცემულ განმარტებაში, არსებითი აქცენტი გაკეთებულია სასამართლოში დავის შეწყვეტის ფაქტობრივ გარემოებაზე, რაც არსებითია მორიგების, როგორც მხარეთა შეთანხმების განსაზღვრებისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „თუ გარიგება ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგია და პირს შეუძლია დადოს ნებისმიერი კანონით გათვალისწინებული გარიგება, მაშინ ეს შესაძლებლობა მას არ შეიძლება წაერთვას მის მიერ აღძრული სარჩელის სასამართლოში განხილვის დროს. აქედან გამომდინარეობს საპროცესო სამართლის დანაწესი, რომლის თანახმად, მოსარჩელეს, რომელმაც გარკვეული მოთხოვნა წაუყენა მოპასუხეს, შეუძლია შეუთანხმდეს (მოურიგდეს) მას. მოდავე მხარეთა მორიგება, საქმის სასამართლოში განხილვის პროცესში, რომელიც გულისხმობს ამ მხარეთა ნებას, ურთიერთდათმობის გზით მიაღწიონ შე-

<sup>195</sup> იხ. სვანაძე გ., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფოებო სამართალი, თბ., 2014, 107.

<sup>196</sup> ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2001, 114.

<sup>197</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1984, ტომი მე-7, 124.

<sup>198</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 112. მორიგებას, როგორც გარიგებას, სუს-ს პრაქტიკა ტერმინით „მორიგების ხელშეკრულება“ აღნიშნავს. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-308-290-2014.



თანხმებას, იმავდროულად წარმოადგენს სასამართლოში საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს“.<sup>199</sup>

მორიგების სახელშეკრულებო ბუნებაზე აკეთებს აქცენტს ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც მორიგებას შემდეგი სახით განმარტავს – „ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა ან გაურკვეველობა აღმოიფხვრება ურთიერთდათმობის გზით (მორიგება)“.<sup>200</sup>

მორიგების სახელშეკრულებო განმარტებას იძლევა ასევე სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვით, მორიგება არის ურთიერთდათმობის გზით მხარეთა შორის დადებული გარიგება, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს და, რომლის მიღწევის დროს საქმე არა მარტო იურიდიულად, არამედ ფაქტობრივადაც წყდება.<sup>201</sup>

## 2.2. პარალელი თეორიებთან საარბიტრაჟო შეთანხმების (არბიტრაჟის) შესახებ

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ საარბიტრაჟო შეთანხმებას დამოუკიდებელ II თავს უთმობს და განსაზღვრავს საარბიტრაჟო შეთანხმების ცნებას და ფორმას.

კერძოდ, საარბიტრაჟო შეთანხმების დროს მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.<sup>202</sup>

„საარბიტრაჟო შეთანხმება გადაწყვეტი მნიშვნელობის დოკუმენტია საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე და მის აღსრულებამდე“.<sup>203</sup> საარბიტრაჟო შეთანხმება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას არბიტრაჟის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრულად მიიჩნევენ.

საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი ბუნების შესახებ ისტორიულად არსებობდა სამი ძირითადი თეორია: სახელშეკრულებო (მატერიალური), საპროცესო და შერეული.<sup>204</sup>

სახელშეკრულებო თეორია მატერიალურ-სამართლებრივი თეორიაა, რომლის თანახმად, არბიტრაჟი წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლის ინსტიტუტს და მისი ერთადერთი მიზანი საარბიტრაჟო შეთანხმების მეშვეობით დავის გადაწყვეტაა. ამ თეორიის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება და გადაწყვეტილება მიმართულია ერთი მიზნისკენ – საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანისკენ. საარბიტრაჟო შეთანხმებაში მხარეთა ნებაა გამოხატული. სწორედ, საარბიტრაჟო შეთანხმებით შესაძლებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა და, ამის გამო, სა-

<sup>199</sup> ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 83-84.

<sup>200</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, კარი 21-ე, §779 (1). იხ. კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამაშუავებული გამოცემა, თბ., 2014, 576.

<sup>201</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-628-594-2015.

<sup>202</sup> იხ. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი მე-8.

<sup>203</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 149.

<sup>204</sup> იხ. იქვე, 159.

არბიტრაჟი შეთანხმების მსგავსად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაც ატარებს სახელშეკრულებო ხასიათს.<sup>205</sup>

გერმანიისა და შვეიცარიის სამართალი მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება სახელშეკრულებო ხასიათისაა, მას მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება აქვს და მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთო წესები გარიგებებისა და ხელშეკრულებების შესახებ.<sup>206</sup>

საპროცესო სამართლის თეორია კი თვლის, რომ საარბიტრაჟო პროცესი სრულფასოვანი პროცესია, რომლის დროსაც საარბიტრაჟო შეთანხმების მეშვეობით გამოირიცხება სასამართლოს იურისდიქცია. საარბიტრაჟო შეთანხმება არის საპროცესო შეთანხმება და ის არსებობს მატერიალურ-სამართლებრივი შეთანხმებისაგან (ხელშეკრულებისგან) დამოუკიდებლად.<sup>207</sup>

შერეული თეორია ზემოთ ხსენებული ორი – სახელშეკრულებო და საპროცესო – თეორიის ერთობლიობას გულისხმობს. ამ თეორიების მიმდევრები აღიარებენ არბიტრაჟის მატერიალურ-სამართლებრივი (სახელშეკრულებო) და საპროცესო ელემენტების არსებობას, ანუ პროცესუალურ ბუნებას. შერეული თეორიის წარმომადგენლები საარბიტრაჟო შეთანხმებას მიიჩნევენ მატერიალურ-სამართლებრივ ხელშეკრულებად, რომლსაც საპროცესო სამართლებრივი შედეგი მოჰყვება.<sup>208</sup> გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება არის მატერიალურ-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელსაც აქვს საპროცესო სამართლებრივი საგანი.<sup>209</sup>

დასახელებული შერეული თეორიის შვეიცარიელი მიმდევრები გამოთქავენ მოსაზრებას, რომ მნიშვნელობა არა აქვს საარბიტრაჟო შეთანხმება მატერიალურია, საპროცესო, თუ მოიცავს ორივე ელემენტს, მთავარი შედეგია.<sup>210</sup> მართალია, ორივე თეორია შედეგზეა ორიენტირებული, მაგრამ შედეგი, მისი იურიდიული კლასიფიკაციის გარეშე, განუსაზღვრელი სამართლებრივი მდგომარეობაა.

ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, შესაძლებელია პარალელური გაივლოს მორიგებისა და საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი საფუძველებს შორის. ანუ საარბიტრაჟო შეთანხმების თეორიები მორიგების, როგორც გარიგების ტიპის განსაზღვრის საფუძველი გახდეს.

<sup>205</sup> იხ. *ცერცვაძე ვ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012., 160. შემდგომი მითითებით: Ануфриева Л. П. Международное частное право трансграничные банкротства международный коммерческий арбитраж международный гражданский процесс, Том 3, Учебник Москва Издательство ВЕК6 20016 с. 139.

<sup>206</sup> იხ. იქვე, შემდგომი მითითებით: Kreindler/Schäfer/Wolff, Schiedsgerichtbarkeit Kompendium für die Praxis, Verlag Recht und Wirtschaft an Main, 2006, s. 36.

<sup>207</sup> იხ. *ცერცვაძე ვ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 162. შემდგომი მითითებით: Ануфриева Л. П. Международное частное право трансграничные банкротства международный коммерческий арбитраж международный гражданский процесс, Том 3, Учебник Москва Издательство ВЕК6 2001, с. 144-145.

<sup>208</sup> იხ. იქვე, 162-163. შემდგომი მითითებით: Eckstein-Puhl, Christine Prozessbewertung im Schiedsverfahren Saabrücker Studien zum Privat und Wirtschaftsrecht herausgegeben von Kohann Paul Bauer, Michael Martinek, und Helmut Rußmann Band, 50, s. 27-20.

<sup>209</sup> იხ. იქვე. შემდგომი მითითებით: Schutze, A Rolf Schiedsgericht unda Schiedsverfahren, 4. Auflage Verlag C.H. Beck, 2007, s. 61.

<sup>210</sup> იხ. იქვე. შემდგომი მითითებით: Berger, Bernhard Kellerhals, Franz Internationale und intere Schiedsgerichtbarkeit in der Schweiz Stampfli Verlag AG Bern, 2006, s. 105.

ამ მსჯელობით, შესაძლებელია ითქვას, რომ მორიგება უფრო მეტად შერეული თეორიის პრაქტიკული რეალიზებაა. მორიგება ერთდროულად ხელშეკრულება და საპროცესო მოქმედებაა. მორიგება მიმართულია როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური შედეგის დადგომისაკენ. ის, ერთი მხრივ, კონფლიქტის მოგვარების საშუალებაა (მატერიალური), ხოლო, მეორე მხრივ, საპროცესო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია (პროცესუალური).

უდავო ფაქტია, რომ მორიგება გარიგებაა.<sup>211</sup> თუმცა, ის გარკვეულწილად განსხვავდება სსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგებისგან, კერძოდ, ნების გამოვლენითა და სამართლებრივი შედეგით.

### 2.3. ცალმხრივი ნების გამოვლენის სამართლებრივი შედეგები

სამართალი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა უკვე იწვევს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.<sup>212</sup>

„კერძო სამართალი ბევრ შემთხვევას იცნობს, როცა სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის ერთი პირის ნების გამოვლენა საკმარისია. ისეთ გარიგებებს, რომელთა ნამდვილობისთვის საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა, სამოქალაქო სამართალში ეწოდება ცალმხრივი გარიგებები. ცალმხრივი გარიგებების ჯგუფს შეადგენს გარიგებები, რომლებიც, მართალია, იურიდიულ ძალას იძენენ მხოლოდ ერთი პირის მიერ ნების გამოვლენის შედეგად, მაგრამ უფლებრივ, ქონებრივ ან სხვაგვარ უპირატესობას ანიჭებენ მესამე პირებს“.<sup>213</sup>

მორიგება, ორმხრივი ნების გამოხატვის და შეთანხმების შედეგია. მორიგება არც მატერიალური თვალსაზრისით შეიძლება იყოს ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგი და არც პროცესუალური თვალსაზრისით. ცალმხრივი ნება, სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებში შესაძლოა გამოიხატოს სარჩელის ცნობით (აღიარებით) ან სარჩელზე უარის თქმით, მაგრამ არა მორიგებით.

ზოგჯერ, მოსარჩელე უარს ამბობს თავის მიერ აღძრულ სარჩელზე, რაც, დისპოზიციურობიდან გამომდინარე, მისი უფლებაა და, შესაძლოა, სხვადასხვა მოტივით იყოს განპირობებული. აქ არსებითი და მნიშვნელოვანია, რომ სარჩელზე უარი და მორიგების ობიექტად სარჩელის უფლებაზე უარის თქმა არ აირიოს ერთმანეთში, ვინაიდან სარჩელის უფლებაზე უარის თქმა მორიგების ობიექტი ვერ იქნება.<sup>214</sup>

თუმცა, აქვე შესაძლებელია დაინტერესების საგანი იყოს მორიგების მხარის ნება, მიღწეულ იქნეს კონსესუსი, რომელიც შესაძლოა ცალმხრივადც გამოიხატოს.

აღსანიშნავია, რომ კომპრომისი შესაძლოა იყოს ორმხრივიც და ცალმხრივიც. დათმობა (კომპრომისი) მიზნად უნდა ისახავდეს სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირების გზით, კონტრაგენტისათვის ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შესაძლებლობის მიცემას. მხარე დარ-

<sup>211</sup> Hollander -Blumoff R., Just Negotiation, Washington University Law Review, 2013, 402.

<sup>212</sup> იხ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 294.

<sup>213</sup> იქვე, 298.

<sup>214</sup> იხ. ლილეუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი I, თბ., 2002, 110-111.

წმუნებული უნდა იყოს, რომ სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა კომპრომისის გარეშე.<sup>215</sup>

#### 2.4. ორმხრივი ნების გამოვლენის სამართლებრივი შედეგები

სსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგება მორიგებისგან განსხვავდება იმ სამართლებრივი შედეგით, რომელიც მორიგებით მიიღწევა. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მეტი თვალსაჩინოებისთვის მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით შესაძლოა დაიყოს რამდენიმე პოზიციად:

1. მორიგება ახლებურად არეგულირებს არსებულ ურთიერთობას.<sup>216</sup>
2. მორიგება ახლებურად არეგულირებს არსებულ ურთიერთობას, მაგრამ, პირველი პოზიციისგან განსხვავებით, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ხორციელდება ახალ გარემოებებზე შეთანხმებით, რაც ახალი გარიგების წარმოშობის საფუძველია;<sup>217</sup>
3. მორიგება წყვეტს ძველ ურთიერთობას ან ცვლის მას ახლებურად.<sup>218</sup>
4. მორიგებით მხარეები თანხმებიან ურთიერთსასარგებლო პირობებით გარკვეული სამართლებრივი შედეგის დადგომაზე (წარმოშობა, შეცვლა, შეწყვეტა).<sup>219</sup>
5. მორიგება ვალდებულებითსამართლებრივ კონტექსტში შეიძლება წარმოადგენდეს ცვლილებას გარიგებაში ან ახალ გარიგებას.<sup>220</sup>

პირველი პოზიციის მიხედვით, „მხარეთა მორიგება – ესაა ურთიერთდათმობის გზით მხარეთა შორის დადებული გარიგება, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს.“<sup>221</sup> მხარეთა შორის მიღწეული მორიგება ითვლება უკვე არსებული ურთიერთობის ახ-

<sup>215</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №23/1084-13.

<sup>216</sup> საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მხარეთა მორიგება ესაა ურთიერთდათმობის გზით მხარეთა შორის დადებული გარიგება, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-621-846-08. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №23/1084-13.

<sup>217</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 28.

<sup>218</sup> იხ. იქვე. სახელშეკრულებო ურთიერთობის მიზანი სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა. მორიგებისგან უნდა განვასხვაოთ სარჩელის საგნის შეცვლა. მორიგებისას შესაძლოა მხარემ შეამციროს თავისი მოთხოვნა ანუ დათმოს მოთხოვნის გარკვეული ნაწილი. სარჩელის საგნის შეცვლა არ შეიძლება მიხნეულ იქნეს მოთხოვნის შემცირებად. სარჩელის საგნის შეცვლის შემთხვევაში აღიძვრება ახალი მოთხოვნა თავდაპირველის სანაცვლოდ. შეად. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 410.

<sup>219</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №23/2436-09.

<sup>220</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №23/1084-13. შემდგომი მითითებით: Münchener Kommentar zum BGB, Habersack, BGB §779, 6. Auflage 2013, გ.

<sup>221</sup> ლილეუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 300.



ლებურად მოწესრიგების საფუძველად.<sup>222</sup> ამდენად, მხარეთა მორიგება – ესაა ურთიერთდათმობის გზით მხარეთა შორის დადებული გარიგება, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს.<sup>223</sup> მორიგებით მხარეები, ფაქტობრივად, ახალ გარიგებას დებენ.<sup>224</sup>

მეორე პოზიციის თანახმად, მორიგება ახალ გარემოებებზე შეთანხმების შედეგად მიღწეული ახალი გარიგებაა. „მორიგებაში შეიძლება შეთანხმებულ იქნეს ასევე ახალი ვალდებულებები და განხორციელდეს უშუალო განკარგვები“.<sup>225</sup> „მორიგება წარმოადგენს მხარეების მიერ ახალ გარემოებებზე შეთანხმებას. მხარეთა მორიგების შემთხვევაში წყდება სამართალწარმოება, უქმდება საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და მტკიცდება მორიგება. ასეთი მორიგება უკვე მხარეთა შორის გამოხატული ახალი ნებაა, რაც ახალი გარიგების დადებას გულისხმობს“.<sup>226</sup>

მესამე პოზიციის თანახმად, მორიგება არ უნდა იყოს მიმართული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ, არამედ უნდა ცვლიდეს ან წყვეტდეს მას. „იგი როგორც წესი ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენის შედეგია, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლის ან შეწყვეტისაკენ“.<sup>227</sup>

მეხუთე პოზიცია კომპლექსური ხასიათისაა და უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მორიგება შეიძლება ერთდროულად იყოს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის საფუძველიც. ის აქცენტს აკეთებს ვალდებულებითსამართლებრივ კონტექსტში მორიგების არსებობაზე, რომელიც არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისა და, ასევე, ახალი გარიგების დადების შესაძლებლობაა.

არსებული სადავო ურთიერთობის ახლებურად რეგულირების საკითხში (ახალი გარიგება) პოზიციები იდენტურია. თუმცა, განსხვავება არსებული ურთიერთობის მორიგებით შეცვლის და შეწყვეტის ფაქტია. საბოლოოდ, არსებული სადავო ურთიერთობი შეწყდება თუ შეიცვლება, დადგება ახალ გარემოებებზე შეთანხმების და, ამდენად, მორიგების, როგორც ახალი გარიგების საჭიროება.

ამდენად, მორიგება არსებული სადავო ურთიერთობის ახლებურად მოწესრიგების საფუძველია, ახალი ნების გამოვლენაა და, შესაბამისად, ახალი გარიგების წარმოშობაა. ახალი გარიგებით, თუ არსებული გარიგების ახლებურად მოწესრიგებით, ძველი ურთიერთობა წყდება. ამდენად, მორიგება გარიგების დროს გამოხატული ნების კომპლექსური გამოვლინებაა. ის ერთდროულად წყვეტს არსებულ ურთიერთობას და ახლებურად

<sup>222</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 09 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-438-410-2010.

<sup>223</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-621-84608. იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 112-113.

<sup>224</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2015 წლის 08 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-766-725-2015.

<sup>225</sup> *კროპილდერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 576.

<sup>226</sup> *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 28.

<sup>227</sup> იქვე.



რად არეგულირებს მას, რაც, საბოლოოდ, სწორედ რომ დავის ახალი შეთანხმებით გადაწყვეტის საშუალებაა,<sup>228</sup> რაც ფაქტობრივსამართლებრივი შედეგით ახალი გარიგებაა.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი განმარტავს მორიგების შინაარსს და აღგენს, რომ „ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში (ე.წ. ნოვაცია), როდესაც მხარეებს ეს სურთ“<sup>229</sup> ანუ მორიგების მხარეთა ნებაზე დამოკიდებული, არსებული დავის საგნის ირგვლივ მოხდება მორიგება, თუ მისი ახლებურად რეგულირება განხორციელდება.<sup>230</sup>

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კვლავ პირველი პოზიცია მოიაზრება, რომლის მიხედვით, „ვინაიდან მორიგება მხარეებისათვის ახალი ვალდებულებების წარმოშობას იწვევს, იგი ახალი სასარჩელო მოთხოვნის წარმოშობის საფუძველიცაა. ამიტომ მორიგება არ იწვევს არსებული ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტას ან ახლით მის შეცვლას, არამედ ახლებურად აწესრიგებს მას. მორიგების მიზანი არ არის ნოვაცია, არამედ ვალდებულებითი ურთიერთობის შეცვლა და ახლებურად განსაზღვრა, რომელზეც მხარეებს სურთ მორიგება“.<sup>231</sup>

## 2.5. მორიგების, როგორც გარიგების ბათილობა

ხელშეკრულების მოქმედების პროცესში შესაძლოა წარმოიშვას სხვადასხვა სახის უთანხმოებები, რომლებიც, როგორც წესი, დაკავშირებულია მხარეების მიერ ხელშეკრულების არსებითი პირობების დარღვევასთან. ერთ შემთხვევაში დაზარალებული მხარე მიმართავს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მეორე შემთხვევაში – კანონი იძლევა საშუალებას, მხარეთა ძალისხმევით არსებული ხელშეკრულება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე (*to modify the contract by agreement*).<sup>232</sup> თუმცა, არსებითად განსხვავებული ვითარებაა მაშინ, როცა მორიგება, როგორც გარიგება, ბათილდება.

უპირველეს ყოვლისა, „მორიგება თავისუფალი ნების გამოვლენაა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგის დადგომას ისახავს მიზნად. ის, თავისი ბუნებით, სამოქალაქოსამართლებრივი გარიგებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მასზე გარიგების ნამდვილობის ყველა ის მოთხოვნა ვრცელდება, რაც სამოქალაქო კოდექსითაა დადგენილი“.<sup>233</sup> მხარე-

<sup>228</sup> იხ. *ცერცვაძე ლ., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 200.

<sup>229</sup> მაგალითი მოყვანილია მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ მორიგების გაფორმების შემთხვევაზე. ვრცლად იხ. *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 57.

<sup>230</sup> იხ. და შეად. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 97.

<sup>231</sup> *ჭანტურია ლ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, თბ., 2001, 264. შემდგომი მითითებით: *Schuldrecht L., AT, 14. Aufl. 94.*

<sup>232</sup> *Ian Ayres., Speidel R. E.*, *Studies in Contract Law*, USA, 2008, 1095.

<sup>233</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე: №2ბ/4963-14.

თა მორიგება არის გარიგების საპროცესო ფორმა, რომელიც უნდა პასუხობდეს გარიგების დადებისთვის კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.<sup>234</sup>

„მორიგების ორმაგი ბუნებიდან გამომდინარე, იგი შეიძლება ბათილი იყოს, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე პროცესუალური გარემოებების გამო“.<sup>235</sup> მორიგების ბათილობის სამართლებრივი რეგულირება გარიგების ბათილობის ზოგადი ნორმებით ხორციელდება.<sup>236</sup> აღნიშნული დაკავშირებულია, მორიგების, როგორც გარიგების, მატერიალურ-სამართლებრივ ხასიათთან.

კერძოდ, მორიგება ბათილია, თუ ერთ-ერთი მხარე ქმედუუნარო ან მორიგების პირობები ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესს, საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. ამასთან, მორიგების პირობები არ უნდა იყოს კაბალური ან/და აღუსრულებელი პირობების შემცველი.<sup>237</sup> აკრძალულია სასამართლოს მიერ ისეთი გარიგების მორიგების სახით დამტკიცება, რომელიც შეიცავს ბათილი გარიგების ნიშნებს.<sup>238</sup>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მორიგების ბათილობა და უსწორობა, უპირველეს ყოვლისა, რეგულირდება ზოგადი ნორმებით. უშუალოდ ნორმის განმარტება ადგენს, რომ მორიგება სამართლებრივი ძალის არმქონეა თუ ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე საფუძვლად გამოყენებული ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება სინამდვილეს და დავა ან გაურკვეველობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს რომ ნამდვილი გარემოებები სცოდნოდათ (§779. (1)). აღნიშნული ეხება მორიგების საერთო საფუძვლებში და ასევე გარიგების სუბიექტურ საფუძვლებში შეცდომის<sup>239</sup> განსაკუთრებულ შემთხვევას. მორიგების ბათილობას იწვევს არ მხოლოდ შეცდომა ფაქტში, არამედ, ასევე, შეცდომა უფლებაშიც, რამდენადაც ის მოიცავს ფაქტებს, რომლებსაც განსაკუთრებული გავლენა აქვთ მორიგების დადებისთვის. მორიგება ბათილია მაშინ, როცა საქმის ნამდვილი ვითარების ცოდნის შემთხვევაში თავიდან იქნებოდა აცილებული ისეთი დავა ან გაურკვეველობა, რომელიც უნდა მოგვარდეს მორიგებით.<sup>240</sup>

<sup>234</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 113.

<sup>235</sup> *თოთლაძე ლ., გაბრიხიძე ვ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩახანიძე ე.*, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012, 296.

<sup>236</sup> ვრცლად იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 43.

<sup>237</sup> იხ. *ვოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 28.

<sup>238</sup> მორიგების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიჩნეულ იქნა ის გარემოება, რომ ბათილია ყველა გარიგება, რომელიც ყადაღადადებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდგომ ხორციელდება. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №2ბ/2436-09.

<sup>239</sup> *ჯორბენაძე ს.*, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2011, 189. შემდგომი მითითებით: იხ. სსკ, სადაც შეცდომის შესახებ უპირველეს დათქმას 72-ე მუხლი აკეთებს და სადაც ასევე უშუალოდ შეცდომაზე არაა კონკრეტული დეფინიცია გაკეთებული. სიტყვა – „კონკრეტული დეფინიცია“ გამოყენებულია აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი ნორმების სხვა ნორმებთან შედარების გათვალისწინებით. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლთან დაკავშირებით, სადაც განსაზღვრულია გარიგების ცნება.

<sup>240</sup> იხ. და შეად. *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 576-577.

მატერიალურ-სამართლებრივი გარემოებების საფუძველზე მორიგება ასევე ძალას კარგავს, როგორც საპროცესო მოქმედება. კერძოდ, „მორიგება, როგორც საპროცესო მოქმედება კარგავს იურიდიულ ძალას, თუ იგი ბათილია მატერიალურ-სამართლებრივი გარემოებების საფუძველზე, ვინიდან იგი კარგავს სასამართლოს მიერ საქმის დამთავრებისათვის აუცილებელ პროცედურულ ზემოქმედებას. იგივე ითქმის იმ შემთხვევაში, თუ მორიგება დადებულია განსაზღვრული პირობით და დადგა ან არ დადგა ეს პირობა. თუ მორიგება სასამართლოს მიერ პროცესუალური გარემოებების გამო არ იქნა დამტკიცებული, ამ შემთხვევაში შესაძლებელია იგი ინარჩუნებდეს იურიდიულ ძალას როგორც ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება, თუ ეს შეესაბამება მხარეების ჰიპოთეტურ ნებას“.<sup>241</sup>

---

<sup>241</sup> *თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩახანიძე ე.* განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012, 296-297.

## თავი IV. მორიგება, როგორც პროცესი

### I. მორიგება, როგორც საპროცესო მოქმედება

მორიგების პროცესის ცნება ქართულ სამართლებრივ სივრცეში არ მოიპოვება.<sup>242</sup>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მორიგების ორმაგ სამართლებრივ ბუნებას და ადგენს, რომ „სასამართლოში საქმის წარმოებისას დადებული გარიგება არის როგორც ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება, ისე საპროცესო მოქმედება. ვალდებულებით-სამართლებრივი თვალსაზრისით, მორიგება, როგორც წესი, გამოიწვევს მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ახლებურად ჩამოყალიბებას, ხოლო ის, როგორც საპროცესო მოქმედება – დავის საგანზე საქმის წარმოების შეწყვეტას და უზრუნველყოფის ღონისძიებებს გაუქმებას“.<sup>243</sup> აღნიშნული განმარტება მორიგებას განახილავს, როგორც გარიგებას და როგორც საპროცესო მოქმედებას. შესაძლებელია ითქვას, რომ მორიგება, როგორც საპროცესო მოქმედება, გულისხმობს მორიგების პროცესს, რომელიც მიმართული საქმის წარმოების დასრულებისკენ.

თავის მხრივ, მორიგების პროცესს, ასევე, ორმაგი სამართლებრივი ბუნება აქვს. ერთი მხრივ ის მორიგების დამოუკიდებელი პროცესია, ხოლო მეორე მხრივ – საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილი.

ყველა საზოგადოებრივ და სამართლებრივ ურთიერთობას სისტემურობა ახასიათებს.<sup>244</sup> სისტემურობა გარკვეული ეტაპების ერთობლიობას გულისხმობს. ეტაპები სამართლებრივ მოვლენის სტრუქტურული ნაწილებია და მის ერთიანობას უზრუნველყოფს. მორიგება დამოუკიდებელი სამართლებრივი პროცესია. თავის მხრივ, მორიგების დამოუკიდებელი პროცესიც სისტემურ ერთიანობას და სამართლებრივ წესრიგს<sup>245</sup> ეფუძნება.

მორიგების დამოუკიდებელ პროცესს დასაწყისი, ეტაპები (შუა ნაწილი) და დასასრული აქვს,<sup>246</sup> რომლებიც ხელს უწყობს მორიგების სწორ და თანმიმდევრულ მსვლელობას სათანადო შედეგის მისაღწევად.

მორიგების დამოუკიდებელი პროცესის დაწყების საფუძვლად დავა, ანუ კონფლიქტის არსებობის ფაქტობრივი მდგომარეობა მიიჩნევა, ხოლო მისი სამართლებრივი და ფაქტობრივი დასრულების საფუძვლად – მორიგების აქტის შემუშავება. სწორედ ამ ფაქტორთა სისტემური ერთობლიობა ქმნის მორიგების დამოუკიდებელ პროცესს.

მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი ფუნქციადაკარგული სამართლებრივი მოვლენა იქნება, თუ ის მხოლოდ დამოუკიდებელი პროცესის სახით იქნება განხილული და არ მოექცევა სამოქალაქო საქმის წარმოების ჭრილში.

ამდენად, მას შემდეგ, რაც მორიგების დამოუკიდებელი პროცესი სასამართლოში არსებული დავის სამართლებრივი შეწყვეტის საფუძველად

<sup>242</sup> იხ. და შეად. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 577.

<sup>243</sup> *თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე.*, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012, 296.

<sup>244</sup> იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 258.

<sup>245</sup> იხ. იქვე, 59.

<sup>246</sup> იხ. და შეად. *ოსტერმიდერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 129.

იქცევა, მორიგება საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილი ხდება. ეს გარემოება მორიგების დამოუკიდებელი პროცესის აქცესორულ ბუნებაზე მიუთითებს. მორიგების, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების შემადგენელ ნაწილად, განხილვას საფუძვლად უდევს მორიგების მიზანი – მორიგებით საქმის წარმოების შეწყვეტა.

მორიგების მიზანი დავის, კონფლიქტის მოგვარებაა.<sup>247</sup> თუმცა, კონფლიქტი, რომელიც სამოქალაქო საქმის წარმოების ობიექტია, სამართლებრივი წესით საჭიროებს რეგულირებას. შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული კონფლიქტი, სამომრიგებლო მცდელობები და მათ მიერ შეთანხმებული მორიგების აქტი, სწორედ სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესის დასრულების საშუალებას წარმოადგენს. უფრო ზუსტად კი, მორიგება სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

მორიგების, როგორც საპროცესო მოქმედების წარმართვის წინაპირობა სასამართლო ვალდებულებაშია. კერძოდ, სასამართლო ვალდებულება, პროცესის მიმდინარეობის პირველივე, და ყველა შემდგომ ეტაპზე მხარეებს საქმის მორიგებით დასრულება შესთავაზოს. „სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ“.<sup>248</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლო მორიგებისთვის ორ უმნიშვნელოვანეს პრინციპზე ამახვილდებს ყურადღებას: სასამართლოს მიერ მორიგების შეუთავაზებლობა და მორიგების პირობების კანონსაწინააღმდეგობა. „სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მხარეთა მორიგების თაობაზე, რითაც დაირღვა მათთვის კანონით მინიჭებული უფლება, თავად გადაეწყვიტათ დავის სამართლებრივი ბედი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაასრულონ. პალატა განმარტავს, რომ დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო სამართალწარმოებაში – ესაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და გარანტირებული მხარეთა შესაძლებლობა, თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები“.<sup>249</sup>

სასამართლოს გარდა, მორიგებით საქმის წარმოების დამთავრების თაობაზე, შესაძლოა, ინიციატივით გამოვიდეს მოსარჩელე, მოპასუხე და მესამე პირი. თუ მორიგების ინიციატივის საწინააღმდეგოდ სხვა მონაწილეები გამოთქვამენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას, მაშინ სასამართლო ვალდებულია, გამოიყენოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, რაც გამოიხატება საქმის წარმოების გადადებით ან რამდენიმე საათიანი შესვენების გამოცხადებით. კერძოდ, „საქმის მორიგებით

<sup>247</sup>Menkel-Meadow C., From Legal Dispute to Conflict Resolution and Human Problem Solving: Legal Dispute Resolution in a Multidisciplinary Context, Georgetown University Law Center, Scholarship@Georgetown law, © 2004 Association of American Law School, 54 J. Legal Educ. 7-29 (2004), 2004, 9.

<sup>248</sup>სსსკ-ის მუხლი 218-ე.

<sup>249</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №ას-531-764-08.



დამთავრების მიზნით, მოსამართლე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს.<sup>250</sup> ორივე საპროცესო მოქმედება მიზნად ისახავს მორიგების მოწინააღმდეგე მხარის დარწმუნებას და, შესაძლოა, დაყოლიებას მორიგებაზე, რაც უშუალო წინამძღვრება მორიგების პროცესის.

იმ შემთხვევაში, თუ მორიგების ინიციატორი მხარის წინადადებას მიიღებს მეორე მხარე,<sup>251</sup> საფუძველი ეყრება ახალ ეტაპს – სამომრიგებლო მოლაპარაკებების წარმოებას<sup>252</sup> და სამომრიგებლო წინადადებების შემუშავებას. ორმხრივი დათმობისა და ინტერესების<sup>253</sup> გათვალისწინებით შემუშავებული სამომრიგებლო პირობების შეჯამების შედეგად შემუშავდება მორიგების აქტის პროექტი. აღნიშნული პროექტი წარედგინება სასამართლოს მისი კანონიერების შემოწმების მიზნით.

მორიგების აქტი დგება მხარეთა რაოდენობისა და სასამართლოსთვის განკუთვნილი დამატებითი ეგზამპლარის ოდენობით<sup>254</sup> და გადაეცემა სასამართლოს შემდგომი განხილვისათვის. სასამართლო გადის რა სათათბირო ოთახში, ამოწმებს მორიგების აქტში ჩამოყალიბებული პირობების კანონიერებას, მათ შორის, მის სამართლებრივ ხასიათს სხვა პირთა მიმართ.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მორიგების აქტის პირობები ეწინააღმდეგება ან არღვევს კანონმდებლობას ან სხვა პირთა უფლებებსა და ინტერესებს, მაშინ მას გამოაქვს განჩინება მორიგების აქტის უარყოფის შესახებ.<sup>255</sup> იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მხარეთა მიერ შემუშავებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს, მაშინ ის გამოიტანს განჩინებას, მორიგების პირობების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.<sup>256</sup>

<sup>250</sup>სსსკ-ის მუხლი 218-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>251</sup>უფლის კომისიის მიერ მომზადებული სამოქალაქო საპროცესო სამართლის რეფორმის თანახმად, არსებული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები მოსამართლეს აძლევს უფლებას შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ ერთ-ერთი მხარე მეორე მხარეს დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტას სთავაზობს. მხარე, რომელიც უარს ამბობს ამგვარ თანამშრომლობაზე შესაძლოა „დაისაჯოს“, სასამართლოს მიერ პროცესის ხარჯების სრულად ანაზღაურებით, მაშინაც კი, როცა ეს მხარე პროცესს მოიგებს. იხ. *ცერცვაძე ვ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 117. შემდგომი მითითებით: *Fridrich, Fabian, M.* Das UNCITRAL-Modellgesetz über die international Handelsschlichtung, Ein Kommentar, “Shaker”, Aachen, 2006, s.18.

<sup>252</sup>*Riskin L. L., Westbrook J.E., Guthrie C., Reuben R.C., Robbennolt J.K., Welsh N. A.*, Dispute Resolution and Lawyers, fourth edition, USA, 2009, 168.

<sup>253</sup>იხ. *ცეცტკოვ ვ. ლ.*, კონფლიქტის ფსიქოლოგია, თბ., 2015, 208.

<sup>254</sup>მორიგების პირობები, ასევე, შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს ზეპირად, აისახოს სხდომის ოქმში (აუდიოჩანაწერში), რაც, საბოლოოდ, წერილობით ფიქსირდება სასამართლოს განჩინებაში. ეტაღურად იხ. ნაშრომის ნაწილი II, თავი III, ნაწილი 2. მორიგების აქტის ფორმა.

<sup>255</sup>მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე უარი ანუ მორიგების აქტის უარყოფა განჩინებით ეწინააღმდეგება მორიგების პროცესის არსს. სასამართლო, თავიდანვე უნდა იყოს ჩართული მორიგების აქტის შემუშავების პროცესში ისე, რომ წინაპირობა, მორიგების აქტის უკანონობისა და მისი განჩინებით უარყოფის თაობაზე აღარ უნდა არსებობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მორიგების დამოუკიდებელი პროცესის და ამ პროცესში მოსამართლის ჩართულობის მნიშვნელობა აზრს კარგავს.

<sup>256</sup>სსსკ-ის მუხლი 208-ე, ნაწილი 1-ლი.

განჩინება შესაძლებელია გასაჩივრდეს.<sup>257</sup> თუ არცერთი მხარე არ გაასაჩივრებს განჩინებას, ის შედის კანონიერ ძალაში. მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული განჩინება იძენს სასამართლო გადაწყვეტილების ძალას და იგი შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის. შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.<sup>258</sup> მორიგებით შეწყვეტილი საქმის წარმოება არ აძლევს არცერთ მხარეს უფლებას, ხელმეორედ მიმართონ სასამართლოს იმავე დავის საგანზე, იმავე მხარეებს შორის.<sup>259</sup>

ამდენად, მორიგება, ერთი მხრივ, თავისთავადი დამოუკიდებელი პროცესია, ხოლო მეორე მხრივ – საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილი. მორიგების აღნიშნული სამართლებრივი მდგომარეობები გამოიხატება ტერმინებით: მორიგება, როგორც „დამოუკიდებელი პროცესი“, და მორიგება, როგორც „პროცესის პროცესი“, ანუ საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილი.

## II. მორიგება, როგორც დამოუკიდებელი პროცესი

### 1. კონფლიქტი

#### 1.1. კონფლიქტის არსი

კონფლიქტი ადამიანური ურთერთობების თანმდევი მოვლენაა<sup>260</sup> და საზოგადოება მისი გადაჭრის დახვეწილ და ეფექტურ მეთოდებს საჭიროებს.<sup>261</sup> „სამართალი ხელს უწყობს განსხვავებული ინტერესების შერიგებას და ასრულებს კონფლიქტის მოწესრიგების ფუნქციას, სამართალს აკისრია კონფლიქტების თავიდან აცილების, ანუ პრევენციის ფუნქცია“.<sup>262</sup>

უხსოვარი დროიდან მოყოლებული, კონფლიქტი ყოველთვის არსებობდა კულტურაში, რელიგიაში, საზოგადოებაში და საზოგადოების მცდელობაც მიმართული იყო მისი აღმოფხვრის გზების ძიებისაკენ, რა-

<sup>257</sup> სსსკ-ის მუხლი 274-ე და კარი X, თავი LI.

<sup>258</sup> იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 300. იხ. *კროპილერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 577.

<sup>259</sup> სსსკ-ის მუხლი 273-ე, ნაწილი მე-2.

<sup>260</sup> *Menkel-Meadow C.*, From Legal Dispute to Conflict Resolution and Human Problem Solving: Legal Dispute Resolution in a Multidisciplinary Context, Georgetown University Law Center, Scholarship@Georgetown law, © 2004 Association of American Law School, 54 J. Legal Educ. 7-29 (2004), 2004, 9.

<sup>261</sup> *Byrne R.*, *BCL, LLM (NUI) (Director of Research)*, *Clancy Á.*, *BCL, LLM (NUI)*, *Flaherty P.*, *BCL, LLM (NUI)*, *Diop sa GH (NUI)*, *Leane E.*, *LLB, LLM (NUI)*, *Ní Chaoimh G.*, *BCL, LLM (NUI)*, *Ní Dhrisceoil V.*, *BCL (Dlí agus Gaeilge)*, *LLM (NUI)*, *O'Grady J.*, *BCL, LLB (NUI)*, *LPC (College of Law)*, *O'Mahony C.*, *BA, LLB (NUI)*, *LLM (Lond)*, *LLM (NUI)*, *Staunton C.*, *BCL, LLM (NUI)*, *Diop sa GH (NUI) (Legal Researchers)*, *Barrister-at-Law*, Alternative Dispute Resolution, Consultation Paper, Law Reform, (LRC CP 50-2008) ©Copyright Law Reform Commission, First Published July 2008, ISSM 1393-3140, 9.

<sup>262</sup> *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 60.

თა მინიმუმამდე დაეყვანათ მისით გამოწვეული უარყოფითი და არასასურველი შედეგები.<sup>263</sup>

მორიგების პროცესის არაფორმალურ საწყისად მხარეთა შორის არსებული კონფლიქტი მიიჩნევა.<sup>264</sup> კონფლიქტი ორბუნებოვანი სოციალური მოვლენაა. ის, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ადამიანების წინსვლას, ადამიანებს აძლევს განვითარების შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, მას შეუძლია დაანგროს ადამიანური ურთიერთობები.<sup>265</sup>

ამის გარდა, კონფლიქტი, ერთი მხრივ, ასოცირდება წინააღმდეგობასთან, დაპირისპირებასა და ძალადობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, კონფლიქტის მოგვარებასთან, გადაჭრასთან. შესაბამისად, კონფლიქტის ფუნქცია ორი სახისაა – ერთი დესტრუქციული (უარყოფითად აღქმული) და მეორე – კონსტრუქციულ (პოზიტიურად აღქმული).<sup>266</sup>

საზოგადოებრივი ურთიერთობები უსაზღვრო და მრავალფეროვანია, მაგრამ, უმეტესწილად, ისინი კონფლიქტების სახით გვევლინება. „ტერმინი კონფლიქტი თავდაპირველად „ჩხუბს“ ნიშნავდა, კამათს, ჭიდილს, დაპირისპირებას მხარეებს შორის. შემდეგ ეს განმარტება შეიცვალა და გახდა „მკვეთრი დაპირისპირება ან/და უთანხმოება, რომელიც გამომდინარეობს განსხვავებული ინტერესების<sup>267</sup> და/ან იდეებისგან“.<sup>268</sup>

კონფლიქტს გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორები განაპირობებს, შესაბამისად, კონფლიქტის დასრულებაც ობიექტური მიზეზების მოსპობითა და სუბიექტური მიზეზების შესუსტებით მიიღწევა.<sup>269</sup>

კონფლიქტი ორ ან მეტ პიროვნებას შორის წარმოშობილი უარყოფითი ემოციებით დატვირთული ურთიერთობაა.<sup>270</sup> კონფლიქტში მონაწილე პირთა სიმრავლე, გარკვეულწილად, ცვლის კონფლიქტის სახეს და მას შედარებით ართულებს.

კონფლიქტს, როგორც მოვლენას, რამდენიმე სტადია აქვს. პირველ სტადიაზე არსებობს მხოლოდ რამდენიმე ფაქტი, რომელიც მხარეებს სხვადასხვაგვარად ესმით, ან საერთოდ არ ესმით. მეორე სტადია იწყება მაშინ, როდესაც მხარეები იღებენ ქაოსურ და ემოციურ გადაწყვეტილებებს ისე, რომ მათ თვითონაც არ ესმით ამ გადაწყვეტილების მიზანი.

<sup>263</sup> Katz A., The Effect of Frivolous Lawsuits on the Settlement of Litigation, Department of Economics and Law School, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USA, International Law Review of Law and Economics )1990), 10 (3-27), 2.

<sup>264</sup> „კონფლიქტი – აზრთა განსხვავებულობა, სხვადასხვაობაა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ჩვენს ძალისხმევას დავიკმაყოფილოთ ჩვენი ინტერესები“. Hames D. S., Negotiation, Clothing Disputes, and Making Team Decisions, University of Nevada, Las Vegas, Los Angeles/London/New Delhi/Singapore/Washington DC/, 2012, 3.

<sup>265</sup> იხ. *ცერცვაძე ვ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 29.

<sup>266</sup> იხ. *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია, თბ., 2012, 5.

<sup>267</sup> განსხვავებული ინტერესების (მოთხოვნების) არსებობისას მორიგების მიღწევა გაცილებით იოლია. იხ. და შეად. *ოსტერმიდერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 86.

<sup>268</sup> *ჩალაძე ვ.*, მედიაცია და კონფლიქტის ფსიქოლოგია, მედიაცია – კონფლიქტის მოგვარება მოლაპარაკების გზით, თბ., 2014, 23.

<sup>269</sup> იხ. *ცეცტკოვ ვ. ლ.*, კონფლიქტის ფსიქოლოგია, თბ., 2015, 208.

<sup>270</sup> Katz A., The Effect of Frivolous Lawsuits on the Settlement of Litigation, Department of Economics and Law School, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USA, International Law Review of Law and Economics)1990), 10 (3-27), 2.

ასეთ ვითარებაში მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება. მესამე ეტაპზე ხდება „ყველა დამაკავშირებელი ხიდის დაწვა“, რა დროსაც მხარეები წყვეტენ კომუნიკაციას. ვითარდება ღია კონფლიქტური მდგომარეობა. როგორც წესი, სწორედ ამ ეტაპზე იწყება იმ პროცედურის ძებნა, რომლის მეშვეობითაც დავა უნდა გადაწყდეს. შესაძლო შედეგებია: დამარცხება, გამარჯვება და კომპრომისი.<sup>271</sup>

საწყის ეტაპზე კონფლიქტის აღმოფხვრის ძიების გზა ყოველთვის იურიდიული არ არის, უფრო ზუსტად კი, პირდაპირ იურიდიული საფუძვლებით არ იწყება. როგორც წესი, მოლაპარაკებების<sup>272</sup> მცდელობა ჯერ კიდევ სასამართლოში საქმის განხილვამდე მიმდინარეობს. თუმცა, ამ ეტაპზე მოდავე მხარეები დაინტერესებული არიან არა კონფლიქტის დარეგულირების გზების, არამედ დამნაშავეს ძიებით.

მიზეზ-შედეგობრივი მოდელის თანახმად, ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ მეორე მხარემ წარმოქმნა კონფლიქტის მიზეზი, რომელზეც მან მხოლოდ რეაგირება მოახდინა. შესაბამისად, ეს თავისმართლების მდომარეობაა. ამ დროს ხდება საკუთარი ესკალაციის გამართლება მოწინააღმდეგე მხარის საქციელით.

ზემოაღნიშნული პროცესი მხოლოდ თავისმართლებით არ შემოიფარგლება და განზოგადებული კონფლიქტის სახეს იღებს. შედეგად კონფლიქტში ერთვება სხვა ასპექტები და პირები. დავა ხდება უფრო კომპლექსური, რის გამოც რთულდება შეთანხმების მიღწევა. განზოგადებული კონფლიქტის თანმდევი მოვლენა პერსონიფიკაცია და რეაქტიული გაუფასურებაა. აღნიშნული გულისხმობს პროცესზე პირისა და მისი არგუმენტების დამცირება-გაუფასურებას. წინადადების უარყოფას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მომდინარეობს მეორე მხარისაგან.<sup>273</sup>

## 12. კონფლიქტის მართვა

კონფლიქტი შესაძლოა წარმოიშვას ნებისმიერ სიტუაციასა და გარემოებაში. რადგან კონფლიქტი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია, აუცილებელია მისი მართვა (*conflict management, or conflict resolution*).<sup>274</sup>

კონფლიქტს გარკვეული პირამიდული წყობა ახასიათებს. პირველ ეტაპზე, მხარე სრულად უმოქმედოა. შესაძლოა, მან მიმართოს არაფორმალური მოლაპარაკებების პროცესს, რჩევას. შემგომი ეტაპი ან სასამართლოსადმი მიმართვა ან დავის ალტერნატიული ფორმით გადაწყვეტაა.<sup>275</sup>

<sup>271</sup> იხ. *ცერცვაძე ვ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 271-272. შემდგომი მითითებით: *Heussen, Benno.*, Die Auswahl des richtigen Verfahrens-ein Erfahrungsbericht, in: *Haft, Fritjof, von Schlieffen, Katherina.* (Hrsg.) Handbuch Mediation, 2. Auflage, „Beck“, München, 2009, 221.

<sup>272</sup> იხ. *ცვეტკოვ ვ. ლ.*, კონფლიქტის ფსიქოლოგია, თბ., 2015, 212.

<sup>273</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 23-24.

<sup>274</sup> *Katz A.*, The Effect of Frivolous Lawsuits on the Settlement of Litigation, Department of Economics and Law School, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USA, *International Law Review of Law and Economics* (1990), 10 (3-27), 2.

<sup>275</sup> *Byrne R.*, BCL, LL.M (NUI) (Director of Research), *Clancy Á.*, BCL, LL.M (NUI), *Flaherty P.*, BCL, LL.M (NUI), *Diop sa GH* (NUI), *Leane E.*, LLB, LL.M (NUI), *Ní Chaoimh G.*, BCL, LL.M (NUI), *Ní Dhrisceoil V.*, BCL (Dlí agus Gaeilge), LL.M (NUI), *O’Grady J.*, BCL, LLB (NUI), LPC (College of



იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ საბრძოლო განწყობა, მათი აზრით, არსებობენ მხოლოდ გამარჯვებულები და დამარცხებულები. ის, რომ შესაძლოა გაიმარჯვოს ორივე მხარემ, ან ორივე დამარცხდეს, ასეთ სიტუაციებში არ განიხილება.

კონფლიქტის არსებობა ართულებს მხარეთა როგორც საქმიან, ასევე პიროვნულ ურთიერთდამოკიდებულებას, აღრმავებს კონფლიქტის საფუძვლებს და მხარეებს, საბოლოოდ, ნეგატიურად განაწყობს ერთმანეთის მიმართ.

კონფლიქტის მართვის არსი და მიზანი კონფლიქტის დარეგულირებაა. „მართლწესრიგის ფუნქციაა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება, როდესაც დავა წყდება არა ძლიერის სასარგებლოდ, ან პირადი შეხედულებების მიხედვით, არამედ სამართლის მოთხოვნათა საფუძველზე“.<sup>276</sup>

ასეთ ვითარებაში, მხარის ინიციატივა, კონფლიქტის მართვის და თვითრეგულირების თაობაზე, უშედეგოა. კონფლიქტის დარეგულირების მცდელობის არასწორად და უშედეგოდ წარმართვის შემდგომ ერთ-ერთი მხარე იღებს გადაწყვეტილებას, სახელმწიფო და საკანონმდებლო გზით ეცადოს მეორე მხარესთან მოავაროს კონფლიქტი. ამგვარად, მხარეს დავის გადაწყვეტის საშუალებად სასამართლოსათვის მიმართვა მიაჩნია, რითაც უზენაეს მართლმსაჯულებას ანდობს საკუთარ ბედს. „პირი კი, რომელსაც კონფლიქტისადმი ემოციურად ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს, დაინტერესებულია მისი მოგვარებით“.<sup>277</sup>

შემდგომი მოვლენების დადებითად განვითარება კონფლიქტის მონაწილე მხარეთა სურვილსა და მონდომებაზეა დამოკიდებული. თუმცა, აღნიშნული ფაქტორები ვერ იქნება კონფლიქტის მოგვარების გარანტი. კონფლიქტის მოგვარება საჭიროებს ძალისხმევას, რომლის შედეგი ორმხრივი ინტერესების დაკმაყოფილება და ორივე მხარისათვის სასურველი შედეგის მიღწევაა.

სამართლებრივ ურთიერთობათა სტაბილური და თანმიმდევრული განვითარებისათვის აუცილებელია არსებობდეს და მოქმედებდეს მოდავე მხარეთა ურთიერთობის უსაფრთხო და ურთიერთშეთანხმებული განვითარების შემდგომი შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში სწორედ მორიგებამ უნდა იკისროს მისი უმთავრესი – დავის მოგვარების ფუნქცია. აღნიშნული უზრუნველყოფს სამართლებრივ ურთიერთობათა სტაბილურ და თანმიმდევრულ განვითარებას, რომელიც ლოგიკურ დასასრულამდე უფრო მარტივად მიდის მორიგების საშუალებით.

---

Law), O'Mahony C., BA, LLB (NUI), LLM (Lond), LLM (NUI), Staunton C., BCL, LLM (NUI), Diop sa GH (NUI) (Legal Researchers), Barrister-at-Law, Alternative Dispute Resolution, Consultation Paper, Law Reform, (LRC CP 50-2008) ©Copyright Law Reform Commission, First Published July 2008, ISSM 1393-3140, 13.

<sup>276</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2015, 60-61.

<sup>277</sup> ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 33.



## 2. კომუნიკაცია

### 2.1. კომუნიკაციის არსი

კომუნიკაციის არსი<sup>278</sup> მოსაგვარებელი პრობლემიდან გამომდინარეობს. მორიგების აუცილებელი წინაპირობა კონტაქტის არსებობაა. კონტაქტის ნაირსახეობაა მხარეთა მუდმივი კომუნიკაცია,<sup>279</sup> რომელიც აუცილებელია წარმართოს სწორი ფორმით, რათა არ დაიკარგოს ის მცირედი შანსი, რომელმაც მხარე მორიგების გადაწყვეტილებამდე უნდა მიიყვანოს.

არავის ძალუძს მოლაპარაკების წარმოება აზრების გაცვლის ანუ კომუნიკაციის გარეშე.<sup>280</sup> აუცილებელია საქმის წარმოების ყოველ ეტაპზე არსებობდეს მხარეთა შორის კონტაქტი, რომელიც გახდება მორიგებისთვის საფუძველი.

კონტაქტის არარსებობა<sup>281</sup> ან სურვილის არქონა<sup>282</sup> გამორიცხავს მორიგების შესაძლებლობას. მხარეებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ საქმის „ამგვარად“,<sup>283</sup> ანუ კონტაქტის გარეშე წარმართვის შედეგი არცერთი მხარისათვის არ იქნება სასურველი და, შესაძლოა, მათ „მეტი“ დაკარგონ.

მეცნიერება კომუნიკაციას ხსნის, როგორც ინფორმაციების, ფაქტების, შემეცნებების, აზრების, შეფასებების, გრძნობების, შეგრძნებების, მოლოდინისა და სურვილების ურთიერთგაცვლას.<sup>284</sup>

აუცილებელია, კომუნიკაცია ეფუძნებოდეს კეთილ ნებას, პასუხისმგებლობასა და დავის საგნისადმი სწორ დამოკიდებულებას. კონტაქტის მუდმივობის შესანარჩუნებლად აუცილებელია სწორი კომუნიკაცია, მოლაპარაკებების პროცესის ინტენსიური წარმოება.<sup>285</sup>

კომუნიკაცია – ეს არის წარმატებული სასამართლო სხდომის საფუძველი და საწინდარი.<sup>286</sup> სასამართლო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა ის, რომ პროცესის მონაწილეებს ესმით რას ამბობენ და

<sup>278</sup> კომუნიკაცია ნიშნავს მოსმენისა და სიტყვის თქმის შერწყმას. იხ. *ლემპერერი ა. პ., კოლსონი ო.*, მოლაპარაკების მეთოდები, თბ., 2009, 72.

<sup>279</sup> კომუნიკაციის სახეები (ტიპები). *Yong K. S., Travis H. P.*, Oral Communication, Skills, Choices, and Consequences, Long Grove, Illion, 2012, 59.

<sup>280</sup> იხ. *ლემპერერი ა. პ., კოლსონი ო.*, მოლაპარაკების მეთოდები, თბ., 2009, 72.

<sup>281</sup> იხ. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 272. შემდგომი მითითებით: *Schreiber, Alexander*, Obligatorische Beratung und Mediation, ein Verfahrensmodell für die außergerichtliche, Streitbeilegung im Rahmen des §15 EGZPO, “Dunker&Humblot”, Berlin, 2007, s. 266.

<sup>282</sup> უმეტესად, სამომრიგებლო კონტაქტის სურვილი ჩნდება მხარეთა მიერ საქმის წარმოების პროცესში ობიექტური გარემოებების მათთვის არასასურველი მიმართულებით განვითარების უკვე მეტად რთულ ეტაპზე.

<sup>283</sup> იგ. მათთვის არასასურველი ფორმით.

<sup>284</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომაში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 8.

<sup>285</sup> მოლაპარაკების წარმოების სტადია ცალკე განიხილება, თუმცა, ის შესაძლოა სამომრიგებლო მცდელობის ერთ-ერთ სახედ და შემადგენელ ნაწილად იქნეს მიჩნეული.

<sup>286</sup> *ჩახანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ.*, კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013, 8.

რისი თქმა უნდათ მოსარჩელებს, მოპასუხეებს, ადვოკატებს, მოსამართლეებს.<sup>287</sup>

## 2.2. კომუნიკაციის საფუძვლები

უპირველეს ყოვლისა, კომუნიკაცია მხარეთა შორის ურთიერთობის ფაქტობრივი მდგომარეობაა. ურთიერთობა პირველხარისხოვანია. კარგი ურთიერთობა ეხმარება კომუნიკაციის მხარეებს ორმხრივი მოტივაციის სათანადოდ გაგებაში, რაც მოლაპარაკების კარგ საწყისს ქმნის.<sup>288</sup>

წარმატებული კომუნიკაციის საფუძველია მოსამართლის განწყობა და დამოკიდებულება პროცესის თითოეული მონაწილისადმი, თუ როგორ წარსდგება მოსამართლე მხარეების წინაშე და როგორ იმოქმედებენ მხარეები მის მიმართ.<sup>289</sup>

კომუნიკაცია ეფუძნება პატივისცემას. პატივისცემა, როგორც წესი, გამოიხატება მაშინ, როდესაც მოსამართლე მხარეს აძლევს სიტყვას, ეკითხება მის მოსაზრებებს, სერიოზულად უდგება მის განმარტებებს და აგრძნობინებს გარკვეულ ნდობასა და პატივისცემას. ხოლო უპატივცემულობა, როდესაც მოსამართლე იქცევა იმის საწინააღმდეგოდ, რაც წარმოადგენს პროცესის მონაწილის მიმართ პატივისცემით განწყობის გამოხატულებას.<sup>290</sup>

მოსამართლეებისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ სხდომის მართვისას და პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობისას, ისინი მუდმივად ეხებიან ადამიანებს შორის არსებულ დამოკიდებულებების შრეს. მოსამართლეებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ სასამართლო დარბაზში შექმნან დადებითი კლიმატი, პროცესის ცალკეულ მონაწილეებთან ურთიერთობა უნდა წარმართონ შედეგობრივად. ამით მოსამართლემ უნდა შეძლოს ნაკლებად წარმატებული პროცესის დადებითად შემობრუნება.<sup>291</sup>

თავის მხრივ, კომუნიკაცია სამომრიგებლო მოლაპარაკებების ფუნდამენტური საფუძველია. ეს ერთგვარი კომპლექსური პროცესია იმ ბევრი გამოწვევით, რომელიც შესაძლებელია მოლაპარაკებებით დაიძლიოს.<sup>292</sup>

კომუნიკაცია პროცესია, რომლის ერთიანობას გარკვეული გარემოებების ერთობლიობა ქმნის, რომელშიდაც მოიაზრება: ანალიტიკური მოსმენა, ვერბალური კომუნიკაცია, არავერბალური კომუნიკაცია, სოციალუ-

<sup>287</sup> იხ. *გოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.* (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 8-9-11.

<sup>288</sup> იხ. *ლემპერერი ა. პ., კოლსონი ო.*, მოლაპარაკების მეთოდები, თბ., 2009, 86.

<sup>289</sup> იხ. *გოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.* (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 8-10.

<sup>290</sup> იხ. იქვე, 8-9-12.

<sup>291</sup> იხ. იქვე, 12.

<sup>292</sup> *Hames D. S.*, Negotiation, Clothing Disputes, and Making Team Decisions, University of Nevada, las Vegas, Los Angeles/London/New Delhi/Singapore/Washington DC/2012, 159.

რი აღქმა, ემოციების მართვა, გეგმა და წესრიგი/თანმიმდევრულობა, თვალსაჩინოობა და საკითხთა საინტერესო წარმოდგენა.<sup>293</sup>

„კომუნიკაციის არსებითი მიდგომაა, რომ ადამიანი თავისი არსებობის მანძილზე ესწრაფვის მისი უმთავრესი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას – გაუგონ და მოუსმინონ მას“.<sup>294</sup>

კომუნიკაცია ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და მიღების პროცესია, რომელიც შესაძლოა იყოს ვერბალური და არავერბალური,<sup>295</sup> ასევე, ორივე მათგანის ერობლივი სინთეზი.<sup>296</sup>

სამოსამართლო ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის პროცესის მონაწილეებთან კომუნიკაციის წესს, რასაც მოსამართლე მორიგების პროცესშიც მისდევს და იცავს, თუმცა, მორიგებისას მხარეების და მოსამართლის კომუნიკაცია განსხვავებულ ფორმატში მიმდინარეობს. სსსკ-ის 218-ე მუხლი ადგენს, რომ მოსამართლეს შეუძლია სხვ პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს, 208-ე მუხლის თანახმად კი – ჩანიშნოს მოსამზადებელი სხდომა ან მხარეთა სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია, ამასთან, თუ ვერ ხერხდება ერთ მხარესთან დაკავშირება, გაესაუბროს მხოლოდ მეორე მხარეს. კომუნიკაცია, რომელსაც მოსამართლე მორიგებისას მიმართავს სპეციფიკურია და ნაკლებადაა მოქცეული სასამართლო სხდომის მიმდინარეობის მკაცრი წესების ფარგლებში. ამდენად, არსებითია, რომ მოსამართლე სიფრთხილით მიუდგეს მორიგების პროცესში მხარეებთან კომუნიკაციას, რათა ერთი მხრივ მიღწეულ იქნეს მორიგება, ხოლო მეორე მხრივ – მოსამართლე არ გასცდეს სამოსამართლო ეთიკის კოდექსით დადგენილ კომუნიკაციის წესს.<sup>297</sup>

<sup>293</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 14.

<sup>294</sup> ჩახანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013, 12.

<sup>295</sup> კომუნიკაციის კლასიფიკაცია ასევე შესაძლებელია პირდაპირი (*face to face*) და ელექტრონული (*mail*) საშუალებით. Hames D. S., Negotiation, Clothing Disputes, and Making Team Decisions, University of Nevada, las Vegas, Los Angeles/London/New Delhi/Singapore/Washington DC/2012, 159.

<sup>296</sup> Cowles K. M., Communication in the Courtroom, Coastal Carolina University, 2011, 4.<<https://www.coastal.edu/media/administration/honorsprogram/pdf/Kathryn%20Cowles.pdf>>,[19.05.2016] . Katz A., The Effect of Frivolous Lawsuits on the Settlement of Litigation, Department of Economics and Law School, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USA, International Law Review of Law and Economics )1990), 10 (3-27), 9.

<sup>297</sup> იხ. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, მიღებული საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა 2007 წლის კონფერენციის მიერ, მუხლი მე-7, <<http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>>,[19.05.2016]. სამოსამართლო ეთიკის წესები, კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის სამართლის უზენაესობის ინიციატივა, 2008, 15.

## 2.3. კომუნიკაციის სახეები

### 2.3.1. ანალიტიკური მოსმენა

სასამართლო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა ის, რომ პროცესის მონაწილეებს ესმით ერთმანეთის.<sup>298</sup> როდესაც მხარე სათქმელს ვერ გამოთქვამს მკაფიოდ, ერთი მხარის მიერ ნათქვამი სხვა მონაწილეებს სხვაგვარად ესმით, რაც იწვევს გაუგებრობას.<sup>299</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ერთ მესიჯში მოთავსებული რამდენიმე გზავნილი და ინფორმაცია, კომუნიკაცია მრავალშრიანი:

- საქმიანი ინფორმაცია, ანუ მშრალი ფაქტობრივი შინაარსი, ანუ ის, რის შესახებაც მხარე გადმოსცემს ინფორმაციას;

- თვითგამოაშკარავება, რომლის ასპექტებიც მესიჯში მოცემულია ქვეცნობიერად, ან მესიჯის ავტორის სურვილის საწინააღმდეგოდ კი. თვითგამოაშკარავების ასპექტი ინფორმაციას იძლევა მესიჯის ავტორზე, მის განწყობაზე, შეხედულებებზე, ინტერესებსა და მის გრძნობებზეც კი;

- ურთიერთობის/დამოკიდებულების სიგნალები, რომელიც მიანიშნებს იმაზე, თუ რა განწყობა და წარმოდგენა აქვს მოსაუბრეს თანამოსაუბრეზე და, ასევე, მიუთითებს მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე;<sup>300</sup>

- აპელირება და მოწოდება კონკრეტული ქმედების განხორციელებისკენ.

იგივე წესი ვრცელდება მოსამართლეებზეც. საუბრისას მოსამართლეებიც (ცნობიერად თუ ქვეცნობიერად) გამოხატავენ თავიანთ განწყობას ნათქვამის ადრესატების მიმართ, როდესაც ისინი სასამართლო სხდომაზე ურთიერთობენ მხარეებთან, ადვოკატებთან, მოწმეებთან.<sup>301</sup>

მოსამართლეები ერთმნიშვნელოვნად უნდა იყვნენ დაინტერესებული, საქმის წარმოების და, უშუალოდ, მორიგების პროცესის წარმართვისას სასამართლო სხდომის დარბაზში შექმნან სათანადო გარემო-პირობები. პროცესის მონაწილე პირებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მოუსმინონ და გაუგონ ერთმანეთს, სწორად გაიაზრონ თითოეული მხარის მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

ამისთვის აუცილებელია აპელირება და მოწოდება კონკრეტული ქმედების განხორციელებისკენ, რათა მოსაუბრე მხარემ იგრძნოს, რომ მისი საშუალებით გარკვეული მოქმედება უნდა განხორციელდეს.

მოსამართლემ უნდა შეძლოს, სათანადო დროს მისცეს მხარეს სიტყვის წარმოთქმის უფლება და სათანადო დროს შეაჩეროს იგი, რათა მეო-

<sup>298</sup> *Katz A.*, The Effect of Frivolous Lawsuits on the Settlement of Litigation, Department of Economics and Law School, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USA, International Law Review of Law and Economics )1990), 10 (3-27), 9.

<sup>299</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2010, 11.

<sup>300</sup> იხ. იქვე.

<sup>301</sup> იქვე, 12.

რე მხარემ აღიქვას გადმოცემული მოსაზრება და ინფორმაცია, ე. ი. მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს აზრის მოსმენა-გადაცემის პროცესი.

სხდომის ეფექტურად წარმართვის წინაპირობაა მოსამართლის მიერ იმის გაცნობიერება, რომ ნებისმიერი განცხადება შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა მესიჯს.<sup>302</sup>

### 2.3.2. ვერბალური კომუნიკაცია

კომუნიკაცია, რომელიც მხარეებს, მხარეებსა და მოსამართლეს შორის მყარდება, მოიცავს ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციას.<sup>303</sup>

„კომუნიკაცია – ესაა ინფორმაციის გაცვლის პროცესი, რომელიც ადამიანებს შორის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით ხორციელდება. ყველაზე ხშირი სიტყვაში ანუ მეტყველებაში გამოხატული ინფორმაციის გადაცემაა ე.წ. ვერბალური კომუნიკაცია.“<sup>304</sup>

ვერბალურ კომუნიკაცია მოიცავს ენობრივ კომუნიკაციას.<sup>305</sup> ამასთან, ის შეიძლება იყოს ზეპირი და წერილობითი.<sup>306</sup>

ვერბალური კომუნიკაცია გულისხმობს მარტივ და სადა საუბარს,<sup>307</sup> სადაც გამოიყენება ნაცნობი სიტყვები, მოკლე წინადადებები, გამოკვეთილია საუბრის გასაგები სტრუქტურა და ლაიტმოტივი. არავერბალური კომუნიკაცია კი სხეულის ენაა, რომელიც გულისხმობს კომუნიკაციის იმ ნაწილსა და ელემენტს, რომელიც მოცემულია წარმოთქმული სიტყვის მიღმა.<sup>308</sup>

ხშირად მოსამართლეები მეტად რთული სტილით საუბრობენ, რაც განპირობებულია მოჭარბებული ტერმინოლოგიის გამოყენებით.<sup>309</sup> საუბარი უნდა იყოს მარტივი, კონკრეტული, ნათელი, ზუსტი განმარტებებით.<sup>310</sup>

<sup>302</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 13.

<sup>303</sup> ასევე კომუნიკაციის ერთ-ერთი სახეა მოსამართლის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ფორმულირება, რომელიც გასაგები ენით უნდა იყოს გადმოცემული. იხ. ჭანტურია ლ., ბოელინგი პ., სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 75.

<sup>304</sup> ჩახანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013, 11.

<sup>305</sup> Cowles K. M., Communication in the Courtroom, Coastal Carolina University, 2011, 4. <<https://www.coastal.edu/media/administration/honorsprogram/pdf/Kathryn%20Cowles.pdf>>, [19.05.2016].

<sup>306</sup> Tait K., Effective Courtroom Communication, University of Nevada, 2006, 3. <<http://www.courts.ca.gov/partners/documents/EffectiveCourtroomComm.pdf>>, [19.05.2016].

<sup>307</sup> „მოსამართლემ უნდა ისაუბროს ლაკონურად და მარტივ ენით, რათა მოქალაქისათვის ნათელი იყოს მისი კითხვის, მოთხოვნისა თუ გადაწყვეტილების შინაარსი“. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტები, ძალაშია 2009 წლის 02 ნოემბრიდან, თავი IV, მუხლი მე-14, ნაწილი მე-5.

<sup>308</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 15.

<sup>309</sup> იხ. იქვე.

<sup>310</sup> Katz A., The Effect of Frivolous Lawsuits on the Settlement of Litigation, Department of Economics and Law School, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USA, International Law Review of Law and Economics )1990), 10 (3-27), 9.



გასაგები საუბარი გულისხმობს საუბარს, როცა გამოყენებული იქნება მოკლე წინადადებები, ნაცნობი სიტყვები და საუბრის მარტივი გრამატიკული ფორმები.<sup>311</sup>

გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია ყურადღება მიექცეს მოსამართლის მხრიდან თითოეული სიტყვის გააზრებულად გამოყენებას და მხარეების მიერ ნათქვამის სწორად გაგებას, რომ მოსამართლე და მხარეები შეჯერდნენ ნათქვამისა და გაგებულის ერთიან დატვირთვაზე.<sup>312</sup>

საუბრის შინაარსი გეგმიური და თანმიმდევრული უნდა იყოს, საუბარი – მოკლე და კონკრეტული. იგულისხმება კონცენტრაცია მნიშვნელოვან ინფორმაციაზე და პროცესის მონაწილეებისათვის გასაგები ფორმით მის მიწოდებაზე. მოსამართლე უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ არსებითით, რაც, ბუნებრივია, მოითხოვს იმის კარგად გააზრებას, თუ რაზე აპირებს იგი საუბარს. სწორი ვერბალური კომუნიკაციისას აუცილებელია მოსამართლე საუბრობდეს გარკვევით და გასაგებად, რათა მისმა ნათქვამმა მიაღწიოს ადრესატამდე. ამისათვის მან უნდა იცოდეს, თუ რა საფეხურზე დგას ადრესატი თავისი აზრებით<sup>313</sup> და ნათქვამი უნდა ჩამოაყალიბოს შეძლებისდაგვარად მკაფიოდ.<sup>314</sup>

### 2.3.3. არავერბალური კომუნიკაცია

არავერბალური კომუნიკაცია,<sup>315</sup> ანუ სხეულის ენა გულისხმობს კომუნიკაციას სიტყვის მიღმა და მოიცავს ქესტიკულაციას, გამომეტყველებით კომუნიკაციას, სხეულის ენას და ყოველივე იმას, რაც სიტყვის გარეშეა.<sup>316</sup> ის ერთგვარი „მოძრაობის წესებია“, რომლებიც მართავენ მოსაუბრესა და მსმენელს შორის საუბარს.<sup>317</sup>

<sup>311</sup>Tait K., Effective Courtroom Communication, University of Nevada, 2006, 3. <<http://www.courts.ca.gov/partners/documents/EffectiveCourtroomComm.pdf>>, [19.05.2016].

<sup>312</sup>იხ. ჩახანძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013, 12.

<sup>313</sup>„გამონათქვამები, რომელსაც მოსამართლე პროცესზე იყენებს, შეიძლება წარმოადგენდეს მოსამართლის საქმიანობიდან გამოცალკევებად გარეგანი წესრიგის სფეროს მიკუთვნებად ფორმალურ ელემენტს და ამიტომ უნდა მიკუთვნებულ იქნას გარეგანი წესრიგის სფეროს“. „რაიონის (ქალაქის) მოსამართლემ, მორიგების პროცესის მსვლელობისას ერთ-ერთი მხარის საპროცესო წარმომადგენელთან კამათისას პროცესში მას ჰკითხა „არ გინდათ მომისმინოთ ან მეტისმეტად სუფელი ხართ, რომ ჩემს ნათქვამს გულისყურით მოეკიდოთ“. ვრცლად იხ. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს (BGH) გადაწყვეტილებები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის თემაზე, 19-20. <<http://www.tbappeal.court.ge/?news=317&mc=1>>, [19.05.2016].

<sup>314</sup>იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 14. Tait K., Effective Courtroom Communication, University of Nevada, 2006, 4. <<http://www.courts.ca.gov/partners/documents/EffectiveCourtroomComm.pdf>>, [19.05.2016].

<sup>315</sup>Yong K. S., Travis H. P., Oral Communication, Skills, Choices, and Consequences, Long Grove, Illion, 2012, 57.

<sup>316</sup>Cowles K. M., Communication in the Courtroom, Coastal Carolina University, 2011, 5. <<https://www.coastal.edu/media/administration/honorsprogram/pdf/Kathryn%20Cowles.pdf>>, [19.05.2016].

<sup>317</sup>Remland M. S., The Importance of Nonverbal Communication in the Courtroom, Department of Communication Studies, West Chester University, 1993, 4. <<http://files.eric.ed.gov/fulltext/ED378612.pdf>>, [19.05.2016].

სხეულის ენის სიგნალები მოიაზრებს ქესტიკულაციას, მიმიკასა და საუბრის მანერას.<sup>318</sup> ქესტიკულაცია ადამიანს ეხმარება საუბრისას ბუნებრივად ცხადყოს დაძაბულობა და აღელვება.

არავერბალურ კომუნიკაციას არანაკლები დატვირთვა გააჩნია მოლაპარაკებების წარმოების პროცესში, ვიდრე ვერბალურს. სხეულის ენა (*signals through body language*) შესაძლებლობას იძლევა პირისპირ მოხდეს მხრისთვის წინადადებების შეთავაზება (*present offers face-to-face to the opponent*), ხოლო მეორე მხრივ – შესაძლებელია ამ შეთავაზებაზე მხარის რეაქციის დანახვა (*“read” the opponent’s reaction*) შემდგომი სწორი სამომრიგებლო ნაბიჯების გადადგმის მიზნით.<sup>319</sup> მეტიც, არავერბალური კომუნიკაცია, შესაძლოა, უფრო მეტი ინფორმაციის მომცემი იყოს, ვიდრე ვერბალური, ვინაიდან ის გამოხატავს ემოციებს, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია.

შესაძლებელია ითქვას, რომ არავერბალური კომუნიკაცია გავლენას ახდენს ვერბალურ კომუნიკაციაზე.<sup>320</sup> არავერბალური კომუნიკაცია ანაცვლებს ვერბალურ გზავნილს, ხაზს უსვამს და ზოგჯერ წინააღმდეგობასაც უწევს მას. არავერბალური კომუნიკაცია არეგულირებს საუბრის პროცესს.<sup>321</sup>

ამასთან, არავერბალური კომუნიკაციის ახსნა, თუ რის საფუძველზე ხდება საუბრის პარტნიორის სიგნალების გაშიფვრა და გაგება, არცთუ მარტივია.<sup>322</sup> თუმცა, როდესაც ადამიანი კარგად ეცნობა სხეულის ენის თეორიას, იგი უფრო ცნობიერად აღიქვამს სხეულის ენის სიგნალებს. შეგნებულად რეაგირებს მათზე და, აქედან გამომდინარე, კომუნიკაციაც უფრო წარმატებულია.<sup>323</sup>

არავერბალურ კომუნიკაციას სოციალური დატვირთვა აქვს. მის მიღმა დგას მოსაუბრის სიმპათიები, განწყობა, დამოკიდებულება და ა.შ. ასეთი სიგნალების სწორი შეფასებით შესაძლებელია რთული საუბარიც კი წარმატებით წარიმართოს.<sup>324</sup>

მორიგების პროცესის წარმართვისას არავერბალური კომუნიკაცია შესაძლოა უფრო ხელშემშლელი იყოს, ვიდრე დამხმარე. მოცემულ შემთხვევაში, საუბარი არაა არავერბალური კომუნიკაციის, როგორც დამხმარე საშუალების, გამოყენებაზე. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გა-

<sup>318</sup> ამასთან, მოსამართლემ თავი უნდა შეკავოს რაიმე სახის მინიშნების, ქესტიკულაციის ან სხვაგვარი მოქმედებებისაგან, რაც შესაძლოა ისე იქნას გაგებული, რომ სასამართლო არაობიექტურია და გავლენის ქვეშ იმყოფება. იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, (ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა), ვაშინგტონი, 2009, 95.

<sup>319</sup> Thomas A. Dye, Carlton Fields, P. A., Winning The Settlement – Keys to Negotiation Strategy, ABA Section of Litigation Corporate Counsel CLE Seminar, February 11-14, 2010, 7.

<sup>320</sup> Tait K., Effective Courtroom Communication, University of Nevada, 2006, 4. <<http://www.courts.ca.gov/partners/documents/EffectiveCourtroomComm.pdf>> , [19.05.2016].

<sup>321</sup> Yong K. S., Travis H. P., Oral Communication, Skills, Choices, and Consequences, Long Grove, Illion, 2012, 58.

<sup>322</sup> იქვე, 59.

<sup>323</sup> Tait K., Effective Courtroom Communication, University of Nevada, 2006, 4. <<http://www.courts.ca.gov/partners/documents/EffectiveCourtroomComm.pdf>> , [19.05.2016].

<sup>324</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 15.

<sup>324</sup> იხ. ჩაჩანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013, 26.

რემოებაზე, თუ როგორ უნდა ამოიციოს მოსამართლემ არავერბალური კომუნიკაციის შედეგები.

მოსამართლემ ყურადღება უნდა გაამახვილოს საუბრის მანერაზე, მხარეთა ხმის ტემბრსა და მათ შესტიკულაციაზე, მიმიკებზე. საუბრის მანერა გულისხმობს საუბრის ტემპს (სწრაფი, შეყოვნებით, საშუალო, შესვენების გარეშე), ხმის სიძლიერეს (ხმამაღალი, დაძაბული, მყვირალა), ხმის ტემბრს (დაბალი, მაღალი, მკვეთრი), მელოდიას (ცვალებადი, მახვილიანი, თანაბარი, მოსაწყენი), გამოთქმას (მკაფიო, არააკურატული, არამკაფიო).

შესტიკულაციის გარდა, სახის გამომეტყველება, ანუ მიმიკა, დამატებით ინფორმაციას იძლევა პიროვნების შინაგანი განწყობის შესახებ. ეს განწყობა მხოლოდ მხარეებს არ ეკუთვნით და მასში თავად მოსამართლის შესაძლო განწყობაც მოიაზრება. ამდენად, თავად მოსამართლემ კომუნიკაციის ამ ფორმას არ უნდა მიმართოს, რათა მხარეებს არ გაუჩნდეთ დასაბუთებული ეჭვი მოსამართლის მიმართ.

აღნიშნული გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი ყურადღებით უწევს მოსამართლეს სასამართლო დარბაზში მიმდინარე მოვლენებისა თუ საუბრების დაკვირვება და ინტერპრეტაცია, რათა თავიდან აირიდოს მცდარი დასკვნები პროცესის მონაწილეთა მხრიდან.

არავერბალურ სიგნალად, ასევე, მიჩნეულია ადამიანის გარეგნული მხარე. აქ იგულისხმება მისი ვარცხნილობა, ტანისამოსი და სხვა აქსესუარები. ზოგჯერ ეს ნივთები სიმბოლოა, რომელიც ბევრისმთქმელია იმ პიროვნებაზე, ვინც მას ატარებს. სასამართლო დარბაზში დატვირთვა აქვს ასევე იმ გარემოებას, რომ მოსამართლე შემოსილია მანტიით, რაც, გარკვეულწილად, პროცესის მონაწილეებზე ახდენს გავლენას.<sup>325</sup>

### 2.3.4. სოციალური აღქმა

სასამართლო პროცესებზე ხშირადაა ისეთი სიტუაცია, როდესაც მოსარჩელე და მოპასუხე ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებებს სხვადასხვაგვარად აღწერენ, აფასებენ, აღიქვამენ და გადმოსცემენ.

მოვლენათა აღქმა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იღებს და გადაამუშავებს მას პირი. სწორედ მის შესაძლებლობასა და მზადყოფნაზეა დამოკიდებული აღქმის ხარისხი. სოციალური აღქმის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ისაა, რომ ადამიანები ახდენენ მომხდარი ფაქტის ინტერპრეტაციას და ცვლიან მას.<sup>326</sup>

აღქმის ეფექტური საშუალება და წინაპირობა მოსმენაა,<sup>327</sup> რაც ყოველთვის რთულია კომუნიკაციის პროცესში.

<sup>325</sup> იხ. გოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 17.

<sup>326</sup> იხ. იქვე, 19.

<sup>327</sup> „არაფერს არ ემსახურება ლაპარაკი, თუ ჯერ ბოლომდე არ მოუსმენ“. იხ. *ღემპერერი ა. პ., კოლსონი ო.*, მოლაპარაკების მეთოდები, თბ., 2009, 92. არსებობს მოსმენის ორი ფორმა: პასიური მოსმენა და აქტიური მოსმენა. ვრცლად იხ. *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია, თბ., 2012, 16. *Yong K. S., Travis H. P.*, Oral Communication, Skills, Choices, and Consequences, Long Grove, Illion, 2012, 96-97. როდესაც არცერთი მხარე არ უსმენს ბოლომდე მეორე მხარეს, კომუნიკაცია და, შესაბამისად, შეთანხმების მიღწევა, შეუძლებელია. იხ. *სტერმილერი ხ. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 15.

მოსმენის დროს აუცილებელია კონცენტრაცია მოსაუბრეზე, რათა გასაგები გახდეს მოსაუბრის მიერ გადმოცემული მთავარი აზრი. არაა მიზანშეწონილი მოწინააღმდეგის საუბრის პროცესში წინასწარი დასკვნების გამოტანა ნათქვამის სისწორის ან სიცრუის თაობაზე. თუმცა, ამასთან, მოსმენის პროცესი უნდა იყოს კრიტიკული, რათა შეფასდეს გადმოცემული ინფორმაციის სათანადო ღირებულება.<sup>328</sup>

### 2.3.5. ემოციების მართვა

კონფლიქტები არამხოლოდ დავის საგანთან დაკავშირებული ფაქტების განსხვავებიდან წარმოიშობა. კონფლიქტის წარმოშობის წინაპირობა დავის მონაწილეთა განსხვავებული მოსაზრებები, განწყობა და გრძნობებია.<sup>329</sup>

როცა მოლოდინი მართლდება, ადამიანი ავლენს ისეთ გრძნობებს, როგორცაა: აუღელვებლობა, სიხარული, ინსპირაცია. ეს გრძნობები სასიკეთოდ მოქმედებს პროცესის მიმდინარეობაზე, ვინაიდან უზრუნველყოფს მშვიდ გარემოს, მაგრამ არსებობს გრძნობები გაუმართლებელი მოლოდინის შემთხვევაშიც. ასეთი ემოციები ვლინდება მაშინ, როდესაც მხარე თვლის, რომ ვერ გაუგეს, უსამართლოდ მოექცნენ, გული ატკინეს, შეავიწროვეს, არ მიაქციეს ყურადღება ან შეურაცხვეს. ასეთი განწყობის დროს მხარე არასოდეს იქნება მზად კოოპერაციისათვის. ამ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა შეძლოს სწრაფი რეაგირება ორიდან ერთ-ერთი გზით: ბრძოლით ან თავის არიდებით.<sup>330</sup> ნებისმიერ შემთხვევაში, მიზანი არის ემოციების მართვა, ემოციის შემცირება. ამ დროს, პიროვნულ დონეზე ემოციების შემცირების მიზნით, ეფექტურია დამატებითი ალტერნატიული საშუალებების გამოყენება, აქტიური მოსმენის ტექნიკა, სადავო საკითხისა და მეორე მხარის პოზიტიურ ჭრილში დანახვის მცდელობა, მხარეთა შეთანხმების საერთო ვარიანტის მონახვა.<sup>331</sup>

არსებობს საშუალებები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასამართლო დარბაზში არსებული მძიმე ემოციური სიტუაციის განმუხტვას. ეს არის საქმის მშვიდი და წყნარი განხილვა. ამ დროს მხარეებს უნდა განემარტოთ საქმის განხილვის წესები და მოეთხოვოთ მათი დაცვა. წარსულზე საუბრის ნაცვლად ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს საქმის სამომავლო მოგვარებაზე. უნდა გამოვლინდეს მხარეთა ინტერესები, სათანადო ფორმით წარიმართოს საკითხის განხილვა და მხარეთა შორის საუბარი.<sup>332</sup>

<sup>328</sup>Tait K., Effective Courtroom Communication, University of Nevada, 2006, <<http://www.courts.ca.gov/partners/documents/EffectiveCourtroomComm.pdf>>, [19.05.2016].

<sup>329</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 21-22.

<sup>330</sup> იხ. იქვე.

<sup>331</sup> განსაკუთრებით ძნელია რაციონალურად მოაზროვნე ადამიანის ემოციების მართვა და შეცვლა, რადგან მათი არგუმენტები და რწმენები ყოველთვის მყარია. ასეთ შემთხვევაში, მხარეებთან შეთანხმებით, რამდენიმე მეტოდის გამოყენებაა შესაძლებელი. ვრცლად იხ. ჯორბენაძე რ., მედიაცია, თბ., 2012, 71.

<sup>332</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 25.



აუცილებელია დროის მოგება, რათა დაცხრეს გრძნობები და მდგლ-ვარება. ამისათვის, შესაძლებელია, გამოცხადდეს შესვენება, მეტი ყუ-რადლება დაეთმოს დავის მონაწილეებს, მხარეები ჩაერთონ საქმის წარ-მოებაში და მიეცეთ სიტყვის თქმის საშუალება. ამით მათ შესაძლებლო-ბა ექნებათ, განიტვიტონ ემოციებისაგან.

ისეთი შეთავაზება, რომელიც მოულოდნელი იქნება მხარეებისათვის და, ასევე, მხარეებისათვის საერთო ინტერესებზე ხაზგასმა, უნდა დაიწყო-ოს ფრთხილი მითითებით. შემდეგ უნდა შეიცვალოს საუბრის თემა და ბოლოს ისევ უნდა მოხდეს საწყის წინადადებაზე დაბრუნებას. ამ დროს მხარეს ეძლევა საშუალება და დრო, რომ განსაჯოს მისთვის შემოთავა-ზებული ალტერნატივია, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი პირდაპირ უარს განაცხადებს შეთავაზებაზე.<sup>333</sup>

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კონფლიქტის რეგული-რების და კომუნიკაციის პროცესის წარმართვაში მოსამართლის როლი ერთმნიშვნელოვნად აქტიურია,<sup>334</sup> რაც მისგან მოითხოვს ყოველგვარი შე-ფასების გარეშე, ობიექტურად აღწეროს, სასამართლო დარბაზში მიმდი-ნარე პროცესები. მან უნდა ისაუბროს, თუ რა შთაბეჭდილება დატოვა მომხდარმა მასზე. ბოლოს კი მოსამართლე ავრცელებს წინადადებას, რომელიც მხარეებს ალტერნატიულ ქმედებას სთავაზობს, ან იგი სთხოვს მონაწილეებს, რომ თავად გააკეთონ ასეთი შეთავაზება. ორივე შემთხვე-ვაში გზა იხსნება დიალოგისაკენ.<sup>335</sup>

### 3. სამომრიგებლო მცდელობები

მორიგების დამოუკიდებელი პროცესი ე.წ. მოსამზადებელი სამუშაო-ებით ანუ სამომრიგებლო მცდელობებით იწყება.

სამომრიგებლო მცდელობები სამი მნიშვნელოვანი ელემენტისაგან შედგება: 1. წამოყენებული უნდა იქნეს მორიგების გონივრული შეთავაზე-ბა, თუ, რა თქმა უნდა, მორიგება შესაძლებელია; 2. შეთავაზება უნდა იყოს ეფექტური და უნდა ემსახურებოდეს დავის გადაწყვეტას; 3. შეთავა-ზებამ უნდა გააუმჯობესოს მხარეებს შორის მოლაპარაკება. თუ არ გაა-უმჯობესებს, სულ მცირე, არ უნდა გააუარესოს მაინც.<sup>336</sup>

<sup>333</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 25.

<sup>334</sup> Cratsley J. C., Judges and Settlement, So Little Regulation with So Much Stake Judicial Mediation and Settlement, Dispute Resolution Magazine, Published by The American Bar Association Section of Dispute Resolution, Volume 17, No.3, Magazine, Editor: Chip Stewart Texas Christian UniversityFort Worth TX, Spring 2011, 4.

<sup>335</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 26.

<sup>336</sup> მეორე და მესამე ელემენტი ერთი და იგივე ფაქტობრივი მდგომარეობაა. განსხვავება არის მეთოდში (ეფექტური შეთავაზება) და შედეგში (მოლაპარაკების გაუმჯობესება). იხ. და შეად. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 52.



### 3.1. მორიგების გონივრული შეთავაზება

მორიგების გონივრული შეთავაზება მხოლოდ მორიგების თაობაზე აზრის გამოთქმით არ შემოიფარგლება. სამომრიგებლო მცდელობები აზრთა გაცვლას ემყარება. აზრთა გაცვლა მიმართული უნდა იყოს საერთო სასარგებლო მიზნისაკენ, რისთვისაც მხარეები კონცენტრირებული უნდა იყვნენ თანამშრომლობაზე (*parties must coordinate on cooperation*).<sup>337</sup> სხვაგვარად, მცდელობა რეალურ მოლაპარაკებებად ვერ გადაიქცევა. სამომრიგებლო მცდელობის დროს აუცილებელია მხარეებმა ერთგვარი „ოქროს შუალედი მოძებნონ“<sup>338</sup> არსებულ სადავო ურთიერთობაში. არსებითია მხარეების მიერ საკუთარი პოზიციების შეჯერება, საქმის არსებითი მსვლელობის გაანალიზება, მოსაზრებების თანხვედრა ან/და ურთიერთდაახლოება.<sup>339</sup>

სამომრიგებლო მცდელობის ინიციატორად, ხშირად, საქმის წარმოების სუსტი პოზიციის მქონე მხარეს მიიჩნევენ. თუმცა, ეს მხოლოდ დაუსაბუთებელი ვარაუდია. არის შემთხვევები, როცა მომგებიანი პოზიციის მქონე მხარე სათანადოდ აანალიზებს საქმის ვითარებას, მოგებისკენ მიმავალ გზებსა და საშუალებებს და თავად იღებს გადაწყვეტილებას მორიგების დაწყებაზე.<sup>340</sup>

სამომრიგებლო მცდელობის ინიციატორი არის მოსამართლეც. მოსამართლის როლი მორიგების პროცესში მეორეხარისხოვანი არაა. განსაკუთრებით მაშინ, როცა მორიგების საწყისი მცდელობა ხორციელდება სასამართლოს ინიციატივით. მოსამართლე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით, როგორც „მესამე პასიური მხარე“, ჩაერთოს მორიგების პროცესში „კეთილი ნების“ და მასზე კანონით დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად. მეტიც, როგორც წესი, სამომრიგებლო მცდელობის უკან მოსამართლის არანაკლებ შრომატევადი მუშაობა იგულისხმება, ვიდრე საქმის წარმოებაა.

ასეთი მცდელობა ერთ-ერთია იმ აქტივობებიდან, რომელშიც მოსამართლეა ჩართული. ასეთი ჩართულობა მას განსაკუთრებულ როლს ანიჭებს. ბევრი იურისტის სურვილია მეტი მხარდაჭერა მიიღოს მოსამართლეებისაგან იმ ფსიქოლოგიური და საინფორმაციო ბარიერების გადასაღებად, რომელიც მორიგების დროს წარმოიშობა. იმისთვის რომ მხარეთა ინტერესები ეფექტურად იყოს დაცული, მოსამართლემ უნდა შეცვალოს ურთიერთობა მოდავე მხარეებს შორის ისე, რომ არ აიძულოს, მაგრამ წახალისოს მათი მორიგება.<sup>341</sup>

<sup>337</sup> Nadler J., Rapport in Negotiation and Conflict Resolution, Marquette law Review, 2003-2004, 877. შემდგომი მითითებით: Thomas C. Schelling, The Strategy of conflict 60 (1960).

<sup>338</sup> იხ. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 236-237. შემდგომი მითითებით: Berger, Kalus Peter, Private Dispute Resolution in international business, negotiation, mediation, arbitration, volume II, case study, “Kluwer Law International”, Alphen aan den Rijn, 200, p. 246.

<sup>339</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 86.

<sup>340</sup> იხ. იქვე, 52.

<sup>341</sup> Llevin A. L., Shuchman P., Yamnb C. M., Civil Procedure, Cases and Materials – Successor Edition, New York, 1992, 520-521.

მოსამართლეს საკანონმდებლო დონეზე აქვს დაეალებული განახორციელოს მორიგების გონივრული შეთავაზება. ის, თუ რა იგულისხმება მორიგების გონივრულ შეთავაზებად, განმარტებული არ არის. ყველაზე ზედმიწევნითი ანალიზით, გონივრულობა შედეგობრივ შეთავაზებას გულისხმობს, როცა შეთავაზების შემდგომ სასურველი მიზანი მარტივად მისაღწევია.

### 3.2. მორიგების ეფექტური შეთავაზება

#### 3.2.1. დავის გადაწყვეტის მიზნით

მოსამართლემ მორიგების ეფექტური შეთავაზება უნდა წამოაყენოს, რაც დავის გადაწყვეტასა და მხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესის გაუმჯობესებას უნდა ემსახურებოდეს. მოსამართლე ვალდებულია მხარეებს მორიგების სხვადასხვა ვერსია შესთავაზოს, დაანახოს მათი პოზიციის სუსტი და ძლიერი მხარეები, დაარწმუნოს მორიგებით საქმის დასრულების უპირატესობაში.<sup>342</sup>

ეფექტური შეთავაზების ფარგლებში, მოსამართლე უფლებამოსილია წინასწარ მიუთითოს მხარეებს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე.<sup>343</sup> მოსამართლემ უნდა განუმარტოს მხარეებს საქმის არსი, მისი განვითარების რეალური პერსპექტივები და ამით დაეხმაროს მათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.<sup>344</sup> აღნიშნული სამოქალაქო სამართალწარმოებაში გარკვეულწილად ნოვაციაა და ხელს უწყობს მოსამართლისა და მხარეების უფრო უშუალო ურთიერთობას, მათ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში დაახლოებას. აღნიშნული, მოსამართლის მხრიდან, სამომრიგებლო მცდელობის ერთგვარი „მხარდაჭერაა“.<sup>345</sup>

მორიგების ეფექტური შეთავაზების ფარგლებში, მოსამართლე, ასევე, უფლებამოსილია კონსულტაცია გაუწიოს მხარეებს და შექმნას მორიგების წინაპირობები. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ მოსამართლეები იკვლევენ და ავითარებენ სხვადასხვა მიდგომას საქმის წარმოების მორიგებით დასრულებისთვის. ისინი უძღვებიან სამომრიგებლო შეხვედრებს, სადაც მორიგების წახალისების მიზნით იყენებენ სხვადასხვა უნარს, კოპტენციებს და შესაძლებლობებს. მოსამართლეების უმეტესობა არ მისდევს მორიგების მცდელობის მხოლოდ ერთ საშუალებას. მეთოდები განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ როგორ აფასებს მოსამართლე საქმის ძირითად არსს, მხარეთა ადრინდელ და ახლანდელ ურთიერთობას და ა.შ.<sup>346</sup>

<sup>342</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 39.

<sup>343</sup> სსსკ-ის მუხლი 218-ე, ნაწილი მე-2.

<sup>344</sup> Cratsley J. C., Judges and Settlement, So Little Regulation with So Much Stake Judicial Mediation and Settlement, Dispute Resolution Magazine, Published by The American Bar Association Section of Dispute Resolution, Volume 17, No.3, Magazine, Editor: Chip Stewart Texas Christian University Fort Worth TX, Spring 2011, 5.

<sup>345</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 39.

<sup>346</sup> Levin A. L., Shuchman P., Yamnb C. M., Civil Procedure, Cases and Materials – Successor Edition, New York, 1992, 521.

დავის მოგვარების მიზნით მორიგების შეთავაზების ერთ-ერთი საშუალება მხარეთა კონსულტაციაა. მისი პრაქტიკული ღირებულება კი მის დროულობაში გამოიხატება. მოსამართლემ სასარგებლო ინფორმაცია უნდა გასცეს საჭირო დროს, მაშინ, როცა იმავე მოქმედების მოგვიანებით შესრულებისას ეს შეიძლება იყოს ზეწოლა.<sup>347</sup>

### 3.2.2. მოლაპარაკების გაუმჯობესების მიზნით

მორიგების ეფექტური შეთავაზება, გარკვეულწილად, მოლაპარაკების გაუმჯობესების მიზანს უნდა ისახავდეს.

მოლაპარაკება, როგორც მორიგების ქვაკუთხედი, შესაძლოა, მორიგების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარად წარიმართოს. აუცილებელია, მოლაპარაკების პროცესის რეგულირება და თვალყურისდევნება, რათა მხარეების მიერ წარმოებული მოლაპარაკებების პროცესი არ ასცდეს მოლაპარაკების საგანს, მხარეები არ შევიდნენ მოლაპარაკების ჩიხში და, საბოლოოდ, აღნიშნული არ გახდეს ახალი კონფლიქტის საფუძველი.

ამ პროცესის რეგულირების მიზნით, მოსამართლე პერიოდულად უნდა ჩაერთოს მოლაპარაკების პროცესში და მხარეებს შეახსენოს მოლაპარაკებების წარმოების მიზანი, რაც წინაპირობა უნდა გახდეს მორიგებისთვის.

სამომრიგებლო მცდელობების საწყის ეტაპზე არ არის გამორიცხული, რომ მხარეებმა გამოხატონ ერთგვარი წინააღმდეგობა და კატეგორიულად უარყონ მორიგება. შესაძლოა, მხარეები ღრმად იყვნენ დარწმუნებულინი საკუთარ პოზიციებში და მათ სასარგებლოდ საქმის წარმოების დასრულებაში. ამის მიუხედავად, სასამართლო უნდა ეცადოს არსებული დავა წარიმართოს მორიგებისკენ და მხარეებს მოლაპარაკებების დაწყებისკენ უბიძგოს.

სამომრიგებლო მცდელობა არ გულისხმობს იძულებას. იქ, სადაც იძულებას, არათუ მოლაპარაკებების დაწყება, თვით მართლმსაჯულებაც არ განხორციელდება. ზოგადად, მორიგებაც მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი სახეა და, როგორც ზოგადად მართლმსაჯულების, ასევე მორიგების იძულებითი განხორციელებაც დაუშვებელია.<sup>348</sup> მოსამართლეს იძულების არანაირი მექანიზმი არ გააჩნია და, მხარის თანხმობის გარეშე, მორიგება არ შედგება.<sup>349</sup>

სამომრიგებლო მცდელობა შესაძლოა განვითარდეს ან მცდელობის სტადიაზევე გაჩერდეს. მხარეთა დაინტერესება, რომ დავა მორიგებით დასრულდეს, იმდენად უმნიშვნელოვანესი უნდა იყოს საქმის წარმოების პროცესისთვის, რომ აუცილებელი გახდეს საერთო ინტერესის მიღწევის ყველა გზისა და საშუალების მონახვა.<sup>350</sup> მითუმეტეს, რომ მორიგება გუ-

<sup>347</sup> *Merrills J. G.*, *International Dispute Settlement*, New York, 2005, 3.

<sup>348</sup> იგ. მორიგების იძულებით დადება და არა დადებული მორიგების იძულებითი აღსრულება.

<sup>349</sup> იხ. *ჭანტურია ლ., ბოელინგი პ.*, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 30. იხ. და შეად. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 226.

<sup>350</sup> ეფექტური სამომრიგებლო პროცესი მოითხოვს, რომ დავის ყველა მხარემ იქონიოს ერთმანეთთან კომუნიკაცია საერთო ინტერესის მიღწევის/პოვნის მიზნით. *Starnes H. E., Finman S. E.*, *The Court's Role in Settlement Negotiations*, Published in *Family Advocate*, Vol. 37, No. 3, (Winter 2015) p. 30-35. © 2015 by the American Bar Association, 30.

ლისხმობს, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებისა და პოზიციების შეჯერების შედეგად, საერთო სასარგებლო მიზნის მიღწევას.<sup>351</sup>

#### 4. სამომრიგებლო მოლაპარაკებები

##### 4.1. ძირითადი ასპექტები

##### 4.1.1. სამომრიგებლო მოლაპარაკებების არსი

მორიგების არსებითი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი სამომრიგებლო მოლაპარაკების წარმოებაა.<sup>352</sup> მოლაპარაკების პროცესის მიზანი მოლაპარაკების მხარეთა ინტერესების და მოთხოვნების დაკმაყოფილებაა.<sup>353</sup> მოლაპარაკების პროცესი თავად მოლაპარაკების მხარეებისთვის პროცედურულად ყველაზე მისაღები, სამართლიანი და წარმატებული შექანიზმის მქონე პროცესია.<sup>354</sup>

წარმატებული მოლაპარაკების პროცესს მყარი საფუძველი სჭირდება.<sup>355</sup> მოლაპარაკების პროცესი ეფუძნება მოლაპარაკებების ხელოვნებას, უნარ-ჩვევებს, ეთიკასა და იმ წესების ერთობლიობას, რომლებიც, ზოგადად, თან სდევს მორიგების პროცესს.<sup>356</sup>

მოლაპარაკებების პროცესი სოციალური პროცესია,<sup>357</sup> რომლის საშუალებითაც ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესის მქონე პირები განსაზღვრავენ საკუთარი რესურსების სწორად გადანაწილების წესს, თუ როგორ იმოქმედონ ერთმანეთთან შემდგომში. მოლაპარაკებების პროცესი სოციალური მოვლენაა იმდენად, რამდენადაც მხარეები ურთიერთობენ ერთმანეთთან სასურველი შედეგის მისაღწევად.<sup>358</sup>

მოლაპარაკებების წარმოების გზით<sup>359</sup> კონფლიქტების გადაჭრის მცდელობა, როგორც წესი, სპონტანურად მიმდინარეობს. მოლაპარაკებებს მხოლოდ ინტუიციური ხასიათი აქვს. მოლაპარაკებებისადმი რთული

<sup>351</sup>მხარეთა განსხვავებული ინტერესები ამცირებს მორიგების შესაძლებლობას. *Korobkin R.*, *Aspiration and Settlement*, *Cornel Law Review*, 2002, 8.

<sup>352</sup>ვრცლად იხ. *გვეტკოვ ვ. ლ.*, *კონფლიქტის ფსიქოლოგია*, თბ., 2015, 12.

<sup>353</sup>*Craver C. B., Alverson F. H.*, (*Professor*), *Effective Legal Negotiation and Settlement*, *George Washington University Law School*, Washington, D.C., 2010, 12.

<sup>354</sup>*Hollander -Blumoff R.*, *Just Negotiation*, *Washington University Law Review*, 2013, 414.

<sup>355</sup>*Hames D. S.*, *Negotiation, Clothing Disputes, and Making Team Decisions*, *University of Nevada, las Vegas, Los Angeles/London/New Delhi/Singapore/Washington DC/2012*, 159.

<sup>356</sup>*Hinshaw A.*, *Teaching Negotiation Ethics*, *Jurnal of Legal Education*, 2013, 82 .

<sup>357</sup>*Swaab R., Postmes T., Neijens N.*, *Negotiation Support Systems: Communication and Information as Antecedents of Negotiation Settlement*, *Swaab and Neijens: ASCoR, Universiteit van Amsterdam, Kloveniersburgwal 48, 1012 CX, Amsterdam, The Netherlands*, E-mail: r.i.swaab@uva.nl; *Postmes: University of Exeter, UK, International Negotiation 9: 59–78, 2004.* © 2004 Koninklijke Brill NV. Printed in the Netherlands, 61.

<sup>358</sup>*Hames D. S.*, *Negotiation, Clothing Disputes, and Making Team Decisions*, *University of Nevada, las Vegas, Los Angeles/London/New Delhi/Singapore/Washington DC/2012*, 5.

<sup>359</sup>მოლაპარაკების ერთი მეთოდი ვერ იქნება გამოყენებული ყველა დავის მიმართ. სამომრიგებლო პროცესის სწორად წარმართვის მიზნით აუცილებელია განისაზღვროს ყოველი საქმიდან საჭირო ინფორმაციის სფერო და შესაბამისი მონაცემები. *Resnik J.*, *Mediating Preferences: Litigant Preferences for Process and Judicial Preferences for Settlement*, *Jurnal of Dispute Resolution*, 2002, 155.



მიდგომა იწვევს პიროვნებათა შორის ურთიერთობის დაძაბვას, კომპრომისის დაბალ ხარისხს, მოლაპარაკების პროცესის უუნარობას, მოლაპარაკების დინამიკის ბლოკირებას, თანხმობის მიღწევის გადავადებას, კონფლიქტის ექსკალაციას, ამაოდ დაკარგული დროის ზრდას და ა.შ.<sup>360</sup> მოლაპარაკების ერთი, უნივერსალური მეთოდი და მიდგომა არ არსებობს. ის, კონკრეტული დავის არსის, მხარეთა ნების და მისაღწევი შედეგის მიზნიდან გამომდინარე, ყოველთვის ინდივიდუალურია.<sup>361</sup>

სასამართლოსმიერი მოლაპარაკებების წარმოების პროცესს, რომელსაც მოსამართლე წარმართვას, აქვს რამდენიმე ეტაპი: პირველი – შეფასების ეტაპი, როცა ხდება საჭირო ინფორმაციის თავმოყრა და დაგეგმვა, ასევე, ორივე მხარის ინტერესების, სურვილებისა და მოტივაციის განსაზღვრა; მეორე – დარწმუნების ეტაპი, როცა მეორე მხარე უნდა დარწმუნდეს, რომ დავა გადაწყდეს ორივე მხარისათვის ხელსაყრელი გზით; და მესამე – უშუალოდ მოლაპარაკებების წარმოების ეტაპი, როცა მხარეები ურთიერთშეთავაზებებს აქტიურად ცვლიან.<sup>362</sup>

მოლაპარაკების ეტაპების კლასიფიკაციის კიდევ ერთი ვერსიით, მოლაპარაკების პროცესი გულისხმობს შემდეგ ეტაპებს: მოსამზადებელი, საწყისი, საინფორმაციო, დისტრიბუციული/ინტერესზე დამყარებული და დასკვნითი ეტაპები.<sup>363</sup>

#### 4.12. განსხვავება საქმის წარმოების პროცესისგან

სამომრიგებლო მოლაპარაკებები ერთგვარად სამომრიგებლო მცდელობის ნაირსახეობაა.<sup>364</sup> სამომრიგებლო მოლაპარაკებების პროცესში იბადება „ჭეშმარიტება“ დავის საგნის მიმართ.<sup>365</sup> ამ დროს მოდავე მხარეები ცდილობენ, უკეთ გაიაზრონ სადავო საკითხის დადებითი და უარყოფითი მხარეები, საკუთარი პოზიციის მომგებიანი თუ წამგებიანი ხასიათი, შეაფასონ დავის სამომავლო განვითარების ტენდენციები და, აზრთა ურთიერთგაცვლის ნიადაგზე, ჩამოაყალიბონ მორიგების პირობების<sup>366</sup> სავარაუდო „პროექტი“.<sup>367</sup>

<sup>360</sup> ლემპერერი ა. პ., კოლსონი ო., მოლაპარაკების მეთოდები, თბ., 2009, 19-20.

<sup>361</sup> მოლაპარაკება ნებისმიერი კატეგორიის დავის მიმართ გამოიყენება – პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური. Handbook on the Peaceful Settlement of Disputes between States, Office of Legal Affairs Codification Division, United Nations, New York, 1992, 9.

<sup>362</sup> Thomas A. Dye, Carlton Fields, P. A., Winning The Settlement – Keys to Negotiation Strategy, ABA Section of Litigation Corporate Counsel CLE Seminar, February 11-14, 2010, 4.

<sup>363</sup> იხ. ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 94-104.

<sup>364</sup> სამომრიგებლო მცდელობა სამომრიგებლო მოლაპარაკების დასაწყისი ეტაპია, რომელიც შესაძლებელია, საბოლოოდ, ჩამოყალიბდეს მოლაპარაკებების სრულყოფილ პროცესად. მცდელობის გარეშე მოლაპარაკების წარმოების დაწყება შეუძლებელია.

<sup>365</sup> იგ. დავის მიმართ გარკვეული სუბიექტური და ობიექტური პოზიციის ჩამოყალიბება.

<sup>366</sup> იმისთვის, რომ მხარეთა ნება ზედმიწევნით სწორად აღსრულდეს, მეტად მნიშვნელოვანია მხარეებმა ნათლად და ამომწურავად ჩამოაყალიბონ მორიგების პირობები. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 08 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-766-725-2015.

<sup>367</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 92.



სამომრიგებლო მოლაპარაკებები თამამად შეიძლება გაიგივდეს წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებებთან, რაც მხარეთა შორის გონივრული ნდობის განენის საფუძველი და შეთანხმების მიღწევის წინაპირობაა.<sup>368</sup>

ამასთან, მოლაპარაკებების წარმოება და საქმის წარმოება მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. მოლაპარაკებების წარმოება ეს არის პროცესი, როცა მხარეები მაქსიმალურად ინარჩუნებენ კონტროლს დაეაზე, მაშინ როცა საქმის წარმოება თავის გავლენის ქვეშ აქცევს დავას და, საბოლოოდ, გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს.<sup>369</sup>

განსხვავებით საქმის წარმოების პროცესისგან, სამომრიგებლო მოლაპარაკებების წარმოების რაიმე სპეციალური წესი და ფორმა არ არსებობს. მთავარი მოთხოვნა ისაა, რომ მხარეები თანახმანი არიან აწარმოონ მოლაპარაკებები და მიიღონ ის შედეგი, რომელიც ამ მოლაპარაკების შედეგად მიიღწევა.<sup>370</sup>

სამომრიგებლო მოლაპარაკების წარმოებას საფუძველად უდევს ფაქტი, როცა მოდავე მხარეების შეხედულებები, ინტერესები და პოზიციები განსხვავებულია. სწორედ განსხვავებული ინტერესებისა და პოზიციების შეთანხმების მიზნით აწარმოებენ მხარეები სამომრიგებლო მოლაპარაკებების პროცესს, რომელიც, თავის მხრივ, მხარეთა, თუნდაც მცირედი, შეთანხმებების ერთობლიობას წარმოადგენს.<sup>371</sup>

რაც შეეხება სამომრიგებლო მოლაპარაკებებისა და საქმის წარმოების პროცესის ურთიერთკავშირს, ამას ის გარემოება განაპირობებს, რომ ხშირად სამომრიგებლო მოლაპარაკებები სწორედ კანონის გავლენით წარიმართება. საქმის წარმოების თაობაზე ერთგვარი შიში ხშირად უზრუნველყოფს და ბიძგს აძლევს მორიგებას.<sup>372</sup>

### 4.13. ორიენტაცია შედეგზე

სამომრიგებლო მოლაპარაკებები ორიენტირებულია შედეგზე. შედეგების მაქსიმალიზაცია მოლაპარაკებების წარმოების ქვაკუთხედად მიიჩნევა.<sup>373</sup>

სამომრიგებლო მოლაპარაკებების პროცესში ვლინდება მორიგების ნებაყოფლობითი ხასიათი. მოლაპარაკებების პროცესი ერთგვარი რისკის მატარებელია. თუმცა, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის, რომ მოდავე მხარეები მოლაპარაკების პროცესს და, შესაბამისად, მასში არსებულ რისკებსაც, თავად აკონტროლებენ.<sup>374</sup>

<sup>368</sup> იხ. სვანაძე გ., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 108.

<sup>369</sup> *Merrills J.G.*, International Dispute Settlement, New York, 2005, 18.

<sup>370</sup> *Hollander -Blumoff R.*, Just Negotiation, Washington University Law Review, 2013, 402.

<sup>371</sup> *Weeler M.*, The Art of Negotiation, How to Improvise Agreement in a Chaotic World, Harvard Business School, New York, 2013, 193.

<sup>372</sup> *Les A., Cullen B.*, Settlement and Reform of the Civil Justice System: How Settlement is Changing the Practice of Law, Waikato Law Review, 2009, 40. შემდგომი მითითებით: *Hildred v Strong* [2008] 2 NZLR 629. Issues of mediator liability are beyond the scope of this paper, however for discussion on this issue see generally mediator liability and immunity in Laurence Boulle, Virginia Goldblatt and Phillip Green, *Mediation: principles, process, practice* (2<sup>nd</sup> ed, 2008).

<sup>373</sup> *Hollander -Blumoff R.*, Just Negotiation, Washington University Law Review, 2013, 412-413.

<sup>374</sup> მხარეთა მიერ შემუშავებული ერთ-ერთი მორიგების აქტი ითვალისწინებს თორმეტი პუნქტიან შეთანხმებას, რომელთა შორისაა „პირობები სავარაუდო, არახელსაყრელი შედეგების თავიდან აცილების თაობაზე“. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სა-

რისკის კონტროლი, თავის მხრივ, შედეგის კონტროლია. მორიგების პირობების ჩამოყალიბება მხარეთა კომპეტენციას განეკუთვნება და მათვე ეკისრებათ ის რისკი, რომელიც ამა თუ იმ პირობის საკმარისად გარკვევას და სრულად დაფიქსირებას უკავშირდება.<sup>375</sup> მხარეებს შეუძლიათ გააკონტროლონ შედეგი, რომელიც მიიღწევა სამომრიგებლო მოლაპარაკებით. ნებისმიერი მორიგების პროცესის „ხიბლი“ სწორედ შედეგშია (*the beauty of any negotiated settlement - finality*).<sup>376</sup>

შედეგზე ორიენტირებული მოლაპარაკებების პროცესის სწორად წარმართვას სათანადო მომზადება სჭირდება, რაც გულისხმობს: მხარეთა ინტერესებში, მოთხოვნებსა და მოლოდინებში გარკვევას; საქმის არსის დადგენას, თუ რა ფაქტებს ეფუძნება მოთხოვნა, რომელი კანონმდებლობით კონტროლდება იგი, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს განსახილველ დავას. აუცილებელია შეფასდეს მორიგებით მიღწეული სარგებელი, როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის შემთხვევაში; მოლაპარაკების სტილის შერჩევას, იქნება ეს დაპირისპირება, დაფუძნებული კონკურენციაზე, თუ დამოკიდებული პრობლემის გადაჭრაზე. მოლაპარაკებების წარმოების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს ღია შეთავაზებას, რომელიც წინასწარ უნდა განისაზღვროს, თუ როდის და რა ფორმით იქნება განხორციელებული.<sup>377</sup>

ის, თუ როგორ წარიმართება მოლაპარაკების პროცესი, განსაზღვრავს მის შედეგს, ანუ შედეგის წინასწარი ვარაუდი მორიგების პროცესშივე არის შესაძლებელი.<sup>378</sup>

იმისთვის, რომ თვიდან იქნეს აცილებული ე.წ. „მოლაპარაკება მოლაპარაკებისათვის“,<sup>379</sup> აუცილებელია საქმის არსის საფუძვლიანი ანალიზი და იმ გარემოების სწორად შეფასება, თუ რამდენად ღირებულია აღნიშნული დავა (*value of a case*), ანუ რა შანსები აქვს მხარეს სასამართლო პროცესზე, თუკი საქმის წარმოება სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანით დასრულდება.<sup>380</sup>

აუცილებელია შეფასდეს მორიგებით მიღწეული სარგებელი, როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის მიერ. მოლაპარაკებების წარმოების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს ღია შეთავაზებას, რომელიც წინასწარ უნდა განისაზღვროს, თუ როდის და რა ფორმით იქნება განხორციელებული.<sup>381</sup>

დავის მოლაპარაკების გზით გადასაწყვეტად აუცილებელია მხარეებს სჯეროდეთ, რომ შეთანხმებით მიღწეული სარგებელი აღემატება დანა-

მოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-1241-1091-2010.

<sup>375</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 08 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-766-725-2015.

<sup>376</sup> Crane S. G., Judge Settlements Versus Mediated Settlements, *Dispute Resolution Magazine*, 2011, 22.

<sup>377</sup> Lemons H, L., Top Five Negotiation Tips, San Antonio, Texas, 1-2, < <http://www.whlemonsadr.com/pdf/tips.pdf>>, [19.05.2016].

<sup>378</sup> Weeler M., *The Art of Negotiation, How to Improve Agreement in a Chaotic World*, Harvard Business School, New York, 2013, 195.

<sup>379</sup> მოლაპარაკება სამ მიზანს ემსახურება: თავიდან იქნეს აცილებული მოლაპარაკების პროცესის შეჩერება, შენარჩუნებული იყოს კონკრეტული სამუშაო ურთიერთობები და, შეძლებისდაგვარად, მიღებულ იქნას ყველა მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილება. იხ. *ლემპერერი ა. პ., კოლსონი ო., მოლაპარაკების მეთოდები*, თბ., 2009, 201.

<sup>380</sup> Birke R., Fox C. R., Psychological Principles in Negotiation Civil Settlements, *Harvard Negotiation Law Review*, 1999, 4.

<sup>381</sup> Lemons H, L., Top Five Negotiation Tips, San Antonio, Texas, 1-2, < <http://www.whlemonsadr.com/pdf/tips.pdf>>, [19.05.2016].

კარგს (*the benefits of an agreement about weigh the losses*). თუ მხარეთა ინტერესები რადიკალურად განსხვავებულია, შეთანხმება, რომელიც ერთი მხარისგან მოითხოვს დათმოს ყველაფერი ან პოზიციათა უმეტესობა – მიუღწეველია.<sup>382</sup>

## 4.2. დამატებითი ასპექტები

### 4.2.1. პირთა სიმრავლე

სამომრიგებლო მოლაპარაკებების წარმართვისას მნიშვნელოვანი ფაქტორია პირთა სიმრავლე. მოლაპარაკებასა და თანხმობის მიღწევას, სულ ცოტა, ორი პირის ურთიერთდამოკიდებულება და, პრობლემის მოგვარების მიზნით, თანამშრომლობა სჭირდება.<sup>383</sup>

სამომრიგებლო მოლაპარაკებების წარმოება შედარებით მოსახერხებელია ორ მხარეს შორის. რაც უფრო მეტი პირია ჩართული მოლაპარაკების პროცესში, მით უფრო რთულია მოლაპარაკების წარმართვა. შესაძლოა, ერთი მხარის პოზიცია რამდენიმე, ან ათეული და უფრო მეტი, პირის ინტერესი იყოს. მოლაპარაკების პროცესი უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ მოლაპარაკებაში ჩართულ მხარეებზე, არამედ იმ პირებზეც, რომლებიც მოლაპარაკების პროცესში ფიზიკურად მონაწილეობას არ იღებენ, თუმცა, დაუსწრებლად, პასიურად ჩართული არიან მასში.<sup>384</sup> აქვე აღანიშნავია, რომ თუ მოლაპარაკება მიმდინარეობს ორზე მეტ პირს შორის, სწორი კომუნიკაცია ვერ ართულებს მოლაპარაკების პროცესის დადგენილი წესით წარმართვას.

განსხვავებულ სიტუაციებში, სხვადასხვა სახის მოლაპარაკების მეთოდები გამოიყენება. არჩევანი ეკუთვნით თავად მოლაპარაკების მხარეებს. სწორად შერჩეული სამომრიგებლო მოლაპარაკებები ეყრდობა ისეთ ზოგად პრინციპს, როგორცაა, მეგობრული განწყობა მოდავე მხარეთა შორის.<sup>385</sup>

### 4.2.2. დროის ფაქტორი

სამომრიგებლო მოლაპარაკებებისათვის არ არსებობს დროის ფაქტორი, მთავარი შედეგია. თუმცა, მოლაპარაკებების წარმოების დრო დავის საგნის არსზე, მოდავე მხარეთა სიმრავლეზე, სასამართლოში მანამდე წარმოებულ პროცესებზე და დამოკიდებული.

„პრაქტიკა ადასტურებს, რომ მხარეები შეიძლება შეთანხმდნ რამდენიმე დღეში, მაქსიმუმ ერთ ან ორ კვირაში, მაგრამ შეთანხმება თითქმის არასდროს ხდება, თუ პროცესი თვეების განმავლობაში გაიწელება“.<sup>386</sup>

<sup>382</sup> *Merrills J. G., International Dispute Settlement, New York, 2005, 12-13.*

<sup>383</sup> იხ. *დემპერერი ა. პ., კოლსონი ო., მოლაპარაკების მეთოდები, თბ., 2009, 49.*

<sup>384</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 53.*

<sup>385</sup> იხ. *ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 155.*

<sup>386</sup> იხ. *ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 247. შემდგომი მითითებით: Guillemin, Jean Francois., Reasons for*

ვინაიდან სამომრიგებლო მოლაპარაკების საბოლოო მიზანი არა მხოლოდ კომპრომისის მიღწევაა, არამედ საქმის წარმოების მორიგებით შეწყვეტა, შესაბამისად, სასამართლოს ფარგლებში მიმდინარე სამომრიგებლო მოლაპარაკებები, ექვემდებარება საქმის წარმოების ვადებს, სხდომების გამართვის ინტენსივობას, შესვენებისა თუ სამომრიგებლო თათბირების/შეხვედრების პერიოდულობას.<sup>387</sup>

სასამართლოსმიერი სამომრიგებლო მოლაპარაკებებისთვის საჭირო დრო განსხვავდება სხვა მოლაპარაკებებისათვის განკუთვნილი დროისგან, როგორცაა, მაგალითად, მედიაციის პროცესი, შუამავლობით ან მოდერაციის გზით წარმოებული მოლაპარაკებები. განსხვავება კვლავ მიზანია, რომელიც მორიგების დროს არსებულ მოლაპარაკების პროცესს (დროის ფაქტორი) საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებში აქცევს.

### 4.2.3. მოლაპარაკების ფარგლები

მორიგება, სასამართლო დავის საგანზე ხორციელდება. მოლაპარაკებები საპროცესო დავის ფარგლებში მიმდინარეობს და დავის საგანს ვერ გასცდება.<sup>388</sup> თუმცა, ზოგჯერ, მხარეები ცდილობენ მორიგების აქტში გაითვალისწინონ იმაზე მეტი, ვიდრე ეს დავის საგნითაა დადგენილი, რათა თავიდან აიცილონ შემდგომი გართულებები.<sup>389</sup>

შესაძლოა, დავა ერთ კონკრეტულ გარემოებას ეხებოდეს, ხოლო მასზე მორიგება, სხვა გარემოებისა და ობიექტზე შეთანხმების შედეგად დარეგულირდეს. ამდენად, ერთმანეთში არ უნდა იქნეს აღრეული დავის საგანი, მასზე მორიგების მიზნით შეთანხმებული პირობები და მოლაპარაკების ფარგლები.

მოლაპარაკების მიზანს წარმოადგენს დავის მოგვარება. ამ მიზნით მხარეთა მიერ გამოხატული ნება და შეთანხმებული პირობები შესაძლოა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყოს. მოლაპარაკებების პროცესი არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებულია. შესაბამისად, მოლაპარაკების ფარგლები უსაზღვროა და თვით მოსამართლეც კი უძლურია მხარეებს მოლაპარაკების პროცესის წარმართვის კონკრეტული მითითებები მისცეს. მოსამართლეს შეუძლია მხოლოდ მართოს ასეთი სახის მოლაპარაკებები სწორი მიმართულებით მაშინ, როცა ისინი ჩიხში შევა.

---

Choosing Alternative Dispute Resolution, in: *Goldmith J. Goldmith J.C., Ingen-Hpiz, Arnold, Pointon, Gerald, H. (Editors.) ADR in Business, Practice and Issues Across Countries and Cultures*, “Kluwer Law International”, New York, 2006, 31.

<sup>387</sup> სამომრიგებლო თათბირის/შეხვედრის პერიოდულობა მოიცავს დღე-დღენახევარს. *Wis-sler R. L., Court-Connected Settlement Procedures: Mediation and Judicial Settlement Conferences*, Ohio State journal on Dispute Resolukution, [Vol. 26:2-3 2011], Electronic copy available at: <http://ssrn.com/abstract=1740033>, 2011, 277. შემდგომი მითითებით: Judicial settlement conferences in other courts typically are reported to last two to four hours. See Baer, *supra* note 8, at 144; Edward Brunet, *Judicial Mediation and Signaling*, 3 NEV. L.J. 232, 238, 249 (2002); Charles R. Pyle, *Mediation and Judicial Settlement Conferences: Different Rides on the Road to Resolution*, 33 ARIZ. ATT’Y 20, 22 (Nov. 1996). But see Peter Robinson, *Settlement Conference Judge—Legal Lion or Problem-Solving Lamb: An Empirical Documentation of Judicial Settlement Conference Practices and Techniques*, 33 AM. J. TRIAL ADVOC. 113, 120 (2009) (finding that most surveyed California general civil trial court judges reported that their settlement conferences lasted less than two hours).

<sup>388</sup> სსსკ-ის მუხლი 248-ე.

<sup>389</sup> იგ. სირთულე, რომელიც მორიგების პირობების ნებაყოფლობით შესრულებასთან იქნება დაკავშირებული, როგორც ხელშეშლელი გარემოება.



სამომრიგებლო მოლაპარაკებები თავისუფალ რეჟიმში უნდა წარიმართოს, რათა მხარეები ალტერნატიული მსჯელობის შედეგად მივიდნენ სწორ გადაწყვეტილებამდე. ამასთან, მოსამართლე უნდა ეცადოს, რომ მოლაპარაკების პროცესის ფარგლები არეგულიროს სადავო საკითხზე აქცენტირებით და მოლაპარაკების კვლავ არსებით საკითხზე შემობრუნების გზით.

ის, რომ მოლაპარაკების პროცესში მხარეები შესაძლოა გასცდნენ დავის საგანს, საფრთხეს არ წარმოადგენს. პირიქით, მხარეების გახსნილობა და მათი მოსაზრებების მრავალფეროვანი გადმოცემა, სწორი სამომრიგებლო პირობების შემუშავების ერთგვარი წინაპირობაც კი შეიძლება იყოს. ამდენად, ფართო მოლაპარაკებები არ გულისხმობს, რომ მოლაპარაკების ფარგლები დავის რეგულირების ფარგლებს სცდება.

დავის საგანი ყოველთვის უცვლელია. სასამართლოსმიერი მორიგების ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ სასამართლო აკონტროლებს მორიგების მთლიან პროცესს, სამომრიგებლო მოლაპარაკებების ჩათვლით. მორიგების პროცესი არ არის მხოლოდ მხარეთა ხელში არსებული მანევრირებული მოვლენა, რომელიც, მათი ნებისა და სურვილის მიხედვით, გასცდება დავის რეგულირების მიზანს და საგანს.

რაც შეეხება უშუალოდ სამომრიგებლო პირობების ფარგლებს, ის თავისთავად უნდა მოიცავდეს დავის საგანს იმ მიზეზშედეგობრივი კავშირიდან გამომდინარე, რომელიც კონფლიქტსა და მორიგებას გააჩნია.

განსხვავებული მდგომარეობაა, როცა, შესაძლოა, სამომრიგებლო მოლაპარაკებებმა ვერ გაითვალისწინონ დავის საგანი მთლიანად. მოცემული შემთხვევა რეგულირდება საკანონმდებლო დონეზე, როცა სასამართლომ დავა უნდა შეწყვიტოს იმ ფარგლებში, რომელიც მორიგების საგანი გახდა, ხოლო რაზეც მორიგება ვერ შედგა, განხილული უნდა იქნეს საერთო წესით.<sup>390</sup>

#### 4.2.4. მოსამართლის ჩართულობა

უშუალოდ სამომრიგებლო მოლაპარაკებების შემუშავების პროცესში შესაძლოა მოსამართლეს ჩაერთოს – როგორც შუამავალი, კანონის მცოდნე, დამხარე პირი, რომელიც დაინტერესებულია, რომ დავა მორიგებით დასრულდეს.

მოსამართლის, როგორც პროფესიონალის, ჩართულობა მოლაპარაკებების პროცესში აისახება მოლაპარაკებით მიღწეულ შედეგებზე.<sup>391</sup> ასეთი „ჩართვა“ არა მხოლოდ თავად სასამართლოს ინიციატივა, არამედ, უფრო ხშირად, მხარეებისა და, მათ შორის, ადვოკატების<sup>392</sup> სურვილიცაა.<sup>393</sup>

<sup>390</sup> იხ. და შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-790-747-2015.

<sup>391</sup> *Hollander -Blumoff R.*, Just Negotiation, Washington University Law Review, 2013, 420.

<sup>392</sup> *Ervasti K.*, Conflicts Before the Courts and Court-annexed Mediation in Finland, Scandinavian Studies In Law, © 1999-2012, 190. *Barry A. S., Kiernan J. S., Hon. Atlas N. F., LaMothe L. A., Prof. Burlette W., Mager C. C. A., Prof. Green B. A., Robb G. C., Higgins N. M., Wittner N. J., Jr., Chair Waller E. M., Prof. Mashburn A.*, (University of Florida Law School Reporter), *Watson L. M., Jr., Liaison*, (American Bar Association Dispute Resolution Section), Ethical Guidelines for Settlement Negotiations, Section of Litigation, American Bar Association, Chicago, August 2002.

<sup>393</sup> „1979 წლის საფრანგეთში წერდნენ, რომ იურისტი (ადვოკატი) სიამოვნებას უნდა განიცდიდეს არა იმდენად პროცესის მოგების შემთხვევაში, რამდენადაც დავის შეთანხმებით დამთავრებაში“. იხ. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული



როცა მოსამართლე ერთეობა მოლაპარაკებების პროცესში, როგორც წესი, ის უძღვება მოლაპარაკების კონფიდენციალურ პროცესს, როცა მხარეებს მოეთხოვებათ იყვნენ სრულიად გულწრფელნი. მოსამართლეს შეუძლია მოსთხოვოს მხარეებს, დაესწრონ მოსამართლის მიერ ორგანიზებულ სამომრიგებლო პროცესს (*settlement conference*).<sup>394</sup>

მოლაპარაკებების სტრატეგიის ეფექტურად გამოყენება გადამწყვეტია დავის მოგვარების პროცესში.<sup>395</sup> ადვოკატები<sup>396</sup> ხშირად ელოდებიან მოსამართლის ინიციატივას მორიგებაზე, ვიდრე თავად მიმართავენ სტრატეგიულ მოლაპარაკებების პროცესს. ადვოკატების უმეტესობა იზიარებს იმ აზრს, რომ მოსამართლის ჩართულობა მოლაპარაკებების პროცესში ადასტურებს შეთანხმების მიღწევის პერსპექტივას, მაშინაც კი, როცა ამაზე თხოვნით მხარეებს მისთვის არ მიუმართავენ.<sup>397</sup>

მოლაპარაკების პროცესში უაღესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსამართლის მხრიდან გამოყენებულ მოლაპარაკების ხელოვნებას. მოლაპარაკების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს ფრთხილ ურთიერთობას, თავისუფალ (ნათელ) კომუნიკაციას, გამიზნულ (მიზანდასახულ) პერსპექტივას. წარმატებული სამომრიგებლო მოლაპარაკება ორმხრივ დათმობას ეფუძნება და, ასევე, ორმხრივი სარგებლის მიღებას ისახავს მიზნად.<sup>398</sup>

ყველა სახის, ფორმისა და მასშტაბის მოლაპარაკებები არსებობს. ისინი, არა მხოლოდ ფორმალურ სამართლებრივ საკითხებზეა დამოკიდებული, არამედ ადამიანური ურთიერთობის ტექნიკაზეც, რომელიც, ხშირად, ხანგრძლივი გამოცდილების მქონე მოსამართლეებისთვისაც კი აღმოჩენა ხდება ხოლმე.<sup>399</sup>

---

ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 74. შემდგომი მითითებით: *Cohen, Julius Henry*, Commercial arbitration and the law, "Appleton and company," New-York, London, 1918, p. 31-32. და შეად. იქვე, 169. შემდგომი მითითებით: *Greger Reinhard*, Mediation und Justiz, in: *Greger, Reinhard, / Unberath, Hannes, / (Hrsg.) Die Zukunft der Mediation in Deutschland*, "Beck" München, 2008, s. 95.

<sup>394</sup>*Sourdin T.*, Five Reasons Why Judges should Conduct Settlement Conferences, Australia Centre for Justice Inovacion (ACJI), Monash University Law Review, 2011.

<sup>395</sup>*Thomas A. Dye, Carlton Fields, P. A.*, Winning The Settlement – Keys to Negotiation Strategy, ABA Section of Litigation Corporate Counsel CLE Seminar, February 11-14, 2010, 9.

<sup>396</sup>იურისტი, რომელსაც შეუძლია მოხერხებული მოლაპარაკებების წარმოების შედეგად თავიდან აიცილოს სახელშეკრულებო დავები, ჯერ კიდევ მათ წარმოშობამდე. უფრო მეტად ღირებულ საქმეს აკეთებს, ვიდრე ეს საქმის წარმოების მოგებაა. *Ian Ayres., Speidel R. E.*, Studies in Contract Law, USA, 2008, 1096.

<sup>397</sup>*Llevin A. L., Shuchman P., Yamnb C. M.*, Civil Procedure, Cases and Materials – Successor Edition, New York, 1992, 549.

<sup>398</sup>*Tanford J. A.*, Basics of Negotiation, Indiana University School of Law, 2001, 1, <<http://www.law.indiana.edu/instruction/tanford/web/archive/Negotiation.html>>, [19.05.2016].

<sup>399</sup>*Crane S. G.*, Judge Settlements Versus Mediated Settlements, Dispute Resolution Magazine, 2011, 21.

### 4.3. ადამიანური ასპექტი

#### 4.3.1. მეორე მხარის პოზიციის გათვალისწინება

მორიგების, არაფორმალური, მაგრამ საწყისი ეტაპი<sup>400</sup> მაინც რეალური მდგომარეობის ნათელყოფაა. როგორც წესი, ადამიანები იმას ხედავენ, რაც სურთ რომ დაინახონ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ გარესამყაროს აღქმა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ საიდან აკვირდება მას მხარე.<sup>401</sup>

მოლაპარაკების სწორად წარმართვის ძირითადი საწყისი არის ის, რომ მოლაპარაკების ერთმა მხარემ საკმარისად გაითავისოს, რომ მეორე მხარეს ისეთივე ადამიანია, როგორც თვითონ არის; მას ისეთივე ემოციები და ღირებულებები აქვს, როგორც თვითონ. აღნიშნული მოლაპარაკების ადამიანური ასპექტია, რომელიც ყველა დონის მოლაპარაკების წარმოებისას გასათვალისწინებელია.<sup>402</sup> ადამიანური ასპექტი შეიძლება წარმოადგენდეს დამხმარე ფაქტორს მოლაპარაკების საწარმოებლად, ან პირიქით ხელისშემშლელი ზეგავლენა იქონიოს მასზე.<sup>403</sup>

კერძოდ, „პიროვნულ ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოლაპარაკების პროცესში, თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ პიროვნული მომენტი მხოლოდ დადებით როლს არ თამაშობს მოლაპარაკების მიმდინარეობისას, ვინაიდან ხშირად ადამიანები დეპრესიულები, მშიშრები, იმედგაცრუებულები არიან. ამდენად, მათი პიროვნული დამოკიდებულების ზემოქმედება მოლაპარაკებაზე შეიძლება დამღუპველიც კი იყოს“.<sup>404</sup>

ის გარემოება, რომ მხარე არ ითვალისწინებს მეორე მხარის შეხედულებებს, ემოციებსა და ღირებულებებს, გამომდინარეობს კონფლიქტის ბუნებიდან. „ყველა მხარე ფუნდამენტურად არის მოწინააღმდეგე სხვა მხარის წარმატებისა და სულ მცირე კომპრომისზეც უარს აცხადებს, თუკი ამ კომპრომისს შეუძლიას სხვა მხარეს მცირედი გამარჯვება მაინც მოუტანოს“.<sup>405</sup>

<sup>400</sup> იხ. *ოსტერმიდერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 98.

<sup>401</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 54-58.

<sup>402</sup> *Craver C. B., Effective Legal Negotiation and Settlement, Alverson F. H., (Professor), George Washington University Law School, Washington, D.C., 2010, 14-16.*

<sup>403</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 54-55.

<sup>404</sup> იქვე, 56.

<sup>405</sup> *ჩალაძე გ.*, მედიაცია და კონფლიქტის ფსიქოლოგია, მედიაცია – კონფლიქტის მოგვარება მედიაციის გზით, თბ., 2014, 21.

ადამიანები, ხშირად დამახინჯებულად აღიქვამენ და მცდარ ინტერპრეტაციას აძლევენ ფაქტებს, რათა ისინი თავიანთ ინტერესებს შეუსაბამონ. ამ ლოგიკით, ადამიანებს შეუძლიათ ერთი და იგივე ფაქტი განსხვავებულად აღიქვან, თავიანთ სასარგებლოდ. ამასთან, ადამიანები სხვადასხვაგვარად აზროვნებენ, რაც მათ შორის გაუგებრობებისა და დავის წარმოქმნის ძირითადი საფუძველია. ის, რომ ერთი მხარე გაიგებს, თუ რას ფიქრობს მეორე მხარე, თავისთავად არ ნიშნავს მორიგებას, ვინაიდან ისინი განსხვავებულად ფიქრობენ და აზროვნებენ და გაუგებრობაც სწორედ აქედან მოდის.<sup>406</sup>

მოლაპარაკების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია გარესამყარო. ფაქტები შეფასებული იყოს მეორე მხარის თვალსაწიერიდან. ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ იმის გაცნობიერება, რომ ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ ფაქტებს. აუცილებელია, რომ მოლაპარაკების ერთმა მხარემ აღიქვას და გაიაზროს ყველაფერი მეორე მხარის თვალთა და გონებით. მოლაპარაკების პროცესში აუცილებელია შეგრძნებებით, ემოციებითა და კომუნიკაციებით ხელმძღვანელობა. ადამიანურ პრობლემებთან ბრძოლისა თუ გამკლავების მეთოდები სწორედ ამ სამ კატეგორიაში მოიაზრება.<sup>407</sup>

### 4.3.2. მეორე მხარეზე ზეგავლენა

ზოგჯერ, მოლაპარაკების პროცესში გრძნობებს შეიძლება უფრო დიდი დატვირთვა ჰქონდეს, ვიდრე საუბარს. ხშირად ადამიანები უფრო მეტად ბრძოლისათვის არიან მზად, ვიდრე თანამშრომლობისათვის.<sup>408</sup> ერთი მხარის ემოციამ შეიძლება მეორე მხარის ემოცია ავტომატურად გაამძაფროს. ემოციების მეშვეობით შესაძლებელია მოლაპარაკების ეფექტურად წარმართვა ან, პირიქით, უშედეგოდ დასრულება.<sup>409</sup>

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მხარეზე ზეგავლენა, აუცილებელია გაირკვეს, თუ რამდენად ღრმად არის იგი დარწმუნებული თავის წარმოდგენებსა და შეხედულებებში. აღსანიშნავია, რომ მეორე მხარის პოზიციის გაგება და გააზრება თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ მხარე ეთანხმება მას. გასათვალისწინებელია, რომ მეორე მხარის პოზიციის კარგად გაგებამ და გააზრებამ შეიძლება მხარის მიერ საკუთარი პოზიციის შეცვლა თუ არა, მინიმუმ გადახედვა მაინც გამოიწვიოს. ადამიანე-

<sup>406</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 58.

<sup>407</sup> იხ. იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 58.

<sup>408</sup> კონფლიქტის კონსტრუქციული გზით წარმართვა ხელს უწყობს სოციალური დაძაბულობის მოხსნას, ქმნის სტაბილურ გარემოს, კონფლიქტში ჩაბმული მხარეები იძენენ გამოცდილებას და გეგმავენ მომავალ თანამშრომლობას. იხ. ჯორბენაძე რ., მედიაცია, თბ., 2012, 6.

<sup>409</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 59.

ბი ყოველთვის ვარაუდობენ იმას, რისი შიშიც აქვთ მათ ქვეცნობიერად.<sup>410</sup>

მხარეთა ემოციების მართვას, მოლაპარაკების პროცესში, უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და ის, დიდწილად, დამოკიდებულია მომრიგებლის ხელოვნებაზე, თუ როგორ შეძლებს იგი მხარეთა ფსიქოლოგიურ წვდომას და მათი ემოციებით მანიპულირებას.<sup>411</sup>

აქვს თუ არა მოლაპარაკებებს აზრი და ღირს თუ არა ძალისხმევის დახარჯვა, მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ალტერნატივები გააჩნიათ მხარეებს. არის შემთხვევები, როცა მეორე მხარესთან მოლაპარაკებები შეუძლებელია. თუ მხარე დროს აჭიანურებს ან აშკარად არაკეთილსინდისიერად იქცევა, მეორე მხარემ აღნიშნულის შესახებ სასამართლოს უნდა აცნობოს, რათა მოსამართლემ არაკეთილსინდისიერ მხარეზე გავლენა მოახდინოს.<sup>412</sup>

#### 4.4. მოლაპარაკების სახეები

##### 4.4.1. მსუბუქი მოლაპარაკება

მორიგების „მსუბუქ მეთოდს“ კონკრეტული ნიშნები ახასიათებს. უპირველეს ყოვლისა, სამომრიგებლო მოლაპარაკების მონაწილეები ერთმანეთის მიმართ მეგობრები არიან. შესაბამისად, მათი მიზანი შედეგზე ორიენტირებული მოლაპარაკებაა. იმისთვის, რომ მოლაპარაკება შედეგობრივი იყოს, მხარეები მიდიან დათმობაზე, რათა შეინარჩუნონ ან გააუმჯობესონ ერთმანეთს შორის ურთიერთობები.<sup>413</sup>

პირს, რომელიც მორიგების მსუბუქ გზას ირჩევს, ყოველთვის სურს პიროვნული კონფლიქტების თავიდან აცილება და ხშირად დათმობებზე მიდის.<sup>414</sup> შესაბამისად, მსუბუქი მოლაპარაკება მიზნად ისახავს კომპრომისის<sup>415</sup> მიღწევას ისე, რომ არ გაუარესდეს მხარეებს შორის ურთიერთობა. უფრო მეტიც, გარკვეულწილად გაუმჯობესდეს კიდევ იგი. მსუბუქი მოლაპარაკება საუკეთესო შედეგს იმ შემთხვევაში იძლევა, როდესაც მოლაპარაკების ორივე მხარეს მორიგების აღნიშნული მეთოდი აქვს არჩეული ანუ, თუ მოლაპარაკების ყველა მხარისათვის პრიორიტეტი მხარეებს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობის შენარჩუნებაა.<sup>416</sup>

სამომრიგებლო მოლაპარაკებაში არსებითი და მნიშვნელოვანია მონაწილე პირთა ურთიერთნდობის ფაქტორი, სადაც დამატებით მოიაზრება

<sup>410</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 58-59.

<sup>411</sup> იქვე.

<sup>412</sup> იხ. იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 89.

<sup>413</sup> იხ. იქვე, 54.

<sup>414</sup> იხ. იქვე, 56.

<sup>415</sup> იხ. ცეცქოვ ვ. ლ., კონფლიქტის ფსიქოლოგია, თბ., 2015, 209.

<sup>416</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 53.



მხარის მიერ საკუთარი პოზიციის მარტივად შეცვლა, თამამი სამომრიგებლო წინადადებების წამოყენება, მოლაპარაკების ძირითად მიზნის გულწრფელად გაცხადება.<sup>417</sup> ასეთი სახის მოლაპარაკებების წარმოებისას მხარებისთვის მისაღებია ცალმხრივი დანაკარგები. უფრო მეტიც, ისინი დაჟინებით ითხოვენ შეთანხმებას და ცდილობენ, თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი.<sup>418</sup>

#### 4.4.2. მძიმე მოლაპარაკება

პირს, რომელიც მოლაპარაკების მძიმე გზას ირჩევს, მორიგების პროცესში ყოველთვის რადიკალური პოზიცია უკავია. იგი საკუთარ პოზიციებს არ თმობს და გამძაფრებულად ცდილობს თავისი მოსაზრების დასაბუთებას. მას დომინირებული მდგომარეობა აქვს. მოლაპარაკების ამგვარი პროცესი წარუმატებელია, ან მხოლოდ ერთ-ერთი მხარისთვის იქნება წარმატებული.

აქვე აღსანიშნავი და გასათვალისწინებელია, რომ მორიგება შეიძლება შედეგს, მხარეები შეიძლება მორიგდნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ორივე მხარე აუცილებლად კმაყოფილი იქნება მორიგების შედეგებით. თუმცა, მორიგება, სწორედ აღნიშნულს ისახავს მიზნად, რომ ორმხრივი შედეგი იქნეს მიღწეული.<sup>419</sup>

მორიგების „მძიმე მეთოდს“ ახასიათებს ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომ სამომრიგებლო მოლაპარაკების მონაწილეები მოწინააღმდეგე მხარეები, ერთმანეთის კონკურენტები არიან. თითოეული მათგანის მიზანი არის გამარჯვება. ისინი პოზიციას არ ცვლიან და დაჟინებით ითხოვენ საკითხის გადაწყვეტას მათი შეხედულებით და ამდენად, მოწინააღმდეგე მხარისგან მაქსიმალურ დათმობაზე წასვლას ითხოვენ. მათ შორის არ არის უმთავრესი – ნდობის ფაქტორი. ასეთი მოლაპარაკებისას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მუქარას, ტყუილს, დომინანტურ მდგომარეობას, დაჟინებით მოთხოვნებს და, რაც მთავარია, ცდას, გაიმარჯვონ ინტერესთა კონფლიქტში.<sup>420</sup>

#### 4.4.3. შუალედური მოლაპარაკება

მსუბუქ და მძიმე მოლაპარაკებას შორის დგას შუალედური ანუ „პრინციპული მოლაპარაკება“.<sup>421</sup> მისი მიზანია საკითხის გადაწყვეტა მაღალი სტანდარტებისა და პრინციპების შესაბამისად. მაგალითად, კანონისა და მორალის საფუძველზე და არა იმის მიხედვით, თუ რა სურთ მხარეებს.

„პრინციპული მოლაპარაკებისთვის“ დამახასიათებელია მოლაპარაკების გონიერი შედეგი, რომელიც მიიღწევა ეფექტური და მეგობრული მოლაპარაკების შედეგად. მხარე ითხოვს მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან დათ-

<sup>417</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 54.

<sup>418</sup> იხ. იქვე, 54.

<sup>419</sup> იხ. იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 53.

<sup>420</sup> იხ. იქვე, 54.

<sup>421</sup> იხ. *ცეცქოვ ვ. ლ.*, კონფლიქტის ფსიქოლოგია, თბ., 2015, 8.

მობაზე წამოსვლას, როგორც მორიგების პირობას, რა დროსაც, მეტ ყურადღებას აქცევს პრობლემას და ნაკლებს – ადამიანებს. შუალედური მოლაპარაკებისას, პრობლემის გადასაჭრელად მხარე იყენებს ობიექტურ კრიტერიუმებს და მიზნის მისაღწევად ნებაზე დამოუკიდებელ სტანდარტებს.<sup>422</sup>

“პრინციპული მორიგების“ გამოყენება შეიძლება ყველა სახის მორიგების დროს, ყველა კატეგორიის პირთან, მიუხედავად მორიგების პროცესში მონაწილე მხარეთა რაოდენობისა და მორიგების ობიექტის სირთულისა.<sup>423</sup>

მორიგებისათვის საუკეთესო მეთოდი „პრინციპული მოლაპარაკება“ ანუ მოლაპარაკება, რომელიც მიზნად ისახავს მხარეთათვის შედეგების მიღწევას დამსახურების შესაბამისად.<sup>424</sup>

## 5. სამომრიგებლო წინადადებები

### 5.1. სამომრიგებლო წინადადებების ჩამოყალიბება

ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება კერძო სამართლის სუბიექტების კერძო ავტონომიის გამოხატულებაა და გულისხმობს პირის არჩევანის თავისუფლებას, საკუთარი სურვილითა და შეხედულებით განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები.<sup>425</sup>

სახელშეკრულებო სამართლის მთავარი პრინციპია ხელშეკრულების თავისუფლება. კერძოდ, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“.<sup>426</sup>

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ორ ქვეტიპს მოიცავს.

პირველი – თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება დადოს ხელშეკრულება ან თავი შეიკავოს ხელშეკრულების დადებისგან; მეორე – ხელშეკრულების მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ გადაწყვიტონ, როგორი სახის ხელშეკრულების დადება სურთ და რა უნდა იყოს ამ ხელშეკრულების შინაარსი, ე.ი. თავად „მოიგონონ“ მათი ურთიერთობის, ვალდებულებებისა და უფლებების ყველაზე უკეთ ამსახველი ხელშეკრულება.<sup>427</sup>

მხარეებს შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ გადაუხვიონ სამოქალაქო კოდექსით დადგენილ პირობებს და თავად შეთანხმდნენ მათთვის სასურველ პირობებზე. მხარეებს ასევე შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულება, რომელიც კონკრეტულად რეგულირებული არ არის სა-

<sup>422</sup> იხ. *ვოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 55.

<sup>423</sup> იხ. იქვე, 52.

<sup>424</sup> იხ. იხ. *ვოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 53.

<sup>425</sup> იხ. *კეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 61.

<sup>426</sup> სსკ-ის მუხლი 319-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>427</sup> იხ. *სვანაძე გ., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 102.

მოქალაქო კოდექსით. სამოქალაქო კოდექსში რეგლამენტირებულ ხელშეკრულებებსა და სამოქალაქო კოდექსით არარეგლამენტირებულ ხელშეკრულებებს, ჩვეულებრივ, უწოდებენ სახელდებულ ხელშეკრულებებს (რომლებიც რეგულირებულია კოდექსით) და არასახელდებულ ხელშეკრულებებს (რომლებიც არაა რეგულირებულია კოდექსით).<sup>428</sup>

თავისი არსით, მორიგება არსებული სამართალურთიერთობის ახლებური მოწესრიგებაა და, უპირველესად, მიზნად ისახავს უთანხმოებისა და მხარეთა შორის გაუგებრობის აღმოფხვრას, რაც, საბოლოოდ, სასამართლო წესით დავის თავიდან აცილებას ემსახურება. „სამართალურთიერთობის ამგვარი ფორმირება სხვა არაფერია, თუ არა სახელშეკრულებო თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლინება, როცა მხარეები შეზღუდვანი არ არიან, ერთი სამართალურთიერთობის ფარგლებში მოდიფიცირება გაუკეთონ იმ პირობებს, რომლებიც მათი აზრით, გაუგებრობასა და უთანხმოებას იწვევს“.<sup>429</sup>

სამომრიგებლო წინადადებები ხელშეკრულების პირობებია. მათი შემუშავებისა და მორიგების აქტში გათვალისწინებისას ვრცელდება ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება. სამომრიგებლო წინადადებების ჩამოყალიბებისას აუცილებელია თითოეულმა მხარემ სწორად და მკაფიოდ გამოხატოს საკუთარი პოზიცია, გაანალიზოს თავისი არსი, სასურველი შედეგი, ასევე, ის სიკეთე, რომლის დათმობაც მას მოუწევს.<sup>430</sup> თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი წინადადება თუ პირობა მიმართული უნდა იყოს თავის საგნის თაობაზე არსებული კონფლიქტის მოგვარებისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ მორიგება დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლინებაა და ითვალისწინებს მხარეთა ნების თავისუფლებას, „მორიგების გზით დაუშვებელია ისეთ პირობებზე შეთანხმება, რომელიც თავისი არსით იძულებით არის განპირობებული ან მესამე პირების უფლებებს ლახავს“.<sup>431</sup>

სამომრიგებლო წინადადებების შემუშავებისას მიზანშეწონილია, მოდავე მხარეების მიერ ჩარჩოხელშეკრულების წინასწარი მომზადება.<sup>432</sup> ასეთი სახის პროექტის შემუშავება ხელს უწყობს მსჯელობის კონცენტრირებულად წარმართვას, აგრეთვე, იმ საკითხების გამოვლენას, რომლებიც სხვაგვარად შეიძლებოდა მხედველობიდან ყოფილიყო გამორჩენილი, ამასთან, თავიდან იცილებს შემდგომ გაუგებრობას.<sup>433</sup>

<sup>428</sup> *თოდუა მ., ვილემსი პ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 105.

<sup>429</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №28/1084-13.

<sup>430</sup> ქონებრივ (ფულად) დავებში სამომრიგებლო წინადადებები შესაძლოა ითვალისწინებდეს ყველაზე მოხერხებული გადახდის გრაფიკს, რაც, მაგ. საკრედიტო ურთიერთობებში უმთავრესია. ამ დროს აუცილებელია მორიგების პირობები საქმის არსთან ახლოს იდგეს და საქმის გარემოებებიდან გამომდინარეობდეს. იხ. და შეად. *Martin J. W.*, Drafting the Contract or Settlement Agreement That says out of Court, *The Breaif*, 2003, 50.

<sup>431</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №28/1084-13.

<sup>432</sup> იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 33. მედიაციის წარმოების ჩარჩო და შუალედური შეთანხმება. იხ. და შეად. *ცური მ.*, მედიაციის შეთანხმების აქტის შედგენის ხელოვნება, სახელმძღვანელო ინსტრუქციები, თავის ალტერნატიული გადაწყვეტა, თსუ, „წელიწადეული“, თბ., 2012, 225-227.

<sup>433</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 92.

მორიგება ყოველთვის სწორად ჩამოყალიბებული სამომრიგებლო წინადადებებით ვერ წარიმართება. შესაძლოა, გარკვეულ ეტაპზე, მხარეთა მიერ სამომრიგებლო წინადადებების შემუშავების პროცესი ჩიხში შევიდეს. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მხრიდან არსებული მოთხოვნა, მხარეებმა შეიმუშაონ და სასამართლოს წარუდგინონ სამომრიგებლო წინადადებები, სრულიად მიზანშეწონილი და მართებულია.

მორიგებასთან დაკავშირებული სამომრიგებლო წინადადებები უნდა ეყრდნობოდეს ისეთ კრიტერიუმებს, რომლებიც დამოკიდებულია არა მხარის პირად ნება-სურვილზე, არამედ ორმხრივი სარგებლის მომტან ობიექტურ კრიტერიუმებზე. ამისთვის, აუცილებელია მოიძებნოს სამართლიანი, ეფექტური, გონივრული, პროფესიონალური, საქმიანი და სტაბილური გამოსავალი.<sup>434</sup>

სამომრიგებლო წინადადებები, უპირველესად, უნდა იყოს სამართლიანი,<sup>435</sup> არ ეწინააღმდეგებოდეს კანონს, არეგულირებდეს ურთიერთობებს, იყოს შუალედური რგოლი საქმის გარემოებებისთვის და რაც მთავარია, ემსახურებოდეს დავის ორივე მხარისათვის სასარგებლო ფორმით და შედეგით დასრულებას.

## 5.2. პირობითი სამომრიგებლო წინადადებები

მხარის მიერ წარმოდგენილი სამომრიგებლო წინადადების (პირობის) მკაფიოობა გულისხმობს მის ერთმნიშვნელოვან და აშკარა ხასიათს, რომელიც იმთავითვე იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლოს მიერ მისი დამტკიცების შემდგომ მხარეთა მიერ დადგენილი პირობების შესრულება შესაძლებელი იქნება.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა პარალელი პირობით გარიგებებთან. პირობითი გარიგების ცნება მოცემულია სსკ-ის 90-ე მუხლში. კერძოდ, „პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე“.

„მორიგება შეიძლება დაიდოს ნეგატიური ან პოზიტიური პირობის დათქმით, რომ რაიმე მოვლენა განსაზღვრულ ვადაში დადგება ან არ დადგება (პირობითი გარიგება)“.<sup>436</sup>

<sup>434</sup> იხ. *კოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.* (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 95.

<sup>435</sup> თუ შედეგი არ არის სამართლიანი, მხარეები მას არ დაეთანხმებიან, ხოლო თუ მხარეები დაეთანხმნენ, ამდენად, შედეგი სამართლიანია. (*if an outcome is not fair, parties will not agree, but if parties have agreed, the outcome must be fair*). Hollander - Blumoff R., Just Negotiation, Washington University Law Review, 2013, 408. შემდგომი მითითებით: Some literature has explicitly suggested that negotiation may not be the right mechanism for a dispute that implicates fairness concerns. Perhaps most famously, Owen Fiss argued that settlement was inappropriate in some situations, namely when issues of societal justice and fairness were concerned. Owen M. Fiss, Against Settlement, 93 YALE L.J. 1073, 1075 (1984). Making More of Alternative Dispute Resolution, Summary, Acas Policy Discussion Papers, No 1, January, 2005. strategy@acas.org.uk, 3.

<sup>436</sup> *თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩახანიძე ე.* განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012, 296.



იმ შემთხვევაში, თუ სამომრიგებლო წინადადებად წამოყენებული იქნება არა კონკრეტული წინადადება, არამედ პირობა, რომელიც დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე,<sup>437</sup> ის ვერ გახდება მორიგებით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, რასაც პირობითი გარიგების სამართლებრივი ბუნება განაპირობებს.<sup>438</sup>

კერძოდ, მართალია, პირობითი გარიგება თავიდანვე ითვლება დადებულიად, მაგრამ მას სამართლებრივი ძალა არ აქვს პირობის დადგომამდე. თუ პირობა არ დადგა, გარიგებაც ვერც ვერასოდეს შეიძენს სამართლებრივ ძალას.<sup>439</sup>

მორიგების, როგორც პირობითი გარიგების, მნიშვნელობა ეწინააღმდეგება მორიგების მიზანს – შეწყვიტოს კონკრეტული სამართლებრივი დავა. ის, ასევე, ეწინააღმდეგება იმ გარემობას, რომელიც სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტას დამოკიდებულს ხდის გარკვეულ პირობაზე.

ამდენად, იმისთვის, რომ მორიგება გახდეს საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, მას საფუძველად უნდა ედოს კონკრეტული, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული და უპირობო სამომრიგებლო წინადადებების ერთობლიობა.<sup>440</sup>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-4 კარი – „პირობა. ვადის განსაზღვრა“ – აღგენს, რომ „პირობის დადგენით გარიგების სამართლებრივი შედეგები დამოკიდებული ხდება სამომავლო უცნობ მოვლენაზე, ხოლო ვადის განსაზღვრის შემთხვევაში (§163), პირიქით, სამომავლო ცნობილი მოვლენა განმსაზღვრელია სამართლებრივი შედეგის დადგომის ან გაუქმებისთვის. გადადების, ანუ სუსპენზიური პირობა სამომავლო მოვლენას უკავშირებს სამართლებრივი შედეგის დადგომას, ხოლო გაუქმების ანუ რეზოლუციური პირობა კი მათ შემდგომ არსებობას.<sup>441</sup>

კოდექსი აქვე განმარტავს, რომ მხედველობაშია მისაღები ზოგიერთი გარიგების პირობით დადების დაუშვებლობა. ცალკეულ შემთხვევებში დაშვებულია ე.წ. პოტენციალური პირობები, როცა პირობის დადგომა დამოკიდებულია ერთ-ერთი მონაწილის ნებზე (§199 ველი 1, §2065 ველი 1).<sup>442</sup>

პირობადადებული სამომრიგებლო წინადადებისგან უნდა განგასხვავოთ მორიგების აქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების გადავადება დროის გარკვეული პერიოდით.<sup>443</sup> აღნიშნული, თავის მხრივ, უნდა განსხვავდეს სარჩელის ცნობის ანუ მოპასუხის მიერ სარჩელის

<sup>437</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინება საქმეზე: №ას-783-732-2010.

<sup>438</sup> „საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არის წარმოდგენილი მორიგების კონკრეტული პირობა, რის გამოც მოცემული საქმის მორიგებით დამთავრების თაობაზე მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს“. იხ. *ნაჭყებია ა.*, ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014), თბ., 2015, 364. იხ. საქმე №ბს-1369-1308(კ-10), 21.04.2010.

<sup>439</sup> იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 53-54.

<sup>440</sup> მხარეები ვერ დატოვებენ ღიად სამომრიგებლო წინადადებებს, იმ პირობით, რომ დეტალური დებულებები, მხარის ან მესამე პირის მიერ, მოგვიანებით დაზუსტდება. იხ. და შეად. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 74.

<sup>441</sup> იხ. *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 77.

<sup>442</sup> იხ. იქვე.

<sup>443</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: №2ბ/4936-14.

დაკმაყოფილების, აღსრულების გადავადებისგან.<sup>444</sup> სარჩელის აღიარების საფუძველზე შესასრულებელი მოქმედების აღსრულების გადავადება გარკვეული დროით, მორიგება არ არის.<sup>445</sup> მორიგება არის არა აღიარება, არამედ ურთიერთდათმობით შეთანხმებული მხარეთა პირობები, რომელთა შესრულებაც შესაძლოა განისაზღვროს გარკვეული დროით.

მხარეთა შეთანხმება, რომ მორიგების აქტით გათვალისწინებული პირობა შესრულდება კონკრეტული თარიღისთვის ან კონკრეტული თარიღიდან, პირიქით, მეტი გარანტიის მომცემია, რომ მორიგება აღსრულება ნებაყოფლობით, დათქმულ დროს, ადგილას და პირობით, როგორც ეს ჩვეულებრივ სახელშეკრულებო ურთიერთობას სამართლებრივად სჩვევა.<sup>446</sup>

ადამიანი, თავისი ბუნებით, მომრიგებელია. ფაქტია, რომ მორიგება ცხოვრების ნაწილია. ადამიანები მოლაპარაკების პროცესში არიან მაშინაც, როდესაც ისინი ამის თაობაზე სრულიად არ ფიქრობენ. მოლაპარაკება ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის მიერ საკუთარი სურვილების განხორციელების ძირითადი შესაძლებლობაა.

როგორც წესი, ადამიანები რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მოლაპარაკება ადამიანებს შორის განსხვავების დაძლევის ძირითადი საშუალებაა. მოლაპარაკების გზით მიიღება გადაწყვეტილებები ოჯახში, ბიზნესში, ხელისუფლებაში. მაშინაც კი, როდესაც მოდავე მხარეები სასამართლოში მიდიან, მათ შორის პერმანენტულად მოლაპარაკება მაინც მიმდინარეობს, რათა დავა გადაწყდეს არა სასამართლოს მიერ, არამედ მორიგების გზით.<sup>447</sup>

### 5.3. სამომრიგებლო წინადადებების უზრუნველყოფა

მორიგების მხარეებს, სამომრიგებლო წინადადებების შემუშავებისას, შესაძლებლობა აქვთ, რომ თავიანთი სამომრიგებლო პირობების შესრულება განამტკიცონ კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებებით.<sup>448</sup>

<sup>444</sup> იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი I, თბ., 2002, 115.

<sup>445</sup> საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, მუხლი მე-91<sup>8</sup>, ნაწილი I-ლი აღგენს, გამარტივებული წარმოების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში, რესპოდენტის შესაძლებლობას, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, წარადგინოს განცხადება მორიგების შეთავაზების შესახებ. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს, რომ „რესპოდენტის მიერ მორიგების შეთავაზებად ითვლება შემთხვევა, როდესაც რესპოდენტი მართებულად მიიჩნევს დავალიანების ოდენობას ან მის ნაწილს, მაგრამ ითხოვს დავალიანების ან მისი ნაწილის დაფარვის ვადის გაზრდას ან განწილვადებას“. ამდენად, მოცემული მუხლის თანახმად, სახეზეა რესპოდენტის აღიარება დავალიანების თაობაზე, ასევე სახეზეა მისი მოთხოვნა დაფარვის ვადის განსაზღვრის შესახებ, და ეს კანონით განისაზღვრება როგორც მორიგება, განსხვავებით სარჩელის აღიარებასა და მორიგების გადავადებას შორის სხვაობისგან.

<sup>446</sup> სსკ-ის მუხლი 361-ე.

<sup>447</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 51.

<sup>448</sup> მოვალე მხარემ აღიარა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ არსებული დავალიანება და იკისრა ვალდებულება დაეფარა შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. ამავე მორიგების აქტის თანახმად, დავალიანების დაფარვა უზრუნველყოფილი იყო მოვალე მხარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით. ვრცლად იხ. თბილისის საა-

სსკ ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს, რომელთა შორისაა იპოთეკა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ყველაზე გავრცელებული და აქტუალური საშუალება.

სსკ-ის თანახმად, იპოთეკით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს ნებისმიერი შინაარსის ვალდებულება. თუმცა, ის, ძირითადად, გამოიყენება მომეტებული ფინანსური რისკის მატარებელი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. „აქედან გამომდინარე ფინანსურ ურთიერთობებში გავრცელებულია იპოთეკის, ფულადი ვალდებულებების უზრუნველყოფის საშუალების სახით გამოყენების შემთხვევები“.<sup>449</sup>

იპოთეკის უფლების დადგენის მიზანი სწორედ კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფაა. იპოთეკით შესაძლოა უზრუნველყოფილი იყოს როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერი მოთხოვნები. იპოთეკა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირობით და სამომავლო მოთხოვნებთან მიმართებით, თუკი მათი განსაზღვრა იპოთეკის დადგენის მომენტისათვის შესაძლებელია.<sup>450</sup>

აღსანიშნავია, რომ იპოთეკის უფლება წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. იპოთეკის, როგორც აქცესორული უფლების, არსებობის და რეგისტრაციის საფუძველს ძირითადი ვალდებულება წარმოადგენს. საქმის წარმოების პროცესში, მხარეთა მორიგების შემთხვევაში, თუ მხარეები სამომრიგებლო პირობებს უზრუნველყოფენ იპოთეკით, იპოთეკის რეგისტრაციის მოთხოვნის და წარმოშობის საფუძველი იქნება სამომრიგებლო პირობა, როგორც ძირითადი ვალდებულება. ამასთან, ვინიდან სამომრიგებლო პირობა აისახება მორიგების აქტში, ხოლო მორიგების აქტი – სასამართლო განჩინებაში საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ასეთ შემთხვევაში, საჯარო რეესტრს წარედგინება მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინება, როგორც იპოთეკის წარმოშობისა და რეგისტრაციის საფუძველი.

მხარეთა შორის შეთანხმებული მორიგების პირობის – ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა, თავის მხრივ, შესაძლოა, პირდაპირ გათვალისწინებული წესით, უზრუნველყოფილი იყოს სხვა მოქმედების შესრულებით. მაგალითად, სადავო ქონების საკუთრებაში გადაცემით,<sup>451</sup> რაც მორიგების პირობის შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას წაროადგენს.

იპოთეკის მსგავსად, გირავნობაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მორიგების პირობების უზრუნველყოფის საშუალებად. გირავნობის უფლებაც აქცესორულ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება და ის მჭიდროდაა დაკავშირებული უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან.<sup>452</sup>

რაც შეეხება თავდებობას – თავდებობა მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნული საშუალებაა. ის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებით და ამ ხელშეკრულების ძირითადი სუბიექტებია თავმდები და კრედი-

პელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 06 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: №2ბ/3275-15.

<sup>449</sup> იხ. *შოთაძე თ.*, იპოთეკა, როგორ საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბ., 2012, 90. შემდგომი მითითებით: J.H.M. (Sjef) van Erp, Personal and real security, Elgar encyclopedia of comparative law, ed. by Jan M. Smits Cheltenham, Elgar, 2006, 517 და შემდგომში.

<sup>450</sup> იხ. *შოთაძე თ.*, სანივთო სამართალი, თბ., 2014, 356.

<sup>451</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: №2ბ/4936-14.

<sup>452</sup> იხ. *შოთაძე თ.*, სანივთო სამართალი, თბ., 2014, 377-378.

ტორი. „თავდები ის პირია, რომელიც სხვა პირის კრედიტორის წინაშე კისრულობს პასუხისმგებლობას მოვალესთან ერთად შეასრულოს ის ვალდებულება, რომლის მოთხოვნის უფლებაც კრედიტორს გააჩნია“.<sup>453</sup>

თავდებობის ხელშეკრულებით ხდება უკვე არსებული რეალური ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა. კანონი არ განსაზღვრავს მისი გამოყენების სფეროს. თავდებობით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს ნებისმიერი ვალდებულება, მათ შორის, სამომავლო და პირობითი ვალდებულებებიც, განსაკუთრებით კი – გადადების პირობით წარმოშობილი ვალდებულებები.<sup>454</sup>

თავდებობა, როგორც არსებული ვალდებულების მესამე პირის მონაწილეობით შესრულების სამართლებრივი უზრუნველყოფის მდგომარეობა, ვერ იქნება გათვალისწინებული მორიგების პირობების უზრუნველყოფის საშუალებად.<sup>455</sup> ამ ფაქტს ის გარემოება განაპირობებს, რომ თავდები არ არის სადავო საქმის (რომელზეც მორიგება შედგა) წარმოების მხარე. მის მიერ გამოხატული ნება – დამოუკიდებელი განცხადება თავდებობის შესახებ, გარეშე მესამე პირის ნებაა. მორიგების აქტი კი დგება მოდავე მხარეებს შორის. ისინი მორიგების დამტკიცების თაობაზე განჩინების მხარეები არიან. შესაბამისად, აღნიშნული განჩინების მხარე ვერ გახდება თავდები, როგორც გარეშე მესამე პირი.

## 6. კომპრომისის მიღწევა

„მოლაპარაკების წარმატებით დასრულებისათვის აუცილებელია მხარეთა მოქნილობა და მზადყოფნა კომპრომისული გადაწყვეტილების მიღებისათვის“.<sup>456</sup>

„მოლაპარაკების დაწყებისა და თითოეული საკითხის შესაბამისი შესაძლებლობა-სტანდარტის განხილვის შემდეგ, სასურველია, კონსესუსის მიღწევა, რომელიც მოლაპარაკებისას გაკეთებულ დასკვნებს ეფუძნება და, შეძლებისდაგვარად, ორივე მხარის ინტერესებს გამოხატავს“.<sup>457</sup>

მორიგება ეყრდნობა მხარეებს შორის ერთგვარ ადამიანურ და სამართლებრივ ბალანსს. აღნიშნულმა ბალანსმა საქმის წარმოების გარკვეულ ეტაპზე ინტერესთა შეჯერების წინაპირობა უნდა მისცეს მხარეებს, რაც გახდება ერთგვარი საფუძველი იმისა, რომ საქმის წარმოება მორიგებით დასრულდეს.

<sup>453</sup> შენგელია რ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-4, ტომი II, თბ., 2001, 228.

<sup>454</sup> იხ. შენგელია რ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-4, ტომი II, თბ., 2001, 229.

<sup>455</sup> „დაუშვებელია მორიგებით მესამე პირისთვის რაიმე ვალდებულების დაწესება. მორიგება შეიძლება შეეხოს მესამე პირს, თუმცა იმგვარ კონტექსტში, რომ მორიგების მხარემ მორიგების გზით მესამე პირის მიმართ მოთხოვნის უფლებაზე თქვას უარი (pactum de non pedendo)“. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №2ბ/1084-13. შემდგომი მითითებით: Münchener Kommentar zum BGB, Habersack, BGB §779, 6. Auflage 2013, გ.

<sup>456</sup> თოთლაძე ლ., გაბრიხიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩხანძიე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012, 293.

<sup>457</sup> გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 92.



უშუალოდ დისპოზიციურობის პრინციპით გამყარებული მხარეთა შესაძლებლობა, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, გულისხმობს მორიგებისას მხარეებს შორის კომპრომისს,<sup>458</sup> რაც მორიგების პირობების სახით დეტალურად აისახება მორიგების აქტში და, ასეთი პირობების კანონთან შესაბამისობისას, მტკიცდება ასევე მორიგების აქტში.<sup>459</sup>

კომპრომისი ხშირად სპონტანური ხასიათისაა და ერთ კონკრეტულ მიზანს ემსახურება – თავიდან იქნეს აცილებული ვალდებულების შეუსრულებლობა და მასთან დაკავშირებული შემდგომი სამართლებრივი დავები. კონკრეტულ შემთხვევაში, შეთანხმების ანუ კომპრომისის მიღწევის საფუძველი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შეიძლება იყოს.<sup>460</sup>

თავის მხრივ, კომპრომისის<sup>461</sup> მიღწევის საშუალებებია: სიტუაციის განმუხტვა, ყურადღების გამახვილება დავის სამომავლო მოგვარებაზე, საერთო ინტერესებზე ფრთხილად საუბარი,<sup>462</sup> აქცენტირება შესაძლო და არა გარდაუვალ შედეგებზე. გარდაუვალი შედეგი ცნობილი ხდება მაშინ, როცა სასამართლო გადის სათათბირო ოთახში და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.<sup>463</sup>

მორიგების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ, ვინც უარს ამბობს მორიგებაზე, ის, ფაქტობრივად, რისკავს, რადგან, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო საქმის განხილვის შედეგად, წინასწარ თვით სასამართლომაც არ იცის.

დასაშვებია, სასამართლომ შესაძლო შედეგებზე მიუთითოს. თუმცა, შესაძლო შედეგი მხარეებმა ისე არ უნდა მიიღონ, რომ მათ დავა უკვე გადაწყვეტილად ჩათვალონ. შესაძლო შედეგებზე მითითებისას სასამართლომ უნდა მიუთითოს კანონზე, პრაქტიკაზე, იურისტთა და საზოგადოების აზრზე, მაგრამ, ამასთან, უნდა აღნიშნოს, რომ ყოველივე ეს შეიძლება შეიცვალოს საქმისადმი მხარეთა დამოკიდებულების შედეგად.<sup>464</sup>

თუ დავის ძირითად საკითხებზე მოლაპარაკებები შეფერხდება, მაშინ შესაძლებელი იქნება მხარეები შეთანხმდნენ დავის საპროცესო წესით გადაწყვეტაზე.<sup>465</sup>

<sup>458</sup> ცალმხრივი კომპრომისი. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №2ბ/1084-13.

<sup>459</sup> ნაკყეობა ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014, 494. იხ. საქმე №ას-792-1079-09, 09.11.2009.

<sup>460</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №2ბ/1084-13.

<sup>461</sup> „კომპრომისის სტრატეგია“ რესურსების გადანაწილების თანაბარ გაყოფას გულისხმობს. ერთი მოდავე მხარის დათმობა, მეორე მოდავე მხარის დათმობის ტოლფასი უნდა იყოს. ამ სტრატეგიის ძირითადი პრინციპია „რაიმე რომ მივიღოთ, მაშინ ყოველმა ჩვენგანმა რაღაცა უნდა დათმოს“. ვრცლად იხ. *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია, თბ., 2012, 12.

<sup>462</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 25.

<sup>463</sup> იხ. იქვე, 35.

<sup>464</sup> იხ. იქვე.

<sup>465</sup> *Merrills J. G.*, International Dispute Settlement, New York, 2005, 12.

### III. მორიგების პროცესის მახასიათებელი პრინციპები

პარვარდის კონცეფციის ავტორების, როჯერ ფიშერისა და ვილიამ ურის, მთავარი მიზანი იყო ისეთი მეთოდის პრეზენტაცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მორიგების პროფესიული და შედეგობრივი წარმოება. კონცეფცია მიზნად ისახავს მხარეთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას, პარსპექტივის შეცვლას წარსულიდან აწმყოსა და მომავლისაკენ, გონივრული კონსენსუსის მიღწევას.<sup>466</sup>

აღნიშნული კონცეფციის უმთავრესი საფუძველი მოლაპარაკების პროცესში ინტერესებზე დამყარებული მიდგომის გამოყენების მცდელობაა. ცნობილ წიგნში – „თანხმობის მიღწევა“ – განსაზღვრულია სწორედ ინტერესზე დამყარებული მიდგომის ოთხი ძირითადი ტიპი.<sup>467</sup>

#### 1. ადამიანებისა და პრობლემების ერთმანეთისაგან გამიჯვნა

მოლაპარაკებები ადამიანებს შორის მიმდინარე პროცესია და ამიტომ, ხშირად, ეს მათ მხარეთა კონკურენცია ან სურვილების ბრძოლის ველი ჰგონიათ. მოლაპარაკებებს ბევრი არ აღიქვამს შეთანხმების პირობების მისაღწევ დისკუსიად. უფრო მეტიც, ამას, შესაძლოა, დაერთოს მძიმე ემოციური ფონი, როცა აუცილებელი ხდება ადამიანებისა და პრობლემების ერთმანეთისგან გამიჯვნა.<sup>468</sup>

მხარეები, რომლებიც დაობენ ამა თუ იმ საკითხზე და განსხვავებული პოზიციები აქვთ, ერთმანეთისაგან არ მიჯნავენ შეხედულებებსა და ადამიანებს. აღნიშნული კი მოლაპარაკებების პროცესში არსებული „ადამიანური პრობლემა“. „ადამიანურ პრობლემად“ მიიჩნევა ის ფაქტიც, რომ ადამიანები, მოწინააღმდეგე მხარის მსჯელობიდან, ხშირად, წარმოსახვით, დაუსაბუთებელ დასკვნებს აკეთებენ, რომელსაც თავიანთ საწინააღმდეგო კამპანიად აღიქვამენ. აღნიშნული პროცესი ავტომატურად მიმდინარეობს, ამიტომ ადამიანები და, განსაკუთრებით, მომრიგებლები, მოლაპარაკების პროცესში სათანადო ყურადღებით უნდა მოეკიდონ ამგვარ ადამიანურ მომენტს.

მორიგებისას ანალიზდება დავის საგნის ირგვლივ არსებული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. შესაძლებელია, პროცესის ნებისმიერი მონაწილე ერთმანეთში ურევდეს პირადი ურთიერთობებსა და სამართლებრივ დავას ანუ საქმესთან დაკავშირებულ პრობლემებს. ეს კი წამგებიანია საქმის განხილვისათვის, ვინაიდან რთულდება საქმის წარმოება პროფესიულ დონეზე.<sup>469</sup>

<sup>466</sup> პარვარდის კონცეფცია პირველად, და მეტად წარმატებულად, იქნა გამოყენებული 1979 წლის სექტემბერში ეგვიპტესა და ისრაელს შორის წარმოებული მოლაპარაკებების ფარგლებში, სადაც ამერიკა ასრულებდა მომრიგებლის როლს. იხ. *გოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 43.

<sup>467</sup> იხ. *ოსტერმიდლერი ხ. მ., სენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 55.

<sup>468</sup> იხ. იქვე, 56.

<sup>469</sup> იხ. *გოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 44.

მდგომარეობას ის გარემოებაც ართულებს, რომ მხარეებს აქვთ მიდრეკილება, სხვადასხვა საკითხი სხვადასხვაგვარად წარმოადგინონ.<sup>470</sup> ერთი და იგივე ფაქტები, შესაძლოა, სხვადასხვა ინტერპრეტაციის საგნად იქცეს. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ მხარეებს სურთ მორიგების მიღწევა, საჭიროა მათი განხილვა და მათზე რეაგირება.<sup>471</sup>

პოზიციებისათვის ბრძოლა ჰგავს გარკვეული ფასეულობებისათვის დავას, როგორცაა, მაგალითად, სიმართლე და სიცრუე, სადაც გამოირიცხულია კომპრომისი მარცხის გარეშე. შესაბამისად, პროცესის მონაწილეთა ერთმანეთთან დასაახლოებლად მოსამართლემ უნდა გამოიკვლიოს და გამოავლინოს მხარეთა ინტერესები და განიხილოს ისინი მათთან ერთად.<sup>472</sup>

ინტერესთა გამოვლენა უნდა დაიწყოს ჯერ კიდევ მოსამზადებელ სტადიაზე, როდესაც მოსამართლე გაითავისებს ორივე მხარის პერსპექტივას და დაფიქრდება, თუ რა შეიძლება იყოს ამ პერსპექტივიდან მნიშვნელოვანი. საქმის განხილვაზე კი თვითონ მხარეები აკეთებენ ახსნა-განმარტებებს, სადაც მოსამართლის კითხვებისა და მოხერხებული ტაქტიკის მეშვეობით შესაძლებელია, თავად წარმოადგინონ საკუთარი ინტერესები. მხარეთა ინტერესების გამოკვლევისას მოსამართლეს დაეხმარება იმის ცოდნა, რომ აღამიანებს აქვთ გარკვეული ძირითადი მოთხოვნილებები და ღირებულებები, რომლებიც დგას მათი პოზიციების მიღმა.<sup>473</sup>

როგორც წესი, დავის დასაწყისში, მხარეები იმიტომ კი არ მიდიან პროცესზე სასამართლოში, რომ დათმონ თავიანთი მოთხოვნები და მორიგდნენ, არამედ იმიტომ, რომ მორიგება შეუძლებელად მიჩნიათ და სურთ საქმე სასამართლოს გზით გადაწყვიტონ, რაც გულისხმობს იმას, რომ, ერთი მხარის აზრით, მეორემ უნდა წააგოს. მოსამართლე დასაწყისშივე დგას დიდი გამოწვევის წინაშე. მან მხარეების საბრძოლო განწყობა, კონსესუალური მიდგომით, ნელ-ნელა უნდა შეცვალოს კოოპერაციული განწყობითა და მზაობით. მხარეების კოოპერაციულ განწყობას კი მოსამართლე მიაღწევს მხოლოდ მაშინ, თუკი პროცესის მონაწილეთა მხრიდან მოიპოვებს ნდობას, როგორც მომრიგებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი ძალა.<sup>474</sup>

ემოცია<sup>475</sup> ხშირად გვევლინება კომუნიკაციის ხელშემშლელ ფაქტორად. ურთიერთდამოკიდებულების მოგვარება იწვევს აღამიანების კონცენტრაციას საქმესთან დაკავშირებულ შრეზე. როდესაც ორივე მხარე უდრეკად დგას თავის პოზიციაზე და ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ წინა პლანზე გამოსატულ ფულად ინტერესებზე, მაშინ ასეთი მიდგომით

<sup>470</sup> განსხვავებულობა მხარეთა შორის გაუგებრობის წარმოშობის წინაპირობაა. ვრცლად იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 72.

<sup>471</sup> იხ. იქვე, 57.

<sup>472</sup> იხ. *კოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 44.

<sup>473</sup> იხ. იქვე, 45.

<sup>474</sup> იხ. იქვე.

<sup>475</sup> ემოცია შესაძლოა იყოს უარყოფითი და დადებითი. ვრცლად იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 65-70.

თითქმის შეუძლებელია შეთანხმების მიღწევა, ვინაიდან აქ ყველაფერი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ერთმანეთს.<sup>476</sup>

აღამიანური აღქმის თავისებურებათა შეცნობა მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს და იმსჯელოს მხარეთა ურთიერთგანსხვავებულ შეხედულებებზე. ეს ნიშნავს იმასაც, რომ მოსამართლე უნდა შეეცადოს, რომ მხარეები გაგებით მოეკიდონ ერთმანეთის ხედვასა და პერსპექტივებს, ვინაიდან სინამდვილის სხვისი თვალთ დანახვის მცდელობა აუცილებელია.<sup>477</sup>

## 2. კონცენტრაცია ინტერესებზე და არა მოსაზრებებსა და პოზიციებზე

ბევრი სამართლებრივი დავის ძირითადი პრობლემა განპირობებულია და გამოძინარეობს სწორედ მხარეთა ინტერესებიდან<sup>478</sup> და არა სამართლებრივი გარემოებებიდან, როგორც ამას იურისტები ფიქრობენ. მხარეთა პოზიციები<sup>479</sup> მარტივი შესამჩნევი და გამოსავლენია. სამოქალაქო პროცესში ისინი ძირითადად გამოძინარეობს სასარჩელო განცხადებებიდან.

თითქმის ყოველთვის, თითოეულ მხარეს აქვს მრავალმხრივი ინტერესები,<sup>480</sup> რომლებსაც ისინი მოლაპარაკებებში ააშკარავენ. სწორედ ინტერესებს მიყვარათ საბოლოო პოზიციებამდე, რომლებიც მიჩქმალულია, ანუ პოზიციებს მიღმაა. პოზიციების ნაცვლად დიდი ყურადღება უნდა გამახვილდეს პროცესის მონაწილეთა ინტერესებზე. ინტერესები იერარქიული სახით განლაგებულია „ინტერესთა ხეებში“. უფრო მნიშვნელოვანი და საფუძვლიანი ინტერესები ნაკლებად მნიშვნელოვანი ინტერესების დაბლა მდებარეობს. ამიტომ სასარგებლო იქნება, თუკი მოხერხდება ინტერესთა შორს განჭვრეტა და არა მხოლოდ იმ ინტერესის დანახვა, რომელიც რომელიმე მხარის შეთავაზების საფუძველია. თუ „ინტერესთა ხეებს“ სიღრმეში ჩაყვებით, ნაპოვნი იქნება ის ინტერესი, რომლის მოპირისპირე მხარესთან შეთანხმება, ანუ მოლაპარაკება შესაძლებელია.<sup>481</sup>

<sup>476</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია, ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 44.

<sup>477</sup> იხ. იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 46.

<sup>478</sup> ინტერესები არის: მხარეთა იმედები, შანსები, სურვილები. იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 76.

<sup>479</sup> პოზიციები არის: მხარეთა მოთხოვნები, თხოვნები, შეთავაზებები. იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 76.

<sup>480</sup> იხ. იქვე, 77.

<sup>481</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია, ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 46.



### 3. ორივე მხარისათვის სასარგებლო და მისაღები გადაწყვეტილების ალტერნატივების შემუშავება

თუ მხარეების მიზანია მათ შორის არსებული დავის შედეგიანი და წარმატებული გადაწყვეტა, მათ უნდა შეიმუშაონ ორმხრივი სარგებლის მიღების არა ერთი ან ორი, არამედ რამოდენიმე ვარიანტი.<sup>482</sup>

მხარეთა ინტერესების გამოვლენის შემდგომ, სასამართლო ცდილობს მიაღწიოს მოლაპარაკებების ისეთ შედეგს, რომელიც სასარგებლოა ორივე მხარისათვის. ასეთი შედეგი დაფუძნებულია ორმხრივობის პრინციპზე, რომლის მიხედვითაც, უნდა მოიძებნოს ორივე მოდავე მხარისათვის სასარგებლო გამოსავალი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ისეთი შედეგის მიღწევა, რომელშიც არ იარსებებს გამარჯვებული და დამარცხებული.<sup>483</sup>

ორმხრივი სარგებლის მიღება არც თუ ისე მარტივად მისაღწევია. არსებობს სირთულის ოთხი ძირითადი მიზეზი:

- თითოეულ მხარეს მხოლოდ საკუთარი ინტერესი აღელვებს;
- მხარეები ფოკუსირებული არიან მხოლოდ ერთ საუკეთესო ვარიანტზე;

- მხარეებს გამოაქვთ ნაადრევი დასკვნები;
- მხარეებს სჯერათ, რომ დავა დაკავშირებულია ფულად თანხასთან ან ეს არის თამაში მოგება-წაგებაზე ან ნულოვან შედეგზე.

აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად არსებობს ოთხი მნიშვნელოვანი გზა:

- უნდა გამოცალკევდეს ვარიანტების შემუშავების მოქმედება ვარიანტების განსჯის მოქმედებისაგან;
- უნდა გაფარდოვდეს განსახილველი ვარიანტები იქამდე, სანამ ერთადერთი პასუხი არ მოიძებნება;
- უნდა მოიძებნოს ორმხრივი სარგებელი;
- უნდა გაადვილდეს მეორე მხარის მიერ გადაწყვეტილების მიღება.<sup>484</sup>

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია რამდენიმე სახის კომუნიკაცია:

- პროცესის ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიცვას და შეინარჩუნოს საკუთარი სახე. ნებისმიერი სასამართლო პროცესისათვის გადამწყვეტია ყველა ადამიანის ღირსების სათანადოდ გათვალისწინება და დაცვა;

- მნიშვნელოვანია თანმხვედრი ინტერესების გამოვლენა. თუ მხარეთა ყველა ინტერესი ურთიერთსაწინააღმდეგოა (რაც, უმეტეს შემთხვევაში, ასეცაა), მაშინ გამოსავალი უნდა მოიძებნოს ყველა იმ პირის მონაწილეობით, ვისთანაც რაიმე სახით დაკავშირებულია მხარეთა ინტერესები;

<sup>482</sup> იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 81.

<sup>483</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია, ს., გელაშვილი რ.* (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 47-48.

<sup>484</sup> ვრცლად იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 81-90.

• ორივე მოდავე მხარის შედეგობრივი დანაკლისი მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. დავათა უმეტესობაში საქმე არ ეხება მხოლოდ ერთ კონკრეტულ საგანს, არამედ მრავალფეროვან ინტერესებს, რომლებიც მხარეთათვის სხვადასხვაგვარად მნიშვნელოვანია.<sup>485</sup>

გამოსავლის ძიებისას არსებითია მეთოდები (ტაქტიკა), რომლებიც ხელს უწყობს ორივე მხარისათვის სასარგებლო და მისაღები ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღებას:

• მანევრირების მასის მოძიება – აუცილებელია მოიძებნოს შესაძლებლობები,<sup>486</sup> თუ როგორ გადიდდეს მოთხოვნის საგანი, სანამ ის გაიყოფა;

• გათანაბრების ტაქტიკა – ანუ თითოეული მხარე იღებს იმას, რაც უნდა, მაგრამ მეორე მხარეს სთავაზობს კომპენსაციას, თუმცა, ეს არ უნდა იყოს ზუსტად იგივე თანხა;

• დათმობათა გაცვლა – როცა მხარეები დაობენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მათთვის პრიორიტეტულია, მიზანშეწონილია კონცესია, ანუ ორივე მხარემ დათმოს ის პუნქტები, რომლებსაც მათთვის პრიორიტეტულობის ნაკლები ხარისხი აქვს;

• ხარჯთა ტაქტიკა – ამ დროს ორივე მხარის სასარგებლოდ მცირდება დათმობის ხარჯები; გამოიყენება „ხიდის ტაქტიკა“, ოღონდ იმ შემთხვევაში, როდესაც ვერცერთი მხარე ვერ აღწევს თავისი პირვანდელი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სწორედ ამ დროს რომელიმე მათგანს შემოაქვს წინადადება ურთიერთშეთანხმების ისეთ შესაძლებლობაზე, რომელიც ითვალისწინებს ორივე მხარის ინტერესებს და, რომელიც აქამდე არ განხილულა, ანუ ორივე მხარე თანხმდება იმ შესაძლებლობაზე, რომლის შესახებაც, ცხარე კამათის გამო, მანამდე საუბარი ვერ შედგებოდა.<sup>487</sup>

ყოველთვის არაა შესაძლებელი მოგების მაქსიმუმის მიღწევა ორივე მხარისთვის. ერთობლივი გამოსავლის საფუძველი შეიძლება იყოს შედარებით უფრო სუსტი, ანუ დაბალი ხარისხის შეთანხმებაც, როგორცაა, მაგალითად, დროებითი, ნაწილობრივი, პრინციპული თუ პირობადადებული შეთანხმებები. სასურველია ინტერესების, რაც შეიძლება, მაქსიმალური თანხვედრა.<sup>488</sup>

#### 4. ობიექტური კრიტერიუმების გამოყენება

ზოგადად, მორიგება უნდა ეყრდნობოდეს კრიტერიუმებს, რომლებიც მხარეთა ნებისაგან შექმნის დაგვარად დამოუკიდებელია, მაგრამ შესაძლებელია მათი გადამოწმება.

მორიგება, მხარეთა ნების გამოვლენის შედეგია. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს მხარეთა ნება და კრიტერიუმები, რომლებიც მორიგების სამართლებრივი მახასიათებლებია და მოდავე მხარეთა ნებისგან დამოუ-

<sup>485</sup> იხ. გოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია, ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 47-48.

<sup>486</sup> იხ. და შეად. ოსტერმილერი ხ. მ., სვენსონი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 81.

<sup>487</sup> იხ. გოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია, ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 49.

<sup>488</sup> იხ. იქვე.

კიდებლად არსებობს. ასეთ კრიტერიუმებს, ჰარვარდის კონცეფციის მიხედვით, ობიექტურ კრიტერიუმებს უწოდებენ.<sup>489</sup>

ობიექტური კრიტერიუმების არსი მოდავე მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად არსებული კრიტერიუმების გამოყენების პრინციპშია. არსებობს ობიექტური კრიტერიუმის ორი ტიპი: სამართლიანი სტანდარტები და სამართლიანი პროცედურები.<sup>490</sup>

იმისათვის, რომ პროცესის მონაწილეებს გაუჩნდეთ ურთიერთშეთანხმების აღიარების შანსი, შეთანხმებასთან დაკავშირებული წინადადებები უნდა დაეყრდნოს ისეთ კრიტერიუმებს, რომლებიც არ იქნება დამოკიდებული არცერთი მხარის ნება-სურვილზე. ამასთან, აღნიშნული კრიტერიუმები სამართლიან, ეფექტურ, გონივრული, პროფესიულ, საქმიან და სტაბილურ ხასიათს უნდა ატარებდეს.<sup>491</sup>

მხარეების მიერ მორიგების მიღება-აქცეპტირება მით უფრო სავარაუდოა, რაც მეტად მიიჩნევენ მას სამართლიანად. სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, სამომრიგებლო მოლაპარაკების წარმოებისას მოსამართლემ არ უნდა დაუშვას, რომ მხარეებმა მიმართონ ბაზრის შესაბამის ვაჭრობას. მან თითოეულ მხარეს უნდა ჰკითხოვს, თუ რა გამოთვლებით მივიდა იგი მის მიერ შემოთავაზებულ ან მოთხოვნილ თანხამდე, როგორ ასაბუთებს და რა კრიტერიუმებს ეყრდნობა.<sup>492</sup>

ობიექტური კრიტერიუმების სწორი გამოყენებისათვის აუცილებელია პოზიციების მიღმა არსებული ინტერესების აღმოჩენა, მხარეთა მიერ საკუთარი კრიტერიუმების განსაზღვრის საფუძვლების გარკვევა და კონფლიქტის მოწესრიგების, შეძლებისდაგვარად, ბევრი შესაძლებლობის მოძიება, რომლებიც დააკმაყოფილებს ორივე მხარის ინტერესებს.<sup>493</sup>

#### IV. მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილი

##### 1. მორიგების აქცესორული ბუნება

სამოქალაქო საპროცესო სამართალი სამართლის ერთიანი სისტემის განუყოფელი ნაწილია და, აქედან გამომდინარე, წარმოუდგენელია მას კავშირი არ ჰქონდეს ამ სისტემის სხვა დარგებთან. ყველაზე მეტად კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება მას სამოქალაქო მატერიალურ სამართალთან აქვს, ვინაიდან სწორედ მატერიალური სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვის წესს განსაზღვრავს საპროცესო სამართალი. დამოკიდებულება მატერიალურ და პროცესუალურ სამართალს შორის არის ფორმისა (მატერიალური სა-

<sup>489</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 50.

<sup>490</sup> ვრცლად იხ. *ოსტერმიდერი ხ. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 92-93.

<sup>491</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 50.

<sup>492</sup> იხ. იქვე.

<sup>493</sup> იხ. იქვე.

მართალი) და შინაარსის (პროცესუალური სამართალი) დამოკიდებულება.<sup>494</sup> ამდენად, სამოქალაქო საპროცესო სამართლის არსებობის მიზანი მატერიალური სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობების განხორციელების სამართლებრივი უზრუნველყოფაა.

სსსკ-ის XXIX თავი ითვალისწინებს საქმის წარმოების დამთავრებას გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე, სადაც საქმის წარმოების შეწყვეტა და სარჩელის განუხილველად დატოვება მოიაზრება. სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის ერთ-ერთი სამართლებრივი საშუალება მორიგებაა. მორიგების, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრების სამართლებრივი განხორციელება, საქმის წარმოების პროცესზეა დამოკიდებული და მის გარეშე არ არსებობს.<sup>495</sup>

მორიგებას, ერთი მხრივ, ვალდებულებითსამართლებრივი ხასიათი აქვს და ზემოხსენებული მსჯელობით ის მატერიალური სამართლის შემადგენელი ნაწილია. მეორე მხრივ, მორიგება საპროცესო მოქმედებაა, რომელიც საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია და ის საპროცესო სამართლის შემადგენელი ნაწილია.<sup>496</sup> საპროცესო სამართლის შემადგენელი ნაწილის სახით მორიგების, როგორც დამოუკიდებელი პროცესის ფორმა, აქცესორულ ხასიათში ვლინდება.

სსკ-ის 153-ე მუხლი განსაზღვრავს აქცესორული და შეზღუდული უფლებების შინაარსს და ადგენს, რომ „აქცესორულია უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს“.<sup>497</sup>

სხვა უფლება მთავარ უფლებას წარმოადგენს. მთავარი უფლება ძირითადი ვალდებულებაა. „ძირითად ვალდებულებასა და აქცესორულ უფლებას შორის კავშირი ვლინდება იმაში, რომ აქცესორული უფლება ემსახურება ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილებას“.<sup>498</sup>

„აქცესორულია ისეთი უფლება, რომელიც მთავარი უფლების მიზანს ემსახურება, კერძოდ, მის გაფართოებას ან განმტკიცებას. აქცესორული უფლების მიზნიდან ჩანს, რომ იგი არ წარმოიშობა მთავარი უფლების გარეშე“.<sup>499</sup>

მორიგების, როგორც მატერიალური სამართლის მოვლენის მიზანი სადავო ურთიერთობის მოგვარებაა. მორიგების, როგორც საპროცესო მოქმედების მიზანიც იგივეა, თუმცა, უფრო მეტი სიზუსტით აქ მორიგება მიზნად ისახავს სამოქალაქო საქმის წარმოებით განსახილველი დავის მოგვარებას.

<sup>494</sup> იხ. *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 66. იხ. და შეად. *კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, 9.

<sup>495</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა მხოლოდ სასამართლოს მიერ მორიგებას ითვალისწინებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მორიგებისა და საქმის წარმოების ურთიერთკავშირის განუყოფლობას.

<sup>496</sup> იხ. *თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა ა., ჩაჩანიძე ე.*, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012, 296.

<sup>497</sup> სსკ-ის მუხლი 153-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>498</sup> *შოთაძე თ.*, სანივთო სამართალი, თბ., 2014, 40.

<sup>499</sup> იხ. *ზოიძე ბ., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ხეცურიანი ჯ., ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-2, თბ., 1999, 34-35.



აღნიშნული მიზნის განხორციელების სამართლებრივი ფორმა მხარეთა ნების შეთანხმებაა. თუმცა, დამოუკიდებლად არსებული ნება ვერ უზრუნველყოფს სასამართლოში არსებული დავის მოწესრიგებას. ამისთვის, არსებობს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესი, რომ მორიგება, როგორც საპროცესო მოქმედება, სამოქალაქო საქმის წარმოების დასრულების (შეწყვეტის) საფუძველი, საშუალებაა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საპროცესო სამართალი ემსახურება მატერიალური სამართალით მოწესრიგებული ურთიერთობების რეგულირებას და განხორციელებას. მორიგებასთან დაკავშირებით, ასეთი სახის „სამსახური“ ორმხრივია. მატერიალური სამართალით გათვალისწინებული მორიგება ემსახურება საპროცესო სამართალს, ვინაიდან საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია, ხოლო საპროცესო სამართალი ემსახურება მატერიალური სამართლის განხორციელებას ანუ სადავო ურთიერთობის რეგულირებას.

მორიგების აქცესორულ ბუნებას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ მორიგებისათვის აუცილებელია ობიექტი ანუ საგანი, რომელზეც მორიგება უნდა განხორციელდეს.<sup>500</sup> მორიგების ობიექტი სასარჩელო მოთხოვნით გათვალისწინებული დავაა. მორიგების აუცილებლობა არ წარმოიშობა და მორიგების დამოუკიდებელი პროცესი ვერ განხორციელდება მთავარი საპროცესო უფლების, საქმის წარმოების გარეშე. თუ არ იქნება საქმის წარმოება, ანუ სასამართლო წესით განსახილველი დავა, მორიგებაც ვერ განხორციელდება, ვინაიდან არ იარსებებს საგანი, რაზეც მორიგება უნდა შედგეს. ამდენად, თუ არ არის დავა, მოსარიგებელი არაფერია. დავა ან მხარეთა გაურკვეველობა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ მორიგების წინაპირობაა.<sup>501</sup> მხოლოდ სასამართლოში განსახილველი დავის – საქმის წარმოების არსებობისას არის შესაძლებელი მორიგებაზე, როგორც აქცესორული ხასიათის სამართლებრივ პროცესზე, საუბარი.

მორიგება საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი, მისი აქცესორული ნაწილია. ამასთან, ვინაიდან ის თავადაც დამოუკიდებელი პროცესია, მათ მიმართ განსხვავებული ტერმინები უნდა იქნეს გამოყენებული. პირველი შემთხვევა, როცა მორიგება დამოუკიდებელი სამართლებრივი პროცესია, „მორიგების პროცესად“ უნდა იქნეს მოხსენიებული. ხოლო მეორე შემთხვევა, როცა ზემოდხსენებული მორიგების პროცესი სამოქალაქო საქმის წარმოების ჭრილში განიხილება, როგორც მისი არსებითი შემადგენელი ნაწილი, კონკრეტული სამართლებრივი ტერმინით – „პროცესის პროცესით“ უნდა განიმარტოს. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას კი ის გარემოება განაპირობებს, რომ მორიგება თავისთავადი პროცესია, თუმცა ის არარსებული სამართლებრივი მოვლენა იქნება, თუ სამოქალაქო საქმის წარმოების კონტექსტში არ იქნება განხილული.

<sup>500</sup> იხ. და შეად. ლილეაშვილი თ., ლილეაშვილი გ., ხრუსტალი ე., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 59-60.

<sup>501</sup> იხ. ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 97.

## 2. სასამართლოსმიერი მორიგება

მორიგების აქცესორულ ბუნებას უკავშირდება ასევე ის გარემოება, რომ საქმის წარმოების დასრულების ერთ-ერთი სამართლებრივი საშუალება – მორიგება სასამართლოს ფარგლებში ხორციელდება და, შესაბამისად, სასამართლოსმიერ მორიგებას წარმოადგენს.

ნებისმიერი სახის დავა, რომელიც სასამართლო განხილვის საგანი ხდება, საქმის წარმოებად ყალიბდება. სასამართლო განხილვის საგნად ქცეული დავა საქმის წარმოებაა მანამდე, სანამ ის სასამართლო მსჯელობის საგანია და, სანამ კანონით გათვალისწინებული წესით დასრულდება.

მორიგება, როგორც წესი, გულისხმობს მხარეთა შერიგებას<sup>502</sup> და ამით კონფლიქტის მოწესრიგებას. სამოქალაქო საქმეებზე ეს ჩვეულებრივი, მიღებული პრაქტიკაა, დავის სასურველი გადაწყვეტაა (შედგეია), ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე – უფრო გამონაკლისი, „მოკრძალებული“, გაცილებით იშვიათად გამოყენებული მეთოდია, რადგან მორიგება, მედიაცია თუ არბიტრირება აქ უფრო იშვიათად მიიღწევა.<sup>503</sup>

საქმის წარმოების დამთავრება მხოლოდ სასამართლოსმიერი მორიგებით არის შესაძლებელი.<sup>504</sup> თუ დავა სასამართლოს გარეშე მორიგების საგანი გახდება, იგი უკვე აღარ მიეკუთვნება საქმის წარმოების პროცესს, არამედ მხარეთა დამოუკიდებელი შეთანხმებით რეგულირებულ დავად გვევლინება.

ზოგადად, დავის გადაწყვეტის პროცესი, ადგილის მიხედვით, ორ ძირითად ტიპს მოიცავს: სასამართლო პროცესს (*adjudicative processes*) და არასასამართლო (შემთანხმებელ) პროცესს (*consensual processes*). სასამართლო პროცესი მოიცავს: სამართალწარმოების პროცესს ან საარბიტრაჟო საქმის წარმოებას, სადაც მოსამართლე, არბიტრი ან ნაფიცი მსაჯულები წყვეტენ დავას. არასასამართლო (შემთანხმებელი) პროცესი მოიცავს: მორიგების სხვადასხვა სახეებს (*mediation, conciliation, negotiation*), სადაც მხარეები დამოუკიდებლად ცდილობენ შეთანხმების მიღწევას.<sup>505</sup>

სასამართლო და არასასამართლო მორიგებას უკავშირდება სამოქალაქო საქმეებზე მიღებული „მორიგებითი შეთანხმება“.<sup>506</sup> „ეს არის მხარეთა შეთანხმება სასამართლო დავის გარკვეული პირობებით (ყველაზე ხშირად, ორმხრივი დათმობების საფუძველზე) შეწყვეტის შესახებ. სასამართლო სხდომაზე მიღებული მორიგებითი შეთანხმებები სასამართლო სახისაა, ხოლო სასამართლო სხდომის გარეშე მიღებული შეთანხმება არა-

<sup>502</sup> ზოგჯერ, მხარეს არ ესმის მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობა და აცხადებს, რომ მეორე მხარეს არ შეურიგდება. ასეთ დროს მხარეს უნდა განემარტოს, რომ მორიგება შერიგება არ არის. ეს არის მხარეთა ქონებრივ და სხვა უფლებების განხორციელებაზე შეთანხმება, რომლის შესრულება ისევე სავალდებულოა, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების. იხ. და შეად. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 36.

<sup>503</sup> იხ. გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, თბ., 2008, 100-101.

<sup>504</sup> ბევრ, განვითარებულ ქვეყანაში სასამართლოსმიერი მორიგება ხდება საქმის წარმოების დასრულების ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმა, რაც არსებით გააღწევს სასამართლოს საქმიანობაზე. *Ervasti K., Conflicts Before the Courts and Court-annexed Mediation in Finland, Scandinavian Studies In Law, © 1999-2012, 193.*

<sup>505</sup> *Mediation*, <<http://www.bambooweb.com/articles/M/e/Mediation.html>>, [19.05.2016].

<sup>506</sup> ივ. მორიგების აქტი.

სასამართლო სახელითაა ცნობილი. მხარეებს სასამართლოსმიერი მორიგებითი შეთანხმების დადება შეუძლიათ მხოლოდ სასარჩელო წარმოების საქმეებზე. ის შეიძლება მიღებულ იქნას როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში, ასევე აღმასრულებელი წარმოების სტადიაში.<sup>507</sup>

სასამართლოსმიერი მორიგების მნიშვნელობაზე მსჯელობისას, საინტერესოა სამომრიგებლო სასამართლოს (*world court*) მნიშვნელობა, რომელიც განიმარტება, როგორც „რიგ სახელმწიფოებში არსებული სასამართლო სისტემის უმდაბლესი რგოლი, რომელიც გამარტივებული პროცედურით განიხილავს წვრილმან სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს“.<sup>508</sup> „სამომრიგებლო სასამართლო ზოგ სახელმწიფოში სასამართლო სისტემის ქვედა რგოლია, რომელიც პირველი ინსტანციით იხილავს მცირე მნიშვნელობის საქმეებს. სამომრიგებლო სასამართლოში საქმის განხილვა ხდება გამარტივებული წესით, მომრიგებელი მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად. საქართველოში ამჟამად ასეთი სასამართლო არ არსებობს“.<sup>509</sup> სამაგიეროდ, არსებობს მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი, რომელიც რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში განიხილავს სამოქალაქო საქმეებს.<sup>510</sup> მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ წვრილმან ქონებრივ დავებს, უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს და საოჯახო-სამართლებრივ საქმეებს, გარკვეული გამონაკლისის გარდა.<sup>511</sup>

აქვე აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ ითვალისწინებს სამომრიგებლო საბჭოების არსებობას და მათ განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას ანიჭებს ასეთი სახის საქმის წარმოების პროცესში.

აღნიშნული კანონის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „მომრიგებელი საბჭო არის კოლექტიური ორგანო, რომელიც იქმნება პარიტეტულ საწყისებზე და არსებითად აფასებს და წყვეტს მოვალის გადახდისუუნარობის საკითხს. მოვალის რეაბილიტაციის შემთხვევაში საბჭო ასევე განიხილავს რეაბილიტაციის გეგმას“. კანონის მიხედვით, მომრიგებელი საბჭოს როლი განსაკუთრებულია, თუმცა, განსხვავებული სამართლებრივი დატვირთვისა და ფუნქციის მატარებელი. საბჭოს წევრები მოვალის და კრედიტორის წარმომადგენლებისგან იქმნება. ფაქტობრივად, ეს ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარის წარმომადგენელთა ერთობლიობაა, რომელთა მიზანი ორმხრივი ინტერესების დაცვა, მორიგება და კომპრომისის მიღწევაა.<sup>512</sup>

<sup>507</sup> *თეზელიშვილი ს.*, იურიდიული ენციკლოპედია, თბ., 2008, 374-375.

<sup>508</sup> *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, თბ., 2008, 100.

<sup>509</sup> *შუმანაშვილი აღ.*, იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2000, 258-259. *Settlement Judges. Cratsley J. C., Judges and Settlement, So Little Regulation with So Much Stake Judicial Mediation and Settlement, Dispute Resolution Magazine, Published by The American Bar Association Section of Dispute Resolution, Volume 17, No.3, Magazine, Editor: Chip Stewart Texas Christian University Fort Worth TX, Spring 2011, 4.*

<sup>510</sup> აშშ-ში მაგისტრატი მოსამართლეების მიერ წარმოებული საქმეების მორიგებით დასრულების თაობაზე. *Denlow M., (Ret), Magistrate Judges' Important Role in Settling Cases, May/June 2014.*

<sup>511</sup> სსსკ-ის მუხლი მე-14.

<sup>512</sup> იხ. საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხლი 32-ე, ნაწილი 1-ლი.

## თავი V. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცალკეული ფორმების ურთიერთშედარებითი მიმოხილვა მორიგებასთან მიმართებაში

### 1. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

„პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დავის გადაწყვეტის დანიშნულების მქონე ყველაზე ცნობილი და კონსტიტუციით გარანტირებული ინსტიტუტი – სასამართლო – სულაც არ არის მხარეთა სამართლებრივი პრობლემის მოგვარების საუკეთესო საშუალება“.<sup>513</sup>

„დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წარმოადგენს სხვადასხვა ხერხებს, რომელთა მეშვეობითაც მხარეებს შეუძლიათ დავის გადაწყვეტა ტრადიციული სასამართლო პროცესის გარეშე“.<sup>514</sup> „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა აღნიშნავს მეთოდების მრავალფეროვნებას, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს დავების მიმართ სასამართლო პროცესის ფარგლებს გარეთ“.<sup>515</sup>

დავის ალტერნატიული გადაწყვეტა<sup>516</sup> (ADR) მოიცავს დავის გადაწყვეტის არაერთ, მათ შორის, ტრადიციულ და ახალ ფორმას, რომელთა შორის მოლაპარაკებების წარმოება, მედიაცია და არბიტრაჟი ყველაზე გავრცელებული სახეებია.<sup>517</sup>

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა ტერმინი „ალტერნატიული“,<sup>518</sup> რომელიც გულისხმობს არჩევით ხასიათს, როგორც ძირითადისგან (სასამართლო პროცესი) განსხვავებით შესასრულებელ დამატებით შესაძლებლობას, საშუალებას.<sup>519</sup> ალტერნატიული განიმარტება, ასევე, როგორც დავის არაკონფრონტაციული გზით გადაჭრა.<sup>520</sup> იურისპრუდენციაში, დავის გადაწყვეტის ზემოხსენებულ წესებს ალტერნატიულს უწოდებენ იქი-

<sup>513</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 31.

<sup>514</sup> *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 3.

<sup>515</sup> იხ. იქვე, 298.

<sup>516</sup> *Otis L.*, Alternative Dispute Resolution: Judicial Mediation, The early settlement of disputes and the role of Judges, 1st European Conference of Judges, Proceedings, organized by the Council of Europe in co-operation with the Consultative Council of European judges (CCJE), Strasburg, 24 and 25 November 2003, 70. შემდგომი მითითებით: S.B. Goldberg, F.E.A. Sander & N.H. Rogers, *Dispute Resolution: Negotiation, Mediation, and Other Processes*, 3rd ed. (Boston: Little, Brown & Company, 1996) c. 1. *Miller J. R.*, Alternative Dispute Resolution (ADR): A Public Procurement Best Practice That has Global Application, 21-23 September, 2006, 653.

<sup>517</sup> იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 3. *Katz A.*, The Effect of Frivolous Lawsuits on the Settlement of Litigation, Department of Economics and Law School, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USA, *International Law Review of Law and Economics* (1990), 10 (3-27), 4-5. Early Neutral Evaluator. *ერცაღდ. Sobel S. A.*, Law Clerk Handbook, *A Handbook for Law Clerks to Federal Judges*, second edition, Federal Judicial Center, 2007, 20.

<sup>518</sup> < <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=2885> >, [19.05.2016].

<sup>519</sup> Setting Out of Court, How Effective is Alternative Dispute Resolution, Viewpoint, Public Policy for The Private Sector, The World Bank Group, Financial and Private Sector Development vice Presidency, October 2011, Note Number 329, 1.

<sup>520</sup> *Shamir Y.*, Alternative Dispute Resolution Approaches and Their Application, PCCP Publications, Unesco, 2001-2003, 2.



დან გამომდინარე, რომ სასამართლო მიიჩნევა დავის გადაწყვეტის ძირითად საშუალებად, ხოლო მოლაპარაკებების წარმოება, არბიტრაჟი და მედიაცია – ალტერნატიულ საშუალებებად.<sup>521</sup>

ტრადიციულად, დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა ორ ჯგუფად იყოფა: ერთი მხრივ, ეს არის დიპლომატიურ-პოლიტიკური, რომელიც მოიცავს მოლაპარაკებების წარმოებას, მედიაციას და გულისხმობს თვითშემოქავე პროცესებს, ხოლო მეორე მხრივ – სამართლებრივი, რომელიც მოიაზრებს სასამართლო წესით საქმის განხილვას, არბიტრაჟს, სადაც შემოქავეთა გადაწყვეტილება, რომელიც არ შეიძლება იყოს ცალმხრივად თავიდან არიდებული.<sup>522</sup>

იმისთვის, რომ პრობლემა დავაში არ გადავიდეს და მხარეებს შორის ურთიერთობა არ გართულდეს, მხოლოდ მხარეთა ძალისხმევით განხორციელებული მოქმედებები საკმარისი არაა. მათ წინაშე რამდენიმე ალტერნატივაა: თვითდახმარება, ტრადიციული სასამართლო პროცესი ან სულაც პრობლემის იგნორირება. აღნიშნული მოქმედებები, მათი შედეგების სათანადო პროგნოზირების შემთხვევაში, არც თუ ისე სახარბიელოა და, ამდენად, მოდავე მხარეები სწორედ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის წესს მიმართავენ.

იურიდიულ დოქტრინებში, სასამართლოსმიერი მორიგება დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებად არ მოიაზრება და მას დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმებს შორის ერთმნიშვნელოვანი სახით ადგილი განსაზღვრული არ აქვს. თუმცა, ყველა ფორმის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია ალტერნატიულობის ორი ძირითადი კრიტერიუმით განსაზღვრა: პირველი, დავის გადაწყვეტის ყველა ფორმა ალტერნატიულია ერთმანეთთან მიმართებაში და, მეორე – დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმაა ყველა ფორმა, რომელიც არაა სასამართლოში საქმის წარმოების პროცესი.<sup>523</sup>

მორიგება უზრუნველყოფს მიმდინარე საქმის წარმოების შეცვლას მხარეთა არჩევანის გზით. მორიგებით მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა დავა ალტერნატიული გზით, ორმხრივი ინტერესების დაკმაყოფილებით გადაწყვიტონ.<sup>524</sup> მორიგება ითვალისწინებს მხარეთა ნებას დავა სასამართლო წესით განხილვისაგან დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებით (ამასთან კანონის დაცვით) მოაგვარონ. მორიგება საშუალებას იძლევა ყველაზე რთულ სამართლებრივ მდგომარეობაშიც კი მხარეებმა არ გაიზიარონ სამართალწარმოების დასრულების შედეგები და მიაღწიონ შეთანხმებას.

დავის ალტერნატიული წესით გადაწყვეტის ფორმების თანმიმდევრობა შემდეგი სახისაა: მოლაპარაკება, მათ შორის შუამავლობით, მოდერაცია, მედიაცია, მედარბი, არბიტრაჟი (ან სასამართლო განხილვა).<sup>525</sup>

<sup>521</sup> იხ. *ოსტერმიდერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 3.

<sup>522</sup> Peters A., International Dispute Settlement: A Network of Cooperational Disputes, Vol. 14, No.1, 1-34, © Ejlil 2003, 4.

<sup>523</sup> Menkel-Meadow C., From Legal Dispute to Conflict Resolution and Human Problem Solving: Legal Dispute Resolution in a Multidisciplinary Context, Georgetown University Law Center, Scholarship@Georgetown law, © 2004 Association of American Law School, 54 J. Legal Educ. 7-29 (2004), 2004, 11.

<sup>524</sup> Moffitt M., Pleading in the Age of Settlement, Indiana Law Jurnal, 2005, 737.

<sup>525</sup> იხ. *ოსტერმიდერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 133.

## 2. მოლაპარაკება

### 2.1. მოლაპარაკება მხარეთა მიერ

მოლაპარაკება ორმხრივი კომუნიკაციის პროცესია,<sup>526</sup> სადაც მხარეები წარადგენენ საკუთარ და განიხილავენ მეორე მხარის შეთავაზებებს,<sup>527</sup> სანამ რომელიმე შეთავაზება არ იქნება მხარის მიერ მიღებული.<sup>528</sup>

„მოლაპარაკება არის დავის გადაწყვეტის არაოფიციალური პროცესი, სადაც ორი ან მეტი მხარე განიხილავს შესაბამის პოზიციებს და ცდილობს შეთანხმების მიღწევას“.<sup>529</sup>

მოლაპარაკება, მედიაციის გამარტივებული ფორმაა და ის დავის გადაწყვეტის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს, რომელიც გამოიყენება როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის ქვეყნებში.<sup>530</sup>

მოლაპარაკება ადამიანთა შორის ურთიერთობის ფორმაა.<sup>531</sup> ბუნებრივი მდგომარეობაა, რომ ადამიანები გამუდმებით ურთიერთობენ სწორედ მოლაპარაკებების გზით და საშუალებით. ამდენად, მოლაპარაკების მუდმივობა იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობს, როგორც დავის არსებობის, ისე მისი არარსებობის დროს, როგორც სასამართლოში, ისე მის გარეთ.

სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესში მოლაპარაკებების შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა სწორედ მორიგების სახით ითვალისწინებს, როცა სსსკ ადგენს დავის მორიგებით დასრულების შესაძლებლობას.<sup>532</sup> მორიგების დროს მოლაპარაკებების წარმოება, კიდევ უფრო ვიწრო მნიშვნელობით – სამომრიგებლო მოლაპარაკებების სახით ვლინდება.

დავის გადაწყვეტის სხვა მეთოდებთან შედარებით მოლაპარაკების წარმოებას შემდეგი მნიშვნელოვანი უპირატესობები გააჩნია: ეკონომიურობა, მოქნილობა, სისწრაფე, მხარის კონტროლი, არსებული ურთიერთობის შენარჩუნების შესაძლებლობა და აღსრულება.<sup>533</sup>

<sup>526</sup> მოლაპარაკების პროცესი შემდეგი ეტაპისგან შედგება: მოსამზადებელი ეტაპი, საწყისი ეტაპი, საინფორმაციო ეტაპი, დისტრიბუციული, ინტერესებზე დამყარებული ეტაპი, დასკვნითი ეტაპი. ვრცლად იხ. *ოსტერმიდლერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 94-104.

<sup>527</sup> მოლაპარაკებები შესაძლოა იყოს: “rights-based” ან “power-based” ან “competitive” ან “integrative”. *Katz A.*, The Effect of Frivolous Lawsuits on the Settlement of Litigation, Department of Economics and Law School, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USA, International Law Review of Law and Economics (1990), 10 (3-27), 6.

<sup>528</sup> იხ. *ოსტერმიდლერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 14. შემდგომი მითითებით: *Gainey v. Brotherhood of Railway and S.S. Clerks, Freight Handles, Exp. & Station Employees*, 275 F. Supp. 292, 300 (E.D. Pa. 1967).

<sup>529</sup> იქვე, 300.

<sup>530</sup> იხ. იქვე, 14.

<sup>531</sup> *Katz A.*, The Effect of Frivolous Lawsuits on the Settlement of Litigation, Department of Economics and Law School, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USA, International Law Review of Law and Economics (1990), 10 (3-27), 6.

<sup>532</sup> იხ. *ოსტერმიდლერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 15.

<sup>533</sup> იხ. იქვე, 17-19.

მოლაპარაკების ეკონომიურობა გულისხმობს ხარჯების არასებობას, თუმცა სასამართლოსმიერი მორიგების (მოლაპარაკებების) დროს, თავდაპირველი მდგომარეობით მხარეს სარჩელი აქვს წარდგენილი სასამართლოში და ის ყველა იმ ხარჯის გამზიარებელია, რაც ზოგადად საქმის წარმოებას ახასიათებს. მხოლოდ, იმ შემთხვევაში, თუ დავა მორიგებით დასრულდება და საქმისწაროება ამ საფუძველით შეწყდება, მხარეები უკვე ეკონომიურობის პრინციპით ინაწილებენ არსებულ ხარჯებს.

მოლაპარაკების პროცესი კონფიდენციალურია. სასამართლოსმიერი მორიგებისას კონფიდენციალურობის საკითხი სსსკ-ის ზოგადი წესების შესაბამისად რეგულირდება. კერძოდ, სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომებზე.<sup>534</sup> ამასთან, სსსკ-ის 218-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეებს და მათ წარმომადგენლებს მოუსმინოს სხვა პირთა დასწრების გარეშე.<sup>535</sup> თუმცა, აღნიშნული საკითხი შედეგის მიღწევაში მინიმალურ როლს თამაშობს და არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის ერთმნიშვნელოვნად ხელშემწყობ ან შემაფერხებელ გარემოებად. შესაძლოა, კონფიდენციალურობის დაცვის საკითხს, გარკვეულ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის შინაარსი განაპირობებდეს.

მოლაპარაკების მოქნილობა ორ მომენტს გულისხმობს – მის მიმდინარეობას და შედეგს. მიმდინარეობის მიხედვით, ეს შესაძლოა იყოს ფორმალური და არაფორმალური, ხოლო შედეგის მიხედვით – მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ ბევრ ისეთ განსხვავებულ საკითხზე, რაც საარბიტრაჟო ან სასამართლო წესით ვერ მოხერხდებოდა.<sup>536</sup>

მოლაპარაკებების სიწრაფე, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საკითხის გადაწყვეტას დროის იმ მონაკვეთში, რომელიც მხარეებს დასჭირდებათ სწორედ მოლაპარაკებების საწარმოებლად. ამასთან, მოლაპარაკების გზით ისინი თავს არიდებენ საქმის წარმოების კანონით დადგენილ ყველა პროცედურის თანმიმდევრულ გავლას, რაც დაკავშირებულია სსსკ-ით გათვალისწინებულ ფორმალურობებთან (უშუალოდ სხდომის წარმართვის თანმიმდევრულობა) და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების პროცესთან.

მორიგების პროცესს მხარეები უშუალოდ აკონტროლებენ. როგორც სასამართლო, არსევე არასასამართლო დავის არსებობის დროს, მხარეთა შორის წარმოებული მოლაპარაკების პროცესი უშუალოდ სწორედ მხარეთა თავისუფალ ნებაში ვლინდება. თავისუფალი ნება კი მხარეების მიერ კონტროლირებადი ნებაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოსმიერი მორიგებისას წარმოებული სამომრიგებლო მოლაპარაკებები (და არა მხოლოდ ეს შემთხვევა, არამედ მედიაცია და არბიტრაჟი) ამ თავისუფა-

<sup>534</sup> სსსკ-ის მუხლი მე-9.

<sup>535</sup> *Ervasti K., Conflicts Before the Courts and Court-annexed Mediation in Finland, Scandinavian Studies In Law*, © 1999-2012, 190. მოსამართლეების ნაწილი მიზანშეწონილიდან მიიჩნევს, რომ კლიენტი და მისი წარმომადგენელი ერთდროულად ესწრებოდნენ სამომრიგებლო პროცესს და ამდენად, მათ არასდროს ანცალკევებს, ხოლო ზოგიერთი მათგანი მიმართავს ე.წ. *“shuttle Diplomacy”*, როცა ხვდება როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. *Cratsley J. C., Judges and Settlement, So Little Regulation with So Much Stake Judicial Mediation and Settlement, Dispute Resolution Magazine, Published by The American Bar Association Section of Dispute Resolution, Volume 17, No.3, Magazine, Editor: Chip Stewart Texas Christian University Fort Worth TX, Spring 2011, 4-5.*

<sup>536</sup> იხ. *ოსტერმიდლერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 18.

ლი ნების საზღვრებს მოსამართლის კანონიერი ავტორიტეტისა და კანონის ძალით არეგულირებს.

მოლაპარაკებების წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შენარჩუნების შესაძლებლობაა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტული, სპეციფიკური დავების არსებობისას.<sup>537</sup>

მოლაპარაკების პროცესის უარყოფით მხარედ ანუ ნაკლოვანებებად, მიიჩნევა გადადება, მხარის არაგონივრულობა, მორიგების აღსრულება და ის გარემოება, რომ ერთი მხარე საკმაოდ ძლიერია.<sup>538</sup>

მოლაპარაკება ნებაყოფლობითი პროცესია. ნებაყოფლობითობა, არა მხოლოდ მოლაპარაკებების აქტიური წარმოების პროცესს გულისხმობს, არამედ მის პასიურ მხარესაც, რაც სამომრიგებლო მოლაპარაკებების გადადებით გამოიხატება. უარყოფითი მხარე ისაა, რომ ამის შესაძლებლობა მხარისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომია, მაგრამ თუ მხარე რეალურად არ არის დაინტერესებული მორიგების მიღწევით, გადადების ფაქტი, შესაძლოა, მხარემ დროის გაწელვის ან სასამართლო განხილვის თვიდან აცილების მიზნით გამოიყენოს. ამ გარემოებებს უკავშირდება მხარის არაგონივრულობაც, როცა მხარე არასერიოზულად ეკიდება მოლაპარაკების საკითხს.<sup>539</sup>

არასასამართლო წესით მიმდინარე მოლაპარაკების შედეგი ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას იმ თვალსაზრისით, აღსრულებდა თუ არა ის სათანადოდ. შესაძლოა, მხარეებმა სათანადო ფორმით წარმართონ მოლაპარაკებები და მიაღწიონ სასურველ შეთანხმებას, მაგრამ ამით მორიგების დამოუკიდებელი პროცესი არ სრულდება. შეთანხმება მოითხოვს გარანტიებს აღსრულებისთვის. სწორედ აქ განსხვავდება ის სასამართლოსმიერ მორიგებასთან, როცა სასამართლო ამოწმებს მხარეთა მიერ მიღწეულ შედეგს და, რაც მთავარია, მას ამტკიცებს სასამართლო განჩინებით. განჩინების თანმდევი შედეგებია შეთანხმების კანონიერი ხასიათი, საქმის წარმოების შეწყვეტა, განჩინების იძულებით აღსრულების შესაძლებლობა.

აუცილებელია მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობდეს მხარეთა თანაბარი პოზიციით. ამას სასამართლოსმიერი მორიგებისას აკონტროლებს სწორედ სასამართლო, რომელიც, ფაქტობრივად, იმ საფუძვლებს მიმართავს, რომლებიც სსსკ-ით არის გათვალისწინებული – ორივე მხარეს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, გამოავლინოს საკუთარი თავი და ინტერესები საქმის წარმოებისას.

ჩვეულებრივი ანუ არასასამართლო მოლაპარაკებისას, როცა მხარე მიმართვას მხოლოდ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ ფორმას, მხარეთა თანაბარი პოზიციების უზრუნველყოფა რთულად სავარაუდოა, რადგან ძალაუფლების (მაგ., ფინანსური ან პოზიციური) მქონე პირი, გავლენის ქვეშ აქცევს მეორე მხარეს. სასამართლო (ან შუამავალი, ან მე-

<sup>537</sup> მაგ. შრომითი ან საოჯახო დავები, სადაც ადამიანური ინტერესი წინა პლანზეა წამოწეული. ხშირად, ასეთი დავები სასამართლო გადაწყვეტილებების შემდეგაც (უფრო მეტად) მხარეთა შეთანხმებით გვარდება, ვიდრე სასამართლო წესით. იხ. *ობტერმილერი ბ. ბ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 24.

<sup>538</sup> იხ. იქვე, 20-21.

<sup>539</sup> იხ. იქვე, 20.



დიატორი, ან არბიტრი) სწორედ ის პირია, რომელიც უზუნველყოფს მხარეთა პოზიციების გათანაბრებას.

ამდენად, მოლაპარაკებების წარმოების პროცესი ერთი კონკრეტული სტუქტურის მქონე კომუნიკაციის სახეობაა, რომელსაც კონკრეტული მიზანი აქვს. არასასამართლო წესით არსებული მოლაპარაკებების მიზანი კი დავის მოგვარებაა. სასამართლო წესით წარმოებული მოლაპარაკებების პროცესი იგივე მორიგებაა და კონკრეტულ შედეგს უკავშირდება, რომელიც, დავის ფაქტობრივად გადაწყვეტის პარალელურად, სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტაში ვლინდება.

## 2.2. მოლაპარაკება შუამავლობით

კონფლიქტის მოწესრიგების დროს მხარეთათვის დახმარების აღმოჩენის სხვა ფორმებიც არსებობს, როცა მხარეები უფრო მკაცრ წესებს ემორჩილებიან, ვიდრე, მაგალითად, მოდერაციისას. ამასთან, პროცედურის დასრულების შემდეგ სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ მიიღება. მოცემული მოდელი საფუძვლად უდევს, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო სხდომის დარბაზში, ადვოკატის ან ნოტარიუსის ბიუროში მორიგებას.<sup>540</sup>

შუამავლის მეშვეობით მოლაპარაკებებს დავის ალტერნატიული წესით გადაწყვეტის თავისებურებები ახასიათებს. შუამავალი ნეიტრალური მესამე პირია<sup>541</sup> მოდავე მხარეებს შორის, მას უფლებამოსილება აქვს, განსაზღვროს მოლაპარაკებების პროცესის უმნიშვნელოვანესი ეტაპები; ის აქტიურ მონაწილეობას იღებს კონფლიქტის გადაწყვეტის გზის მონახვაში. აღნიშნული ემსახურება მიზანს, რომ შუამავალი მხარეებს წაუყენებს კონკრეტულ წინადადებებს, მისცემს მათ სამართლებრივი ხასიათის რჩევებს,<sup>542</sup> აგრეთვე, ჩამოაყალიბებს მხარეთა შესაძლო შეთანხმებას.<sup>543</sup>

ამასთან, შუამავალის მხრიდან დასაშვებია კეთილი ზეგავლენა, არგუმენტირებული ან ემოციური ჩარევის ფორმით, შეთანხმებაზე ჯიუტი მხარის დაყოლიება მორიგების მიზნით. ამასთან, მოლაპარაკების წარმოების დროს შუამავლების წარმატება მით უფრო მოსალოდნელი და დასაფასებელია, რაც უფრო ძლიერად მოახდენენ მოლაპარაკებების პროცესზე გავლენას (აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კონფლიქტის გადაწყვეტის გზის მონახვაში) და რაც უფრო ნაკლებად დაუტოვებენ მხარეებს

<sup>540</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 418.

<sup>541</sup> *Karnow C.*, How Do people Settle Disputes? How a Civil Trial Works in California, California Courts, The Judicial Vrnach of California, Coliman Appeard in CCSS Sunburst Jane 2012 <http://www.ccss.org/Teacher Resources/Just Comment, May, 2012, 2>.

<sup>542</sup> შუამავლებს ყველაზე ხშირად პროფესიონალი იურისტები წარმოადგენენ. მათი მონაწილეობის დროს საუბარია არა მხოლოდ მოლაპარაკებების მოდერაციაზე, არამედ, თავიანთი მოქმედებებით, მხარეთა მოლაპარაკებებისთვის კვალიფიციური საფუძვლის შექმნაზე. თუმცა, შუამავლების ძირითადი ამოცანაა მხარეთათვის დახმარების აღმოჩენა შეთანხმების მიღწევის დროს. ამ ძირითადი ამოცანის შესასრულებლად შუამავლებს არ გააჩნიათ სპეციალური ცოდნა და, ხშირად, მას ინტუიციურად ახორციელებენ. იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 418. იხ. და შეად. *ლემპერერი ა. პ., კოლსონი ო.*, მოლაპარაკების მეთოდები, თბ., 2009, 19-20. იხ. და შეად. *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია, თბ., 2012, 34.

<sup>543</sup> აღნიშნული წარმოადგენს არსებით სხვაობას მოდერატორსა და შუამავალს შორის.

თავისუფალ ნებას.<sup>544</sup> მოლაპარაკების უშუალოდით წარმართვის პარალელურია სასამართლოსმიერი მორიგების დროს მოსამართლის ჩართულობა მოლაპარაკების პროცესში პასიური მესამე პირის სახით.

### 3. მოდერაცია

მოდერაცია მოლაპარაკებების წარმოებაა, ხოლო მოდერატორი<sup>545</sup> მესამე პირი, რომელიც მხარეთა ნებითა და გადაწყვეტილებებით ერთვება მოლაპარაკებებში, უძღვება პროცესს და ხდის მას უფრო მარტივს და მოსახერხებელს, რათა მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით მიაღწიონ სასურველ შედეგს.<sup>546</sup>

მოდერატორის ფუნქცია ფართო არ არის და ის ერთ კონკრეტულ მიზანს ემსახურება, შექმნას მოლაპარაკებებისათვის ხელსაყრელი გარემო, რასაც ახორციელებს სხვადასხვა ფორმით:

- მოლაპარაკების პროცესში თითოეული მხარისათვის სიტყვის მიცემით;

- საქმიანი ატმოსფეროს შექმნით;
- მოლაპარაკებების უსაგნობის თავიდან აცილებით;
- კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილებით.

ამდენად, მოდერატორი მონაწილეთა შორის ურთერთობის წარმართველი და ამ ურთერთობისათვის გეზის მიმცემია.<sup>547</sup>

ამასთან, ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ მოდერატორი ამ პროცესის მამოძრავებელი ძალაა, პროცესის მაკონტროლებელია, რათა მონაწილეებმა, ანუ მხარეებმა შეძლონ ერთმანეთის პოზიციის გაგება და ჰქონდეთ თავიანთი მიზნებისა<sup>548</sup> და პოზიციების ჩამოყალიბების შესაძლებლობა.<sup>549</sup>

მოლაპარაკება იწყება იმ წინამძღვრებით, რომ ყველა მონაწილეს აქვს საუბრის თანაბარი უფლება, დიალოგში მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღება შესაძლებლობა. პიროვნების ინდივიდუალური ღირებულება, ჯგუფისთვის დამახასიათებელი ერთობლივი სიბრძნე, ურთიერთთანამშრომლობა, არჩევანის შესაძლებლობა და კონსენსუსი – ესაა ყველა ის ღირებულება, რომლებიც ახლავს მოლაპარაკებას.<sup>550</sup>

<sup>544</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 419. შემდგომი მითითებით: *Медиация в нотариальной практике*, М., 2009, 7.

<sup>545</sup> მოდერატორს (იხ. *Moderator*) ასევე მოიხსენიებენ როგორც უშუალოდ (იხ. *Facilitator*). <<http://dictionary.cambridge.org/dictionary/english/facilitator>>, <<http://www.lingvoonline.ru/en/Translate/en-ru/facilitator>> [19.05.2016]. *Hunter D., with Thorpe S., Broun H., Bailey A.*, *The Art of Facilitation, the essentials for leading great meeting and creating group synergy*, Revised Edition, USA, 2007, 19.

<sup>546</sup> *Hunter D., with Thorpe S., Broun H., Bailey A.*, *The Art of Facilitation, the essentials for leading great meeting and creating group synergy*, Revised Edition, USA, 2007, 19.

<sup>547</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 418. შემდგომი მითითებით: *A. Redlich. Konflikt - Moderation*. Hamburg. 1997, 21.

<sup>548</sup> მიზანი და საჭიროება შესაძლოა იყოს მოკლე და გრძელვადიანი, რაც ხშირ შემთხვევაში მათ ბალანსს მოითხოვს. *Berghoff E. A., Fieweger M. J., Linguanti T.V.M., Morkin M.L., Vigil A.C.*, (Editorial Board), *Williams P.*, (Executive Director, PILPG) *Stewart M.*, (Senior Peace Fellow, PILPG), *The International Negotiations Handbook, Success through Preparation, Strategy, and Planning*, A Joint Project from Baker & McKenie and The Public International Law & Policy Group, 2007, 7.

<sup>549</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 418. შემდგომი მითითებით: *K. Kleber. E. Schrader. W.G. Straub. Moderations Methode*. Hamburg, 1994, 8.

<sup>550</sup> *Hunter D., with Thorpe S., Broun H., Bailey A.*, *The Art of Facilitation, the essentials for leading great meeting and creating group synergy*, Revised Edition, USA, 2007, 21.

კონსესუსის მიღწევა მოლაპარაკების არსებითი ფაქტორია. კონსესუსი ეფუძნება იმ რწმენას, რომ ყველას აქვს უფლება იყოს ჩართული ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.<sup>551</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მოდერატორი მოლაპარაკებების წარმოების პროცესის მამოძრავებელი ძალაა და, ამასთან, მისი ფუნქცია მხოლოდ მოლაპარაკებისთვის საჭირო გარემო-პირობების შექმნაა, მან ერთმნიშვნელოვნად უნდა დაიცვას ის დაწესებული ნორმები, რომელთა გარეშე მოლაპარაკების პროცესი ეფექტური ვერ იქნება. კერძოდ, მოდერატორს, როგორც მეორეხარისხოვან ფიგურას, უნდა ჰქონდეს თავშეკავებული და ზომიერი პოზიცია; შეუძლებელია მან გამოავლინოს იძულება ან ძალდატანება; მან მხარეებს არ უნდა მოახვიოს თავს საკუთარი პოზიცია; არ უნდა მოახდინოს ზეგავლენა ან ზემოქმედება მხარეებზე რაიმე სახით.<sup>552</sup>

ამდენად, მოდერატორს მოლაპარაკებების წარმოებაში შეზღუდული უფლებამოსილება აქვს. ამასთან, არც ამ უფლებამოსილების მოცულობაა ზუსტად განსაზღვრული, რაც თავისთავადია ზემოთ ხსენებული შეზღუდვების არსებობისას. აღნიშნული შეზღუდვების ფონზე სათანადო წესით განუსაზღვრელი და დაუდგენელია ისიც, თუ რა მიზანი აქვს მოდერატორს, რა არის მისი უმთავრესი როლი.<sup>553</sup>

## 4. მედიაცია

### 4.1. მედიაციის დახასიათება

ზოგადად, მედიაცია განისაზღვრება როგორც მოლაპარაკების პროცესის დახმარება ან ხელშეწყობა,<sup>554</sup> ან თავად სტრუქტურირებული მოლაპარაკების პროცესი, რომელიც პროფესიონალი მედიატორის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს.<sup>555</sup> მედიაციის პროცესს მედიატორი, ნეიტრალური მესამე პირი უძღვება და მხარეებს ეხმარება შეთანხმების, კონსესუსის მიღწევაში.<sup>556</sup>

<sup>551</sup> Hunter D., with Thorpe S., Broun H., Bailey A., *The Art of Facilitation, the essentials for leading great meeting and creating group synergy*, Revised Edition, USA, 2007, 22.

<sup>552</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 418.

<sup>553</sup> მოდერატორის შემთხვევაში მხარეთა შორის მყარი შეთანხმების მიღწევის კონკრეტული პერსპექტივა არ არსებობს. იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 418.

<sup>554</sup> იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 121. შემდგომი მითითებით: Patterson et al., იხ. ზევით 4, at 35. მედიაცია ასევე განსაზღვრულია როგორც პროცესი, რომელში ჩართული მიუკერძოებელი მხარე ეხმარება მოლაპარაკების მწარმოებელ ორ ან მეტ მხარეს პრობლემური საკითხების განსაზღვრაში და, შემდგომ, ორმხრივად მისაღები წინადადებების შემუშავებაში პრობლემის მოსაგვარებლად. ALFINI AT AL., *MEDIATION THEORY AND PRACTICE* (1<sup>st</sup> ed. Mat thew Bender 2001), cited in Steven Auster Miller, *Mediation in Basnia and Herzogovina: A Second Application*, 9 YALE HUMAN RIGHTS & DEVELOPMENT LAW JOURNAL 132, 141 (2006).

<sup>555</sup> იხ. *ცერცვაძე გ.*, (პასუხისმგებელი რედ.), მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 14.

<sup>556</sup> იხ. იქვე, 13-14. *Semple D.*, *Advocacy in Mediation, An overview of the mediation process and the opportunities for solicitors and clients*, Glasgow, 2007. <[www.catalystmediation.co.uk](http://www.catalystmediation.co.uk)>.

უფრო დეტალური განსაზღვრებით, მედიაცია დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი მეთოდია,<sup>557</sup> მოლაპარაკების პროცესია, სადაც ნეიტრალური პირი – მედიატორი დაპირისპირებულ მხარეებს ან/და მათ წარმომადგენლებს ეხმარება მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტის ურთიერთსასარგებლო შეთანხმებით დასრულებაში.<sup>558</sup> მედიაციის პროცესი მთლიანად თავისუფალი და არაფორმალური,<sup>559</sup> სამართლიანი და მიუკერძოებელია,<sup>560</sup> რაც ნებისმიერ დროს იძლევა მისი შეწყვეტის შესაძლებლობას.<sup>561</sup>

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის კიდევ ერთი ალტერნატიული მექანიზმი, ბოლო დროს გახდა პოპულარული. იგი მხარეებს სთავაზობს დავის სწრაფ და იაფ გადაწყვეტას გაცილებით უფრო მოქნილი მორიგების გზით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია არსებული ურთიერთობის შენარჩუნება<sup>562</sup> მოდავე მხარეებს შორის,<sup>563</sup> რაც განსაზღვრავს კიდევ მედიაციის სოციალურ ფუნქციას.

მედიაციის პროცესის დანიშნულება დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთშეთანხმებაში გამოიხატება, შესაბამისად, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი სოციალურია, ესაა ადამიანური ურთიერთობის შენარჩუნება.<sup>564</sup> მედიაციის პროცესი უფრო სწრაფი, იაფი და პროცესუალურად მარტივი მექანიზმია პრობლემის ეფექტურად გადასაწყვეტად.<sup>565</sup>

დავის დროს, როცა მხარეებს სურთ, დავა გადაწყვიტონ მედიაციის გზით, მათ ამისათვის აქვთ ორი გზა: პირველი – როცა მედიაციის გან-

<sup>557</sup>მედიაცია შესაძლოა იყოს კოლექტიური და ინდივიდუალური. Making More of Alternative Dispute Resolution, Summary, Acas Policy Discussion Papers, No 1, January, 2005. strategy@acas.org.uk, 5.

<sup>558</sup>Katz A., The Effect of Frivolous Lawsuits on the Settlement of Litigation, Department of Economics and Law School, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USA, International Law Review of Law and Economics (1990), 10 (3-27), 4-5.

<sup>559</sup>ზამბახიძე თ., მორიგება დავის ნაცვლად, „ლიბერალი“, თბ., 2012, <<http://liberali.ge/articles/view/2135/morigeba-davis-natsvld>-->, [19.05.2016].

<sup>560</sup>Ervasti K., Conflicts Before the Courts and Court-annexed Mediation in Finland, Scandinavian Studies In Law, © 1999-2012, 196. შემდგომი მითითებით: The major mediation models are facilitative, evaluative, transformative and narrative mediation. For details of these models, see Boulle, Laurence, *Mediation: Principles, Process, Practice*. Sydney 1996, p. 29-30, Mayer, Bernard, *Facilitative Mediation*, in *Divorce and Family Mediation. Models, Techniques and Applications* (Edited by Jay Folberg & Ann L. Milne & Peter Salem), New York, London 2004, p. 29-52. Lowry, Randolph, L.: *Evaluative Mediation. Divorce and Family Mediation. Models, Techniques and Applications* (Edited by Jay Folberg & Ann L. Milne & Peter Salem), New York, London 2004, p.72-91, Bush, Robert A. Baruch & Folger, Joseph P., *The Promise of Mediation. The Transformative Approach to Conflict*. Revised Edition, San Francisco 2005, Winslade, John & Monk, Gerald, *Narrative Mediation. A New Approach to Conflict Resolution*, San Francisco 2001.

<sup>561</sup>იხ. კახრიძე ლ., სასამართლო მედიაციის სამართლებრივი ასპექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(39) 13, 2013, თბ., 22.

<sup>562</sup>არსებული ურთიერთობა იმთავითვე სადავოა. ამდენად, იგულისხმება არა სადავო ურთიერთობის შენარჩუნება, არამედ, ზოგადად, მხარეთა შორის ურთიერთობის შენარჩუნება, მათ შორის კავშირის არ გაწყვეტა და პირიქით, გაუმჯობესება. ამდენად, მიზანშეწონილია იყოს არა „მხარეებს შორის არსებული ურთიერთობის შენარჩუნება“, არამედ „მხარეებს შორის შემდგომი ურთიერთობის შენარჩუნება“.

<sup>563</sup>იხ. *ოსტერმიდლერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 12.

<sup>564</sup>იხ. *ცერცვაძე გ.*, (პასუხისმგებელი რედ.), მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 13. ზამბახიძე თ., მორიგება დავის ნაცვლად, „ლიბერალი“, თბ., 2012, <<http://liberali.ge/articles/view/2135/morigeba-davis-natsvld>-->, [19.05.2016].

<sup>565</sup>Simple D., *Advocacy in Mediation, An overview of the mediation process and the opportunities for solicitors and clients*, Glasgow, 2007. <[www.catalystmediation.co.uk](http://www.catalystmediation.co.uk)>.



ხორციელება შესაძლებელია სასამართლოს ფარგლებში, (ეს ცნობილია სასამართლო მედიაციის სახელით) და, მეორე – როცა მედიაცია შესაძლებელია განხორციელდეს სასამართლოს გარეთ. ამ დროს მხარეები მიმართავენ კერძო მომრიგებელს ანუ მედიატორს.<sup>566</sup> არჩევანი მხარეთა თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. მედიაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მხარეები ნებაყოფლობით იღებენ მონაწილეობას მედიაციის პროცესში, როცა ისინი მზად არიან შეთანხმდნენ და, როცა არ ხდება იძულება.<sup>567</sup>

მედიაციის პროცესი კონფიდენციალური და არასაჯარო ხასიათისაა.<sup>568</sup>

## 4.2. სასამართლო მედიაცია

მედიაცია კონფლიქტის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებაა. მედიაცია კონფლიქტის გადასაწყვეტად გამართული მოლაპარაკებების ტექნიკაა.<sup>569</sup> მას არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის მოსაწესრიგებლად, ვინაიდან ის ხელს უწყობს მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევას, მორიგებას.

საპროცესო მედიაციის<sup>570</sup> ინსტიტუტი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის ნოვაციაა, თუმცა მას დიდი ხნის ისტორია აქვს. მედიაცია ცნობილია იმ დროიდან, როცა ადამიანებმა ერთმანეთს შორის არსებული კონფლიქტის (დავის) გადაწყვეტა დაიწყეს ძალის გამოყენების გარეშე და კომპრომისი მოძებნეს მესამე პირის დახმარებით. მედიაცია მრავალი საუკუნეა, რაც მოდავე მხარეებს შორის მშვიდობის დამყარებას ემსახურება.<sup>571</sup>

სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტას თან სდევს სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება, რაც გულისხმობს სახელმწიფო ორგანოთა ჩარევას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. მედიაცია კი გულისხმობს დავის მოგვარებას დამოუკიდებელი მედიატორის საშუალებით, რომელიც არა თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს, არამედ თავად დავის გადაწყვეტის უფლებამოსილებაც არ გააჩნია. ამასთან, იძულებითი აღსრულების არარსებობა და სახელმწიფო ორგანოთა კონფლიქტის რეგულირების პროცესში ჩაურევლობა

<sup>566</sup> Alternative Dispute Resolution and Mediation. County Court Mediation Program. Beverly Graper.Esq., ADR Director, < <http://www.circuit8.org/adr/county.html> >, [19.05.2016].

<sup>567</sup> იხ. *კობრიძე ლ.*, სასამართლო მედიაციის სამართლებრივი ასპექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(39) 13, თბ., 2013, 21. შემდგომი მითითებით: О. В. Лукьяновская, Р. Г. Мельниченко, Основы юридической конфликтологии и медиации, Учебное пособие, Волгоград, 2011, стр. 69.

<sup>568</sup> ვრცლად იხ. იქვე, 24.

<sup>569</sup> ამ მნიშვნელობით მედიაცია განსაკუთრებული პროცედურაა, რომელსაც ცოტა რამ აქვს საერთო საარბიტრაჟო წარმოებასთან, სამომრიგებლო პროცედურებთან, ასევე სასამართლოს მიერ მხარეების მორიგებასთან. იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 416.

<sup>570</sup> საპროცესო მედიაციას, ზოგჯერ, უწოდებენ სასამართლოს მიერ დაფინანსებულ მედიაციას ან სასამართლოს მედიაციას. იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 135.

<sup>571</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 416. შემდგომი მითითებით: J.Duss-Von Werdt. Mediation in Europa, Studienbrief im weiterbildenden Studium Mediation der Fern Universitate Hagen 1999.

უზრუნველყოფს იმ დანახარჯების (როგორც ფულადი თანხების, ასევე დროის) თავიდან აცილებას, რაც, როგორც წესი, თან სდევს საქმის წარმოების დასრულების შედეგის სრულყოფილ განხორციელებას იძულების ფორმით.<sup>572</sup>

სასამართლოსმიერი მედიაცია *Court Annexed Mediation*-ის<sup>573</sup> სახელითაა ცნობილი. ყველაზე ფართოდ გავრცელებული განსაზღვრების თანახმად, CAM არის მორიგება, რომელიც უშუალოდ სასამართლოს მიერ არის ნაკარნახევი. სასამართლოსმიერი მედიაცია გულისხმობს მორიგებას, რომელიც სასამართლოს დადგენილებით სრულდება.<sup>574</sup>

სასამართლოს მიერ მხარეთა მორიგება და სასამართლოსმიერი მედიაცია ერთმანეთისგან განსხვავდება. სასამართლო მედიაციას სსსკ-ის 187<sup>1</sup>-ე მუხლი ეთმობა, რომლის 1-ლი ნაწილიც განმარტავს, რომ სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე შეიძლება გადაეცეს მედიატორს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმეების მიმართ გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი წესები, ამ თავის თავისებურებათა გათვალისწინებით.

სსსკ-მა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა იმ დავების ჩამონათვალი, რომლებიც შესაძლოა სასამართლო მედიაციას დაქვემდებარდეს. კერძოდ, ესენია: საოჯახო,<sup>575</sup> სამემკვიდრეო, სამეზობლო დავები ან ნებისმიერი დავა მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.<sup>576</sup>

სასამართლო მედიაციით განსაზღვრული დავების ჩამონათვალი, ერთი მხრივ, ფრთხილი მიდგომით აქვს შერჩეული კანონმდებელს,<sup>577</sup> ხოლო, მეორე მხრივ, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ნებისმიერი დავის გადაცემა მედიატორისათვის. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ დავათა თავისებურება ისიცაა, რომ საოჯახო, სამემკვიდრეო და სამეზობლო დავების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, საქმე გადასცეს მედიატორს მოსარიგებლად.

<sup>572</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 416. შემდგომი მითითებით: J.Duss-Von Werdt. *Mediation in Europa*, Studienbrief im weiterbildenden Studium Mediation der Fern Universitate Hagen 1999.

<sup>573</sup> *Marsh R. S.*, Current Issues in Court Annexed Mediation. <<http://www.adrr.com?adr2/essayq.htm>>, [19.05.2016]. იხ. და შეად. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 66. შემდგომი მითითებით: *Gootwald, Walter*, Gerichtsnahe Mediation - Erfahrungen und Lehren aus dem Modellprojekt in Niedersachsen, in: *Haft, FritJof./ von Schlieffen, Katherina*, (Hrsg.) *Hanbuch Mediation*, 2. Auflage, "Beck" München 2009, s.956.

<sup>574</sup> *Marsh R. S.*, Current Issues in Court Annexed Mediation. <<http://www.adrr.com?adr2/essayq.htm>>, [19.05.2016].

<sup>575</sup> საოჯახო დავების ალტერნატიული გზით მოგვარების სპეციფიკასთან დაკავშირებით *Altobelli T.*, Reflections on Primary Dispute Resoluion, *Bond Law Review*, 2001, 11.

<sup>576</sup> მედიაციის წესით განსახილველი დავების ასეთი სახით დაყოფა განამტკიცებს სავალდებულო და ნებაყოფლობით მედიაციას. ამასთან, სავალდებულო მედიაცია ნაკლებ-ეფექტურია, ვიდრე ნებაყოფლობითი მედიაცია. ვრცლად იხ. *კობრეიძე ლ.*, სასამართლო მედიაციის სამართლებრივი ასპექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(39)13, თბ., 2013, 27-28.

<sup>577</sup> თითქოს, ერთი შეხედვით, საოჯახო, სამეზობლო და სამემკვიდრეო დავები მარტივი რეგულირების საგანს წარმოადგენენ, ვიდრე მსხვილი ფინანსური სადავო ურთიერთობები. თუმცა, ეს ასე არ არის. ასეთი სახის დავებისადმი სასამართლოს ყურადღება უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე მედიაციისა.

მხარეთა შეთანხმებით ნებისმიერი დავის მედიატორისთვის გადაცემა<sup>578</sup> არ უნდა გამართლდეს იმ საფუძველით, რომ გარემოება, როცა სასამართლო თავის კონტროლს ახორციელებს დავაზე, სასამართლო მორიგებით შესაძლებელია მეტად სრულყოფილია და მეტად უზრუნველყოფს დავის საკანონმდებლო რეგულირებას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ასეთ დროს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ, საქმის სპეციფიკისა და სუბიექტურ-ობიექტური გარემოებების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ამასთან, მედიაციის თავისებურება ისიცაა, რომ მედიაცია გულისხმობს მხარეთა ნების სრულ ავტონომიას და ურთიერთხელსაყრელი შედეგების მიღწევას. „ტრადიციულ პროცედურებში, მოცემული კომპონენტები ჩვენთვის ცნობილია, როგორც ურთიერთსაპირისპირო ცნებები: თუ დავა გადაწყდება მხარეთა სრული ავტონომიის პირობებში ე.ი. რაიმე წესებისა და მესამე პირების მხრიდან დახმარების გარეშე, მყარი კონსენსუსის მიღწევის პერსპექტივა დიდი არ უნდა იყოს, და პირიქით, რაც უფრო გონივრულად და სამართლიანად ხდება კონფლიქტის გადაწყვეტა, მით უფრო ნაკლები დისკრეციული უფლებები რჩებათ მხარეებს“.<sup>579</sup>

სასამართლო მედიაციისათვის განსაზღვრულია კონკრეტული ვადა, 45 დღით, მაგრამ არანაკლებ 2 შეხვედრისა, რაც მხარეთა შეთანხმებით შესაძლოა გაგრძელდეს იმავე ვადით.<sup>580</sup>

აღნიშნული პრინციპის თანახმად, არსებული მოცემულობის საწინააღმდეგოდ, სასამართლოსმიერი მორიგების შემთხვევაში ერთდროულად იკვეთება მხარეთა ნების ავტონომია და სასამართლოს მიერ ამ ნების კანონიერების კონტროლი, რაც შედეგად იძლევა საშუალებას, სამართლიანად და გონივრულად გადაწყდეს კონფლიქტი მხარეთა თავისუფალი ნების, ანუ დისკრეციული უფლებების, საფუძველზე.

მხარეთა სასამართლოსმიერი მორიგებისგან განსხვავებით, მედიაციის ფარგლებში მხარეთა მორიგების თაობაზე გამოტანილი განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.<sup>581</sup> „თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით არ დასრულდება, მოსარჩელეს შეუძლია წარმოადგინოს სარჩელი საერთო წესების დაცვით“.<sup>582</sup>

მედიატორსა და არბიტრს/სასამართლოს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ მედიატორი გადაწყვეტილებას არ იღებს.<sup>583</sup>

<sup>578</sup> აშშ-ში მედიატორი შესაძლოა იყოს სასამართლო სისტემის შტატიანი მოხელე ან მოწვეული ან მოხალისე. საშტატო მედიაციის პროგრამა აშშ-ში 2007 წლიდან მოქმედებს. *Wissler R. L., Court-Connected Settlement Procedures: Mediation and Judicial Settlement Conferences*, Ohio State journal on Dispute Resolution, [Vol. 26:2-3 2011], Electronic copy available at: <http://ssrn.com/abstract=1740033>, 2011, 279. შემდგომი მითითებით: The description of the District Court Staff Mediation Program is drawn from the Court's website, at <http://www.ohsd.uscourts.gov/mediation.html>, <http://www.ohsd.uscourts.gov/mediation/faq.html>, 281-282.

<sup>579</sup> *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 417.

<sup>580</sup> სსსკ-ის მუხლი 187<sup>5</sup>-ე.

<sup>581</sup> სსსკ-ის მუხლი 187<sup>7</sup>-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>582</sup> სსსკ-ის მუხლი 187<sup>7</sup>-ე, ნაწილი მე-2.

<sup>583</sup> იხ. *ცერცვაძე გ.*, (პასუხისმგებელი რედ.), მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 14.

### 4.3. არასასამართლო (კერძო) მედიაცია

მედიაციის პროცესი ემსახურება კონფლიქტის, დავის მოგვარებას, რომელშიც მიუკერძოებელი და ნეიტრალური მესამე მხარე ეხმარება მხარეებს შეთანხმების და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში.<sup>584</sup>

მედიაციის უპირატესობა დავის გადაწყვეტის სხვა ფორმებთან შედარებით ისაა, რომ ასეთ დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის მორიგების მიღწევის ავტონომიურ ფორმას.

მედიაციის წარმატების არსი მხოლოდ ნების ავტონომიით არ გამოიხატება. მის ეფექტურობას განსაზღვრავს მედიაციის გზით ავტონომიური ნების რეგულირება. ეს კი, თავის მხრივ, გამოიკვეთება სამომრიგებლო მოლაპარაკებების წარმართვისას, როდესაც დავის მონაწილეები მოლაპარაკების კონკრეტულ წესს ექვემდებარებიან და მათ მიერ ამ წესის უხეშად დარღვევა უფრო მეტი კონფლიქტის მომტანია, ვიდრე მოლაპარაკებების დაწყებამდე იყო.<sup>585</sup>

კერძოდ, მედიატორის<sup>586</sup> სამედიატორო უფლებამოსილება მხარეთა შეთანხმებით მკაცრად და ამომწურავადაა განსაზღვრული. მედიატორს აქვს ის უფლებები, რომლებიც მხარეებმა მას მიანიჭეს. მას არა აქვს განსჯის, მორიგების, დასკვნების გამოტანის, პრობლემის გადაწყვეტის, პროექტის წარდგენის, შეფასებისა და გადაწყვეტილების გამოტანის უფლება. მას შეუძლია ინფორმაციის შეგროვება, მათი განზოგადება, ჩანიშნულის შესრულება, პერსპექტივის აღნიშვნა, შესაბამისი ატმოსფეროს შექმნა.<sup>587</sup>

მედიატორი ნეიტრალურია მხარეებისა და შედეგის მიმართ, მას არ აკისრია დავის გადაწყვეტის ვალდებულება. არბიტრაჟისა და სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, მედიატორს შეუძლია მხოლოდ დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებული რჩევა მოაწოდოს მხარეებს.<sup>588</sup>

მედიატორი მასზედ დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, როგორც წესი, იყენებს ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, ფსიქოლოგიური გავლენის ტექნიკას და, თუ საჭიროდ მიიჩნევს, იღებს კონსულტაციებს განსხვავებული პროფესიის წარმომადგენლებისაგან.<sup>589</sup>

მედიაციის არაერთი სახე არსებობს, თუმცა, ყოველი მათგანი ერთი სქემით აგებული პროცესია,<sup>590</sup> რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

<sup>584</sup> იხ. *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია, თბ., 2012, 41.

<sup>585</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 419.

<sup>586</sup> მედიატორი მარტო წარმართავს პროცესს, ან იშვიათად დამხმარესთან ერთად (მათი რაოდენობა იზრდება დიდ ჯგუფთან მუშაობის დროს), რომელიც კომედიატორად მოიხსენიება. იხ. *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია, თბ., 2012, 41.

<sup>587</sup> მედიატორი თან ახლავს მხარეებს კონფლიქტის აღმოფხვრის (თავიდან აცილების) გზაზე, მაგრამ, არ მიუძღვის მათ. იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 419.

<sup>588</sup> იხ. *ოსტერმიდლერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 121-122.

<sup>589</sup> იხ. *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია, თბ., 2012, 42.

<sup>590</sup> ვრცლად იხ. *ცერცვაძე გ.*, (პასუხისმგებელი რედ.), მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 185-235.



- წინასწარი სტადია: მედიაციის პროცედურის დაწყება და ორგანიზება, საკითხის გადაწყვეტა, თუ რამდენად გამოსადეგია მედიაციის პროცედურა დავის გადასაწყვეტად;

- სადამფუძნებლო სტადია: პროცედურის შესახებ ინფორმირებული მხარეები დებენ მედიაციის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებას;

- ძირითადი სტადია: პრობლემის გადაწყვეტა ძირითად საკითხებზე;

- დასკვნითი სტადია: შეთანხმების მიღწევა, საბოლოო ნორმების (წესების) განსაზღვრა. შესაძლებელია, მედიაციის პროცესი წარმართოს სხვა სქემითაც, თუმცა გადამწყვეტია, რომ ყველა ძირითადი სტადია ლოგიკურად მისდევდეს ერთმანეთს.<sup>591</sup>

მედიატორი მხარეებს ეხმარება ურთიერთობის გაუმჯობესებაში, მოლაპარაკებისას ვაჭრობის ეფექტურად წარმართვაში, ფაქტების გამოხატვასა და გადმოცემაში, ძირითადი სადავო საკითხების განსაზღვრაში, ფარული ინტერესების გამოვლენაში, ეფექტური მოლაპარაკების პროცესის უზრუნველყოფაში, დავის გადაწყვეტის გზების ძიებაში, იმ სფეროებისა და შესაძლებლობების გამოვლენაში, რაც ეფექტურ შეთანხმებას განაპირობებს.<sup>592</sup>

კერძოდ, მედიაციის პროცესში მედიატორი უსმენს თითოეულ მხარეს და, ასევე მოუწოდებს მხარეებს მოუსმინონ ერთმანეთს და გაითვალისწინონ, შესაძლებელია თუ არა დათმობაზე წასვლა. მედიატორი ეხმარება მხარეებს, რათა გაარკვიოს ისინი ფაქტებსა და კანონმდებლობაში და, აღნიშნულის საფუძველზე, მოაძებნინოს მათ შემოქმედებითი გადაწყვეტილებები. პრაქტიკული თვალსაზრისით, მედიატორი ეხმარება მხარეებს დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებული ხელშეკრულების კონკრეტული პუნქტების შემუშავებაში.<sup>593</sup>

მედიაცია ზოგჯერ მოლაპარაკების სახესხვაობაა, მოლაპარაკების განსაკუთრებული სახეობის მსგავსია. ორივე პროცესის მიერ მიღებული შედეგი ეფუძნება მხარეთა თავისუფალ ნებას. როგორც მედიაციის, ისე მოლაპარაკების პროცესში, ყველა მხარის თანხმობის გარეშე ადგილი არ ექნება დავის გადაწყვეტას. ორივე პროცესი ეფუძნება ინტერესებზე დამყარებული ანალიზის გამოყენებას პრობლემის გადასაწყვეტად და ორივე წარმოადგენს პროცესს, რომელშიც ადვოკატის გამოყენების საშუალება<sup>594</sup> აქტუალურია.<sup>595</sup>

<sup>591</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 420.

<sup>592</sup> იხ. *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია, თბ., 2012, 42.

<sup>593</sup> იხ. *ოსტერმიდლერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 122.

<sup>594</sup> „მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ადვოკატები ინფორმირებული არიან დავის ალტერნატიულად გადაწყვეტის პროცედურაზე, პრაქტიკაში, ისინი მაინც აგრძელებენ კარგად აპრობირებულ ქცევებს, რომლებიც ხელს არ უწყობს პროცესის მომრიგებლურად წარმართვას. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ადვოკატებს უჭირთ, სურვილის მიუხედავად, მოლაპარაკებების დროს ერთობლივად მოაგვარონ პრობლემები“. *კოვაკი კ.*, ადვოკატთა ეთიკა მედიაციაში: კეთილსინდისიერების საჭიროება (კეთილსინდისიერების მოთხოვნის დრო), დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, „წელიწადეული“, თსუ, თბ., 2012, 180. შემდგომი მითითებით: იხ. Milton Heumann and Jonathan M. Hyman, Negotiation Methods and Litigation Settlement Methods in New Jersey: “You Can’t Always Get What You Want,” 12 Ohio St. J. on Disp. Resol. 253 (1997).

<sup>595</sup> იხ. *ოსტერმიდლერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 128.

შედარებისთვის, აღსანიშნავია მედიაციისა და მოლაპარაკებების ურთიერთგანმასხვავებელი გარემოებები:

- მედიაციაში მხარეები თითქმის ყოველთვის უშუალოდ მონაწილეობენ, მოლაპარაკებებში – მხარეები მონაწილეობენ მათი წარმომადგენლების საშუალებით;

- მედიაციაში მესამე ნეიტრალური პირი ხელმძღვანელობს შეხვედრებს, მოლაპარაკების დროს – მესამე მხარე არ მონაწილეობს. ის მკაცრად განსაზღვრული კერძო პროცესია, რომელშიც მხოლოდ მხარეები მონაწილეობენ;

- მედიაცია ერთჯერადი, ფორმალიზებული ღონისძიებაა, რომელიც შესაძლოა რამდენიმე დღე გაგრძელდეს. მას აქვს პროცესის ეტაპები. მოლაპარაკება შესაძლოა გაგრძელდეს მრავალი თვე ან წელი;

- მედიაციის საჭიროება, ჩვეულებრივ, ჩნდება დავის დასაწყისში, ან ძირითადი პროცესის ან სასამართლო პროცესის დაწყებამდე, გარკვეულ ეტაპზე, მოლაპარაკება წარიმართება ნებისმიერ დროს, მაშინაც კი, როცა უკვე გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება;

- მედიაცია, ჩვეულებრივ, დამყარებულია ინტერესებზე დაგეგმილი მიდგომით, ხოლო მოლაპარაკება – პოზიციური ან ინტერესებზე დაგეგმილი მიდგომით.<sup>596</sup>

სასამართლო და კერძო მედიაციას შორის არსებითი სხვაობა აღსრულების საკითხშია. სასამართლო მედიაცია თავისთავად უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას და მისი აღსრულებლობის კონტროლს სასამართლოს მხრიდან, ისევე როგორც სასამართლო გადაწყვეტილება.

რაც შეეხება კერძო მედიაციას (PMP),<sup>597</sup> აღსრულების საკითხი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით.<sup>598</sup> ძირითადი ტენდენცია კი მიმართულია იქით, რომ მედიაციით მიღებული შეთანხმება აღსრულდეს სასამართლო ბრძანებით, ხოლო თუ სასამართლო არ დაარეგისტრირებს მას ბრძანებად, მაშინ მედიაციის შეთანხმება დარჩება უბრალო ხელშეკრულებად, რომლის აღსრულება ხელშეკრულების დარღვევის გამო შემდგარი სასამართლო პროცესის შედეგებით იქნება შესაძლებელი. გამოინაკლისი საოჯახო დავებია, რომლებიც თავიდანვე მიიჩნევა სასამართლო გადაწყვეტილებად.<sup>599</sup>

აღსრულების საკითხი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, თუმცა მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ორი რეგულირება:

- ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მედიაციის შესახებ კანონი უზრუნველყოფს მედიაციით მიღწეული ყველა მორიგების აღსრულებას სასამართლოს მეშვეობით;<sup>600</sup>

<sup>596</sup> იხ. *ოსტერმიდლერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 128-129.

<sup>597</sup> Private Mediator Procedures for Mediation of Appeals, Kinnard Mediation Center, February, 2001.

<sup>598</sup> იხ. *ოსტერმიდლერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 136.

<sup>599</sup> იხ. იქვე. შემდგომი მითითებით: იხ., e.g., TEX. CIV. PRAC. & REM. CODE ANN. § 154.071 (a) (b) (West, Supp.1997).

<sup>600</sup> იხ. იქვე. შემდგომი მითითებით: ZAKON O POSTUPKU MEDIJACIJE BOSNIE I HERCEGOVINE [BiH Law on Mediation Procedure], მუხ. 25 (2004).

• გერმანიაში, ინდოეთში, ბერუმელებზე, ჰონ კონგსა და ჩინეთში კერძო მედიაციით მიღწეული გარიგება შესაძლოა გარდაიქმნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად და მის მიმართ ისეთივე აღსრულება უნდა განხორციელდეს, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებების შემთხვევაში.<sup>601</sup>

მედიაციის თაობაზე მსჯელობა შესაძლებელია შეჯამდეს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების საბოლოო ანალიზით, რომლის მიხედვით, დადებითი მხარეები ჭარბობს უარყოფითს.

მედიაციის დადებითი მხარეა: სისწრაფე, ხარჯი, მხარის მიერ შედეგის კონტროლი, არსებული ურთიერთობის შენარჩუნების შესაძლებლობა, კონფიდენციალურობა, მოქნილობა, გადაწყვეტილების აღსრულება, მედიაციის გზით მიღწეულ შეთანხმებასთან შესაბამისობა, მორიგების მაღალი შესაძლებლობები, მხარის „დღე სასამართლოში“, კორუფციის გამორიცხვა, ნეიტრალური მხარის არჩევა.<sup>602</sup> რაც შეეხება ნაკლოვანებებს: არაგონიერი მხარე, არათანაბარი პირობები, გადაწყვეტილების აღსრულება, ხარჯი, კონფიდენციალურობა.<sup>603</sup>

## 5. მედ-არბი

მედ-არბი მედიაცია-არბიტრაჟის შემოკლებული დასახელებაა.

არბიტრაჟამდე შესაძლებელია, თავდაპირველად, მედიაციის მცდელობას ჰქონდეს ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ ნაცადი მედიაცია წარმატებული აღმოჩნდა, მაშინ მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს, სადაც არბიტრი იღებს სავალდებულო გადაწყვეტილებას. შესაძლოა მოხდეს პირიქითაც, ანუ არბიტრაჟმა გაუსწროს მედიაციას (არბ-მედი).

კითხვის და მსჯელობის საგანია, რამდენადაა მისაღებია ამგვარი კომბინირებული პროცესის ერთი პირის მიერ წარმართვა. კერძოდ, საუბარია, შეუძლია თუ არა ერთსა და იმავე პირს იყოს მედიატორიც და არბიტრიც ერთ დავაზე.

ერთი შეხედვით, ამ პროცესში უარყოფითი არაფერია. პირიქით, არბიტრი უფრო ნათლად და სწრაფად წარმართავს პროცესს, რამდენადაც მისთვის უკვე ცნობილია საქმე. მეორე მხრივ კი, დღის წესრიგში დგება საკითხი კონფლიქტებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე. ამიტომ ბევრი პრაქტიკოსი მიდის იმ დასკვნამდე, რომ უმჯობესია არბიტრის ფუნქციას ასრულებდეს სხვა პირი.<sup>604</sup> თუმცა, თუ მხარეებს სურთ ერთი და იმავე პირის როგორც მედიატორად, ასევე შემ-

<sup>601</sup> იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 136. შემდგომი მითითებით: იხ., e.g., Arbitration Act (1986) (Bermuda); ARBITRACION AND CONCILIDATIN ACT, მუხ. 73-74 (1996) (India); ZIVILPROCESSORDNUNG [GERMAN CODE OF CIVIL PROCEDURE], Tenth Book, § 2C, Aap. 341 (1997) (Hong Kong); ARBITRATION LAW OF THE PEOPLES REPUBLIC OF CHINA, მუხ. 51 (1995) (China).

<sup>602</sup> იხ. იქვე, 138-142.

<sup>603</sup> იხ. იქვე, 143-144.

<sup>604</sup> იხ. იქვე, 294.

დგომ არბიტრად ყოფნა, მათ ამის საშუალება უნდა მიეცეთ, მითუმეტეს, თუ მხარეთა მიზანი ფულისა და დროის დაზოგვაა.<sup>605</sup>

## 6. არბიტრაჟი

### 6.1. არბიტრაჟის დახასიათება

არბიტრაჟი იყო დავის გადაწყვეტის პირველი ალტერნატიული წესი, რომელმაც ოფიციალური მხარდაჭერა მოიპოვა.<sup>606</sup> საბჭოთა პერიოდმა დამანგრეველი როლი ითამაშა დავის ალტერნატიული სისტემების განვითარებაზე. სისტემისათვის, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა ყოველივე კერძოს, მიუღებელი აღმოჩნდა ცაკლე, სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე დავების მოგვარება, რის გამოც საქართველოში თანდათან დაიკარგა არბიტრაცია-მედიაციის მდიდარი ტრადიცია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციის ფაქტები მაინც არსებობდა. კერძოდ, იყო შემთხვევები, როდესაც რაიონებს, სოფლებს შორის სადაო ტერიტორიების გარკვევას მოსახლეობიდან შერჩეულ ცნობილ პიროვნებებს – “მომრიგებელ კაცებს” ანდობდნენ და დავების გადაწყვეტაც სწორედ ამ მეთოდით ხდებოდა. ამდენად, გარკვეული ტრადიციები მაინც შენარჩუნდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში თითქმის თავიდან ხდება დავის ალტერნატიული სისტემის ჩამოყალიბება.<sup>607</sup> ის დღესაც რჩება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ყველაზე პოპულარულ საშუალებად.<sup>608</sup>

არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურით, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონით დადგენლი წესით.<sup>609</sup> დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც ამ კანონით პირდაპირაა გათვალისწინებული.<sup>610</sup>

არბიტრთა ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს არბიტრის შესაძლებლობას, შესთავაზოს მხარეებს დავის მორიგებით დასრულება, ასევე მედიაცია ან დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმები. შეთავაზება გამორიცხავს რომელიმე მხარეზე ზეწოლას მორიგების მიზნით. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის დაიწყო მორიგების პროცესი არბიტრი არ უნდა ესწრებოდეს მორიგების პროცესს, ან სხვაგვარად არ უნდა მონაწი-

<sup>605</sup> იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 230.

<sup>606</sup> იხ. და შეად. *გოთუა ლ.*, კერძო დავების ალტერნატიული წესით განხილვის თავისებურებანი ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, სუს, „მართლმსაჯულება“, №2, თბ., 2007, 135-146.

<sup>607</sup> <<http://adr.ge/istoriuli.php>>, [19.05.2016].

<sup>608</sup> იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 12.

<sup>609</sup> საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი მე-6, ნაწილი 1-ლი. იხ. საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსი, <<http://ncadr.tsu.edu.ge>>, [19.05.2016].

<sup>610</sup> საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი მე-6, ნაწილი მე-2.



ლებდეს მასში. ასევე, არ უნდა იყოს მედიატორი, თუ მხარეთა წერილობითი თანხმობა არ იქნება.<sup>611</sup>

საარბიტრაჟო სამართალწარმოება, სხვა დაგების მსგავსად, შეიძლება შეწყდეს, თუ დავის საარბიტრაჟო განხილვისას მხარეები მორიგდებიან. მხარეთა მორიგება არის დავის გადაწყვეტის ყველაზე სასურველი გზა, რასაც საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ პირდაპირ ითვალისწინებს. აღნიშნული კანონით ასევე განსაზღვრულია სამართალწარმოების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც. იმავე შინაარსისაა გერმანიის საპროცესო კოდექსის 1056-ე პარაგრაფი.<sup>612</sup> არბიტრაჟი შეიძლება იყოს სავალდებულო და არასავალდებულო.

## 6.2. სავალდებულო არბიტრაჟი

არბიტრაცია არბიტრაჟის მეშვეობით ხორციელდება. აღნიშნულზე ყურადღება იმ მიზნით მახვილდება, რომ, ისევე როგორც სასამართლოში საქმის წარმოებისას, არბიტრაჟში დავის განხილვის დროსაც მხარეები თავიანთი დისკრეციული უფლებამოსილების დიდ ნაწილს თმობენ და სწორედ არბიტრაჟს მიაკუთვნებენ პროცესის როგორც წარმართვის, ისე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

არბიტრაჟი განსაზღვრავს პროცესის დაწყებისა და დამთავრების დროს და, იმას, თუ რა წესით ჩატარდება აღნიშნული პროცესი. არბიტრაჟი განსაზღვრავს პროცესის შედეგსაც; ის ახდენს გავლენას სხდომების შინაარსზე; ის განსაზღვრავს, თუ რომელ საკითხზე უნდა მიმდინარეობდეს დისკუსია და რა ფორმით; დავის რომელი მომენტი არ უნდა იქნეს განხილული და რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტები. სასამართლოც და არბიტრაჟიც იღებს მხარეებისათვის იმპერატიულ აქტს, სასამართლო გადაწყვეტილებას (განჩინებას), რომლითაც მთავრდება პროცესი. ფაქტობრივად, სასამართლოს და არბიტრაჟს კანონმდებლობით<sup>613</sup> მინიჭებული აქვთ პროცესის შინაარსზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება.<sup>614</sup>

აღნიშნული გავლენა სასამართლოსა და არბიტრაჟში განსხვავებულია. სასამართლო ამ უფლებამოსილების განხორციელებისათვის იყენებს დემოკრატიული წესით მიღებულ კანონებს, ხოლო არბიტრაჟი ხელმძღვანელობს პროფესიულ კრიტერიუმებსა და ბრუნვის ჩვეულებებზე დაყრდნობით,<sup>615</sup> რომელთა საიმედოობაც გარანტირებულია გადაწყვეტილების მიმღები პირის ავტორიტეტით. ეს კი, მოდავე მხარეთა რწმენით, არის ხარისხიანი შედეგის მიღწევის გარანტი, საკუთარი მოთხოვნების

<sup>611</sup> საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსი, პრინციპი მე-4, ნაწილი მე-4, <<http://ncadr.tsu.edu.ge>>, [19.05.2016].

<sup>612</sup> იხ. *ფიცხელაური ნ.*, ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბ., 22 ივნისი, 2015, 117.

<sup>613</sup> უპირველეს ყოვლისა, მხარეთა მიერ.

<sup>614</sup> *ჭურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 417.

<sup>615</sup> საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 36-ე, ნაწილი მე-4.

დაკმაყოფილების შანსების ზრდა და ავტორიტეტული ორგანოს დახმარებით სამართლიანობის მიღწევის იმედი.<sup>616</sup>

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ ადგენს და ითვალისწინებს მხარეთა მორიგების პროცესს, რაც ასევე საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია, კერძოდ, კანონის 38-ე მუხლის თანახმად, „თუ საარბიტრაჟო განხილვისას მხარეები მორიგდნენ, არბიტრაჟი შეწყვეტს განხილვას. არბიტრაჟი მხარეთა თხოვნის საფუძველზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაამტკიცებს მხარეთა მორიგებას შეთანხმებული პირობებით“.

საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, თუ სასამართლო წესით იხილება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი, მხარეთა მორიგებისას უქმდება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება და მტკიცდება მორიგება.

აღნიშნული კანონი ითვალისწინებს მორიგების იურიდიული ძალის მნიშვნელობას, რაც არცერთ სხვა კანონში გათვალისწინებული არაა, მათ შორის, არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. კერძოდ, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ასეთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც დავის არსებითად განხილვის შედეგად გამოტანილ ნებისმიერ სხვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.<sup>617</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება თავისთავად არ არის იურიდიული ძალის მქონე, თუ არ მოხდება მისი ცნობა და აღსრულება, რაც ხორციელდება სააპელაციო სასამართლოების მიერ.<sup>618</sup>

საარბიტრაჟო შეთანხმების ცნობისა და მისი აღსრულების მიზნით მხარის სასამართლოსადმი მიმართვა სამართლებრივი შუამდგომლობაა, რომელსაც საფუძველად უდევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.<sup>619</sup> ცნობისა და აღსრულებაზე უარი, ასევე, განსაზღვრულია კანონით, რომელიც კონკრეტული გარემოებების არსებობისას კრძალავს საარბიტრაჟო შეთანხმების სასამართლო განჩინებით დამტკიცებას.<sup>620</sup>

### 6.3. განსხვავება არასავალდებულო არბიტრაჟისგან

არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, რომლის მიხედვითაც, არბიტრს გამოაქვს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება. მხარეებს აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულება, როგორც წესი, ხდება იძუ-

<sup>616</sup> იხ. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 417. იხ. და შეად. ჯორბენაძე რ., მედიაცია, თბ., 2012, 34.

<sup>617</sup> საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 38-ე.

<sup>618</sup> იქვე, მუხლი 44-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>619</sup> იქვე, მუხლი 44-ე, ნაწილი მე-4.

<sup>620</sup> ვრცლად იხ. იქვე, მუხლი 45-ე.

ლებით, მართლმსაჯულების სისტემის ჩართვით. ესაა არბიტრაჟის ყველაზე გავრცელებული ფორმა – „სავალდებულო არბიტრაჟი“.<sup>621</sup>

არასავალდებულო არბიტრაჟი ჰგავს სავალდებულოს, თუმცა მიღებული გადაწყვეტილების უარყოფა შესაძლებელია მხარეების მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში. იძულებითი აღსრულების ნაცვლად, არბიტრი იძლევა არჩევით გადაწყვეტილებას, რომელსაც მხარეები იყენებენ, როგორც გარკვეულ ინსტრუმენტს, მოლაპარაკების პროცესში. თუმცა, აქვე არაა გამორიცხული, მხარეებმა მიიღონ გადაწყვეტილება, თუ იგი აკმაყოფილებს ორივე მხარის ინტერესს. თუმცა, ამასთან, ეს ყოველივე შესაძლოა დროის ფუჭი ხარჯვა აღმოჩნდეს, თუკი მხარეები უარს იტყვიან გადაწყვეტილების მიღებაზე. არასავალდებულო არბიტრაჟი მოლაპარაკებების ნაწილია იმდენად, რამდენადაც მას მხარეები აკონტროლებენ და ის მედიაციასთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე სამართალწარმოებასთან. სავალდებულო არბიტრაჟი კი უფრო სასამართალწარმოების მსგავსია, რამდენადაც მასზე მიიღება სავალდებულო გადაწყვეტილება.<sup>622</sup>

#### 6.4. განსხვავება სასამართლო პროცესისგან

არბიტრაჟი განსხვავდება სასამართლო პროცესისა და მედიაციისგან, თუმცა უფრო ახლოს სასამართლო პროცესთანაა, ვინაიდან ორივე მეთოდი გულისხმობს მხარეების მიერ მტკიცებულების წარდგენას ნეიტრალური მხარისთვის, რომელიც შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას და ეს გადაწყვეტილება მხარეებისათვის შესასრულებლად სავალდებულოა.

არსებითი განსხვავება არბიტრაჟსა და სასამართლოში საქმის წარმოებას შორის, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმ გარემოებას, რომ არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო წარმოების წესების შესახებ; მხარეები წყვეტენ, თუ სად და როდის გაიმართება არბიტრაჟი; რომელი პროცედურები და სამართალი იქნება გამოყენებული, ვინ იქნება არბიტრი; რა პრობლემები ექვემდებარება არბიტრაჟით გადაწყვეტას და რა სახის გადაწყვეტილებები შეიძლება იქნეს მიღებული. სასამართლო პროცესის შემთხვევაში მხარეებს, ფაქტობრივად, ასეთი არჩევანის საშუალება არ აქვს.

არბიტრაჟი უფრო სწრაფია, ვიდრე სასამართლო საქმის წარმოება, რომელიც შესაძლოა წლების განმავლობაში მიმდინარეობდეს, რაც განპირობებულია დაგროვილი საქმეების დიდი რაოდენობით და სასამართლოს გადატვირთვით. არბიტრაჟი შედარებით უფრო იაფია, ვიდრე სასამართლო სამართალწარმოება, რაც დაკავშირებულია ნაკლები დროის დახარჯვასთან მტკიცებულებების მოპოვებასა და მოწმეების წარდგენაზე. არბიტრაჟი დახურულია, ხოლო სასამართლო პროცესი ღია და საჯაროა. სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, არბიტრაჟის გადაწყვეტილებე-

<sup>621</sup> სტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 211.

<sup>622</sup> იხ. სტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 212.

ბი, ზოგადად, არ საჩივრდება. არბიტრაჟის გადაწყვეტილებები უფრო მოქნილია.<sup>623</sup>

### 6.5. განსხვავება მედიაციისგან

არბიტრაჟი მსგავსება მედიაციასთან, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ ორივე სასამართლოს ალტერნატივაა; ორივე შესაძლოა შედგეს სასამართლოს ფარგლებს მიღმა. ორივე იაფი და სწრაფია.

მიუხედავად ამისა, არბიტრაჟი მაინც განსხვავდება მედიაციისგან.

• არბიტრაჟის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება არბიტრაჟის ხელშია; ხოლო მედიაციის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებენ მხარეები.

• არბიტრაჟის დროს არბიტრი იყენებს კანონს, მოსამართლის მსგავსად, და ფოკუსირებულია სამართლებრივად ჯანსაღი გადაწყვეტილების მოძებნაზე; ხოლო მედიაციის დროს მედიატორმა შეიძლება გამოყენოს სოციალური უნარ-ჩვევები და საქმე სუბიექტურად გააანალიზოს.

• არბიტრაჟის დროს ყურადღების ცენტრშია არბიტრის დარწმუნების ფაქტორი, რათა გადაწყვეტილება ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ იქნეს მიღებული, მაშინ, როცა მედიაციის შემთხვევაში ყურადღების ცენტრშია მხარეების ინტერესები.<sup>624</sup>

### 7. საუკეთესო პრაქტიკის არჩევა

არ არსებობს დავის გადაწყვეტის ერთადერთი მეთოდი,<sup>625</sup> რომელიც უპირატესი იქნებოდა ყველა სხვა დანარჩენთან შედარებით.

„იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ საარბიტრაჟო განხილვა უკეთესია სასამართლო განხილვაზე, მხარეთა მორიგება უკეთესია, ვიდრე არბიტრაჟისადმი მიმართვა, ხოლო დავის გადაწყვეტა უკეთესია, ვიდრე მორიგება“.<sup>626</sup>

დავის გადაწყვეტის სხვადასხვა მეთოდს შორის არჩევანის გაკეთებისას აუცილებელია კონკრეტული კრიტერიუმებით სარგებლობა, რომლებიც დიდწილადაა დამოკიდებული მხარის ინტერესებზე, მიზნებზე, შესაძლებლობებსა და, ხშირად, პირად დამოკიდებულებებზეც (ხასიათზე) კი.

<sup>623</sup> იხ. *სტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 209-210.

<sup>624</sup> იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 209-210.

<sup>625</sup> ტრადიციულ მეთოდებთან ერთად არსებობს დავის გადაწყვეტის მთელი რიგი ახალი მეთოდები: მინიპროცესი, ადრეული ნეიტრალური შეფასება, თათბირი მორიგებასთან დაკავშირებით, ნელ-არბი, ფაქტების ნეიტრალური მაძიებელი, ბეისბოლის არბიტრაჟი, ომბუდსმენი, კოლაბორაციული კანონი, სასამართლოსთან დაკავშირებული არასავალდებულო არბიტრაჟი და არასავალდებულო მედიაცია, დავების “ონლაინ” გადაწყვეტა. ვრცლად იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 293-297.

<sup>626</sup> *ვიცხელაური ნ.*, ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის პარამონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბ., 22 ივნისი, 2015, 1. შემდგომი მითითებით: Богуславский М. М., 2002, Международное частное право, Москва, ЮРИСТЪ, 438.



## 7.1. გაგრძელებული კრიტიკიუმები

საუკეთესო პროცესის არჩევის შესაძლებლობას დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმების შედარება იძლევა, რომელიც გულისხმობს რამდენიმე ძირითადი კრიტიკიუმის (მეთოდის) გამოყენებას, ესენია: მხარეთა კონტროლი, ფორმალური დონე, სისწრაფე, კონფიდენციალურობა, ხარჯები. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ყველა ფორმა მხარეებს ანიჭებს პროცესზე უფრო მეტი კონტროლის განხორციელებას, ვიდრე ტრადიციული სასამართლო პროცესი. თუმცა, არბიტრაჟში საქმის განხილვა მხარეს ართმევს რეალური კონტროლის ფუნქციას. კონტროლის მაქსიმალური გამოვლინებით აღსანიშნავია უმოქმედობის და თვითდახმარების ფორმები, რომლებიც, ამავე დროს, ყველაზე იაფი და სწრაფია.<sup>627</sup>

## 7.2. შედეგის მოქნილობა

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმები ერთმანეთისგან განსხვავებულია შედეგის მოქნილობის მიხედვით, ვინიდან ზოგიერთი უფრო მოქნილია, ვიდრე სხვა ფორმები. მედიაცია შესაძლოა ყველაზე მოქნილ ფორმად მივიჩნიოთ, ვინიდან მესამე მხარე მუშაობს მხარეებთან ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილების მოძიების მიზნით. შემდგომი ფორმა მოლპარაკებებია, სადაც მხარეები მუშაობენ ერთმანეთისთვის მისაღები გადაწყვეტილებისთვის. ცალ-ცალკე, მაგრამ ორივე მხარე მუშაობს კონფლიქტების მოგვარებაზე თვითდახმარებისას. არბიტრაჟში ერთდროულად შერჩეული მესამე პირი წყვეტს დავას შეთანხმებული წესების საფუძველზე, ხოლო სასამართლო პროცესზე მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას კანონის საფუძველზე. ეს ორი ფორმა – სასამართლო და არბიტრაჟი – შეზღუდულია შემოქმედებითობის და მოქნილობის თვალსაზრისით, ვინიდან სასამართლო და არბიტრაჟი ვალდებულია, სწორედ დაიცვას წინასწარ დადგენილი და გათვალისწინებული პროცედურები დავის გადაწყვეტის პროცესში.<sup>628</sup>

## 7.3. მხარეთა შორის ურთიერთობების შენარჩუნება

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმების შერჩევა, ასევე, შესაძლებელია მხარეთა შორის ურთიერთობების შენარჩუნების თვალსაზრისით. როცა მოდავე მხარეებისთვის და თავად დავისთვის არსებითად მნიშვნელოვანია მისი იმგვარად მოგვარება, რომ მხარეებმა მომავალშიც შეძლონ ურთიერთობის გაგრძელება.

<sup>627</sup> ვრცლად იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 276-277.

<sup>628</sup> იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 278.

ზოგიერთი მეთოდი უფრო ეფექტურ გარემო-პირობებს ქმნის ამისთვის. აღნიშნული თვალსაზრისით, ამგვარი გარემო, უპირველეს ყოვლისა, იქმნება მოლაპარაკებებისას, სადაც მხარეები ერთმანეთთან მუშაობენ ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილების გამოძებნის მიზნით.

შემდგომია მედიაცია, სადაც მესამე პირი ეხმარება მხარეებს ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილების გამოხატვაში. თვითდახმარებისას მხარეები მუშაობენ ცალ-ცალკე კონფლიქტის მოსაგვარებლად. არბიტრაჟის დროს მხარეები ერთმანეთს ეჯიბრებიან შეთანხმებული წესების გამოყენებაში, ხოლო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეები ერთმანეთს ეჯიბრებიან კონკურენტულ გარემოში.<sup>629</sup>

#### 7.4. პრინციპთან დაკავშირებით

ზოგიერთი დავა არ ეხება ფულად თანხებს და პრინციპის საკითხია. ამ მხრივ, სასამართლო პროცესი პირველ ადგილს იკავებს, ვინიდან მესამე პირი იღებს გადაწყვეტილებას, თუ ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. ანალოგიურია არბიტრაჟის შემთხვევაც, იმ გამონაკლისით, რომ კერძო პირი იღებს ამგვარ გადაწყვეტილებას. შემდეგ მოდის მედიაცია, სადაც მესამე პირი ეხმარება მხარეებს მორიგების მიღწევაში. შემდეგ მოლაპარაკება, როდესაც ხდება პრეტენზიის განცხადება და მორიგება. ბოლოს, თვითდახმარება, სადაც აქტიურია მხარის დამოუკიდებელი მოქმედება და, სადაც საერთოდ არა აქვს ადგილი მტყუანისა და მართალის გარჩევას.<sup>630</sup>

#### 7.5. ძალთა არათანაბარი გადანაწილება

ბოლო კრიტერიუმი ძალთა არათანაბარი გადანაწილების შემთხვევაა, როცა ერთ მხარეს მეტ სიძლიერეს შეიძლება ჰქონდეს ადგილი, რაც სასამართლო პროცესზე აშკარაა, როცა სასამართლო გადაწყვეტილებით ცხადდება გამარჯვებული მხარე. არბიტრაჟის დროს მესამე პირი ინარჩუნებს პროცედურულ და შედეგობრივ სამართლიანობას. ამ მხრივ გამორჩეულია მედიაცია, რომელიც არ უშვებს და, ამასთან, მესამე პირი უზრუნველყოფს ძლიერი მხარის მიერ სუსტის დაშინების პრევენციას. მოლაპარაკებების დროს ძლიერ მხარეს შეუძლია აიძულოს სუსტი მხარე კაპიტულაცია. თვითდახმარებისას ძლიერი მხარე იმარჯვებს.<sup>631</sup>

დავის გადაწყვეტის ფორმებს შორის არჩევანის გაკეთებისას კრიტერიუმები შემდეგი სახისაა: მხარის კონტროლი, ოფიციალურობა, სისწრაფე, კონფიდენციალურობა, ხარჯი, შედეგის მოქნილობა, ურთიერთობა მხარეებს შორის, დავა პრინციპთან დაკავშირებით, ძალთა ბალანსი, საჯარო ინტერესი, მოქმედების ხანგრძლივობა.<sup>632</sup>

საუკეთესო შედეგის მისაღწევად უნდა შეირჩეს ის კონკრეტული კრიტერიუმი, რომელიც საუკეთესოა მოცემული დავისა და მოდავე მხა-

<sup>629</sup> იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 279.

<sup>630</sup> იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 281.

<sup>631</sup> იხ. იქვე, 282.

<sup>632</sup> იხ. იქვე, 286-287.

რის არსის, ხასიათისა და მიზნის გათვალისწინებით. უნდა შეფასდეს, სურს თუ არა მხარეს მოქნილობა საკუთარი წესების შესამუშავებლად ან მისთვის უკეთესი ხომ არაა სტანდარტული წესებით მოქმედება. ზოგჯერ, მხარე უფრო კომფორტულად გრძნობს თავს სასამართლო ფორმალიზმის პირობებში. ასევე, აუცილებელია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს დავის გადაჭრის სისწრაფე, მისი დროულად დასრულების საჭიროება ან მისი ხანგრძლივი ვადით გაგრძობა.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, ხომ არ შეიცავს დავა კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვს დავის დახურული სახით განხილვა-გადაწყვეტას. ხარჯებთან დაკავშირებით, საგულისხმო უნდა იყოს ის გარემოება, თუ როგორია მხარის ფინანსური მდგომარეობა და შესაძლებლობები. შესაძლოა, მხარეებისათვის არსებითად მნიშვნელოვანი იყოს შედეგის მოქნილობა და ურთიერთობის შენარჩუნება. ამასთან, შესაძლოა, რომელიმე მხარეს ჰქონდეს პრინციპული დამოკიდებულება მისაღებ შედეგთან და სურდეს, რაც შეიძლება „მყარი“ იყოს მისაღები გადაწყვეტილება; შესაძლოა, არასწორად იყოს გადანაწილებული ძალთა ბალანსი ან დავა შეიცავდეს საჯარო ინტერესს, რომელიც უპირატესობას ანიჭებს სასამართლო განხილვას. ხშირად დავის ალტერნატიული გადაწყვეტის შეჩუქილი ფორმა ორივე მხარისთვის ერთდროულად მისაღებია.<sup>633</sup>

სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების აქტიურობა, თავის მხრივ, სახელმწიფოსაც აძლევს თავისი უფლებების დელეგირების შესაძლებლობას სამოქალაქო ინსტიტუტებზე, მათ შორის, დავების გადაწყვეტა-დარეგულირებაზეც. „XX საუკუნის მეორე ნახევარში, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ჩატარებული სასამართლო რეფორმების შედეგების ანალიზისას, ყურადღება უნდა მიექცეს საყოველთაო უარს „სახელმწიფო პატერნალიზმზე“ (როდესაც სახელმწიფო დავების გადაწყვეტა ხორციელდება მხოლოდ სამართალგამოყენებითი საქმიანობის შედეგად აღსრულებად სავალდებულო გადაწყვეტილების გამოტანის მეშვეობით) და გადასვლას „პლურალისტურ მიდგომაზე“,<sup>634</sup> ანუ კონფლიქტის მხარეთათვის, მათ შო-

<sup>633</sup> იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 287-288.

<sup>634</sup> „სასამართლოს ოპტიმიზაციის სტრატეგიას გერმანიაში რეფორმატორებს შორის გარკვეული რაოდენობის მომხრეები ჰყავს, რეფორმატორთა უმრავლესობა ახლა იმედს სხვა რამეზე ამყარებს, სახელდობრ, აქამდე ჯერ არ ნახსენებ „სასამართლოს სუბსტიტუციის სტრატეგიაზე“, ე. ი. იმაზე, რომ მოხდეს არასახელმწიფოებრივი, ანუ სასამართლოს გარეთ ორგანიზაციების შექმნა, აქტივიზაცია და ხელშეწყობა, ე. წ. „რესპექტაბელური იუსტიციის“ შექმნა და გაფართოება კონფლიქტის გადასჭრელად (“Alternative Dispute Resolution”, ADR) (“ADR - from a German point of view”, in: Japanese Association of the Law of Civil Procedure (ed.), *The International Symposium on Civil Justice in the Era of Globalisation*, Tokyo, 1993, S. 491 ff.; “Alternativen zur staatlichen Ziviljustiz in der Bundesrepublik Deutschland”, in: Magyar Jog (Ungarn), Budapest 1994, S. 556 ff.; “Alternativen zur Ziviljustiz in der Bundesrepublik Deutschland”, in: Teisé (Litauen), Vilnius 1997, S. 22 ff.), რათა სახელმწიფო სასამართლოებს მოთხოვნის ნაკადი ზოგჯერ ააცილოს ან ასეთ ალტერნატიულ ორგანოებზე გადაიტანოს. მაგრამ საკითხავია, რამდენად მოსალოდნელია სახელმწიფო სასამართლოების ნამდვილი განტვირთვა, მაშინ როცა მათ მილიონობით შემოსული საქმე აქვთ. აქამდე არსებული გამოცდილება ჩვენთან უკვე უხვად არსებული „ალტერნატივისა“, რომელიც კონკურენციას უწევს სახელმწიფო სასამართლოებს, განავრცობს ან ჩანაცვლებს მათ, სოციოსამართლებრივი კვლევების საფუძველზე საშუალებას იძლევა შევაფასოთ, რომ

რის არსებული უთანხმოების დარეგულირების საშუალების არჩევის უფლების უზრუნველყოფის აუცილებლობის აღიარებაზე, მომრიგებელი პროცედურების გამოყენების შესაძლებლობის მიცემის გზით“.<sup>635</sup>

იგი მოსახლეობის მხრივ მისი აღიარებითა და ეფექტურობით არაფერს წარმოადგენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელი წლის მანძილზე ათი, ასი ან შესაძლოა ათასი საქმეც კი დასრულდა მის ორგანოებში შერიგების, შუამავლობის, განხილვის, კონსულტაციის ან მორიგების საფუძველზე.

რაც შეეხება მის ძალზე საეჭვო ეფექტურობასა და აღიარებას, ასევე „სახელმწიფო სასამართლოს მენტალიტეტის“ შესახებ დაწვებულ საუბარს, თავის როლს თამაშობს ის გარემოება, რომ გერმანიის მოსახლეობის შეგნებაში უკვე დიდი ხანია „სახელმწიფო სასამართლოს“ ღრმად აქვს ფესვი გადგმული და ყოველგვარი კერძო სასამართლო, რომელსაც ზოგჯერ სამაგიეროს გადახდის სასამართლოს ეძახიან, იურისტებსა და არაპროფესიონალებში უარყოფილია. ამ კონტექსტში დასაფიქრებელია ისიც, რომ ჩვენ, გერმანელებს, მოგვაწერენ კონფლიქტისა და დავისთვის მზაობას, ასევე იმისადმი მიდრეკილებას, რომ ყველაფერი სასამართლოში განვიხილოთ. ნათქვამს თუ საპირისპიროდ შევებრუნებთ, ჩვენ მოგვაწერენ დაბალ მზადყოფნას იმისა, რომ ერთმანეთში მოვრიგდეთ ან სამართალდარღვევა უბრალოდ გადავგადავხდეთ.

ამის მიუხედავად, დასადგენია იმის მიზეზი, თუ რატომ მიიღეს კანონმდებლებმა 2001 წლის 27 იანვარს კანონი სამოქალაქო პროცესის რეფორმის მიზნით, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წლის 1 იანვარს და სამოქალაქო პროცესის ბევრი სხვა სიახლისა თუ ცვლილებების გვერდით დააკანონა „სასამართლოში სავალდებულო მორიგება“ (შდრ. პარაგრაფი 278, ZPO-RG). ამას გარდა, აღნიშნული კანონის მიღებამდე 1999 წლის 15 დეკემბრის კანონის მეშვეობით „სასამართლოს გარეთ დავის დარეგულირების ხელშეწყობის“ შესახებ და შესავალი კანონის ახალი 15 ა პარაგრაფით შეიქმნა კანონიერი საფუძველი იმისა, რომ ფედერალურ მიწებს შეუძლიათ განკარგულება გასცენ გარკვეული საქმეებისათვის „სასამართლოს გარეთ სავალდებულო შერიგების“ თაობაზეც კი. კანონის იმპერატიულობა, გამოყენებულ იქნეს სასამართლოს გარეთ არსებული ორგანოები ან მოხდეს მათი ჩაბმა სასამართლოს განხილვებში იმ მიზნით, რომ მიღწეული იყოს მორიგება, ჩემი აზრით, არის დღეს მსოფლიოში “ADR”-ის ერთ-ერთი ძირითადი იდეა, სახელდობრ, მოქალაქეთა თავისუფლება, ესწრაფონ დავის სახელმწიფოებრივ გადაწყვეტას სასამართლო ხელისუფლების განაჩენით ან შეთანხმდნენ კერძო კონსულტანტების, შუამავლების ან მომრიგებლების დახმარებით ან მათ დაუხმარებლად, პროცესის გარეთ ან პროცესზე მოსამართლის დახმარებით, აბსურდამდე მიდის. უფრო აბსურდული ჩანს ის, რომ ეს დაგეგმილი რეფორმა ახალი კანონპროექტის ავტორების მიერ, ახლანდელი იუსტიციის ფედერალური მინისტრის ხელმძღვანელობით, ცდილობს მოქალაქეებს მოაჩვენოს იგი როგორც სასამართლოს კულტურული გარდაქმნის პირველი ნაბიჯი, სახელდობრ, ტრადიციული გერმანული „დავის კულტურის“ გარდაქმნისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯი, ახალი „მორიგების“ ან „შერიგების“ კულტურისკენ, რაც კეთდება შორეული აღმოსავლეთის ნიმუშის მიხედვით, თუ გავისვენებთ მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ, თუმცა არცთუ სანდო ანდაზას: „გამხდარი მორიგება“ ყოველთვის უკეთესია ვიდრე „მსუქანი პროცესი“ იხ. და შეად. *გილესი პ.*, მართლმსაჯულების სისტემა კრიტიკული თვალთ: შედარებითი ანალიზი გერმანული პოზიციიდან, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2009, 238-239.

<sup>635</sup> *კობრეიდი ლ.*, სასამართლო მედიაციის სამართლებრივი ასპექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(39) 13, თბ., 2013, 17-18. შემდგომი მითითებით: Ales Zalar. Towards primary dispute resolution system: global trends in civil and family mediation. An overview of the best practices in Europe //http://cameraarbitrale.odc.mi.it/allagati/utenti/Zalar1.pdf.



## ნ ა წ ი ლ ი II

### მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტა

#### თავი I. სამოქალაქო საქმის წარმოების არსი და დასრულების კლასიფიკაცია

##### 1. სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობები

მოდვე მხარეები სასამართლოს მიმართავენ მაშინ, როცა თავად ვერ აღწევენ საერთო, ორივე მხარისათვის სასურველ შედეგს. სასამართლოს მიმართვის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულები არიან, დაემორჩილონ კანონს, სასამართლო წესს, მოსამართლეს და მართლმსაჯულების განხორციელების კანონით დადგენილ პრინციპებს.

„ფართოდაა აღიარებული და ცნობილი სასამართლოს მოკლე, მაგრამ არსებითად ყოვლისმომცველი დახასიათება: სასამართლო საზოგადოებრივი წესრიგის საყრდენია. იგი შეიქმნა, და არსებობს იმისთვის, რომ უზრუნველყოს კანონის ბატონობა, დააფუძნოს სამართლიანობა, დაამყაროს მშვიდობა საზოგადოების წევრებს შორის, განუმტკიცოს მათ ყოველგვარი ხელყოფისაგან დაცვისა და პირადი თავისუფლების უზრუნველყოფის რწმენა“.<sup>636</sup>

მართალია, მხარეები უფლებამოსილები არიან უფლებრივად განკარგონ თავის საგანი და მიმართონ ბრძოლის მეთოდებს (დისპოზიციურობიდან გამომდინარე), მაგრამ, მიუხედავად ამისა, პროცესზე უპირატესი მდგომარეობა ეკუთვნის სასამართლოს, რადგან ის წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლებას. მხარეთა მოქმედებები მიმართულია იქით, რომ სასამართლოს საქმიანობას მიეცეს საწყისი და საფუძველი სათანადო გადაწყვეტილების გამოსატანად.<sup>637</sup>

ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მოყოლებული, სამართალი ორ ნაწილად იყოფა: საჯარო და კერძო სამართლად. საჯარო სამართალი იცავდა სახელწიფოსა და საზოგადოების საერთო ინტერესებს, ხოლო კერძო სამართალი – რომის მოქალაქეთა კერძო, ცალკეული პირების ინტერესებს.<sup>638</sup>

იმის მიხედვით, თუ როგორია რეგულირების საგანი, სამართალი იყოფა სამართლის ცალკეულ დარგად. სამართლის ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგია სამოქალაქო საპროცესო სამართალი. ის იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეების წარმოების წესს სასამართლოში.<sup>639</sup>

<sup>636</sup> ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., სრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 55.

<sup>637</sup> Трейшникова М. К., (Ред.), Хрестоматия по гражданскому процессу, М., 1996, с. 62.

<sup>638</sup> იხ. ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2001, 8.

<sup>639</sup> იხ. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 38.

„სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა წარმოების პრინციპებსა და წესებს – უწოდებენ სამოქალაქო საპროცესო სამართალს“.<sup>640</sup>

ურთიერთობანი, რომელიც წარმოიშობა სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეებს შორის და, რომელიც რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობებია. თავის მხრივ, სამოქალაქო საპროცესო სამართალი არეგულირებს სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს სასამართლო ორგანოთა და ამ საქმეში მონაწილე პირთა საქმიანობის წესს; აგრეთვე, სამოქალაქო უფლებათა დამცველი სხვა ორგანოების საქმიანობას; მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების წესს; განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეში მონაწილე პირთა, ასევე დავის განმხილველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების იძულებითი აღსრულების ორგანოთა მოქმედების ხასიათსა და მათ თანმიმდევრობას.<sup>641</sup>

სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობას ახასიათებს ის თავისებურებები, რომლებიც განასხვავებს მას არასაპროცესო, მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობებისგან. კერძოდ: საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სავალდებულო მონაწილე სასამართლოა და, შესაბამისად, საპროცესო ურთიერთობა შესაძლებელია წარმოიშვას მხოლოდ სასამართლოსა და მხარეებს შორის. ასევე, საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა არ შეიძლება არსებობდეს ფაქტობრივი ურთიერთობის სახით. ის ყოველთვის არსებობს მხოლოდ იურიდიული ურთიერთობის სახით.<sup>642</sup>

სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია წინაპირობების არსებობა, როგორცაა: სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც თავად უნდა ითვალისწინებდეს ასეთი ურთიერთობის წარმოშობის შესაძლებლობას; სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა, რომლის გარეშე შეუძლებელია პირი გახდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი; იურიდიული ფაქტები, რომელთა გარეშე შეუძლებელია წარმოიშვას მატერიალური და საპროცესო ურთიერთობები.<sup>643</sup>

კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია სამართლის ნორმის არსებობა. საპროცესო ურთიერთობას წარმოშობს მხოლოდ და მხოლოდ საპროცესო სამართლის ნორმა.<sup>644</sup> ნორმები პროცესის მონაწილეთათვის საყოველთაოდ სავალდებულო ხასიათის მატარებელია; ისინი არეგულირებენ ამ პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის ურთიერთობების ფარგლებს; განსაზღვრავენ პროცესის მონაწილეთა შესაძლებელ და სავალდებულო ქცევის წესს.<sup>645</sup>

<sup>640</sup> ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 56.

<sup>641</sup> იხ. კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, 86-87.

<sup>642</sup> იხ. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 48-49.

<sup>643</sup> იხ. იქვე, 49.

<sup>644</sup> იხ. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 73.

<sup>645</sup> იხ. კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, 91.

შემდგომი სავალდებულო წინაპირობაა სამართალსუბიექტურობა, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ერთობლიობა. უფლებაუნარიანობა არის პირის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობები, ხოლო ქმედუნარიანობა არის უნარი, პირმა თავისი მოქმედებებით თავად განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლები და მოვალეობები.<sup>646</sup>

რაც შეეხება იურიდიულ ფაქტებს, როგორც საპროცესო ურთიერთობის საფუძველს, იურიდიული ფაქტი ის გარემოებაა, რომლის არსებობას ან არარსებობას უკავშირებს კანონი სამოქალაქო საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.<sup>647</sup> აქვე განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია არა ერთი, არამედ რამდენიმე ფაქტის, ფაქტების ერთობლიობის, იურიდიული შემადგენლობის არსებობა, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სასამართლოს მოქმედება.<sup>648</sup>

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობები ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რომლითაც ისინი განსხვავდებიან სხვა ურთიერთობებისაგან:

- ამ ურთიერთობის ერთ-ერთი აუცილებელი სუბიექტი ყოველთვის სასამართლოა;

- სასამართლო, როგორც ამ ურთიერთობის ძირითადი სუბიექტი, არ უპირისპირდება სხვა სუბიექტების ინტერესებს, ვინაიდან სასამართლო თავადაა დაინტერესებული სხვა მონაწილე პირთა უფლებების რეალიზებით;

- სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა განსხვავდება მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობისგან იმით, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას წარმოშობილი ურთიერთობები ყოველთვის იურიდიული ურთიერთობებია და არ შეიძლება მათ მიიღონ ფაქტობრივი ურთიერთობის ხასიათი, რამდენადაც ეს ურთიერთობები წინასწარაა მოწესრიგებული საპროცესო ნორმებით;

- სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა არის კონკრეტული, განცალკევებული, დამოუკიდებელი ხასიათის. სასამართლოს ურთიერთობა აქვს რამდენიმე სუბიექტთან. ეს ურთიერთობები ერთმანეთთან დაკავშირებულია, ერთმანეთს განაპირობებს, მაგრამ, ამასთან, ისინი სავსებით დამოუკიდებელი ურთიერთობებია, რომელთა სუბიექტებიც სხვადასხვაა და შინაარსიც განსხვავებული აქვთ.<sup>649</sup>

„სამოქალაქო პროცესი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით მოწესრიგებული იმ საპროცესო მოქმედებებისა და სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობაა, რომელიც წარმოიშობა სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს სასამართლოსა და სხვა სუბიექტებს შორის. სამოქალაქო პროცესში წარმოშობილი ურთიერთობების თავისებურება ისაა, რომ ისინი შეიძლე-

<sup>646</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 76.

<sup>647</sup> იხ. *კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, 95.

<sup>648</sup> ვერცლად იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 75.

<sup>649</sup> იხ. *კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, 90.

ბა განხორციელდეს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით დადგენილი წესითა და ფორმით, ხოლო პროცესის ყველა მონაწილეს კანონით მინიჭებული აქვს საპროცესო უფლება-მოვალეობები“.<sup>650</sup> „სამოქალაქო პროცესი მოიცავს სასამართლოს, მხარეების, პროცესის სხვა მონაწილეების საპროცესო მოქმედებებს, ამ სუბიექტთა საპროცესო უფლებებსა და მოვალეობებს“.<sup>651</sup>

## 2. სამოქალაქო სამართალწარმოება

სამოქალაქო პროცესი არის სამოქალაქო უფლებათა განხორციელების და დაცვის კანონით დადგენილი ფორმა, რომელიც გარანტირებული და დაცული უნდა იყოს. ამგვარ დაცვას კი სასამართლო ახორციელებს სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და დავის მონაწილე პირთა შორის ამ დავის გადაწყვეტის გზით. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესს განმარტავენ, როგორც სამოქალაქო სასამართლო წარმოებას, როგორც სამოქალაქო საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას. სასამართლო წარმოების პროცესში სასამართლო და საქმის მონაწილე პირები ასრულებენ მთელ რიგ მოქმედებას, რომლებიც მოქცეულია მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობის ჩარჩოებში. ამიტომ მათ პროცესუალურ მოქმედებებსაც უწოდებენ. ასეთ პროცესუალურ მოქმედებათა ერთობლიობა, ე.ი. სამოქალაქო საქმეთა განხილვის წესი, სამოქალაქო პროცესი ანუ სასამართლო წარმოებაა.<sup>652</sup>

ტერმინის – „სასამართლო წარმოების“ – გარდა, ასევე გამოიყენება ტერმინი – „სამოქალაქო სამართალწარმოება“ (*litigation*).<sup>653</sup> „სამოქალაქო სამართალწარმოება (სამოქალაქო პროცესი) ეწოდება სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესს, რომელიც განსაზღვრულია (მოწესრიგებულია) სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით“.<sup>654</sup>

სამოქალაქო პროცესს ახასიათებს გარკვეული თავისებურებები: საპროცესო მოქმედებების შინაარსი, რაც გულისხმობს იმას, შესაძლებელია თუ არა კანონით გათვალისწინებული მოქმედების შესრულება. სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეს შეუძლია შეასრულოს მხოლოდ საპროცესო კანონით გათვალისწინებული მოქმედებები; საპროცესო მოქმედებები სრულდება გარკვეული თანმიმდევრობის დაცვით, რომელიც ან პირდაპირაა გათვალისწინებული კანონით, ან თვით პროცესის ლოგიკიდან გამომდინარეობს; საპროცესო მოქმედებების შესრულებას მოჰყვება გარკვეული იურიდიული შედეგის წარმოშობა; საპროცესო მოქმედებები სრულდება კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით.

„იმ ფორმას, რომლითაც ხორციელდება სასამართლოსა და სასამართლო წარმოებაში პროცესში მონაწილე პირთა თუ სხვა ორგანოთა საქმიანობა სამოქალაქო უფლებათა განხორციელებისას, ეწოდება პრო-

<sup>650</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 23.

<sup>651</sup> იქვე.

<sup>652</sup> იხ. *კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, 7.

<sup>653</sup> <<http://www.attorneyservicesetc.com/Resolving-Disputes:-Litigation,-Mediation,-and-Arbitration.html>>, [19.05.2016].

<sup>654</sup> *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 20.



ცესუალური ფორმა“.<sup>655</sup> სამოქალაქო პროცესული ფორმა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი წინასწარაა დადგენილი საპროცესო კანონით;

- საქმეში მონაწილე პირები სარგებლობენ პროცესული უფლებებით; სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ფაქტობრივ მონაცემებს, რომლებიც დამყარებულია პროცესული კანონით გათვალისწინებულ მტკიცებულებებზე;

- პროცესში საქმის იურიდიული შედეგით დაინტერესებულ პირს კანონით აქვს მინიჭებული უფლება, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში; პროცესის მონაწილე მხარეს მინიჭებული აქვს უფლება, გაასაჩივროს სასამართლოს ან სხვა ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ მას არაკანონიერად მიიჩნევს.<sup>656</sup>

სამოქალაქო საქმე, არა მხოლოდ უშუალოდ სამოქალაქო საქმეს გულისხმობს, არამედ, ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, სამართალურ-თიერთობათა უფრო ფართო სპექტრს მოიცავს. სამოქალაქო საპროცესო ფორმას დიდი როლი ენიჭება უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაში. იგი გარკვეული თანასწორობის გარანტიას აძლევს დავის მონაწილე მხარეებს და ხელს უწყობს სწორი გადაწყვეტილების მიღებას, რადგან თავისებურად ავალდებულებს სასამართლოს დაადგინოს საქმეზე ჭეშმარიტება.<sup>657</sup>

სამოქალაქო საქმის წარმოებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- უფლების დაცვას ახორციელებს სასამართლო;

- სასამართლო საქმეს წყვეტს სამოქალაქო ნორმათა შეფარდებით სამოქალაქო იურისდიქციის წესით;

- საქმის გარემოებებს იკვლევენ სამოქალაქო საპროცესო ფორმით დადგენილი წესით, რაც დავის კანონიერად და დასაბუთებულად გადაწყვეტის გარანტიაა;

- უფლების დაცვას ახორციელებენ მიუკერძოებელი მოსამართლეები;

- საქმის განხილვაში აქტიურად სარგებლობენ მხარეები საპროცესო უფლებების განხორციელების გზით.<sup>658</sup>

სამოქალაქო სამართალწარმოების წესს სსსკ დეტალურად განსაზღვრავს და არეგულირებს. მოცულობითი სამართლებრივი აქტი, მოიცავს როგორც სამოქალაქო საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ზოგად ნორმებს, ასევე სამოქალაქო დავათა განხილვისა და გადაწყვეტის კონკრეტულ წესებს. უფრო ზუსტად კი, ნორმები იყოფა სამ ჯგუფად: ზოგადი დებულებები, საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში და სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესები.<sup>659</sup> სსსკ-ის თანახმად, სამოქალაქო საქმეთა განხილვა და შემდგომი გადაწყვეტა სამო-

<sup>655</sup> იხ. კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, 7-9.

<sup>656</sup> იხ. იქვე.

<sup>657</sup> იხ. იქვე, 9.

<sup>658</sup> იხ. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 21.

<sup>659</sup> იხ. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი გ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 60.

ქალაქო სამართალწარმოების წესით ხორციელდება, ხოლო სადავოდ ქცეული სამოქალაქო უფლების დაცვა – სამოქალაქო სამართალწარმოების სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის, საქმის წარმოების მორიგებით დასრულებით.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი და, შესაბამისად, სამართალწარმოების პროცესი, ეფუძნება უმნიშველოვანეს პრინციპებს, რომლებიც ყოველთვის სამართლის ნორმითაა განმტკიცებული და კანონმდებელი ვადებულება, ანგარიში გაუწიოს მას საკანონმდებლო ცლილების ან დამატების განხორციელებისას. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპი ერთგვარი იდეა, დებულებაა, რომელიც სამართლის ნორმითაა განმტკიცებული და გათვალისწინებული. ვინიდან საქმის წარმოების პროცესის პრინციპები განმტკიცებულია სამართლებრივი ნორმებით. ამ პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს.<sup>660</sup> ესენია: დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობის, მხარეთა თანასწორობის, საქმის განხილვის დაჩქარებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპები, აგრეთვე, საქვეყნობის, სახელმწიფო ენის, ზეპირობისა და მისი წერილობით ფორმასთან შეხამების, უშუალო პრინციპები. აღსანიშნავია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში პრინციპების თაობაზე არ არსებობს ერთგვაროვანი მოსაზრება, თუმცა, ჩამოთვლილთაგან თითოეული წამყვან როლს ასრულებს სამართალწარმოებაში.<sup>661</sup>

### 3. სასარჩელო წარმოება

#### 3.1. სასარჩელო წარმოებს არსი

„უხსოვარი დროიდან დაწყებული, საქართველოში, სასამართლო პროცესისათვის დამახასიათებელია შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეები სრულიად თანასწორუფლებიანები იყვნენ. საქმე იწყებოდა ერთ-ერთი მხარის საჩივრით. მოსამართლე მხოლოდ მომჩივნის მოსმენით არ უნდა შემოფარგლულიყო“.<sup>662</sup>

უფლების დარღვევის, ან მისი სადავოდ ქცევის შემთხვევაში, ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს უფლების დაცვა (აღდგენა), რაც უზრუნველყოფილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. კოდექსი ასევე ითვალისწინებს სამოქალაქო საქმეთა განხილვის პროცედურას, იმის გათვალისწინებითა და შესაბამისად, თუ რა ხასიათის მოთხოვნას აყენებს დაინტერესებული პირი.<sup>663</sup>

სასარჩელო წარმოება სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითადი სახეა და ის ყველაზე მეტად უწყობს ხელს დავების სწორად განხილვასა და გადაწყვეტას. სასარჩელო მოთხოვნათა უმეტესობა უფლების შესა-

<sup>660</sup> იხ. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 75-76.

<sup>661</sup> ვრცლად იხ. იქვე, 78-120.

<sup>662</sup> დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2004, 40.

<sup>663</sup> იხ. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 294.

ხებ დავიდან გამომდინარეობს. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სამოქალაქო საქმეები, როგორც წესი, სასარჩელო საქმეებია.<sup>664</sup>

იმ პირმა, რომელსაც სურს მეორე პირისგან რაიმეს მიკუთვნება, ან მისგან რაიმე მოქმედების შესრულება, ან ასეთი მოქმედების შესრულებისგან თავის შეკავება, ან კიდევ: უფლებისა და თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა, ან ასეთი ურთიერთობის შეცვლა, გარდაქმნა – უნდა მიმართოს სასამართლოს სარჩელით.<sup>665</sup>

სასამართლოში სარჩელით მიმართვის, ამ სარჩელის მიღების და მისი განხილვა-გადაწყვეტის პროცესში წარმოიშვება სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობები, ერთი მხრივ, იმ პირებს, რომლებმაც მიმართეს სასამართლოს სარჩელით (ან, რომლებიც მონაწილეობენ პროცესში სხვადასხვა სტატუსით) და, მეორე მხრივ – სასამართლოს შორის, რომელმაც მიიღო სასამართლოში სარჩელი და, რომელმაც უნდა განიხილოს საქმე. საქმის განხილვის მონაწილე პირებსა და სასამართლოს წარმოეშვებათ საპროცესო უფლებები და მოვალეობები, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის შინაარსია.<sup>666</sup>

უფლების დაცვის სასარჩელო ფორმისთვის დამახასიათებელი ნიშნებია:

- მხარის დარღვეული ან სადავო უფლებიდან გამომდინარე, მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის არსებობა, ე.ი. სარჩელის არსებობა, რომელიც უწყებრივად უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოს;

- უფლების შესახებ დავის არსებობა;

- ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარის არსებობა, რომელთაც კანონი ანიჭებს თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უფლებამოსილებას.<sup>667</sup>

სადავო მოთხოვნებს, რომლებიც უნდა განიხილებოდეს შესაბამისი საპროცესო ფორმის ფარგლებში, სასარჩელო მოთხოვნები ეწოდებათ. სასარჩელო წარმოების არსი რამდენიმე სახით ვლინდება:

- საქმე აღიძვრება სასამართლოში სარჩელის შეტანით;

- მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა სისტემით;

- მიზნად ისახავს უფლების შესახებ დავის განხილვასა და გადაწყვეტას;

- მოწოდებულია, გადაწყვიტოს სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეები, რომლებიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობებიდან, რომელშიც მხარეებს თანასწორი მდგომარეობა უკავიათ და, შესაბამისად, არ იმყოფებიან ხელისუფლებადქვემდებარებულ ურთიერთობებში.<sup>668</sup>

<sup>664</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 294.

<sup>665</sup> იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 196.

<sup>666</sup> იხ. იქვე, 47.

<sup>667</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 294. შემდგომი მითითებით: Добровольский А. А. Исковая форма защиты права. М., 1965.

<sup>668</sup> იხ. იქვე, 294.

„როცა ერთი მხარე სამოქალაქო სამართლებრივი დავის ფარგლებში საჩივრით მიმართავს სასამართლოს, ეს, ძირითადად, იმ მოთხოვნის განხორციელებისთვის ხდება, რომლის შესრულებაზეც მოპასუხემ მას უარი განუცხადა.“<sup>669</sup> „სასამართლოსათვის პირის მიმართვა სარჩელით, რათა მან დაიცვას მისი დარღვეული ან სადავო უფლება, ამ პირის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის რეალიზება და მისი კონკრეტული გამოვლინებაა.“<sup>670</sup>

### 32. სარჩელი და მისი საპროცესო სამართლებრივი შედეგი

„სარჩელი („აქსიო“) კლასიკურ რომაულ სამართალში განიმარტებოდა, როგორც საშუალება, სასამართლო პროცესის მეშვეობით ისეთი გადაწყვეტილების მიღებისა, რომელიც სარჩელის ინტერესებს შეესატყვისებოდა. სარჩელის განმარტებას „დიგესტებში“ ვხვდებით. სარჩელი სხვა არაფერია, თუ არა პირის უფლება, სასამართლო წესით განახორციელოს კუთვნილი მოთხოვნა (პრეტენზია).“<sup>671</sup>

სარჩელი არსებობს იქ, სადაც სასარჩელო წარმოებაა. სარჩელის წარდგენა სასარჩელო წარმოების აღძვრის საფუძველია. შესაბამისად, სასამართლო სამოქალაქო საქმის წარმოებას შეუდგება დაინტერესებული პირის მიერ შეტანილი სასარჩელო განცხადების საფუძველზე, ხოლო თუ როგორ გამოიხატება დაინტერესებული პირის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელის არსი, ეს ჩამოყალიბდება სასარჩელო განცხადებაში. კერძოდ, შესაძლოა მოსარჩელე ითხოვდეს უფლების დარღვევამდე არსებული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, უფლების დამრღვევი ან ისეთი მოქმედების აღკვეთას, რომელიც ქმნის უფლების დარღვევის საფრთხეს; ვალდებულების ნატურით შესრულების დაკისრებას ან ზიანის, მათ შორის, მორალური ზიანის ანაზღაურებას; პირგასამტეხლოს გადახდევინებას; მოთხოვნის უფლების აღიარებას; სამართალურთიერთობის შეწყვეტას ან შეცვლას. სასარჩელო მოთხოვნები არსებობს მაშინ, როდესაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილია დავა უფლების დარღვევის გამო, ან იმის გამო, რომ უფლება სადავოდ იქცა და მხარეებმა ვერ გადაწყვიტეს ის სასამართლოს ჩარევის გარეშე და მას გადასცეს დავა გადასაწყვეტად.<sup>672</sup>

სარჩელის შინაარსს ქმნის მისი შემადგენელი ელემენტების ერთობლიობა. ის იძლევა ზედმიწევნით ინფორმაციას მოდავე მხარეების და იმ მატერიალური უფლების შესახებ, რომელიც მხარის სასარჩელო განცხადებით დავის საგნადაა ქცეული. სარჩელი მოიცავს ინფორმაციას იმ კონკრეტული გარემოებების შესახებ, რომლებიც საფუძველად დაედო აღძრულ სასარჩელო მოთხოვნას. „სარჩელის ელემენტებზეა დამოკიდებული

<sup>669</sup> *თოდუა მ., ქურდაძე შ.*, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბ., 2005, 81. *ბიოლინგი პ., ლუტრინგჰაუსი პ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, ბრემენი – თბილისი, 2004-2009, 9.

<sup>670</sup> *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 81-82.

<sup>671</sup> *ნადარეიშვილი გ.*, რომის სამოქალაქო სამართალი, II გამოცემა, თბ., 2001, 35.

<sup>672</sup> *იხ. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 295-296.



დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის საშუალებებიც და მომავალი სასამართლო გადაწყვეტილების ხასიათიც“.<sup>673</sup>

სარჩელს ორი ელემენტი აქვს: სარჩელის საგანი და საფუძველი. სარჩელის საგანი არის ის, რასაც მოსარჩელე იცავს სასამართლო წესით, მოსარჩელემ სასამართლოს შესაძლოა სთხოვოს რისამე მიკუთვნება, აღიარება თუ შეცვლა. სარჩელის საფუძველი ის გარემოებებია, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს მოპასუხის წინააღმდეგ მიმართულ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას.<sup>674</sup>

სარჩელი, ეს ის უმთავრესი და ფუძემდებლური დოკუმენტია, რომელიც საქმის წარმოების ადპრის, სასამართლოში საქმის განხილვისა და შეიძლება ითქვას, მორიგების წინაპირობაა. სწორედ სარჩელში განისაზღვრება და ყალიბდება მოთხოვნა (თუ რა პრეტენზია აქვს მოდავე მხარეს) და დარღვეული უფლება. სარჩელი წარმოადგენს იმ ფორმალურ სამართლებრივ ობიექტს, რომელზეც შემდგომში მორიგება უნდა განხორციელდეს.

აღსანიშნავია, რომ სარჩელი უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა. მაგრამ, ეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა მხარეთა შორის წარმოიშვა მატერიალურ-სამართლებრივი დავა და, ამდენად, სარჩელი წარმოადგენს სასამართლოში განსახილველად და გადასაწყვეტად წარდგენილი ერთი პირის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას მეორე პირისადმი. მოთხოვნა კი სწორედ სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს და იურიდიულ ფაქტებს ეფუძნება.<sup>675</sup>

სარჩელის შეტანის საპროცესო-სამართლებრივი შედეგია ის, რომ „სარჩელის წარმოებაში მიღების მომენტიდან იწყება სამოქალაქო პროცესი (სამართალწარმოება) კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე. დაინტერესებული პირები სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების მონაწილეები ხდებიან, იძენენ საპროცესო უფლება-მოვალეობებს, ანუ საქმეს მსვლელობა სწორედ ამ მომენტიდან ეძლევა. მხარეების უფლება-მოვალეობების გარდა, ამის შედეგად წარმოიშობა სასამართლოს უფლება-მოვალეობებიც. სასამართლო ვალდებული ხდება განიხილოს მხარეთა შორის არსებული დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება“.<sup>676</sup>

მოდვე მხარის მიერ სარჩელის შეტანისა და სასამართლოს მიერ მისი საქმის წარმოებაში მიღების შემდგომ სასამართლოს მხრიდან ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები საქმის მოსამზადებლად სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქმის წარმოება პროცესია, რომელსაც გარკვეული ეტაპები აქვს, მათი ერთდროული გავლა კი შეუძლებელია. სწორედ საქმის სრულყოფილად განხილვისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთი წინაპირობაა საქმის მომზადება მთავარ სხდომაზე განსახილველად. ეს ის ეტაპია, რომლის სათანადო შესრულება უზრუნველყოფს საქმის შემდგომ სრულყოფილ განვითარებას.

მას შემდეგ, რაც მოსამართლე განსახილველ საქმეს საკმაოდ მომზადებულად ცნობს, გამოაქვს განჩინება სასამართლოს მთავარ სხდომაზე მისი არსებითად განხილვის დანიშნის შესახებ. საქმის არსებითი

<sup>673</sup> იხ. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 297-299.

<sup>674</sup> იხ. იქვე, 297-299.

<sup>675</sup> იხ. იქვე, 297.

<sup>676</sup> იხ. იქვე, 559.

განხილვა მთავარ სხდომაზე არის სამოქალაქო პროცესის სტადიების უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. სწორედ მთავარ სხდომაზე პოულობს მართლმსაჯულების ყველა პრინციპი თავის უზენაეს გამოხატულებას.

### 3.3. საქმის არსებითი განხილვა

„სასამართლო სხდომას, რომელიც მოწვეულია საქმის არსებითად განხილვა-გადაწყვეტის მიზნით, ეწოდება მთავარი სხდომა“.<sup>677</sup> მთავარი სხდომა განსხვავდება იმ სხდომებისგან, რომელთა მიზანი ცალკეული საპროცესო საკითხების გადაწყვეტაა. ასეთი მიზნით ჩატარებული სხდომები წინასწარი ანუ მოსამზადებელი სხდომებია, რომლებიც ემსახურებიან მთავარ სხდომას, მის სწრაფად და დაუბრკოლებლად ჩატარების ინტერესებს. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვა სამოქალაქო საქმის გადაწყვეტის მთავარი და აუცილებელი წინაპირობაა.<sup>678</sup>

სსსკ-ის 22-ე მუხლის თანახმად, „სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს“.

საქმის არსებით განხილვას წინ უსწრებს მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება, ხოლო უშუალოდ საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს მთავარ სხდომაზე, რის თაობაზეც სსსკ-ის 207-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „მოსამართლე მხარეთა წერილობითი მასალების იღებიდან 5 დღის განმავლობაში ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას საქმის არსებითი განხილვისათვის, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს“.

სსსკ-ის 217-ე მუხლის თანახმად, სწორედ, საქმის არსებითი განხილვის დაწყებისას, პირველად, სასამართლო ეკითხება მხარეებს, ხომ არ სურთ საქმის მორიგებით დამთავრება. ამის შემდეგ, კი აკეთებს მოხსენებას საქმის შესახებ, მოკლედ გადმოსცემს სარჩელის და შესაგებლის შინაარსს, ძირითად გარემოებებს, სადავო და უდავო ფაქტებს.

საქმის არსებითი განხილვა საქმის წარმოების უმნიშვნელოვანესი ეტაპია, ვინაიდან სწორედ ამ ეტაპზე განიხილება და დგინდება ისეთი საკითხები როგორცაა: ვინ, რა სახის განცხადებით და საფუძვლით მიმართა სასამართლოს; არსებობს თუ არა შესაგებელი მოცემულ განცხადებასთან დაკავშირებით; რა მტკიცებულებები არის წარმოდგენილი საქმეში. ყოველივე ეს ხელს უწყობს სწორი მიმართულებით პროცესის წარმართვას. ამავე სტადიის შემადგენელი ნაწილია მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენა. სწორედ ამ სტადიის დაწყებამდე არის სასამართლო ვალდებული, მიმართოს მხარეებს შეკითხვით მორიგების თაობაზე და მხოლოდ ამის შემდგომ განაგრძოს პროცესი მიღებული პასუხის შესაბამისად.

„სამოქალაქო საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის მნიშვნელობა ისაა, რომ ის სამოქალაქო საქმის გადაწყვეტის აუცილებელი და სავალდებულო პირობაა. ეს იმას ნიშნავს რომ სამოქალაქო საქმეზე არ შეიძლება გადაწყვეტილების მიღება ამ საქმის მთავარ სხდომა-

<sup>677</sup> ლილეაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 244.

<sup>678</sup> იქვე.

ზე წინასწარი განხილვის გარეშე. მთავარი სხდომა თავისი მიზნებითა და ჩატარების წესით განსხვავდება სასამართლოს იმ სხდომებისგან, რომელიც მოწვეულია მხოლოდ ცალკეული საპროცესო საკითხების გადასაწყვეტად“.<sup>679</sup>

სასამართლოს მთავარი სხდომის თანმიმდევრულ განვითარებას და საქმის არსებით განხილვას ხელმძღვანელობს მოსამართლე, ან მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობა. პროცესის მონაწილე მხარეები პასუხისმგებელი არიან სასამართლოს წინაშე. საქმის არსებითად განხილვის მიმდინარეობისას ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე, კანონით გათვალისწინებული წესით, სასამართლოს გამოაქვს განჩინებები,<sup>680</sup> ხოლო თავად პროცესის მიმდინარეობა აისახება სხდომის ოქმში. თუ განჩინება მიღებულია სათათბირო ოთახში გაუსვლელად, ის შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.<sup>681</sup>

საქმის არსებითი განხილვა-გადაწყვეტა არაერთი საპროცესო მოქმედების შესრულებას გულისხმობს, სადაც მოსამართლე მთავარი, წამყვანი ფიგურაა, როგორც სასამართლო დარბაზში, ისე საქმის მომზადების სტადიაზე. იგი ხელმძღვანელობს სასამართლო სხდომის მიმდინარეობას და გადამწყვეტ როლს ასრულებს საქმეში მონაწილე მხარეებსა და სხვა პირებთან ურთიერთობის წარმართვის პროცესში.<sup>682</sup>

საქმის მთავარ სხდომაზე განხილვა პროცესია, რომელიც რამდენიმე სტადიისგან შედგება. ესენია: მოსამზადებელი ნაწილი, გარემოებათა გამოკვლევა (საქმის არსებითად განხილვა), სასამართლო კამათი, გადაწყვეტილების მიღება – გამოცხადება.<sup>683</sup> აღნიშნული ეტაპები ჯაჭვურადა ერთმანეთთან დაკავშირებული და თითოეული მათგანი თანმიმდევრულად განაპირობებს ყოველი შემდგომი ეტაპის არსებობას და კანონით დადგენილი წესით წარმართვას მას. კერძოდ, მოსამზადებელი ნაწილი ეს ის წინაპირობაა, რომელიც არკვევს მთელ რიგ გარემოებებს. კერძოდ, არსებობს თუ არა მოცემულ სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განხილვისათვის აუცილებელი პირობები.

საქმის განხილვის გადადება შესაძლებელია როგორც სასამართლოს ინიციატივით, ასევე მხარეთა შუამდგომლობით. სასამართლომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას საქმის განხილვის გადადება, თუ ამას მიზნად აქვს საქმის განხილვის გაჭიანურება.<sup>684</sup> მიზანმიმართული საფუძვლით სხდომის გადადებისას კანონი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მთელი რიგი საპროცესო მოქმედებების შესრულებას. მორიგების მიზნით საქმის გადადებისას შესასრულებლად აუცილებელი საპროცესო მოქმედებაა მომავალი სხდომისთვის მხარეთა მიერ მორიგების ჩარჩოხელშეკრულების შემუშავება და სამომრიგებლო წინადადებების წარმოდგენა.

<sup>679</sup> *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 244.

<sup>680</sup> მხარეთა მორიგება (მორიგების პირობები) ასევე აისახება სასამართლოს განჩინებაში.

<sup>681</sup> სსსკ-ის მუხლი 284-ე, ნაწილი მე-3.

<sup>682</sup> იხ. *ჩაჩანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ.*, კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013, 8-9.

<sup>683</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 388.

<sup>684</sup> იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 253.

მოსამართლეს უნდა ესმოდეს ის პრობლემატიკა, რომელიც სასამართლო სხდომის დროს დარბაზის მართვას და მხარეთა კომუნიკაციას ახლავს. მოსამართლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ის ფსიქოლოგიური ბერკეტები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ სირთულეების გადალახვას.<sup>685</sup>

შესაძლოა, მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე ან მხარეები მორიგდნენ. ასეთი სურვილის გამოხატვის შემთხვევაში სასამართლომ უნდა განუმარტოს მათ სარჩელზე უარის თქმის ან მორიგების შედეგები, გადაწყვიტოს საკითხი დამოუკიდებლად სათათბირო ოთახში და გამოიტანოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ასევე შესაძლებელია მოპასუხემ ცნოს სარჩელი. ამ შემთხვევაში საქმის წარმოება არ შეწყდება, საქმე კვლავ არსებითად განიხილება და სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

თუ მოპასუხემ ცნო სარჩელი, ამით თავად გადაწყვიტა საქმის წარმოების ბედი. ასეთ შემთხვევაში მას საქმე არ წაუგია, არამედ მან აღიარა დავის არსებობა იმ ფორმით, როგორც არსებობდა სასამართლოში მოთხოვნის წარმოშობის მომენტისათვის. თუ მოსარჩელემ უარყო თავისი სარჩელი, აქაც შეიძლება ითქვას, რომ მან „უკან გაიხმო“ საკუთარი მოთხოვნა. ასევეა მორიგებისას. მორიგების დროს არ არსებობს წაგებულ ან მოგებული საქმე. მორიგებისას მიიღწევა ორივე მხარისთვის სასურველი, საერთო-სასარგებლო, „შუალედური გადაწყვეტილება“.<sup>686</sup>

თუ არცერთი ზემოთ ხსენებული გარემოება არ გამოვლინდება პროცესის მსვლელობისას, საქმის არსებითი განხილვა გრძელდება კანონით დადგენილი წესით მხარეთა ახსნა-განმარტებებით, ერთმანეთთან კითხვების დასმით, რის შემდეგაც სასამართლო იწყებს მტკიცებულებების შემოწმებასა და გამოკვლევას, რომლის შედეგების შეჯამება მხარეთა პაექრობით და შესაბამისი დასკვნების გამოტანით გრძელდება, რასაც შესაძლოა მოჰყვეს რეპლიკა.<sup>687</sup>

სასამართლოს მთავარი სხდომის დამამთავრებელი სტადია გადაწყვეტილების გამოტანა და მისი საჯაროდ გამოცხადებაა. ამ ეტაპზე სასამართლო არსებითად წყვეტს საქმეს.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ რომის სამოქალაქო სამართლიდან მოყოლებული „უკვე განხილული საქმის გამო, მოსარჩელე ხელახლა ვერ ისარჩელებდა იმავე მოპასუხის წინააღმდეგ. ლათინური იურიდიული ანდაზაც აკი ამბობდა, რომ არ შეიძლება ორჯერ აღიძრას ერთი და იგივე საქმე – „*nin bis in eaderme*“.<sup>688</sup>

<sup>685</sup> იხ. ჩაჩანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013, 9.

<sup>686</sup> იგ. არა სსსკ-ით დადგენილი და აღიარებული შუალედური გადაწყვეტილება, არამედ ინტერესთა შუალედურად (ორივე მხარისთვის მეტ-ნაკლებად მისაღებად) დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება.

<sup>687</sup> იხ. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 250.

<sup>688</sup> იხ. ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2001, 32.



### 3.4. სამოქალაქო საქმის წარმოების დასრულების კლასიფიკაცია

„სასამართლო მის წინაშე არსებული საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად,<sup>689</sup> ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ძალდატანების, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე. სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი უფლებას აძლევს და ავალებს სასამართლოს უზრუნველყოს, სასამართლო საქმის წარმოების სამართლიანი მიმდინარეობა და მხარეთა უფლებების დაცვა“.<sup>690</sup> მაგრამ, სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას შესაძლოა საქმის წარმოება სხვადასხვაგვარად დასრულდეს.

საქმის წარმოების დასრულების კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნითაა შესაძლებელი. არასამართლებრივი, თუმცა, ზოგადი და თვალსაჩინო პრინციპია, რომ სასამართლოში საქმის წარმოება თავად პროცესის თითოეული მონაწილისათვის საქმეს მოგებულ და წაგებულ კატეგორიებად ყოფს.<sup>691</sup> ასეთი დაყოფა პირობითია და არ ეფუძნება კანონისმიერ შეფასებას. კანონისმიერი შეფასებით, სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრება მკაცრად განსაზღვრული სახით არის შესაძლებელი – გადაწყვეტილების გამოტანით ან მის გარეშე.

სამოქალაქო საქმის არსებითად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება. ნებისმიერი საქმის წარმოების დასასრული და მასზე გადაწყვეტილების გამოტანა ლოგიკურად უნდა წარიმართოს, რაც იმას გულისხმობს, რომ საქმის ვითარება და მსვლელობა უნდა მომწიფდეს გადაწყვეტილების მისაღებად. გადაწყვეტილების გამოტანის მომწიფებაში იგულისხმება ყველა იმ მხარის სუბიექტური პოზიციის და ყველა იმ მოვლენის ობიექტური ჩამოყალიბება, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. გადაწყვეტილების გამოტანის შედეგად საქმის წარმოების დასრულება ეფუძნება ყველა იმ ეტაპების და სტადიების თანმიმდევრულ განვითარებას, რომელიც საქმის წარმოების შემადგენელი ნაწილია და საბოლოოდ სრულდება გადაწყვეტილების გამოტანით.

<sup>689</sup> სასამართლოს მიუკერძოებლობისადმი საზოგადოების რწმენის შესანარჩუნებლად აუცილებელია თითოეულმა მოსამართლემ შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები. იხ. *ჰენლი ვ.*, მოსამართლის მოვალეობების შესრულებისადმი გულგრილობა და მისი შედეგები, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, მოსამართლის კონფერენციის მასალები, თბ., 27/28 სექტემბერი, 2013, 29.

<sup>690</sup> გაერთიანებული ერების ადამიანთა უფლებების დოკუმენტები. „ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ“, მიღებულია გაეროს დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მიერ. მილანი 1985 წლის 26 აგვისტო – 6 სექტემბერი. ძალაშია გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებით, შესავალი. სასამართლოს დამოუკიდებლობა, წიგნი II, თბ., 1999, 66.

<sup>691</sup> საქმის მოგებულ და წაგებულ კატეგორიებად დაყოფის პრინციპი არის ერთ-ერთი არსებითი განსხვავება საქმის წარმოებასა და მორიგებას შორის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მხარეები თანაბარ პოზიციებში არიან, როგორც მორიგებულები. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შედეგად კი, როგორც წესი, ადგილი აქვს „გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი“ სისტემას (*winner-take-all system*). *Andreoni J.*, (University of California, San Diego, Department of Economics), *Madoff R. D.*, (Boston College, Law School), *The Role of Judicial Discretion in Dispute Settlement*, June 2007, Current version February 19, 2008, 1.

კანონი ითვალისწინებს სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრებას გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე. ამ ფაქტს სხვადასხვა სახის კანონით დადგენილი და განსაზღვრული რამდენიმე გარემოება განაპირობებს. კერძოდ, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმის წარმოების გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე დამთავრების ორ ფორმას: საქმის წარმოების შეწყვეტას და სარჩელის განუხილველად დატოვებას. საქმის წარმოების დამთავრების ეს ორი ფორმა განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც საფუძვლებით, ისე თავისი შედეგით.<sup>692</sup>

საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, როცა არ არსებობს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, რის შემდეგაც შეუძლებელია და დაუშვებელია საქმის ხელახლა აღძვრა სასამართლო განხილვისთვის. კერძოდ: საქმის განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაა; არ არსებობს დავის საგანი; არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე სარჩელთან დაკავშირებით; მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე; მხარეები მორიგდნენ; პირის გარდაცვალების შემდეგ დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა; როცა სახეზეა 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა; მხარეთა შეთანხმებით დავა კერძო არბიტრაჟის განსახილველია.<sup>693</sup> აღნიშნული საფუძვლების არსებობისას, სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განსახილველად მომზადების დროს, საქმის წარმოება მოსამართლემ შეიძლება შეწყვიტოს ან სარჩელი (განცხადება) განუხილველად დატოვოს, რის შესახებაც მას გამოაქვს მოტივირებული განჩინება.<sup>694</sup>

სარჩელის განუხილველად დატოვება დასაშვებია მაშინ, როცა მოსარჩელეს აქვს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, მაგრამ დაცული არ იყო ამ უფლების განხორციელების კანონით დადგენილი პირობები, რის მიუხედავადაც მხარეს კვლავ შეუძლია მიმართოს სასამართლოს ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდგომ.<sup>695</sup> კერძოდ, სარჩელი განუხილველი დარჩება თუ: სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა, ხოლო სასამართლო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნას; სარჩელი დაინტერესებული პირის სახელით იმ პირმა შეიტანა, რომელსაც არ აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება; სასამართლო პროცესზე მოსარჩელე არ გამოცხადდა, ხოლო მოპასუხე თანახმაა სარჩელი დარჩეს განუხილველად; სხდომაზე არცერთი მხარე არ გამოცხადებულა; იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.<sup>696</sup>

საქმის წარმოების შეწყვეტისა და სარჩელის განუხილველად დატოვების ინსტრუქტი გამოიყენება როგორც პირველ, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში საქმის განხილვის დროს. განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის და სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.<sup>697</sup>

<sup>692</sup> იხ. *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2007, 479.

<sup>693</sup> სსსკ-ის მუხლი 272-ე.

<sup>694</sup> სსსკ-ის მუხლი 209-ე.

<sup>695</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 409.

<sup>696</sup> სსსკ-ის მუხლი 275-ე.

<sup>697</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 415.

მორიგებით საქმის წარმოების დასრულება უფრო მიზანმიმართულად აგვარებს სამართლებრივ პრობლემას, ვიდრე, ზოგადად, სასამართლო პროცესი. შესაბამისად, ის არა მხოლოდ სამოქალაქო საქმის წარმოების დასრულების საფუძველია, არამედ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნაწილიც შესაძლოა იყოს. კერძოდ:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე, ან განხილვაზე, უარის თქმის საფუძველებს. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს თუ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება დავის იმავე საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი ითვალისწინებს დისპოზიციურობის პრინციპს, სადაც თავად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმის წარმოება მორიგებით დაამთავროს.<sup>698</sup> ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი საქმე მორიგებით დაამთავროს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სამოქალაქო საქმის წარმოებისგან განსხვავებით, სასამართლოს ენიჭება დამატებითი ფუნქცია შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ანუ რამდენადაა კანონშესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობით საქმის წარმოების მორიგებით დაამთავრება. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება საქმე მორიგებით დაამთავროს დამოკიდებულია არა მის მოსაზრებებსა და შეხედულებებზე, არამედ იმაზე, შეესაბამება თუ არ ამგვარი გადაწყვეტილება მისთვის კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, საქმის მიზნებს და, საბოლოო ჯამში, საქართველოს კანონმდებლობას.<sup>699</sup>

მართალია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, ითვალისწინებს მხარეთა მორიგების შესაძლებლობას დისპოზიციურობის პრინციპზე დაყრდნობით და ადგენს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, თუმცა, აქვე ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ეს შესაძლებლობა მხარეს ყოველთვის არ აქვს. კანონი მაინც აწესებს შეზღუდვებს კონკრეტულ შემთხვევებში. ადმინისტრაციული პროცესი შესაძლოა არ დასრულდეს მორიგებით იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ადმინისტრაციული საქმის შემდგომი განხილვა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, უპირველეს ყოვლისა, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარეობს. შეზღუდვის მიზანია, პროცესი ისე არ დაამთავრდეს, რომ საქმის არსებითი გარემოებები ზედმიწევით არ იქნეს გამოკვლეული.<sup>700</sup>

სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ამკვიდრებს ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს. აღნიშნული პრინციპის არსი ისაა, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისგან განსხვავებით (სადაც მოქმე-

<sup>698</sup> იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 182-ე.

<sup>699</sup> იხ. *გაჩაძე მ., თოდრია ი., ტურავა პ., წიკელაძე ნ.*, საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბ., 2005, 27.

<sup>700</sup> იხ. *კობაღიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ.*, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2008, 20-21.

დებს ნების ავტონომიის პრინციპი), ადმინისტრაციულ ორგანოს ეზღუდება ნების გამოვლენა. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი გადაწყვეტილება უნდა გამომდინარეობდეს მისთვის კანონით პირდაპირ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებიდან. მისი ნების გამოვლენა, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა იყოს მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კანონიერი, კანონის ჩარჩოში მოქცეული. „ადმინისტრაციული ორგანოს ნების გამოვლენა ექვემდებარება არა უპირობო გაზიარებას, როგორც ფიზიკური და იურიდიული პირის შემთხვევაში, არამედ სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას“, საქმის განხილვა-გადაწყვეტის შედეგი განპირობებულია არა მხარის ნების გამოვლენით, არამედ სამართლის ნორმის შეფარდება-განმარტებით.<sup>701</sup>

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებისთვის მიმართვა ყველა შემთხვევაში მიზანშეწონილი არაა. ზოგიერთი სახის დავისთვის სასამართლო საქმის წარმოება საუკეთესო პროცესია, რადგან ზოგ სიტუაციაში მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფს მხარეთათვის სწორ სამართლებრივ მითითებას, ხოლო იქ, სადაც დავის ალტერნატიული გზით გადაჭრა ყველაზე აპრობირებული მეთოდია, სასურველია მისი ოპტიმალურად გამოყენება.<sup>702</sup>

<sup>701</sup> იხ. ნაჭყებია ა., ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014), თბ., 2015, 363. იხ. საქმე №ბს-226-174(კ-05), 30.12.2008.

<sup>702</sup> Llevin A. L., Shuchman P., Yamnb C. M., Civil Procedure, Cases and Materials – Successor Edition, New York, 1992, 543.



## თავი II. მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობები

### 1. წინაპირობების არსი

წინაპირობები ერთგვარი საფუძველი, მოტივი, მიზეზია საქმის წარმოების მორიგების გზით დასრულებისთვის. აღნიშნული წინაპირობები სამართლებრივი და არასამართლებრივი, სუბიექტური და ობიექტურია. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. სწორედ ისინი ქმნის საფუძველთა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია საქმის წარმოების მორიგებით დასრულებისკენ.

ობიექტური წინაპირობების ჩამონათვალი არ არის ზემიწევნით განსაზღვრული. ობიექტურია ყველა ის წინაპირობა, რომელიც ცვლის არსებულ სიტუაციას რეალობის შესაბამისად და მის სასარგებლოდ. ობიექტური წინაპირობა, ძირითადად, ის ფაქტობრივი მდგომარეობაა, რომელიც ააშკარავებს დავის წამგებიან ხასიათს. ასევე, შესაძლოა ეს იყოს კონკრეტული გარემოებები, რომლებიც მოდავე მხარეთათვის ნათელს ხდის საქმის წარმოების პროცესში მორიგების უპირატესობას.<sup>703</sup>

ობიექტური წინაპირობის არსებობა აიძულებს დავის მხარეს, შეცვალოს სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული გარემოებებისადმი. ობიექტური წინაპირობების არსებობის შემდეგ მხარემ თავად უნდა განსაზღვროს სუბიექტური წინაპირობის ღირებულება, დავის არსიდან გამომდინარე, და შეცვალოს ის იმ საფუძველით, რომელიც ამგვარ გარემოებაში უკეთესი იქნება საქმის წარმოების მორიგებით დასრულებისათვის.

სამართლებრივი წინაპირობები განსაზღვრულია კანონით და მთლიანად მოიცავს საქმის წარმოების მორიგებით დასრულებასთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესს.

არასამართლებრივი წინაპირობები კი ყველა იმ ფაქტორთა ერთობლიობაა, რომლებიც განაპირობებს მორიგებას. არასამართლებრივ წინაპირობებად შესაძლოა, ასევე, მიჩნეული იყოს მორალი, ნება და თანხმობა, რომლებიც სუბიექტური მახასიათებლებია და მიმართულია მორიგების ფორმირებისკენ.

### 2. სამოქალაქო საქმის წარმოების მორიგებითი ღირებულება

არსებობს მოსაზრება, რომ საქმეების უმეტესობას აქვს მისთვის დამახასიათებელი მორიგებითი ღირებულება (*settlement value*). თუმცა, ძნელია, ორივე მხარემ ერთდროულად მოძებნოს ის კონკრეტული მომენტი, როცა შესაძლებელი იქნება ამ ღირებულებაზე ერთდროული, ორმხრივი შეთანხმება.<sup>704</sup> სასამართლოში საქმის წარმოებისას არსებობს სარჩელების გარკვეული კატეგორია, რომლებიც აშკარად არასერიოზული და და-

<sup>703</sup> იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 248.

<sup>704</sup> ორმხრივი შეთანხმება მოდავე მხარეთა ჰარმონიზაციას გულისხმობს. *Ervasti K.*, *Conflicts Before the Courts and Court-annexed Mediation in Finland*, *Scandinavian Studies In Law*, © 1999-2012, 191.

უსაბუთებელია.<sup>705</sup> ამ კატეგორიის საქმეთა მორიგებითი ღირებულება მაღალია, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, მხარეები მეტ სარგებელს ნახავენ საქმის წარმოების მორიგებით დასრულებით, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილებით.

ასეთ დროს, ყველაზე მარტივი მიდგომა ორ გარემოებას გულისხმობს. ერთი, თუ კარგად გადაიხედება თითოეული საქმე, თითქმის ყველა შემთხვევაში არსებობს ის „ოქროს მომენტი“ (*golden moment*), როცა მაქსიმალურად შესაძლებელია საქმის მორიგებით დასრულება.<sup>706</sup> მეორე, დავის მორიგებით დასრულება შესაძლებელია, როცა მორიგების ღირებულება გაცილებით დიდია ვიდრე საქმის წარმოების შედეგი (*value of the settlement is greater than the expected value at trial*).<sup>707</sup>

მორიგება შესაძლებელია ნებისმიერი კატეგორიის დავაზე. დავის სამართლებრივი ხასიათი მორიგებისთვის არსებითი არ არის. მთავარია, „თავად მორიგების საგანი მორიგებადი იყოს“, ანუ მასზე მორიგების სამართლებრივი შესაძლებლობები არსებობდეს.<sup>708</sup>

### 3. სამოქალაქო საქმის წარმოების განხილვის გამჭირვალედ წარმართვის ინტერესი

„პროცესუალური თვალსაზრისით, დავის საგნისა და სამართლებრივი მდგომარეობის დაწვრილებით განხილვა, ასევე საქმის შესაბამისი პრობლემატური საკითხების თაობაზე მოსამართლის მოსაზრებების გადმოცემა არა მარტო დასაშვებია, არამედ სსსკ-ის 217-223-ე მუხლების შესაბამისად აუცილებელია“.<sup>709</sup>

გამჭირვალედ წარმართვის ინტერესები, გულისხმობს მხარის ინფორმირებულობას სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლების თაობაზე. მხარეს უნდა შესწევდეს უნარი მისდიოს სამართლებრივი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ასპექტებს. ამასთან, მხარეს უნდა შეეძლოს საქმის წარმოების პროცესში საკუთარი შანსების ადეკვატურად შეფასება.

სასამართლოდან მიღებული ამგვარი ღია ინფორმაციისა და გამჭირვალე სამართალწარმოების შედეგად, შესაძლებელია, თითოეული მხარის ძირითადი უფლებების განხორციელება. კერძოდ, უფლების სასამართლო წესით დაცვა, ამ პრინციპის ნამდვილი გაგებით.

„ამგვარი ღია სამართალწარმოება და მისგან გამომდინარე მხარეთათვის შეთავაზებული მორიგება არ განაპირობებს ამ უკანასკნელთა მიერ სასამართლოს აცილების თაობაზე დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას. უახლოეს მომავალში ქართული სასამარ-

<sup>705</sup> *Katz A.*, The Effect of Frivolous Lawsuits on the Settlement of Litigation, Department of Economics and Law School, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USA, *International Law Review of Law and Economics* (1990), 10 (3-27), 3.

<sup>706</sup> *Cory M. V. Jr.*, How to Negotiation the Best Settlement, Danks, Miller & Cory 213 South Lamar Jackson, MS, 2011, 10-11, <<http://danksmillercory.com/>>, [19.05.2016].

<sup>707</sup> *Hollander -Blumoff R.*, Just Negotiation, *Washington University Law Review*, 2013, 397.

<sup>708</sup> სსსკ-ი არ განსაზღვრავს, თუ რა კატეგორიის დავები არის მორიგებადი. შესაბამისად, მორიგება შესაძლებელია ნებისმიერი კატეგორიის დავაზე. მთავარია, თავად დავა მორიგებადი იყოს და აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

<sup>709</sup> *ლიუტრინგჰაუსი პ.*, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007, 135.

თლოების, განსაკუთრებით ზემდგომი ინსტანციების, ამოცანა იქნება მხარეთა მსგავს მოთხოვნებზე გამოტანილი შესაბამისი გადაწყვეტილებებით იზრუნონ სამართლებრივ დავაზე და ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოებს გზა გაუხსნან თანამედროვე და ღია სამართალწარმოებისა და გამჭვირვალე სამოქალაქო პროცესის კულტურისაკენ.<sup>710</sup>

#### 4. შესვენების გამოცხადება

პრაქტიკის ანალიზი იძლევა სრულ საფუძველს დასკვნისათვის, რომ, ზოგადად, ყოველთვის, როცა საქმე კარგადაა მომზადებული, საქმის წარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საქმისწარმოება არ ჭიანჭურდება და სწრაფად, შესვენების გარეშე მიიღება გადაწყვეტილება.<sup>711</sup>

საქმის სასამართლო განხილვისთვის წინასწარი მომზადების სტადია არსებობს იმისთვის, რომ საჭირო არ გახდეს საქმის განხილვის გადადება. საქმის გადადების მიზანი შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს და მიანიშნებდეს სწორედ იმაზე, თუ რამდენად მზად იყო საქმე არსებითად განსახილველად. სასამართლომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას საქმის განხილვის გადადება, თუ ამას მიზნად აქვს საქმის განხილვის გაჭიანჭურება.<sup>712</sup>

მორიგების შემთხვევაში შესვენება სულ სხვა მიზნებს ემსახურება. საქმის წარმოების მორიგებით დამთავრების არაპირდაპირი, მაგრამ ერთ-ერთი წინაპირობაა სასამართლო სხდომის დროებით შეწყვეტა, შესვენების გამოცხადება.<sup>713</sup>

მოსამართლე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს, ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს.<sup>714</sup>

შესვენების გამოცხადება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. ის პროცესის მიმდინარეობის დროს წარმოშობილი პრობლემების მოგვარებას უნდა უწყობდეს ხელს. თუ პროცესის მიმდინარეობისას, კერძოდ, მორიგების პირობების განხილვისას, გამოიკვეთა, რომ სამართლიანი მორიგების მიღწევაში ადვოკატის პოზიცია ხელის შემშლელი ფაქტორი ხდება, სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეებთან დარჩეს და მათთან, ადვოკატთა გარეშე, გაარკვიოს მორიგების საკითხები.<sup>715</sup>

<sup>710</sup> *ლიუტრინგჰაუსი პ.*, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007, 135.

<sup>711</sup> იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 250.

<sup>712</sup> იხ. იქვე, 253.

<sup>713</sup> შესვენება ანუ მოსამზადებელი დრო, რომლის მიზანი ასევე შეიძლება იყოს წერილობითი შეთანხმების პროექტის მომზადება. ვრცლად იხ. *ლემპერერი ა. პ., კოლხონი თ.*, მოლაპარაკების მეთოდები, თბ., 2009, 304. შესვენება მოლაპარაკებების პროცესში არის პაუზა, რომელიც საშუალებას იძლევა ფოკუსირება მოხდეს დავის საგანზე. ხანგრძლივი შესვენებები ხშირად გამართლებულია იმით, რომ საჭიროა დავის საგანზე დაფიქრება და მისი ღრმა ანალიზი. იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 70.

<sup>714</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 34.

<sup>715</sup> იხ. იქვე, 35.

## 5. შესაძლო შედეგებზე მითითება

საქმის წარმოების მორიგებით დამთავრების წინაპირობაა მოსამართლისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე.

სამოსამართლო ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო მოვალეობის შესრულებისას მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრის და შეხედულებისაგან. ანონი ავალებს მოსამართლეს იყოს მიუკერძოებელი და მის მიერ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით არ ჰქონდეს ჩამოყალიბებული წინასწარ შექმნილი აზრი ან შეხედულება. ამასთან, იგი უნდა მოერიდოს ისეთ ქცევას, რომელსაც პროცესის მონაწილეები ან საზოგადოება აღიქვამს წინასწარ შექმნილ შეხედულებად, რა დროსაც გასათვალისწინებელია მოსამართლის ქცევა საქმის განხილვისას (სხდომის დარბაზში) და მოსამართლის ქცევა სხვა დროს (არა სხდომის დარბაზში).<sup>716</sup> ამ წესისგან გამონაკლისია კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევა. კერძოდ, სსსკ-ის 218-ე მუხლი ადგენს, რომ სასამართლოს შეუძლია მხარეებს მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე. მოსამართლემ უნდა განუმარტოს მხარეებს საქმის არსი, მისი განვითარების პერსპექტივები და ამით დაეხმაროს მორიგების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში.

როდესაც აშკარაა, რომ მხარეს არასწორი წარმოდგენა აქვს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, მის სამართლებრივ პოზიციაზე და სწორედ ამის გამო ხდება მის მიერ მორიგების შეთავაზებაზე უარის თქმა, სასამართლოს შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე. კერძოდ, გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება დადგეს, რომელი მტკიცებულების არსებობამ ან არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დადგენა.<sup>717</sup> შესაძლო შედეგი ისე არ უნდა მიეთითოს, რომ მხარეებმა დავა უკვე გადაწყვეტილად მიიჩნიონ. სასამართლომ შეიძლება შესაძლო შედეგებზე მითითებისას გამოიყენოს არსებული კანონი, სტაბილური პრაქტიკა, ან იურისტთა შორის და მეცნიერებაში ჩამოყალიბებული აზრი. თუმცა, ამავე დროს, აუცილებლად უნდა მიეთითოს, რომ არსებული პრაქტიკა და ჩამოყალიბებული აზრიც შეიძლება შეიცვალოს და ეს დიდი ტვირთი თვით მხარემ უნდა იკისროს.<sup>718</sup>

## 6. მორიგების წინადადება

მოსამართლის მიერ მხარეებისათვის მორიგების წინადადებების შეთავაზება მორიგების ერთ-ერთი წინაპირობაა. სასამართლოს შეუძლია

<sup>716</sup> იხ. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, მიღებული საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა 2007 წლის კონფერენციის მიერ, მუხლი მე-5, <<http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>>, [19.05.2016]. სამოსამართლო ეთიკის წესები, კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის სამართლის უზენაესობის ინიციატივა, 2008, 4.

<sup>717</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 35.

<sup>718</sup> იხ. იქვე, 36.



არსებითი როლი შეასრულოს მორიგების პროცესში. საუბარია იმ უდიდეს ტვირთსა და პასუხისმგებლობაზე, როცა სასამართლო თავის აქტიურად მონაწილეობს მორიგების წინადადების ჩამოყალიბებაში. აღნიშნული ტვირთისგან მხარეთა განთავისუფლების შედეგად, შესაძლოა, მხარეები მორიგებას დათანხმდნენ.<sup>719</sup>

მოსამართლეს შეუძლია მხარეებს შესთავაზოს ნებისმიერი წინადადება, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ეს წინადადება, მიზნიდან გამომდინარე, უნდა იყოს საქმის არსთან ახლოს მდგომი, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.<sup>720</sup>

შეთავაზებული უნდა იყოს ისეთი წინადადება, რომელიც ორივე მხარეს სამართლიანად მოეჩვენება და მიიღებს. თუ წინადადება არ არის მიღებული ერთ-ერთი მხარის მიერ, სასამართლომ უნდა მოისმინოს წინააღმდეგობის მიზეზი და კვლავ იმავე მეთოდებით ეცადოს მიაღწიოს კონსენსუსს.<sup>721</sup> ხშირად წინააღმდეგობები უფრო ამბიციებს უკავშირდება, ვიდრე ქონებრივ ინტერესებს.<sup>722</sup>

ამ მოქმედების შესრულებისას აქცენტი კეთდება იმ მხარის, პოზიციის სუსტ ადგილზე, რომელიც მორიგების წინააღმდეგია. ცხადია, მითითება ისე არ უნდა გაკეთდეს, რომ მეორე მხარემ, რომელიც თანახმაა საქმე მორიგებით დაამთავროს, შეცვალოს თავისი პოზიცია და ჩათვალოს, რომ მას „მოსარიგებელი არაფერი აქვს“. თუ საქმე ამ მდგომარეობამდე მივიდა, მოსამართლეს ყოველთვის უნდა ჰქონდეს „შემონახული“ მეორე მხარისათვის მისათითებლად ის სუსტი ადგილები, რომლებიც არსებობს მხარის სამართლებრივ და ფაქტობრივ პოზიციაში. აქ აქცენტი უნდა გაკეთდეს შესაძლო შედეგზე, და არა გარდაუვალ შედეგზე. „გარდაუვალი შედეგი ცნობილი ხდება მაშინ, როდესაც სასამართლო სათათბირო ოთახში გადის და გადაწყვეტილებაზე ყალიბდება“.<sup>723</sup>

## 7. მორიგების უპირატესობაში დარწმუნება

სასამართლოს ხშირად უწევს მხარეთა დარწმუნება მორიგების უპირატესობაში.

ამ დროს, აქცენტი უნდა გაკეთდეს რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე, მათ შორის, სასამართლო ხარჯებზე. მოსამართლემ უნდა შეახსენოს მხარეებს, რომ, დავის გაგრძელების შემთხვევაში, სასამართლოს არცთუ უმნიშვნელო ხარჯები მათ უნდა დაფარონ. ამავე დროს, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მორიგების შემთხვევაში, მხარეებს უნახვევრდებათ ან მთლიანად უკან უბრუნდებათ სახელმწიფო ბაჟი.

<sup>719</sup> იხ. იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), *ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები*, სუს, თბ., 2010, 36.

<sup>720</sup> იხ. იქვე.

<sup>721</sup> იხ. *ცეკტკოვ გ. ლ.*, კონფლიქტის ფსიქოლოგია, თბ., 2015, 209. კონსენსუსი – გონივრული შეთანხმება. იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 99. შეად. *Les A., Cullen B.*, Settlement and Reform of the Civil Justice System: How Settlement is Changing the Practice of Law, *Waikato Law Review*, 2009, 40.

<sup>722</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), *ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები*, სუს, თბ., 2010, 37.

<sup>723</sup> იხ. იქვე, 35.

მხარეებს უნდა განემარტოთ, რომ სასამართლოში საქმის წარმოება მათგან დიდ დროსა და ენერჯიას მოითხოვს, რომ აღნიშნული დაკავშირებულია როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ გარემოებებთან. ამ დროს არსებითია ის ფაქტორიც, რომ სასამართლო სიღრმისეულად უნდა გაერკვიოს საქმის არსში, გაიაროს კანონით დადგენილი ყველა სავალდებულო საპროცესო ეტაპი და, ასევე, არასებითი დრო დაუთმოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩამოყალიბებას.

ამასთან, საქმის წარმოების პროცესი მხარეთა ემოციაზე, განწყობაზე და მოსალოდნელ შედეგზეა დამოკიდებული. გამონაკლისი არაა, ასევე, მოდავე მხარეთა შორის წლების განმავლობაში განსაკუთრებული ურთიერთობის არსებობა. მორიგების უპირატესობის დარწმუნების პროცესში, ხშირად, დიდ როლს ასრულებს ყურადღების გამახვილება დავის მონაწილეთა მორალურ მხარეზე. ეს ფაქტორი მაშინ მუშაობს, როდესაც დავის მონაწილენი ნათესავები, ერთი ოჯახის წევრები, მეზობლები ან მეგობრები არიან. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია საზოგადოებაში არსებულ ტრადიციებზე, წეს-ჩვეულებებზე მითითება.<sup>724</sup>

მოსამართლეს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მისი წინადადება უნდა იყოს საქმის არსთან ახლოს მდგომი სამართლიანი შეთავაზება, რაც გულისხმობს საქმის გარემოებების ზედმიწევნით, სათანადოდ ცოდნას. სწორედ საქმის გარემოებების კარგად ცოდნით, საქმის არსებით და თითოეული მხარისათვის მნიშვნელოვან მომენტებზე ყურადღების გამახვილებით მოიპოვებს მოსამართლე მხარეთა ნდობას, ჩამოყალიბებს მხარეებს რწმენას, რომ მათი პრობლემები მოსამართლემ სრულად გააცნობიერა. სწორედ ეს განწყობა განაპირობებს შედეგს, რომ მხარე უსმენს მოსამართლეს და სერიოზულად და საფუძვლიანად განიხილავს მის თითოეულ წინადადებას.<sup>725</sup>

<sup>724</sup> იხ. იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 37.

<sup>725</sup> იქვე.

### თავი III. მორიგების აქტი, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობა

#### 1. მორიგების აქტის სამართლებრივი არსი

მორიგების დამოუკიდებელი პროცესის დასრულების სამართლებრივი გამოხატულებაა მორიგების აქტია,<sup>726</sup> ხოლო საქმის წარმოების მორიგებით დასრულების გამოხატულება – საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მორიგების აქტის სასამართლო განჩინებით დამტკიცება.<sup>727</sup>

უშუალოდ მორიგების აქტი, არც იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტია და არც სასამართლო ხელისუფლების აქტი.<sup>728</sup> მორიგების აქტი მხარეების სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განკარგვის შესახებ წერილობითი დოკუმენტია – კონსესუალური ხელშეკრულებაა.<sup>729</sup>

გამომდინარე იქედან, რომ მორიგების აქტი კონსესუალური ხელშეკრულებაა, იბადება კითხვა – აქვს თუ არა დამოუკიდებელი იურიდიული ძალა მხარეთა ნების გამოხატულებას საქმის წარმოების პროცესში. აღნიშნული საკითხი ორ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. პირველი – მორიგების აქტში გამოხატული ნება დაკავშირებულია მორიგების დამოუკიდებელ პროცესთან; მეორე – მორიგების აქტში გამოხატული ნება საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილი და არსებითი პირობაა საქმის წარმოების დასრულებისთვის. ამასთან, არსებითად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, მორიგების მიზანი მხოლოდ სადავო საკითხებზე შეთანხმებაა თუ უშუალოდ საქმის წარმოების დასრულება.

სახელშეკრულებო სამართალში დადგენილი პირობაა, რომ ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან. მორიგების თაობაზე მხარეთა შეთანხმების შემდეგ მათი უფლებები და მოვალეობები სწორედ მორიგების აქტში განსაზღვრული პირობების მიხედვით განისაზღვრება (და არა მორიგებამდე არსებული ვალდებულების მიხედვით).<sup>730</sup>

მორიგება, როგორც დამოუკიდებელი პროცესი, მხარეთა მიერ დავის საგნის ირგვლივ შეთანხმების პროცესია, ხოლო მორიგების აქტში გამოხატული პირობები – დამოუკიდებელი ხელშეკრულება. ამდენად, მისი შესრულება მხარეებს ნებისმიერ დროს და შემთხვევაში შეუძლიათ, მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა ეს პირობები საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველად. მხარეებს, სასამართლოს გარეთ, მორიგების აქტით გათვალისწინებული პირობებისაგან განსხვავებულადაც კი შეუძლი-

<sup>726</sup> მორიგების აქტი – მოდავე მხარეთა ურთიერთდათმობის შედეგად მიღწეული კონსესუსი. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-628-594-2015.

<sup>727</sup> სსსკ-ის მუხლი 208-ე.

<sup>728</sup> ზოგჯერ აიგივებენ, მაგრამ მორიგების აქტი განსხვავდება მხარეთა შორის დადებული შეთანხმების თანახმად არსებული სასამართლო ბრძანებისგან ე.წ. *Consent Order*. <<http://definitions.uslegal.com/c/consent-order/>>, [19.05.2016]. DiSarro A., (adisarro@optonline.net) Six Decrees of Separation: Settlement Agreement and Consent Orders in Federal Civil Litigation, American University Law Review, Volume 60|Issue 2, 2010.

<sup>729</sup> იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 26.

<sup>730</sup> *ჭანტურია ლ., ჭანტურია ლ., ზოდუ ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, თბ., 2001, 264-265.

ათ იმოქმედონ. მორიგების აქტის დამტკიცებისა და საქმის წარმოების მორიგებით შეწყვეტის შემდგომ, ასევე, შესაძლოა, მხარეები ურთიერთანამშრომლობას კვლავ შეეცადონ<sup>731</sup> და განსხვავებულად დაარეგულირონ მორიგების პირობები. ეს მათი თავისუფალი ნებაა. კერძოდ, მორიგების აქტის სახელშეკრულებო ხასიათიდან გამომდინარე, მხარეები უფლებამოსილნი არიან, შეიტანონ ცვლილებები და დამატებები მორიგების პირობებში მათი დამტკიცების შემდეგ სანოტარო წესით დამოწმებული ორმხრივი ხელშეკრულებით.<sup>732</sup> ამ სამართლებრივ შესაძლებლობას საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ – მხარეთა თავისუფალი სახელშეკრულებო ნება, ხოლო, მეორე მხრივ – ის არასამართლებრივი გარემოება, რომ საქმის წარმოება დასრულებულია და მის ფარგლებს მიღმა არსებული ნებისმიერი შეთანხმება მხარეთა დამატებითი და დამოუკიდებელი სამართლებრივი მოქმედებაა.

რაც შეეხება მორიგების მხარეთა მიერ გამოვლენილ ნებას, როგორც საქმის წარმოების შეწყვეტის საშუალებას, არსებითი და მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მორიგების დამოუკიდებელი პროცესი საქმის წარმოების შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, სასამართლო განჩინებით მტკიცდება მორიგების აქტი არა როგორც ცალკე ხელშეკრულება იმისთვის, რათა მას სამართლებრივი ძალა მიენიჭოს, არამედ, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. ამასთან, სასამართლოს ვალდებულება, შეამოწმოს მორიგების აქტის კანონიერება, ეფუძნება მიზანს, რომ საქმის წარმოება შეწყდეს კანონიერი საფუძველით.

ზოგიერთი სამართლებრივი ნება კანონით გათვალისწინებული, განსაკუთრებული პროცედურით მიღებას მოითხოვს, რათა მან იურიდიული მნიშვნელობა და ძალა მიიღოს. მოსამართლის მიერ მორიგების აქტის დამტკიცებით მხარეთა მიერ გამოხატულ ნებას იურიდიული ძალა საქმის წარმოების შეწყვეტის მიზნითა და საფუძველით ენიჭება.

## 2. მორიგების აქტის ფორმა

კანონით მორიგების აქტისთვის რაიმე განსაზღვრული ფორმის დაცვა საჭირო არ არის.<sup>733</sup> თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ მორიგების აქტი მხარეების სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განკარგვის შესახებ შეთანხმებაა და, იგი არსებით გავლენას ახდენს მხარეთა მოთხოვნებზე, აუცილებელია მისი წერილობით გაფორმება.<sup>734</sup>

იმის მიხედვით, თუ რომელ ვალდებულებასთან დაკავშირებით გამოიყენება მორიგება, მიზანშეწონილია, ამ ვალდებულებებისათვის კანონით განსაზღვრული ფორმით სარგებლობა.<sup>735</sup> კანონი უშვებს გამონაკლისს, რომ მორიგების გზით ვალის არსებობის აღიარებისას წერილობითი

<sup>731</sup> Elkins -Elliott K., Elliott F. W., Settlement Advocacy, Texas Wesleyan law Review, 2004, 14.

<sup>732</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: №ას-187-178-2010.

<sup>733</sup> იხ. *თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურაევა პ., ჩხანინძე ე.*, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012, 296.

<sup>734</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 38.

<sup>735</sup> იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 98-99.



ფორმის დაცვა აუცილებელი არაა.<sup>736</sup> ამ დანაწესის არსი გულისხმობს იმას, რომ მხარეთათვის არსებული შესრულების პირობებში ფორმალური წინაპირობების დაცვა სავალდებულო არაა.<sup>737</sup>

შესაძლოა ითქვას, რომ წარმოდგენილი იქნება თუ არა მორიგების აქტის, როგორც მხარეთა წერილობითი შეთანხმება, დამოკიდებულია მორიგების პირობების არსზე, კერძოდ, მორიგებით ხდება მარტივ პირობებზე შეთანხმება, თუ შედარებით რთული კატეგორიის პირობებზე. პირველ შემთხვევაში დასაშვები და სასამართლოსთვის მისაღები უნდა იყოს მხარეთა მიერ მორიგების პირობების ზეპირი გადმოცემა და სხდომის ოქმში აღნიშვნა, რაც საბოლოო ჯამში მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებაში აისახება და ამდენად, მათი წერილობითი ფორმა ასეთი სახით ხდება საბოლოოდ უზრუნველყოფილი. მეორე შემთხვევაში, მიზანშეწონილია მხარეებმა სამომრიგებლო პირობები წერილობითი ფორმით წარმოადგინონ და, ზოგ შემთხვევაში, წინასწარი ჩარჩო ხელშეკრულებაც შეიმუშაონ სასამართლოსთვის წარდგენისა და შემდგომი მსჯელობისთვის. ამდენად, მორიგების პირობების არსიდან გამომდინარე შესაძლოა მხარეთა შეთანხმება მორიგების პირობებზე იყოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი - მორიგების აქტის ფორმით წარმოდგენილი. აღნიშნული, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მორიგების პირობების არსიდან გამომდინარე, მორიგების მხარეების სურვილით და სასამართლოს მიერ მხარეთათვის გაწეული დამატებითი რეკომენდაციით უნდა განისაზღვროს.

მორიგების აქტის, როგორც ხელშეკრულების, ფორმაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული ის აუცილებელი მიზნები, რომლებიც ხელშეკრულების წერილობით ფორმას ახასიათებს. ესენია: მტკიცების, გაფრთხილების, ინფორმირებისა და გამიჯვნის მიზნები.<sup>738</sup>

მორიგების შეთანხმებაში მითითებული უნდა იყოს შემდეგ დეტალები: საქმის განმხილველი სასამართლოს დასახელება; საქმის დასახელება, რომელსაც განიხილავს სასამართლო; საქმის მონაწილე მხარეთა და, წარმომადგენლობის შემთხვევაში, მათი წარმომადგენლების ვინაობა, მინდობილობის საფუძველზე; სასარჩელო მოთხოვნა; დავის მხარეთაგან რომელ სასარჩელო მოთხოვნებს ეთანხმებიან მხარეები; რა მოქმედებები, და რა ვადაში, უნდა განახორციელოს თითოეულმა მხარემ; როგორ იქნება მხარეთა შორის განაწილებული სასამართლო ხარჯები; მორიგების აქტის დასასრულს უნდა აღინიშნოს მხარეთა თხოვნა (მიმართვა) სასამართლოსადმი, მორიგების აქტის დამტკიცების და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, კოდექსის შესაბამისი მუხლის საფუძველზე.

მორიგების აქტი, როგორც ხელშეკრულება, ფორმალური თვალსაზრისით, შესაძლოა ითვალისწინებდეს ხელშეკრულების სტრუქტურის

<sup>736</sup>სსკ-ის მუხლი 341-ე, ნაწილი მე-2. იხ. ჭანტურია ლ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, თბ., 2001, 179.

<sup>737</sup>იხ. ცერცვაძე ლ., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 201.

<sup>738</sup>ვრცლად იხ. სვანაძე გ., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 89. შემდგომი მითითებით: შეად. Kötz, *Vertragsrecht*, 2009, 70, 71; ჭანტურია, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 328-ე მუხლი, გვ. 110.

დადგენილ და, ასევე, პრაქტიკაში დამკვიდრებულ მოთხოვნებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ტიპის ხელშეკრულება ინდივიდუალური ხასიათისაა. შესაბამისად, მორიგების აქტს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული სტრუქტურა შეიძლება ჰქონდეს,<sup>739</sup> გამომდინარე იქიდან, თუ რა სახის დავა წყდება მორიგებით.

მორიგების აქტს შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა სახის დანართი.<sup>740</sup> მაგალითად, შეთანხმება, რომელიც მორიგების აქტის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს<sup>741</sup> ან მიღება-ჩაბარების აქტი.<sup>742</sup> მხარეთა შორის გაფორმებული მორიგების აქტი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.<sup>743</sup>

### 3. მორიგების აქტის შინაარსი

#### 3.1. მიმართული დავის გადაწყვეტისკენ

მორიგების აქტი, ანუ ხელშეკრულება მორიგების შესახებ, ზედმიწევნით უნდა ითვალისწინებს სადავო საკითხების მოგვარების პირობებს,<sup>744</sup> რომლებიც მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინებაში, ასევე, ზუსტად უნდა აისახოს. მორიგების აქტით შეთანხმებული პირობების ჩამოყალიბების ერთი ან რამდენიმე ნიშნით განსაზღვრა შეუძლებელია. ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომის საკითხია. მორიგების აქტის სტრუქტურის მარეგულირე-

<sup>739</sup> იხ. ვრცლად იხ. *სვანაძე გ., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 94.

<sup>740</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 01 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-1031-966-2010.

<sup>741</sup> სუს ერთ-ერთ განჩინებაში აღნიშნულია, რომ მხარეებმა იკისრეს ვალდებულება, შეასრულონ მორიგების აქტზე დართული 2010 წლის 30 დეკემბერს მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმება, რომელიც მორიგების აქტის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის დარეგულირებული მორიგების აქტით, რეგულირდება 2010 წლის 30 დეკემბრის შეთანხმებით. აღნიშნულ შეთანხმებას უპირატესი ძალა გააჩნია მხარეთა ნების ინტერპრეტირებისათვის. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე: №ას-1156-1032-2010.

<sup>742</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 01 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-1031-966-2010.

<sup>743</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-648-609-2010.

<sup>744</sup> „კასატორის განმარტებით, მორიგების შინაარსი დაამახინჯა ტერმინის/კანონის არასწორმა განმარტებამ. კერძოდ, განჩინების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო „უძრავი ქონების“ ტერმინით არ შემოიფარგლა და შეცვალა იგი „მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით“, რაც ფაქტიურად ამახინჯებს მორიგების შინაარსს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო მოისხენიებს მხოლოდ უძრავ ნივთს, თუ უძრავ ნივთს მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებთან ერთად, არ იცვლება უძრავი ნივთის სამართლებრივი დატვირთვა, მით უფრო განჩინების შინაარსი. მითუმეტეს, რომ აღსასრულებლად სავალდებულოა არა სამოტივაციო ნაწილი, არამედ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი. „შეუძლებელია გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში რაიმე სახის მითითებამ შეცვალოს სასამართლოს მიერ დამტკიცებული ეს პირობები“. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 01 აგვისტოს განჩინება საქმეზე: №ას-624-848-08.

ბელი ზოგადი დათქმით, მორიგების აქტი შედგება შეთანხმების პირობების, განსაკუთრებული პირობების, პროცესის ხარჯებისა და დასკვნითი დებულებებისაგან.<sup>745</sup>

გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ მორიგების აქტის შინაარსი დავის არსიდან უნდა გამომდინარეობდეს და მიზნად უნდა ისახავდეს ამ დავის გადაწყვეტას. როგორც აღინიშნა, მორიგების თაობაზე მხარეთა შეთანხმების შემდეგ მათი უფლებები და მოვალეობები მორიგების აქტის შინაარსით განისაზღვრება.<sup>746</sup> რა დროსაც მხარეები არ უნდა გასცდნენ დავის საგანს, მორიგება მიმართული უნდა იყოს დავის გადაწყვეტისაკენ. წამოყენებული პირობები მეორე მხარის ინტერესსა და მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს<sup>747</sup> და აკმაყოფილებდეს.<sup>748</sup> ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მორიგების აქტში დაუშვებელია იმ ვალდებულებებზე მითითება, რომლებიც არ უკავშირება დავის საგანს. თუმცა, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მხარეებს სხვა სადავო საკითხებზე შეთანხმებაც შეუძლიათ.<sup>749</sup>

ამასთან, ვინაიდან, თითოეული მხარის მიერ წამოყენებული მორიგების პირობა მეორე მხარის ინტერესსა და მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, ამდენად, მორიგების აქტის ერთ-ერთი პირობა შესაძლებელია იყოს ის, რომ მხარეთს შორის მორიგების აქტის გაფორმების შედეგად შესრულებულად ითვლება ყველა ურთიერთპრეტენზია, რა სამართლებრივი საფუძვლითაც უნდა იყოს წარმოშობილი და, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ისინი ცნობილი მორიგების აქტის დადების მომენტი-სათვის.<sup>750</sup>

### 3.2. მიმართული ხარჯების რეგულირებისკენ

სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან,<sup>751</sup> მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟისგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.<sup>752</sup>

<sup>745</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-1269-1527-09.

<sup>746</sup> ჭანტურია ლ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, თბ., 2001, 264-265.

<sup>747</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ნოემბრის განჩინება საქმე: №ას-1087-1018-2012.

<sup>748</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 13 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-587-552-2010.

<sup>749</sup> იხ. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 577.

<sup>750</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 01 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-4-668-08.

<sup>751</sup> *Les A., Cullen B.*, Settlement and Reform of the Civil Justice System: How Settlement is Changing the Practice of Law, Waikato Law Review, 2009, 39.

<sup>752</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-226-487-08.

ხარჯებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სასამართლო განჩინებაში უნდა აღინიშნოს მორიგების დროს მხარეს რა თანხა (რა ოდენობით) უნდა დაეკისროს. თუ სასამართლომ გამოიტანა განჩინება, რომელშიც არაფერია ნათქვამი ხარჯების შესახებ, სასამართლო მიმართავს სსსკ-ის 261-ე მუხლს და ანალოგიის წესით გამოიტანს დამატებით განჩინებას, თუ რომელმა მხარემ რა ხარჯები უნდა გასწიოს.<sup>753</sup>

### 3.3. მიმართული კონფიდენციალურობის დაცვისკენ

მხარეები ვალდებული არიან, არ გაახმაურონ მესამე პირთა მიმართ სასამართლო პროცესთან და მორიგების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, პირნათლად და კეთილსინდისიერად შეასრულონ ამ მორიგების აქტით დადგენილი პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეებმა, შესაძლოა, ურთიერთსანქციაც კი გაითვალისწინონ პირგასამტეხლოს სახით და განაცხადონ თანხმობა, განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები სათანადო ორგანოების მიერ.<sup>754</sup>

სასამართლო ვალდებულია, მხარეებს განუმარტოს მორიგების აქტზე ხელმოწერის მოსალოდნელი შედეგები.<sup>755</sup>

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი ერთგვარა საქმეს.<sup>756</sup>

## 4. მორიგების აქტის კანონიერების კონტროლი

მორიგება გარიგებაა. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ფუნდამენტური ნაწილია ის, რომ მოსამართლეს არ შეუძლია ჩაერიოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში და თვით ხელშეკრულებაში, თუ რა არის სამართლიანი და გონივრული.<sup>757</sup>

მორიგების აქტში აისახება მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება. სასამართლო ვალდებულია აკონტროლოს მორიგების აქტის კანონიერება, მაგრამ არ არის უფლებამოსილი განსაზღვროს მორიგების კონკრეტული პირობების შინაარსი. ამდენად, სასამართლო ამტკიცებს მხარეთა მიერ გამოვლენილ ნებას ისე, რომ არ განმარტავს მას. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი გულისხმობს, რომ მხარეები თვითონ წყვეტენ ამ საკითხს და მოსამართლემ უნდა მიიღოს ის, რაზეც მხარეები შეთანხმდებიან.<sup>758</sup> შესაძლოა მოსამართლე თვლიდეს, რომ ხელშეკრულება სა-

<sup>753</sup> იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 147.

<sup>754</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 01 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-4-668-08. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 01 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: №ას-704-667-2013.

<sup>755</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 16 მაისის განჩინება საქმეზე: №ას-457-432-11.

<sup>756</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განჩინება საქმეზე: №ას-1105-1369-09.

<sup>757</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 01 თებერვლის განჩინება საქმეზე: №ას-27-გან-1-2010.

<sup>758</sup> სასამართლოს როლი, მორიგების პირობებთან მიმართებაში, შემოიფარგლება მხოლოდ კანონთან მათი შესაბამისობის გარკვევით. იხ. საქართველოს უზენაესი



მართლიანი არაა, მაგრამ მან უნდა დაიცვას იურიდიული პრინციპი, რომ მისი მოვალეობა და ამოცანა არ არის ამ საქმეში ჩარევა.<sup>759</sup> ხელშეკრულების თავისუფლება არ არის აბსოლუტური და ის გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება.<sup>760</sup> მორიგების აქტის დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტისას სასამართლოს ევალება<sup>761</sup> გაარკვიოს შემდეგი: 1) მორიგების აქტი ხომ არ არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს; 2) ხომ არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, ანუ მორიგება ხომ არაა მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური; 3) აღნიშნული მორიგების საფუძველი ხომ არ არის მოტყუება, იძულება ან შეცდომა.<sup>762</sup> ამასთან, მორიგება უნდა იყოს გონივრული და მოთხოვნების შესაბამისი (ადეკვატური).<sup>763</sup>

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „მართალია, სასამართლო მოწოდებულია და მის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს დავის მორიგებით დასრულება, მაგრამ, აქვე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მორიგებით საქმის წარმოების დასრულება სასამართლოში დასაშვებია იმ შემთხვევაში როცა დასამტკიცებელი მორიგების პირობები თავისი ფორმითა და შინაარსით არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ მოთხოვნებს და სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ იმპერატიულ ნორმებს“.<sup>764</sup>

#### 4.1. კანონით დადგენილი წესი და აკრძალვები

მორიგებით საქმის წარმოების დასრულება სასამართლოში დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა დასამტკიცებელი მორიგების პირობები თავისი ფორმითა და შინაარსით არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ მოთხოვნებს და სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ იმპერატიულ ნორმებს.<sup>765</sup>

თუ მორიგება ეხება სახელმწიფოს ან იმ პირის ინტერესებს, რომელიც პროცესში არ მონაწილეობს, ზღუდავს მხარეთა უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, მორიგების აქტი არ დამტკიცდება.<sup>766</sup>

მორიგება უკანონოა, თუ იგი არ გამომდინარეობს საქმის არსიდან და იგი იმ პირთა ინტერესებს ეხება, რომლებიც საქმეში არ მონაწილეო-

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 08 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-766-725-2015.

<sup>759</sup> იხ. *თოდუა მ., ვილემსი პ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 105.

<sup>760</sup> იხ. იქვე, 106-110.

<sup>761</sup> სამართალწარმოება და მორიგება ურთიერთშემავსებელი პროცესებია, რაც სასამართლოს მხრიდან მორიგების კანონიერების კონტროლში ვლინდება. იხ. *Les A., Cullen B.*, Settlement and Reform of the Civil Justice System: How Settlement is Changing the Practice of Law, *Waikato Law Review*, 2009, 40.

<sup>762</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 29.

<sup>763</sup> *Hollander -Blumoff R.*, Just Negotiation, *Washington University Law Review*, 2013, 405.

<sup>764</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №ას-531-764-08.

<sup>765</sup> იხ. იქვე.

<sup>766</sup> <<http://divorces.ru/faq/osobennosti/mirovoe.htm>>, [19.05.2016].

ბენ და ა. შ.<sup>767</sup> ამდენად, მორიგება სამართლიან ხასიათს უნდა ატარებს, არ უნდა არღვევდეს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს,<sup>768</sup> არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგსა და ზნეობრივ ნორმებს.<sup>769</sup>

კანონსაწინააღმდეგო, იგივე აკრძალვის საწინააღმდეგო, ნების გამოვლენის განსაზღვრებისას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ გარიგების ნამდვილობაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია იმ კანონის ხელყოფას, რომელიც სამართლებრივ შედეგად უშუალოდ ითვალისწინებს გარიგების ბათილობას.<sup>770</sup>

თუ როდის ითვლება მორიგების აქტის პირობები კანონიერად ან უკანონოდ, ერთმნიშვნელოვნად არ არის განსაზღვრული და ეს სამართლებრივი შეფასების საკითხია, რაც მოსამართლის მხრიდან, კანონმდებლობის ანალიზის პარალელურად, გამოცდილებასაც მოითხოვს.<sup>771</sup>

ყოველგვარი შინაარსის განცხადება, თუნდაც ის, რომელიც აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და გამოხატავდეს მხარეთა ნებას, რომ ურთიერთშორის არსებულ დაუვას მოაგვარებენ (მოაწესრიგებენ) მშვიდობიანად და ურთიერთშეთანხმებით (კანონის შესაბამისად), როდი შეიძლება ჩაითვალოს მორიგებად.<sup>772</sup>

მოსამართლე საფუძლიანად უნდა გაერკვიოს მორიგების პირობების შინაარსში, ხომ არ გულისხმობს ის ისეთ პირობებზე შეთანხმებას, რომელიც მხარეებს კანონით ისედაც ეკისრებათ, ან აღრეული ხომ არაა ერთმანეთში საპროცესო უფლებების ისეთი სახეები, როგორცაა, სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა.<sup>773</sup>

არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთში არ აირიოს სარჩელის ცნობა და მორიგება. შესაძლოა მორიგების პირობად ისეთი წინადადება იყოს წამოყენებული, რომელიც, რეალურად, წარმოადგენს მოსარჩელის მიერ სარჩელით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე თანხმობას. ასეთ დროს ადგილი აქვს არა მორიგებას, არამედ სარჩელის ცნობას. აღნიშნული საკითხი ერთმნიშვნელოვნად გასათვალისწინებელია, იქედან გამომდინარე, რომ მათ განსხვავებული სამართლებრივი შედეგები მოაქვთ მხარეებისთვის. კერძოდ, თუ მხარეები მორიგდებიან, მაშინ სასამართლომ საქმის წარმოება უნდა შეწყვიტოს და მხარეებს აღარ მიეცემათ შესაძლებლობა, კვლავ მიმართონ სასამართლოს იმავე დავის საგანზე. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სარჩელის ცნობას დაეთანხმება, სასამართლოს არა აქვს უფლება, შეწყვიტოს საქმის წარ-

<sup>767</sup> იხ. გოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია, ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 29.

<sup>768</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №28/2436-09.

<sup>769</sup> სსკ-ის მუხლი 54-ე.

<sup>770</sup> იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 274-275.

<sup>771</sup> იხ. და შეად. *ჭანტურია ლ., ბოელინგი პ.*, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 32.

<sup>772</sup> მხარეთა ნება უნდა დასტურდებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ მიერ გაკეთებული განმარტებებით. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 06 მაისის განჩინება საქმეზე: №ას-1214-1156-2014.

<sup>773</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 112-113.

მოება, არამედ მან არსებითად უნდა გადაწყვიტოს საქმე და გამოიტანოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.<sup>774</sup>

## 4.2. საჯარო წესრიგი და ზნეობა

მორიგების პირობები, თავისი შინაარსით, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მორალსა და საზოგადოებრივ წესრიგს.<sup>775</sup>

საჯარო წესრიგში<sup>776</sup> იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა, მაგალითად: საკუთრების უფლება, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლება და ა.შ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ ის, პირველ რიგში, ვნებს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.<sup>777</sup>

საჯარო წესრიგი და ზნეობა (მორალი) პირდაპირ არსად არაა ასახული და განსაზღვრული. ამდენად, რთულია დადგინდეს, ეწინააღმდეგება თუ არა კონკრეტული გარიგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. სამოქალაქო კოდექსმა ეს საკითხი სრულიად მიანდო სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკას.<sup>778</sup>

ასეთი პირობის დაკმაყოფილების მოთხოვნა დღის წესრიგში დგება მაშინ, როცა მორიგების პირობებს მთლიანად მხარეები განსაზღვრავენ. ამ დროს, შესაძლოა, მხარეთა მიერ არ, ან ვერ, იქნეს გათვალისწინებული კანონის მოთხოვნები. მორიგების აქტის სამართლებრივი ბუნება გარიგებითი ხასიათისაა და მასზე ხელშეკრულების დადების, მათ შორის ბათილობის, საერთო წესები ვრცელდება.

სამართალი მორალის შემადგენელი ნაწილია.<sup>779</sup> მორალი შესაძლოა იყოს ხანგრძლივად დამკვიდრებული საზოგადოებრივი წესის შედეგი, სამართალი კი კანონით ნაკარნახები სავალდებულო ქცევის წესია. სამართალი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მორალის ნორმებს და თავად უნდა გულისხმობდეს იმ მახასიათებლების ერთობლიობას, რომლებიც, მორალისა და სამართლებრივი წესრიგის საფუძვლზე, დაიცავს საზოგადოებრივ წესრიგს.<sup>780</sup>

„მორალი არის კულტურაზე, რელიგიაზე ან ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ადამიანთა ქცევის წესების სისტემა“.<sup>781</sup> საზოგადოების ნაწილი სამართლის ნორმებსაც შინაგანი განწყობიდან

<sup>774</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 410-411.

<sup>775</sup> ვრცლად იხ. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 351.

<sup>776</sup> საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო ნების გამოვლენა. ვრცლად იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 277.

<sup>777</sup> იხ. *ნაჭყებია ა.*, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014, 24. იხ. საქმე №3კ/321-02, 13.03.2002.

<sup>778</sup> იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 45.

<sup>779</sup> ძნელად წარმოსადგენია არსებობდეს ზნეობის ნორმებიდან გამომდინარე საყოველთაოდ გაზიარებული ქცევის წესი, რომელიც კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს. იხ. და შეად. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 281.

<sup>780</sup> იხ. და შეად. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 42. იხ. და შეად. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 281.

<sup>781</sup> *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 76.

გამომდინარე იცავს.<sup>782</sup> სამართალიც და მორალიც ერთი მიზნისკენაა მიმართული – დაარეგულირონ ადამიანთა ქცევა, მოაწესრიგონ საზოგადოებრივი ურთიერთობები, შებოჭონ მხარეთა ნება მორალითა და სამართლის ნორმებით.<sup>783</sup>

საჯარო წესრიგისა და ზნეობის ცნებები მსგავსი და, ხშირად, იდენტურია. ზნეობის ნორმებში იგულისხმება ქცევის წესები, რომლებიც დროთა განმავლობაში იქმნება და მკვიდრდება საზოგადოების წევრების შეხედულებებისა და ცხოვრების წესის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ არსებულ სინამდვილეში, ყოველი საქმის გადაწყვეტისას, მოსამართლე მოქმედებს, როგორც ქართული საზოგადოების წევრი, რომელიც აღიზარდა და ცხოვრობს ამ საზოგადოებაში და, რა თქმა უნდა, წარმოდგენა აქვს ქართულ მორალსა და ამორალურობაზე.<sup>784</sup>

### 4.3. სხვა საფუძვლები

მორიგების კანონიერ ხასიათზე მსჯელობისას, სასამართლო ასევე უნდა დარწმუნდეს, ხომ არ არის აღნიშნული მორიგების საფუძველი მოტყუება, იძულება ან შეცდომა;<sup>785</sup> ხომ არ აქვს ადგილი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას; ხომ არ არის მორიგება მოჩვენებითი ან თვალთმაქცური; მხარეთა ნება გამოვლენილია თუ არა მკვეთრად;<sup>786</sup> თუ არის ის დადგენილი საამისოდ უფლებამოსილი პირების მიერ და ამ სახის გარიგებისთვის დადგენილი ფორმით;<sup>787</sup> ხომ არ ეწინააღმდეგება მორიგება სამოქალაქო პროცესში დამკვიდრებულ იმპერატიულ ნორმებს.<sup>788</sup>

მოტყუების ფაქტი აშკარაა მაშინ, როდესაც პირი სხვა პირს შეგნებულად მიაწოდებს არასწორ ინფორმაციას ხელშეკრულების დადების მიზნით, ან დაუმაღლავს ისეთ გარემოებას, რომელთა განდობის შემთხვევაში, მეორე მხარე, სავარაუდოდ, ხელშეკრულებას არ დადებდა, ან გააფორმებდა სხვა შინაარსით. არც იძულების შემთხვევაში ითვლება გარიგება დადებულად, ვინაიდან პირს ხელშეკრულების დადების სურვილი

<sup>782</sup> იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 76-77.

<sup>783</sup> იხ. იქვე, 77.

<sup>784</sup> იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 45-46.

<sup>785</sup> *Hollander -Blumoff R.*, Just Negotiation, Washington University Law Review, 2013, 406.

<sup>786</sup> სუს ერთ-ერთ განჩინებაში აღნიშნულია, რომ „...იმ პერიოდისთვის ის იყო ავად, ახალი გადატანილი ჰქონდა ინსულტი და, შესაბამისად, ვერ აცნობიერებდა პროცესზე მიმდინარე მოვლენებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, რომ მორიგებას დათანხმებოდა. მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ იყო გამოტანილი“. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 16 მაისის განჩინება საქმეზე: №ას-457-432-11.

<sup>787</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 116.

<sup>788</sup> „საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მართალია სასამართლო მოწოდებულია და მის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს დავის მორიგებით დასრულება, მაგრამ აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მორიგებით საქმის წარმოების დასრულება სასამართლოში დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა დასამტკიცებელი მორიგების პირობები თავისი ფორმითა და შინაარსით არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ მოთხოვნებს და სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ იმპერატიულ ნორმებს. კონკრეტულ შემთხვევაში წარმოდგენილი მორიგების აქტი შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს“. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №ას-531-764-08.



(ნება) საერთოდ არ გამოუვლენია. რაც შეეხება შეცდომას, ის სახეზეა მაშინ, თუ პირი შეცდა გარიგების შინაარსში, შეცდომით გამოხატა საკუთარი ნება, შეცდა საგნისა თუ პიროვნების თვისებებში.<sup>789</sup>

გავლენის ბოროტად გამოყენება გულისხმობს ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებას, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე, რაც გარიგების ბათილობის საფუძველია.<sup>790</sup>

მორიგება არ უნდა იყოს მოხვედებითი ან თვალთმაქცური. კერძოდ, „ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვით გარეშე, რომ მას შესაბამისი შედეგები მოჰყვეს (მოხვედებითი გარიგება)“.<sup>791</sup> „ხოლო თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება)“.<sup>792</sup>

## 5. მორიგების აქტის დამტკიცება

მორიგების პროცესში აქტიურად ვლინდება მოსამართლის იმპერატიული როლი, დაამტკიცოს მორიგების აქტი.

სადავოობის შემთხვევაში, მხარეები თავად წყვეტენ და თანხმდებიან ამა თუ იმ პირობაზე, ვინაიდან მორიგება, თავისი შინაარსით, იგივე მხარეთა შეთანხმებაა (ხელშეკრულება), რომელიც სასამართლოში აღძრულ დავაზე მიიღწევა.<sup>793</sup>

მას შემდეგ, რაც მხარეები მორიგდებიან და სასამართლოში წარმოადგენენ მორიგების აქტს, ისინი მიმართავენ სასამართლოს თხოვნით, დამტკიცდეს აღნიშნული მორიგების აქტი და შეწყდეს საქმის წარმოება.<sup>794</sup> ასეთი სახის თხოვნა კანონით დადგენილი წესით განხორციელებული შუამდგომლობაა,<sup>795</sup> რომელიც სასამართლომ, შესაძლოა, დააკმაყოფილოს, შესაძლოა – არა. მოსამართლის (სასამართლოს) მხრიდან მორიგების მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების (მორიგების აქტის) დამტკიცება „ნოტარიუსის საპროცესო ფორმას“ უტოლდება.<sup>796</sup> „სანოტარო დამოწმების დროს ნოტარიუსის მოქმედება ეხება დოკუმენტს, მის მთელ შინაარსს. ამ დროს ნოტარიუსი ამოწმებს ტექსტის შესაბამისობას მოქმედ სამართალთან და ადასტურებს მას“.<sup>797</sup>

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როცა ნოტარიუსი ვალდებული

<sup>789</sup> ვრცლად იხ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 365-380. იხ. ჩახავა ს., სახელშეკრულებო ურთიერთობები, თბ., 2011, 13-15.

<sup>790</sup> სსკ-ის მუხლი 55-ე.

<sup>791</sup> სსკ-ის მუხლი 56-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>792</sup> სსკ-ის მუხლი 56-ე, ნაწილი მე-2.

<sup>793</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 01 თებერვლის განჩინება საქმეზე: №ას-27-გან-1-2010.

<sup>794</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 იანვრის განჩინება საქმეზე: №ას-1003-1278-09.

<sup>795</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-1269-1527-09.

<sup>796</sup> იხ. და შეად. კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 56, §127ა.

<sup>797</sup> ჭანტურია ლ., შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 353.

ლია შეამოწმოს მხარეების ან მათი წარმომადგენლების ვინაობა, უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა და უზრუნველყოს გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მხარეთა ნების ადეკვატური ასახვა გარიგებაში, მხარეთათვის გარიგების შინაარსის და სამართლებრივი შედეგების განმარტება, რჩევის მიცემა.

ნოტარიუსის მსგავსად, მორიგების აქტის დამტკიცებამდე, მოსამართლე ამოწმებს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების სამართლიანობას, მის შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან და ამტკიცებს მორიგების აქტს, რითაც მას იურიდიულ ძალას სძენს.<sup>798</sup> შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლე მორიგების აქტის დამტკიცებისას „საპროცესო ნოტარიუსად“ გვევლინება.

თავად მოსამართლეები უკვე დიდი ხანია დაობენ იმ საკითხის შესახებ თუ რა არის მოსამართლის უმთავრესი მოვალეობა – საქმის წარმოების წარმართვა და საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა თუ საქმის მორიგებით დასრულება. თუმცა, აქვე არის მტკიცე არგუმენტი ამ მოსაზრების გასაბათილებლად, რომ მოსამართლე, რომელიც არ ფიქრობს თავის, როგორც მომრიგებლის, როლზე, შეუძლებელია იყოს კარგი მოსამართლე ნებისმიერ სხვა შემთხვევაში.<sup>799</sup>

მორიგების დამტკიცების თაობაზე შეამდგომლობას განიხილავს და მორიგებას ამტკიცებს ის სასამართლო, რომელსაც მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე შეამდგომლობის წარდგენისას მიღებული აქვს სასამართლოს ბოლო ანუ შეამდგომლობის წარდგენის ეტაპზე არსებული მიმდინარე გადაწყვეტილება.

## 6. მორიგების აქტის გასაჩივრება

ფორმალური თვალსაზრისით, მორიგების აქტი მთლიანად აისახება სასამართლოს განჩინებაში. ამდენად, განჩინება მორიგების აქტსაც მოიცავს, თუმცა, მორიგების აქტი წინ უსწრებს სასამართლო განჩინებას და განაპირობებს მას.<sup>800</sup>

განჩინება მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ დეტალურად განსაზღვრავს მორიგების პირობებს. აღნიშნული აუცილებელია იმისთვის, რომ, თუ რომელიმე მხარე დაარღვევს მორიგების პირობებს, განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, შესაძლებელი იყოს მისი იძულებით აღსრულება.<sup>801</sup>

თავისი სამართლებრივი ბუნებით მორიგების აქტის გასაჩივრება შეუძლებელია. ამ ფაქტს ის გარემოება განაპირობებს, რომ მორიგების აქტი დამოუკიდებელი სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტი არაა. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ეთანხმება მორიგების აქტს ან მისი დამტკი-

<sup>798</sup> იხ. და შეად. კრაპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, 56, §128.

<sup>799</sup> Crane S. G., Judge Settlements Versus Mediated Settlements, Dispute Resolution Magazine, 2011, 22.

<sup>800</sup> განჩინებაში ასახული მორიგების პირობებისგან უნდა გაიმიჯნოს, მორიგების ეტაპზე, რომელიმე მხარის მიერ გამოთქმული მოსაზრება, თუ ურთიერთდათმობისას მიცემული განმარტება, რაც მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საქმის წარმოების შეწყვეტას მხარეთა შორის შეთანხმების არსებობის გამო. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-628-594-2015.

<sup>801</sup> იხ. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, II გამოცემა, თბ., 2001, 236.

ცების პროცედურულ პირობებს, უნდა გასაჩივრდეს არა უშუალოდ მორიგების აქტი, არამედ განჩინება მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე.

სასამართლოს, საქმის მასალების შესწავლისა და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის პირობების ურთიერთშედარებითი ანალიზისა და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოაქვს განჩინება მორიგების აქტის დამტკიცებისა და, შესაბამისად, მოცემულ საქმეზე წარმოებისა შეწყვეტის თაობაზე.<sup>802</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ 12 დღის ვადაში ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივრდება.<sup>803</sup> გასათვალისწინებელია, რომ თუ მორიგება დაამტკიცა საკასაციო სასამართლომ თავისი განჩინებით, მაშინ საკასაციო სასამართლოს ეს განჩინება იქნება საბოლოო და არ გასაჩივრდება.<sup>804</sup>

პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია სასამართლოს კომპეტენცია იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებას კერძო საჩივრით<sup>805</sup> ასაჩივრებს. ასეთ შემთხვევაში, ზემდგომი სასამართლოს განხილვის საგანი თავად მორიგების, როგორც გარიგების ნამდვილობის საკითხია. კერძოდ, იმის გარკვევა, იყო თუ არა მხარეთა ნების გამოვლენა ნამდვილი, მორიგების აქტით გათვალისწინებული უფლება-ვალდებულებები ხომ არ არღვევს მესამე პირების ინტერესებს<sup>806</sup> და ა.შ. რაც შეეხება მხარის მითითებას მორიგების მიზანშეწონილობაზე, გარემოების შეცვლის გამო მორიგების პირობების შეცვლის მოთხოვნას და მსგავსი შინაარსის არგუმენტებს აღნიშნული მორიგების დამტკიცების შესახებ – ისინი განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება.<sup>807</sup>

<sup>802</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 თებერვლის განჩინება საქმეზე: №ას-901-1187-09.

<sup>803</sup> სსსკ-ის მუხლი 416-ე.

<sup>804</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 112.

<sup>805</sup> საჩივარს, რომლის მეშვეობითაც ცალკე გადაწყვეტილებისგან დამოუკიდებლად, საჩივრდება განჩინება, სააპელაციო და საკასაციო საჩივრისგან განსხვავებით კერძო საჩივარი ეწოდება. გასაჩივრებული განჩინების დროს ზემდგომი სასამართლო ამოწმებს სამართალწარმოების კერძო საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის კანონიერებასა და დასაბუთებულობას. ამის გამო ეწოდება გასაჩივრების პროცესს და განჩინებას „კერძო“. იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 714-715.

<sup>806</sup> „დაუშვებელია მორიგებით მესამე პირისთვის რაიმე ვალდებულების დაწესება. მორიგება შეიძლება შეეხოს მესამე პირს, თუმცა იმგვარ კონტექსტში, რომ მორიგების მხარემ მორიგების გზით მესამე პირის მიმართ მოთხოვნის უფლებაზე თქვას უარი (pactum de non pedendo)“. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №2ბ/1084-13. შემდგომი მითითებით: Münchener Kommentar zum BGB, Habersack, BGB §779, 6. Auflage 2013, გ.

<sup>807</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია, ხ., გეგაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 36. მორიგების განჩინება, თავისი ბუნებით, მოდავე მხარეთა ნამდვილი ნების საფუძველზე მიღწეული შეთანხმების დადასტურებაა და მისი გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს და ღალატს მესამე პირთა ინტერესებს ან სრულყოფილად არ ასახავს მხარეთა მიერ მორიგების აქტით გამოხატულ ნებას. იხ. საქარ-

გამომდინარე იქედან, რომ მორიგების პირობები სასამართლოს განჩინებაში აისახება და, ამასთან, განჩინების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია, გულისხმობს თუ არა ეს თავად მორიგების (როგორც პირობების ერთობლიობის) გასაჩივრების შესაძლებლობას. პასუხი დადებითია, რასაც საფუძველად ის გარემოება უდევს, რომ მორიგების აქტი განჩინების არსებითი შემადგენელი (მათ შორის, ტექსტობრივი) ნაწილი ხდება.<sup>808</sup> ფაქტობრივად, განჩინების გასაჩივრება მორიგების აქტის გასაჩივრებას გულისხმობს, რადგან განჩინების გასაჩივრების საფუძველია არა ის, უნდა შეწყვეტილიყო თუ არა საქმის წარმოება, არამედ უშუალოდ მორიგების პირობები. თავად, მორიგების აქტის გასაჩივრების აკრძალვა იმ სამართლებრივი თვალსაზრისითაა დაუშვებელი, რომ გასაჩივრებას ექვემდებარება დოკუმენტი, რომლითაც სამართლებრივი ფაქტი – საქმის წარმოების შეწყვეტა დადასტურდა.

## 7. მორიგების პროცესის კანონიერება

მორიგების კანონიერი ხასიათი არამხოლოდ მორიგების პირობების კანონიერებას გულისხმობს. არსებითად მნიშვნელოვანია უშუალოდ მორიგების პროცესის კანონიერად წარმართვა.<sup>809</sup> მხარეებს უნდა განემარტოთ უკანონო მორიგების დამტკიცების სამართლებრივი შედეგები. „მორიგების პროცესი უკანონოა, თუ იგი არ გამომდინარეობს საქმის არსიდან, იმ პირთა ინტერესებს ეხება, რომლებიც საქმეში არ მონაწილეობენ და ა. შ.“<sup>810</sup>

„უკანონო მორიგების დამტკიცების საფრთხე არსებობს თვით მოსამართლის მხრიდანაც, რომელიც, შესაძლოა, მორიგების დამტკიცების დროს არ ეცნობა საქმის არსებით მხარეს და შემოფარგლულია მხოლოდ კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელებით, რაც უკანონო მორიგების დამტკიცების საფრთხეს ქმნის“.<sup>811</sup>

უკანონო მორიგების საფრთხე არსებობს მაშინაც, როცა გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეები უშვებენ შეცდომებს. უცხოენოვან ლიტერატურაში მოცემული განმარტებით, შეცდომები საინფორმაციო, შემეცნებითი და დამოკიდებულებითი ხასიათისაა (*informational, cognitive, and attitudinal errors*). პირველ შემთხვევაში, მოსამართლეები გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობიან მცდარ (არასწორ) ინფორმაციას, რაც ზემოთ

თველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე: №ას-145-140-2011.

<sup>808</sup> მორიგებით საქმის წარმოების დასრულების აუცილებელი პირობაა მორიგების აქტის წარდგენა სასამართლოსთვის, როგორც მორიგების მტკიცებულება. მხარის შუამდგომლობას, მორიგებით საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, თან უნდა ერთვოდეს მტკიცებულება ანუ უშუალოდ მორიგების აქტი. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-628-594-2015. ერთ-ერთ დავაზე მორიგების დადებისას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი იქნა მიწის ნაკვეთის დაფარვის საკადასტრო რუკა და ორთოფოტო. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: №ას-722-684-2013.

<sup>809</sup> Hollander-Blumoff R., Just Negotiation, Washington University Law Review, 2013, 410.

<sup>810</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია, ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 29.

<sup>811</sup> იქვე.



სხენებული ობიექტური გარემოებების მცდარი აღქმაა. მეორე შემთხვევაში, არასწორი გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება მცირე და მარტივ ინფორმაციას (*simple mental shortcuts (called "heuristics")*) და არა ყველა შესაძლო და საჭირო ინფორმაციის რაციონალურ გათვლას. მესამე შემთხვევა დაკავშირებულია სუბიექტურ გარემოებებთან – მანერებთან, ზნესთან, პოზიციებსა და გრძნობებთან, რომლებიც ვლინდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>812</sup>

სამართალწარმოებისთვის ცნობილია შეცდომის ისეთი სახე, როგორცაა საპროცესო შეცდომა,<sup>813</sup> რომელიც უკავშირდება მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღებას. ეს ისეთი გადაწყვეტილებებია, რომლებიც ეფუძნება ისეთ სამართლებრივ შეხედულებებს, რომელთათვის მხარეებს ანგარიში არ უნდა გაეწიათ და, რაზეც სასამართლოს არ მიუთითებია.<sup>814</sup>

მორიგების აქტის დამტკიცებისას სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს მისი გაფორმების საფუძველი (მხარეთა შეთანხმების მიზნები, ხომ არ გამოიწვევს აღნიშნული შეთანხმება მესამე პირების ინტერესების დარღვევას და ა.შ.), ვალდებულების მოცულობა (გარიგების კეთილსინდისიერების გასარკვევად), მონაწილე პირთა წრე.<sup>815</sup>

სასამართლომ მორიგების პირობების სამართლიანობისა და კანონიერების შეფასებისას მორიგების აქტის შემდეგი მხედველობაში უნდა მიიღოს მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტები:

- მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულება შესაძლებელი უნდა იყოს. ეს აუცილებელია შემდგომში სააღსრულებო ფურცლის გაცემისა და მისი უპრობლემოდ რეალიზებისათვის;
- გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, საქმის მოცულობა, მისი შესრულების ვადები და პირობები დეტალურად უნდა იყოს აღნიშნული;
- მორიგების პირობები არ უნდა ლახავდეს მესამე პირთა ინტერესებს;
- მორიგების პირობები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს;
- მორიგების მონაწილეთა სუბიექტური შემადგენლობა სრულად უნდა იყოს აღნიშნული, განსაკუთრებით საპროცესო თანამონაწილეობის შემთხვევაში.<sup>816</sup>

მორიგების აქტი შესაძლოა ითვალისწინებდეს სანქციას მორიგების აქტის დარღვევისათვის.<sup>817</sup>

<sup>812</sup> Lande J., Judging Judges and Dispute Resolution Processes, Nevada Law Journal, 2007, 457-459.

<sup>813</sup> „ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება დაუშვას შეცდომა. მნიშვნელობა არ აქვს, იგი სკოლის მოსწავლეა თუ აკადემიური ხარისხის მქონე; მშობელი თუ შვილი; ასაკით უფროსი თუ უმცროსი... შეცდომისგან არც ერთი მათგანი არაა დაზღვეული, ვინაიდან შეცდომა ადამიანის ცხოვრების მუდამ თანამდევია შემთხვევაა. აქედან გამომდინარე, ისევე როგორც ნებისმიერი მოკვდავი, არც მოსამართლეს აქვს იმის გარანტია, რომ არ დაუშვებს შეცდომას“. *ჯორჯენაძე ს.*, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2011, 218.

<sup>814</sup> ვრცლად იხ. *ჭანტურია ლ., ბოელინგი პ.*, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 44. ასევე იხ. *ლიუტრინგაუსი პ.*, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, თბ., 2007, 109.

<sup>815</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია, ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 38.

<sup>816</sup> იხ. იქვე.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ მორიგების აქტის პირობები ეწინააღმდეგება, ან არღვევს, კანონმდებლობას ან სხვა პირთა უფლებებსა და ინტერესებს, მაშინ ის უარს ამბობს მორიგების აქტის დამტკიცებაზე, ხოლო თუ ის კანონიერია და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს, მაშინ სასამართლო გამოიტანს განჩინებას, მორიგების აქტის დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებულია, რომ მორიგებისას სასამართლო დადგენილებაში (განჩინებაში) ყოველთვის აღნიშნავს მორიგების აქტის ტექსტის კანონიერ შინაარსს და უთითებს, რომ „მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია შეთანხმების დამტკიცება და საქმის წარმოების შეწყვეტა“.<sup>818</sup>

---

<sup>817</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, სამოქალაქო პროცესი, საქმისწარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო, №1, 2010, 20.

<sup>818</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, სუს, 2010, 11. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba-d.pdf>>, [19.05.2016].

## თავი IV. მოსამართლის სტატუსი და ფუნქციები მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტისას

### 1. მოსამართლის სტატუსი მორიგების პროცესში

#### 1.1. მოსამართლე, როგორც მომრიგებელი

„მოსამართლედ არავინ იბადება. ამ პროფესიისთვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს ადამიანი წლების მანძილზე იძენს. დასაწყისისთვის კი მთავარია მისი განათლება, პიროვნული თვისებები, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, პატიოსნება, ობიექტურობა“.<sup>819</sup>

ტერმინი „მოსამართლე“ უნივერსალურია სასამართლო ხელისუფლების ყველა რგოლისთვის და, მთლიანად, სამართლებრივი სივრცისთვის. განმარტებით, მოსამართლე არის პირი, რომელსაც კონსტიტუციური წესით მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები, ადასრულოს მართლმსაჯულება და იგი თვის ვალდებულებებს ასრულებს პროფესიონალურ საფუძველზე.<sup>820</sup>

უპირველეს ყოვლისა, მოსამართლე ის პირია, რომელიც სახელმწიფოს სახელით ახორციელებს მართლმსაჯულებას.<sup>821</sup> მოსამართლემ, ამ თანამდებობაზე დანიშვნის მომენტიდანვე, უნდა იცოდეს, რომ მისთვის უზენაესი არის მხოლოდ კანონი და მან ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კანონის შესაბამისად, თუნდაც იგი იყოს „არაპოპულარული“ და გამოიწვიოს ამ მოსამართლის კრიტიკა გარკვეული ჯგუფების, პიროვნებების და ა.შ. მხრიდან.<sup>822</sup>

მოსამართლე განსხვავებულია თავისი საქმიანობით და პიროვნული ნიშან-თვისებებით.<sup>823</sup> „ყველა ქვეყანაში მოსამართლე თავისი თვისებებით თანამოქალაქეებისაგან, გარკვეულწილად, გამორჩეულია. პრინციპულობა, პატიოსნება, ობიექტურობა, წესიერება, მიუკერძოებლობა – ეს არის ის ძირითადი თვისებები, რომლებიც უნდა ჰქონდეს ყველა მოსამართლეს.“<sup>824</sup>

საქართველოს სასამართლო სისტემა ორიენტირებულია მოსამართლის მაღალკვალიფიციურობაზე, კომპეტენტურობაზე, კულტურასა და

<sup>819</sup> *კუბლაშვილი კ.*, „პატიოსანი და მიუკერძოებელი მოსამართლეების პირველი დამცველი მე ვიქნები“, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006, 11.

<sup>820</sup> იხ. *თეზელიშვილი ს.*, იურიდიული ენციკლოპედია, თბ., 2008, 376.

<sup>821</sup> დეტალურად იხ. *ლილუაშვილი თ.*, *ლილუაშვილი გ.*, *ხრუსტალი ე.*, *ძლიერიშვილი ზ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 40-45.

<sup>822</sup> იხ. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, მიღებული საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა 2007 წლის კონფერენციის მიერ, მუხლი მე-2, <<http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>>, [19.05.2016].

სამოსამართლო ეთიკის წესები, კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის სამართლის უზენაესობის ინიციატივა, 2008, 11.

<sup>823</sup> *Cratsley J. C.*, Judges and Settlement, So Little Regulation with So Much Stake Judicial Mediation and Settlement, Dispute Resolution Magazine, Published by The American Bar Association Section of Dispute Resolution, Volume 17, No.3, Magazine, Editor: Chip Stewart Texas Christian University Fort Worth TX, Spring 2011, 4.

<sup>824</sup> *კუბლაშვილი კ.*, „პატიოსანი და მიუკერძოებელი მოსამართლეების პირველი დამცველი მე ვიქნები“, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006, 11. *Pogonowski P.*, Role of Judges and Party-autonomy in settlement in Litigation, John Paul II Catholic University of Lublin, e-mail: ppogonow@op.pl, Teka Kom. Praw. – OL PAN, 2008, 153.

განათლებულობაზე, ვინაიდან, „მხოლოდ მაღალპროფესიულ და მაღალ-განათლებულ მოსამართლეს შეიძლება მიენდოს მართლმსაჯულების განხორციელება“.<sup>825</sup>

გამომდინარე იქედან, რომ მოსამართლე მორიგებით საქმის წარმოების დასრულების ინიციატორი და მორიგების პროცესის წარმმართველი პირია, მისი სტატუსი მორიგების პროცესში განსხვავებულია გამომდინარე მისი საქმიანობის ფორმიდან და მიზნიდან. ტერმინი „მომრიგებელი მოსამართლე“<sup>826</sup> თავისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, ყველაზე უკეთ მიესადაგება იმ მოსამართლის სტატუსს, რომელიც საქმის წარმოების დასრულების მიზნით ხელს უწყობს მხარეებს, მიაღწიონ მორიგებას.<sup>827</sup>

„შვეიცარიაში დიდი ტრადიცია აქვს ე.წ. *Sühneverfahren*, რომელიც თითქმის ყოველთვის წინ უძღვის სამოქალაქო პროცესის დაწყებას და საკმაოდ კარგ შედეგებსაც აღწევს. ეს პროცედურა გულისხმობს მომრიგებელი მოსამართლის (*Friedensrichter*) დახმარებით მხარეთა მიერ მორიგების მიღწევის მცდელობას“.<sup>828</sup>

„მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი“, წარმოიშვა მე-14 საუკუნის ბოლოს ინგლისში და ფართო გავრცელება ჰპოვა.<sup>829</sup> ჯერ კიდევ 1918 წლის 24 სექტემბერს, მაშინ როცა ნოე ჟორდანია წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მიღებულ იქნა კანონი “მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ”, რომელიც განსაზღვრავდა მომრიგებელი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიას, საქმის წარმოების ენას. აღნიშნული კანონის მიღება როგორც ჩანს განპირობებული იყო იმავე წლის 9 ივლისს მიღებული კანონის “საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოების და მომრიგებელ შუამავალთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ”.<sup>830</sup>

1868 წლის თებერვალში ილია ჭავჭავაძე დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ დაინიშნა.<sup>831</sup> მომრიგებელი მოსამართლის მოვალეობის შესახებ ილია აღნიშნავდა: „საჭიროა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ენდობოდნენ მომრიგებელ მოსამართლეს. ამ ნდობის მოსაპოვებლად ისე კანონების ცოდნაც არ არის საჭირო, როგორც ცოდნა ხალხის აზროვნებისა,

<sup>825</sup> ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ე., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 14.

<sup>826</sup> *Justice of the Peace*. იხ. *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, თბ., 2008, 350.

<sup>827</sup> მოსამართლის ერთ-ერთი მოვალეობაა ხელი შეუწყოს მხარეებს მორიგებაში. ამ შემთხვევაში, საზგასმულია მოსამართლის, როგორც მომრიგებლის როლზე და მნიშვნელობაზე მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების მიზნით. იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, (ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა), ვაშინგტონი, 2009, 105.

<sup>828</sup> *გერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 127. შემდგომი მითითებით: *Kumpan, Christoph./Bauer, Cathrin*, Mediation in der Schweiz, in: *Hopt, Klaus, J./Steffek, Felix*, Mediation, Rechtsvergleich, Regelungen, “Mohr Siebeck”, Tübingen, 2008, s. 857.

<sup>829</sup> იხ. *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, თბ., 2008, 342.

<sup>830</sup> <<http://www.nplg.gov.ge/>> , [19.05.2016].

<sup>831</sup> მართალია ამ თანამდებობაზე ქართველთაგან ერთადერთი არ იყო ილია (ამავე, 1868 წელს ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ დაინიშნა რაფიელ ერისთავი), მაგრამ ერთეული ფაქტები მაინც გამონაკლისებად აღიქმებოდა.



ხალხის ზნისა, ჩვეულებისა,<sup>832</sup> ერთი სიტყვით, ყოველივე იმისა, რითაც გარემოცულია ადგილობრივი ცხოვრება საზოგადოდ და ამასთან საჭიროა კაცსა ჰქონდეს გამჭრიახი გონება, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფაცხოვრება“.<sup>833</sup>

ქართული სამათლებრივი სივრცე (კერძოდ, სსსკ) არ იცნობს „მომრიგებელი მოსამართლის“ ტერმინს ზემოხსენებულ კონტექსტში. მომრიგებელი მოსამართლის ფუნქციების განმასხორციელებელი მოსამართლის აღსანიშნავად კანონმდებელი იყენებს ტერმინს – „მაგისტრადი მოსამართლე“ – და მას სულ სხვა სამართლებრივ ჭრილში წარმოაჩენს.<sup>834</sup> დღევანდელი ვითარებით, „მაგისტრადი“ („მაგისტრადი მოსამართლე“) და „მომრიგებელი (მომრიგებელი მოსამართლე) სასამართლო“, მეტწილად ან სულაც იდენტური, სინონიმური ცნებებია, ან კიდევ, სხვა შემთხვევებში ერთი მედლის სხვადასხვა მხარეა.<sup>835</sup>

ზოგიერთ ქვეყანაში, სახელწოდების მიხედვით, არსებობს მხოლოდ მაგისტრატთა ინსტიტუტი და შესაბამისი სასამართლოები (ზელანდია, შვედეთი, ინდოეთი და ა.შ), უფრო მეტ ქვეყანაში კი, სახელწოდების მიხედვით, არსებობს მხოლოდ მომრიგებელი სასამართლოები (მოსამართლეები) (რუსეთი, იტალია, საბერძნეთი, ბელგია, ისრაელი, თურქეთი და ა.შ.), ხოლო რამდენიმე ქვეყანაში (მაღტა, კანადა, მაღალიზია, ინგლისი) ისინი „კომბინირებული“ (ორივე) სახით არსებობს.<sup>836</sup>

„ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ ტერმინი „მომრიგებელი“, უწინარესად, მიგვანიშნებს ამგვარი სასამართლოს (მოსამართლის) საქმიანობის იმ უპირატეს პრიორიტეტულ მიზანსა და ამოცანებზე (გნებავთ, მეთოდზე) რომელიც მიმართულია მხარეთა მორიგებისაკენ, რაც, როგორც წესი, გულისხმობს მათ შერიგებას და ამითი კონფლიქტის ჩაცხრომა-მოწესრიგებას“.<sup>837</sup>

მომრიგებელ მოსამართლეთა „უპირატესი და უმთავრესი ამოცანაა მხარეთა მორიგება და, შესაბამისად, კონფლიქტის მაქსიმალურად დაჩქარებულად, დროის, ენერჯისა და სახსრების შეძლებისდაგვარად უმცირესი დანახარჯებით „მშვიდობიანად“ გადაწყვეტა, ანუ მაქსიმალური „საპროცესო ეკონომიის“ (!) ვითარებაში მაქსიმალური ეფექტის (რეზულტატის) მიღწევა – უმთავრესად, ცხადია, რაოდენობრივი (!) თვალსაზრისით“.<sup>838</sup>

ზემოხსენებული ტერმინოლოგიური შედარებისა და შინაარსობრივი მსჯელობის შედეგად ნათელია, რომ „მომრიგებელი მოსამართლის“ სტატუსი ყველაზე მეტად მიესადაგება მოსამართლეს, რომელიც ყოველ ღონეს მიმართავს (ხელს უწყობს), რათა მხარეებმა მორიგებით დაასრულონ

<sup>832</sup> იხ. *ხოვერია მ.*, მედიატორეს როლი ოჯახის გაყრაში ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, №1, თბ., 2011, 47.

<sup>833</sup> *გრიგალაშვილი ნ.*, სტატია „თანამდევნი სული“, გაზეთი „24 საათი“, 2010 წლის 20 აპრილის გამოცემა, <<http://24saati.ge/index.php/category/culture/2010-03-01/4013.html>>, [19.05.2016].

იხ. *ხოვერია მ.*, მედიატორეს როლი ოჯახის გაყრაში ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, №1, თბ., 2011, 47.

<sup>834</sup> სსსკ-ის მუხლი მე-13, ნაწილი მე-2 და მუხლი მე-14.

<sup>835</sup> იხ. *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, თბ., 2008, 98.

<sup>836</sup> იხ. იქვე, 102.

<sup>837</sup> იქვე, 100.

<sup>838</sup> იქვე, 109.

საქმის წარმოება; იგი არის მორიგების პროცესის ინიციატორი, წარმმართველი და პირი, რომელიც საბოლოოდ ამტკიცებს მორიგების აქტს.

## 12. მოსამართლე, როგორც მედიატორი

მოსამართლეები საუკუნეების განმავლობაში მიიჩნეოდნენ იურის-პრუდენციის მცოდნეებად და სამართლის მაკონტროლებლებად (ასეა დღესაც). პარადოქსია, მაგრამ მოსამართლეებს მედიაციის პროცესში ხშირად აქვთ სირთულეები. მათ ხშირად უწევთ უარი თქვან თავიანთ ფართო ძალაუფლებაზე, სამართლებრივ ქცევაზე, დიპლომატიურ ჩვევათა ერთობასა და დარწმუნების უნარზე. პარადოქსია ისიც, რომ მსოფლიოს მედიატორთა დიდი ჯგუფი სწორედ გადამდგარი მოსამართლეებისგანაა დაკომპლექტებული.<sup>839</sup>

მოსამართლის ყოფნა მომრიგებლის როლში წლების წინ კამათისა და მსჯელობის საგანი იყო (აშშ). მოსამართლეთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ მორიგების პროცესში მათი მონაწილეობა ჩრდილს აყენებდა მათ საქმიანობას, რადგან ისინი დანიშნულები იყვნენ მოსამართლეებად და არა არბიტრებად (ან მედიატორებად). ბევრიც აღნიშნავდა, რომ ეს დამატებითი, შრომატევადი ფუნქცია იყო მათთვის. შესაბამისად, მოსამართლეთა ნაწილი არ ერთვებოდა მორიგების პროცესში და ამ ფუნქციას ადვოკატებს ანდობდა,<sup>840</sup> რომლებიც, თავის მხრივ, მიიჩნევდნენ, რომ მორიგების პროცესში მოსამართლის ჩართულობა სამართლებრივი შედეგის მომტანი იქნებოდა მოდავე მხარეთათვის.<sup>841</sup>

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მოსამართლეები ხშირად ავლენენ მედიატორის თვისებებსა და მიდგომებს მორიგების პროცესში.<sup>842</sup> კერძოდ: ისინი ცალკე შეხვედრას აწყობენ მხარეებსა და მათ ადვოკატებთან, იცავენ კონფიდენციალურობას, იკვლევენ დავის არაფინანსურ მხარეებს, დავის გადაჭრის მიზნით, ხელახლა სთავაზობენ მოდავე მხარეებს მორიგებას. მართალია ხშირად მოსამართლეს არ აქვს მედიატორისთვის დამახასიათებელი სამომრიგებლო თვისებები, მაგრამ ისინი აქტიურად იყენებენ თავიანთ გამოცდილებასა და პირად თვისებებს.<sup>843</sup> სადავო არაა, რომ მოსამართლეს საკმარისი რესურსი გააჩნია იმისთვის, რათა წარმართოს მორიგების პროცესი, სტიმული მისცეს მას და, საბოლოოდ, საქმე მორიგებით დაასრულოს.<sup>844</sup>

<sup>839</sup> Certilman S. A., Judges as Mediators: Retaining Neutrality and Avoiding the Trap of Social Engineering, 2007, 24.

<sup>840</sup> ადვოკატებს შესწევთ უნარი დაარწმუნონ კლიენტები მიიღონ მორიგების გადაწყვეტილება. ამის მიღწევა კი შესაძლებელია იმით, რომ შექმნან მორიგების თავდაპირველი მოლოდინები, მოამზადონ კლიენტები სამომრიგებლო მოლაპარაკებებისთვის და შესთავაზონ მათ მორიგების წინადადებები. Robbenolt J. K., Attorneys, Apologies and Settlement Negotiation, Harvard Negotiation Law Review, 2008, 34.

<sup>841</sup> Wall J. A. Jr., Rude D. E., Judges Role in Settlement: Opinions from Missouri Judges and Attorneys, Jurnal of Dispute Resolution, Missouri School of Law Scholarship Repository, 1988, 3, <<http://scholarship.law.missouri.edu/jdr>>, [19.05.2016].

<sup>842</sup> Pieckowski S., Using Mediation in Poland to Resolve Civil Disputes: Ashort Assessment of Mediation Usage From 2005-2008, International, November 2009/January 2010, 85.

<sup>843</sup> Cratsley J. C., Judicial Ethics and Judicial Settlement Practicis, Time for Two Strangers to Meet, Dispute resolution Magazine, 2005, 16.

<sup>844</sup> იქვე, 17.

მოსამართლის მსგავსად, მომრიგებლის როლში მედიატორიც გვევლინება. მედიატორი მოლაპარაკების პროცესის მხარდაჭერა და ხელშეწყობაა, სტრუქტურული მოპალარაკების პროცესია, რომელიც პროფესიონალი მედიატორის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს.<sup>845</sup>

„მედიატორი არის პირი, რომელიც მედიაციის პროცესის წარმართვისას ეხმარება მხარეებს გამოკვეთონ მათი ინტერესები, ერთად მივიდნენ პრობლემის გადაჭრის გზამდგ, მხარეებს აწვდის დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებს, თუმცა არ არის შეზღუდული მხოლოდ ამ ფუნქციით“.<sup>846</sup> მედიატორი სპეციალური ცოდნით აღჭურვილი მესამე პირია, რომელიც მხარეებს ეხმარება მოლაპარაკებების პროცესის სწორად წარმართვაში.

შეიძლება ითქვას, რომ მედიატორობა „პროფესია“ არაა. მედიატორს, შესაძლოა, იურიდიული განათლება არც ჰქონდეს, თუმცა აღჭურვილი იყოს მოლაპარაკების წარმოების უნარით, რაც, თავის მხრივ, გამყარებული იქნება სამართლის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის და ა.შ. მეთოდებით. ხშირად მედიატორები ადვოკატები, ნოტარიუსები და მოსამართლეები არიან.<sup>847</sup>

მედიატორი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც დაინტერესებულია საქმის შედეგით ან დამოკიდებულია მედიაციის პროცესის რომელიმე მხარეზე. მედიატორების წესია, რომ მედიაციის განხორციელებისას შუამავალი<sup>848</sup> უნდა იყოს შინაგანად „ცარიელი“, მას მხარეებთან არ უნდა ჰქონდეს არანაირი პირადი ურთიერთობა.<sup>849</sup>

რთულია მოსამართლისა და მედიატორის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის გათანაბრება.<sup>850</sup> თუმცა, მიუხედავად იმისა, თუ ვინაა მოლაპარაკების პროცესის სათავეში, მოსამართლე თუ მედიატორი, საქმის მორიგებით დასრულება მაინც მხარეთა შესაძლებლობა და პრივილეგიაა.<sup>851</sup>

<sup>845</sup> ვრცლად იხ. *ცერცვაძე გ.*, მედიატორი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 34. შემდგომი მითითებით: *Nunn Philip*, *Time is money: strategies to ensure a speedy resolution in: ADR in Asia solutions for Business*, “Euromoney Publications,” Hong Kong, 2005, p.19.

<sup>846</sup> მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი მე-3. იხ. *ცერცვაძე გ.*, (პასუხისმგებელი რედ.), მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 262-264.

<sup>847</sup> ვრცლად იხ. *ცერცვაძე გ.*, მედიატორი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, თავი VI, 218.

<sup>848</sup> “term mediate is derived from the Latin word *mediare* which means to be in the middle”. *Byrne R., BCL, LLM (NUI), Barrister-at-Law (Director of Research), Hanna D., BCL (NUI), LLM (Cantab), Kehoe H., BCL (Law with French Law) (NUI), LLM (Dub), Solicitor Lyons D., LLB (Dub), LLM (NYU), Murphy T., BCL (Law with French Law) (NUI), LLM (Essex), Barrister-at-Law, O’Grady J., BCL, LLB (NUI), LPC (College of Law), O’Keeffe D., LLB (UL), H Dip Soc Pol (NUI), EMA (EIUC), Whately H., LLB, LLM (Dub) (Legal Researchers)*, *Alternative Dispute Resolution: Mediation and Conciliation, Law Reform, Report (LRC 09-2010)*. © COPYRIGHT , Law Reform Commission, FIRST PUBLISHED November 2010, ISSN 1393-3132, 19.

<sup>849</sup> იხ. *კობრიძე ლ.*, სასამართლო მედიაციის სამართლებრივი ასპექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(39) 13, თბ., 2013, 22. შემდგომი მითითებით: *О. В. Лукьяновская, Р. Г. Мельниченко*, *Основы юридической конфликтологии и медиации*, Учебное пособие, Волгоград, 2011, стр. 69.

<sup>850</sup> გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სამომრიგებლო თვისებებს, რომლებიც აუცილებელია ზოგადად მორიგების პროცესისთვის.

<sup>851</sup> *Crane S. G.*, *Judge Settlements Versus Mediated Settlements*, *Dispute Resolution Magazine*, 2011, 22.

## 2. მოსამართლის კვალიფიკაცია მორიგების პროცესში

### 2.1. მოსამართლის კვალიფიკაციის საფუძვლები

„ცნობილია, რომ ყველაზე იდეალური სასამართლო სისტემაც ვერ მოგვცემს სასურველ ეფექტს, თუ სასამართლო კორპუსი არაა დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური მოსამართლეებით“.<sup>852</sup> მოსამართლეობა ყველა ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც პრესტიჟული თანამდებობაა. იგი დიდ შრომასა და პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული. იგი როგორც პიროვნება, მოქალაქე შებოჭილია თავის ყოველდღიურ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში. მას ყოველდღიურ ცხოვრებაშიც მოეთხოვება მოსამართლის ეთიკის შესაფერისი ქცევა.

„მოსამართლეობა, პირველ რიგში, უზარმაზარი პასუხისმგებლობაა. მოსამართლის ცნობიერებაში უნდა არსებობდეს ორი განმსაზღვრელი ფაქტორი: მისი შინაგანი სურვილი – იყოს ღირსეული მოსამართლე და პასუხისმგებლობის მაღალი შეგრძნება. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სამართლიანობის განცდა და, რაც მთავარია, არ უნდა დაუშვას უპატივბული შეცდომა“.<sup>853</sup>

„მოსამართლე მართლმსაჯულების პრესტიჟს უნდა უფროთხილდებოდეს არა მხოლოდ მართლმსაჯულების (სამოსამართლო საქმიანობის) განხორციელების პროცესში, არამედ, მოსამართლე არასამოსამართლო საქმიანობის დროსაც უნდა იქცეოდეს ისე, რომ მისმა ქცევამ საზოგადოებას განუმტკიცოს რწმენა იმის შესახებ, რომ ის არის ღირსეული და სამართლიანი ადამიანი“.<sup>854</sup>

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. შესაბამისად, სასამართლოს დამოუკიდებელ ხელისუფლებად ჩამოყალიბების ინტერესები მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას მოითხოვს, რასაც განამტკიცებს კანონი. მოსამართლის დამოუკიდებლობის უმთავრესი გამოხატულება ისაა, რომ არავის არა აქვს უფლება, ჩაერიოს სასამართლოს საქმიანობაში მის მიერ კონკრეტულ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის დროს.<sup>855</sup>

1997 წლიდან მოყოლებული, სასამართლო რეფორმების<sup>856</sup> შედეგად არაერთი კარგი და სასიკეთო საქმე გაკეთდა სასამართლო სისტემისათ-

<sup>852</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 14.

<sup>853</sup> შავლიაშვილი ვ., „სამოქალაქო სასამართლო მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი და ეფექტური გახდება“, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006, 66.

<sup>855</sup> იხ. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2007, 11-12.

<sup>856</sup> „სასამართლოს პრობლემები, რომელზეც ყველგან წუხან, თავისი ხარისხით, რაოდენობითა და მნიშვნელობით ძალზე განსხვავებულია, შესაბამისად, სასამართლო რეფორმის ძალისხმევაც განსხვავდება მასშტაბით, შინაარსითა და სიღრმით. ე. წ. „რეფორმის კლიმატი“, შესაბამისად პოლიტიკური მოქმედების გამომწვევი რეფორმის ზეწოლა, სრულიად განსხვავებულად მიმდინარეობს ამა თუ იმ ქვეყანაში“. გილესი პ., მართლმსაჯულების სისტემა კრიტიკული თვალთ: შედარებითი ანალიზი გერმანული პოზიციიდან, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2009, 231. შემდგომი მითითებით: Prozeßrecht an der Jahrtausendwende/Procedural Law on the Threshold of a New Millennium. Deutsche Landesberichte zur Weltkonferenz für Prozeßrecht in Wien, Österreich, 1999 (herausgegeben von Peter Gilles), Baden-Baden, 1999.



ვის. კორუფციის აღმოფხვრა, სასამართლო სისტემის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, კომპიუტერული ქსელის შექმნა, სასამართლო შენობაში წესრიგის დაცვა და მანდატურის სამსახურის შემოღება და სხვა, მაგრამ „თუკი სასამართლო ხელისუფლების, ამ სისტემის სათავეში მყოფი მთავარი პერსონის – მოსამართლის დამოუკიდებლობა არ იქნება უზრუნველყოფილი, რეფორმის წარმატებულობაზე არ შეიძლება ვისაუბროთ“.<sup>857</sup>

თუმცა, არსებობს სხვაგვარი გაგებაც: მოსამართლეს დამოუკიდებლობა, როგორც სოციალური პრივილეგია, ისე არ ეძლევა, არამედ, როგორც მასზე კონსტიტუციურად დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულების შესაძლებლობა. უფრო მეტიც, ეს მოსამართლის ერთგვარი პირადი თვისებაა, რომელიც მან უნდა შეინარჩუნოს და განავითაროს (შესაძლოა, დაკარგოს კიდევ) ზემოხსენებული მიზნის უზრუნველსაყოფად.<sup>858</sup>

სამოსამართლო საქმიანობის მეთოდები კანონმდებლობაში არსად არაა ჩამოყალიბებული, მათ არც სავალდებულო ხასიათი აქვს. ის სასამართლო პრაქტიკის შედეგია.<sup>859</sup> სასამართლო სისტემა მოსამართლეების მაღალკვალიფიციურობასა და მაღალპროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, ვინაიდან მხოლოდ ასეთ მოსამართლეს შეიძლება მიენდოს მართლმსაჯულების განხორციელება.

მოსამართლის საქმიანობა ეფუძნება ისეთ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, რომელთა შორისაა: დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, პატიოსნება, ეთიკური ნორმების დაცვა, თანასწორობა, კომპეტენტურობა და გულმოდგინება,<sup>860</sup> ასევე, პროფესიული, სოციალური და პერსონალური კომპეტენციები.<sup>861</sup>

„პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ“ განსაზღვრავს მოსამართლეთა კლასიფიკაციას, შერჩევის წესს და მომზადებას და ადგენს, რომ „მოსამართლედ შერჩეული პირები უნდა იყვნენ ღირსებისა და შესაძლებლობების მქონე ადამიანები, რომელსაც სამართლის დარგში მიღებული ექნებათ შესაბამისი მომზადება და კვალიფიკაცია (ნაწ. 10)“.<sup>862</sup> ამასთან, მოსამართლე აღჭურვილი უნდა იყოს ისეთი ობიექტური კრიტერიუმებით, როგორცაა პატიოსნება და უნარიანობა და, რაც მთავარია, მას უნდა გააჩნდეს კანონით მინიჭებული დამოუკიდებლობის

<sup>857</sup> იხ. *ლიბრაძე დ.*, მოსამართლეთა დაცვითვა და საქმეთა გადანაწილება, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, მოსამართლის კონფერენციის მასალები, თბ., 27/28 სექტემბერი, 2013, 49.

<sup>858</sup> იხ. *ბოლინგი პ.*, მოსამართლის დამოუკიდებლობა და მოსამართლის გადაწყვეტილების მხარეების მიერ მიღება – საქმის განხილვის წარმართვა, მორიგების თაობაზე გამართული საუბრები და დავის მშვიდობიანად გადაწყვეტა. *ლიუტრინგჰაუსი პ.*, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007, 138.

<sup>859</sup> იხ. *ჭანტურია ლ.*, *ბოლინგი პ.*, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, 56.

<sup>860</sup> „მოსამართლეთა ქცევის ბანგაროლის პრინციპები“ და მისი კომენტარები, თბ., 2015, 219.

<sup>861</sup> იხ. *გოგიშვილი მ.*, *სულხანიშვილი მ.*, *მესხიშვილი ქ.*, *ჯინორია ხ.*, *გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 8-9.

<sup>862</sup> „ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ“, წიგნი II, თბ., 1999, 67.

შინაგანი განწყობა (დამოუკიდებლობის განწყობა), რომელიც საფუძველთა საფუძველია მართლმსაჯულების განხორციელებისას.<sup>863</sup>

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი ადგენს სამოსამართლო ეთიკის ძირითად პრინციპებს, ქცევის წესებსა და სტანდარტებს, რომელთა დარღვევაც იწვევს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას. კოდექსის პრეამბულაშივე აღნიშნულია, რომ მოსამართლეები აცნობიერებენ, საზოგადოებრივი რწმენა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების უმთავრეს ღირებულებას და მოსამართლის ქცევა წარმოადგენს საზოგადოების სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან საფუძველს.<sup>864</sup> ეს უმნიშვნელოვანესი დათქმა მოსამართლის პიროვნებისა და საქმიანობის მთელ არსსა და აზრს გამოხატავს.

მოსამართლე, როგორ უზენაესი მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირი, ვალდებულია დაიცვას მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, რომელიც ერთგვარი წინაპირობაა მოსამართლის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების სრულყოფილი განხორციელებისათვის.

საქართველოს (და არა მხოლოდ) კანონმდებლობით მინიჭებული მოთხოვნებისა და პრივილეგიების შესაბამისად, მოსამართლეს სამოსამართლო იმუნიტეტი გააჩნია,<sup>865</sup> რომელიც მას, ერთი მხრივ, იცავს, ხოლო, მეორე მხრივ, ვალდებულებებს ანიჭებს. სამოსამართლო იმუნიტეტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მართლმსაჯულების, და შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საქმეში.<sup>866</sup> დამოუკიდებელი სასამართლოს უფლება არის უფლება, რომელსაც საფუძვლად ხალხის ინტერესი უდევს და ხალხს ეკუთვნის. მოსამართლის იმუნიტეტის მიზანია დაიცვას და უზრუნველყოს საზოგადოების უფლება: ჰქონდეს დამოუკიდებელი სასამართლო.<sup>867</sup>

სამოქალაქო საქმის წარმოება ეფუძნება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს. შესაბამისად, სამოქალაქო საქმის წარმოება არ უნდა მივიდეთ როგორც მხოლოდ სსსკ-ით დადგენილი ნორმების განხორციელება. მართალია, მხარეები უფლებამოსილები არიან უფლებრივად გან-

<sup>863</sup> იხ. *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი ვ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 21.

<sup>864</sup> იხ. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, მიღებული საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა 2007 წლის კონფერენციის მიერ, <<http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>>, [19.05.2016].

<sup>865</sup> *ვრცლად* იხ. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემური ანალიზი (ეროვნული კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტები და ადგილობრივი პრაქტიკა), თბ., 2014, 85.

<sup>866</sup> „სამოსამართლო იმუნიტეტის ცნება მოსამართლეთა პირადი ინტერესების სასარგებლოდ, ან დასაცავად გამოგონილი პრივილეგია არ არის. დამოუკიდებელი სასამართლოს უფლება არის უფლება, რომელსაც საფუძვლად ხალხის ინტერესი უდევს და ხალხს ეკუთვნის. სწორედ ამიტომ ეს უფლება კონსტიტუციაშიც არის ჩადებული. მოსამართლის იმუნიტეტის მიზანია დაიცვას და უზრუნველყოს საზოგადოების უფლება ჰქონდეს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა“. იხ. *ჰენლი ვ.*, მოსამართლის მოვალეობების შესრულებისადმი გულგრილობა და მისი შედეგები, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, მოსამართლის კონფერენციის მასალები, თბ., 27/28 სექტემბერი, 2013, 33.

<sup>867</sup> იხ. *ჰენლი ვ.*, მოსამართლის მოვალეობების შესრულებისადმი გულგრილობა და მისი შედეგები, კონფერენცია მოსამართლის პროფესიის შესახებ, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, მოსამართლის კონფერენციის მასალები, თბ., 27/28 სექტემბერი, 2013, 33.

კარგონ დავის საგანი და მიმართოს ბრძოლის მეთოდებს (დისპოზიციურობიდან გამომდინარე), მაგრამ, მიუხედავად ამისა, უმთავრესი მდგომარეობა პროცესზე ეკუთვნის სასამართლოს, რადგან ის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია, რომელსაც მხარეები ემორჩილებიან. მხარეთა მოქმედებები მიმართულია იქით, რომ სასამართლოს საქმიანობას მიეცეს საწყისი და საფუძველი სათანადო გადაწყვეტილების გამოსატანად.<sup>868</sup>

## 2.2. მოსამართლის პროფესიონალიზმი

სამოქალაქო საქმეების განმხილველ მოსამართლეს თავისი ამოცანებისა და მოვალეობების შესრულება მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ ის პირად და სპეციფიკურ პროფესიულ თვისებებს ფლობს, რაც კანონმდებლობის საფუძველიან ცოდნასა და გარკვეულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას გულისხმობს.<sup>869</sup>

მოსამართლის კვალიფიციურობა და პროფესიონალიზმი, ერთი მხრივ, კანონების მაღალ დონეზე ცოდნას მოითხოვს, ხოლო, მეორე მხრივ – გულისხმობს მოსამართლის უნარს, მისი ავტორიტეტისა და კომპეტენციის ფარგლებში, სწორი კომუნიკაციით და უნარ-თვისებებით განახორციელოს თავისი საქმიანობა. აუცილებელია მოსამართლემ გარკვეული კავშირი დაამყაროს მისთვის მინდობილ ადამიანებთან და სხდომა მართოს ისე, რომ მხარეებმა საკუთარი თავი იპოვონ მათი სამართლებრივი დავის ფარგლებში.<sup>870</sup>

იმისთვის, რომ მოსამართლემ განახორციელოს მართლმსაჯულება, ემსახუროს კანონის უზენაესობას და უზრუნველყოს დავის მონაწილეთა ინტერესების მაქსიმალური დაცვა მათი მორიგების მიზნით, იგი ალტურვილი უნდა იყოს სხვადასხვა უნართა და კომპეტენციით.

იურისტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მხოლოდ თანმიმდევრული, საფუძველიანი, ობიექტური და რაციონალური გადაწყვეტილების მიმღებ პირს ახასიათებს შესაძლებლობა საქმის წარმოება მორიგებისკენ წარმართოს. თუმცა, მრავალი ფაქტი ადასტურებს იმ გარემობასაც, რომ ბოლო წლებში, უფრო და უფრო დიდია ფსიქოლოგიური გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.<sup>871</sup> მორიგებაც, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი სამართლებრივი ღონისძიება, ხოლო, მეორე მხრივ, სწორედ რომ ფსიქოლოგიური დატვირთვის მქონე პროცესია,<sup>872</sup> რომელიც მოსამართლის მხრიდან მაღალპროფესიონალურ დამოკიდებულებას მოითხოვს.<sup>873</sup>

მოსამართლე სამოსამართლო უფლებამოსილებას უნდა ახორციელებდეს ღირსეულად, კეთილსინდისიერად, უანგაროდ და მიუკერძოებ-

<sup>868</sup> *Треушников М. К.*, (Ред.), *Хрестоматия по гражданскому процессу*, М., 1996, с. 62.

<sup>869</sup> იხ. *ჭანტურია ლ., ბოელინგი ჰ.*, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 1.

<sup>870</sup> იხ. *ჩახანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ.*, კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013, 22.

<sup>871</sup> *Birke R., Fox C. R.*, *Psychological Principles in Negotiation Civil Settlements*, Harvard Negotiation Law Review, 1999, 1.

<sup>872</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), *ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები*, სუს, თბ., 2010, 27.

<sup>873</sup> იხ. *თოდუა მ., ქურდაძე შ.*, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბ., 2005, 80.

ლად.<sup>874</sup> მოსამართლე გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა იყოს დამოუკიდებელი და შეუვალი; მისი აზრი არ უნდა მერყეობდეს პოლიტიკური, სოციალური, მხარის ინტერესის, საზოგადოებრივი ზემოქმედების ან სხვაგვარი ურთიერთობის ზეგავლენის გამო, ანდა კრიტიკის შიშით.<sup>875</sup>

მოსამართლის მაღალპროფესიონალიზმი გულისხმობს, რომ სამოსამართლო მოვალეობის შესრულებისას მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ შექმნილი ან აკვიატებული აზრის, შეხედულების, ცრურწმენისა თუ განწყობისაგან. იგი უნდა მოერიდოს ისეთ ქცევას (მიმიკას, გამომეტყველებას, ჟესტიკულაციას და სხვა), რომელსაც პროცესის მონაწილენი აღიქვამენ წინასწარ შექმნილ ან აკვიატებულ შეხედულებად.<sup>876</sup>

მოსამართლე კანონისა და სამართლის უზენაესობის გარანტია,<sup>877</sup> რაც, პირველ რიგში, უდიდეს პიროვნულ (სამოსამართლო), მორალურ პასუხისმგებლობას ეფუძნება და შემდგომ – სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას. კერძოდ, „მოსამართლე უნდა იყოს კანონის, მოსამართლის ფიცისა და მოვალეობის ერთგული, მართლმსაჯულების განხორციელებისას – კანონისა და სამართლის უზენაესობის გარანტი“.<sup>878</sup>

მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის წოდებისათვის შეუფერებლად.<sup>879</sup> მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.<sup>880</sup>

### 3. მოსამართლის კომპეტენცია მორიგების პროცესში

მოსამართლის როლი უდიდესია მორიგების პროცესის წარმართვასა და რეგულირებაში.<sup>881</sup> მოსამართლე აღჭურვილი უნდა იყოს არა მხოლოდ საპროცესო ნორმების ცოდნით, არამედ იმ უნარ-ჩვევებით, რომლებიც აუ-

<sup>874</sup> იხ. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, მიღებული საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა 2007 წლის კონფერენციის მიერ, პრეამბულა, მუხლი მე-3, <<http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>>, [19.05.2016]. სამოსამართლო ეთიკის წესები, კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის სამართლის უზენაესობის ინიციატივა, 2008, 8. იქვე, 12.

<sup>875</sup> იხ. იქვე, მუხლი მე-13.

<sup>876</sup> იხ. იქვე, მუხლი მე-14.

<sup>877</sup> საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 84-ე.

<sup>878</sup> იხ. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, მიღებული საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა 2007 წლის კონფერენციის მიერ, მუხლი მე-2, <<http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>>, [19.05.2016]. სამოსამართლო ეთიკის წესები, კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის სამართლის უზენაესობის ინიციატივა, 2008, 10-11.

<sup>879</sup> იხ. იქვე, მუხლი მე-6.

<sup>880</sup> იხ. იქვე, მუხლი მე-11.

<sup>881</sup> მორიგების პროცესი არაფორმალური და ნებაყოფლობითია განსხვავებით საქმის წარმოების პროცესისგან, რომელსაც მოსამართლე უძღვება და რომელიც, თავის მხრივ, შებოჭილია ფორმალობითა და საპროცესო წესებით. აღნიშნული უფრო აშკარა ხდება მაშინ, როცა მოსამართლე ცდილობს მხარეთა მორიგებას. *Ervasti K., Conflicts Before the Courts and Court-annexed Mediation in Finland, Scandinavian Studies In Law, © 1999-2012, 191.* შემდგომი მითითებით: Menkel-Meadow, Carrie, *Pursuing Settlement in an Adversary Culture: A Tale of Innovation Co-opted or "The Law of ADR"*, Florida State University Law Review, 1991, p. 1-46.



ცილებელია სამოსამართლო მოვალეობის ჯეროვნად შესრულებისთვის.<sup>882</sup>

მოსამართლის თანამდებობა ერთდროულად შესაძლებლობა, პრივილეგია, პაუზისმგებლობა<sup>883</sup> და ვალდებულებაა.<sup>884</sup> მოსამართლის საქმიანობა მოიცავს გარკვეულ კომპეტენციებს. მათი ერთობლიობა ქმნის ერთიან სისტემას, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია საკუთარი ემოციების ანალიზი, მართვა და გამოყენება.

### 3.1. პროფესიული კომპეტენცია

„ყველაზე ცნობილი და გაგრძელებულია პროფესიული კომპეტენცია, რაც თავისთავად მოიცავს სამართლებრივ ცოდნას და ამ ცოდნის მის მიერ გადასაწყვეტი სამართლებრივი დავის ფარგლებში გამოყენების უნარს. ამასთან, პროფესიული კომპეტენცია გულისხმობს საქმის განხილვის მაღალ კვალიფიკაციას, რაც, თავის მხრივ, მოიცავს სხდომის მართვის, საუბრის წარმართვისა და მეთოდის ცოდნას. აქ, ასევე, მოიაზრება მორიგებასთან დაკავშირებული მოლაპარაკების წარმართვის უნარი. პროფესიული კვალიფიკაცია მოითხოვს საუბრის, არგუმენტირების და დარწმუნების უნარის ქონას“.<sup>885</sup>

„მოსამართლე ვალდებულია მასზედ დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სატანადო გულისხმიერებით“.<sup>886</sup>

### 3.2. სოციალური კომპეტენცია

მოსამართლის საქმიანობაში უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სოციალური კომპეტენცია, ანუ კომუნიკაციის უნარი, რომელსაც დღეს მოსამართლის ფუნქციებს შორის ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.

მეცნიერება კომუნიკაციას ხსნის, როგორც ინფორმაციების, ფაქტების, შემცნებების, აზრების, შეფასებების, გრძნობების, შეგრძნებების, მოლოდინისა და სურვილების ურთიერთგაცვლას. სოციალური კომპეტენ-

<sup>882</sup> იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, (ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა), ვაშინგტონი, 2009, 108. მოსამართლის მიერ სამომხრებლო ფუნქციის განხორციელება მას მენეჯერულ სამუშაოს (*managerial tasck*) აძლევს, რაც მცირედად ცვლის მოსამართლის საერთო დახასიათებას. იხ. და შეად. *Roberts K.*, What Judges Actually Do, *Judges' Jurnal*, 2010, 29. *Floyd D. H.*, Can the Judge do this? – The Need for a Clearer Judicial Role in Settlement, *Arizona State Law Jurnal*, 1994, 48-49.

<sup>882</sup> იხ. იქვე, 100.

<sup>883</sup> იხ. ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, სტრასბურგი, 1998, 8, <[library.court.ge](http://library.court.ge)>, [19.05.2016].

<sup>884</sup> ვრცლად იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, (ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა), ვაშინგტონი, 2009, 89-142.

<sup>885</sup> *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 8.

<sup>886</sup> იხ. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, მიღებული საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა 2007 წლის კონფერენციის მიერ, მუხლი მე-8, <<http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>>, [19.05.2016]. სამოსამართლო ეთიკის წესები, კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის სამართლის უზენაესობის ინიციატივა, 2008, 17-18.

ცია მოსამართლისაგან მოითხოვს, გაათანაბროს ურთიერთგანსხვავებულ ინტერესები, გამოავლინოს პრობლემათა გადაჭრისა და მონაწილეთა მოტივაციის უნარი. სოციალური კომპეტენცია, ასევე, გულისხმობს კონფლიქტების მართვის უნარს.<sup>887</sup>

### 3.3. პერსონალური კომპეტენცია

ასევე მნიშვნელოვანია პერსონალური კომპეტენცია, რომელიც გულისხმობს, რომ მოსამართლე უნდა ფლობდეს ბუნებრივ ავტორიტეტს, საზოგადოების წინაშე უნდა წარდგეს თავდაჯერებულად, გონივრულად და წინდახედულად, ასევე შეიცნოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები.<sup>888</sup>

### 3.4. „ემოციური ინტელექტი“

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსამართლისათვის ასევე მნიშვნელოვანია „ემოციური ინტელექტი“, რომელიც გულისხმობს ემოციების ანალიზს, მართვას და გამოყენებას. აღნიშნული მოიცავს ისეთ საკვანძო კვალიფიკაციებსა და უნარ-ჩვევებს, როგორცაა ინტუიცია, თვდაჯერებულობა, კრიტიკისა და კონფლიქტის მოგვარების უნარი, სანდომიანობა, გუნდური მუშაობის უნარი, ანალიტიკური აზროვნება.<sup>889</sup>

სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება კომპლექსური ქცევების წესებს გულისხმობს. აღნიშნული ქცევის წესები მოიცავს:

- მორალს, რომ მოსამართლე უფლებამოსილებას უნდა ახორციელებდეს ღირსეულად, კეთილსინდისიერად, უანგაროდ და მიუკერძოებლად;
- დამოუკიდებლობას – მოსამართლე გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა იყოს დამოუკიდებელი და შეუვალი;
- სიმტკიცეს – მისი აზრი არ უნდა მერყეობდეს პოლიტიკური, სოციალური, მხარის ინტერესის, საზოგადოებრივი ზემოქმედების ან სხვაგვარი ურთიერთობის ზეგავლენის გამო, ანდა კრიტიკის შიშით;<sup>890</sup>
- მაღალპროფესიონალიზმს – მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.<sup>891</sup>

<sup>887</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 8-9.

<sup>888</sup> იხ. ჩაჩანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013, 22.

<sup>889</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 9.

<sup>890</sup> იხ. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, მიღებული საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა 2007 წლის კონფერენციის მიერ, მუხლი მე-2, <<http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>>, [19.05.2016]. სამოსამართლო ეთიკის წესები, კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის სამართლის უზენაესობის ინიციატივა, 2008, 10-11.

<sup>891</sup> იხ. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, მიღებული საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა 2007 წლის კონფერენციის მიერ, მუხლი 1-ლი,

საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მიმართ, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია ცალკეული მოსამართლის პიროვნებაზე, კეთილსინდისიერებასა და მორალურ თვისებებზე.<sup>892</sup>

„სასამართლო რეფორმის შემაღენელი ყველა კომპონენტის წარმატებით განხორციელება კი ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუკი არ იქნა მიღწეული ყველაზე მთავარი – სისტემის დაკომპლექტება მიუკერძოებელი, პატიოსანი და, რაც მთავარია, კვალიფიციური კადრებით. საერთოდ, მოსამართლე, მისი პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება და ობიექტურობა რეფორმის ძირითადი მიზანია, რადგან სწორედ მათი საქმიანობა არის რეფორმის წარმატების საფუძველი. სწორედ ასეთ მოსამართლეებს ძალუბთ სასამართლოსადმი მოსახლეობის ნდობის აღდგენა, სასამართლოს სისტემის შიდა კონტროლის მექანიზმის – დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტურად ამოქმედებით კორუფციასთან ბრძოლა, მათ საქმიანობაში ჩარევისა და ზეგავლენის მცდელობებზე პრინციპული პასუხის გაცემა და ამით სასამართლოს პრესტიჟის აღდგენა და განმტკიცება“.<sup>893</sup>

#### 4. მოსამართლის ფუნქციები მორიგების პროცესში

##### 4.1. მართლმსაჯულების განხორციელება

სასამართლო დამოუკიდებლობის სამართლებრივი უზრუნველყოფის ფუნდამენტური პრინციპები ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში, რომელში დადგენილია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.<sup>894</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით, ხოლო 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, რომლებმაც უნდა იხელმძღვანელონ საქმის განხილვა-გადაწყვეტის კანონით წინასწარ დადგენილი წესით. ამ წესისგან გადახვევა მართლმსაჯულების განხორციელებად ვეღარ ჩაითვლება.<sup>895</sup>

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია მოსამართლის დამოუკიდებლობა, რომელიც განმტკიცებუ-

---

<<http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>>, [19.05.2016].  
სამოსამართლო ეთიკის წესები, კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის სამართლის უზენაესობის ინიციატივა, 2008, 9-10.

<sup>892</sup> იხ. *ბლანტი ტ., ჯ.*, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, თბ., 2013, 64.

<sup>893</sup> იხ. სასამართლო რეფორმის ძირითადი მიმართულებები, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006, 26.

<sup>894</sup> საქართველოს კონსტიტუციის მუხლი მე-5, ნაწილი მე-4.

<sup>895</sup> იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 25.

ლია საყოველთაოდ აღიარებული გაეროსა<sup>896</sup> და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის<sup>897</sup> მიერ რეკომენდირებული პრინციპებით, რომლებმაც მოსამართლეებს დამოუკიდებლობის, ხოლო ხელისუფლების სხვა შტოებს არამართლზომიერი ქმედებისგან თავის შეკავების პირობა უნდა შეუქმნას.<sup>898</sup>

„სამოქალაქო საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელება ემყარება მხოლოდ ერთ მიზანს, მოწესრიგდეს და აღმოიფხვრას საზოგადოებრივ ურთიერთობებში წარმოშობილი კონფლიქტი, საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეებმა ხელშეშლის გარეშე, მისთვის ხელსაყრელ და სასურველ პირობებში შეძლონ თავიანთი უფლებების განხორციელება.“<sup>899</sup>

მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო სასამართლოა, ხოლო მოსამართლე – სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს მართლმსაჯულებას და, ასევე, უზრუნველყოფს მის დაცვასა და აღსრულებას შესაბამისი პირების მიერ.

„მართლმსაჯულების განხორციელების წესი ზუსტად და ამომწურავადაა განსაზღვრული კანონით. კერძოდ: დასაშვებია მხოლოდ ისეთი საპროცესო მოქმედების შესრულება და იმ წესით, რომელიც კანონითაა გათვალისწინებული, სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დადგენილია კანონით ზუსტად განსაზღვრული მტკიცების საშუალებებით, მხარეებს უზრუნველყოფილი აქვთ საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება, აგრეთვე საქმის წარმოება წარმომადგენლის (ადვოკატის) მეშვეობით, პირს, რომელიც თვლის, რომ მის მიმართ გამოტანილია დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, უფლება აქვს გაასაჩივროს იგი ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, სასამართლო გადაწყვეტილებათა კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით შექმნილია სპეციალურ ორგანოთა და მათი საქმიანობის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა მწყობრი სისტემა და სხვა.“<sup>900</sup>

იმისათვის, რომ მოსამართლემ მართლმსაჯულება განახორციელოს, აუცილებელია კანონისა და საკუთარი შინაგანი რწმენის შესაბამისად, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღოს.

მოსამართლის უმთავრესი ფუნქცია მართლმსაჯულების განხორციელებაა. მართლმსაჯულების განხორციელების თანმდევი და თანასწორი

<sup>896</sup> გაერთიანებული ერების ადამიანთა უფლებების დოკუმენტები. „ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ“, მიღებულია გაეროს დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მიერ. მილანი 1985 წლის 26 აგვისტო–6 სექტემბერი. ძალაშია გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებით, შესავალი. სასამართლოს დამოუკიდებლობა, წიგნი II, თბ., 1999.

<sup>897</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1994 წლის 13 ოქტომბრის რეკომენდაცია №R92(12) „მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ“.

<sup>898</sup> იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 18.

<sup>899</sup> *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 41.

<sup>900</sup> *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ე., ძლიერიშვილი ზ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 32.



ფუნქციაა მოსამართლე ემსახუროს საზოგადოებას კანონის უზენაესობის შესაბამისად, როგორც მართლმსაჯულების უმთავრესი ღერძი.

## 4.2. საქმის შესწავლა

„ყოველი კონკრეტული საქმე მოსამართლემ ყურადღებით, აუჩქარებლად, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა განიხილოს და მხარეების მიმართ მომთმენი, დაკვირვებუი და დამაჯერებელი იყოს“.<sup>901</sup>

სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი. იგი ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები შეასრულოს ყურადღებით და თვითკონტროლის საფუძველზე. საქმის განხილვის დროს მოსამართლემ უნდა იმოქმედოს როგორც კანონის, ასევე შინაგანი რწმენის და ინდივიდუალური შეხედულებების საფუძველზე, მაგრამ არა თვითნებურად.<sup>902</sup>

იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას მორიგება, უპირველეს ყოვლისა, ზუსტად და ობიექტურად უნდა შეფასდეს რისკები, რომლებიც მოურიგებლობის შემთხვევაში თვალსაჩინო იქნება. ამ რისკების შეფასების საუკეთესო გზა კი სადავო საქმის ყველა ფაქტისა და გარემოების შესახებ ინფორმაციის ფლობაა.<sup>903</sup>

„მორიგებისას, სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, მოსამართლე, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული უნდა იყოს დავის საგანსა და სამართლებრივ მდგომარეობაზე, შესაბამისად, დიდ წილად იგივე კრიტერიუმებზე, რომლებზედაც იგი ორიენტირებულია საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას“.<sup>904</sup>

მოსამართლე ვალდებულია ზედმიწევნით იცნობდეს საქმის არსს,<sup>905</sup> ფაქტობრივ გარემოებებს, რომელზეც შემდგომში მორიგება უნდა განხორციელდეს. შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლემ იმთავითვე უნდა იცოდეს, შესაძლებელი იქნება თუ არა მორიგებით საქმის წარმოების დამთავრება. „მორიგების შეთავაზების წინაპირობას წარმოადგენს საქმის საგნისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველიანი ანალიზი, რაც ძირითადად არ განსხვავდება იმ პროცესისაგან, რაც აუცილებელია მოსამართლის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისათვის“.<sup>906</sup>

საქმის არსს, უპირველეს ყოვლისა, სარჩელის შინაარსი და მისი შემადგენელი ელემენტების ერთობლიობა ქმნის. ნებისმიერი ინფორმაცია საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და ამ გარემოებების საფუძველად არსებულ მტკიცებულებების თაობაზე, უპირველესად, სასარჩელო განცხადებაში აისახება. სარჩელი, ეს ის უმთავრესი და ფუძემდებლური დოკუმენტია, რომელიც ხდება საქმის წარმოების აღძვრის, სასამართლო-

<sup>901</sup> იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, (ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა), ვაშინგტონი, 2009, 94.

<sup>902</sup> იხ. იქვე, 101-102.

<sup>903</sup> Cory M. V. Jr., How to Negotiation the Best Settlement, Danks, Miller & Cory 213 South Lamar Jackson, MS, 2011, 3, < <http://danksmillercory.com/> >, [19.05.2016].

<sup>904</sup> ჭანტურია ლ., ბოელინგი პ., სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 93.

<sup>905</sup> აღნიშნული განსაკუთრებით ეხება მომხსენებელ მოსამართლეს და თავმჯდომარეს, მათი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე. ჭანტურია ლ., ბოელინგი პ., სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 51.

<sup>906</sup> ჭანტურია ლ., ბოელინგი პ., სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 92.

ში საქმის განხილვისა და მორიგების წინაპირობა. „სარჩელის ელემენტებზე და მომავალი სასამართლო გადაწყვეტილების ხასიათი“.<sup>907</sup>

სარჩელს ორი ელემენტი აქვს: სარჩელის საგანი და საფუძველი. სარჩელის საგანი არის ის, რასაც მოსარჩელე იცავს სასამართლო წესით, მოსარჩელემ სასამართლოს შესაძლოა სთხოვოს რაიმეს მიკუთვნება, აღიარება თუ შეცვლა. სარჩელის საფუძველი ის გარემოებებია, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს მოპასუხის წინააღმდეგ მიმართულ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას.<sup>908</sup> სწორედ სარჩელში განისაზღვრება და ყალიბდება მოთხოვნა, თუ რა პეტენზია აქვს მოდავე მხარეს და, რომელი უფლებაა დარღვეული. სარჩელი წარმოადგენს იმ ფორმალურ სამართლებრივ ობიექტს, რომელზეც შემდგომ მორიგება უნდა განხორციელდეს.<sup>909</sup>

მოსამართლის მიერ საქმის შესწავლის საკითხს უკავშირდება იმის განსაზღვრაც, შესაძლებელია თუ არა მორიგების დამტკიცება დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის ეტაპზე და კერძო საჩივრის შეტანის ეტაპზე მხარეთა მორიგებისას. აღნიშნული კითხვების არსი ისაა, რომ მორიგების დამტკიცების დროს მოსამართლე არ ეცნობა საქმის არსებით მხარეს და შემოფარგლულია მხოლოდ კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელებით, რაც უკანონო მორიგების დამტკიცების შესაძლებლობას წარმოშობს.<sup>910</sup>

მოსამართლეებს მიაჩნიათ, რომ მხარეთა ინტერესებისა და დისპოზიციურობის პრინციპის დაცვის, ასევე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, მორიგების დამტკიცება შესაძლებელია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.<sup>911</sup> ამასთან, მიღებულ უნდა იქნეს ყველა ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკანონო მორიგების დამტკიცება. მორიგებისას სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული პროცესუალური მოქმედებით, უნდა გასცდეს საჩივრისა და კერძო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს, უნდა შეისწავლოს საქმე და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაამტკიცოს მორიგება.<sup>912</sup> ამდენად საქმის შესწავლის საკითხი ერთმნიშვნელოვნად არსებითია, რათა მინიმუმამდე შემცირდეს უკანონო მორიგების დამტკიცების ალბათობა.

### 4.3. დავის სწორი გადაწყვეტა

„მოსამართლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სამართლებრივი დავის სწორი და სწრაფი გადაწყვეტა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად იგი თავდაპირველად ეცდება მხარეები შეთანხმების, კერძოდ, მორიგების გზით

<sup>907</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 298.

<sup>908</sup> ვრცლად იხ. იქვე, 299-300.

<sup>909</sup> იქვე.

<sup>910</sup> იხ. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, XXX, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სუს, თბ., 2007, 39.

<sup>911</sup> Moffitt M., Pleading in the Age of Settlement, Indiana Law Journal, 2005, 737.

<sup>912</sup> იხ. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, XXX, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სუს, თბ., 2007, 39.

მიიყვანოს დავის დასრულებამდე, ან ასეთ შეთანხმებას მედიაციის გზითა და ფარგლებში მიაღწიოს. ბუნებრივია, ასეთი უდავო და შეთანხმებაზე დაფუძნებული შედეგი სასურველია, მაგრამ მისი მიღწევა ყოველთვის არაა შესაძლებელი. „თუ მორიგება ვერ ხერხდება, მოსამართლემ სადავო წარმოების გზით უნდა გადაწყვიტოს სადავო საკითხი“.<sup>913</sup>

მოსამართლის ფუნქციები ყოველთვის ასე არ იყო. „რომის სამოქალაქო პროცესის თავისებურება ის იყო, რომ სამართალწარმოება ორ სტადიად იყო გაყოფილი. სამოქალაქო პროცესის პირველ სტადიას ერქვა „in iure“, მეორეს – „in iudicio“. სამოქალაქო პროცესის პირველ სტადიაში მონაწილეობდნენ მოსარჩელე, მოპასუხე და მაგისტრი მოსამართლე. ამასთან, ამ უკანასკნელს მოსამართლის როლი არ ჰქონდა. ის მხოლოდ მხარეთა სახეიმო-იურიდიულ აქტში მონაწილეობდა და წარმოსთქვამდა სათანადო რიტუალით გათვალისწინებულ სიტყვებს“.<sup>914</sup>

თავის მხრივ, მართლმსაჯულების განხორციელება მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების სათანადო განმარტებასთან და დავის სწორ კლასიფიკაციასთანაა დაკავშირებული. იურიდიული კლასიფიკაცია არსებითი ფაქტორია ნებისმიერი სადავო ურთიერთობის მოწესრიგებისას, არასწორმა კლასიფიკაციამ შესაძლოა მცდარ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანოს, რომლის საფუძველი შესაძლოა იყოს არა მხოლოდ დავის კლასიფიკაციის საკითხი, არამედ, თითქოს ერთი შეხედვით, მცირე და უმნიშვნელო შეცდომაც კი.<sup>915</sup>

სსსკ-ის 394-ე მუხლი ადგენს საპროცესო ნორმების დარღვევის იმ შემთხვევებს, რომლებიც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. ეს საფუძველი შეიძლება იყოს საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა ან არასწორი გამოყენება, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ასეთმა დარღვევამ საქმე არსებითად არასწორად გადაწყვიტა.<sup>916</sup> რაც შეეხება მატერიალური სამართლის ნორმის შეცდომით გამოყენებას, ეს ის შემთხვევაა, როცა „სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მხარეთა სამართალურთიერთობები და დავა გადაწყვიტა სხვა სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი კანონის საფუძველზე“.<sup>917</sup>

იმისათვის, რომ მოსამართლემ აღასრულოს მართლმსაჯულება, აუცილებელია კანონისა და საკუთარი შინაგანი რწმენის შესაბამისად მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება. ამ ფუნქციას სასამართლო ახორცი-

<sup>913</sup> შმიტი შ., რიპტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013, 7.

<sup>914</sup> ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2001, 24-25.

<sup>915</sup> მოსამართლის მიერ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის არასამართლებრივ განმარტებასთან დაკავშირებით არსებობს ორი მოსაზრება. პირველი, რომ, ზოგადად, მოსამართლეებიც მიდრეკილები არიან შეცდომისკენ და მეორე, რომ მოდავე მხარეებმა სამოსამართლო შეცდომების თავიდან არიდების მიზნით დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებს უნდა მიმართონ. Lande J., Judging Judges and Dispute Resolution Processes, Nevada Law Journal, 2007, 457-458.

<sup>916</sup> იხ. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 559.

<sup>917</sup> იხ. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 560.

ელებს როგორც უფლისაგან მონიჭებულ უფლებას – „ქმნას მართალი სამართალი“.<sup>918</sup>

მოსამართლე ვერ იქნება წარმატებული და ვალმოხდილი, თუ არ ექნება მუდმივი მიზანი – ემსახურო საზოგადოებას. თავისუფლება, მშვიდობა, წესრიგი და ჯანსაღი მმართველობა საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, მართლმსაჯულების ძალა სწორედ ისაა, რომ საზოგადოება კანონის შესაბამისად მართოს.<sup>919</sup>

#### 4.4. მორიგების შეთავაზება

##### 4.4.1. მორიგების შეთავაზების ფორმა

მორიგების შეთავაზება<sup>920</sup> მოსამართლის პრეროგატივაცაა და ვალდებულებაც.<sup>921</sup> მოსამართლის მცდელობა, საქმე მორიგებით დაამთავროს, სწორედ მორიგების შეთავაზებით უნდა დაიწყოს.<sup>922</sup> მოსამართლის მხრიდან მორიგების შეთავაზება მიზნად ისახავს მოსამართლეზე სწორი წარმოდგენის შექმნას და მართლმსაჯულების მიმართ ნდობის განმტკიცებას.<sup>923</sup>

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მორიგებას კარგი შუამავალი სჭირდება. სასამართლოსმიერი მორიგებისას მოსამართლე საუკეთესო პირი და მრჩეველია.<sup>924</sup>

შესაძლოა, მხარეთა სურვილი მორიგებაზე შეთავაზების ეტაპზე არც არსებობდეს, მაგრამ საქმის ირგვლივ მოსამართლის მიერ გაკეთე-

<sup>918</sup> იხ. *ლაზარაშვილი ლ.*, „საზოგადოებას უნდა სწამდეს, რომ სასამართლოს შეუძლია შეასრულოს თავისი ნამდვილი ფუნქცია – ადასრულოს მართლმსაჯულება“, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006, 58-59.

<sup>919</sup> Brennan G., (Chief Justice of Australia), *The Role of the Judge, National Judicial Orientation Programme*, 1996, <[http://www.hcourt.gov.au/assets/publications/speeches/former-justices/brennanj/brennanj\\_wollong.htm](http://www.hcourt.gov.au/assets/publications/speeches/former-justices/brennanj/brennanj_wollong.htm)>, [19.05.2016].

<sup>920</sup> ზოგიერთ ქვეყანაში მორიგება განსაზღვრულია როგორც პროცესი, სადაც ნეიტრალური პირი კისრულობს გაცილებით აქტიურ, გადაწყვეტის შემთავაზებელ როლს. იხ. *ოსტერმიდლერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 123, სქოლიო 85. შემდგომი მითითებით: e.g., *Dispute Resolution Terms, National Alternative Dispute Resolution Advisory Council (Australia) at 3 (2003)* ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [http://1.1.1.1/467929504/472002888T080531121212.txt.binXMLysM0dapllication/pdfXsysM0dhttp://www.nadrac.gov.au/agd?WWW/rwpattach.nsf/VAP/\(CFD7369FCAE9B8F32F341DBE097801FF\)~1Report8\\_6Dec.pdf/Sfile/1Report8\\_6DEC.pdf](http://1.1.1.1/467929504/472002888T080531121212.txt.binXMLysM0dapllication/pdfXsysM0dhttp://www.nadrac.gov.au/agd?WWW/rwpattach.nsf/VAP/(CFD7369FCAE9B8F32F341DBE097801FF)~1Report8_6Dec.pdf/Sfile/1Report8_6DEC.pdf) (უკანასკნელი განახლების თარიღი: 19 ოქტომბერი, 2008).

<sup>921</sup> *Maureen A. W.*, *Confidentiality’s Constitutionality: The Incursion on Judicial Powers to Regulate Party Conduct to Regulate Party Conduct in Court-Connected Mediation*. *Harvard Negotiation Law Review*, Spring 2003, 3.

<sup>922</sup> ზოგიერთ სასამართლო სისტემაში, მედიაციის შეთავაზება სარჩელის შეტანის წინაპირობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელეს მოეთხოვება მედიაციის შეთავაზება მოპასუხისთვის და ამ უკანასკნელის გადაწყვეტილება განაპირობებს იმას, თუ როგორ წარიმართება დავის განხილვა-გადაწყვეტა, მედიაციით თუ საქმის წარმოების პროცესით. იხ. *ოსტერმიდლერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 136.

<sup>923</sup> იხ. *კანტურია ლ., ბოელინგი პ.*, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება-თა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 93.

<sup>924</sup> იხ. *კოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), *ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები*, სუს, თბ., 2010, 27.



ბული განმარტებისა და რეკომენდაციების საფუძველზე გაჩნდეს ერთგვარი მცდელობა, რომ მოცემული მომენტისათვის საქმე დროებით გადაიდოს.

მოსამართლემ ყოველ ღონეს უნდა მიმართოს მორიგებისათვის.<sup>925</sup> სსს-ის 372-ე მუხლითა და 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. „ყოველი ღონის მიმართვა“ გულისხმობს მოსამართლის მიზანმიმართულ და პროფესიულ<sup>926</sup> მცდელობას, დაარწმუნოს მხარეები მორიგებით საქმის დამთავრების უპირატესობაში.

აღნიშნული მიზნით, მოსამართლე ვალდებულია, სათანადო ფორმით, განუმარტოს მხარეებს მოურიგებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების ერთ-ერთი მხარისათვის საზიანო შედეგი. საქმის წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით ორივე მხარე ვერ მიიღებს სასურველ შედეგს, მორიგების შემთხვევაში კი ეს სავსებით შესაძლებელი, მეტიც – გარანტირებულია. მორიგების შეთავაზების პარალელურად, სასამართლო ვალდებულია, მოდავე მხარეებს მორიგების შედეგებიც განუმარტოს.<sup>927</sup>

მორიგების შეთავაზების ღონისძიებები და კონკრეტული გამოვლინებები სხვადასხვაგვარია. მინიმალური ღონისძიება მხარეების შესაბამისი კონსულტირებაა, ხოლო მაქსიმალური – მორიგების კონკრეტული წინაპირობების შექმნა. კონსულტაციის პრაქტიკული ღირებულება მისი დროულობაა, ანუ მოსამართლის ქმედება – სასარგებლო ინფორმაცია გასცეს საჭირო დროს. მისი მოგვიანებით შესრულება, შესაძლოა, მოსამართლის მხრიდან ზეწოლად იქნეს მიჩნეული.<sup>928</sup> მოსამართლე მხარეებისათვის სა-

<sup>925</sup> „სასამართლო აჭიანურებდა პროცესის დასრულებას, იმ მიზნით რომ მხარეები როგორმე შეთანხმებულიყვნენ“. იხ. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 66. შემდგომი მითითებით: *Haft, FritJof, Verhandlung und Mediation*, in: *Haft, FritJof./ von Schlieffen, Katherina./(Hrsg.) Hanbuch Mediation*, 2. Auflage, „Beck“, München, 2009, s. 72-73.

<sup>926</sup> „ინგლისელები არ ერიდებიან იმის აღნიშვნას, რომ მედიაციის დროს მედიატორს შეუძლია მხარეთა „მოთაფლვასაც“ არ მოერიდოს შეთანხმების მიღწევის გზაზე“. ვრცლად იხ. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 236. შემდგომი მითითებით: *Andreas, Neil*, Mediation: A Pillar of Civil Justice in Modern English Practice, in: *Zeitschrift Für Zivilprozess International*, 12. Band. 2007, „Carl Heymann“, Köln, 2008, s. 3.

<sup>927</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-95-375-08. კასატორებმა განმარტეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მორიგების რეალური შესაძლებლობა, სასამართლომ არ მიიღო ამისათვის საჭირო ზომები. კერძოდ, საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით არ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით შესვენების გამოცხადების შესაძლებლობა, რათა სასამართლო სხდომის მიმდინარეობისა და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოესმინა მხოლოდ მხარეებისათვის. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, სააპელაციო მოსამართლე იღებს ზომებს საქმის მორიგების დამთავრების მიზნით. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-513-482-10.

<sup>928</sup> *Merrills J. G.*, *International Dispute Settlement*, New York, 2005, 3.

ერთო ინტერესებზე ხაზგასმას ფრთხილად და კონკრეტული ტექნიკით უნდა შეეცადოს.<sup>929</sup>

#### 4.4.2. მორიგების შეთავაზების საფუძვლები

მოსამართლის მცდელობა, საქმე მორიგებით დასრულდეს, მორიგების შეთავაზებით უნდა დაიწყოს, რომელიც მხოლოდ მოსარიგებელი წინადადების შეთავაზებით არ უნდა შემოიფარგლოს.<sup>930</sup>

მოსამართლეების ერთი ნაწილი უფრო მეტად ცდილობს ჩართოს<sup>931</sup> მხარეები მოლაპარაკების პროცესში, მაშინ როცა, მოსამართლეების მეორე ნაწილი, საკითხისადმი სუბიექტური დამოკიდებულებით, ასე მონდომებული არაა.<sup>932</sup> ეს მაშინ, როცა მორიგების შეთავაზება მოსამართლის პრეროგატივაა და ვალდებულებაა.

აუცილებელია მოსამართლე სწორად აფასებდეს გარემოებებს, ფაქტებს, განჭვრიტოს სამომავლო პერსპექტივები და ერთგვარად იწინასწარმეტყველოს საქმის განვითარების მომავალი, მორიგებისთვის შექმნას შესაბამისი გარემო, სიტუაცია, შეარჩიოს ზუსტი დრო და ადგილი ამისათვის. ასევე, აუცილებელია სამართლიანობის განცდა და გონივრულობა, ცხოვრებისეული გამოცდილება, ადამიანების ხასიათის ცოდნა, ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, კეთილგანწყობა, დარწმუნების უნარი, ცოდნა, თუ როდის უნდა გააგრძელოს საკითხის განხილვა, ან პირიქით – განტვირთვის მიზნით, გამოაცხადოს შესვენება.<sup>933</sup>

„მორიგების შეთავაზება ხდება სამართლებრივ დავაზე გადაწყვეტილების გამოტანის საბოლოოდ მომწიფებამდე ან სასამართლოს, განსაკუთრებით, თუ საქმეს იხილავს კოლეგიური სასამართლო, შინაგანი რწმენის საბოლოოდ ჩამყალიბებამდე. უკვე ჩამოყალიბებული შინაგანი რწმენის მიუხედავად, რის შესახებაც მორიგების თაობაზე მხარეებთან გასაუბრების დროს სასამართლოს უფლება აქვს მიუთითოს, მაგალითად, საექვო შემთხვევებში, მორიგების შესაძლებლობა ჯერ კიდევ რჩება, თუ სავარაუდოა, რომ სამართლებრივ დავასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში ზემდგომი სასამართლო სხვაგვარად შეაფასებს“.<sup>934</sup>

„აქამდე სასამართლოები თავს იკავებენ შესთავაზონ მხარეებს დავის მორიგებით დასრულება, რადგან ამგვარი წინადადება განიხილება როგორც მოსამართლის მიკერძოებულობა და მხარის მიერ შესაძლოა გა-

<sup>929</sup> იხ. *კოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.* (შემდგენლები), *ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები*, სუს, თბ., 2010, 25.

<sup>930</sup> იგ. მხოლოდ სიტყვიერი შეთავაზება.

<sup>931</sup> იგ. მოსამართლის პროფესიონალური ძალისხმევა დაიყოლოს მხარე მორიგებისკენ პირველი ნაბიჯის გადადგმაზე.

<sup>932</sup> *Cornes D.*, *Commercial Mediation: The Impact of the Courts*, TOMSON, Sweet & Maxwell Limited, 2007, 17.

<sup>933</sup> იხ. *კოვიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.* (შემდგენლები) *ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები*, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2010, 41-42.

<sup>934</sup> *ლიუტრინგჰაუსი პ.*, *სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდთა, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი*, 18-21 ოქტომბერი, 2007, 135.

მოყენებულ იქნეს აცილების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენის საფუძველად და დასაბუთებად“.<sup>935</sup>

„მოსამართლის წინადადება, დავის მორიგებით დასრულების თაობაზე არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება გახდეს მხარის აცილების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენის საფუძველი, სსსკ-ის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოს ობიექტურობის, მიუკერძოებლობის არარსებობის გამო, მაშინაც კი, თუ მოსამართლე გამოხატავს თავის შეხედულებას სამართალწარმოების შემდგომი მიმდინარეობისა და შესაძლო ან სავარაუდო შედეგის შესახებ“.<sup>936</sup>

მოსამართლე არაა უფლებამოსილი, უარი თქვას მორიგების შეთავაზებაზე იმ საფუძველით, რომ იგი საქმის წარმოების წარმართვის შედეგად უკეთესი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ვარაუდობს. რამდენადაც უფრო კვალიფიციური და მაღალპროფესიონალია მოსამართლე, მით მეტ საქმეს გადაწყვეტს მორიგებით. ამასთან, მოსამართლის მცდელობა, საქმის წარმოება მორიგებით დაასრულოს, ორ ძირითად ფაქტორს ეფუძნება – მორიგების მიღწევა შესაძლებელი უნდა იყოს, ხოლო მოსამართლე – მორიგების ინიციატორი.<sup>937</sup>

მოსამართლის მხრიდან ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისას, აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მოქმედებები: „ჩართვა“ და „ჩარევა“.<sup>938</sup> მოსამართლის მხრიდან მორიგების მცდელობის პროცესში ჩართვა მხარეთა ნებაყოფლობითობისა და კანონის ნებადართულობის საფუძველზე ხორციელდება. კერძოდ, „ჩართვისას“ უფლებამოსილი პირი სათანადო ფორმით ცდილობს კანონით დაშვებული მოქმედების სათანადო მიზნის მიღწევისთვის განხორციელებას.<sup>939</sup> რაც შეეხება „ჩარევას“, ის არაუფლებამოსილი პირის მიერ არასათანადო ფორმით ხორციელდება და კანონს ეწინააღმდეგება, რაც მოცემულ საკანონმდებლო შემთხვევაში არ გეხვედება.

მორიგებით საქმის წარმოების დამთავრება მოსამართლის ამოცანა და მთავარი ფუნქციაა. ამდენად, მისი როლი არ შეიძლება იყოს პასიური პროცესუალური თვალსაზრისით. მართალია, მორიგების პირობებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მხარეთა პრეროგატივაა, მაგრამ მორიგების პროცესი მოსამართლის კონკრეტული როლის და ფუნქციის გარეშე წარმოუდგენელია.

<sup>935</sup> ლიუტრინგჰაუსი პ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდთა, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007, 134.

<sup>936</sup> იქვე.

<sup>937</sup> Lacey F. B., The Judge's Role in the Settlement of Civil Suits., Education and Training Series, The Federal Judicial Center, Leo Levin A., (Director), Ebersole J. L. (Deputy Director), Crawford K. C., Nihan C. W., Eldridge W.B., O'Donnell A. L., (Division Directors), Washington, D.C. 2005, 5-6.

<sup>938</sup> მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა პრეროგატივაა დავის მორიგებით გადაწყვეტა და ამ პროცესში სასამართლოს ჩარევა დაუშვებელია. მაგრამ, თუ ხდება სასამართლო სისტემაში ასეთი ჩარევები, ეს მეტყველებს არა კონკრეტული მოსამართლის სამართლებრივ გაუთვითცნობიერებაზე, არამედ ზოგადკონცეპტუალურ დარღვევაზე, რაც მეტად სახიფათო ტენდენციაა სახელმწიფოსთვის. იხ. ქორია გ., სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის თეორიულ-პრაქტიკული კომენტარები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, თბ., 2002, 28.

<sup>939</sup> ასეთი მცდელობის სახედ უნდა მივიჩნიოთ მოსამართლის ინიციატივა, რომ საქმის წარმოება მორიგებით დასრულდეს.

## თავი V. საქმის წარმოების მხარეების სტატუსი და ფუნქციები მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტისას

### 1. საქმის წარმოების მხარეების სტატუსი მორიგების პროცესში

#### 1.1. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები

საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოუდგენელია ურთიერთობის მონაწილე პირთა გარეშე. თავად ურთიერთობა სწორედ ორი ან მეტი პირის ერთმანეთთან ურთიერთკავშირისა და მათი ინტერესების ურთიერთდამოკიდებულების შედეგია. მხარეთა ცნებას უკავშირდება ფაქტორი, თუ ვინ ითვლება მხარედ და ვის შორის ხორციელდება მორიგება.

„სამართლებრივი ურთიერთობა 1) წარმოიშობა მხოლოდ სამართლის ნორმის საფუძველზე; 2) ყალიბდება მხოლოდ სამართლის სუბიექტებს შორის; 3) სამართლებრივ ურთიერთობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ორზე ნაკლები სუბიექტი“.<sup>940</sup>

სამართლებრივი ურთიერთობის, ანუ სამართლის, სუბიექტებად გვევლინებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებზეც ვრცელდება სამართალი და, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით.<sup>941</sup>

„სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ორგანიზაცია, ორგანო ან მისი სტრუქტურა, ასევე, ორგანიზაციის წევრები, იურიდიული და ფიზიკური პირები. სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების წრე ნორმატიულადაა დადგენილი. სამართლის ნორმა განსაზღვრავს იმ სუბიექტებს, რომელთა შორის შეიძლება წარმოიშვას სამართლებრივი ურთიერთობა. სამართლის სუბიექტი თვითონ ვერ განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის საფუძველებს. ამავე დროს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მასში მონაწილე სუბიექტების ქცევაზე“.<sup>942</sup>

„სამართლის სუბიექტი ორმაგი ბუნების მქონე ცნებაა. ერთი მხრივ, სამართლის სუბიექტი წარმოგვიდგება, როგორც მართლწესრიგის ნაწილი, მეორე მხრივ, სამართლის სუბიექტი გვევლინება როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც სათანადო უფლებამოსილებით ან ვალდებულებითაა აღჭურვილი“.<sup>943</sup>

ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს შეადგენს ამ ურთიერთობის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები. უდავო ფაქტია, რომ სამართალი ვრცელდება ყველაზე ყველა ფიზიკური და იურიდიულ პირი აღჭურვილია იურიდიული შესაძლებლობით, ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით. პირები, როცა მიმართავენ სასამართლოს დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად, ხდებიან სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის მონაწილეები, რაც უკვე პროცესუალურ

<sup>940</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2015, 253.

<sup>941</sup> იხ. ლილეუაშვილი თ., ლილეუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 121.

<sup>942</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2015, 255.

<sup>943</sup> იქვე.



რი უფლებაუნარიანობაა. „სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა – ესაა პირის უნარი, მისი იურიდიულად უზრუნველყოფილი შესაძლებლობა, ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები“.<sup>944</sup>

ერთმანეთისგან განასხვავებენ სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტებსა და სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის სუბიექტებს. სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტებია პირები, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ სამოქალაქო საპროცესო სამართლით გათვალისწინებული უფლებებით და შეასრულონ საპროცესო მოვალეობები. რაც შეეხებათ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის სუბიექტებს, ასეთ სუბიექტებად გვევლინება ისეთი პირები რომლებაც დაამყარეს საპროცესო ურთიერთობა სასამართლოსთან.<sup>945</sup>

## 12. მხარეები სამოქალაქო პროცესში

„მხარეები სამოქალაქო პროცესში ეწოდება იმ პირებს, რომელთა სახელით მიმდინარეობს საქმე და, რომელთა შორის დავა სამოქალაქო უფლების შესახებ სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს“.<sup>946</sup>

დავა უფლების შესახებ გულისხმობს ორ მხარეს: ერთი ის, ვინც დაიწყო საქმე, ალბრა მოთხოვნა და, მეორე ის, ვის წინააღმდეგაც არის წამოყენებული მოთხოვნა, ვინც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. პირველს ეწოდება მოსარჩელე, მეორეს – მოპასუხე, ხოლო ორივეს – მხარეები (მოდავე მხარეები).<sup>947</sup>

საჯარო სამართლებრივი ნორმებისაგან განსხვავებით, კერძო სამართლებრივი ნორმების ამოქმედება დაკავშირებულია დაინტერესებული პირის ინიციატივასთან, რომლის უფლებებიც დარღვეულია, ან რომელსაც დარღვევის საფრთხე ემუქრება.<sup>948</sup>

სასამართლოში საქმე აღიძვრება ერთ-ერთი მხარის მიერ და მიმართულია მეორე მხარის წინააღმდეგ. საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობას ჰყავს მხარეები – მოსარჩელე და მოპასუხე, რომლებიც კანონის საფუძველზე დამყარებული ურთიერთობის შედეგად ცდილობენ დავის გადაწყვეტას და მათთვის სასარგებლო შედეგის მიღებას. სასამართლოშიც, საქმე აღიძვრება ერთ-ერთი მხარის მიერ და მიმართულია მეორე მხარის წინააღმდეგ.

საქმის წარმოების პროცესსა და მორიგებას ორი მხარე ჰყავს, თითოეულ მხარეს შესაძლებელია იყოს მრავალი პირი. მაგრამ, ამა თუ იმ მხარეს მონაწილეთა რაოდენობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მხარე ორია – მოსარჩელე და მოპასუხე.<sup>949</sup>

მართალია, საქმის წარმოებას ჰყავს მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე, მაგრამ საქმის წარმოების არსებითად განხილვისა და დასრულები-

<sup>944</sup> ლილეა შვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 78.

<sup>945</sup> იქვე, 50.

<sup>946</sup> იქვე, 82.

<sup>947</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 80.

<sup>948</sup> იხ. ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2001, 8.

<sup>949</sup> იხ. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 80.

სას ისინი იცვლიან სტატუსს და გვევლინებიან მოგებულ და წაგებულ მხარეებად.

ერთი პირის მიერ სასამართლოში საქმის წარმოება შესაძლოა უკავშირდებოდეს უდავო წარმოების ფაქტს. შესაბამისად, ერთი პირი თავის თავს ვერ მოურიგდება. სამართლებრივი ურთიერთობა არის ორ ან მეტ სუბიექტს შორის სამართლის ნორმით განსაზღვრული ურთიერთობა.

### 1.3. მხარეების თანასწორობა და ინტერესები

მორიგებისთვის აუცილებელია ორი ან მეტი პირის არსებობა და ყველა მხარის მიერ გამოხატული ნება საქმის წარმოების მორიგებით დამთავრების თაობაზე. ამასთან, მორიგების მხარეთა სიმრავლე და ორმხრივი დათმობა დამოუკიდებელი სამართლებრივი კატეგორიებია.

საქმის წარმოების მორიგებით დასრულების წინაპირობაა მხარეთა თანასწორუფლებიანობა. სსსკ-ის 83-ე მუხლის თანახმად, მხარეები თანაბარი საპროცესო უფლებებით სარგებლობენ. მხარეთა საპროცესო უფლებების ჩამონათვალი საკმაოდ ფართო და ყოვლისმომცველია. მხარეთა შორის თანაბრად გადანაწილებულ უფლებებს შორის მხარეთა მორიგების უფლებასაც წამყვანი ადგილი უკავია.

მხარეთა თანასწორობის ერთ-ერთი გამოხატულება ის გარემოებაა, რომ სასამართლო სხდომის ყველა მხარესთან თანასწორ მოპყრობას, მათ შორის, ყველა პირის ინტერესების სათანადო გათვალისწინებას, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობების შესრულებისათვის.<sup>950</sup>

„დავის დროს მხარეები ურთიერთდაპირისპირებულები არიან, მაგრამ რადგან ისინი თანასწორუფლებიანები არიან ურთიერთობებში, კონფლიქტი ვერ იქნება თავიდან აცილებული ერთ-ერთი სუბიექტის ნება-სურვილით, არამედ ასეთ შემთხვევაში კონფლიქტი უნდა გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა ერთობლივი ძალისხმევით“.<sup>951</sup>

სამართლებრივი დავის ძირითადი პრობლემა მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარეობს. ინტერესებიდან გამომდინარეობს მოსაზრებებიც და ამის შემდგომ ყალიბდება უკვე პოზიციები, რომლებიც სასარჩელო განცხადებაშია ასახული. მხარეთა ინტერესებს მიყვავართ საბოლოო პოზიციებამდე, რომლებზეც თავიდანვე უნდა მოხდეს კონცენტრაცია.

მორიგების დროს აუცილებელია ორივე მხარის ინტერესები თავიდანვე სწორად, ზუსტად განისაზღვროს, რადგან მორიგებისას სწორედ ინტერესთა მორიგება ხდება, მოსაზრებებისა და პოზიციების შეჯერების საფუძველზე.<sup>952</sup> მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი პოზიციებისა და მოსაზრებების სწორი შეფასება და ანალიზი მორიგების არსიდან გამომდინარე. მორიგების შედეგად მხარეთა ინტერესების მორიგება და შეთანხმება ხდება.<sup>953</sup>

<sup>950</sup> იხ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგაროლის პრინციპები“ და მისი კომენტარები, თბ., 2015, 175.

<sup>951</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 19.

<sup>952</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია, ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 46.

<sup>953</sup> იხ. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2015, 60.

## 2. საქმის წარმოების მხარეების ფუნქციები მორიგების პროცესში

### 2.1. თვითდახმარება

„რომის სახელმწიფოს განვითარების ადრეულ საფეხურზე სახელმწიფოს არ ჰქონდა შესაძლებლობა კერძო პირთა შორის სამართლებრივ ურთიერთობაში ჩარევისა. არ არსებობდა სახელმწიფოს სასამართლოები, რომლებიც განიხილავდნენ სამოქალაქო საქმეებს. უძველეს, ადრე სახელმწიფოებრიობის ხანაში უფლებების დაცვა კერძო საქმედ ითვლებოდა. თავის დაცვა თავად დაინტერესებულ პირს უხდებოდა,<sup>954</sup> რაც თვითდახმარების ერთ-ერთი გამოხატულება იყო – თითოეულს თავისი ძალით და საშუალებებით უნდა დაეცვა თავისი უფლება, რაც ამ უფლებების თუ უფლების დაცვას აძნელებდა“.<sup>955</sup>

თვითდახმარების ზოგადი განმარტებით, ის მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მართლზომიერად, თუკი არსებობს რეალური საფრთხე, რომ უფლება შეიძლება ვერ განხორციელდეს.<sup>956</sup> მორიგებაში, პირის მიერ თვითდაცვისთვის განხორციელებული ქმედება საკუთარი უფლების დათმობა და მორიგებაზე წასვლაა, მორიგების ინიციატივაა.<sup>957</sup> „უფლების დაცვის ისეთი ფორმა, როგორც თვითდაცვა (თვითდახმარება) იმით ხასიათდება, რომ დაინტერესებული პირი თვითონვე (დამოუკიდებლად) იღებს შესაბამის ზომებს სამართალდამრღვევი მოქმედების აღსაკვეთად (სსკ 118-ე მუხლი)“.<sup>958</sup> თვითდახმარება,<sup>959</sup> დავის ალტერნატიული წესით გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალებაა.<sup>960</sup>

საქმის წარმოება არაერთ პრინციპს ეყრდნობა, რომელთა შორისაა დისპოზიციურობის პრინციპი.<sup>961</sup> „დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო სამართალწარმოებაში – ესაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და გარანტირებული მხარეთა შესაძლებლო-

<sup>954</sup> იხ. *ნადარეიშვილი გ.*, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2001, 23.

<sup>955</sup> იქვე, 24.

<sup>956</sup> იხ. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 114.

<sup>957</sup> თვითდახმარება არ უნდა იყოს გაგებული კანონის პირდაპირი განმარტებით, არამედ, როგორც დავის გადაწყვეტის საშუალება, რომელსაც მხარე საკუთარი ნებით ირჩევს და მიმართავს. იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 281.

<sup>958</sup> *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 17-18.

<sup>959</sup> ხშირად, შესაძლოა, თვითდახმარება წარუმატებელი აღმოჩნდეს და პრობლემის გადაწყვეტის ნაცვლად გაცილებით დიდი პრობლემები შექმნას. იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 9.

<sup>960</sup> ზოგადად, ადამიანის უფლებების დაცვის განვითარებამ ხელი შეუწყო და სათავე მისცა მთელი რიგი კანონების მიღებას ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში, რაც, თავის მხრივ, წინაპირობა გახდა დავის ალტერნატიული წესით გადაწყვეტის სხვადასხვა მექანიზმების შემუშავებისა, არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, არამედ ზოგადად სამართლებრივ ურთიერთობებში. *Buergenthal T.*, *The Proliferation of Dispute, Dispute Settlement Procedures and Respect for the Rule of Law*, UK, 2006, 495.

<sup>961</sup> *Werner F. E.*, *Matthew W. Finkin.* C.H. Beck Kluver., *Introduction to German Law*, The Hague-London-Boston, 1996, 357.

ბა თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები“.<sup>962</sup>

კერძო სამართალი დაფუძნებულია ინდივიდის თვითგადაწყვეტის პრინციპზე (*self-determination*), დაარეგულიროს თავისი სამართლებრივი ურთიერთობები. სასამართლოსადმი მიმართვის ან არმიმართვის უფლება ამ პრინციპის საფუძველია. სასამართლო ვერ იქნება საქმის წარმოების ინიციატორი, რაც ვლინდება გამონათვამში: „თუ არ არის მოსარჩელე, არაა საქმის წარმოება“ (*there is no plaintiff, there is no judge*).<sup>963</sup>

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირების პროცესში, მისი მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული სუბიექტური უფლებებითა და მოვალეობებით განაპირობებს შემდგომში მათ ქცევას, არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში.<sup>964</sup>

თავად სასამართლო არ ახორციელებს სამართალწარმოებას დაინტერესებული პირების ინიციატივის გარეშე. მორიგების პროცესის წარმართვის ინიციატორი, მამოძრავებელი არის პროცესის მონაწილე პირების (და არა სასამართლოს) ინიციატივა. სასამართლო მხოლოდ დაინტერესებულ პირთა მიმართვის საფუძველზე იწყებს საქმის წარმოებას.<sup>965</sup>

თითოეული მხარის უფლება და ვალდებულება შეესაბამება სასამართლოს უფლებასა და ვალდებულებას და მხოლოდ ასეთი თანხვედრა და შესაბამისობაა განმსაზღვრელი მათ ურთიერთობაში.<sup>966</sup>

სასამართლო გადაწყვეტილებას აფუძნებს იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც მხარეთა მიერ არის წარმოდგენილი. სასამართლოს ესა თუ ის მოქმედება გამომდინარეობს მხარეთა მოთხოვნებიდან, ინიციატივიდან და სადავო საკითხებიც განიხილება იმ ფაქტებით, რომელთაც ისინი სასამართლოს წარუდგენენ.<sup>967</sup>

## 2.2. მხარის ინიციატივა მორიგებაზე

სასამართლო, როგორც საზოგადოებრივი ძალაუფლების მქონე ორგანო, დაინტერესებულია არა რომელიმე მხარით, არამედ მხოლოდ დავის სწორად გადაწყვეტის იმ საფუძველით, რომელიც მის ხელთაა. ის არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნებს, არ უნდა ეძიოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც მხარეებს არ წარუდგენიათ და განუცხადებიათ, ის თავად არაა უფლებამოსილი, მოძებნოს და მოიპოვოს მტკიცებულებები.<sup>968</sup>

სასამართლოს წინაშე მხარეები თანასწორუფლებიანები არიან.<sup>969</sup> მოსარჩელეც და მოპასუხეც თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.<sup>970</sup> ხში-

<sup>962</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №ას-531-764-08.

<sup>963</sup>იხ. *Werner F. E., Matthew W. Finkin. C.H. Beck Kluver., Introduction to German Law, The Hague-London-Boston., 1996, 359.*

<sup>964</sup>იხ. *თოდუა მ., ვილემსი პ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 7.*

<sup>965</sup>*Треушникова М. К., (Ред.), Хрестоматия по гражданскому процессу, М., 1996, с. 63.*

<sup>966</sup>*Чечина Н. А., Избранные труды по гражданскому процессу, М., 2004, с. 44.*

<sup>967</sup>*Треушникова М. К., (Ред.), Хрестоматия по гражданскому процессу, М., 1996, с. 63.*

<sup>968</sup>*Чечина Н. А., Избранные труды по гражданскому процессу, М., 2004, с. 44.*

<sup>969</sup>მხარეთა უთანასწორობის პირობებში შესაძლოა მორიგების მიღწევის შესაძლებლობა დაგვიანებული ან საერთოდ შეუძლებელი გახდეს.

<sup>970</sup>როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ სასარჩელო წარმოების მონაწილეები არიან მოსარჩელე და მოპასუხე. ყველა დანარჩენი არის პროცესის მონაწილე. ამდენად,



რია, როცა მორიგების თაობაზე თავდაპირველ მოთხოვნას, მოსარჩელე აყენებს,<sup>971</sup> რაც დაკავშირებულია მის მიერ მეორე მხარის მიმართ რისკების არასწორ შეფასებასა და მეტისმეტად მაღალი მოთხოვნის წამოყენებასთან. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა მორიგების შესაძლებლობა საერთოდ შეუძლებელი გახდეს.<sup>972</sup>

ამასთან, ხელმომჭირნე მომჩივანი შესაძლოა ზეწოლის მსხვერპლი გახდეს შეძლებული მოპასუხის მხრიდან. აღნიშნულს ის გარემოება განაპირობებს, რომ მისი საჭიროებები იმდენად დიდია, რომ მოპასუხეს შეუძლია აიძულოს იგი, დათანხმდეს თანხას, რომელიც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე თავად საქმის წარმოების დროს გასაწევი ხარჯი (საქმის წარმოების ღირებულება). ამდენად, ხელმომჭირნედ მყოფი მომჩივანი მხარე იძულებულია მორიგდეს, რადგან მას არ გააჩნია საპროცესო (საქმის წარმოების) ხარჯის გაღების საშუალება.<sup>973</sup>

მხარეთა თანასწორობის მიზნით, აუცილებელია გააზრებულ იქნეს, რომ მეორე მხარის ინიციატივით წამოსული მოთხოვნა არანაკლებ ეფექტური იქნება იმისთვის, რომ საქმის წარმოება მორიგებით დასრულდეს.<sup>974</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი მხარისგან წამოსული შეთავაზება ყველაზე შედეგიანი არის მაშინ, როცა მხარე არ ეძებს მიზეზს ამ შეთავაზებისთვის და ღიად იწვევს მხარეს მორიგებით საქმის წარმოების დასრულების თაობაზე (*absolutely unreasonable opening offer*).<sup>975</sup>

მხარეები უმთვრეს გაგლენას ახდენენ პროცესის მსვლელობაზე. მათი უფლებაა ერთმანეთთან საზოგადოებრივ ურთიერთობაში ჩაბმა, ამ ურთიერთობის იურიდიულ ჩარჩოებში მოქცევა და გარკვეული სახით კანონის წინაშე პასუხისმგებლობის აღება, საქმის ადვოკა სასამართლოში და მისი შეწყვეტა, გასაჩივრება და მორიგება.

მორიგების პროცესში, მორიგების მხარეები ასრულებენ სამართლებრივ მოქმედებებს, რომლებიც მათ კანონით აქვთ მინიჭებული:

- უპირველეს ყოვლისა, ისინი მორიგების პროცესის უმაღლო მონაწილეები არიან;
- იძლევიან ახსნა-განმარტებებს;
- შეიმუშავენ სამომრიგებლო წინადადებებს;
- ასრულებენ საპროცესო ნორმების ფარგლებში მათთვის მინიჭებულ საპროცესო მოქმედებებს.

---

მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ და არა პროცესის მონაწილეებს. მხარესა და პროცესის მონაწილეს შორის ვერ შედგება მორიგება. მორიგება ვერ შედგება, თუ მასში არ მონაწილეობს სასარჩელო წარმოების ერთ-ერთი მხარე და მისი ნება არ არის დადგენილი. ამასთან, „სავალდებულო“ მოწვევის მესამე პირი სარგებლობს მხარის ყველა, მათ შორის, მორიგების უფლებით. ვრცლად იხ. ნაჭყეა ა., ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014), თბ., 2015, 365. იხ. საქმე №ბს1369-1308კ-10, 21.04.2010. იხ. კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, 152-162.

<sup>971</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-899-845-2012.

<sup>972</sup> Cory M. V. Jr., How to Negotiate The Best Settlement, Danks, Miller & Cory 213 South Lamar Jackson, MS, 2011, 5-6, < <http://danksmillercory.com/>>, [19.05.2016].

<sup>973</sup> Issacharoff S., Klonoff R. H., Public Value of Settlement, Fordham Law Review, 2009-2010, 1180.

<sup>974</sup> Cory M. V. Jr., How to Negotiation the Best Settlement, Danks, Miller & Cory 213 South Lamar Jackson, MS, 2011, 5-6. < <http://danksmillercory.com/>>, [19.05.2016].

<sup>975</sup> Thomas A. Dye, Carlton Fields, P. A., Winning The Settlement – Keys to Negotiation Strategy, ABA Section of Litigation Corporate Counsel CLE Seminar, February 11-14, 2010, 7-8.

მოსარჩელე პროცესის ის მონაწილეა, რომელიც აღძრავს პროცესს, მოითხოვს რაიმეს მიკუთვნებას, რაიმე უფლების ცნობას, მოპასუხისათვის რაიმე მოქმედების აკრძალვას. მოსარჩელე მხარე, საქმის წარმოებისას აქტიურ მხარედაც იწოდება. მისი ამგვარი დახასიათება იმ ფუნქციიდან გამომდინარეობს, რომელიც მან საქმის წარმოების პროცესში იტვირთა.<sup>976</sup>

მორიგებისას შესაძლებელია გამოიყოს მორიგების ინიციატორი მხარე.<sup>977</sup> ვინ იქნება მორიგების ინიციატორი მხარე, მოსარჩელე თუ მოპასუხე – ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ მორიგება, როგორც ინიციატივა, წამოყენებული იყოს და მისით დაინტერესდეს მეორე მხარე, რაც სამომრიგებლო პროცესის დასაწყისია.

საინტერესია საკითხი ადვოკატის როლზე მორიგების პროცესში. „ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია კლიენტის ინტერესები, როგორც ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ამოსავალი წერტილი“.<sup>978</sup> სსსკ-ის 98-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიერ მორიგებას სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე, თუმცა, რაიმე დამატებით მითითებებს, მორიგების პროცესში ადვოკატის როლსა და ფუნქციასთან დაკავშირებით, არც სსსკ და არც „ადვოკატთა შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს. მეტიც, თავად „ადვოკატთა შესახებ“ კანონი ზოგადი შინაარსის დებულებებით შემოიფარგლება და საადვოკატო საქმიანობის პრინციპებს შორის კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და პატივისცემაზე მიუთითებს.<sup>979</sup> „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“ ადგენს, რომ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსით. „ადვოკატის მოვალეობაა არა მხოლოდ კლიენტის პოზიციის დაცვა, არამედ იგი ვალდებულია იყოს კლიენტის მრჩეველიც“.<sup>980</sup> ადვოკატმა უნდა ურჩიოს კლიენტს საქმის მორიგებით დასრულება. მორიგებაზე უარით ადვოკატი არღვევს ეთიკის კოდექსს – კლიენტის ინტერესების

<sup>976</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 82.

<sup>977</sup> მორიგების ინიციატორი მხარე მოპასუხეა, ვინაიდან, როგორც წესი, მას სურს “მშვიდობა” (*defendants want peace*). *Sale H. A.*, Judges Who Settle, *Washington University Law Review*, Volume 89 | Issue 2, 2011, 385. შემდგომი მითითებით: *Neil Gorsuch, Panel 2: Tools for Ensuring that Settlements are “Fair, Reasonable, and Adequate”*, 18 *GEO. J. LEGAL ETHICS* 1197, 1205 (2005). *Katz A.*, The Effect of Frivolous Lawsuits on the Settlement of Litigation, Department of Economics and Law School, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USA, *International Law Review of Law and Economics* (1990), 10 (3-27), 4.

<sup>978</sup> *კვაჭაძე მ., გახიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძახია ი.*, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, ერვროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 25.11.2011, 14.

<sup>979</sup> საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი მე-3, პუნქტი „ე“.

<sup>980</sup> *კვაჭაძე მ., გახიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძახია ი.*, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, ერვროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 25.11.2011, 14. შემდგომი მითითებით: *ევროკავშირის ადვოკატთა ქცევის კოდექსი*, მუხ. 1.1.

პრიორიტეტულობის პრინციპს.<sup>981</sup> მორიგების პროცესში ადვოკატის როლის გაძლიერებამ უნდა გააუმჯობესოს მორიგების სტანდარტული პროცესი და ხელი შეუწყოს მორიგებით დასრულები საქმეების რაოდენობის ზრდას. ასეთი როლი უნდა გამოიხატოს კლიენტისთვის მორიგების არსის განმარტებასა და მორიგებაზე მის დაყოფაში. ადვოკატი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მორიგების დამოუკიდებელ პროცესს, რათა მორიგების შესაძლებლობა არ დაიკარგოს, რისთვისაც იგი უნდა ფლობდეს ცოდნას და აღჭურვილი უნდა იყოს მორიგების უნარ-ჩვევებით.

### 2.3. მორიგებით (საქმის შედეგით) მხარის მატერიალური და საპროცესო დაინტერესება

მხარეს ორგანიზაცია – საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესება შეიძლება ჰქონდეს საქმის შედეგით. „როდესაც ვამბობთ, რომ მხარეები და მესამე პირები საქმის შედეგით მატერიალურ-სამართლებრივად არიან დაინტერესებულნი, ეს ნიშნავს, რომ საქმის გადაწყვეტის შედეგად ერთ-ერთმა მხარემ შესაძლოა შეიძინოს რაიმე მატერიალური სიკეთე, მეორე მხარე კი ამ სიკეთეს კარგავს. ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილება გავლენას ახდენს მათ მატერიალურ უფლება-მოვალეობებზე“.<sup>982</sup> „საპროცესო დაინტერესებაში იგულისხმება მხარის შესაძლებლობა, დაიცვას თავისი უფლებები, ასევე იგი გულისხმობს მხარის სწრაფვას, მიიღოს ხელსაყრელი გადაწყვეტილება და აღასრულოს იგი“.<sup>983</sup>

მორიგებისას მდგომარეობა განსხვავებულია. მორიგების მხარეთა ინტერესი ერთდროულად მატერიალურიც არის და პოცესუალურიც. მატერიალური თვასაზრისით მორიგების მხარეები გარიგების მხარეები არიან და მიზნად ისახავენ კონკრეტული ვალდებულებით (ან სხვა) სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას. კერძოდ, მატერიალური დაინტერესებისას, ინტერესი და სამართლებრივი სიკეთით სარგებლობა ერთდროული და ორმხრივია.

საქმის წარმოების შედეგით პროცესუალური დაინტერესებისას, მორიგების მხარეების ინტერესი სადავო საქმის წარმოების შეწყვეტაში მდგომარეობს, რაც გულისხმობს ორმხრივ სწრაფვას, მიიღონ ორივე მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება.

სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.<sup>984</sup> მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით.<sup>985</sup> იმის მიხედვით, თუ რომელი კონკრეტული ინტერესი

<sup>981</sup> კვაჭაძე მ., გახიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძაია ი., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, ერვროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 25.11.2011, 16.

<sup>982</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 81.

<sup>983</sup> იქვე.

<sup>984</sup> საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 85-ე, ნაწილი მე-3.

<sup>985</sup> სსსკ-ის მუხლი 83-ე.

სის რეალიზაციას ემსახურება, მხარეთა საპროცესო უფლებები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ: ერთი ჯგუფი საპროცესო უფლებების მიმართულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო-სამართლებრივი უფლებების განკარგვის უზრუნველყოფისაკენ. ამ მიზნით მხარეებს უფლება აქვთ საქმე მორიგებით დაამთავრონ. მეორე ჯგუფი ემსახურება მხარეთა აღჭურვას დაცვის საპროცესო საშუალებებით, ხოლო მესამე ჯგუფი სასამართლო გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების უზრუნველყოფისაკენაა მიმართული.<sup>986</sup>

მორიგების მხარეებს საერთო სასარგებლო მიზნისკენ მიმართული ინტერესები ამოძრავებთ, რაც უკავშირდება დისპოზიციურობის პრინციპს – მხარის უფლებას, თავისი სურვილისამებრ განკარგოს საკუთარი მატერიალურ-სამართლებრივი თუ საპროცესო-სამართლებრივი უფლებები, ანუ იმოქმედოს თავისი კანონიერი საპროცესო ინტერესის შესაბამისად.<sup>987</sup>

საქმის წარმოება და მორიგებით საქმის წარმოების დასრულება მხარეთა უფლებაა. საქმის წარმოების მონაწილე მხარეთა სამართლებრივი ინტერესები ურთიერთსაპირისპიროა.<sup>988</sup> „მხარეთა ინტერესების დაპირისპირებულობა სასარჩელო წარმოების კონსტიტუციური ნიშანია: თუ ასეთი დაპირისპირებულობა არ არსებობს ან თუ არსებობდა, მაგრამ მერე შეწყდა, სასარჩელო წარმოებაც უნდა შეწყდეს. ამრიგად, სასარჩელო წარმოების განმსაზღვრელია მოდავე მხარეთა ინტერესების დაპირისპირებულობა“.<sup>989</sup>

საქმის წარმოების პროცესში მხარეთათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღება, როგორც წესი, ეფუძნება მოსარჩელის სურვილს, დაიკმაყოფილოს სასამართლოს წინაშე არსებული სასარჩელო მოთხოვნა. მორიგების პროცესში კი არსებითი და მნიშვნელოვანია საერთო ინტერესებზე დაფუძნებული მისაღები გადაწყვეტილების (მორიგების აქტის) მიღება.

საქმის წარმოებისგან განსხვავებით, მორიგების პროცესში, საქმის წარმოების შედეგით მხარეთა დაინტერესება ერთდროული და ორმხრივია. განსხვავებით საქმის წარმოების პროცესის მონაწილეთა დაპირისპირებული ინტერესებისაგან, მორიგებისას მხარეები საერთო სასარგებლო მიზნის მიღწევას ესწრაფვიან.

<sup>986</sup> იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 103.

<sup>987</sup> იხ. *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, თბ., 2008, 101.

<sup>988</sup> *Korobkin R.*, *Aspiration and Settlement*, *Cornel Law Review*, 2002, 8.

<sup>989</sup> *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 82.



## თავი VI. მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტა სხვადასხვა ეტაპზე

### 1. შესავალი

საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების სხვადასხვა საშუალება არსებობს. ერთ-ერთი ასეთი საშუალება ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირებაა. სამართალი შექმნილია სწორედ იმისთვის, რომ დაადგინოს ჭეშმარიტება და, კონკრეტული სამართლის ნორმის საფუძველზე, მოაწესრიგოს სადავო ურთიერთობები.

„საქმის დამთავრება მორიგებით სამართალწარმოების დასრულების არანაკლებ მნიშვნელოვანი ფორმაა, ვიდრე საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა. პირიქით, მათ თანაბარი დატვირთვა აქვთ, ზოგჯერ კი მორიგება უკეთესი ალტერნატივაა. თუმცა, მხოლოდ ერთი პირობით, თუ მორიგების შეთავაზება მიზნად ისახავს არა მხოლოდ მოსამართლის განტვირთვას, მისი მუშაობის შემსუბუქებას, არამედ მხარეთა შორის დავის საგანზე წარმოშობილი კონფლიქტის სამართლიანად მოგვარებას“.<sup>990</sup>

სასამართლოსადმი მიმართვის შედეგად, დაინტერესებული პირი სადავო ურთიერთობის რეგულირების კონკრეტულ გზას – საქმის წარმოების პროცესს ირჩევს. სასამართლოსადმი მიმართვის პირველივე ეტაპიდან ჩნდება ალტერნატივა, წარმოიშობა ახალი თანმდები უფლება – მხარემ საქმე არსებითი განხილვისა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანით დაასრულოს, თუ მიმართოს ალტერნატიულ მეთოდებს, როგორცაა სარჩელის ცნობა<sup>991</sup> ან მორიგება.<sup>992</sup>

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები ალტურვილი არიან თავისი უფლებებისა და თავისუფლებების განკარგვის სრული უფლებამოსილებით. ამ უფლებამოსილების რეალიზებისათვის მხარეთა თავისუფალ განკარგულებაშია ყველა პროცესუალური საშუალება: მოსარჩელის ნებაზეა დამოკიდებული, დაიწყოს საქმე, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს ნებისმიერ მომენტში, მოპასუხის გადასაწყვეტია, ცნოს ან არ ცნოს სარჩელი, მხარეთა მიერ გონივრული კომპრომისის მიღწევის უნარზეა დამოკიდებული საქმის მორიგებით დამთავრება“.<sup>993</sup>

ყოველი სასამართლო სხდომისა და განხილვის წინ სასამართლო ახსენებს მხარეებს მათ საპროცესო უფლებას საქმის წარმოების მორიგებით დასრულების თაობაზე და ეკითხება, ხომ არ სურთ საქმე მორიგებით დასრულონ. ამის შემდგომ, მოსამართლე აკეთებს მოხსენებას საქმის შესახებ და მოკლედ გადმოსცემს სარჩელსა და შესაგებელში მითითებულ ძირითად გარემოებებს, რომელიც უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მასალებს. მოსამართლემ უნდა ჩამოაყალიბოს ფაქტები, რომლებიც საფუძველად დაედო მოპასუხის შესაგებელს და, რომელთა შესახებ მხა-

<sup>990</sup> *ლიუტრინგჰაუსი პ.*, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდის კა, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007, 133.

<sup>991</sup> აღნიშნული დაკავშირებულია მხარის მიერ ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზებასთან და საკუთარი „დანაშაულის აღიარებასთან“.

<sup>992</sup> ამ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ორმხრივი ნება და შეთანხმება.

<sup>993</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №ას-1232-1491-09.

რეები დაობენ ან არ დაობენ; აგრეთვე, გადმოსცეს მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაერთვის საქმეს. საქმის მოხსენების შემდგომ, მოსამართლე კვლავ ეკითხება<sup>994</sup> მხარეებს, ხომ არ სურთ რაიმეს დამატება ან/და დაზუსტება.<sup>995</sup>

საქმის წარმოების მორიგებით დაამთავრება მხარეთა ნებაყოფლობითი არჩევანია. კერძოდ, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ.<sup>996</sup> სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.<sup>997</sup>

მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების დასრულების, როგორც აბსოლუტური საპროცესო სამართლებრივი ბუნების მქონე, უფლებაზე საუბრისას, იგულისხმება ის, რომ მორიგების შესაძლებლობა არსებობს სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, სამართალწარმოების ნებისმიერი კატეგორიის მხარეებს შორის, მაგრამ არა ყველა სახის პირობაზე.<sup>998</sup>

## 2. მორიგების დამტკიცება მოსამზადებელი სხდომის ეტაპზე

მორიგების დამტკიცება სამოქალაქო საქმის წარმოების ყველა ეტაპზე დასაშვებია. მოსამზადებელი სხდომის ჩანიშნვას განაპირობებს კანონით გათვალისწინებული გარემოებები. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია მხარეთა მორიგება. კერძოდ, თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე, თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისას საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს.<sup>999</sup>

თუ მოსამზადებელ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მორიგების შემთხვევაში, ამავე განჩინებით, სასამართლო დამტკიცებს მორიგების პირობებს.<sup>1000</sup>

მნიშვნელოვანია პროცესუალური გარემოება: სასამართლომ საქმე მომზადებულადაც რომ მიიჩნიოს, თუკი არსებობს მხარეთა მორიგების თეორიული შესაძლებლობაც კი, სასამართლოს შეუძლია მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნოს. ასეთ შემთხვევაში, მოსამზადებელი სხდომის მიზანი მთავარი სხდომისთვის საქმის მომზადება კი აღარ იქნება, არამედ – მორიგება.

<sup>994</sup> იგ. მორიგების დამატებითი შეთავაზება/მცდელობა.

<sup>995</sup> სსსკ-ის მუხლი 217-ე, ნაწილი 1-ლი; მუხლი 218-ე, ნაწილი 1-ლი; მუხლი 373-ე, ნაწილი მე-2.

<sup>996</sup> სსსკ-ის მუხლი მე-3, ნაწილი მე-2, წინადადება 1-ლი.

<sup>997</sup> სსსკ-ის მუხლი 272-ე, ქვეპუნქტი „დ“.

<sup>998</sup> იხ. *გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ.*, (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 28.

<sup>999</sup> სსსკ-ის მუხლი 205-ე.

<sup>1000</sup> სსსკ-ის მუხლი 208-ე.

მოსამართლის ვარაუდის მიუხედავად, თუ მოსამზადებელ სხდომაზე მორიგება ვერ შედგება, სასამართლო ვალდებულია კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას მიმართოს მორიგების შემდგომი წინაპირობების შესაქმნელად.

დანაწესი, საქმის წარმოების რა ეტაპზე უნდა შეწყდეს მოსამართლის სამომრიგებლო მცდელობა, კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

სამართალწარმოების ნებისმიერი ეტაპი იძლევა მორიგების პროცესის დასრულების საშუალებას. აღნიშნული ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში არსებულ მხარეთა ნების თავისუფლების გადამწყვეტ პრინციპს. თუმცა, აღნიშნული საკითხი გარკვეულ პრობლემებთანაცაა დაკავშირებული. ყოველი კონკრეტული საქმის განხილვა თავად უბიძგებს მოსამართლეს მორიგებისკენ.

### 3. მორიგების დამტკიცება საჩივრისა და კერძო საჩივრის განხილვის ეტაპზე

მხარეთა მორიგება აჩენს სამართლებრივად აქტუალურ კითხვებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის<sup>1001</sup> და კერძო საჩივრის შეტანის ეტაპზე<sup>1002</sup> მორიგებისას.

კერძოდ, შესაძლებელია თუ არა საჩივრის განხილვის გარეშე მორიგების დამტკიცება ორივე შემთხვევაში და, ასევე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის ეტაპზე, იმ საფუძველით, რომ მხარეები მოცემული მომენტისათვის მორიგდნენ. „აღნიშნული კითხვების არსი მდგომარეობს იმაში, რომ მორიგების დამტკიცების დროს მოსამართლე არ ეცნობა საქმის არსებით მხარეს და შემოფარგლულია მხოლოდ კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელებით, რაც უკანონო მორიგების დამტკიცების შესაძლებლობას წარმოშობს“.<sup>1003</sup>

უდავო ფაქტია, რომ მხარეთა ინტერესებისა და დისპოზიციურობის პრინციპის დაცვის, ასევე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, მორიგების დამტკიცება სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე არის და უნდა იყოს შესაძლებელი. ამასთან, ერთმნიშვნელოვნად მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკანონო მორიგების დამტკიცება.

უკანონო მორიგების დამტკიცების თავიდან აცილების მიზნით, საჩივრისა და კერძო საჩივრის განხილვის დროს, მორიგების დამტკიცების შემთხვევაში, სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული პროცესუალური მოქმედებით, ის უნდა გასცდეს საჩივრისა და კერძო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს, უნდა შეისწავლოს საქმე, რის შემდეგაც შეუძლია დაამტკიცოს მორიგება.<sup>1004</sup>

<sup>1001</sup> სსსკ-ის თავი XXVI.

<sup>1002</sup> სსსკ-ის თავი LI.

<sup>1003</sup> რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, XXX, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სუს, თბ., 2007, 39.

<sup>1004</sup> იხ. იქვე.

#### 4. მორიგების დამტკიცება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების ეტაპზე

ზოგადად, დისპოზიციურობის პრინციპი სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე აქტუალურია. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების დროსაც, მხარეებს უფლება აქვთ, განკარგონ თავიანთი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებები, რასაც, ასევე, პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგი მოჰყვება.

სსსკ-ის XI კარი ეძღვნება საქმისწარმოების განახლებას და ადგენს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (სსსკ-ის 422-ე მუხლი), ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (სსსკ-ის 423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.<sup>1005</sup>

მორიგების დამტკიცების განსხვავებული პროცედურა არსებობს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების ეტაპზე მხარეთა მორიგებისას. მორიგების დამტკიცების განსხვავებული პროცედურა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ სამართალწარმოების მოცემულ ეტაპზე სააღსრულებო ფურცელი შეიძლება უკვე ამოწერილი იყოს და, შესაბამისად, აღსრულებაც დაწყებული.

იმ შემთხვევაში, თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების ეტაპზე მხარეები მორიგებიან და აღსრულებაც დაწყებულია, მაშინ კრედიტორი და მოვალე, აღსრულების პროცესში მორიგებისას, სამართლო აღმასრულებელს გადასცემენ მორიგების შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომელსაც იგი 3 დღის ვადაში გადაუგზავნის სასამართლოს მხარეთა მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად.<sup>1006</sup>

თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში, მხარეები მორიგდნენ და სააღსრულებო წარმოება დაწყებული არ არის, მაშინ შეწყდება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება, გაუქმდება საქმეზე მიღებული ყველა სასამართლო გადაწყვეტილება და დამტკიცდება მორიგება.<sup>1007</sup>

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოებისას მიღწეული მორიგების დამტკიცება აუქმებს სასამართლოს მიერ აღნიშნული წარმოების დაწყებამდე და წარმოების ეტაპზე არსებული ყველა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას.

აღნიშნული სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი ეყრდნობა მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპს და მხარეების ახალ პირობებზე შეთანხმებას (მორიგებას), ამიტომ მოცემულ საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.<sup>1008</sup> სასამართლო სამართალწარმოების

<sup>1005</sup>სსსკ-ის მუხლი 421-ე, ნაწილი 1-ლი. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების შეტანისა და საქმის განახლების წესი. ვრცლად იხ. სსსკ-ის თავი LII.

<sup>1006</sup>საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, მუხლი მე-18. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №2ბ/2436-09.

<sup>1007</sup>საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, მუხლი მე-18.

<sup>1008</sup>აღნიშნულის საწინააღმდეგოდ გამოთქმული პოზიციის თანახმად, მორიგებით მხარეები საკუთარი სურვილით იკვეცავენ გარკვეულ უფლება-მოვალეობებს, რიგებიან ახალ პირობებზე, რაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებლობას



შედგად აღსასრულებელი უნდა იყოს მხოლოდ ერთი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.<sup>1009</sup>

## 5. მორიგების დამტკიცება ეტაპზე, მიქცეულია თუ არა აღსასრულებლად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება

სააღსრულებო სამართალწარმოება გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. ეს თავისებურებები აღნიშნული წარმოების დაწყებამდე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების<sup>1010</sup> გაუქმებასა და მორიგების დამტკიცების პროცესის შედეგებზეც აისახება.

მორიგების დამტკიცების შედეგები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმის მიხედვით, მიქცეულია თუ არა აღსასრულებლად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

თუ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე ამოწერილია სააღსრულებო ფურცელი და საქმე აღსასრულებლად არის მიქცეული, მაშინ აღმასრულებლის შუამდგომლობის საფუძველზე,<sup>1011</sup> სასამართლო, მართალია, მხარეთა მორიგებას ამტკიცებს, მაგრამ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას არ აუქმებს.<sup>1012</sup>

რაც შეეხება მორიგების დამტკიცებას სამართალწარმოების იმ ეტაპზე, როცა გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, მაგრამ აღსასრულებლად ჯერ არ არის მიქცეული, ანუ სააღსრულებო ფურცელი არ არის ამოწერილი, ასეთ შემთხვევაში სასამართლო, მხარეთა დისპოზიციურობისა და კერძო და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, დაამტკიცოს მორიგება და გააუქმოს საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება.<sup>1013</sup>

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, რომელიც აღსასრულებლად ჯერ არ არის მიქცეული, მხარეები შეიძლება მორიგდნენ, მაგრამ აღნიშნული მორიგების დამტკიცება სცდება სასამართლოს კომპეტენციას.

მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ დადონ ახალი გარიგება (მორიგება), თუნდაც იმავე საკითხზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაშიც და მათ არ წარმოეშობათ აღნიშნუ-

---

არ იწვევს. აღნიშნული მოსაზრება უარყოფილ იქნა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში იარსებებდა ორი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და, შესაბამისად, ორი (შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგოც) სააღსრულებო ფურცელი. იხ. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, XXX, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სუს, თბ., 2007, 40. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე: №2ბ/4963-14.

<sup>1009</sup> იხ. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, XXX, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სუს, თბ., 2007, 39-40.

<sup>1010</sup> სსსკ-ის თავი XXVIII.

<sup>1011</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №2ბ/2436-09.

<sup>1012</sup> იხ. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, XXX, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სუს, თბ., 2007, 40.

<sup>1013</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 32.

ლი გარიგების სასამართლო წესით დადასტურების ვალდებულება. მათ შეუძლიათ თავიანთი ახალი გარიგების (მორიგების) სანოტარო წესით დადასტურება.

აღნიშნული პოზიციის საპირისპიროდ აღსანიშნავია ის არგუმენტი, რომ სადავოობის შემთხვევაში აღსრულებას დაექვემდებარება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და არა სანოტარო წესით დადასტურებული გარიგება.

ამდენად, როდესაც მხარეები ახალ გარიგებას დებენ, ანუ რიგდებიან და სასამართლოს აღნიშნული მორიგების დასამტკიცებლად მიმართავენ, სასამართლომ უარი არ უნდა განაცხადოს მხარეთა ახალი მორიგების დამტკიცებაზე იმ საფუძველით, რომ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და განსხვავებულ გარემოებებზე მხარეებს სასამართლოს გარეშე შეუძლიათ მორიგება.

აქ გასათვალისწინებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მხარეთა მორიგების დამტკიცების უფლება თავისთავად გულისხმობს მხარეთა უფლებას, გამოიყენონ სახელმწიფოს იძულებითი აპარატი თავიანთი მორიგების აღსასრულებლად.<sup>1014</sup>

ამდენად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეთა მორიგების შემთხვევაში, თუ აღნიშნული გადაწყვეტილება მიქცეული არ არის აღსასრულებლად, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ახალი მორიგების დასამტკიცებლად. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ამტკიცებს მორიგებას, რა თქმა უნდა, მორიგების პირობების კანონიერების შემთხვევაში და აუქმებს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რათა აღსრულდეს მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება.<sup>1015</sup>

## 6. მორიგების დამტკიცება უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვის ეტაპზე

სამოქალაქო პროცესი ითვალისწინებს მორიგების დაუშვებლობასაც, რაც დაკავშირებულია მხარეებისა და დავის საგნის არარსებობასთან.

სსსკ-ით დადგენილია უზრუნველყოფის ღონისძიებების რამდენიმე სახე. კერძოდ, საპროცესო უზრუნველყოფა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, სარჩელის (მათ შორის საარბიტრაჟო<sup>1016</sup>) უზრუნველყოფა, აღსრულების უზრუნველყოფა.

საპროცესო უზრუნველყოფა ითვალისწინებს უზრუნველყოფის გარანტიას, რომლის მიხედვითაც, „თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეს დაეკისრა იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება განიცადოს მოწინააღმდეგე მხარემ შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მან ასეთი უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო

<sup>1014</sup> იხ. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 32.

<sup>1015</sup> იხ. იქვე, 33.

<sup>1016</sup> სსსკ-ის მუხლი 356<sup>18</sup>-ე.

ანგარიშზე შეტანის გზით, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მისაღებია გარანტიის უზრუნველსაყოფად<sup>1017</sup>

„იმ პირს, რომელსაც საფუძველი აქვს იფიქროს, რომ მისთვის საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა შემდგომში შეუძლებელი ან ძნელი გახდება, შეუძლია სთხოვოს სასამართლოს ამ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა“.<sup>1018</sup> „მტკიცებულებათა დასაშვებობა შესაძლებელია სასამართლოში საქმის აღძვრამდე“.<sup>1019</sup>

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის საფუძველი მითითებულია კანონში, ხოლო მისი აუცილებლობა შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით იყოს განპირობებული. აღნიშნული, საპროცესო მოქმედებაა, რომელსაც მოსამართლე ასრულებს იმ მიზნით, რათა კანონით დადგენილი წესით დაამაგროს მტკიცებულებები საქმის არსებითად განხილვის დროს მათი გამოყენებისათვის. შესაბამისად, აღნიშნული მოქმედების შესრულება შესაძლებელია, როგორც საქმის აღძვრამდე, ისე მის შემდგომ.<sup>1020</sup> ის განსხვავდება სარჩელის უზრუნველყოფისგან.

სსსკ-ის XXIII თავი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ორ კატეგორიას. ერთი სარჩელის აღძვრის შემდგომ, ხოლო მეორე – სარჩელის აღძვრამდე. „მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად“.<sup>1021</sup>

რაც შეეხება სარჩელის აღძვრამდე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, აღნიშნული უკავშირდება გადაუდებელ შემთხვევებს და ამასთან, 10 დღის ვადაში ითვალისწინებს სარჩელის შეტანის ვალდებულებას.<sup>1022</sup>

„სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად“.<sup>1023</sup>

„თუ სასამართლო მიიღებს ზომებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, ამის შესახებ უნდა მიეთითოს გადაწყვეტილებაში“.<sup>1024</sup>

ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვის დროს, როცა სარჩელი ჯერ კიდევ არ არის აღძრული, და სასამართლოსთვის სამართალწარმოების აღნიშნულ ეტაპზე ცნობილი არ არის სარჩელის საგანი და საფუძველი, ამიტომ მორიგების დამტკიცებაც მოცემულ ეტაპზე და-

<sup>1017</sup>სსსკ-ის მუხლი 57-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>1018</sup>სსსკ-ის მუხლი 109-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>1019</sup>სსსკ-ის მუხლი 109-ე, ნაწილი მე-2.

<sup>1020</sup>ვრცლად იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 193-195.

<sup>1021</sup>სსსკ-ის მუხლი 191-ე.

<sup>1022</sup>სსსკ-ის მუხლი 192-ე.

<sup>1023</sup>სსსკ-ის მუხლი 271-ე.

<sup>1024</sup>სსსკ-ის მუხლი 251-ე.

უშვებელია მხარეებისა და დავის საგნის არარსებობის გამო.<sup>1025</sup> ხოლო იმ ეტაპზე, როცა სარჩელი აღძრულია, მორიგება საერთო წესით უნდა დამტკიცდეს.

ამ ფაქტს ის გარემოებაც ამყრებს, რომ მორიგების დამტკიცებისას საქმის არსებითი პირობების ცოდნა აუცილებელი წინაპირობაა მორიგების დასამტკიცებლად და უკანონო მორიგების თავიდან ასაცილებლად.

## **7. მორიგების დამტკიცება საარბიტრაჟო სასამართლოთა გადაწყვეტილებების არსებობის შემთხვევაში**

მორიგების დამტკიცებამდე არსებული ყველა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების პრინციპი საარბიტრაჟო სასამართლოთა გადაწყვეტილებების არსებობის შემთხვევაშიც ანალოგიურია.

თუ სასარჩელო წესით იხილება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი, მხარეთა მორიგების შემთხვევაში, მტკიცდება მორიგება და უქმდება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება.<sup>1026</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია თეზისურად გაკეთდეს დასკვნა, რომ მორიგების დამტკიცება სასამართლო სასამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზეა შესაძლებელი<sup>1027</sup>. სავალდებულო პირობაა, რომ მოსამართლე იცნობდეს საქმის არსებით მხარეს, უკანონო მორიგების დამტკიცების თავიდან აცილების მიზნით. მორიგების დამტკიცების შედეგად წყდება საქმის წარმოება და უქმდება საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება (გამონაკლისს წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების შემდეგ მორიგების დამტკიცება), აღსასრულებელი რჩება მხოლოდ ერთი განჩინება, რომლითაც მორიგება დამტკიცდა. იგივე წესი მოქმედებს საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხის განხილვის დროს მხარეთა მორიგების დამტკიცების შემთხვევაშიც. მორიგების დამტკიცების შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით დაუშვებელია. სარჩელის უზრუნველყოფის ეტაპზე კი მორიგების დამტკიცება დაუშვებელია მხარეებისა და დავის საგნის არარსებობის გამო.<sup>1028</sup>

<sup>1025</sup> იხ. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, XXX, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სუს, თბ., 2007, 41.

<sup>1026</sup> იხ. იქვე.

<sup>1027</sup> ერთ-ერთ საქმეზე მხარემ მოითხოვა საკასაციო პალატის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, იმ საფუძველით, რომ საქმის განხილველმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე, რითაც ხელი არ შეუწყო მხარეთა შორის მორიგებას. საკასაციო პალატის განმარტებით, მხარეებს სრული მოცულობით ჰქონდათ იმის პროცესუალური ბერკეტი, რომ მორიგებულებიყვნენ პირველ და სააპელაციო სასამართლოში. რაც შეეხება საკასაციო საჩივრის განხილვის ეტაპს, კასატორის მოწინააღმდეგე მხარე მორიგების წინააღმდეგი იყო, რაც მან დააფიქსირა საკასაციო შესაგებელში. ამდენად, სუს-მა გამოიცილა მორიგების შესაძლებლობა, რის საფუძველზეც მინიმუმამდე იქნა დაყვანილი საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის საქმეზე: №ას-1915-ბ-8-2015.

<sup>1028</sup> იხ. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, XXX, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სუს, თბ., 2007, 41.



## თავი VII. მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება

### 1. სასამართლო გადაწყვეტილება

განჩინება ამტკიცებს მორიგების აქტის პირობებს. მასში სამართლებრივად აისახება მხარეთა მიერ მიღებული მორიგების კონკრეტული პირობები. თავის მხრივ, მორიგებითი შეთანხმების შესახებ განჩინება უტოლდება სასამართლოს გადაწყვეტილებას და მხარეების მიერ შეუსრულებლობისას ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.<sup>1029</sup>

სამოქალაქო საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე შესრულებული საპროცესო მოქმედება აისახება სასამართლო დადენილებაში. სასამართლოს დადგენილება არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილებებსა და განჩინებებს.<sup>1030</sup>

პროცესუალურ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში სასამართლო გადაწყვეტილება ფართო და ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენება. ფართო გაგებით, სასამართლო გადაწყვეტილებები მოიცავს სასამართლო ორგანოთა მიერ მიღებულ ყველა აქტს, სასამართლოს მიერ აღძრულ მოთხოვნებსა და განკარგულებებს, ხოლო სპეციალური, ვიწრო გაგებით, სასამართლო გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმის განხილვისას კანონის შესაბამისად მიღებული დადგენილებაა, რომლითაც საქმე არსებითად წყდება.<sup>1031</sup>

„სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტია, რომელიც მრავალი საპროცესო ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის წინაპირობაა. აგრეთვე, შესაძლებელია გახდეს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველი. ე.ი. იურიდიული ფაქტია – მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების წინაპირობაა (წინამძღვარია)“.<sup>1032</sup>

სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება წარმოადგენს უფლების სასამართლო წესით განხორციელებას, სამართლიანობის აღდგენას მოსარჩელის მიერ წარდგენილი კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებით და იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმით, რომლებიც სამართლებრივ საფუძველებს არ ემყარება.<sup>1033</sup>

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას წინ უსწრებს საქმის განხილვა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. მეორე – სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს კანონს და უნდა იყოს დასაბუთებული ფაქტობრივად და იურიდიულად. მესამე – არსებობს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებუ-

<sup>1029</sup> იხ. *თოდუა მ., ქურდაძე შ.*, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბ., 2005, 164. შეად. იქვე, 160.

<sup>1030</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 555.

<sup>1031</sup> იხ. *კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, 327.

<sup>1032</sup> *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 556.

<sup>1033</sup> იხ. *ჭანტურია ლ., ბოელინგი კ.*, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 70.

ლობის მწყობრი სისტემა და დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მიმართოს ამ სისტემას აპელაციისა და კასაციის სახით.<sup>1034</sup>

სასამართლო გადაწყვეტილება მოდავე მხარეთა ინდივიდუალური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების<sup>1035</sup> დაცვის აქტია. სასამართლო გადაწყვეტილებით ხორციელდება დარღვეული და სადავოდ ქცეული უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

სასამართლო გადაწყვეტილების მიღება და მისი საჯაროდ გამოცხადება სასამართლოს მთავარი სხდომის დამამთავრებელი ნაწილია.

სასამართლო გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული, სრული.

ერთმანეთისგან უნდა განსხვავდეს კანონიერი გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით მიღება.

„სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერია იმ შემთხვევაში, როცა ის გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების ზუსტი დაცვით და მატერიალური სამართლის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც უნდა იქნეს შეფარდებული მოცემული სამართალურთიერთობის მიმართ, ან თუ გადაწყვეტილება კანონის არარსებობის შემთხვევაში ანალოგიის გამოყენების დროს ეფუძნება იმ კანონს, რომელიც მსგავს სამართალურთიერთობას არეგულირებს, ან გამომდინარეობს კანონმდებლობის ზოგადი საწყისებიდან და არსიდან“.<sup>1036</sup>

კანონიერი გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი პირობაა დავის საგნის სწორად განსაზღვრა, სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი დარგისა და კანონის სწორად დადგენა, ამის შემდგომ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების სათანადოდ შერჩევა. გადაწყვეტილების კანონიერების აუცილებელი პირობაა სასამართლომ სწორად გამოიყენოს მატერიალური კანონი დავის გადასაწყვეტად და ასევე დაიცვას საქმის განხილვის პროცედურა და გადაწყვეტილების გამოტანის წესი და ფორმა.

გადაწყვეტილების გამოტანით სასამართლო არსებითად წყვეტს საქმეს. „გადაწყვეტილება მიიღება კანონით დადგენილი წესით. ეს წესი გარანტირებულს ხდის არა მხოლოდ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას გადაწყვეტილების გამოტანისას, არამედ იგი კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელ წინაპირობასაც წარმოადგენს“.<sup>1037</sup>

კანონით დადგენილი წესი გულისხმობს გადაწყვეტილების გამოტანას სპეციალურ სათათბირო ოთახში, რაც უზრუნველყოფს მხოლოდ საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობით გადაწყვეტილების მიღებას, რითაც გამოირიცხება სხვა პირთა ზემოქმედება მოსამართლეებზე.

<sup>1034</sup> ვრცლად იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 262.

<sup>1035</sup> მორიგებით მიღებული კომპრომისული შედეგი მაქსიმალურად მორგებულია ორივე მხარის კანონიერ ინტერესს. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 08 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-766-725-2015.

<sup>1036</sup> *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 558.

<sup>1037</sup> იქვე, 401.

სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა აუცილებელი ფაქტორია გადაწყვეტილებების სისრულისა და კანონით დადგენილი წესით გამოტანისათვის. „გადაწყვეტილება დასაბუთებულია, როცა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ სასამართლოს დასკვნები მხარეთა ნამდვილ ურთიერთობებს შეესაბამება“.<sup>1038</sup> „სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს ის დასკვნა, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობს საქმის არსებითად განხილვის პროცესში შემოწმებული, გამოკვლეული და დადგენილი ყველა ფაქტიდან“.<sup>1039</sup> „სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა გულისხმობს თავისებულებების ტრიადის – გარემოებების (ფაქტების), მტკიცებულებებისა და დასკვნების არსებობას“.<sup>1040</sup>

სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს სრული. გადაწყვეტილების სისრულის საკითხი უკავშირდება იმას, რომ გადაწყვეტილება უნდა იყოს განსაზღვრული, კანონით დადგენილი ფორმის შესაბამისად შედგენილი და უპირობო.<sup>1041</sup>

სტრუქტურული თვალსაზრისით, სასამართლო გადაწყვეტილება შედგება აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილისაგან. განსაკუთრებით საგულისხმოა სარეზოლუციო ნაწილის სწორად ჩამოყალიბება და ყველა იმ თავისებურების გათვალისწინება, რომლებიც ხელს შეუწყობს მის სათანადო ფორმულირებას. სწორედ სამოტივაციო ნაწილის შინაარსი ადგენს გადაწყვეტილების კანონიერებას, ვინაიდან მასშია დაფიქსირებული სამართალურთიერთობის იურიდიული კლასიფიკაცია.<sup>1042</sup>

კოდექსი დეტალურად განსაზღვრავს გადაწყვეტილების თითოეული შემადგენელი ნაწილის შინაარსს, თუ რა სავალდებულო რეკვიზიტებსა და ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი.<sup>1043</sup> გადაწყვეტილების ფორმა ყოველთვის წერილობითია და მას ხელს აწერს ყველა მოსამართლე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში.<sup>1044</sup>

## 2. სასამართლო განჩინება

განჩინება ეს არის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება. სსსკ-ის XXXI თავი სასამართლო განჩინებასთან დაკავშირებულ საპროცესო ნორმებს აერთიანებს, რომელთა თანახმად, სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით.<sup>1045</sup>

საქმის არსებითი გადაწყვეტა გულისხმობს კანონით დადგენილი ყველა პროცედურის გავლას – სარჩელის აღძვრიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე. განჩინებით გადაწყვეტილია მართლმსაჯულების განხორციელებისას წამოჭრილი საპროცესო-სამართლებრივი საკითხები. კერ-

<sup>1038</sup> *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 560-561.

<sup>1039</sup> იქვე, 561.

<sup>1040</sup> იქვე.

<sup>1041</sup> იხ. იქვე.

<sup>1042</sup> იხ. იქვე, 565.

<sup>1043</sup> სსსკ-ის მუხლი 249-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>1044</sup> სსსკ-ის მუხლი 247-ე.

<sup>1045</sup> სსსკ-ის მუხლი 284-ე, ნაწილი 1-ლი.

ძოდ, „სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს წამოჭრილი საპროცესო-სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც წარმოიშობა სამოქალაქო საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის, სასამართლო გადაწყვეტილებათა და სასამართლოს სხვა აქტების აღსრულების დროს და სხვა“.<sup>1046</sup>

საყურადღებო და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მართლმსაჯულების განხორციელების ცნებაში მოიაზრება არა მთელი სამართალწარმოება, არამედ მხოლოდ მისი ის ნაწილი, რომლის საფუძველზე, სასამართლო-სადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეთა გადაწყვეტის შედეგად, მიიღება სასამართლო ხელისუფლების აქტი, ე.ი. იმ სასამართლო აქტების მიღებაში, რომლებითაც არსებითად წყდება საქმეები.

მართლმსაჯულების განხორციელების ცნება არ გულისხმობს იმ აქტებს, რომლებიც, მართალია, მიღებულია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მაგრამ ამ აქტებით საქმე არსებითად არ წყდება და არც მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება. ანუ პროცესის განმავლობაში მიღებული ყველა სხვა აქტი შეეხება პროცედურულ ანუ საპროცესო სამართლებრივ საკითხებს და „მართლმსაჯულების განხორციელების“ ცნებაში ისინი არ მოიაზრება.<sup>1047</sup> ამ მსჯელობის თანახმად, მორიგებით საქმის წარმოების შეწყვეტა არ მიეკუთვნება მართლმსაჯულების განხორციელებას და იგი მხოლოდ საქმის წარმოების დასრულების პროცედურული მხარეა.

გადაწყვეტილება ამგვარი განჩინებისგან იმით განსხვავდება, რომ გადაწყვეტილებით სასამართლო არსებითად წყვეტს მხარეთა შორის წამოჭრილ დავას.<sup>1048</sup> ამ მიდგომით, მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების დასრულება არ უნდა იქნეს მიჩნეული საქმის არსებით გადაწყვეტად. ის, თუ რა ითვლება საქმის არსებით გადაწყვეტად განმარტებული არაა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მორიგებით საქმის წარმოების დასრულებისას სასამართლო, უმეტესწილად, ორიენტირებულია იმავე კრიტერიუმებზე, რომლებზეც საქმის არსებითი განხილვის დროს, მაშინ მორიგებაც დავის „არსებითი“ გადაწყვეტაა, მართლმსაჯულების განხორციელებაა.

რაც შეეხება მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრას, მორიგებით საქმის წარმოების დამთავრება მოდავე მხარეების ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებათა, რომლის თაობაზეც სასამართლოს გამოაქვს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.<sup>1049</sup> მორიგების პირობებიდან გამომდინარე, აღნიშნული განჩინებით მხარეებს წარმოეშობათ ურთიერთშემხვედრი უფლება-მოვალეობები.<sup>1050</sup>

განჩინების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, სსსკ-ის 285-ე მუხლი განსაზღვრავს განჩინების შინაარსს. განჩინებაში უნდა აღინიშნოს: განჩინების მიღების დრო და ადგილი; განჩინების მიმღები სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა და სასამართლო სხდომის მდივანი; მხარეები და დავის საგანი; საკითხი,

<sup>1046</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 555.

<sup>1047</sup> იხ. იქვე, 13.

<sup>1048</sup> იხ. იქვე.

<sup>1049</sup> სსსკ-ის მუხლი 272-ე.

<sup>1050</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-37-37-2012.



რომელზეც მიღებულ უნდა იქნეს განჩინება; მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა; სასამართლოს დადგენილება; განჩინების გასაჩივრების წესი და ვადა.

„განჩინების სამართლებრივი დასაბუთების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საქმის წარმოების მორიგებით დამთავრების სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით, მაგრამ თუ ეს საჭიროა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებითაც“.<sup>1051</sup>

„ნებისმიერი განჩინება შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც ცალკე საპროცესო დოკუმენტი, ისე ოქმში შეტანით. გასათვალისწინებელია, რომ სათათბირო ოთახში ოქმის შედგენა არ ხდება, ამიტომ, თუ სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში განჩინების გამოსატანად, მაშინ ასეთი განჩინება მხოლოდ ცალკე საპროცესო დოკუმენტის სახით უნდა გამოვიდეს. განჩინების გამოსატანად სათათბირო ოთახში შეიძლება გავიდეს საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლეც, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვინმეს მოეთათბიროს, არამედ თუ მის წინაშე მხარის მიერ დასმული საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ ანალიზს“.<sup>1052</sup>

სასამართლოს განჩინებას, რომელიც მიღებულია ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, ხელს აწერს მოსამართლე, ხოლო თუ მიღებულია კოლეგიური სასამართლოს მიერ – ყველა მოსამართლე.<sup>1053</sup>

სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსად, სასამართლო განჩინებაც შედგება ოთხი ნაწილისგან: შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილები.<sup>1054</sup>

### 3. მორიგების განჩინება

პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი განჩინებების კლასიფიკაციის კრიტერიუმია მათი მიმართება სამოქალაქო საქმის არსებითი გადაწყვეტისადმი. ამ კრიტერიუმის მიხედვით, ერთმანეთისგან განსხვავდება სასამართლო განჩინებათა ხუთი სახე.<sup>1055</sup> მათ შორისაა განჩინებები, რომლებიც დავის პროცესი მოწესრიგებით სრულდება: 1. საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება გამოტანილი მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო და 2. მხარეთა მორიგების დამტკიცების განჩინება. კერძოდ, თუ მხარეები მორიგდნენ სარჩელზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო მორიგების დამტკიცებასთან ერთად თავისი განჩინებით აუქმებს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას და წყვეტს საქმის წარმოებას. მორიგება სამოქალაქო საქმის წარმოების შემადგენელი ნაწილია და, შესაბამისად, აუცილებელია მორიგების მიღწევა აისახოს სასამართლო დადგენილებაში, ანუ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებაში.

<sup>1051</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2007, 500.

<sup>1052</sup> იხ. იქვე, 498.

<sup>1053</sup> სსსკ-ის მუხლი 284-ე, ნაწილი მე-2.

<sup>1054</sup> ვრცლად იხ. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 596.

<sup>1055</sup> იხ. იქვე, 594.

საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანა დაკავშირებულია დროის იმ მონაკვეთთან, თუ როდის წარმოიშვა განჩინების გამოტანის საფუძვლად არსებული ფაქტი ანუ საქმის წარმოების რა ეტაპზე აქვს ადგილი მორიგებას. თუ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები გამოვლინდა ჯერ კიდევ სარჩელის წარმოებაში მიღებამდე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მხარეთა შეუტყობინებლად, მოსარჩელისთვის განჩინების ასლის გაგზავნით.<sup>1056</sup> თუ მორიგება განხორციელდა სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, როდის მოხდა ეს – მოსამზადებელ თუ მთავარ სხდომაზე. შესაბამის სხდომაზე გამოტანილი უნდა იქნეს შესაბამისი განჩინება.<sup>1057</sup>

საინტერესოა საკითხი, რომ განჩინებები გამოტანის ფორმისა და წესის მიხედვით შეიძლება იყოს ცალკე საპროცესო დოკუმენტის ან სასამართლოს ზეპირი მითითების სახით. მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება ცალკე საპროცესო დოკუმენტია, რომელიც მოსამართლის მიერ სათათბირო ოთახში საკითხის დეტალურად განხილვის შედეგად მიიღება, როგორც მნიშვნელოვან და რთულ საკითხზე მისაღები გადაწყვეტილება.<sup>1058</sup> მხარეების მიერ მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე შეამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო განუმარტავს მხარეებს მორიგებით საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს და გადის სათათბირო ოთახში მორიგების დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის დასაბუთების მიზნით. აღსანიშნავია, რომ მორიგების დამტკიცების თაობაზე განჩინების გამოტანამდე სასამართლო ვალდებულია სრულად და ყოვლისმომცველად იცნობდეს საქმის არსს, შეისწავლოს და გაანალიზოს მორიგების პირობების კანონიერება, ხომ არ არღვევს ის მესამე პირთა უფლებებს, კანონით დადგენილ წესს, საჯარო წესრიგს, ზნეობის ნორმებს და ა.შ. სსსკ ერთმნიშვნელოვან დათქმას არ ადგენს მორიგების დამტკიცების თაობაზე შეამდგომლობის განხილვის ფორმასთან დაკავშირებით და ამით, შეამდგომლობის განხილვის შესაძლებლობას ორივე ფორმით ითვალისწინებს, როგორც სათათბირო ოთახში გასვლით, ისე მის გარეშე ანუ სასამართლო სხდომის დარბაზში თათბირით, რაც სხდომის ოქმში აისახება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო თავად უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რამდენად იცნობს საქმის არსს, მორიგების წარმოდგენილ პირობებს და რამდენად დგანს დღის წესრიგში სათათბირო ოთახში გასვლით თათბირის აუცილებლობა საქმის არსიდან და მორიგების წარმოდგენილი პირობებიდან გამომდინარე. აღნიშნული განაპირობებს იმას, რომ სასამართლომ, შესაძლოა, ადგილზე თათბირითაც მიზანშეწონილად ჩათვალოს მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე შეამდგომლობის საკითხის განხილვა.

<sup>1056</sup> სსსკ-ის მუხლი 186-ე.

<sup>1057</sup> იხ. *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2007, 482.

<sup>1058</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 595.

ასეთი სახის განჩინების გასაჩივრება შესაძლებელია. მორიგების განჩინება, თავისი შინაარსით, მოდავე მხარეთა ნამდვილი ნების საფუძველზე მიღწეული შეთანხმების დადასტურებაა და მისი გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუკი ის ეწინააღმდეგება კანონს და ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, ან სრულყოფილად არ ასახავს მხარეთა მიერ მორიგების აქტით გამოხატულ ნებას. თუ მხარეთათვის კანონით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზება განხორციელდა მათ მიერ მორიგების აქტზე ხელმოწერის გზით, მორიგების აქტის გაუქმების შესახებ მსჯელობა საფუძველს მოკლებულია.<sup>1059</sup> ასეთ შემთხვევაში, ზემდგომი სასამართლოს განხილვის საგანი თავად მორიგების, როგორც გარიგების ნამდვილობის საკითხია.

სსსკ-ის 218-ე მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, საქმის მორიგებით დამთავრებამდე მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ დავის საგანზე (ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე) რეგისტრირებული არ არის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა, და რომელიც შეიცავს მორიგების მომენტისათვის ძალაში მყოფ მონაცემებს. მორიგების აქტის სასამართლო განჩინებით დამტკიცების შემდგომ მორიგების პროცესი სრულდება და საქმის წარმოება წყდება. ამასთან, საქმის მორიგებით დასრულებისას გასათვალისწინებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, იმავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

ამდენად, მორიგების პირობებზე შეთანხმებას მხარეები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ, ვინაიდან სასამართლოს მიერ მათი დამტკიცების შემდეგ განსახილველი დავა მთავრდება და მხარეთა შეთანხმებას სასამართლო გადაწყვეტილების ძალა ენიჭება.<sup>1060</sup>

მიუხედავად ამისა, შესაძლოა, სასამართლოსა და მორიგებულ მხარეთა შორის ურთიერთობას არაპირდაპირი სამართლებრივი ხასიათი შეუნარჩუნდეს. აღნიშნული ეხება, იმ სამართლებრივ გარემოებებს, როცა მორიგების პირობების შესრულებაზეა დამოკიდებული ძირითადი დავის საბოლოო დასრულება. მაგალითად, მხარემ, შესაძლოა, განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მის საკუთრებაში არსებული ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება იმ საფუძველით, რომ მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებები მხარეთა მიერ შესრულებულია სრულად.

სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ხანგრძლივობა უკავშირდება საქმის წარმოების დასრულებასა და მის შედეგს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხ-

<sup>1059</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე: №ას-145-140-2011. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 08 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-766-725-2015.

<sup>1060</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 06 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-1770-1750-2011.

ლის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.<sup>1061</sup> მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.<sup>1062</sup>

#### 4. მორიგების განჩინების აღსრულება

მართლწესრიგი არ კმაყოფილდება იმით, რომ მოვალემ მხოლოდ ვალდებულება უნდა შეასრულოს. მოთხოვნა აძლევს კრედიტორს შესაძლებლობას, მოვალის წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი სასამართლოში შესრულების მოთხოვნით, ხოლო როდესაც მოვალეს სასამართლო წესით დაეკისრება შესრულების ვალდებულება, განახორციელოს იგი იძულებითი აღსრულების მეშვეობით.<sup>1063</sup>

სამოქალაქო პროცესის საბოლოო და ამასთან დამოუკიდებელ პროცესს წარმოადგენს სააღსრულებო წარმოება.<sup>1064</sup> სწორედ ამ სტადიაზე პოულობს პირის სამოქალაქო უფლებების დაცვა რეალურ განხორციელებას. აღსრულება, უპირველეს ყოვლისა, ნებაყოფლობით შესრულებაში გამოიხატება, თუმცა სასამართლო და აღსრულების ორგანოები საპროცესო მოქმედებების ერთობლიობით დადასტურებულ სამოქალაქო უფლებებს იძულებით ახორციელებენ.<sup>1065</sup>

<sup>1061</sup> სსსკ-ის მუხლები 191-ე-199-ე.

<sup>1062</sup> ერთ-ერთ საქმეზე მხარემ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება, რადგან მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებები მხარეთა მიერ შესრულებულია სრულად და მოცემულ დავასთან დაკავშირებით ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ. სსსკ-ის 191-ე-199-ე მუხლებიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ხანგრძლივობა უკავშირდება საქმეზე წარმოების დასრულებასა და მის შედეგს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მაისის განჩინება საქმეზე: №ას-516-490-2011. უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე მხარეთა განსხვავებული შეთანხმების შესახებ ვრცლად იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 04 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №ას-520-493-2014.

<sup>1063</sup> იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 23. მორიგების პირობების იძულებითი აღსრულება შესაძლოა იყოს თავად მორიგების პირობების შემადგენელი ნაწილი. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე: №ას-757-708-2010.

<sup>1064</sup> დღეს მოქმედ სსსკ-ში სააღსრულებო წარმოება არ არის გათვალისწინებული და მას აწესრიგებს საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, მიღებული 1999 წლის 16 აპრილს.

<sup>1065</sup> იხ. *კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, 406-407.



სააღსრულებო წარმოების მონაწილე პირები კანონით „კრედიტორად“ და „მოვალედ“ მოიხსენიება, თუმცა ეს ცნებები ხშირად (არა ყოველთვის) „მოსარჩელესა“ და „მოპასუხესთან“ არის გაიგივებული,<sup>1066</sup> რაც თავის მხრივ მორიგების მხარეებსაც გულისხმობს.

მორიგების თაობაზე შეთანხმება მხარეთა ნებას ემყარება. შესაბამისად, განჩინება, რომელიც მორიგების პირობებს ითვალისწინებს, მხარეებმა ნებაყოფლობით უნდა აღასრულონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იძულებით აღსრულებას დაექვემდებარება.<sup>1067</sup>

სააღსრულებო წარმოება ხორციელდება სააღსრულებო ფურცლით, რომელიც გაიცემა დოკუმენტის საფუძველზე. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს იმ აქტის იძულებითი აღსრულება, რომლის შესასრულებლადაც ის გაიცა.<sup>1068</sup>

მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში იძულებითი აღსრულების განხორციელების თაობაზე გაფრთხილება აღინიშნება სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილში.<sup>1069</sup>

ერთმანეთში არ უნდა აირიოს ორი ფაქტობრივი მდგომარეობა. კერძოდ, მორიგების აღსრულება და აღსრულების შეწყვეტა მორიგებით. ეს ურთიერთსაპირისპირო მდგომარეობებია. პირველ შემთხვევაში, მორიგების პირობები შეუსრულებელია და, შესაბამისად, მხარე უფლებამოსილია მიმართოს მის იძულებით განხორციელების მოთხოვნას სააღსრულებო ორგანოების მეშვეობითა და კანონით დადგენილი ფორმით. ხოლო, რაც შეეხება მეორე შემთხვევას, ეს ის მდგომარეობაა, როცა საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება სრულდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, და სწორედ ამ ეტაპზე მხარეები რიგდებიან იმ საფუძველზე, რომ მორიგება საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე დასაშვებია, მათ შორის აღსრულებისასაც.

კერძოდ, საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ ითვალისწინებს კრედიტორისა და მოვალის უფლებამოსილებას მორიგდნენ.<sup>1070</sup> კრედიტორი და მოვალე აღსრულების ეროვნულ ბუროს გადასცემენ მორიგების შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომელსაც ბიურო 3 დღის ვადაში გადაუგზავნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობს აღსრულება, მხარეთა მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად.<sup>1071</sup>

ერთი შეხედვით, წარმოუდგენელია ხანგრძლივი სასამართლო პროცესის განმავლობაში მხარეები ვერ მორიგდნენ და მორიგება საბოლოოდ შედგეს აღსრულების პროცესში. თუმცა, ამასთან, მხედველობაში მისაღებია ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც მხარეებს აღსრულებისას ხვდებათ. კერძოდ, აღსრულების მძიმე და რთული ფონი ერთგვარი საფუძველია მორიგების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთან,

<sup>1066</sup> იხ. იქვე, 419-420.

<sup>1067</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-220-209-2010.

<sup>1068</sup> საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, მუხლი მე-20.

<sup>1069</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 05 იანვრის განჩინება საქმეზე: №ას-841-790-2010.

<sup>1070</sup> საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, მუხლი მე-18, ნაწილი 1-ლი, პუნქტი „ბ“.

<sup>1071</sup> იქვე, მუხლი მე-18, ნაწილი მე-2.

სავარაუდოა, რომ მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებები ვერ გახდება მორიგების საფუძველი. დიდი ალბათობით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღმასრულებლის დამოკიდებულებასაც მორიგებისადმი. სასურველია, სულ მცირე სამომრიგებლო უნარ-ჩვევები ჰქონდეს აღმასრულებელს, რათა აღსრულების ეტაპზე მორიგება გარანტირებული იყოს.<sup>1072</sup>

მორიგება აღსრულების შეწყვეტის ერთ-ერთი საუბედოა მას შემდეგ, რაც სასამართლო მხარეთა წერილობით შეთანხმებას, აღმასრულებლის მიმართვის საფუძველზე, დაამტკიცებს და ამის თაობაზე აცნობებს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.<sup>1073</sup>

მნიშვნელოვანია საკითხი, აღსრულების ეტაპზე მხარეთა მორიგების შემთხვევაში, მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე ყოველთვის სასამართლო წარმოადგენს თუ არა იმ ორგანოს, რომელმაც უნდა დაამტკიცოს მორიგება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, განმარტება გააკეთა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, კრედიტორი და მოვალე აღსრულების პროცესში მორიგების შემთხვევაში აღმასრულებელს გადასცემენ მორიგების შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომელსაც იგი სამი დღის ვადაში უგზავნის სასამართლოს მხარეთა მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად. სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა ისე არ უნდა იქნეს გაგებულნი, რომ ნებისმიერ სააღსრულებო წარმოებაზე მორიგება უნდა დამტკიცდეს სასამართლოს მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებელმა გარკვეული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოს გარდა მართლმსაჯულების განხორციელების უფლება მიანიჭა სხვა ორგანოს – არბიტრაჟს, რომელთა გადაწყვეტილებებსაც აქვთ სავალდებულო ძალა ხელშემკვრელი მხარეებისთვის, მორიგების შემთხვევაშიც მათი მორიგება უნდა დაამტკიცოს იმავე დავაზე გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ.“<sup>1074</sup>

მორიგების ერთგვარი გამოვლინებაა ვალდებულების შესრულების განწილვადება სააღსრულებო წარმოების პროცესში. იგი ხელს უწყობს მხარეების მშვიდობიან შეთანხმებას თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე არაუმეტეს 12 თვის განმავლობაში. თუმცა, აღნიშნული დათქმა არ განსაზღვრავს, თუ რა საფუძველის არსებობისას არის შესაძლებელი განწილვადება.<sup>1075</sup> განწილვადება შესაძლებელია აღსრულების ეროვნული ბიუროს (კრედიტორის სახით სახელწიფოს, ადგილობრივი

<sup>1072</sup> იხ. და შეად. *ბოლინგი ჯ.*, მოსამართლის დამოუკიდებლობა და მოსამართლის გადაწყვეტილების მხარეების მიერ მიღება – საქმის განხილვის წარმართვა, მორიგების თაობაზე გამართული საუბრები და დავის მშვიდობიანად გადაწყვეტა. *ლიუტრინგჰაუსი ჯ.*, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007, 137.

<sup>1073</sup> იხ. *უითდესპაგი ი.*, (რედ.), საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, თბ., 2013, 221.

<sup>1074</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №2ბ/2436-09.

<sup>1075</sup> საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, მუხლი მე-18<sup>4</sup>.

თვითმმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტის შემთხვევაში) და კრედიტორის (სხვა შემთხვევებში) თანხმობით.<sup>1076</sup>

მორიგების აქტის აღსრულების სიმარტივე საკანონმდებლო დათქმაშია, რომ შეწყვეტილი საქმის წარმოება არ აძლევს არცერთ მხარეს უფლებას ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს იმავე დავის საგანზე, იმავე მხარეებს შორის. ამასთან, აღსრულების სიმარტივეს ისიც განაპირობებს, რომ საჭირო არ არის სააღსრულებო ფურცლის გამოწერა, ვინიდან, ფაქტიურად, სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცებით მტკიცდება ხელშეკრულება მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობებით. შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების დაცვა მხარეთა ნებაყოფლობითობას ეფუძნება, ანუ ერთგვარი „ნებაყოფლობითი ვალდებულებაა“. ამასთან, შესაძლოა, მხარეებმა მორიგების პირობად გაითვალისწინონ აღსრულების გადადება<sup>1077</sup> გარკვეული ვადით ან პირობით, რაც სასამართლოს მსჯელობის საგანია, გათვალისწინებული იქნება თუ არა მორიგების დამტკიცებისას.<sup>1078</sup>

„ჩვენს ქვეყანაში მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა უკავშირდება არა მხოლოდ სახელმწიფოს იძულებითი მექანიზმების სრულყოფას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების მართლშეგნების დონეს. საზოგადოების პოტენციური ამ მხრივ საკმაოდ მაღალია და მისი განვითარებისათვის არ არის საკმარისი შემოვიფარგლოთ მხოლოდ სასამართლო რეფორმის განხორციელებით. ამდენად, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფის დამკვიდრების შესაძლებლობა დამოკიდებულია შეხედულებების, იდეების, განწყობებისა და სხვა სოციალური ფაქტორების არსებობის გათვალისწინებით“.<sup>1079</sup>

„ეფექტური აღსრულების გარეშე არ არსებობს ეფექტური მართლმსაჯულება. სამწუხაროდ, ეს როგორც ჩვენი, ასევე, საერთოდ, სახელმწიფოებრივი პრობლემაა. ეფექტურ აღსრულებაზე დამოკიდებული არა მხოლოდ ზოგადად სასამართლოს ნდობის აღდგენა, არამედ – მომავალში სახელმწიფოს განვითარებაც, ვინაიდან ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ქვეყანაში არ აღსრულდება, პირველ რიგში, უარყოფითად აისახება სახელმწიფოზე“.<sup>1080</sup>

<sup>1076</sup> იხ. *უითდეკაავი ი.*, (რედ.), საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, თბ., 2013, 221.

<sup>1077</sup> იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი I, თბ., 2002, 112-114. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, მუხლი მე-18, ნაწილი მე-3.

<sup>1078</sup> იხ. *ნაჭყეაბია ა.*, სამოქალაქო სასამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014, 494. იხ. საქმე №ას-792-1079-09, 09.11.2009.

<sup>1079</sup> *თოდრია თ.*, „მოსამართლე უპირველესად კანონის ინტერესების დამცველი უნდა იყოს და არა – საკუთარი იმიჯის“, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006, 53.

<sup>1080</sup> *კუბლაშვილი კ.*, „პატიოსანი და მიუკერძოებელი მოსამართლეების პირველი დამცველი მე ვიქნები“, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006, 14.

## თავი VIII. მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები

### 1. საქმის წარმოების მხარეების მორიგებითი შედეგი

#### 1.1. დავის გადაწყვეტა მხარეთა ნებით და სასურველი შედეგით

##### 1.1.1. მორიგების ნებაყოფლობითი ხასიათი

მორიგება მოდავე მხარეთა შორის განხორციელებული ნებაყოფლობითი ხასიათის სამართლებრივი მოვლენაა,<sup>1081</sup> რომელიც ორმხრივ ურთიერთდათმობას<sup>1082</sup> ემყარება. სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, მორიგება ეფუძნება მხარეთა ნებაყოფლობით შეთანხმებას სადავო საკითხების გადაჭრის წესზე.<sup>1083</sup>

სსსკ არ განსაზღვრავს თუ რა კატეგორიის დავები არის მორიგებადი. მორიგება შესაძლებელია ნებისმიერი კატეგორიის დავაზე. მთავარია თავად დავა იყოს მორიგებადი. ურთიერთდათმობის გზით დავის ან დაურწმუნებლობის აღმოფხვრა, ამ დავის და დაურწმუნებლობის ნებისმიერი ფორმის მიმართ გამოიყენება, იქნება ეს საოჯახო, მემკვიდრეობითი, შრომითი თუ სხვა სამართალურთიერთობის სახით. მორიგების საერთო წესები ვრცელდება დავის ყველა კატეგორიის მიმართ. რაიმე შეზღუდვა არც კანონით არის დაწესებული და არც პრაქტიკით დამკვიდრებული. თუმცა, ცალკეული კატეგორიის დავების სპეციფიკა იმის საფუძველია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მორიგების ტექნიკა ასევე სპეციფიკურად იყოს შერჩეული. მორიგების ერთ-ერთი მიზანი და შედეგი მხარეთა შორის ურთიერთობის შენარჩუნებაა, რაც არსებითია ნებისმიერ დავაში, მაგრამ შრომით, საოჯახო და მემკვიდრეობით დავებში ადამიანური ინტერესი წინა პლანზეა წამოწეული და მორიგება აქ უფრო მიღწევადია. სასამართლო პრაქტიკა არც თუ ისე მდიდარია ცალკეული კატეგორიის დავების მორიგებით დასრულების მაგალითების მიმართ. შესაძლებელია ითქვას, რომ ძირითადად ეს ქონებრივი დავებია, რაც ასევე შესაძლოა სამემკვიდრეო და სამეზობლო დავებიდან გამომდინარეობდეს. შედარებით სპეციფიკურ ხასიათს ატარებს შრომითი<sup>1084</sup> და საოჯახო<sup>1085</sup> დავების მორიგებით დასრულების თავისებურებები.

<sup>1081</sup> ხშირ შემთხვევაში, მორიგება არის შედეგი, რომელსაც მხარეები მიმზიდველად მიიხსენიებენ, განსაკუთრებით საოჯახო და ბიზნეს დავების გადაწყვეტისას, როცა საუბარია სამომავლო ურთიერთობის შენარჩუნებაზე. *Ervasti K., Conflicts Before the Courts and Court-annexed Mediation in Finland, Scandinavian Studies In Law, © 1999-2012, 190.*

<sup>1082</sup> ურთიერთდათმობა – როცა მხარე ამცირებს მოთხოვნას ან თმობს რამეს ამ მოთხოვნის ნიშნად. იხ. *ლილეაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი I, თბ., 2002, 114.

<sup>1083</sup> *Les A., Cullen B., Settlement and Reform of the Civil Justice System: How Settlement is Changing the Practice of Law, Waikato Law Review, 2009, 39.*

<sup>1084</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-98-94-2016.

<sup>1085</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 04 აპრილის განჩინება საქმეზე: №ას-1195-1124-2015.



მორიგება ეყრდნობა ხელშეკრულების უმთავრეს პრინციპს, რომლის მიხედვით, ხელშეკრულების მონაწილეთა ურთიერთობა თანასწორუფლებიანობაზეა<sup>1086</sup> დაფუძნებული და ისინი ერთმანეთს არ ექვემდებარება, მიუხედავად იმისა, ფიზიკური პირები არიან ისინი, იურიდიული, სახელმწიფო თუ სხვა.<sup>1087</sup>

მორიგების იძულებითი განხორციელება აკრძალულია. კანონი მიუთითებს მორიგების შესაძლებლობაზე (და არა ვალდებულებაზე). „პოზიტიური ცნების მიხედვით, სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა“.<sup>1088</sup> ამასთან, „იძულება არ არის სამართლის აუცილებელი ნიშანი. სამართალი, პირველ რიგში ასოცირდება სამართლიანობასთან და არა იძულებასთან“.<sup>1089</sup> მორიგების მხარეთა არჩევანის თავისუფლება, დავა ურთიერთშეთანხმებით დაასრულონ, კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპს უკავშირდება.<sup>1090</sup>

მოსამართლეთა პოზიციით, მცდელობას, საქმე მხარეთა ურთიერთშეთანხმებით დასრულდეს, წინ არაფერი უდგას. შესაბამისად, მოსამართლეების მხრიდან მორიგების თაობაზე მცირედი ბიძგი იძულებად არ უნდა იქნეს მიჩნეული.<sup>1091</sup> თუმცა, ზოგიერთი მოსამართლე მორიგებას აღწევს იძულების, დაშინებისა და საქმის გარემოებების გართულებული ფორმით წარმოჩენის გზით, რაც თავად მოსამართლეების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია და, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.<sup>1092</sup>

მხარეთა ნებას უკავშირდება მიღებული გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებაც, ვინაიდან მორიგების დამტკიცებისას არ არის საჭირო სააღსრულებო ფურცლის გამოწერა.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ მხარეები ასევე ნებაყოფლობით მიდიან დასკვნამდე, რომ ისინი უფრო მეტ სამართლებრივ შედეგებს კარგავენ მორიგებაზე უარის თქმით, ვიდრე ამ ურთიერთობის თუნდაც მცდელობით, რომელიც უმთავრესი, წინგადადგმული ნაბიჯია სასურველი და ორმხრივად მისაღები შედეგის მისაღწევად.

მორიგება არის პროცესი, რომელის თაობაზეც გადაწყვეტილება მხარეთა მიერ ნებაყოფლობით მიიღება და სასურველი შედეგით სრულდება. გადაწყვეტილების ნებაყოფლობითობა მხარის მიერ ნების გამოვლენის შედეგია. ყველა შეთანხმება მხარეთა ნების შეთანხმებას გულისხმობს. მორიგება მხარეთა შეთანხმებაა მორიგების პირობების შესაბამისად სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

<sup>1086</sup>Les A., Cullen B., Settlement and Reform of the Civil Justice System: How Settlement is Changing the Practice of Law, Waikato Law Review, 2009, 40.

<sup>1087</sup>იხ. ახელქედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999, 10.

<sup>1088</sup>ხუბუა ე., სამართლის თეორია, თბ., 2015, 42.

<sup>1089</sup>იხ. იქვე, 53.

<sup>1090</sup>საქართველოს კონსტიტუციის მუხლი მე-14.

<sup>1091</sup>Cornes D., Commercial Mediation: The Impact of the Courts, TOMSON, Sweet & Maxwell Limited, 2007, 13.

<sup>1092</sup>Crane S. G., Judge Settlements Versus Mediated Settlements, Dispute Resolution Magazine, 2011, 21.

### 1.1.2. მხარეთა სასურველი შედეგი

„სასამართლოს გადაწყვეტილება კერძო ურთიერთობებში ერევა სახელმწიფო სამართალშეფარდებითი პროცესის მეშვეობით. სასამართლო გადაწყვეტილების მეშვეობით სახელმწიფო ვალდებულ პირთა ნების საწინააღმდეგოდ კარნახობს თავის ნებას, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ ამ პირთა ქცევა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ წესებს“.<sup>1093</sup>

მორიგების შედეგის უპირატესობა ისაა, რომ თავად დავის სასამართლო განხილვის დროს მხარეებს კიდევ ერთხელ აქვთ საპროცესო საშუალება, მორიგდნენ. მორიგება აძლევს მხარეებს შესაძლებლობას, მიიღონ გადაწყვეტილება მათთვის სასურველი შედეგით.

საქმის წარმოების სასურველი შედეგით დასრულების მიზნით, აუცილებელია მხარეთა პოზიციების ურთიერთდათმობა. მორიგებისას თითოეული მხარე თმობს საკუთარ პოზიციას მეორე მხარის სასარგებლოდ. შესაძლოა, რომელიმე მხარეს ნაკლებად მომგებიანი პოზიცია ჰქონდეს საქმის წარმოებისას, თუმცა მორიგების დროს შეძლოს მეორე მხარისთვის ისეთი სამართლებრივი სიკეთის შეთავაზება, რომელიც არსებულ კონფლიქტს დააბალანსებს და დაარეგულირებს.

მორიგებისას აუცილებელია მხარეთა კონცენტრირება საერთო სასარგებლო და ორივე მხარისთვის მისაღებ შედეგზე. ორმხრივი ინტერესის უმთავრესი წინაპირობაა, რომელიც უმოკლეს დროში იძლევა მორიგების სამართლებრივ შედეგს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მორიგებისას „დამარცხებულის პოზიცია“ არ არსებობს და მორიგებაში მხარეთა სტატუსია „მორიგებულები“.

„აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საოჯახო, არამედ სამეწარმეო დავების დროსაც: მორიგების შემთხვევაში მხარეები დარბაზს აღარ ტოვებენ როგორც მოგებული და დამარცხებულნი<sup>1094</sup> მხარეები. პირიქით, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, „შეინარჩუნონ საკუთარი პრესტიჟი“, რაც ხშირად შელახული სამეწარმეო ურთიერთობის შემდგომში კვლავ გაგრძელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა“.<sup>1095</sup>

ამ გარემოებას ის ფაქტიც განამტკიცებს, რომ წარმატება არ ნიშნავს გამარჯვებას. წარმატების მიღწევა გულისხმობს ფაქტების ერთობლიობას, როცა მხარეებს შეუძლიათ მაქსიმალურად გააანალიზონ ფაქტები და გამარჯვების მიღწევის საშუალებებიც. მოგება და წაგება სუბიექტური კატეგორიებია და მორიგების თითოეულ მხარეს ის განსხვავებულად ესმის. წარმატება იზომება იმის მიხედვით, თუ რითი მიიღწევა ის.<sup>1096</sup>

მორიგების ინსტიტუტი ფართოდ გამოიყენება სამართლებრივად განვითარებულ ქვეყნებში. მორიგების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის, დანერგვის შედეგია სასამართლოთა განტვირთვა მარტივი კატეგორი-

<sup>1093</sup> *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 556-557.

<sup>1094</sup> იხ. *ხუბუა ვ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 98.

<sup>1095</sup> *ლიუტრინგაუსი პ.*, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007, 133-134.

<sup>1096</sup> *Berghoff E. A., Fieweger M. J., Linguanti T. V. M., Morkin M. L., Vigil A.C., (Editorial Board), Williams P., (Executive Director, PILPG) Stewart M., (Senior Peace Fellow, PILPG), The International Negotiations Handbook, Success through Preparation, Strategy, and Planning, A Joint Project from Baker & McKenney and The Public International Law & Policy Group, 2007, 9.*

რის საქმეებისაგან, ასევე პროცესის დასრულება ორივე მხარის ნებისა და სურვილების გათვალისწინებით, რაც სასამართლო საქმის განხილვის გზით თითქმის შეუძლებელია.<sup>1097</sup>

## 12. საპროცესო ხარჯების დაზოგვა

### 12.1. საპროცესო ხარჯები

ეკონომიურობის ფუნქცია ყველა სამართლებრივ მოვლენას არ აქვს. სამართლის სისტემაში ეკონომიურობა საზოგადოებრივი და სამართლებრივი ურთიერთობების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია.

ეკონომიის პრინციპი პირდაპირ ვერ აისახა კანონმდებლობაში, მაგრამ ამ პრინციპის მოთხოვნებითაა გაჯერებული სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა ნორმა, ანუ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, მისი ნორმები და ინსტიტუტები აგებულია ისე, რომ სამართალწარმოების მიზანი, საქმის სწრაფად და სწორად გადაწყვეტა, მიღწეულ იქნეს დროისა და საპროცესო საშუალებების, რაც შეიძლება, მცირე დანახარჯებით.<sup>1098</sup>

სამოქალაქო საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელება ფასიანია, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეები და მესამე პირები სასამართლოს სასარგებლოდ იხდიან ფულად თანხებს იმ საპროცესო მოქმედებების შესასრულებლად, რომლებიც სასამართლომ უნდა შეასრულოს. თუმცა, საპროცესო მოქმედებების შესრულებისთვის გაწეული ხარჯის გარდა, ხარჯების მიზანი სასამართლოსთვის უსაფუძვლო მიმართვის თავიდან აცილება და ვალდებულების დამრღვევი მხარისათვის დამატებითი იურიდიული სანქციაა.<sup>1099</sup>

პროცესის ხარჯები ორი სახისაა: სასამართლო ხარჯები (კანონით ამომწურავადაა განსაზღვრული) და სასამართლოს გარეშე ხარჯები<sup>1100</sup> (კანონით ამომწურავად არაა განსაზღვრული).

სასამართლო ხარჯები, თვის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბაჟს და საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯს.<sup>1101</sup> სასამართლოს გარეშე ხარჯები კი მოიცავს ადვოკატისთვის გაწეულ ხარჯებს, განაცდურს, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეულ ხარჯებს.<sup>1102</sup> ამდენად, საქმის წარმოების დროს გასაწევი ხარჯების ჩამონათვალი და, მითუმეტეს, მათი ფულადი გამოხატულება არც თუ მცირეა.

ყველა ამ ხარჯის პარალელურად, საპროცესო კოდექსი ადგენს გამონაკლისებს, როცა შესაძლებელია სასამართლო ხარჯების გადახდის-

<sup>1097</sup> იხ. გოგიშვილი, მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია, ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010, 27.

<sup>1098</sup> ვრცლად იხ. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ე., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 103-105.

<sup>1099</sup> იხ. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 185.

<sup>1100</sup> სსსკ-ის მუხლი 37-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>1101</sup> სსსკ-ის მუხლი 37-ე, ნაწილი მე-2.

<sup>1102</sup> სსსკ-ის მუხლი 37-ე, ნაწილი მე-3.

გან განთავისუფლება,<sup>1103</sup> გადახდის გადავადება და მათი ოდენობის შემცირება<sup>1104</sup> ან განაწილება მხარეთა შორის.<sup>1105</sup>

## 1.2.2 მორიგების ეკონომიურობა

მორიგება მიზნად ისახავს სასურველი შედეგის მიღებას სწორედ საპროცესო ხარჯების დაზოგვის შედეგად. ამ მიზნით, კანონმდებელმა ჰუმანურობა გამოიჩინა და დაადგინა განსხვავებული სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა მორიგების შემთხვევაში.

სსსკ-ის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მხარეებმა მორიგების დროს თვითონ გაითვალისწინეს სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯების განაწილების წესი, სასამართლო ამ საკითხს წყვეტს მათი შეთანხმების შესაბამისად. „მხარეთა მორიგების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ ერთმანეთში შეთანხმდნენ სასამართლო ხარჯების განაწილების წესზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსთვის. თუ მხარეები არ შეთანხმებულან, მაშინ სასამართლომ თვითონ, თავისი ინიციატივით უნდა გაანაწილოს მხარეთა შორის სასამართლო ხარჯები“.<sup>1106</sup>

სსსკ-ის 49-ე მუხლი 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის შემცირებას. კერძოდ, მხარეთა მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი ნახევრდება.<sup>1107</sup> აღნიშნული მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის განახევრება ხდება მაშინ, თუ მხარეები მორიგდებიან მთავარ სხდომაზე. სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მორიგება შედგება მთავარ სხდომამდე,<sup>1108</sup> მხარეები მთლიანად გათავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟისგან.<sup>1109</sup>

აუცილებელია, მხარეთა მორიგების მიზნით დამტკიცებულ განჩინებაში აისახოს მხარეთა ხარჯების გადაანაწილების წესი, თუ რომელ მხარეს რა ხარჯი და რა ოდენობით უნდა დაეკისროს.<sup>1110</sup> „არ არის გამორიცხული, რომ მხარემ მიმართოს სასამართლოს ხარჯების გადაანაწილების მიზნით მას შემდეგ, როცა სასამართლომ უკვე გამოიტანა განჩინება, რომელშიც არაფერია ნათქვამი ხარჯების გადაანაწილების თაობაზე. მაშინ სასამართლომ სსსკ-ის 261-ე მუხლის ანალოგიით უნდა გამოიტანოს

<sup>1103</sup>სსსკ-ის მუხლი 47-ე.

<sup>1104</sup>სსსკ-ის მუხლი 48-ე.

<sup>1105</sup>სსსკ-ის მუხლი 54-ე.

<sup>1106</sup> *ლილეუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 147. ვრცლად იხ. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, XXX, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სუს, თბ., 2007, 36.

<sup>1107</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 186.

<sup>1108</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე: №2ბ/4963-14.

<sup>1109</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 195.

<sup>1110</sup> იხ. *ლილეუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 147.



დამატებითი განხილვა და განსაზღვროს, თუ რომელმა მხარემ რა ხარჯი უნდა გასწოს.<sup>1111</sup>

მორიგების შედეგობრივი უპირატესობა დავის გადაწყვეტის ერთგვარ ეკონომიურობაში ვლინდება.<sup>1112</sup> მორიგებით შესაძლებელია ხანგრძლივი პროცესებისათვის (რომლებიც სხვადასხვა ინსტანციას გადიან) თავის არიდება,<sup>1113</sup> რომელიც მუდმივად დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან.<sup>1114</sup> მორიგების დროს შესაძლებელია სასამართლო ხარჯებზე შეთხმება, ხოლო აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები, შესაძლოა, საერთოდ თავიდან იქნეს აცილებული.

### 13. კონფლიქტის მოგვარება და სამართლიანობის აღდგენა

#### 13.1. კონფლიქტის მოგვარება

მორიგების მიზანი მოდავე მხარეთა შორის არსებული კონფლიქტის მოგვარება, მისი ახლებული რეგულირება და, აღნიშნულის საფუძველზე, სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტაა, რაც, თავის მხრივ, აღადგენს სამართლიანობას.

კონფლიქტი სოციალური მოვლენაა. მისი გამომწვევი მიზეზები გარკვეული მოვლენები, ფაქტები, სიტუაციებია, რომელიც წინ უძღვის კონფლიქტს და, რომელთაც გარკვეულ პირობებში იწვევენ სუბიექტები.<sup>1115</sup>

კონფლიქტის არსებობის პირობებში, შესაძლოა, მხარეებმა შეცვალონ თავიანთი პოზიციები და გამონახონ შესაბამისი რესურსები დავის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით (*dispute will only be pursued by peaceful means*).<sup>1116</sup> თუმცა, როგორც წესი, ეს ასე არ ხდება. კონფლიქტის მხარეები მიმართავენ სასამართლოს და, ამდენად, მას სრულად მინადობენ დავის გადაწყვეტის ბედს.

<sup>1111</sup> ლილუა შვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 147.

<sup>1112</sup> შეად. Sale H. A., Judges Who Settle, Washington University Law Review, Volume 89 | Issue 2, 2011, 385. შემდგომი მითითებით: Many articles discuss settlements and agency costs and solutions. See, e.g., Alexandra Lahav, *Fundamental Principles for Class Action Governance*, 37 IND. L. REV. 65, 128 (2003) (advocating an active adversarial process during fairness hearings, —a kind of trial on the merits of the settlement!) [hereinafter *Fundamental Principles*]; *id.* at 136 (discussing the use of magistrate judges in negotiating settlements); Amanda M. Rose, *Reforming Securities Litigation Reform: Restructuring the Relationship Between Public and Private Enforcement of Rule 10b-5*, 108 COLUM. L. REV. 1301, 1354, 1363 (2008) (developing an — oversight approach for the SEC in 10b-5 cases); William B. Rubenstein, *The Fairness Hearing: Adversarial and Regulatory Approaches*, 53 UCLA L. REV. 1435, 1452–66 (2006) (examining various proposals for reducing agency costs at the settlement stage, including use of devil’s advocates). In addition, agency cost concerns have been explored at some length in the literature on class certification and settlement classes, or classes certified solely for settlement purposes. See, e.g., *Class Action Accountability*, *supra* note 27, at 372–73. Those concerns and arguments have some salience here, but the focus of this paper is different. I am interested in the context of settlement approval generally.

<sup>1113</sup> Resolving Your case Before Trial, Guidebooks for Representing Yourself in Supreme Court Civil Matters. Produces by: www. JusticeEducation.ca, Funded by: www.LawFoundationBC. org. Justice Education Society, The Law Foundation of British Columbia, July, 2010, 1-2.

<sup>1114</sup> იხ. ჭანტურია ლ., ბოელინგი პ., სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება მთავარი მიზეზების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 89.

<sup>1115</sup> იხ. ცვეტკოვ ვ. ლ., კონფლიქტის ფსიქოლოგია, თბ., 2015, 2013.

<sup>1116</sup> Merrills J.G., *International Dispute Settlement*, New York, 2005, 1.

რა თქმა უნდა, სასამართლოს შექმნის აუცილებლობა განპირობებული იყო მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად, მხარეთა შორის წამოჭრილი კონფლიქტის გადასაწყვეტად.<sup>1117</sup> თუმცა, კონფლიქტის მოგვარების გზები და საშუალებები განსხვავებულია საქმის წარმოების დროს და მორიგებით საქმის წარმოების დასრულებისას.<sup>1118</sup>

მორიგებით საქმის წარმოების დასრულება განსხვავდება საქმის წარმოების დასრულებით მიღებული შედეგისაგან იმით, რომ დავის მორიგებით დასრულება დავის ფაქტობრივად გადაწყვეტას, კონფლიქტის მოგვარებას გულისხმობს.

ფაქტობრივი გადაწყვეტა, შედეგობრივად გადაწყვეტაა. ზოგადად, შედეგი საქმის წარმოების დასრულების შემდგომაც მიიღება სასამართლო გადაწყვეტილების სახით, მაგრამ მორიგებით დავის გადაწყვეტამ მხარეებს „რეალური შედეგი“ უნდა მოუტანოს.

„რეალური შედეგის“ სამართლებრივი განმარტება, თუნდაც ის გადაწყვეტილების სახით იყოს გამოხატული, არ არსებობს. რეალურია შედეგი, რომელიც დავის საგნით გათვალისწინებული მხარეების მოთხოვნების (უფლებების) დაკმაყოფილებაში გამოიხატება.

ამდენად, საქმის მორიგებით დამთავრების შემთხვევაში მხარეთა შორის არსებული დავა წყდება არა მხოლოდ იურიდიულად, არამედ ფაქტობრივად.<sup>1119</sup> ფაქტობრივი გადაწყვეტა კი სწორედ შედეგობრივ გადაწყვეტს გულისხმობს, „მორიგების შედეგად უფრო მეტად არის შესაძლებელი „სამართლიანობის“ აღდგენა, ვიდრე სადავო გადაწყვეტილების გამოტანისას, როდესაც ეს უკანასკნელი, ხშირად, ფორმალურ კრიტერიუმებზეა ორიენტირებული“.<sup>1120</sup>

### 13.2. სამართლიანობის აღდგენა

სასამართლო მთლიანად ვერ აღმოფხვრის ადამიანთა შორის არსებულ პრობლემებს და ვერ უზრუნველყოფს დავის სასამართლო წესით დასრულების შემდგომ მათ შორის საუკეთესო ურთიერთობებისა და განწყობების ჩამოყალიბებას. „სასამართლო მხოლოდ და მხოლოდ წყვეტს დავას და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა წარიმართოს მათი შემდგომი ურთიერთიერთობები“.<sup>1121</sup>

სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ კანონით დადგენილი წესით მიღებულ გადაწყვეტილებასა და, ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელებაში არ გამოიხატება, არამედ მხარეთა ნების გამოვლენაშიც. სამარ-

<sup>1117</sup> იხ. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 55.

<sup>1118</sup> სადავო არაა, რომ დიდია სხვაობა სასამართლო გადაწყვეტილებასა და დავის გადაწყვეტას შორის იმ მოლოდინებში, რომლებიც მოდავე მხარეებსა თუ სასამართლოს გააჩნიათ. Gleeson M., Future of Civil Justice Adjudication or Dispute Resolution, Otago Law Review, 1999, 454-455.

<sup>1119</sup> იხ. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2007, 480.

<sup>1120</sup> ლიუტრინგაუსი პ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007, 134.

<sup>1121</sup> ჩახანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013, 74.

თლიანობა შეფასებითა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით მიღებული შედეგი განსაზღვრავს.

მორიგებით გამოვლენილი ნების შედეგად, შესაძლოა მხარეთა შორის უკვე არსებული ურთიერთობა შენარჩუნდეს. უფრო მეტიც, შესაძლოა მორიგების პირობებმა დახვეწოს და დაარეგულიროს მხარეთა შემდგომი თანამშრომლობა.<sup>1122</sup> ურთიერთდაპირისპირებული მძიმე განწყობები უნდა გარდაიქმნას თანამშრომლობის სურვილსა და ურთიერთპატივისცემის გრძობაში.<sup>1123</sup> მორიგებით დავის გადაწყვეტა ხელს უწყობს მხარეთა შორის ახალი ურთიერთობის დამყარებას და მშვიდობის აღდგენას,<sup>1124</sup> რასაც საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ მორიგებით შესაძლებელია იმ შედეგის მიღება, რომელსაც გადაწყვეტილების მიღებით ვერ მივიღებდით.

## 2. სასამართლოს მორიგებითი შედეგი

### 2.1. ხანგრძლივი სასამართლო პროცესის თავიდან არიდება

#### 2.1.1. საქმეთა სიმრავლე

რომის სამართალში არსებობდა ე.წ. ექსტრაორდინარული პროცესი, რომლის დიდი ნაკლი ის იყო, რომ „ერთხელ დაწყებული საქმე შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო, დაბალი ინსტანციიდან უფრო მაღალში გადატანილიყო და ასე თვით იმპერატორის კანცელარიამდე მიეღწია“.<sup>1125</sup>

დღესაც, სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესი გადაწყვეტილების მიღებამდე და უშუალოდ გადაწყვეტილების ჩამოყალიბების პროცესში, კანონით გათვალისწინებული უამრავი მოქმედების შესრულებას გულისხმობს.<sup>1126</sup>

სამართალწარმოების პროცესი დროში განვრცობილი სამართლებრივი მოვლენაა, რომელსაც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სამართალწარმოების წესი და კონკრეტული დავის სპეციფიკა ერთობლივად განაპირობებს.

<sup>1122</sup> იგ. ისეთი სახის ურთიერთობები, რომელიც მხარეთა ხანგრძლივ თანამშრომლობაზე გათვლილი და დაფუძნებული. თანამშრომლობაზე ორიენტაცია კონფლიქტის და-რეგულირების სტრატეგიის პრინციპს „მოგება-მოგებას“ ეფუძნება. ვრცლად იხ. *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია, თბ., 2012, 13. იხ. და შეად. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 15.

<sup>1123</sup> იხ. *ჩახანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ.*, კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013, 23.

<sup>1124</sup> იხ. *ლიუტრინგჰაუსი პ.*, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007, 133.

<sup>1125</sup> *ნადარეიშვილი ე.*, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2001, 34.

<sup>1126</sup> იხ. და შეად. *გიღეხი პ.*, მართლმსაჯულების სისტემა კრიტიკული თვალით: შედარებითი ანალიზი გერმანული პოზიციიდან, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2009, 232-233. შემდგომი მითითებით: "Deutsche Ziviljustiz als Beispiel für die Überlastung staatlicher Gerichte und Strategien zu ihrer Entlastung", in: Ankara Barosu Dergisi (Anwaltskammer-Zeitschrift), Ankara, Heft 5, 1992, S. 749 ff.; "Anmerkungen zum Thema Justizbelastung und zur Notwendigkeit eines Entlastungsstrategiekonzepts", in: Jürgen Brand/Dieter Stempel (Hrsg.), Soziologie des Rechts, Festschrift für Erhard Blankenburg zum 60. Geburtstag, Schriften der Vereinigung für Rechtssoziologie, Band 24, Baden-Baden 1998, S. 531 ff.

თითოეული სასამართლო პროცესის ხანგრძლივობა საპროცესო კანონმდებლობითაა დადგენილი და ყველა იმ ეტაპის სრულყოფილ გაგებას უკავშირდება, რომელიც აუცილებელია საქმის წარმოების დასრულებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის.<sup>1127</sup>

ეს საქმიანობა არაერთი ეტაპისგან შედგება, რომელთაგან, შინაარსობრივად და სამართლებრივად, არსებითია სადავო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის დადგენა და მისი მოყვანა უდავოობის მდგომარეობაში (გადაწყვეტილების საგანი); სამართლის იმ ნორმების დადგენა, რომლებითაც უნდა მოწესრიგდეს სადავო სამართლებრივი ურთიერთობა (სამართლის წყაროები); სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების უფლებებისა და მოვალეობების მოცულობის განსაზღვრა.<sup>1128</sup> აღნიშნულის გვერდით, არის ასევე საქმის განხილვის არაშინაარსობრივი, ფორმალური მხარეები, რომლებიც არსებით გაგებას ახდენს საქმის წარმოების პროცესზე.

„დღევანდელი მართლმსაჯულების ერთ-ერთი პრობლემაა საქმეთა სიმრავლე<sup>1129</sup> და მოსამართლის უმძიმესი დატვირთვა, რაც, ბუნებრივია, მართლმსაჯულების ხარისხზეც ახდენს გავლენას და, იმავედროულად, იწვევს საზოგადოების სამართლიან უკმაყოფილებას საქმეთა განხილვის გახანგრძლივების გამო. ეს ყველა ინსტანციის სასამართლოს პრობლემაა, მაგრამ უდავოდ გასათვალისწინებელია, რომ სამოსამართლო საქმიანობა შემოქმედებითი საქმიანობაა. მას სიჩქარე არ უყვარს. მოსამართლე იმაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, რომ „ჩაძირული“ საქმეების გამო ვადები დაერღვევა, რისთვისაც მას პასუხს მოსთხოვს იუსტიციის საბჭო, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ სწორად განმარტოს კანონი და სწორად გადაწყვიტოს ამა თუ იმ კონკრეტული საქმის ბედი.“<sup>1130</sup>

მოსამართლეებზე საქმეების გადანაწილება იყო და არის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქმეთა გადანაწილების სწორი და სამართლიანი პოლიტიკა შეიძლება იყოს სასამართლოში გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობისა განმსაზღვრელი. საქმეების სწორი გადანაწილება მნიშვნელოვანია მოსამართლეთა დატვირთულობის დაბალანსებისთვის, კორუფციის აღმოსაფხვრელად და სასამართლოს მიმართ ნდობის ჩამოსაყალიბებლად.<sup>1131</sup>

<sup>1127</sup> უფრო და უფრო აქტუალური ხდება დავის მორიგების გზით გადაწყვეტა, რაც თავის მხრივ, დაკავშირებულია სამართლებრივი ურთიერთობის განვითარებასა და საქმის წარმოებისადმი მიდგომების შეცვლასთან. *Glover J. M., The Federal Rules of Civil Settlement, Jurnal of International Law and Politics, 2012, 1723.*

<sup>1128</sup> იხ. *თოდუა მ., ქურდაძე შ.*, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბ., 2005, 81.

<sup>1129</sup> დაახლოებით 60 000-იდან 70 000-მდე საქმე განიხილება ყოველწლიურად. ვრცლად იხ. *დარჯანია თ.*, სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, ელექტრონული მართლმსაჯულების ქართული გამოცდილება, თბ., 2015, 6.

<sup>1130</sup> *ლაზარაშვილი ლ.*, „საზოგადოებას უნდა სწამდეს, რომ სასამართლოს შეუძლია შეასრულოს თავისი ნამდვილი ფუნქცია – აღასრულოს მართლმსაჯულება“, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006, 56.

<sup>1131</sup> ვრცლად იხ. *დარჯანია თ.*, სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, ელექტრონული მართლმსაჯულების ქართული გამოცდილება, თბ., 2015, 21.



მოსამართლის უმძიმესი დატვირთვის პარალელურად, დღის წესრიგში დგას საკითხი მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობის თაობაზე, რათა საქმეები არ დაგროვდეს და არ შეფერხდეს მათი განხილვა.<sup>1132</sup>

აღნიშნული პრობლემა არ წამოჭრილა დღეს. საბჭოთა სასამართლო სისტემის ავტორიტარული რეჟიმი უგულებელყოფდა სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტურ პრინციპს, რის გამოც, შესაძლოა სასამართლო პროცესი დაუსრულებლად გაგრძელებულიყო, ვინაიდან გადაწყვეტილების ძალაში შესვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა საქმის დასრულებას.<sup>1133</sup>

მოსამართლეთა დატვირთვისა და საქმეების გადანაწილების პრინციპის სწორად შემუშავებისა და რეგულირების მიზნით, მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს ისეთ გარემოებებზე, როგორებიცაა: სასამართლოებში საჭირო ადამიანური რესურსის დაანგარიშება; მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების წესი და ამ წესის დაუცველობის შესაძლებლობა; სასამართლოს თავმჯდომარისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი საქმეთა გაჭიანურებისა და განსახილველ საქმეთა დაგროვების თავიდან ასაცილებლად.<sup>1134</sup>

„ყველა სხვა პრობლემასთან ერთად, რომელიც დღეს არსებობს სასამართლო სისტემაში, მოქალაქეთა განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს საქმეთა განხილვის გაჭიანურება.“<sup>1135</sup> საკითხი მართლაც უმწვავესია, რადგან საქმეები წლობით გრძელდება, ხშირია მათი „წრეზე ბრუნვა“ – ქვედა ინსტანციის სასამართლოებში დაბრუნება, მათი ხელახლა განხილვა და ა.შ. ადამიანი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ მოიგებს საქმეს, იმდენად დაღლილია ასეთი პროცედურებით და იმდენი ხარჯი აქვს გაღებული, რომ მისთვის გადაწყვეტილებას უკვე აზრი ეკარგება.“<sup>1136</sup>

„სამართლის ნორმა მიმართულია ადამიანის გარეგანი ქცევისაკენ. ნორმას ჩვეულებრივ ნაკლებად აინტერესებს სამართლის მიმართ პირის შინაგანი დამოკიდებულება. მართლწესრიგი მოქმედებს ადამიანის განწყობისაგან დამოუკიდებლად.“<sup>1137</sup> ანალოგიურად, სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესს ნაკლებად აინტერესებს მოდავე მხარეთა გან-

<sup>1132</sup> იხ. *შავლიაშვილი ვ.*, „საქალაქო სასამართლო მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი და ეფექტური გახდება“, სუს, „მართლმსაჯულება“, თბ., №1, 2006, 65.

<sup>1133</sup> იხ. *ლილეუაშვილი თ., ლილეუაშვილი ვ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 28.

<sup>1134</sup> ვრცლად იხ. *ლიბრაძე დ.*, მოსამართლეთა დატვირთვა და საქმეთა გადანაწილება. სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, მოსამართლის კონფერენციის მასალები, თბ., 27/28 სექტემბერი, 2013, 49-61.

<sup>1135</sup> მოსამართლემ უფლება-მოვალეობა უნდა შეასრულოს ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე – სასამართლოს და მასში მონაწილე პირების ღირსების პატივსაცემად. იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, (ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა), ვაშინგტონი, 2009, 92. არსებობს უამრავი ნორმა, რომელთან მიმართებითაც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს სხვადასხვა მოსაზრებები გააჩნიათ და სხვადასხვა პრაქტიკას მისდევენ. აღნიშნული, საბოლოო ჯამში, საქმეთა გადაწყვეტაზე აისახება და საქმეთა განხილვის გაჭიანურებას იწვევს. იხ. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, XXX, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სუს, თბ., 2007, 5.

<sup>1136</sup> იხ. სასამართლო რეფორმის ძირითადი მიმართულებები, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006, 28.

<sup>1137</sup> *ხუბუა ვ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 52.

წყობა და დამოკიდებულება განსახილველი საკითხისადმი. ის ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ დავა სასამართლოში წინასწარ დადგენილი წესის შესაბამისად უნდა წარიმართოს.

მორიგების მიზანი, ერთი მხრივ, კონკრეტული დავის სწრაფი და საბოლოო გადაწყვეტა, ხანგრძლივი სასამართლო პროცესების თავიდან არიდებაა, ხოლო, მეორე მხრივ – თითოეული მორიგებით დასრულებული დავა განაპირობებს საზოგადოებაში სასამართლო სისტემისადმი განწყობის ამადლებასა და საზოგადოების მხრიდან სასამართლოს მიმართ ნდობას.<sup>1138</sup>

საქმის წარმოების მორიგებით დასრულების შესაძლებლობა ერთგვარი სამართლებრივი შესაძლებლობაა, როგორც საქმის წარმოების მონაწილეთათვის, ასევე სასამართლო სისტემისათვის, რათა თავიდან აირიდოს ხანგრძლივი სასამართლო პროცესები და გადატვირთული საქმის წარმოება.<sup>1139</sup>

## 2.12. დროის ფაქტორი

### 2.12.1. საქმის წარმოების დრო

დროის ფაქტორი ყოველთვის განსაკუთრებულია, როგორც საზოგადოებრივი, ისე სამართლებრივი პროცესების სწორად წარმართვის, დარღვეული თუ სადავო უფლების დაცვის, სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისთვის.<sup>1140</sup> დროის ფაქტორი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს უშუალოდ საქმის წარმოების პროცესში. ის ხშირად აიძულებს მოსამართლეს, შეევეცოს თავისი საქმიანობა დროის სიმცირის გამო, ვინიდან მოსამართლეს, რომელსაც სურს დაწვრილებითი პასუხი გასცეს სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, სამუშაოს დროულად დასრულება გაუჭირდება.<sup>1141</sup>

სამართალწარმოების მიზანი არა მხოლოდ პირთა უფლებების დაცვა, არამედ ამ უფლებების დროულად და გონივრულ ვადებში დაცვაა. ამისთვის, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს საპ-

<sup>1138</sup>სასამართლოები წარმოადგენენ არა მხოლოდ მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოებს, არამედ სამომრგებლო შეთანხმების მხარდამჭერებსაც. *Roberts S., Settlement as Civil Justice, Modern Law Review, 2000, 739.*

<sup>1139</sup>ამასთან, „იბადება კითხვა, ხომ არ არის ყველა განსჯადობის სახელმწიფო სასამართლო, მათდამი ძლიერი დაინტერესების გამო, არა მხოლოდ მნიშვნელოვნად დატვირთული, არამედ გადატვირთული, საქმეების პერმანენტულად მზარდი მოზღვავეების შედეგად, შედეგი კი იურიდიული დაცვის ხარისხის ძლიერი გაუარესება და, შესაბამისად, „მართლმსაჯულების სიკეთების“ შემცირებაა“. იხ. და შეად. *კილეხი პ.*, მართლმსაჯულების სისტემა კრიტიკული თვალთ: შედარებითი ანალიზი გერმანული პოზიციიდან, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2009, 235.

<sup>1140</sup>სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობის პრინციპების დარღვევა განაპირობებს სასამართლოებში დავების განხილვის გაჭიანურებას, თვეების განმავლობაში გარკვეული კატეგორიის საქმეებზე პროცესუალური მოქმედებების შეუსრულებლობას საქმის წარმოების შეჩერების გარეშე. ვრცლად იხ. *ჭირია გ.*, სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის თეორიულ-პრაქტიკული კომენტარები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, თბ., 2002, 7.

<sup>1141</sup>მაგ. სამართლებრივ დასკვნაზე და გადაწყვეტილების პროექტზე მუშაობისას განუხილველი დატოვოს გარკვეული საკამათო საკითხები. იხ. *ჭანტურია ლ., ბოელინგი პ.*, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 54-55.

როცესო მოქმედებების შესრულების ვადებს. „საპროცესო მოქმედებები სრულდება კანონით დადგენილ ვადაში“.<sup>1142</sup>

სამართალწარმოების მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილად განხორციელებისა და რეალიზებისათვის მნიშვნელოვანია სწორედ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების ზუსტი დაცვა.<sup>1143</sup>

„საპროცესო ვადა – ესაა დროის გარკვეული მონაკვეთი რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულდეს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება“.<sup>1144</sup> ხოლო იქ, სადაც ვადა კანონით არაა მითითებული, მას განსაზღვრავს სასამართლო.<sup>1145</sup> საქმეები უნდა განიხილებოდეს გონივრულ ვადებში.<sup>1146</sup> საპროცესო ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა.<sup>1147</sup>

დროის ფაქტორის, ანუ ვადების, მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში უშუალოდ უკავშირდება სამართალწარმოების მიზნებსა და ამოცანებს.<sup>1148</sup> „რომ არ იყოს განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაშიც მოდავე მხარეებმა უნდა შეასრულონ ესა თუ ის საპროცესო მოქმედება – სამოქალაქო საქმის განხილვა საერთოდ ვერასდროს დამთავრდებოდა, უფლების დაცვა საერთოდ ვერ განხორციელდებოდა, სამართალწარმოებაში დამკვიდრდებოდა ქაოსი და თვითნებობა, მართლმსაჯულების განხორციელება მთლიანად იქნებოდა დამოკიდებული, იმ მხარის ნება-სურვილზე, რომლის ინტერესებშიც არ შედის საქმის განხილვა“.<sup>1149</sup>

საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების პარალელურად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი იმის თქმის საშუალებასაც იძლევა, რომ „მოსამართლეს, გარკვეულ ფარგლებში, გააჩნია მექანიზმები, რათა რეაგირება მოახდინოს სასამართლოს გადატვირთულობაზე. როგორც ჩანს, არსებობს მოსამართლის გენი. თუ იზრდება სასამართლოთა დატვირთულობის მაჩვენებლები, მატულობს დასრულებული სამართალწარმოების რაოდენობაც, და, პირიქით, თუ სასამართლოში შემავალ საქმეთა რაოდენობა იკლებს, მცირდება დასრულებული სამართალწარმოების ფაქტებიც“.<sup>1150</sup>

### 2.1.2.2. მორიგების დრო

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო ვადების მარეგულირებელი ნორმების მიზანი დროის სწორად აღქმა, განაწილება და მათი ამ ფორ-

<sup>1142</sup>სსსკ-ის მუხლი 59-ე, ნაწილი 1-ლი.

<sup>1143</sup>სსსკ-ის მუხლები 59-69-ე. ვრცლად იხ. *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი გ., ძლიერიშვილი ზ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 226-239.

<sup>1144</sup>*ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 65.

<sup>1145</sup>სსსკ-ის მუხლი 59-ე, ნაწილი მე-2, წინადადება 1-ლი.

<sup>1146</sup>დეტალურად იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 65.

<sup>1147</sup>სსსკ-ის მუხლი 59-ე, ნაწილი მე-2, წინადადება მე-2.

<sup>1148</sup>იხ. *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი გ., ძლიერიშვილი ზ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბ., 2014, 98-105.

<sup>1149</sup>*ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005, 134.

<sup>1150</sup>*პაგენლოხი უ.*, გადატვირთული სამართალწარმოება და სასამართლოში საქმეთა განაწილება, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, მოსამართლის კონფერენციის მასალები, თბ., 27/28 სექტემბერი, 2013, 40.

მით დაცვის შედეგად საქმის წარმოების დროის სათანადო მონაკვეთში დასრულებაა, ამ ვითარებაში, რთულია დაცული იყოს საპროცესო ვადებთან დაკავშირებული ყველა საკანონმდებლო პირობა, ან მხოლოდ სასამართლო მექანიზმის იმედად იყოს გადატვირთული და მუდმივ რეჟიმში მომუშავე სასამართლო სისტემა.<sup>1151</sup>

მორიგება თავად წარმოადგენს სამართლებრივ მექანიზმს, რომელის ერთ-ერთი მიზანია სასამართლო სისტემის საქმეთა გადატვირთული გრაფიკისაგან განტვირთვა მორიგების დროის საპროცესო რეგულირების ხარჯზე.

მას შემდეგ, როცა მხარეები მიიღებენ გადაწყვეტილებას, მორიგებით დაასრულონ სამოქალაქო საქმის წარმოება, ისინი იწყებენ სამომრიგებლო წინადადებების შემუშავებასა და შეთანხმებას მორიგების პირობების მორიგების აქტში ჩამოსაყალიბებლად.

დარწმუნდება რა სასამართლო მორიგების აქტის კანონიერ ხასიათში, ის იღებს გადაწყვეტილებას მორიგების აქტის სასამართლო განჩინებით დამტკიცების თაობაზე.

ამ პროცესის სწრაფად და შედეგობრივად დასრულების ინტერესი სასამართლოს მხრიდანაც დიდია, შესაბამისად, მხარეების და მოსამართლის ერთობლივი ძალისხმევა აჩქარებს სამომრიგებლო შეთანხმებას. შედეგად, მორიგებით შესაძლებელი ხდება დავის დროის მცირე მონაკვეთში გადაწყვეტა, ვიდრე ეს სამართალწარმოებით საქმის დასრულებისას მოითხოვება.

კერძოდ, ძირითადი დატვირთვა დროის იმ მონაკვეთზე მოდის, რომელიც მორიგების მხარეებს სჭირდებათ მორიგების პირობების შემუშავებისათვის.<sup>1152</sup> თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მორიგებით საქმის წარმოების დასრულებისას არანაკლები საპროცესო მოქმედებების შესრულებაა აუცილებელი, ვიდრე საქმის წარმოებისას.<sup>1153</sup>

ამდენად, სასამართლო სისტემის საქმეების იმ ნაწილს, რომლებიც მორიგებით სრულდება, მასშტაბური გავლენა აქვს სასამართლოში არსებული საქმეების სტატისტიკაზე. სასამართლოში არსებულ საქმეთა განხილვის დატვირთული გრაფიკის განტვირთვის პროცესში, მორიგებით დასრულებული საქმეების ხვედრითი წილი ერთმნიშვნელოვნად დიდია.

## 2.2. სასამართლო ნდობის ამაღლება

### 2.2.1. მორიგებით დასრულებული საქმეები

მორიგებით დასრულებულ საქმეთა რიცხვი ამაღლებს სასამართლოსადმი ნდობას.

ამის თქმის საფუძველს ის გარემოება იძლევა, რომ საზოგადოებისა და, უშუალოდ, მოდავე მხარეებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია და-

<sup>1151</sup> იხ. *დარჯანია თ.*, სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, ელექტრონული მართლმსაჯულების ქართული გამოცდილება, თბ., 2015, 21.

<sup>1152</sup> Setting Out of Court, How Effective is Alternative Dispute Resolution, Viewpoint, Public Policy for The Private Sector, The World Bank Group, Financial and Private Sector Development vice Presidency, October 2011, Note Number 329, 3.

<sup>1153</sup> იხ. *ჭანტურია ლ., ბოელინგი პ.*, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 92.



ვის მოკლე ვადებში, დროისა და ფინანსების მინიმალური დანახარჯით და სასურველი შედეგით საქმის წარმოების დასრულება.

ასეთ ვითარებაში, საზოგადოებისა და სასამართლოს ურთიერთკავშირი დადებით კონტექსტში ვითარდება, საზოგადოებას ექმნება დადებითი დამოკიდებულება სასამართლო სისტემისადმი, სასამართლოს გარეთ იქმნება ჯანსაღი საზოგადოებრივი ურთიერთობები და არა სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად დამარცხებული მხარის უარყოფითი ემოცია.<sup>1154</sup>

„პროცესის მორიგებით დასრულება განამტკიცებს დადებით წარმოდგენს გადაწყვეტილების მიმღებ მოსამართლეებსა და მთლიანად მართლმსაჯულებაზე“.<sup>1155</sup>

## 2.2.2 სასამართლო პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში არ არის დამკვიდრებული პრეცედენტული სამართალი, ზემდგომი სასამართლო გადაწყვეტილებების გავლენა და უზენაესი სასამართლოს პოზიციის საყოველთაო აშკარაა ქვემდგომი ინსტანციებისა და, ზოგადად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც სამართალწესრიგის ერთიანობას ემსახურება.<sup>1156</sup>

მორიგებით საქმის წარმოების დასრულების თაობაზე მხარეთა და სასამართლოების დამოკიდებულებას მდიდარი სასამართლო პრაქტიკა განაპირობებს, რომელიც 2008 წლიდან განსაკუთრებით მრავალფეროვანია.

აუცილებელია სამოქალაქო სამართლის ნორმათა უმრავლესობასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომის განვითარება. ასეთი მიდგომის მიზანია ხელი შეუწყოს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას და სასამართლოსადმი ნდობის ამაღლებას.

მართლმსაჯულების სწრაფი განხორციელება გულისხმობს არა მხოლოდ მოსამართლეთა მიერ პროცესის უფრო სწრაფად წარმართვის შესაძლებლობა, არამედ იმასაც, რომ ადვოკატებისა და მათი კლიენტების უმრავლესობისათვის თავიდანვე ნათელი იყოს მათ მიერ სასამართლოში წამოყენებული სამართლებრივი მოთხოვნის პერსპექტივა.

ჩამოყალიბებული ერთიანი პრაქტიკა თანამიმდევრულად უნდა გამოიყენონ არა მხოლოდ პირველი ინსტანციის, არამედ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებშიც. საქართველოს უზენაესი სასამართლო, სწორედ თანამიმდევრული პრაქტიკის გათვალისწინებით, ცნობს სარჩელებს დასაშვებად ან დაუშვებლად. აღნიშნულის საფუძველზე, შესაძლოა, სარჩელთა რაოდენობაც კი შემცირდეს, რადგან გონიერი და კეთილსინდისიერი ადვოკატი და მისი კლიენტი ტყუილად არ გაწევენ ხარჯებს სასამართლო-

<sup>1154</sup> ასეთი ემოცია, საბოლოოდ, მაინც სასამართლო ხელისუფლებისა და სამოსამართლო სისტემისკენაა მიმართული.

<sup>1155</sup> *ჭანტურია ლ., ბოლინგი პ.*, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, 90.

<sup>1156</sup> იხ. და შეად. *ბოლინგი პ.*, მოსამართლის დამოუკიდებლობა და მოსამართლის გადაწყვეტილების მხარეების მიერ მიღება – საქმის განხილვის წარმართვა, მორიგების თაობაზე გამართული საუბრები და დავის მშვიდობიანად გადაწყვეტა. *ლიუტრინგჰაუსი პ.*, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007, 138.

ში და არ დაკარგავენ დროს, ან თავიდანვე შეეცდებიან მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგებას.<sup>1157</sup>

მორიგების მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამოკიდებულება, ასევე, აისახება მის რეკომენდაციებსა და განმარტებებში,<sup>1158</sup> რომლებიც აქტიურად უჭერენ მხარს მორიგებას. მართალია, რეკომენდაციებს არა აქვთ სავალდებულო ძალა, მაგრამ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და ერთიანი სამართლებრივი მიდგომის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ.<sup>1159</sup>

ზემდგომი სასამართლოების როლი ორმაგად მნიშვნელოვანია მორიგებით საქმის წარმოების დასრულებისას. მათი ღია საუბრები მაგალითს უნდა წარმოადგენდეს.<sup>1160</sup>

### 2.2.3. მოსამართლეთა დამოკიდებულება მორიგებისადმი

მოდვე მხარეების მხრიდან სასამართლოსადმი ნდობის ამაღლების საფუძველი მორიგებისადმი მოსამართლეთა უშუალო დამოკიდებულებაა.

მოსამართლეები ვარაუდობენ, რომ მათ დაქვემდებარებაში არსებული საქმეების თითქმის ნახევარზე მეტი სრულდება მორიგების ამა თუ იმ ფორმით.<sup>1161</sup>

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებას მოსამართლეთა ნაწილი სკეპტიკურად უყურებს. ისინი მიიჩნევენ, რომ სასამართლო პროცესმა უკვე დაამტკიცა თავისი ეფექტურობა. ამიტომ, საჭირო აღარ არის ამ მიმართულებით სიახლეების ძიება.<sup>1162</sup>

მოსამართლეთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ მორიგებას არ შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა საქმის წარმოების პროცესთან შედარებით. მათ მიაჩნიათ, რომ თანხმობა, ხშირად იძულებითია და მორიგებას კაპიტულაციადაც კი მოიხსენიებენ.<sup>1163</sup>

<sup>1157</sup> იხ. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე XXX, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სუს, თბ., 2007, 6.

<sup>1158</sup> იხ. იქვე. იხ. პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრანტი მოსამართლისათვის, სუს, თბ., 31 იანვარი, 2008.

<sup>1159</sup> იხ. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე XXX, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სუს, თბ., 2007, 6.

<sup>1160</sup> იხ. *ბოლინგი პ.*, მოსამართლის დამოუკიდებლობა და მოსამართლის გადაწყვეტილების მხარეების მიერ მიღება – საქმის განხილვის წარმართვა, მორიგების თაობაზე გართული საუბრები და დავის მშვიდობიანად გადაწყვეტა. *ლიუტრინგჰაუსი პ.*, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდის, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007, 143.

<sup>1161</sup> *Ervasti K.*, Conflicts Before the Courts and Court-annexed Mediation in Finland, *Scandinavian Studies In Law*, © 1999-2012, 189.

<sup>1162</sup> იხ. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 168. მოსამართლეების ნაწილი კი აქტიურად უჭერს მხარს მორიგებას, ვიდრე სამართალწარმოების პროცესს (*judges are promoting settlements rather than trials*). შეად. *Resnik J.*, Mediating Preferences: Litigant Preferences for Process and Judicial Preferences for Settlement, *Jurnal of Dispute Resolution*, 2002, 155. *Resnik J.*, Mediating Preferences: Litigant Preferences for Process and Judicial Preferences for Settlement, *Jurnal of Dispute Resolution*, 2002, 158. შემდგომი მითითებით: *trong v. BellSouth Telecomm, Inc.*, 173 F.R.D. 167, 172 (W.D. Ill. 99 7) (observing that "[i]n this case, I could hold my nose and accept the settlement, after all, it is said that a bad settlement is better than a good trial").

<sup>1163</sup> *Parness J. A.*, Improving Judicial Settlement Conferences, *U.C. Davis Law Review*, 2006, 1895.

თუმცა, მოსამართლეების გარკვეული ნაწილი ფართოდ უჭერს მხარს და დადებითად აფასებს მორიგებით საქმის წარმოების დასრულებას. ისინი იზიარებენ იმ პოზიციას, რომ მორიგების მხარდაჭერა მათი უშუალო საქმეა, რომელიც მოსამართლის როლს დადებითად წარმოაჩენს.<sup>1164</sup>

უცხოურ კვლევებში აღნიშნულია, რომ სასამართლოში არსებული საქმეების პროცენტულად საკმაოდ დიდი წილი საერთოდ აღარ მიდის საქმის წარმოების პროცესამდე,<sup>1165</sup> ვინაიდან ბოლო წუთს (საქმის წარმოების დაწყებამდე) შესაძლებელი ხდება საქმის მორიგებით დასრულება. დღეისათვის წინასასამართლო შეხვედრების მოწყობა და დავის ალტერნატიული წესით გადაწყვეტის მექანიზმების გამოყენება ერთგვარი წინამძღვრებია მორიგებისთვის, შესაბამისად, იზრდება ე.წ. სასამართლოსწინა გადაწყვეტილებების (*courtroom-door dispositions*) რიცხვიც, რაც დადებითად მოქმედებს მორიგების შესახებ წარმოდგენაზე.<sup>1166</sup>

მოსამართლე მთავარ როლს ასრულებს სასამართლო სისტემისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების საკითხში. სასამართლოს პრესტიჟი და მუშაობის ხარისხი მოსამართლის ყოველდღიურ საქმიანობაზეა დამოკიდებული. მოსამართლე, გარდა იმ პროფესიული უნარ-ჩვევებისა, რომლებიც თან ახლავს პრაქტიკოსი იურისტის პროფესიას, კარგად უნდა იცნობდეს ადამიანის ფენომენს, რადგან ეს მკაფიოდ აისახება თავად მოსამართლის ავტორიტეტზე.<sup>1167</sup> კერძოდ, თითოეული მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობების პირუთვნელად შესრულება ამაღლებს სასამართლო სისტემისადმი საზოგადოებრივ ნდობას და მოქალაქეებს არწმუნებს მართლმსაჯულების შეუვალობაში.<sup>1168</sup>

<sup>1164</sup> *Ervasti K.*, *Conflicts Before the Courts and Court-annexed Mediation in Finland*, *Scandinavian Studies In Law*, © 1999-2012, 190.

<sup>1165</sup> *Mnookin R. H.*, *Negotiation, Settlement and the Contingent Fee*, *DePaul University, University Libraries, DePaul Law Review*, Volume 47, Issue 2 Winter 1998: Symposium – Contingency Free, Financing of Litigation in America, Article 8, 1998, 364. *შემდგომი მითითებით: Of all automobile insurance claims, the majority settle before any court filing, and most of those suits that are brought to trial settle before any jury verdict. See Marc A. Franklin et al., Accidents, Money, and the Law: A Study of the Economics of Personal Injury Litigation*, 61 *COLUM. L. REV.* 1, 10-11 (1961); Marc Galanter, *Reading the Landscape of Disputes: What We Know and Don't Know (and Think We Know) About Our Allegedly Contentious and Litigious Society*, 31 *UCLA L. REV.* 4, 27 (1983); *see generally* H. LAURENCE Ross, *SETTLED OUT OF COURT* (1970) (discussing how the law on a day-to day basis revolves around settlement and not trial); DAVID M. TRUBEK ET AL., *CIVIL LITIGATION RESEARCH PROJECT: FINAL REPORT* (1983) (reporting on a nationwide study of civil cases and discussing the frequency of litigation, costs and lawyers' activities). Settlement also occurs in some 80% or 90% of criminal matters in almost every American jurisdiction in the form of "plea bargaining." *See* Albert W. Alschuler, *The Prosecutor's Role in Plea Bargaining*, 36 *U. CHI. L. REV.* 50, 50 (1968); Galanter, *supra*, at 27. Similarly, some 75% or more of all administrative proceedings end in agreements rather than trials. GLEN O. ROBINSON & ERNEST GELLHORN, *THE ADMINISTRATIVE PROCESS* 523 (1974); *see* Peter Woll, *Informal Administrative Adjudication: Summary of Findings*, 7 *UCLA L. REV.* 436, 437 (1960).

<sup>1166</sup> *Baar C.*, *The Myth of Settlement*, Paper Prepared for delivery at the Annual Meeting of the Law and Society Association, Chicago, Illinois, 1999, 2. *Ervasti K.*, *Conflicts Before the Courts and Court-annexed Mediation in Finland*, *Scandinavian Studies In Law*, © 1999-2012, 193.

<sup>1167</sup> *ჩახანბიძე ე., ზოდგლავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ.*, კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013, 10.

<sup>1168</sup> იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, (ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა), ვაშინგტონი, 2009, 92.

მორიგებით საქმის წარმოების დამთავრების გავლენა სამოქალაქო საქმის წარმოებაზე ერთმნიშვნელოვნად დადებითია არა მხოლოდ მოდავე მხარეთათვის, არამედ მთლიანად სასამართლო სისტემისათვის.<sup>1169</sup>

სწორედ სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა მრავალრიცხოვანი კორპუსისთვის არის ყველაზე უკეთ ცნობილი, თუ რა სირთულეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ მხარეები საქმის გახილვის პროცესში, რამდენ დროსთან, ენერგიასთან, ცვლილებასთან, მოულოდნელობასა და ფინანსურ პრობლემებთანაა დაკავშირებული პროცესის მიმდინარეობა, რამდენად ხანგრძლივი გზა უნდა განვლოს თითოეულმა მხარემ სასურველი გამარჯვების მისაღწევად.

„საქართველოში, სასამართლო სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება, ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა“.<sup>1170</sup>

### 3. ორმხრივი შედეგი – სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვის აკრძალვა

საბოლოოდ, მორიგების შედეგი სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესში, გამოიხატება იმაში, თუ რა სამართლებრივი (მატერიალური და საპროცესო) შედეგები მოაქვს მას მორიგების მხარეებისა და სასამართლო სისტემისთვის.

მორიგება იძლევა ორ უმთავრეს სამართლებრივ შედეგს, რაც, ფაქტობრივად, დავის გადაწყვეტით, ხოლო, ფორმალურად, საქმის წარმოების დამთავრებით გამოიხატება.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, მორიგების უმნიშვნელოვანესი შედეგი, რომელიც წარმოიშვება მხარეებისა და სასამართლოსთვის ერთდროულად, საკანონმდებლო დათქმაშია გაწერილი.

კერძოდ, მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტას კონკრეტული საპროცესო-სამართლებრივი შედეგი მოჰყვება. შედეგის არსი ისაა, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემდგომ დაუშვებელია ანალოგიური საქმის განმეორებით აღძვრა სასამართლოში, ანუ დაუშვებელია საქმის განახლება. საქმის წარმოების შეწყვეტა საქმის წარმოების დამთავრების ისეთი ფორმაა, რომელიც განპირობებულია კანონით გათვალისწინებული ისეთი გარემოებებით, რომლებიც სრულიად გამორიცხავენ იმავე სარჩელით სასამართლოსთვის განმეორებით მიმართვის უფლებას.<sup>1171</sup>

მორიგების შედეგად საქმის წარმოება წყდება. „მხარეებს ერთმანეთის მიმართ სხვა მოთხოვნები არ აქვთ. მათთვის ცნობილია მორიგების

<sup>1169</sup> აქვე უნდა აღინიშნოს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მორიგების ინსტიტუტი (*institution of settlement*) ეფუძნება სასამართლოს საჯარო ხასიათს და მორიგების კერძო ხასიათს. მორიგების კრიტიკოსები აღნიშნავენ საქმის წარმოებასა და მორიგებას შორის არსებულ ასიმეტრიულობას, როგორც საქმის წარმოების უტოპიურ და მორიგების რეალურ მეთოდებს შორის. *Bilsky L., Fisher T., Rethinking Settlement, Theoretical Iquiries in Law*, 2014, 89.

<sup>1170</sup> იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, (ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა), ვაშინგტონი, 2009, 91.

<sup>1171</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 409.



შედგები, კერძოდ ის, რომ მორიგების შედეგად საქმის წარმოება წყდება და იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე, იმავე საფუძველებით დავა არ დაიშვება“.<sup>1172</sup> აღნიშნულს ითვალისწინებს სსსკ-ის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მორიგების პირობებზე შეთანხმებას მხარეები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ, ვინაიდან სასამართლოს მიერ მორიგების პირობების დამტკიცების შემდეგ განსახილველი დავა მთავრდება და მხარეთა შეთანხმებას სასამართლო გადაწყვეტილების ძალა ენიჭება.<sup>1173</sup>

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მორიგების პირობები არ სრულდება და მხარე კვლავ მიმართავს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, რაც დაუშვებელია.<sup>1174</sup> მორიგების პირობების შეუსრულებლობა იმავე დავაზე სარჩელის ხელახლა აღძვრის საფუძველს არ წარმოადგენს. მორიგების პირობების შეუსრულებლობა იძულებითი აღსრულების საფუძველია.<sup>1175</sup>

შესაძლოა, მხარემ ბოროტად გამოიყენოს თავისი უფლება და არ შეასრულოს მორიგებით ნაკისრი ვალდებულება ან დაკარგოს ინტერესი მორიგების მიმართ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, ერთ-ერთ დავასთან დაკავშირებით, მხარეებს შორის დამტკიცდა მორიგება. მორიგების ერთ-ერთმა მხარემ დაარღვია მორიგებით ნაკისრი ვალდებულება, რის საფუძველზეც მეორე მხარემ მიმართა სასამართლოს მორიგების დამტკიცების თაობაზე განჩინების გაუქმებისა და დავის გაგრძელების მოთხოვნით. საჩივრის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი უფლება და არ შეასრულა მორიგებით ნაკისრი ვალდებულება. საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათთვის აზრი აღარ აქვს ასეთ მორიგებას, რის გამოც სურთ დავის გაგრძელება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და

<sup>1172</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 07 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-346-598-08.

<sup>1173</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 06 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-1770-1750-2011.

<sup>1174</sup> ერთ-ერთ საქმეზე კერძო საჩივრის ავტორები განმარტავენ, რომ „ვინაიდან მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი უფლება და არ შეასრულა მორიგებით ნაკისრი ვალდებულება, მათთვის აზრი აღარ აქვს ასეთ მორიგებას, რის გამოც სურთ დავის გაგრძელება. აღნიშნული საკასაციო სასამართლომ ვერ გაიზიარა, რადგან მხარეებმა მორიგებაზე თანხმობით განკარგეს თავიანთი კანონით მინიჭებული უფლება, თავადვე განესაზღვრათ და მიეღოთ გადაწყვეტილება საქმის მორიგებით დამთავრებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რაც დაადასტურეს პირადი ხელმოწერით და ის გარემოება, რომ ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს მორიგებით ნაკისრ ვალდებულებას, ვერ გახდება გასაჩივრებელი განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან კერძო საჩივრის ავტორები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ამ განჩინების იძულებითი აღსრულება“. ვრცლად იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-621-846-08.

<sup>1175</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-302-559-08.

იმავე საფუძველით არ შეიძლება. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.<sup>1176</sup>

კანონით დადგენილი წესის არსი ისაა, რომ თუ მხარე არ ეთანხმება მორიგების პირობას ან არ ასრულებს მას, მან საქმის წარმოების განახლება კი არ უნდა მოითხოვოს, არამედ უნდა გაასაჩივროს მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე განჩინება ან მიმართოს სააღსრულებო წარმოების პროცესს მორიგების პირობების იძულების წესით შესრულების თაობაზე.

მორიგების პირობებზე შეთანხმებას მხარეები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ, ვინაიდან სასამართლოს მიერ მათი დამტკიცების შემდეგ განსახილველი დავა მთავრდება და მხარეთა შეთანხმებას სასამართლო გადაწყვეტილების ძალა ენიჭება.<sup>1177</sup>

ამდენად, თუ ყველა ზემოჩამოთვლილი მორიგებით მისაღწევი შედეგი მხარისთვის დადებით კონტექსტში განიხილება, ეს შედეგი მხარეთათვის ამკრძალავ ხასიათს ატარებს, ვინაიდან მათ ერთმევათ სასამართლოსთვის ხელახალი მიმართვის უფლება.

ამ გარემოების თავიდან აცილების გარანტია კვლავ საკანონმდებლო დათქმაშია, რომ სასამართლომ უნდა განუმარტოს მხარეებს მორიგების შედეგები.<sup>1178</sup> კერძოდ, მოსამართლემ მხარეებისთვის ზედმიწევნით გასაგები ფორმით უნდა განმარტოს სსსკ-ს 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 272-ე მუხლის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები, ასევე „სააღსრულებო წარმოებათა“ კანონის მე-2 მუხლი;<sup>1179</sup> ნათლად უნდა აუხსნას ის ფაქტი, რომ მათ აღარ ექნებათ შესაძლებლობა კვლავ მიმართონ სასამართლოს დავის საგნის ამავე საფუძველით განხილვის თაობაზე.

ასეთი სახის დათქმა ერთგვარი გარანტიაა, რომ მხარეებისთვის უკვე ცნობილი სამართლებრივი გარემოება საკანონმდებლო აკრძალვის თაობაზე აღარ გახდება მათ მიერ სასამართლოსთვის ხელახალი მიმართვის სურვილის ან უარყოფითი ემოციის მიზეზი.

მორიგების შედეგი, რომელიც კრძალავს სასამართლოსთვის ხელახლა მიმართვის შესაძლებლობას, თავის მხრივ, თავად სასამართლო სისტემის რეგულირებიდან გამომდინარეობს. შეუძლებელია სასამართლო მიუბრუნდეს საკითხს და შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებები დაუსრულებლად, როცა კი ამის სურვილი მხარეს გაუჩნდება. აღნიშნული საკანონმდებლო დათქმა ერთგვარი გა-

<sup>1176</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 09 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: №ას-436-678-08.

<sup>1177</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 06 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-1770-1750-2011.

<sup>1178</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-95-375-08. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე: №2ბ/4963-14.

<sup>1179</sup> იხ. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 396.

რანტიანა, რომ ერთსა და იმავე საკითხზე დაეა არ გახდება სასამართლოს ხელმეორედ მსჯელობის საგანი, არ დაიტვირთება სასამართლო დავის განახლების თაობაზე უსაფუძვლო მიმართვებით, რაც უზრუნველყოფს სასამართლო სისტემისა და საზოგადოების სამართლებრივ თუ სოციალურ სტაბილურობას.

## დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის – „მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრების საფუძველი“ – კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც ხელს უწყობს მორიგების ინსტიტუტის და მისი, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დასრულების სამართლებრივი საფუძვლის სათანადო გაგებასა და სრულყოფას საპროცესო სამართლის ერთიან სისტემაში.

- მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობა კომპლექსური სახისაა და გულისხმობს მის ორმაგ სამართლებრივ ბუნებას – მატერიალურს და პროცესუალურს. არსებითია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ეს ორი გარემოება, რომელთა მიხედვითაც, ერთი მხრივ, მორიგება მატერიალური ხელშეკრულებაა, ხოლო, მეორე მხრივ, საპროცესო მოქმედებაა. მორიგება, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი მოვლენა, ვალდებულებით სამართლებრივი ხასიათისაა და მხარეებს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას აწესრიგებს ახალი გარიგების ფორმით. მორიგება, როგორც საპროცესო მოქმედება, მოდავე მხარეებს შორის დავის დასრულების საშუალებაა, რაც საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია. სსსკ-ში გამოყენებული ტერმინი „მორიგება“ მხოლოდ სახელშეკრულებო მნიშვნელობით არ გამოიყენება, ის სამართლებრივი პროცესია, რომელიც მხარეთა მიერ შეთანხმებული ნების საფუძველზე წყვეტს სამოქალაქო საქმის წარმოებას.

- მორიგება კანონით გათვალისწინებული და შესაძლებელი, დასაშვები ქცევის ზომაა, რომელიც მორიგების მხარეებს საშუალებას აძლევს, გამოიყენონ ან არ გამოიყენონ მორიგების შესაძლებლობა, როგორც საქმის წარმოების დამთავრების საფუძველი. ამდენად, არა მორიგება, არამედ მორიგებით საქმის წარმოების დასრულება წარმოადგენს მხარეთა უფლებას.

- მორიგების შინაარსობრივი მნიშვნელობის გამომხატველი არაერთი ტერმინი მოიპოვება. მათ შორისაა, მორიგება, როგორც შერიგება. შერიგების მორიგებასთან გაიგივებას იურიისტთა ნაწილი უარყოფს, რის საფუძველდაც მიეთითება მორიგება, როგორც მხარეთა ქონებრივი ან სხვა უფლებების განხორციელებაზე შეთანხმება და მორიგების როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულობა. კვლევის შედეგად დგინდება, რომ, მართალია, მორიგება სამართლებრივი მოცემულობით შერიგება არ არის, მაგრამ, როგორც მხარეთა ნება, ის გარიგებაა – მიმართული შერიგებისკენ. სწორედ მხარეთა ორმხრივი და ნებაყოფლობითი შეთანხმება, დავის მოწესრიგებასა და სამომავლო ურთიერთობის რეგულირებაზე, გამოხატავს შერიგებას.

- სსკ-ის 341-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მორიგება მხოლოდ ვალის არსებობის აღიარების საშუალებაა ანგარიშსწორების მსგავსად და ის მიზნად არ ისახავს მორიგების(ან თუნდაც ანგარიშსწორების) ცნების განმარტებას. თუმცა, კვლევის შედეგად შესაძლებელია მოცემული მუხ-



ლის კონტექსტში, მორიგების მნიშვნელობის განმარტება ირიბად, შემოვლითი გზით. ამის შესაძლებლობას ის სამართლებრივი გარემოება იძლევა, რომლის თანახმადაც, ვალის არსებობის აღიარებას უტოლდება ვალის პატიება, და ის ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპის მიხედვით, გაიგივებულია მორიგებასთან, უფრო ზუსტად კი მორიგებასთან სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში.

- მორიგების ცნების განსაზღვრას არც სსკ-ის 360-ე მუხლი ისახავს მიზნათ. თუმცა, აღნიშნული მუხლის შინაარსი უფრო ინფორმაციული ხასიათისაა, ვიდრე სსკ-ის 341-ე მუხლი. ყურადღება უნდა გამახვილდეს აღნიშნული მუხლის რამოდენიმე ტერმინზე. კერძოდ, „დავა“, „დაურწმუნებლობა“, „აღმოფხვრა“, „ურთიერთდათმობა“, და თავად „მორიგება“. ტერმინები „დავა“ და „დაურწმუნებლობა“ მხარეთა შორის არსებული კონფლიქტის გამომხატველი ცნებებია, „აღმოფხვრა“ და „ურთიერთდათმობა“ კი ამ კონფლიქტის გადაჭრის გზები და საშუალებებია. კვლევის ფარგლებში, აღნიშნული ტერმინების ურთიერთშეჯერებით განიმარტება მორიგების ცნება, როგორც მხარეთა ურთიერთდათმობის გზით დავის ან დაურწმუნებლობის აღმოფხვრა.

- მორიგების სამართლებრივი ასპექტების კვლევისას იმიჯნება „მორიგებისა“ და „ურთიერთდათმობის“ ტერმინები, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი კატეგორიები. ტერმინი „ურთიერთდათმობა“ მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობის შედარებით „მსუბუქი“ გამოხატულებაა და ის, შესაძლებელია, გამოვლინდეს დავის საწყის ეტაპზე. ამაზევე მიუთითებს დავის გადაჭრის მეთოდად გამოყენებული ტერმინი „აღმოფხვრა“. ხოლო ტერმინის „მორიგება“ გამოყენება, რომელსაც სსსკ მუდმივ რეჟიმში მიმართავს, მხოლოდ დავის სასამართლო წესით გადაწყვეტისას არის მიზანშეწონილი.

- სსსკ მხოლოდ ერთ ტერმინს – „მორიგებას“ – მიმართავს. კოდექსი მორიგების მნიშვნელობას არ განმარტავს. მორიგების მარეგულირებელ ნორმებს სსსკ-ი არაერთგან მოიხსენიებს. თუმცა, მხოლოდ სსსკ-ის 218-ე მუხლი გამოხატავს უშუალოდ მორიგების მიზანს. ყველა სხვა ნორმა კი არაპირდაპირ არეგულირებს მორიგებასთან დაკავშირებულ საკითხებს სხვა ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების განმარტებით.

- კვლევის შედეგად დგინდება, რომ სსსკ-ში გამოყენებული ტერმინი „მორიგება“ უფრო ზუსტად თავის დანიშნულებას ტერმინით „სასამართლოსმიერი მორიგება“ გამოხატავს. მართალია, ამ ტერმინს სსსკ არ მიმართავს, მაგრამ მორიგების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას მოიაზრებს. მიზანშეწონილია, მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობის სიზუსტისთვის, სსსკ-მა ამ ტერმინს საკანონმდებლო მნიშვნელობა დაუმკვიდროს. სასამართლოსმიერი მორიგების ცნება გულისხმობს მოდავე მხარეების მიერ, მათი თავისუფალი ნების უპირატესი გათვალისწინებით, ურთიერთდათმობისა და მოლაპარაკების გზით, სასამართლო წესით არსებული დავის მოგვარებას, რაც სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესის შეწყვეტით გამოხატება.

- მორიგება, როგორც საქმის წარმოების დამთავრების საფუძველი, სასამართლოს ფარგლებში ხორციელდება და, შესაბამისად, სასამართლოს მიერ მორიგებას წარმოადგენს. სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოების შეწყვეტა მხოლოდ სასამართლოს მიერ მორიგებითაა შესაძლებელი. თუ დავა სასამართლოს გარეშე მორიგების საგანია, იგი არ მიეკუთვნება საქმის წარმოების პროცესს და, არამედ, მხარეთა დამოუკიდებელი შეთანხმებით რეგულირებულ დავას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სსსკ-ით გათვალისწინებული მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, რომელიც სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით მტკიცდება, საკანონმდებლო დონეზე სასამართლოს მიერ მორიგებად იყოს განსაზღვრული, მსგავსად სასამართლო მედიაციისა.

- იმისთვის, რომ მორიგების სამართლებრივი არსი სწორად იქნეს გაგებული და გამოყენებული სამოქალაქო სამართლის ერთიან სისტემაში და მან სწორი სამართლებრივი მნიშვნელობით იტვირთოს მასზე დაკისრებული ფუნქციები, ასევე, იმისათვის, რომ მორიგების მარეგულირებელმა სამართლის ნორმებმა სათანადო კონკურენცია გაუწიოს დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ მეთოდებს, მიზანშეწონილია მორიგების გზით საქმის წარმოების დასრულების პროცესის მარეგულირებელი ნორმები დამოუკიდებლად აისახოს სსსკ-ში. კერძოდ, მიზანშეწონილია სსსკ-ში ცალკე თავი დაეთმოს მორიგებას სახელწოდებით „სასამართლოს მიერ მორიგება“. მოხდეს მორიგებასთან დაკავშირებული, არსებული და დამატებითი ნორმების სრულყოფა და სისტემური გაერთიანება მორიგების ზოგადი და სპეციალური ნორმების სახით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობის განმსაზღვრელი ნორმების სისტემატიზაციას და პრაქტიკულ გამოყენებას.

- მატერიალური სამართლის თვალსაზრისით, მორიგება ორმხრივი ნების შეთანხმება, ანუ ერთგვარი კონსენსუალური ხელშეკრულებაა, ნაცვალებითი ხელშეკრულებაა, რომლითაც მხარეთა შორის დავა ან დაურწმუნებლობა დათმობების გზით გვარდება. პროცესუალური სამართლის თვალსაზრისით, მორიგება სასამართლოში საქმის წარმოების დროს მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულებაა, რომლითაც მოსარჩელე და მოპასუხე ურთიერთდათმობის გზით ახლებურად განსაზღვრავენ თავიანთ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს, რომლის საფუძველზეც წყვეტენ დავას სასამართლოში. ამ მსჯელობით, დგინდება, რომ მორიგება შერეული თეორიის პრაქტიკული რეალიზებაა. მორიგება ერთდროულად ხელშეკრულება და საპროცესო მოქმედებაა. მორიგება მიმართულია როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური შედეგისკენ. ის, ერთი მხრივ, კონფლიქტის მოგვარების საშუალებაა (მატერიალური), ხოლო, მეორე მხრივ, საპროცესო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია (პროცესუალური).

- კვლევის შედეგად დგინდება, რომ, მართალია, მორიგება გარიგებაა, მაგრამ მორიგებასა და გარიგებას შორის სხვაობა სამართლებრივ შედეგშია. მორიგება არსებული სადავო ურთიერთობის ახლებურად მოწესრიგების საფუძველია, ახალი ნების გამოვლენაა და, შესაბამისად, ახალი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის წი-

ნაპირობაცაა – ნების კომპლექსური გამოვლინება. დგინდება, რომ მორიგება ერთდროულად წყვეტს არსებულ სადავო ურთიერთობას და მას ახლებურად არეგულირებს, რაც, საბოლოო ფაქტობრივსამართლებრივი შედეგით, ახალი გარიგებაა.

- დგინდება, რომ მორიგების ორმაგი ბუნებიდან გამომდინარე, იგი შეიძლება ბათილი იყოს, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე პროცესუალური გარემოებების გამო. მორიგების ბათილობის სამართლებრივი რეგულირება გარიგების ბათილობის ზოგადი ნორმებით ხორციელდება. მატერიალურ-სამართლებრივი გარემოებების საფუძველზე მორიგება ასევე ძალას კარგავს, როგორც საპროცესო მოქმედება, ვინაიდან ის ვერ ზემოქმედებს სასამართლოს მიერ საქმის დამთავრებისათვის აუცილებელ პროცესზე.

- მორიგების პროცესის სამართლებრივი ეტაპების კვლევის შედეგად დგინდება, რომ მორიგებას დამოუკიდებელი პროცესის სამართლებრივი ბუნება აქვს – დასაწყისი, ეტაპები (ე.წ. შუა ნაწილი), დასასრული, რაც სისტემურ ერთიანობას ეფუძნება. მორიგების დამოუკიდებელი პროცესის დაწყების საფუძველად დავა, ანუ კონფლიქტის არსებობის ფაქტობრივი მდგომარეობა მიიჩნევა, ხოლო მისი სამართლებრივი და ფაქტობრივი დასრულების საფუძველად – მორიგების აქტის შემუშავება. ამდენად, ამ ფაქტორთა სისტემური ერთობლიობა ქმნის მორიგების დამოუკიდებელ პროცესს.

- მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, ფუნქციონირებს სამართლებრივი პროცესი იქნება, თუ ის არ მოექცევა სამოქალაქო საქმის წარმოების ჭრილში. იმის პარალელურად, რომ მორიგება, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი პროცესია, დგინდება, რომ ის, მეორე მხრივ – საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილია, რაც მისი აქცესორული სამართლებრივი ბუნებიდან მომდინარეობს. ამდენად, დღის წესრიგში დგას საკითხი მორიგება, როგორც დამოუკიდებელი პროცესი, „მორიგების პროცესად“ იქნეს მოხსენიებული, ხოლო მორიგება, როგორც საქმის წარმოების შემადგენელი ნაწილი, ტერმინით „პროცესის პროცესი“ აღნიშნული.

- ხაზგასმით აღსანიშნავია, მორიგების პროცესში მოსამართლის როლი. მოსამართლეები განსაკუთრებულად დაინტერესებულები უნდა იყვნენ, სასამართლო სხდომის დარბაზში შექმნან სათანადო გარემო-პირობები მორიგებისთვის. ამისთვის, აუცილებელია მოსამართლე ფლობდეს სპეციალურ სამომრიგებლო უნარებს. კერძოდ, მოსამართლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, რომ მათი საუბარი იყოს კონკრეტული, ნათელი, ზუსტი და მარტივი ფორმით გადმოცემული. მოსამართლემ უნდა შეძლოს მხარეთა კონცენტრირება საერთო მიზანზე იმისთვის, რომ მისი მცდელობა რეალურ მორიგებად იქცეს. ამასთან, აუცილებელია მოსამართლეებმა შეძლონ დავის საგანსა და მოდავე მხარეთა ინტერესებში ზედმიწევნით გარკვევა და ერთგვარი „ოქროს შუალედის“ პოვნა, რომელიც მორიგების საწინდარი გახდება.

- კვლევის შედეგად ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ წარმატებული მორიგების ინიციატორი მოსამართლეა. მორიგების ინიციატორი მოსამართლე „მესამე პასიური მხარის“ სტატუსით უნდა ჩაერთოს მორიგების პროცესში. მან უნდა იკისროს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია – მოდავე მხარეებს მორიგების არაერთი ვერსია შესთავაზოს. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ შეთავაზების ფარგლებში, მოსამართლე უფლებამოსილია წინასწარ მიუთითოს მხარეებს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე, განუმარტოს მხარეებს საქმის არსი, მისი განვითარების რეალური პერსპექტივები და დაეხმაროს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. აღნიშნული სამოქალაქო სამართალწარმოებაში, გარკვეულწილად, ნოვაციასა და ხელს უწყობს მოსამართლისა და მხარეების უშუალოობას. თუმცა, აღნიშნული უნდა განხორციელდეს ზედმიწევნითი სიფრთხილით და ზომიერებით, რომ ერთი მხრივ არ მოხდეს წინასწარი გადაწყვეტილების გაცხადება, ხოლო მეორე მხრივ – არ დაიკარგოს მორიგების რეალური შესაძლებლობა.

- უმეტესწილად, მოსამართლე საქმის წარმოების მორიგებით დასრულების ინიციატორი და, როგორც წესი, მორიგების პროცესის წარმმართველი პირია. მორიგების პროცესში მოსამართლის სტატუსი განსხვავებულია, მასზე დაკისრებული ვალდებულებებიდან გამომდინარე. ტერმინი მოსამართლე უნივერსალური ცნებაა. მაგრამ, „მომრიგებელი მოსამართლე“, თავისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, ზედმიწევნით გამოხატავს მოსამართლის იმ სტატუსს, რომელიც მას მორიგების პროცესში აქვს. მიზანშეწონილია, სასამართლოსმიერი მორიგების თავში თავმოყრილი ნორმების ტექსტებში სსსკ-მა ტერმინი „მომრიგებელი მოსამართლე“ დაამკვიდროს.

- სამომრიგებლო მოლაპარაკებების პროცესში არსებითი და მნიშვნელოვანია, რომ მოლაპარაკებები საპროცესო დავის ფარგლებში მიმდინარეობდეს. მორიგების ფარგლები დავის საგანს არ უნდა გასცდეს. დასაშვებია მხარეებმა, მორიგების აქტში, გაითვალისწინონ იმაზე მეტი, ვიდრე ეს დავის საგნითაა დადგენილი, რომ თავიდან აიცილონ შემდგომი გართულებები, მაგრამ დამატებით შეთანხმებული პირობები დავის არსებით გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს. ამდენად, შესაძლებელია დავა ერთ გარემოებას ეხებოდეს, ხოლო მასზე მორიგება, სხვა გარემოებებზეც შეთანხმების შედეგად დარეგულირდეს. ამდენად, არსებითია, რომ ერთმანეთში არ აირიოს დავის საგანი, მასზე მორიგების მიზნით შეთანხმებული პირობები და მოლაპარაკების ფარგლები.

- მორიგების პირობების შემუშავებისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ სამომრიგებლო წინადადები იყოს მკაფიო, ერთმნიშვნელოვანი და სავალდებულო. კერძოდ, კვლევის შედეგად დგინდება, რომ იმ შემთხვევაში, თუ სამომრიგებლო წინადადებად წამოყენებული იქნება არა კონკრეტული წინადადება, არამედ პირობა, რომელიც დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, ის ვერ გახდება მორიგებით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, რასაც პირობითი გარიგების სამართლებრივი ბუნება განაპირობებს. აღნიშნულს საფუძველად უდევს პირობითი გარიგების სამართლებრივი ბუნება, რომ მართალია, პირობითი გარიგება თავიდანვე ითვლება დადებულად, მაგრამ მას სამართლებრივი



ძალა არ აქვს პირობის დადგომამდე. ანუ, თუ მორიგების აქტით გათვალისწინებული იქნება პირობა და აღნიშნული პირობა არ დადგა, მორიგების აქტი ვერ შეიძენს სამართლებრივ ძალას და ამდენად, ის ვერ გახდება მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. ამასთან, პირობადადებული სამომრიგებლო წინადადებისგან უნდა გაიმიჯნოს მორიგების აქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების გადავადებისგან დროის გარკვეული პერიოდით, რაც მეტი გარანტიის მომცემია, რომ მორიგება აღსრულდება ნებაყოფლობით, დათქმულ დროს, ადგილას და პირობით. თავის მხრივ, აღნიშნული განსხვავდება სარჩელის ცნობის, ანუ მოპასუხის მიერ სარჩელის დაკმაყოფილების და აღსრულების გადავადებისგან, ვინაიდან მორიგება არის არა აღიარება, არამედ მხარეთა შეთანხმებული პირობები, რომელთა შესრულებაც შესაძლოა განისაზღვროს გარკვეული დროით.

- კვლევის შედეგად დგინდება, რომ სამომრიგებლო პირობები, მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დამატებით უზრუნველყოფილი იყოს კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებებით. აღნიშნულის საკანონმდებლო დათქმა არ არსებობს. მიზანშეწონილია ის ნორმის სახით იყოს მოცემული. ამასთან, თუ მხარეები სამომრიგებლო პირობების შესრულებას უზრუნველყოფენ იპოთეკით, იპოთეკის რეგისტრაციის მოთხოვნის და წარმოშობის საფუძველი იქნება სამომრიგებლო პირობა, როგორც ძირითადი ვალდებულება. ამასთან, ვინაიდან სამომრიგებლო პირობა აისახება მორიგების აქტში, ხოლო მორიგების აქტი, თავის მხრივ – სასამართლო განჩინებაში საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ამდენად, იპოთეკის რეგისტრაციის საფუძველად საჯარო რეესტრს უნდა წარედგინოსა მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინება.

- მორიგების აქტს ორმაგი სამართლებრივი ბუნება აქვს. ის ერთი მხრივ იურიდიული ძალის მქონე დამოუკიდებელი, მორიგების მხარეების სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განკარგვის შესახებ კონსესუალური ხელშეკრულებაა, ხოლო მეორე მხრივ – მას იურიდიული ძალა არა აქვს. ვინაიდან სასამართლო განჩინებით მტკიცდება მორიგების აქტი არა როგორც ცალკე ხელშეკრულება, არამედ როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. ამდენად, დგინდება, რომ მორიგების აქტში გამოხატული პირობების შესრულება მხარეებს ნებისმიერ დროსა და შემთხვევაში შეუძლიათ, მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა ეს პირობები საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველად. მეტიც, მორიგების აქტის, როგორც ხელშეკრულების რეალიზება მხარეებს სასამართლოს გარეთ, მორიგების აქტით გათვალისწინებული პირობებისგან განსხვავებულადაც კი შეუძლიათ, შეიტანონ ცვლილებები და დამატებები სანოტარო წესით დამოწმებული ორმხრივი ხელშეკრულებით.

- მორიგების აქტის გასაჩივრება შეუძლებელია. მხარე, შეიძლება, არ ეთანხმებოდეს მორიგების აქტს სრულად ან ნაწილობრივ ან მისი დამტკიცების პროცედურულ პირობებს. ასეთ დროს უნდა გასაჩივრდეს არა მორიგების აქტი, როგორც მორიგების პირობების ამსახველი დოკუმენტი, არამედ – უშუალოდ განჩინება, როგორც მორიგების აქტის დამტკიცების და საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. კვლევის შედე-

გად დგინდება, რომ განსაზღვრებას ექვემდებარება განჩინება მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე, მაგრამ ზემდგომი სასამართლოს განხილვის საგანია უშუალოდ მორიგების, როგორც გარიგების ნამდვილობის საკითხი. რაც შეეხება მხარის მითითებას მორიგების მიზანშეწონილობაზე, გარემოების შეცვლის გამო, მორიგების პირობების შეცვლის მოთხოვნასა და მსგავს არგუმენტებზე, აღნიშნული ვერ გახდება მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების გაუქმების საფუძველი და, შესაძლოა, მხარეთა დამატებითი შეთანხმების საგანი იყოს.

- მორიგების პირობებზე შეთანხმებას მხარეები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ. პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტი დაკავშირებულია იმ საკანონმდებლო დათქმასთან, რომელიც ადგენს, რომ სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების შემდეგ, განსახილველი დავა მთავრდება, მხარეთა შეთანხმებას სასამართლო გადაწყვეტილების ძალა ენიჭება, მხარეებს აღარ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს დავის ხელახალი განხილვის მოთხოვნით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად უცილებელია სასამართლომ ხაზგასმით განუმარტოს მხარეებს მორიგების დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, რაც ერთი მხრივ, საქმის წარმოების მორიგებით დასრულების, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლიანი სასამართლოსა და სტაბილური სოციალური გარემოს არსებობის საწინდარია.

- იურიდიულ დოქტრინებში, სასამართლოსმიერი მორიგება დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს შორის არ მოიაზრება თუმცა, კვლევა ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ ალტერნატიულობის განსაზღვრა ორი ძირითადი კრიტერიუმით არის შესაძლებელი. პირველი – დავის გადაწყვეტის ყველა ფორმა ალტერნატიულია ერთმანეთის მიმართ და, მეორე – დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმაა ყველა ფორმა, რომელიც არაა სასამართლოში დადგენილი წესით საქმის სრულად განხილვის პროცესი. ამ საფუძველით, კეთდება დასკვნა, რომ მორიგება დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი ალტერნატივაა.

- მხარეთა მიერ მორიგების აქტით განსაზღვრული პირობები, შეუსრულებლობის შემთხვევაში, იძულებით აღსრულებას ექვემდებარება. ასეთ დროს ერთმანეთში არ უნდა აირიოს მორიგების პირობების აღსრულება და აღსრულების შეწყვეტა მორიგებით, ვინიდან ისინი ურთიერთსაპირისპირო მდგომარეობებია. პირველ შემთხვევაში, მორიგების პირობები არ სრულდება და, შესაბამისად, მხარე უფლებამოსილია მიმართოს მისი იძულებითი განხორციელების მოთხოვნას სააღსრულებო ორგანოების მეშვეობით. ხოლო, მეორე შემთხვევაში, საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და მხარეები მორიგდებიან იმ საფუძველით, რომ მორიგება საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზეა შესაძლებელი.

- აღსრულების მძიმე და რთული ფონი ერთგვარი საფუძველია მორიგების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. დგინდება, რომ მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებები არ ხდება მორიგების საფუძველი. არსებითი მნიშვნელობა აქვს აღმასრულებლის დამოკიდებულებას მორიგები-

სადმი. აღმასრულებლის სამომრიგებლო უნარები უზრუნველყოფს, რომ მორიგება აღსრულების ეტაპზეც გახდეს შესაძლებელი.

- საქმის წარმოების მორიგებით დასრულება განსხვავდება საქმის წარმოების გადაწყვეტილების მიღებით დასრულებული სამართლებრივი შედეგისაგან. საპროცესო დავის მორიგებით დასრულება დავის ფაქტობრივად გადაწყვეტას, კონფლიქტის მოგვარებას უზრუნველყოფს, რაც შედეგობრივი გადაწყვეტაა. სამოქალაქო საქმის წარმოების მორიგებით დასრულებას მოდავე მხარეებისთვის „რეალური შედეგი“ მოაქვს. რეალურია შედეგი, რომელიც დავის საგნით გათვალისწინებული უფლებებისა და მოთხოვნების ორმხრივ დაკმაყოფილებაში გამოიხატება.

- საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში არ არის დამკვიდრებული პრეცედენტული სამართალი. თუმცა, ზემდგომი სასამართლო გადაწყვეტილებების გავლენა და უზენაესი სასამართლოს პოზიციის საყოველთაო აშკარა ქვემდგომი ინსტანციებისა და, ზოგადად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. სამოქალაქო საქმის წარმოების მორიგებით დასრულების თაობაზე მოდავე მხარეებისა და სასამართლოების (მოსამართლეების) დამოკიდებულებას მდიდარი სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომელიც 2008 წლიდან განსაკუთრებით მრავალფეროვანია. აუცილებელია მორიგებით საქმის წარმოების დამტკიცებასთან მიმართებაში ერთიანი მიდგომის განვითარებისთვის ხელშეწყობა, ერთგვარი პიარი, რაც ერთ-ერთი წინაპირობაა. სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისა და სასამართლოს ნდობის ამაღლების.

- დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებას მოსამართლეთა მცირე ნაწილი სკეპტიკურად უყურებს. მათ მიაჩნიათ, რომ სასამართლო პროცესმა უკვე დაამტკიცა თავისი ეფექტურობა. მათი აზრით, საჭირო აღარ არის ამ მიმართულებით სიახლეების ძიება. მათი პოზიციით, მორიგებას არ შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა საქმის წარმოების პროცესთან შედარებით. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სასამართლოში არსებული საქმეების საკმაოდ დიდი რაოდენობა საერთოდ აღარ მიდის საქმის წარმოების პროცესამდე, ვინაიდან საქმის წარმოების დაწყებამდე შესაძლებელი ხდება საქმის მორიგებით დასრულება. ამდენად, მორიგების უპირატესობა, მოსამართლეების იმ ნაწილის მხრიდან, რომლებიც მორიგებით ასრულებენ საქმეების დიდ რაოდენობას, მხოლოდ ერთპიროვნული დამოკიდებულება არ უნდა იყოს. მიზანშეწონილია მორიგებას აქტიური პიარი გაეწიოს მთელი სასამართლო სისტემის და მოსამართლეთა კორპუსის მხრიდან. ასეთი სახის მხარდაჭერა უზრუნველყოფს საქმეების დიდი რაოდენობა დასრულდეს მორიგებით.

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997.
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997.
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999.
5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999.
6. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 2009.
7. საქართველოს კანონი „გადახდის უუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, 2007.
8. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 1999.
9. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, 2001.
10. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 2010 წლის 31 მარტის საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71.
11. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტები, ძალაშია 2009 წლის 02 ნოემბრიდან.

### ქართულ ენაზე მასალა:

12. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999.
13. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი (წიგნი I), „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია“, მიღებული და გამოცხადებული გენერალური ასამბლეის მიერ 217 (III) რეზოლუციით, 1948 წლის 10 დეკემბერს, თბ., 1999.
14. ბილინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009.
15. ბილინგი ჰ., მოსამართლის დამოუკიდებლობა და მოსამართლის გადაწყვეტილების მხარეების მიერ მიღება – საქმის განხილვის წარმართვა, მორიგების თაობაზე გამართული საუბრები და დავის მშვიდობიანად გადაწყვეტა, ლიუტრინგჰაუსი პ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007.
16. ბზეკალავა ე., ჭალიძე თ., ცერცვაძე ა., გეგენავა დ., (რედ.), ევროპული სახელმწიფოებო სამართლის პრინციპები, თბ., 2014.
17. გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, თბ., 2008.
18. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., (შემდგენლები), ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, სუს, თბ., 2010.
19. გაერთიანებული ერების ადამიანთა უფლებების დოკუმენტები. „ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ“, მიღებულია გაეროს დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მიერ. მილანი. 1985 წლის 26 აგვისტო-6 სექტემბერი. ძალაშია გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 13 დეკემბრის 40/146 რეზო-



- ლუციებით, შესავალი. სასამართლოს დამოუკიდებლობა, წიგნი II, თბ., 1999.
20. დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევისურეთში, თბ., 2000.
  21. დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბ., 2002.
  22. დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2004.
  23. დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ძველ ქართულ სამართალში, თბ., 2002.
  24. დარჯანია თ., სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, ელექტრონული მართლმსაჯულების ქართული გამოცდილება, თბ., 2015.
  25. ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, სტრასბურგი, 1998.
  26. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1994 წლის 13 ოქტომბრის რეკომენდაცია №R92(12) „მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ“.
  27. ვაჩაძე მ., თოდრია ი., ტურავა პ., წკეპლაძე ნ., საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბ., 2005.
  28. თოდუა მ., ვილემსი პ., ვაღდებულებითი სამართალი, თბ., 2006.
  29. თოდუა მ., ქურდაძე შ., ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბ., 2005.
  30. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, (ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა), ვაშინგტონი, 2009.
  31. უითდენჰაგი ი., (რედ.), საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, თბ., 2013.
  32. ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1998.
  33. კიდურაძე ქ., (რედ.), სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, თბ., 2009.
  34. კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014.
  35. კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2008.
  36. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009.
  37. კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003.
  38. კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძახია ი., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, ერვროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 25.11.2011.
  39. სამოსამართლო ეთიკის წესები, კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის სამართლის უზენაესობის ინიციატივა, 2008.
  40. ლემპერერი ა. პ., კოლსონი ო., მოლაპარაკების მეთოდები, თბ., 2009.
  41. ლიუტრინგჰაუსი პ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007.

42. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბ., 2005.
43. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი I, თბ., 2002.
44. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, II გამოცემა, თბ., 2001.
45. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2007.
46. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2014.
47. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, (ეროვნული კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტები და ადგილობრივი პრაქტიკა), თბ., 2014.
48. „მოსამართლეთა ქცევის ბანგაროლის პრინციპები“ და მისი კომენტარები, თბ., 2015.
49. ნაჭყებია ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014.
50. ნაჭყებია ა., ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014), თბ., 2015.
51. ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2001.
52. ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014.
53. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-2, თბ., 1999.
54. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, თბ., 2001.
55. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-4, ტომი II, თბ., 2001.
56. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები, მიღებული საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა 2007 წლის კონფერენციის მიერ, <<http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>>.
57. საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსი, <<http://ncadr.tsu.edu.ge>>.
58. სესიაშვილი ი., მენაღარიშვილი მ., (რედ.), სამართლიანი სასამართლოს უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ნორმები (სტრასბურგი, 4 ნოემბერი 1998), თბ., 2011.
59. ფიცხელაური ნ., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბ., 22 ივნისი, 2015.
60. ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბ., 2005.
61. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012.
62. ქირია გ., სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის თეორიულ-პრაქტიკული კომენტარები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, თბ., 2002.

63. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1984, ტომი მე-7,
64. ლიბრაძე დ., მოსამართლეთა დატვირთვა და საქმეთა გადანაწილება, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, მოსამართლის კონფერენციის მასალები, თბ., 27/28 სექტემბერი, 2013.
65. შმიტი შ., რიპტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013.
66. შოთაძე თ., იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბ., 2012.
67. შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბ., 2014.
68. ჩაჩანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., კომუნიკაცია სასამართლოში, თბ., 2013.
69. ჩაღაძე გ., მედიაცია და კონფლიქტის ფსიქოლოგია, მედიაცია – კონფლიქტის მოგვარება მოლაპარაკების გზით, თბ., 2014.
70. ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010.
71. ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., 2012.
72. ცერცვაძე გ., (პასუხისმგებელი რედ.), მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013.
73. ცვეტკოვ ვ. ლ., კონფლიქტის ფსიქოლოგია, თბ., 2015.
74. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014.
75. ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012.
76. „ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ“, წიგნი II, თბ., 1999.
77. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2015.
78. ჭანტურია ლ., შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997.
79. ჭანტურია ლ., ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003.
80. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011.
81. ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014.
82. ჯორბენაძე რ., მედიაცია, თბ., 2012.
83. პენლი ვ., მოსამართლის მოვალეობების შესრულებისადმი გულგრილობა და მისი შედეგები, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, მოსამართლის კონფერენციის მასალები, თბ., 27/28 სექტემბერი, 2013.
84. ჰაგენლოხი უ., გადატვირთული სამართალწარმოება და სასამართლოში საქმეთა გადანაწილება, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, მოსამართლის კონფერენციის მასალები, თბ., 27/28 სექტემბერი, 2013.

**უცხო ენაზე მასალა:**

85. A Glossary of Terms Used in Payments and Settlement Systems, Committee on Payment and Settlement Systems, Bank for International Settlements, March 2003, First Edition published January 2001, Revised Edition published July 2001 and March 2003. Alternative Dispute Resolution and Mediation. County Court Mediation Program. Beverly Graper Esq., ADR Director. <<http://www.circuit8.org/adr/county.html>>.
86. Altobelli T., Reflections on Primary Dispute Resoluion, Bond Law Review, 2001.
87. Andreoni J., (University of California, San Diego, Department of Economics), Madoff R. D., (Boston College, Law School), The Role of Judicial Discretion in Dispute Settlement, June 2007, Current version February 19, 2008.
88. Ayres I., Speidel R. E., Studies in Contract Law, USA, 2008.
89. Baar C., The Myth of Settlement, Paper Prepared for Delivery at the Annual Meeting of the Law and Society Association, Department of Politics, Brock University, St. Catharines, Ontario Canada, Papered for Delivery at the Annual meeting of the Law and Society Association, Chicago, Illinois, may 28, 1999.
90. Barry A. S., Kiernan J. S., Hon. Atlas N. F., LaMothe L. A., Prof. Burlette W., Mager C. C. A., Prof. Green B. A., Robb G. C., Higgins N. M., Wittner N. J., Jr., Chair Waller E. M., Prof. Mashburn A., (University of Florida Law School Reporter), Watson L. M., Jr., Liaison, (American Bar Association Dispute Resolution Section), Ethical Guidelines for Settlement Negotiations, Section of Litigation, American Bar Association, Chicago, August 2002.
91. Berghoff E. A., Fieweger M. J., Linguanti T. V. M., Morkin M. L., Vigil A. C., (Editorial Board), Williams P., (Executive Director, PILPG) Stewart M., (Senior Peace Fellow, PILPG), The International Negotiations Handbook, Success through Preparation, Strategy, and Planning, A Joint Project from Baker & McKenie and The Public International Law & Policy Group, 2007.
92. Bilsky L., Fisher T., Rethinking Settlement, Theoretical Inquiries in Law, 2014.
93. Birke R., Fox C. R., Psychological Principles in Negotiation Civil Settlements, Harvard Negotiation Law Review, 1999.
94. Brennan G., (Chief Justice of Australia), The Role of the Judge, National Judicial Orientation Programme, 1996, <[http://www.hcourt.gov.au/assets/publications/speeches/formerjustices/brennanj/brennanj\\_wollong.htm](http://www.hcourt.gov.au/assets/publications/speeches/formerjustices/brennanj/brennanj_wollong.htm)>.
95. Brownlie I., The Peaceful Settlement of International Disputes in Practice, Pace International Law Review, Volume 7, Issue 2 *Spring 1995* Article 1, April 1995, Pace University School of Law International Law Review, Volume 7, 1995.
96. Buergenthal T., The Proliferation of Dispute, Dispute Settlement Procedures and Respect for the Rule of Law, UK, 2006.
97. Byrne R., BCL, LLM (NUI), Barrister-at-Law (Director of Research), Hanna D., BCL (NUI), LLM (Cantab), Kehoe H., BCL (Law with French Law) (NUI), LLM (Dub), Solicitor Lyons D., LLB (Dub), LLM (NYU), Murphy T., BCL (Law with French Law) (NUI), LLM (Essex), Barrister-at-Law, O'Grady J., BCL, LLB (NUI), LPC (College of Law), O'Keefe D., LLB (UL), H Dip Soc Pol (NUI), EMA (EIUC), Whately H., LLB, LLM (Dub) (Legal Researchers), Alternative Dispute Resolution: Mediation and Conciliation, Law Reform, Report (LRC 09-2010). © Copyright, Law Reform Commission, FIRST PUBLISHED November 2010, ISSN 1393-3132.



98. Byrne R., BCL, LLM (NUI) (Director of Research), Clancy Á., BCL, LLM (NUI), Flaherty P., BCL, LLM (NUI), Diop sa GH (NUI), Leane E., LLB, LLM (NUI), Ní Chaoimh G., BCL, LLM (NUI), Ní Dhrisceoil V., BCL (Dlí agus Gaeilge), LLM (NUI), O'Grady J., BCL, LLB (NUI), LPC (College of Law), O'Mahony C., BA, LLB (NUI), LLM (Lond), LLM (NUI), Staunton C., BCL, LLM (NUI), Diop sa GH (NUI) (Legal Researchers), Barrister-at-Law, Alternative Dispute Resolution, Consultation Paper, Law Reform, (LRC CP 50-2008) ©Copyright Law Reform Commission, First Published July 2008, ISSM 1393-3140.
99. Certilman S. A., Judges as Mediators: Retaining Neutrality and Avoiding the Trap of Social Engineering, 2007.
100. Cornes D., Commercial Mediation: The Impact of the Courts, TOMSON, Sweet & Maxwell Limited, 2007.
101. Cory M. V. Jr., How to Negotiation the Best Settlement, Danks, Miller & Cory 213 South Lamar Jackson, MS, 2011, < <http://danksmillercory.com/>>.
102. Cowles K. M., Communication in the Courtroom, Coastal Carolina University, 2011.<<https://www.coastal.edu/media/administration/honorsprogram/pdf/Kathryn%20Cowles.pdf>>.
103. Crane S. G., Judge Settlements Versus Mediated Settlements, Dispute Resolution Magazine, 2011.
104. Cratsley J. C., Judicial Ethics and Judicial Settlement Practicis, Time for Two Strangers to Meet, Dispute Resolution Magazine, 2005.
105. Cratsley J. C., Judges and Settlement, So Little Regulation with So Machar Stake Judicial Mediation and Settlement, Dispute Resolution Magazine, Published by The American Bar Association Section of Dispute Resolution, Colume 17, No.3, Magazine, Editor: Chip Stewart Texas Christian UniversityFort Worth TX, Spring 2011.
106. Craver C. B., Alverson F. H., (Professor), Effective Legal Negotiaton and Settlement, George Washington University Law School, Washington, D.C., 2010.
107. Denlow M., Sack J. E., Judicial Settlement Databases: Development and Uses, Judges' Jurnal, 2004.
108. Denlow M., (Ret), Magistrate Judges' Important Role in Settling Cases, May/June 2014.
109. DiSarro A., (adisarro@optonline.net) Six Decrees of Separation: Settlement Agreement and Consent Orders in Federal Civil Litigation, American University Law Rewiew, Valume 60|Issue 2, 2010.
110. Dye T. A., Fields C. P.A., Winning The Settlement – Keys to Negotiation Strategy, ABA Section of Litigation Corporate Counsel CLE Seminar, February 11-14, 2010.
111. Elkins-Elliott K., Elliott F. W., Settlement Advocacy, Texas Wesleyan Law Review, 2004.
112. Ervasti K., Conflicts Before the Courts and Court-annexed Mediation in Finland, Scandinavian Studies In Law,© 1999-2012.
113. Ficks E., Models of General Court-Connected Conciliation and Mediation for Commercial Disputes in Sweden, Australia and Japan, ZJAPANR / J.JAPAN.L, Nr. / No. 25 (2008).
114. Floyd D. H., Can the Judge do this? – The Need for a Clearer Judicial Role in Settlement, Arizona State Law Jurnal, 1994.
115. Lacey F. B., The Judge's Role in the Settlement of Civil Suits, Education and Traning Series, The Federal Judicial Center, Levin L. A., (Director), Ebersole J. L.

- (Deputy Director), Crawford K.C., Nihan C.W., Eldridge W. B., O'Donnell A. L., (Division Sirectors), Washington, D.C. 2005.
116. Garner B.A., Black's Law Dictionary, USA, 2009.
  117. Gleeson M., Future of Civil Justice Adgudication or Dispute Resolution, Otago Law Review, 1999.
  118. Glover J. M., The Federal Rules of Civil Settlement, Jurnal of International Law and Politics, 2012.
  119. Handbook on the Peaceful Settlement of Disputes between States, Office of Legal Affairs Codification Division, United Nations, New York, 1992.
  120. Hames D. S., Negotiation, Clothing Disputes, and Making Team Decisions, University of Nevada, las Vegas, Los Angeles/London/New Delhi/Singapore/Washington DC/, 2012.
  121. Hinshaw A., Teaching Negotiation Ethics, Jurnal of Legal Education, 2013.
  122. Hollander-Blumoff R., Just Negotiation, Washington University Law Review, 2013.
  123. Hunter D., with Thorpe S., Broun H., Bailey A., The Art of Facilitation, the Sessentials for Leading Great Meeting and Creating Group Synergy, revised edition, USA, 2007.
  124. Issacharoff S., Klonoff R. H., Public Value of Settlement, Fordham Law Review, 2009-2010.
  125. James A., Wall Jr., Dale E. Rude., Judges' Role in Settlement: Opinions from Missouri Judges and Attorneys, Jurnal of Dispute Resolution, Missouri School of Law Scholarship Repository, 1988. <<http://scholarship.law.missouri.edu/jdr>>.
  126. Judicial Settlement Conferences, The High Court Guidelines, (A document to assist those participating in a judicial settlement conference), Issued April 2012.
  127. Karnow C., How Do People Settle Disputes? How a Civil Trial Works in California, California Courts, The Judicial Branch of California, Coliman Appeard in CCSS Sunburst Jane 2012 <http://www.ccss.org/Teacher Resources/Just Comment>, May, 2012.
  128. Katz A., The Effect of Frivolous Lawsuits on the Settlement of Litigation, Department of Economics and Law School, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USA, International Law Review of Law and Economics )1990), 10 (3-27).
  129. Korobkin R., Aspiration and Settlement, Cornel Law Review, 2002.
  130. Lemons H. L., Top Five Negotiation Tips, San Antonio, Texas, 1-2, < <http://www.whlemonsadr.com/pdf/tips.pdf>>.
  131. Lande J., Judging Judges and Dispute Resolution Processes, Nevada Law Journal, 2007.
  132. Les A., Cullen B., Settlement and Reform of the Civil Justice System: How Settlement is Changing the Practice of Law, Waikato Law Review, 2009.
  133. Levin A. L., Shuchman P., Yamnb C. M., Civil Procedure, Cases and Materials – Successor Edition, New York, 1992.
  134. Mahony P. D., Private Settlement-Public Justice, Victoria University of Wellington Law Review, 2000.
  135. Making More of Alternative Dispute Resolution, Summary, Acas Policy Discussion Papers, No 1, January, 2005. <[strategy@acas.org.uk](mailto:strategy@acas.org.uk)>.
  136. Malpractice, Comment, Aliaska Law Review, 1992.
  137. Marsh R. S., Current Issues in Court Annexed Mediation. <<http://www.adrr.com?adr2/essayq.htm>>.
  138. Martin J. W., Drafting the Contract or Settlement Agreement That says aut of Court, The Breaif, 2003.

139. Maureen A. W., Confidentiality's Constitutionality: The Incursion on Judicial Powers to Regulate Party Conduct to Regulate Party Conduct in Court-Connected Mediation. *Harvard Negotiation Law Review*, Spring 2003.
140. Menkel-Meadow C., From Legal Dispute to Conflict Resolution and Human Problem Solving: Legal Dispute Resolution in a Multidisciplinary Context, Georgetown University Law Center, Scholarship@Georgetown law, © 2004 Association of American Law School, 54 *J. Legal Educ.* 7-29 (2004), 2004.
141. Merrills J. G., *International Dispute Settlement*, New York, 2005.
142. Metzloff T. B., Alternative Dispute Resolution Strategies in Medical Malpractice, Comment, *Aliaska Law Review*, 1992.
143. Miller J. R., Alternative Dispute Resolution (ADR): A Public Procurement Best Practice That has Global Application, 21-23 September, 2006.
144. Mnookin R. H., Negotiation, Settlement and the Contingent Fee, DePaul University, University Libraries, DePaul Law Review, Volume 47, Issue 2 Winter 1998: Symposium – Contingency Free, Financing of Litigation in America, Article 8, 1998.
145. Moffitt M., Pleading in the Age of Settlement, *Indiana Law Jurnal*, 2005.
146. Nadler J., Rapport in Negotiation and Conflict Resolution, *Marquette Law Review*, 2003-2004.
147. Niemic R. J., *Mediation & Conference Programs in the Federal Courts of Appeals*, a sourcebook for judges and lawyers second edition, Federal Judicial Center, 2006.
148. Otis L., Alternative Dispute Resolution: Judicial Mediation, The Early Settlement of Disputes and The Role of Judges, 1st European Conference of Judges, Proceedings, organized by the Council of Europe in co-operation with the Consultative Council of European judges (CCJE), Strasburg, 24 and 25 November 2003.
149. Parness J. A., Improving Judicial Settlement Conferences, *U.C. Davis Law Review*, 2006.
150. Peters A., *International Dispute Settlement: A Network of Cooperational Disputies*, Vol. 14, No.1, 1-34, ©Ejil 2003.
151. Pieckowski S., Using Mediation in Poland to Resolve Civil Disputes: A short Assessment of Mediation Usage From 2005-2008, *International*, November 2009/January 2010.
152. Pogonowski P., Role of Judges and Party-autonomy in Settlement in Litigation, John Paul II Catholic University of Lublin, e-mail: ppogonow@op.pl, *Teka Kom. Praw. – OL PAN*, 2008.
153. Post R., *Law and Cultural Conflicts*, *Chicago-Kent Law Review*, 2003.
154. Private Mediator Procedures for Mediation of Appeals, Kinnard Mediation Center, February, 2001.
155. Priscoll J. D., Overview of Alternative Dispute Resolution (ADR), A Handbook for Corps Managers, Us Army Corps of Engineers@Pamphlet #5 Alternative Dispute Resolution Series, July 1996.
156. Remland M. S., The Importance of Nonverbal Communication in the Courtroom, Department of Communication Studies, West Chester University, 1993. <<http://files.eric.ed.gov/fulltext/ED378612.pdf>>.
157. Resnik J., Mediating Preferences: Litigant Preferences for Process and Judicial Preferences for Settlement, *Jurnal of Dispute Resolution*, 2002.
158. *Resolving Your Case Before Trial*, Guidebooks for Representing Yourself in Supreme Court Civil Matters. Produced by: [www. JusticeEducation.ca](http://www.JusticeEducation.ca), Funded by:

- www.Law FoundationBC. org. Justice Education Society, The Law Foundation of British Columbia, July, 2010.
159. Riskin L. L., Westbrook J. E., Guthrie C., Reuben R. C., Robbennolt J. K., Welsh N. A., *Dispute Resolution and Lawyers*, fourth edition, USA, 2009.
  160. Robbennolt J. K., *Attorneys, Apologies and Settlement Negotiation*, Harvard Negotiation Law Review, 2008.
  161. Roberts K., *What Judges Actually Do*, Judges' Jurnal, 2010.
  162. Roberts S., *Settlement as Civil Justice*, Modern Law Review, 2000.
  163. Sale H. A., *Judges Who Settle*, Washington University Law Review, Volume 89 | Issue 2, 2011.
  164. Semple D., *Advocacy in Mediation, An Overview of the Mediation Process and the Opportunities for Solicitors and Clients*, Glasgow, 2007. <[www.catalystmediation.co.uk](http://www.catalystmediation.co.uk)>.
  165. *Setting Out of Court, How Effective is Alternative Dispute Resolution*, Viewpoint, Public Policy for The Private Sector, The World Bank Group, Financial and Private Sector Development vice Presidency, October 2011, Note Number 329.
  166. Shamir Y., *Alternative Dispute Resolution Approaches and Their Application*, PCCP Publications, Unesco, 2001-2003.
  167. Sobel S. A., *Law Clerk Handbook, A Handbook for Law Clerks to Federal Judges*, Second Edition, Federal Judicial Center, 2007.
  168. Sourdin T., *Five Reasons Why Judges should Conduct Settlement Conferences*, Australia Centre for Justice Inovacion (ACJI), Monash University Law Review, 2011.
  169. Starnes H. E., Finman S. E., *The Court's Role in Settlement Negotiations*, Published in Family Advocate, Vol. 37, No. 3, (Winter 2015) p. 30-35. © 2015 by the American Bar Association.
  170. Swaab R., Postmes T., Neijens N., *Negotiation Support Systems: Communication and Information as Antecedents of Negotiation Settlement*, Swaab and Neijens: ASCoR, Universiteit van Amsterdam, Kloveniersburgwal 48, 1012 CX, Amsterdam, The Netherlands, E-mail: [r.i.swaab@uva.nl](mailto:r.i.swaab@uva.nl); Postmes: University of Exeter, UK, *International Negotiation* 9: 59–78, 2004. © 2004 Koninklijke Brill NV. Printed in the Netherlands.
  171. Tait K., *Effective Courtroom Communication*, University of Nevada, 2006. <<http://www.courts.ca.gov/partners/documents/EffectiveCourtroomComm.pdf>>.
  172. Tanford J. A., *Basics of Negotiation*, Indiana University School of Law, 2001, <<http://www.law.indiana.edu/instruction/tanford/web/archive/Negotiation.html>>.
  173. Weeler M., *The Art of Negotiation, How to Improvise Agreement in a Chaotic World*, Harvard Bussiness School, New York, 2013.
  174. Werner F. E., Finkin M. W., Kluver C. H. , *Introduction to German Law*, The Hague-London-Boston., 1996.
  175. Wissler R. L., *Court-Connected Settlement Procedures: Mediation and Judicial Settlement Conferences*, Ohio State journal on Dispute Resolution, [Vol. 26:2-3 2011], Electronic copy available at: <http://ssrn.com/abstract=1740033>, 2011.
  176. Wissler R. L., *Judicial Settlement Conferences and Staff Mediation: Empirical Research Findings*, Dispute Resolution Magazine, 2011.
  177. Yong K. S., Travis H. P., *Oral Communication, Skills, Choices, and Consequences*, Long Grove, Illion, third edition, 2012.
  178. Чечина Н. А., *Избранные труды по гражданскому процессу*, М., 2004.



179. Треушникова М. К., (Ред.), Хрестоматия по гражданскому процессу, М., 1996.

**სტატიები და პუბლიკაციები:**

180. ბიჭია მ., სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მეთოდოლოგიური საფუძვლები, „სამართლის ჟურნალი“, №1-2, თბ., 2010.

181. გილესი პ., მართლმსაჯულების სისტემა კრიტიკული თვალთ: შედარებითი ანალიზი გერმანული პოზიციიდან, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2009.

182. გოთუა ლ., კერძო დავების ალტერნატიული წესით განხილვის თავისებურებანი ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, სუს, „მართლმსაჯულება“, თბ., №2, 2007.

183. გრიგალაშვილი ნ., სტატია „თანამდევნი სული“, გაზეთი „24 საათი“, 2010, <<http://24saati.ge/index.php/category/culture/2010-03-01/4013.html>>.

184. ზამბახიძე თ., მორიგება დავის ნაცვლად, „ლიბერალი“, თბ., 2012, <<http://liberali.ge/articles/view/2135/morigeba-davis-natsvld>>.

185. თოდრია თ., „მოსამართლე უპირველესად კანონის ინტერესების დამცველი უნდა იყოს და არა – საკუთარი იმიჯის“, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006.

186. კუბლაშვილი კ., „პატიოსანი და მიუკერძოებელი მოსამართლეების პირველი დამცველი მე ვიქნები“, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006.

187. კოვაკი კ., ადვოკატთა ეთიკა მედიაში: კეთილსინდისიერების საჭიროება (კეთილსინდისიერების მოთხოვნის დრო), დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, „წელიწდეული“, თსუ, თბ., 2012.

188. კოხრიძე ლ., სასამართლო მედიაციის სამართლებრივი ასპექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(39)13, თბ., 2013.

189. ლაზარაშვილი ლ., „საზოგადოებას უნდა სწამდეს, რომ სასამართლოს შეუძლია შეასრულოს თავისი ნამდვილი ფუნქცია – აღასრულოს მართლმსაჯულება“, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006.

190. სასამართლო რეფორმის ძირითადი მიმართულებები, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006.

191. შავლიაშვილი გ., „საქალაქო სასამართლო მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი და ეფექტური გახდება“, სუს, „მართლმსაჯულება“, №1, თბ., 2006.

192. ცური მ., მედიაციის შეთანხმების აქტის შედგენის ხელოვნება, სახელმძღვანელო ინსტრუქციები, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, თსუ, „წელიწდეული“, თბ., 2012.

193. ხოფერია მ., მედიატორეს როლი ოჯახის გაყრაში ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, №1, თბ., 2011.

194. ჯორბენაძე ს., შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2011.

195. ჰელმუტ კ., კულმანი ა., მედიაცია გერმანიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში, „აკადემიური მაცნე“, „სამართალი“, №3, თბ., 2014.

**ლექსიკონები:**

- 196. დანელია ლ., მესხიშვილი მ., იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2006.
- 197. თეხელიშვილი ს., იურიდიული ენციკლოპედია, თბ., 2008.
- 198. თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012.
- 199. ქოლინი პ., ინგლისურ-ქართული იურიდიული განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2004.
- 200. შუშანაშვილი ალ., იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2000.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები და ნორმათა განმარტებები:**

- 201. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი, სუს, თბ., 2013.
- 202. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის შერჩეულ განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული, სუს, თბ., 2013.
- 203. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს (BGH) გადაწყვეტილებები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის თემაზე <<http://www.tbappeal.court.ge/?news=317&mc=1>>.
- 204. პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრანტი მოსამართლისათვის, სუს, თბ., 31 იანვარი, 2008.
- 205. სუს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე XXX, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007.
- 206. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, სუს, თბ., 2015.

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებები და გადაწყვეტილებები:**

**2009**

- 207. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №2ბ/2436-09.

**2013**

- 208. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №2ბ/1084-13.

**2014**

- 209. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 04 მარტის განჩინება საქმეზე: №2ბ/5911-13.

**2015**

- 210. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე: №2ბ/4963-14.
- 211. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: №2ბ/4936-14.
- 212. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 06 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: №2ბ/3275-15.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

**2008**

- 213. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 16 იანვრის განჩინება საქმეზე: №ას-931-1237-07.
- 214. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №ას-531-764-08.
- 215. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-621-846-08.
- 216. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 01 აგვისტოს განჩინება საქმეზე: №ას-624-848-08.
- 217. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 01 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-4-668-08.
- 218. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-226-487-08.
- 219. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-95-375-08.
- 220. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 09 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: №ას-436-678-08.
- 221. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-302-559-08.

**2009**

- 222. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინება საქმეზე: №ას-778-993-08.





- 240. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე: №ას-1156-1032-2010.
- 241. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინება საქმეზე: №ას-783-732-2010.
- 242. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 05 იანვრის განჩინება საქმეზე: №ას-841-790-2010.
- 243. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-1241-1091-2010.

**2012**

- 244. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-899-845-2012.
- 245. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №ას-1232-1491-09.
- 246. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 06 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-1770-1750-2011.
- 247. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მაისის განჩინება საქმეზე: №ას-516-490-2011.

**2013**

- 248. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-37-37-2012.
- 249. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-1087-1018-2012.
- 250. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 06 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-1770-1750-2011.

**2014**

- 251. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 04 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №ას-520-493-2014.
- 252. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: №ას-186-175-2014.
- 253. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-308-290-2014.
- 254. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: №ას-722-684-2013.
- 255. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 01 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: №ას-704-667-2013.

**2015**

- 256. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-790-747-2015.
- 257. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-628-594-2015.
- 258. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 08 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-766-725-2015.
- 259. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის საქმეზე: №ას-1915-ბ-8-2015.
- 260. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 06 მაისის განჩინება საქმეზე: №ას-1214-1156-2014.

**2016**

- 261. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-98-94-2016.
- 262. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 04 აპრილის განჩინება საქმეზე: №ას-1195-1124-2015.

**ინტერნეტმასალა:**

**(ბოლოს გამოხმობილია 19.05.2016)**

- 263. <http://www.brainyquote.com/words/co/compromise146379.html>
- 264. [http://encarta.msn.com/dictionary\\_/compromise.html](http://encarta.msn.com/dictionary_/compromise.html).
- 265. <http://dictionary.law.com/Default.aspx?selected=1938>
- 266. <http://dictionary.law.com/Default.aspx?selected=750>
- 267. <http://divorces.ru/faq/osobennosti/mirovoe.htm>
- 268. <http://www.attorneyservicesetc.com/Resolving-Disputes:-Litigation,-Mediation,-and-Arbitration.html>
- 269. <http://www.bambooweb.com/articles/M/e/Mediation.html>
- 270. <http://www.courts.state.va.us/courtadmin/aoc/djs/programs/jsc/home.htm>
- 271. <http://legal-dictionary.thefreedictionary.com/Transaction>
- 272. <http://thelawdictionary.org/transaction/>
- 273. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=2885>
- 274. <http://dictionary.cambridge.org/dictionary/english/facilitator>
- 275. <http://www.lingvo-online.ru/en/Translate/en-ru/facilitator>
- 276. <http://www.lingvo-online.ru/en/Translate/en-ru/Conciliation>
- 277. <http://www.lingvo-online.ru/en/Translate/en-ru/counselling>
- 278. <http://www.uncitral.org/uncitral/en/index.html>
- 279. <http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/conc-rules/conc-rules-e.pdf>
- 280. <http://ncadr.tsu.edu.ge>
- 281. <http://www.ujg.ge>
- 282. <http://www.tbappeal.court.ge/?news=317&mc=1>
- 283. <http://www.tbappeal.court.ge/?category=g>
- 284. [www.catalystmediation.co.uk](http://www.catalystmediation.co.uk)
- 285. <http://definitions.uslegal.com/c/consent-order/>
- 286. <http://ena.ge/explanatory-online>
- 287. <http://www.nplg.gov.ge/gSDL/>

ნაშრომი შესრულებულია ჩემს მიერ, არ გამოიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითების გარეშე და ვაცნობიერებ სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

თამთა მამაიაშვილი -----